

114
1998/3



ენციკლოპედია



3-4

1998

ინფორმაცია



მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე

სარედაქციო საბჭო:

მარიამ აგიაშვილი

აკაკი მინდიაშვილი

მანანა შიქელაძე

გივი სულაბაური

ზინა შატავაშვილი

ვატა ჩორდელი (პ/მგ. შილაძე)

ტარიელ ჭანტურია

ნიგნიდან: გალიქეზული ჭრილოვაზი

აღდგომა

რა კარგად ჩანს ჯვრის და სვეტიცხოვლის ხელი!
 ისმის ლოცვა ჩუმი — მუხლმოყრილი დედის!
 დაფარფატებს საყდრებს ათასობით მტრელი!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

დრო დასრულდა გვემის და თითების კენეტის!
 დრო დგას საოცარი — თავად უფლის ჭკრეტის!
 ჯვარი, ყველგან ჯვარი — მთლად სამშობლო — ჯვრეთი!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

თვალში მიდგას ცრემლი! შუბლზე მცხია ზეთი!
 ზოგი მიდის მცხეთას, სხვა ბრუნდება მცხეთით!
 სიხარულისაა, შენ რომ გესხმის რეტი!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

სააღდგომო ბაზარი

გზელები, ხელმოცარული,
 შესამოცე აღდგომას!
 მუხლს მოუყერი ღვთისმშობელს —
 საქართველოს ნაღდ ქომაგს!
 უფლის საამებულად
 მეც წავაბტებ თაფლისკვერს!
 ვფიცავ, ხელი არასდროს
 არ წამიცდეს დაფნისკენ...

დამავალეს, რა მექნა —
 მეც წაუედი ბაზარში!

ვნახე ქვეყნის ღარიბი —
 შესულეები აზარტში...
 ია — აურაცხელი!
 ვარდიც — აგერ-ეგერა!
 ზოგს რომ ხელში ეჭირა,
 ზოგსაც — პირზე ეკერა...

რა ვიციდო, არ ვიცი,
 როგორ შევზვდე აღდგომას!
 ...მოდი, სანთლებს დავუნთებ
 საქართველოს ნაღდ ქომაგას...

საქართველოს
 პროზაული
 ზიგლიერთა
 კავშირი

21057

ხ ა რ კ ი

რაც ტყვილია, რაც სირცხვილია, რაც ძაბილია, რაც ღიმილია, რაც ღუძილია,
რაც ჩივილია — ღამის ყველაფერს ქვია ილია!

რაც კი შუქია, რაც კი ჩრდილია, ვინც კი მამია, ვინც კი შვილია,
თუ რამ მწარეა, თუ რამ ტკბილია — ყველას, ყველაფერს ქვია ილია...

რაც კი შებმაა და ქიდილია, მოთქმით შრომაა თუ იდილია, რაც ღამაზია,
რაც კეთილია — ყველას, ყველაფერს ქვია ილია!

სიბრძნე იმისი — არ დაილია! ჩვენი ღვიძილი, ჩვენი ძილია, ჩვენი ვანძია,
ჩვენი წილია — მარად და ყველგან ჩვენი ილია!

ეს ლექსიც განა მართლა ლექსია! — ის არც ცუდია, ის არც კარგია! —
ის ყვაილია — სავალდებულო და გადახდილი გვიან — ზარკია...

ქ ი რ ვ ი ლ ი

აღბათ ასეთია ნება ასტრალური
(ღმერთო, დაილოცა შენი ძლიერება):
დაუჯერებელი ვნახე სასწაული —
ორი უბედურის გაბედნიერება!

დღეა უხსოვარი, დღეა სახსოვარი!
ზეცით გადმოსული შუქი — მაცხოვარი!
ო, რა მდიდრულია დღეს ეს ქორწინება —
კაბაც — ნათხოვარი, ჯემპრიც — ნათხოვარი...

ღმერთო, ამითთვისაც, ვხედავ, ჩამოხვედი!
ამათ გულისათვის აღბათ ჩამოხვედი!
ცრემლი ეცემა და ცრემლი ეწვეთება
ლოცვის მომლოდინე სანთელს ჩამოლვენთილს...

სხვების სიყვარულში ხელს რომ აფათურებს —
ქალაქს რა მოვკითხო, ქცეულს სეთურებად...
ორი უბედურის — გაბედნიერება...
ორი ბედნიერის — გაუბედურება...

შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი

შენ რაკი გაჩნდი — თუნდ ერთი წვეთით —
ხომ ჩემი სისხლი იქნება მეტი!

იქნებ შენ იყო იმედი ქვეყნის,
და შენი და-ძმის განძი და ბედი...

ამა, ღიაა სიცოცხლე! — შედი!
არ მოუხარო ცხოვრებას ქედი!

იყავი მუდამ სიმდიდრე ერის,
ანდერძი მამის, ნუგეში დედის...

იცოცხლე ჩემზე ათასჯერ მეტი! —
მიწის ბრუნვისგან დაგსხმოდეს რეტი!
ჯერ არც კი გიცნობ!
ჯერ არც კი მიცნობ!
შორიდან, ასე, რა ვითხრა მეტი!

იმ წლის სანაცვლო რა უნდა მომცენ
 ეს წლებიც იმ წლებს რა სწრაფად მიყვია...
 მე ეს ღიმილი — წარსულში მომწონს
 და შენი თმებიც — წარსულში მიყვარს...

მე ძველებურად ერთგული ვრჩები
 ამ გაზუნებულ, ნაცრისფერ კაბის,
 თვალშერევული ყვითელი ჯემპრის,
 ცხოვრებასავით გაცვეთილ საბნის...

უჩივით აწმყოს, ვაფასებთ ნაყოფს...
 ვკოცნით იმ ძველი კოცნების ნაყოფს —
 პაწიებს ჩვენსას — იმ გაყიდული
 ბუკეტების ნაცვლად ასე რომ გვამკობს...

სხვა სახლი. სხვა დრო. სხვა ოდა. სხვა ხე...
 ეს გაორება მე თვითონ მიკვირს...
 მე მიყვარს შენი ძვირფასი სახე,
 ოღონდაც — უკვე წარსულში მიყვარს...

საუბარი შვილებთან

ეს ჩემი მეგრულ-გურული სისხლი რაღაცას ურევს!
 დღეს რომ ქაცარს ვჭამ ზუგდიდში, ზვალ — ხარს მივდენი სურებს!
 კი! ჩემი გურულ-მეგრული სისხლი ნამდვილად ურევს!
 ზევ რომ ენგურში ვბანაობ, მაზევ — ვაზივარ ურემს!
 ვნება მკლავს დაუძლეველი — განა თოხნის და ბარვის —
 ვნება მსპობს დაუძლეველი — თხისა და ცხენის პარვის!
 ვიცი, ასი ღირს! ათასს მთხოვს! გურულია და ვაძლევ!
 ძველი მახსოვს და გურულებს ალაიაში ვაძვრენ!
 ა კაცი — მოკრიმანჭულე, ა კაცი — მოყიფინე!
 ვგერ ე, ტლუ მერიქიფე — დარაჯად მოყინინე!
 ხულ ამას გეხვეწებოდი ორივეს — შეილს და დიშვილს! —
 ცხოვრებას აუცილებლად ჩასდიეთ-მეთქი ღღინში!
 (რა ვთქვა, რა ვითხრათ იმ კაცზე, ვერაფერს რომ ვერ იგებს,
 და სამეგრელოს ქალაქებს სერიოზულად იღებს...).
 როგორც საკუთარ სხეულის, მე ისე მესმის მაცის! —
 მაცის — ათასი ცახცახა კვიცის წამგვრელა კაცის!
 როგორც საკუთარ სხეულის, მე ისე მესმის ჭურის! —
 ჭურის, და მერე მის მიერ შეკვეთილ კრიმანჭულის...
 ხომ ზედავთ საზღვარს ენგურთან! ხომ ზედავთ აგერ, ამ ხაზს! —
 ღმერთი შეარცხვენს მაგ მეგრელს, ანუ — იმავე აფხაზს!
 არ უნდა დიდი ძიება, — შერლოკ ჰოლმსი და მეგრე! —
 მთელი პასუხისმგებლობა რომ კეისრება მეგრელს! —
 მან დაიბრუნოს, დრო არის, თავის ვაგრა და რიწა!
 თავისი დიდი წინაპრის — ადამ პირველის მიწა!

ეს ჩემი მეგრულ-გურული სისხლი ნამდვილად ურევს:
 ეს ნახევარი — გაღშია, ის ნახევარი — სურებს!

შეახო ზელი — ნათურა ჩაქრა.
 შეახო ზელი — აინთო ქალი.
 მაინც — იმ ერთმა შეხებამ რა ქნა! —
 მთელ იმ ბალს ეყო ბრიალი ჩაღის...

მოედო სხეულს გიზგიზი ხანძრის —
 აენთო გული, ჩაბნელდა აზრი...

(ის ბიჭი — გოგოს, ის გოგო — იმ ბიჭს —
 ვარდისფერ ფურცლებს ნელინელ
 აცლის...).

ნოემბრის ბალი საესეა ღამით.
 ნოემბრის ბალში არ ისმის ჩქამი,
 და ბნელში, საცა ქალ-ვაჟი ისხდა,
 გაუთავებლად ჭრიალებს სკამი...

სტრას-კაუზა: სიყვარული

სიყვარულსა მალვა უნდა!
 შენ გგონია, მალვა უნდა!
 განა მართლა მალვა უნდა! —
 „საფარა“ და „ეოლვო“ უნდა!

განა მართლა მალვა უნდა! —
 „მარტინი“ და ხალვა უნდა!
 მიჯნურობის ცეცხლის აღზე
 „არაბიკის“ ხალვა უნდა!

წყალწადებულ მშობლებისთვის
 ბაკის გამოძალვა უნდა!
 საქორწილო ქვაბების და
 კარდალების კალვა უნდა!

განა მართლა მალვა უნდა —
 პლას-პიგალზე გავლა უნდა!
 არც ისეთი თავმოდრეკა,
 არც ისეთი კრძალვა უნდა!

შენ გგონია — მალვა უნდა!
 მას გონია — „ეოლვო“ უნდა!

ბოლო რომანსი

თუნო პატარაის სსონას

ერთ მშვენიერ — იანერის დღეს
 დამავიწყდა გულის ძგერა:
 ვერაფრით ვერ გაეხსენე,
 როგორ უნდა გულის ძგერა!
 იმ წუთიდან სამუდამოდ
 დამავიწყდა წიგნის წერაც!
 მარტო შენ ერთს ვერ გივიწყებ!
 მხოლოდ შენ ერთს!
 ვერა! ვერა!

დამავიწყდა ის ცეკვები,
 დამავიწყდა ის სიმღერა,
 წიგნის კითხვა, კარტის ჩითვა,

ღვინის წრუპა, თევზის ქერა!
 არაფერი აღარ ვიცი!
 არაუისი აღარ მჯერა!
 მარტო შენ ერთს ვერ გივიწყებ!
 მხოლოდ შენ ერთს!
 ვერა! ვერა!

სასთუმალთან — წვეილი ნაძვი
 და ღამწებები აკაცია
 შრიალებენ ბოლო რომანსს:
 „საფლავშიაც,
 აქაც, იქაც!“

პირველი თებერვალი

(კლიბი)

გადამირბინა კაცმა. გადმომირბინა ქალმა. გადმომირბინა ძეწნამ,
 გადამირბინა პალმამ, გადამიფრინა ქორმა, გადმომიფრინა ბატმა.
 გადაიფრინა წერომ — ცხრაათას ცხრაას ათმა.

გადაუარა სახეს მკრთალ-მეწამულმა აღმა.
 ძეწნა. ქალი და კაცი. ქორი, წერო და პალმა.

მოწყენილია ჯაბა. ცარიელია ჯიბე. დახეულია ჯუბა. მოპარულია „ჯიბი“
 მოჩქეფს კედლიდან სისხლი. წვეთავს ჭადრიდან ცრემლი. მარხავს სილაში
 ფალოსს დაუომეველი ტიპი.
 ქარი, ქარი და ქორი. პალმა, პალმა და პალმა.
 გადამირბინა კაცმა. გადმომირბინა ქალმა.

იატაგანი. ფარი, ხონთქრის ვეება ჩალმა.
 გადამირბინა ბუნამ. გადმომირბინა პალმამ.
 დნება ყინული მზეზე. ეცემა ალენ კალმა.
 ქორი, ქორი და ქარი. პალმა, პალმა და პალმა.

თვითონაც, „რენოც“ მისი — დალუპა კაცი რალმა!
 წერო, კაცი და ქალი!
 ქალი, კაცი და პალმა...

პირსახოცი პლიაჟზე

ისე გიდგას ქოლგა — სანახევროდ გფარავს!
 ბევრი უმზერს ხარბად შენს იღუმალ კარავს!

ხან — პირსახოცს რეცხავ, ხან — კისკისით წურავ!
 ხან — ცივ წყალში ცურავ — შიშით, დიაცურად...

შეხმობია სილა შენს დაშოთვილ თითებს!
 სიყვარულო სხვისო — დაო აფროდიტე!

შენი სული მსურს და შენი მშია ხორცი...
 (ორ ლოგინს ცვლის ზოგჯერ ერთი პირსახოცი...).

ნეილ არმსტრონგი: მიწა მოპარიდან დანახული — იბივე მოპარე

პიშალაის და პამირს, კაკასიონს და ანდებს —
 კელატრებივით მალღებს — მზე ისევ როცა ანთებს —
 მე ვესალმები ამ ცას, ამ ზღვას, ამ ტყეებს, ამ მთებს —
 პინდიკუმებს და შვარცვალდს, კაკასიონს და ანდებს...

შვილებით ამოვსებულს — კენგურუების ჩანთებს...
 (იმ ჩანთებიდან შვილი სულაც რომ არა ჩანდეს!)...
 ნაცნობ-უცნობებს, ბიძებს, ნათლიებს, ხან ძმებს, ხან ღებს...
 რაც მთავარია, მალღებს: კაკასიონს თუ ანდებს...

თუნდაც — მაფიის კაცებს, თუნდაც ყაჩაღთა ბანდებს...
 მამას — რომელიც აჩენს... ღედას — რომელიც ბადებს...
 უთქმელ, უშხამო ძლოკვებს, ჟანგისფერ სალამანდრებს...
 რაც მთავარია, მალღებს: კაკასიონს და ანდებს...

დაუბადებლებს ჯერაც — რუსთაველებს და განდებს;
კრივის ავაზებს ნამდვილს; დიდი ფეხბურთის გრანდებს;
ოფიცრებივით ალევებს; სერგანტებივით ჭადრებს;
ისევ და ისევ — ანდებს; ისევ და ისევ — ტატრებს...

ეროვნული
შეზღოვების

მე თქვენ ყველანი ახლა — მოყვრებიცა და მტრებიც —
მიყვარხართ ერთნაირად! მომწონხართ! მენატრებით!
მე თქვენი ბედით ვწუხვარ! მე თქვენზე ფიქრით ვთვრები!
როგორ მიყვარდით თურმე ჩემი გულცივი მტრები!

მზე ყოველ დღით ანთებს კელატრებსა და შანდლებს —
კაკასიონს და პამირს, პინდიკუშებს და ანდებს...
სხვა არაფერი მინდა, ოღონდ ეს მთები ჩანდეს!
ჩემი სამშობლო ჩანდეს!
სხვისი სამშობლო ჩანდეს...

* * *

ღაჩხვლეტილდა ტვინი — როგორც ბალიში ნემსებით —
წყველით, ტკივილით, ღვინით, და უკუღმართი ლექსებით...
კაცს ენატრება შვილი! — რა არის უცხო ამასი!
სიმშვიდე სურდეს დილის, ან შვილიშვილთან თამაში...
მალე იქნება ალბათ უკანასკნელი სადგური!
ფუჰ! რა ქალაქი დალაპა — დედაქალაქი ნავთქურის!
ღაჩხვლეტილია გული — ვით ეს ბალიში ნემსებით! —
წყველით, ფიქრებით, კრულვით, და ბნელში ხელის ცეცებით...
გული თუ ჩემზეც ტკივათ, ცრემლი ახლავე მაყარონ!
ძმებო, ზაურ და გივი — გიტოვებთ ჩემს წილ მაკარონს!

ღაჩხვლეტილია გული — თითქო მზითვი ვარ „ბარიშნის“...
ღაჩხვლეტილია გული — როგორც ნემსების ბალიში...

მეცამეტე თაროდან გადმოღებული ფიგნი

ვკითხულობ კოკტოს —
ვერ ვეწყობი წესიერ კოკტოს...
ვიხსენებ რემბოს —
გიფს, კომერსანტს,
ბედუინს,

კაკტუსს...
რემბოს, რომელსაც გეგეჰკორი
ასწავლის ქართულს!

ვკითხულობ კოკტოს, და წყალს ვუსხამ
ციალას კაკტუსს!

* * *

არც პრემიერები და
არც ლაქია იმპერიის —
მზობლავს ერთადერთი რამ:
ამური — სნაიპერი!
ტრახ! — შიგ გულში მორტყმული!

ტრახ! — შიგ გულში მორტყმული!
ოო, ამურს — სნაიპერს —
რამდენი ფავს მორტყმული!
თვითონ ტახტზე მორთხმული
ზის — შაქივით მორთხმული!



ტრაზ და ტრაზ და ტრაზ და ტრაზ —
 რამდენი ყავს მორტყმული!
 თუმც მორტყმული დადიხარ,
 გტკივა ნაიარევი —
 თითქო არც მოგხვედროდეს,
 ისე დაიარები!

ვინ არ გაუმწარებია —
 ფრანგი, შვედი, იბერი...
 მომწონს ყველაფერზე უფრო,
 ამური — სნაიპერი!

1975.

ქმაკაცი

(ტიპური შემთხვევა)

— გაჩენილია, რომ მეუღლეს
 ბალიში ცრემლით უნამოსო! —
 სულმუდამ ამას არ ამტკიცებ?
 სინამდვილეში უნამუსო

დიაცი გიზის, ქმაო, სახლში —
 ჩუმი როსკიპი, მოლაღატე!
 მე ვინა მკითხავს? — არც არავინ —
 ბნელში მყოფს — შუქი მოგანათე!

• • •

დგახარ, ძველებურად, შენსაზე —
 სიკედილს — საპარადო შესასვლელს —
 დგახარ, უტრიალებ, შესცქერი —
 დგახარ, ძველებურად, შენსაზე...
 თელიან სისულელედ შენს აზრებს,
 შენ კი —
 დგახარ ისევ შენსაზე —
 დგახარ, უტრიალებ ისევე
 სიკედილს — საპარადო შესასვლელს...

ხორცი დაილია, ჩამოდნა —
 ხორცი მეგობრებმა შესანსლეს...
 დგახარ, უტრიალებ, მორჩილი,
 სიკედილს — საპარადო შესასვლელს...
 დენი აღარაა, არც გაზი,
 ფიქრობ ღუმელზე და შეშაზე...
 დგახარ — უტრიალებ გაფივით
 სიკედილს — საპარადო შესასვლელს...

N-ს

თუკი სადმე შეგეხვდება ჩემს ლექსებში „N“,
 ყველგან იგულისხმები შენ და მხოლოდ შენ!
 შენ ხარ — გულს რომ მიხარებ, შენ ხარ — გულს რომ მტკენ!
 შენ და მხოლოდ შენ და მხოლოდ შენ და მხოლოდ შენ!
 ზოგჯერ — ბნელში გამყოფებ, ზოგჯერ — ნათელს მფენ!
 ბნელიც შენ ხარ, ნათელიც, შენ და მხოლოდ შენ!
 თითქო ისევ ბავშვი ვარ — მომეპარე, კბწკენ!
 მაშინ როგორ მეწყინა, ახლა სულ არ მწყენს!
 სანატრელო! ძვირფასო! სიხარულო! — N!
 საიდუმლოც შენა ხარ — შენ და მხოლოდ შენ...

სხიით ნატირალი კოლიტაბიუროსათვის

სტალინი.
 კიროვი.
 ძერჟინსკი.
 შაუშინი.

შუაში — ლენინი: მაგარი შოუმენი!
 სტალინიც იქვე — ბელადი, შამანი!
 ლენინზეც მაგარი — მთავარი შოუმენი!

მოცარტი.

რაველი.

შოპენი.

შუმანი.

კუბოში — ძერვინსკი, კიროვი. შაუმიანი...

ულვაში — სტალინის.

მაქსიმა — მათისი!

ამ გულქვა ნიკიტას

ცრემლები მოცეპს!

იტირეთ! იტირეთ! —

რა კარვად დაამხვებ,

რა მწარედ, რა დიდხანს

აწამებს მეოცე...

* * *

„მოითმინე!“ „გაუძელი!“ რას გაუძელი! მოიცა რა!
 არა, მაინც, ყველაფერმა ჩემთვის როგორ მოიცალა!
 ვინც მე ხელი შემაშველა, ყველას ხელი მოეცარა!
 შეიცვლება რაღაცაო! მაინც როდის? მოიცა რა!
 შენ ვინახავს? — შენ, შენ თვითონ,
 ვინც ეს ლოდი მოიცავდა!
 ნუ მატყუებ! ხომ იცი, რომ არ ეტყუებები! მოიცა რა!
 ამურმაც რომ დამაცილა? — „უებარმა მოისარმა!“
 სიყვარული! კარგი ერთი! სიყვარული! მოიცა რა!
 სიტყვა რაა, ერთი სიტყვა! სიტყვაც რომ არ მოიწერა?!.
 შორსააო! კი, შორსაა! იყოს იმ შორს! მოიცა რა!
 უშილობამ დამანახა, მიწა როგორ ნელა ბრუნებს!
 მე — მხეცისგან შექმულს ვვარ! და ლოვინი — მხეცის ბუნავს!

„კარგია, რომ მაინც ბრუნავს!“

მოიცა რა! — ბრუნავს! ბრუნავს!..

კაი კაი, არაკაი...

თბილისია თუ ნეაპოლი,

ლონდონია თუ კარაკაი —

კაი კაცია კაია კაცი,

არაკაცია არაკაცი!

ტრუხილია ტრუხილიო,

ხარაბამეა ხარაბამე!

აქეთ — ყვარყვარე თუთაბერი,

იქით — კარაბას-ბარაბასი...

აღარც ვხვამ, აღარც კარტს ვთამაშობ...
(სად — დილის ლოცვა, სად — ყოშარი...).

მინდა გაუბედო — გაუბედო
უფალს ეს ერთი სათხოვარი!
თუ აქ, მიწაზე არ არსებობს
ის, რაც მე მინდა, ცად ზომ არი! —
ჰოდა, ვიფიქრე, გაუბედო
უფალს ეს ბოლო სათხოვარი:

უფალო ჩემო, მხსნელო ჩემო,
სულს ჩემსას, ცოდვილს, შეგავედრებ —
იმ კაცს — აქ ყოფა რომ მიტირა —
მანდ მაინც ნულარ შემახვედრებ!
იმ ხალხს — აქ დედა რომ გვიტირეს —
მანდ მაინც ნულარ შეგვახვედრებ!

• • •

მე ვარ დაბერებული —
თითქმის დაბერებული!
ღმერთთან დაბარებული! —
თითქმის დაბარებული!
აურაცხელ განსაცდელს
იმით გადარჩენილი,
რომ სულ უფლის ხელი მაქვს
თავზე დაფარებული...

ვეზოვრობ ასე, უბრალოდ —
უფალს შეფარებული!

მოწყალება იმისი
მაქვს მეც შეფერებული!
გული მაინც დამწყდება —
თუკი ვერ მოვასწარი
საჩუქარი, უფლისთვის
რომ ვარ შეპირებული...

ისე, მისი ნებაა,
თუ ვარ დაბერებული!
მიხარია კიდევაც,
რომ ვარ დაბარებული...



უქვე დღის ჩანახატები

დედა-შვილობა

უქირის სადგურზე რომ ჩავედი, ცრიდა. დეკემბრის სუსხიანი დილა იყო. ჩავეჯექი ტაქსში და გავწიე ყუმისაკენ.

მანქანას სარკის საწმენდები არ უვარგა.

— არ მუშაობს, — თქვა შოფერმა ცივად და გაჩუმდა, ამის თაობაზე რომ არაფერი მკითხა.

შოფერი წამდაუწუმ იღებს ხელში ჩეარს და წმენდს სარკეს, რათა გზა დაინახოს და ჩემსკენ არ იყურება.

გაბრაზებულია, ვატყობ, საწმენდები რომ არ უვარგა, გაბრაზებულია ჩემზე, საკუთარ თავზე, ყველაზე...

ნარაზუნის გადასახვევთან შოფერმა რატომღაც ჩემი წილი სარკეც გაწმინდა და მითხრა:

— აბა, გაიხედე!

ზედ გზის პირას მოკლული ვირი გღია. ვირს თავით ღამაში ჩონჩრის ადგას, გახვევბული, ჩონჩრის ცხვირ-პირზე წვიმის ნამი ჩამოსდის...

— მესამე დღეა, ფეხს არ იცვლის, — თქვა შოფერმა, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

მალე კვლავ დაიბინდა ჩემი წილი სარკე.

კრიდა. წვიმდა გულისგამაწვრილებ-

ლად, ზუსტად ისე, როგორც იცის ნესტიან სამეგრელოში, დეკემბრის თვეში...

მალის რაღაცა უნდოდა თიქვა...

მე და მალიამ დარანდიების ტობას აუქუციეთ გვერდი და მთიანი სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს შევეუდექით.

ხეიხეინებს მალია. გზა და გზა ნაცნობ ადგილებს ზედავს, საღამოვდება, მაგრამ დარდი არა აქვს, კარგად მიდის.

ყუმის ხიდი რომ გავიარეთ და გეზი ხელმარჯვნივ ავიღეთ, მალია რატომღაც გაყურდა.

„ღალამებამდე მივიდოდეთ, ნეტა, „ერთი გავიფიქრე გულში და მალისა შევეუცაცხანე.“

ცხენმა ფეხი ააჩქარა.

თუმცა რა, საცა მივედით, თურმე იქ არ უნდა მივსულიყავით. ეთმე დარანდია ყუმის მარცხენა მხარეს ესახლა თურმე, სადაც ერთხელ ჩემს პატარა ბიჭობაში ვიყავი ნამყოფი სვიმო ბაბუასთან ერთად, ახლა კი მხარი მექცა და უცნობი კაცის ეზო-კარს მივადექით.

ვიდრე მასპინძელი ჯარგვლიდან გამოვიდოდა, მივხვდი, მალისა რაღაცა უნდოდა ეთქვა, — იგი ჩემს მერეც იყო ნამყოფი ეთმე დარანდიას ეზო-კარში და მე რომ მხარი მექცა, ამას გრძნობდა.

ამსობაში კიდევაც დაღამდა.

მასპინძელს არ ვკითხე, ეთმე დარანდიას სახლი საით იყო (ეს ამბავი ოდ-



სმე იქნება სვიმო ბაბუას გაეგო) და მე და ჩემი ჭკვიანი მალია ფრთხილად ჩამოვყვით ყუმის დაღმართს.

ჟინი ანთარის სალოცავი (ოხსამერი)

დღიდანვე რაღაცნაირი, სანეტარო განწყობილება სუფევს ოჯახში. ამ დღეს ლუცა ბებია, ვიცი, არ გამიწყრება (ვაშინერს). ამ დღეს ნუნუ ბიცილას გამუდმებით უცინის თვალები. ალუ ბიძია კარგი და მსუფვე ოხვამერის მოლოდინშია.

არ მახსოვს, რა რიცხვი იყო. მახსოვს, როგორი დღე იყო.

ლუცა ბებია ამოწარმა კვერცხები, ჟინი ანთარის (საქონლის ღვთაების) ოხვამერი და ახლა, ჩვენ სამნი, სამი კაცი: სვიმო ბაბუა, ალუ ბიძია და მე ბოსელში მივდივართ. ქალებს აკრძალული აქვთ ბოსელში შესვლა.

ბოსელში ყრია საქონლის ფუნა, უამური სუნი ტრიალებს, მაგრამ ამ დღეს არცერთი ჩვენგანი ამას ყურადღებას არ მიაქცევს.

ბოსელში ვკამთ მსუფვე, ყველიან კვერცხებს.

სვიმო ბაბუა ამბობს ოხვამერს:

„ჟინი ანთარო დიდებულო, გამარჯვებულო, შენ გამარაველ ჩვენი საქონელი, დაიცავი ნადირისაგან, დაილოცოს შენი სახელი...“

და მაინც, ყველაზე მეტად აი, რა დამამახსოვრდა:

ლუცა ბებიას არ მოეწონა ხალოცავი კვერცხის მოყვანილობა. ვახედა, გამოხედა, კობზე დააბრუნა, სადაც მოხელა ის კვარი, გაშალა, ერთი ფინჩხა ყველი დაუმატა, თავი მოუკრა, ხელები უტატუნა, გაალამაზა, გააკობტავა და წყალში ჩაუშვა.

რაც უნდა გაკეთდეს ჩვენს დიდ ოჯახში, ყველაფერს თავისებური სილამაზე ახლავს.

და ეს სილამაზე, ჩემის აზრით, თავად ჟინი ანთარის რწმენაზე არანაკლები მნიშვნელობისაა.

იმ დღეს, ბამბუკს რომ ვჭრიდით

იმ დღეს, ბამბუკს რომ ვჭრიდით, ერთი ქორფა და სუსტი ბამბუკი ავსებულე ცუღით. სვიმო ბაბუამ დაინახა, მაგრამ არაფერი მითხრა.

ბამბუკი რომ გავსხებეთ და კონებად შევკარით, ის ერთი ღერი ქორფა ბამბუკი ცალკე გადავდე და კონაში არ ჩავატანე, რაც სვიმო ბაბუამ ახლაც დაინახა და მითხრა:

— ცოდოა, ბოში, ეს ერთი ღერი ბამბუკი, ბარემ თავისიანებთან ერთად შევკარი. ახლა რა გამოდის, მოსაჭრელი არ იყო და მოსჭერი, თავისიანებს მაინც გააყოლე, რაკილა ასე აუწყო მისი ამბავი.

გგ იყო და ეგ, მას შემდეგ ქორფა ბამბუკი ჩემს დღეში არ მომიჭრია.

მაქლარი კახი ცობას ლაპარაკობს

წყლიანი მსხლის ძირში ზის მთელი ჩვენი სახლუღი.

აქა ჩვენი შორეული ნათესავი ერასტო დარანდია და ჰყვება იგი მთისას და ბარისას.

— რაღა ბევრი გავაგრძელო და პარასკევის ბაზარში რომ ვიფავი, სვიმო პატენი, ისეთი სიძვირე იყო, ჯერ არ შევსწრებოვარ; რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი, იქნება შენც იფავი პარასკევის ბაზარში და შენი თვალთ დაინახე, რა ცეცხლი ეკიდა საქონელსა და სურსათ-სანოვავეს; რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი, ჯერ კოლხობს რომ ვაბარებთ ნაშრომსა და ნამაგარს და მერე რომ კოლხობი გვიანაწილებს ლუკმა-საბადებელს, ასე რატომ უნდა იყოს, სვიმო პატენი; რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი, ზომ არ აჯობებდა, ჯერ ჩვენი წლიური მარავი დაგვეტოვებინა და დანარჩენი ჩაგვებარებინა კოლხობისთვის; რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი, მაშინ ბაზარიც ზომ ასე ძვირი

არ იქნებოდა; რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი, რასაც ჩვენი კუჭი ვერ მოერევა და ვერ გადაამუშავებს, სადღა დაიკარგებოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო და, სვიმო პატენი.

რაღა ბევრი გავაგრძელო და, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ენას არ აჩერებდა ერასტო დარანდია, მაგრამ ლუცა ბებიამ რომ ვახშამზე მიგვიწვია, თითქოს ენა ჩაყლაპაო, თბრობა შეწყვიტა და ვიდრე ვახშამი არ მოათავა, ღერი სიტყვა არ წამოსცდენა.

— ვერც იტყოდა, — თქვა სვიმო ბაბუამ, ერასტო დარანდია რომ გავაცილეთ, — მაძლარი კაცი ცოტას ლაპარაკობს.

ოწინაფალი

ოწინაფალი (საქაშნიკო) ხილის შემოსვლა პატარებისათვის ერთი სიხარულია.

ღილით რომ ეენახის კარი შევადე, თვალმა თავისით გაიკვლია გზა და იქ მიმიყვანა, სადაც ჩვენი მაქირე მსხალი იდგა.

ეს მსხალი უსწრებს დანარჩენი ხილის შემოსვლას.

აგიღე ჯოხი, ვესროლე მსხალს და ვიდრე მიწაზე ჩამოვარდებოდა, დავიჭირე, ჩაკებიჩე წყლიანი მსხალი, ეენახიდან გამოვედი და ცამუ დარანდიას ვამცნე ოწინაფალი მსხლის შემოსვლა. ცამუ წამომყვა.

ავედი მსხალზე და, რაც შემეძლო, რტოები მაგრა შევაჯანჯღარე.

ცამუ დარანდიამ აიწია კალთა და დაიწყო მსხლის მოგროვება. მაგრამ მსხალი კალთაში ვერ ჩაეტია, უბეში ჩაიფარა, მაგრამ გამოუცევიდა, დაიხარა და აკრიფა ისევ. ვიბეები გავიტენე და ცამუს ვეხმარები. დიდძალი მსხალი ჩამოვიდა და ვერ ვერევი.

— გვეყოფა მსხალი, ხომ ხედავ, მეტი არ გვეტევა, წავიდეთ ახლა.

მას აქეთ გრძელი ოცდაათი წელიწადია.

მაგიდასთან ზის ჩემი შუაფანჯრეები ბექა, და კითხულობს „დავითასწავლებელი შეცადინეობა, ვერ იხეპირებს სათანადო ადგილებს.

— მოეშვი, მამა, — ვუბნები, — გურამიშვილს იმდენი უნდა გამოართვა, რამდენის წაღებაც შეგიძლია, შენ რასაც ეპოტინები, მთელი საქართველო ვერ წაიღებს...

ძველი ამბავი გამახსენდა.

ოწინაფალი მსხალი კი, ნამდვილად ვიცი, ახლა ჯუშშიც კი არა დგას.

მონათული თეფში

მონათული თეფში გატყდა. ალექსიას გაუვარდა ხელიდან თეფში და გატყდა, ფოთლოვანი ყვავილებით რომ იყო მონათული. დაცვივდა ყვავილი. ფოთლები დაცვივდა და ნაკუნ-ნაკუნად იქცა.

ალექსიას ენა ერთი ხანი დააპირა თეფშის გამოვლება, ნატეხები მოხიკა, ერთმანეთს მიუსადაგა, მიაზრომა, მაგრამ მიხვდა, არაფერი გამოვიდოდა და შეეშვა. ნუნუ ბიცოლამ თეფშის ნამსხვრევები აკრიფა.

ლუცა ბებიამ მინც მოასწრო თავისი სიტყვის თქმა:

— ცუდის ნიშანია, — თქვა მან.

— რატომაა, დედა, ცუდის ნიშანი? — იკითხა ნუნუ ბიცოლამ, რაზედაც ლუცა ბებიამ არაფერი უპასუხა.

დუმდა სვიმო ბაბუაც.

ალექსიას ხელელებზე იხეღებოდა. თითქოსდა თვითონ კი არ გავარდნილეს ის თეფში, არამედ მარტოდმარტო ხელები ყოფილიყვნენ ამაში დამნაშავენი.

ეს კი დანამდვილებით მახსოვს, იმ დღეს ალექსიას ყველას გასაკვირად თითქმის ნახევარი სავენახე მიწა გადააბრუნა.

— ჩემი თეფში გატყდა, — თქვა ხალამოს ნუნუ ბიცოლამ, — საკვირველი არაა, პატენი?

თეფში კი ყველა ერთნაირი იყო, ჩემის აზრით.

მაგრამ ნუნუ ბიცილას მაინც არავინ შეპასუხებია.

ვაალა მოზვერი

სვიმო ბაბუამ მოზვერს თოკი შეაბა, ლობესთან მიიყვანა, თოკი სარს შემოახვია, ბლუზა-შარვალი გაიფერთხა და ჯარჯვალში შემოვიდა.

— მიყვავს ხომ? — თქვა ლუცა ბებიამ.

— კი. მიმყავს.

მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის.

სვიმო ბაბუამ წაიხემსა (გზა ელო წინ), და კაცი და მოზვერი ეზოდან გადავიდნენ.

როგორ დამწყდა გული იმ დილით.

მაგრამ საკუთრივ თუ რამ მატკინა გული, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, არასარწმუნო იქნება ალბათ.

როგორ ეფერებოდა და ლოკავდა დედა-პრობა ხბოს, როგორ ასწავლიდა ფეხზე დგომას, როგორ უვარცხნიდა ბაღანს.

მოზვერი კი არა, სვიმო ბაბუამ იმ კვირას ბაზარში გაყიდა მისი ლამაზი ვარცხნილობა, მთელი მისი მშვენიერება.

ასე ჰყიდის კაცი მიწაზე ამოსულ მცენარეს, ხეხილს, ალუბალსა და მსხალს, ვეაილსა და ბამბუკს და აგრეთვე იმ ფრინველებს. იმ მიწის ხე და ბაღაზი რომ უყვართ, ის მფუღროება რომ უყვართ, რასაც გამოსცემენ ერთმანეთთან მღვარი სამი-ოთხი თუთის ხე, ან კიდევ რომელიმე სხვა ხეები.

ტურამ წაიღო ჩვენი ვარია

ეს ამბავი დილით გავიგეთ.

მოცუნცულდა ტურა ვუმის ჩირგვნარებიდან, გამთენიას, როცა სოფელს ღრმა ძილით სძინავს, ამოარჩია მსუქანი დედალი, დაავლო კბილები და წაიღო.

ამაზე იმ დილით იმდენი ხილსა-კარტოფილი ოჯახში, რომ მე ნათლად წარმოვიდგინე რა როგორ მოხდა.

ტურამ რომ დედალი წაიღო, მამალმა იყვილა. ქათმები აკაკანდნენ და ატყდა ერთი ალიაქოთი. ყურშამაც გაიღვიძა, ცხადია, დაიყვირა, მაგრამ ტურა უკვე არსად იყო.

ეძინა სვიმო ბაბუას, ნუცა ბებიას, ალუ ბიძიას, ნუნუ ბიცილას, მეძინა მე და ეძინა აგრეთვე ჩვენს საქონელს: ძროხებს, ცხენებს და კამეჩებს.

ერთი ალიაქოთი და ყვფა-კაკანი რომ ატყდა, ტურამ იფიქრა ალბათ, რომ მთელი სოფელი გამოედევნა და სამშვიდობოს რომ გააღწია, გულში ერთი მაგრა დაიტრიალა, ესე იგი ვაჟკაცი ვარ, მთელი სოფელი გავაცურეო.

ეძინა სვიმო ბაბუას, როგორც ლომს, ეძინა მთელ ოჯახს, ეძინა საქონელს და აინუნშიც არ იყვნენ, რა მოხდა იმ გამთენიას, როცა ტურამ წაიღო ჩვენი ვარია.

დედამ დაიგვიანა

დედამ დაიგვიანა.

ადრინან დილით წავიდა ბაზარში. ზურგზე მოიკიდა თაყისი ხელით შეკერილი წითელი საბნები და შუკის მოსახვევში გაუჩინარდა.

გაიწელა და გაიწელა კვირა დღე.

შუადღემ რომ მოატანა, მთელი სახლი გადავაბრუნეთ და-ძმებმა, რათა რაიმე საკბილო მოგვეძებნა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ, დაერჩით ასე ყიამომწვარნი.

მეზობლის ქალმა, ფენია ბიცილამ გადმოგვძახა, როგორმე თავი გაირთეთ, აწი საცაა დედათქვენიც გამოჩნდებაო.

ჩვენი სახლის ფანჯრიდან ჩანს დეკემბრის სივრცე. მოტიტვლებულ მიწაზე ფრია ფოთლები. ზურმა უკვე გაიყვანილია, სკვინჩა-ჩიტი ჩამოსკუპებულა ზურმის შტოზე და იცქირება ფიცრულისაკენ. ჩიტსაც შია, ცხაღზე ცხადია.

მთელი სახლი გადავაბრუნეთ. საკუჭნაოში ბუყუნი დგას და ბუყუნში პატა-

რა ტაშტი, რაზეც დევს სამკაღე ცომი. თუნუქის კოლოფში რომ ნაეთი გვესხა, სულ გამოეცალეთ, ცეცხლი ჩაქრა.

— დაეწვეთ და გავთბებით, — ამბობს მაყვალა დაია.

უნწებით ლოგინში და ვიწყებთ ზღაპრების მოყოლას, მაგრამ წამოწყებული ზღაპარი ბოლომდე ვერ ჩაეთათვეთ. ალბათ დღე რო იყო, იმიტომ. ზღაპარი ღამისაა. არც მეტი, არც ნაკლები, აუღეჭით და ის ცომი ნახევრამდე თავიყვანეთ. და კვლავ ლოგინში ჩაეწვიეთ იმის მოლოდინში, თუ რა დაგვეპართებოდა.

ღეღა შეღამებულზე მოვიდა. სამი საბნიდან ერთი გაეყიდა; მეგონა, ცეცხლს დამახვედრებდითო, გეხსაყვედურა, ცეცხლი დაანთო, მჭადს გამოვაცხოზო, ყველი მოვიტანეო. და ცომს რომ დახედა, ერთი პირობა, გაქვეადა და ხმა ვერ ამოიღო. ყველი დაჭრა და თითო ნაჭერი მოგვანჩა.

— აჰა, მჭადს მიაცილეთ.

მერე ჩვენ ჩაგვეძინა.

როცა გამეღვიძა, ღამე იყო, ღეღა იჯდა ჩემს თავით და რაღაცას მეპუტუნებოდა.

— მერე ის კაცი სადღაც დამეკარგა. ჯიხაშკარელი ვარო, მითხრა, იმ სიშორეზე ზელცარიელს ნუ გამიშვებო, მეტი არა მაქვსო, საბანი დამითმეო, მეცოტავა ფასი და რა მექნა, უარი უთხარი. ვერცერთი საბანი ვერ გავყიდე: ამასობაში დაკეტეს ბაზარიც. სად უნდა მომეძებნა ჩემი საბნის მუშტარი, აუღეჭი და ჯიხაშკარის გადასახვევისკენ გავემართე, იქნება მივასწრო-მეთქი, ვიცანი ის კაცი, აგერ, საბანი თქვენი იყოს-მეთქი.

— რაღა დროისაა, გოლუა, იმ ფულით ყველი ვიყიდეო.

— ჯანდაბას, რაც დაგრჩათ, ის მომეცით-მეთქი.

აიღო ამ აშენებულმა და დარჩენილი ფულიცა და ყველიც მე მომანჩა. აგერ, მჭადი გამოვაცხვე, მე უკვე არ მშია, შიმშილი გადამივიდა და თქვენც თუ არა ჭამთ, რა ჭენა მაშინ, ცოდვა არა ვარ?

1943 წლის დეკემბერი იღვა. ცომი რომ ვჭამეთ. ყველი რომ არ მივუწვინებინა, იმ ღამეს ალბათ მუსცლები დაგვისკდებოდა, მაგრამ იმ კეთილი კაცის ნახელავმა გადაგვარჩინა.

— სოცარია ადამიანი, — თქვა სვიმო ბაბუამ

პალმის ფოთლებში გამოიმხცვარი თეთრი მჭადი, ყველი და წიწმატი, წითელი ბოლოკი, მწვანე წიწკა, დოქით ღვინო... ჭიანჭველა ამოძვრა ფოთლებიდან, ამოცოცდა, მჭადის ნატეხი დასუნა და შეისწავლა იქაურობა, წამოვიდა, წამოვიდა და სულუგუნის ნაჭერს მიაკვდა. მერე სადღაც გაუჩინარდა და სულ რაღაც ორიოდე წუთში მთელი ჯარი შეესია იმ სულუგუნის ნაჭერს. ალუ ბიძიას რომ არ დაენახა, სულუგუნის ნაჭერს ჭიანჭველები ალბათ ხელს მოუთაებდნენ, მაგრამ მან აიღო ის ნაჭერი, დაფრთხა, სული შეუბერა და მჭადის ნატეხს დაბლიდან ამოაფარა.

— საოცარია ადამიანი, თქვა სვიმო ბაბუამ, — კაცს რომ ჭიანჭველა ჩაჰყვეს, იმაზე იფიქრებს, მუცელი არ გამებეროსო, თორემ ჭიანჭველას რომ მზე დაუბნელდება, ამ ამბავს გულშიაც არ გაივლებს.

მოდრუბლული, ნისლიანი ღღე იყო...

მოდრუბლული, ნისლიანი ღღე იყო. შემოდგომა იწურებოდა. ყანაში ვიყავით და ჩალის ღერებს ვჭრიდით მოპირული ნამგლებით.

კარის მეზობლის, გახა დარანდიას ოჯახი გვეხმარებოდა.

ნაშუადღევს ცოტა გამოანათა ცამ, მზემაც გამოიხედა და პატარა კვაზი დარანდიამ თქვა:

— მხესაც სცივა.

მაშინ კვაზი დარანდიას სიტყვებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, ცხადია, მაგრამ, აგერ, ამ ათიოდე წლის წი-

ნათ წავიკითხე ერთი ძველი იაპონელი პოეტის ლექსი, რომლის შინაარსიც ასეთია:

ზამთრის მთვარე,
შენ გამოხვედი ღრუბლებიდან
და მე მომაცილებ,
მაგრამ ამ თოვლში ნუთუ არ გცივა?
ამ ქარში ნუთუ არ იზაფრები?
ახლა კი ასე მგონია, რომ შეიძლება,
ცეცხლსაც შესცივდეს.

კოდა, განუძლი!

სვიმო ბაბუამ ღობის მახლობლად დაწყობილ შეშას მოჰკრა თვალი და შუბლი გაეხსნა.

— შეშა უნდა გადავწყვოთ, — თქვა მან, — საქმე მაინც არაფერი გვაქვს, შეშა კი გადასაწყობია.

— რატომ? — იკითხა ლუცა ბებიამ, — შეშა რას გვიშლის, სად უნდა გადავწყვოთ უკეთეს ადგილას?

— ეგერ, იმ ღობის თავში უნდა დავწყვოთ შეშა, — თქვა სვიმო ბაბუამ.

— დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი, — ჩაიბუტბუტა ლუცა ბებიამ და პირველად გადაიწერა.

წვიმის წყლით დამძიმებული, გაყინებული რცხილა და წიფელი, თხმელა და ნეკერჩხალი ეყარა ღობის მახლობლად.

— ის ადგილი ხომ მაშამ ამოარჩია, — თქვა ამიდო ბიძიამ, საქმეს რომ მორჩინენ.

— რატომ, მამა, რატომ აგვატყავე ზურგი ამ უქმე დღეს, — დაიჩივლა ალე ბიძიამ.

— ჭამა ხომ კარგია, ღობს და ღობის თავისი საფასური უნდა, — თქვა სვიმო ბაბუამ.

— რამდენი კაცი ვიცი, არაფერს აკეთებს, ჩვენზე უკეთესი სადილი კი აქვს.

— მაგი ჩვენი საქმე არაა, ვინ რას ჭამს, — თქვა ოჯახის თავმა.

— მაგრამ ხომ გჯერა, რომ სიმართლეს ვამბობ, — ჩააცვიდა ალე ბიძია.

2. „მთაბი“, № 3—4.

— მართალი კი თქვი, მაგრამ საიტქმე-ლი იმას უნდა უთხრა, ვისთვის უნდა არა მე.

— რამდენი ასეთი კაცია, მამა, ყველას ხომ ვერ გავწყვდები, ძალიანაც რომ მოვინდომო.

— ჰოდა, განუძლი!

თვალი თვალის მტერი

ტაბაკზე ახალდაკრეფილი ატმები ღვეს.

ამიდო ბიძია დასწვდა ატამს, მაგრამ გადაიფიქრა, სხვა ატამი მოუვიდა თვალში, ვიდრე იმ პირველ მოწონებულს დაავლებდა ხელს და ახლა ის ატამი უნდა აეღო, მაგრამ გადაიფიქრა, მესამე თუ მეხუთე ატამი მოეწონა, ის ამჯობინა და სვიმო ბაბუამ თქვა, თვალი თვალის მტერიაო.

ბოლოს და ბოლოს, ამიდო ბიძიას უარესი ატამი შეხვდა, მაგრამ შეირჩინა, არ გაცვალა და სვიმო ბაბუამ კვლავაც თქვა, ხომ ვამბობდი, თვალი თვალის მტერია-მეთქი.

მე ის ატამი ავიღე, რაც პირველად მომხვდა ხელში და შუაზე გავხლიჩენახევარი ატამი დაეიტოვე, მეორე ნახევარი ამიდო ბიძიას მივაწოდე.

— ნახე, რა მწიფეა!

ეს შეამჩნია სვიმო ბაბუამ, გულში რაღაც გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ის ნახევარი ატამი კი ნუნუ ბიცოლამ შეჭამა.

— მართლა რა გემრიელი ყოფილა, — თქვა და გაიბადრა.

კარგი საქონელია, მამრამ...

ვიდრე ვახშამს მიეუსხდებოდი, მთელი ჩვენი სახლელი მოგროვდა ჯარგვალში და ბაზრიდან მობრუნებულ ალე ბიძიას შემოეხვია. აქ იყო ჩვენი კარის მებრძოელი, თარა დარანდიაც.

— რითი გავეხარებ ბოში? — იკითხა სვიმო ბაბუამ და ალეს მიაჩერდა.

საპარტვილოს
მ რ ო მ ე ლ ი
ბ ი ზ ლ ი ო მ ე კ ა

- როგორი იყო კვირის ბაზარი?
- რეზინის ჩექმებს თუ მიუსწარი?
- ობლიგაციას ხომ არ ანაღლებენ?
- ფუთი სიმინდია რა ღირდა, ალუ?
- გამოიტანე ნაუკერი! - მითხრა ალუ ბიძიამ.

წამოვდექი, ოდაში გავიქეცი და მალე დავბრუნდი ხელდამშვენებული.

- ნარდი იყიდა ამ ბედოვლათმა! - გამოაცხადა ნუნუ ბიცოლამ.

ალე ბიძიამ ნარდი გამომართვა, ამიდლო ბიძიას შეხედა, მერე ნარდი კვირის შუქზე შეატრიალა და გაშალა, ყველას დაანახა, როგორი საქონელი შეიძინა.

- კაკლის ნარდია, - თქვა მან, ნარდის პირზე ორი ვეებერთელა არწივი ეხატა.

- ამ არწივებს ხომ ხედავ, ბოში, - მითხრა ალუ ბიძიამ.

მე მივედი და არწივებს ხელი გადაუხვი.

- კარგი საქონელია, - თქვა თარა დარანდიამ, - მაგრამ ძვირია.

- სიღარიბე იცის, ოხერმა, - თქვა ლუცა ბეზიამ.

- რა შიშარაში ვახვედი, - მითხრა ლუცა ბეზიამ

სვიმო ბაბუამ ბინულის წყალი ინატრა.

აიღე სპილენძის თუნგი და ჭიშკრიდან გავდედი.

ვიდრე წყაროზე ჩავიდოდი, ყანა უნდა გამეკლო. შევეყვი საცალფეხო ბილიკი და სტვენა-სტვენით დავეშვი თავდაღმართზე. უკან რომ ვბრუნდებოდი, მემძიმა წყლით სავსე სპილენძის თუნგი, შევისვენე და მაშინ დავინახე: ბილიკის ორივე მხარეზე სიმინდის ყანა იდო. ხელმარჯვნივ - სვიმო ბაბუას ყანა, ხელმარჯვნივ - კოლმეურნობისა. სვიმო ბაბუას ყანა, როგორც იტყვიან, ამოშუშუნებულია და გაღაღებული, ისეა ათქვირებული, ცხენოსანი კაცი ჩაიმალება, კოლმეურნობის ყანა დაჩია-

ვებულია და ჩაყვითლებულია, წყლის მიმჭკნარი, ორიოდე მტკაცელი ჩიხინი და დგას და ტარს ვერ იკეთებს...

თუნგით სავსე წყალი მივიტანე შინ და ფორკოზე ჩამოვდექი.

- რა ფიქრებში წახვედი, - მითხრა ლუცა ბეზიამ, - აიღე და წიგნი გადაშალე.

ხანმა ვაიარა.

ყანის ის ორი ფრთა, ამჯერად გადაშლილი წიგნის ორ გვერდს მაგონებს. ერთ გვერდზე სვიმო ბაბუას შემოქმედებაა გამოფენილი, მეორეზე - კოლმეურნეობისა. ორ ნაკვეთს შუა, ზონარით ბილიკი მიდის.

იმ დღეს გაკვეთილი ვერ ვისწავლე, მაგრამ ეს სურათი მკაფიოდ დამამახსოვრდა.

კარგა ხნის შემდეგ ეს ამბავი სვიმო ბაბუას გაეახსენე და აი, მან რა მითხრა:

- თამეჯდომარეს ვეხვეწე, ბაბუა, ის ნაკვეთიც ჩემთვის გაეპიროვნებინა, მაგრამ არ ქნა. კაპიტალისტები ხომ არა ვართო, სვიმო, ასე მიპასუხა.

შწერალი, როგორც მუყაითი გლეხი-კაცი კერძო შესაკუთრება.

- ნათესაუბი არიან? - იკითხა თარა დარანდიამ, ტაბლას რომ მიუსხდნენ. არაყით სავსე ჭიქა ასწია, სინათლეზე დაიჭირა, ჯარჯლის მოღებულ კარში გაიხედა და არაყი გადაჰკრა.

- ნათესაუბი არიან, - დაუდასტურა სვიმომ.

- დიდალი ხილი შემოვიდა ამ წელიწადს, - განაგრძო თარამ, - ჭის წყალი გაგვიხდება სანატრელი.

- აჰა, აჰა! - დაუდასტურა კვლავ სვიმომ.

- ევერ, ტრიფოლიატის ღობესთან რომ მსხალი მიდგას, ნაყოფს ვერ იმაგრებს.

- შარშან მგონი არ ესხა შენს მსხალს? - იკითხა ლუცამ.

- შარშან არ ესხა, ლუცა პატენი, მაგრამ წელს კი გადაირია.

- დაიხვენა და იმიტომ, პატენი, - თქვა ლუცამ.

— ხეც კი ისვენებს, ჩვენ კი, აგერ, უქმე დღესაც ვერ დავისვენია.

— ასეთია ჩვენი ამბავი, — თქვა სვიმომ და ისევ ჩამოასხა ტიქებში არაფი.

— ვითომ რატომ? — იკითხა ალემ.

— იმიტომ, ბაბა, რომ ტაშფანდური დაივიწყა გლეხაკმა, — ჩაილაპარაკა თარა დარანდიამ, — ადრე უქმე ისე არ დაღამდებოდა, ფანდური არ გაეწყო ცირას და სიმდურა არ ეთქვა.

— შენი ყელის ამბავი რომ ვიცი, უფანდუროდაც გვეტყვი რამეს, — იხუმრა სვიმომ.

— სამღერალი რა მაქვს, სვიმო პატენი, მაგრამ ვისაც აქვს, იგიც რომ არ მღერის, აი, ეს მიკვირს მე.

ნავახშმევს თარა დარანდია ალაგვზე გადავიდა.

გაიკრიფა ჯარგვლიდან სახლეული.

სვიმომ ნაკვერჩხალი ნაცარი გაახვია, ხელში ჭრაქი დაიჭირა, ჯარგვლის კარი გამოიხურა და ოდაში გაემართა, მაგრამ ვიდრე ოდის უკანა კიბეს მიაღვებოდა, ქარმა დაუბერა და ჭრაქი ჩქარჩქარა ააპარპალა. სვიმომ ჭრაქს ხელის გული მოაფარა, რაღაც გაიფიქრა გაჩეხილი და მიტოვებული ჭალის გამო და კიბეს აუყვა.

ყველაფერი ისე აეწყო, რომ მე ეს დამენახა

ყველაფერი ისე აეწყო, რომ მე ეს დამენახა:

მარნის მოფარებულში, ჩვენი დიდი კენახის კუთხეში დგანან სვიმო ბაბუა და ლუცა ბებია. სვიმო ბაბუას თავი დაუხრია და დიდის ამბით უსმენს თოლიგეს. ლუცა ბებია ფეხის წვერებზე იწევა და გაფაციცებით ენურნულება კაცს რაღაცას.

რაზე საუბრობდნენ ისინი, ან კი რას ჰკადნენ ისინი მაშინ?

ლუცა ბებია კიდევ ჰო, მაგრამ სვიმო ბაბუა ამგვარ ვითარებაში არასოდეს მენახა.

ლუცა ბებიას გრძელი, საშინაო კაბა აცვია, მარცხენა ხელი კალათასთვის

გაუყრია, მარჯვენა ხელი პირთან მიუტანია, ფეხის წვერებზე დგას და რაღაცას ენურნულება სვიმო ბაბუას.

სვიმო ბაბუას გალიფე შარვალი აცვია. ხაკის პერანგზე ქამარი აქვს შემოჭერილი, მაგუიები მოსავს ფეხებზე, გაქვევებული დგას ერთ ალაგას და გაკვირვებული უსმენს თოლიგეს.

თოჯინებს ჰკვანან მოხუცები, უხეირო ხისაგან სახელდახელოდ გამოჩორკნილ თოჯინებს. ლუცა ბებია თითქოს საღდაც იწვევს სვიმო ბაბუას, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბუშეები არიან ისინი თითქოს, რაღაც საიდუმლო აქვთ ერთმანეთისათვის გასანდობი, ყველასაგან მოფარებით და აი, კიდევ რომ გამონახეს სამისო დრო-ჟამი.

ყველაფერი ისე აეწყო, რომ მე ეს დამენახა.

კარგი ხანი რომ გავიდა, მე რე მომაგონდა: ალემ ბიძიამ სწორედ იმ წინებებში მოიყვანა ცოლი.

სოფელში საქმეს რა გამოიღვეს

სამეგრელოს მთიან სოფელში ერთი დედაბერი ცხოვრობს. ხუთი შვილი ჰყავს: სამი ვაჟი და ორი ქალი. ხუთივენი ქალაქში მსახურობენ. ათასში ერთხელ თუ ჩაეღწნ სოფელში მოხუცებული დედის დასახედად.

დედაბერი მარტოა დღითა და ღამით.

უელის ეზო-კარს, საქონელს, ბაღბოსტანს, კერიას არ აცივებს და ინახავს წერჩს.

ეს ერთი სადაგი დღეც ასე დაღამდა დედაბრისათვის, როგორც სხვა მრავალი დღეები.

სოფელში საქმეს რა გამოიღვეს.

დააიწყდა ბეჩავს მარჩენალი პროხისათვის თივა დაეყარა თუ ეცოტავა, რაც დაუყარა და აგერ, კუნაპეტში, ჭრაქით ხელში, ვიწრო ორღობით, ბოსელში მიდის. ბოსელს რომ მიუახლოვდა, ჭრაქი ხერგილზე ჩამოდო, მარჩენალს ჩაღაფუნენი დაუყარა, ორღობე გამოიარა, ჯარგვალში შეიარა, ხელში დოქი და-

იჭირა, კარი მიხურა და ოდა-სახლისკენ წაეიდა, უკანა აივანზე წყლით სავსე დოქი ჩამოდგა, გაიხედა და ანთებული ჭრაქით აქეთ მომავალი მეზობელი დაინახა, მობრძანდითო, ჩაილაპარაკა და კბეებზე ჩამოფრინდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გულში მწარე სინანულმა გაჰკრა: ამ ადგილებში, ამ შემოდგომის მიწურულში, კაცთაგანი ათოდე ვერსზეც არ ჭაჭანებდა, მივიდა, ჭრაქი წამოიღო და ოდაში შებრუნდა.

სამეგრელოს მთიან სოფელში ერთი დედაბერი ცხოვრობს. ხუთი შვილი ჰყავს: სამი ვაჟი და ორი ქალი.

ჩიტები

ყველაფერი ისე მიენიეთა და მიესაგნა ერთმანეთს იმ დილით, რომ ის ერთი წვეილი ჩიტი ჩვენი ოდის აივანზე მოფრენილიყო.

დედალი და მამალი ჩიტი.

მაისის დილა იდგა, ბალახზე ცვარი ბზინავდა და ნაწვიმარი ამინდის მერე რომ იცის, ისეთი სიკრილე იდგა.

სკვინჩები იყვნენ. ორივე ერთი ფერისა, მონაცრისფრო, მოთეთრო, მოვერცხლისფრო, სხვა ფერიც ერია ბუმბულში, რაღაც ენით გამოუთქმელი, არა წითელი და არა ყვითელი, რაღაც საშუალო ფერი, კერიის ალი რომ ქრება, ალი რომ დაიწვევს და აიწვევს ისევე, ისეთი.

აივნის რიკულზე დაფრინდნენ ორივენი, თითქმის ერთდროულად, თითქმის მეთქი, იმიტომ, რომ ჯერ დედალი ჩიტი დაფრინდა რიკულზე და იმწამსვე მამალი სკვინჩა გვერდით მოუფრინდა.

დედალი ჩიტი ერთი ბეწოა, თავს აქანებს აქეთ-იქით, ნისკარტს ისვამს ბუმბულზე, მამალი ჩიტი ეარშიფება, ეუბნება რაღაცას, უკლის ვარშემო, ფრთით ეხება, ბუმბული გაშლილი აქვს, გაფხორილი, როგორც მამალმა ინდაურმა იცის, და მთელი ორი თავით მეტია და დიდია დედალზე.

ლოგინში ვწევარ, ფანჯარა ღიაა და ეხედავ მოსივარულე წვეილს.

ჩვენი დიდი ეზო-კარის კედელ-სტენილიდან მოდის ათასნაირი ხმა-ფხიხი, პეტელი, თიკნის კიკინი, კამეჩის ზმუილი, ძროხის ბლავილი, ძაღლის ყეფა, ქათმის კრიახი, ქვაბის განხარუნება, ლუცა ბებიას პუტუნი, სვიმო ბაბუას წამოძახილი, ალე ბიძიას ლულუნი, ვუსმენ ამ ხმებს, ვუსმენ მათ მეგრულს, რასაც ალბათ ასე და ამგვარად ისმენდა ამ ალაგას, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ჩვენი წინაპარი, ვფიქრობ იმაზე, თუ ვინ იდგა ჩვენი გვარის თავში, ვინ იყო ჩვენი შორეული წინაპარი, რომლის ხმა ასევე იყო ჩაწეული იმ უხსოვარი დროის მზიანსა და ცვიან დილაში, ვფიქრობ იმაზე, რომ მეც გაემრავლდები, შეყოლება მრავალი გოგო-ბიჭები, და ასე და ამრიგად გაგრძელდება გვარი და მოდგმა ჩემი. ჩიტები სულ დამავიწყდა, თუმცა, ეიცო, ჩიტებმა მაფიქრებინეს იმ დილით მრავალი რამე. დედალი ჩიტი უკვე არა ზის ჩვენი ძველი ოდის აივნის რიკულზე, მამალს კი თვალი შევასწარი, ვიდრე გაფრინდებოდა და დაეინახე, როგორ შეირხა, როგორ დაიწყო აშლილი ბუმბული და დაპატარავდა, დედალი ჩიტის ოდენა იქნებოდა, მეტი არა, შეიძლება უფრო ნაკლებიც, ასეც იყო, დედალზე ნაკლები ჩანდა, როგორც შევინძნე და მე რატომღაც ეს წამი დამამახსოვრდა და იმდენი ვიფიქრე ამის თაობაზე, ვიდრე ლუცა ბებიამ მეზუთედ თუ მეათედ არ დამიძახა:

— ადექი, ბოში, გაკეთდა ქვეყანა!

— რა პირჩვენია? — პიითხა ნუნუ ბიცოლა

— რა გირჩვენია, — შეითხა ნუნუ ბიცოლამ, — თხა-ძროხის მოდენა თუ თუთის ვასხება?

არცერთი არ მერჩია, ცხადია.

ნუნუ ბიცოლას დიდი გამოცდილება ჰქონდა, ყმაწვილი რომ დაესაქმებინა. თავისუფალ არჩევანს მამლევდა.

არცერთი არ მინდოდა, მაგრამ იმ თავისუფლებამ საქმე მაინც გამაკეთებინა. თუთა რომ გასხებო, დამდება და, თხა-ძროხაა დასაბინავებელი. თხა-ძროხა რომ დააბინაო, დამდება და, თუთაა გასასხები...

**კომშის ხე დაბერდა...
გახმა...**

კომშის ხე დაბერდა... გახმა...

ბოლო წლებში მეჩხერი ყვავილი გამოჰქონდა, ნაყოფს კი არ იძლეოდა.

აღუ ბიძიას უნდოდა მოეჭრა კომშის ხე.

სვიმო ბაბუა უარზე იდგა.

— მიწას აცდენს, — თქვა ნუნუ, — მოეჭრათ, მამა, ეს კომში კომში და ამ ალაგას ახალი დაერგოთ.

კომში მოიჭრა, მაგრამ სახელი მისი ჩვენს ოჯახს კარგა ხანი შემორჩა.

— ეგერ, ჩვენი კომში რომ იდგა, იქ მიაყუდა თოხი მამამ, — მეუბნება ნუნუ ბიცოლა.

ჩემი მომდევნო თაობა, ცხადია, კომშის ხეს არ მოსწრებია, მაგრამ ნუნუ ბიცოლას წყალობით პატარებმაც იციან წასული კომშის ამბავი და აღვიღსამყოფელი.

ეს გახლავთ ჩვენი ეზოს თავგადასავალი, თუ გნებავთ, ისტორია... რადგან თუ რა ხარობდა ჩვენს მიწაზე და კიდევ რა გაიხარებს, ოჯახის თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს...



შალვა მჭედლიშვილი

შალვა მჭედლიშვილს 75 წელი შეუსრულდა. თორმად „მნათობას“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

სატანავ, განვიად!

მე ლვთაებრივი შუქი მწყურია, ყველა პოეტი უფლისწულია,
შენ კი ჩემს შთანთქმას ლამობ წყეული... მათხოვრის კონკში გამოხვეული.

ამაო დაღადი?

გააფრთხილებ იფრებს წიფლები არ გაიფრთხილო, როგორ იქნება,
ამ გადარულ ზევის გაღმიდან, თუ სიყვარულით ვინმე გეძახის,
ავად რომ დმუის, როგორც ურჩხული? თუნდაც ჩურჩულით!

ნაბი დიდება!

ამქვეყნიური სხვა რამ დიდება, ხატება შენი ვერარამ შერყვნა,
სხვა რამ დიდება მე არ მჭირდება! უფრო სანუკვარს არავის ველი...
საკმარისია ისიც კი ჩემთვის, ბედნიერი ვარ, რომ შენ ხარ ქვეყნად,
ჩურჩულით რომ ვთქვა, და ქვეყნად არის ალაზნის ველი!
ვითარცა ლოცვა, მზურვალე ლოცვა:

ნუ დაღანრდები

ოდეს ვიჭირდეს ჭირთათმენა ამ საზარელ უფსკრულის პირად,
გაიხსენე ის წინაპარი, უზარმაზარ ლოდს მიათრევედა,
ის, ვინც კლდის ქიმზე, დიდებულ ტაძრის აღსაშენებლად!

ნურვის უსურვებ

სული რომ კვდება ეს არ უსურვო,
და სხეული რჩება უსულო, თვით მოსიხსნე მტერს არ უსურვო!

ბოლო სურვილი

მინდა კუბოში ლამაზი ვიწვე, მინდა კუბოში ლამაზი ვიწვე,
ტურნებზე ისევ მანდღეს დიმილი, შენთვის დიმილით შევძლო მისი თქმა;
გაგახსენებდეს უდარდელ იმ წლებს, თვითონ საძულველ სიკვდილსაც ვითმენ,
რომ არ ვიცოდით ჯერ სიმძიმელი. შენს სიახლოვეს, თვითონ სიკვდილსაც!

შენხედრა წაკვირის დღესთან

ქართული
ხელნაწილის

გერონტი ქიქოძის ხსოვნას

დღესაც ანაზღად, ანაზღად შევხვდი
დიდი გერონტის მწუხარე აჩრდილს...
ჩამაყალი მზის შარაუანდელში,
ფოთოლთ ცვენაში, ბობოქარ ქარში
და შემომჩივლა ღიმილით წყნარად:

— ნუთუ ამ ქვეყნად იმისთვის ვიშვით,
რომ პირამიდის დიდებულ ჩრდილში
თიზის უბადრუკ ქოხებს ვაგებდეთ
და ჟამი მყისვე აჩანავებდეს?..“

გვიანია?

გოგი ქიაბრიშვილს

გვიანია, განშორების გრივალები
გაგუნებენ, გვიანია?
გვიან მოგაქვთ ეგ გვირილის
გვირგვინები, გვიანია?
ო, ამოღ ნუ აწყდები ტალღავ ნაპირს
ეგ ნაპირიც პირქუში და
ქვიანია. გვიანია?

განა ვინმეს
განწირულ ხმას
გაუგონებ? გვიანია?
ალარც გზა ხსნის აღარა სჩანს,
ალარც ადამიანია?
გვიანია?!

ვოჩკუტა

ნუ დაგვივიწყებთ!

დავით კვიციანიშვილს

სხვაც შეიძლება, სხვაც კიდევ განა
შმაგ შერკინებას შავ უკუნეთთან?
წყვლიადი იყო უკიდევანო,
წყვლიადი შუა საუკუნეთა,
...არ დაგვივიწყოთ ქვესკნელის მკვიდრნი,
ვისაც ხასხასა სხივი გვეწადა,
გულს გვისუდრავდა სუდარა ნისლის

და გრივალები სულს გვიღუნავდა,
არ დაივიწყოთ სახელი მათი,
ვინც ჯოჯოხეთშიც — აქ თქვენზე
ვწუხდით,
ვისაც ციცინალის უმწეო ნათლით
სურდა განფანტვა პოლარულ მწუხრის!
ვოჩკუტა

სიმღერა სიღნაღზე

სანდრო მირიანაშვილის ხსოვნას

ვარ ისევ შუქით სავსე სიღნაღში,
და შუქი მისი ფრთებად მეგულვის,
თითქოს ყოველი ვნახე სიზმარში,
ცაში ვარ, თვითონ მზე მყავს მეგზური!

ნეტავ ეს განცდა რას დაუადარო:
როცა გავცქერი ამ ცისფერ სივრცეს,
ძალმიძს უბორცო ქმნილებად ვიქცე
და მიწის რაც მაქვს, ქარს ვაგატანო!

კუბოს კარამდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცნებაჲ ჩემო! რა ახლოს ხარ...
 რარიგ შორიც ხარ!
 და ყველა ცეცხლზე მწველი არის
 ცეცხლი ფარული...

ამ საწუთროში სულ ამოდ არ
 გვიცხოვრია,
 კუბოს კარამდე შევიძელით ჩვენც
 სიყვარული!

სიკვდილი არ არსებობს

შე მოველ ქვეყნად მზის სახილველად.

ანაქსაგორე

ეთქვათ სადღეგრძელო ცისა პირველად,
 ვინც შუქი მოგვცა გზათა და ხიდად...
 ვინც მოგვაუღინა მზის სახილველად,
 წყვილიადით მოსილ არყოფნის მხრიდან!
 თუნდ ერთი წამით იბილო ეს მზე,
 რომელმაც სულში სხივი მოგვყინა

და სიყვარულის პოვნა ვერ შესძელ,
 სიცოცხლის ღირსი არა ჰყოფილხარ!
 მოვეასნო ჩემო, უძვირფასესო,
 მჯეროდა წინად და მჯერა ეხლაც,
 სიკვდილი მხოლოდ მისთვის არსებობს
 უსიყვარულოდ ვინც ცოცხლობს ქვეყნად!



მთვარით თბებოდა ბედნიერება —
ფრთებჩამოღლილი ქათქათა მტრედი,
ცის დარდი კლავდა, მეტი არაფრის,
ადარაფერი ახსოვდა მეტი...

აწ გარდასულთა ჩურჩულს ისმენდა,
სათუთი პირმშო მზის და მთვარისა...

ფრთებზე ეფინა თოვლის სიწმინდე
აკეითინებულს შესაბრალისად...

უმშვენიერეს სიჩუმით სავსე,
ერთადერთი და ფოვლისმომცველი —
ენთო მთვარიან საფლავის ქვაზე,
ჩვენი სულების ხსნიხთვის მლოცველი...

ს ს ს ა დ ა ს ს ს ა

წერილი მოპაედიდან

წავედი... რუხი, ხმელი ფოთლებით
შორთე მდუმარე ჩემი საკანი...
ცის ვარ, ცას წაველ... ნუ შეშფოთდები...
მინდა, ლაფეარდის ფერს ვცე თაყვანი...

ხარ მიწის,
როგორც ხორბლის მარცვალი,
როგორც ბერძნუხა ტანდაკორძილი...

წვიმს...
წვიმა არის დღეს პატარძალი...
ტირის ცისა და მიწის ქორწილი.

მზიანი ხმა —
წამით —
და...
მერე —
სინუმის

მდეღვარე აღსარება:
„მთელი სიცოცხლე
მხოლოდ ამ ხმას ველოდი...
მხოლოდ...“
მდუმარე აღსარება...

ვაჟი



ამ თეთრ სიზმარში შემთხვევით
 მოვხვდი,
 როგორც ფარვანა —
 განათებულ ოთახში ღამით
 და უნებურად შევეფარე
 აქ ჩამოწოლილ
 გულგრილ სითბოს,
 უღარდელ ამინდს.
 გაოცების დუმილით შევხვდი
 მოულოდნელად ჩამოვარდნილ დაძაბულ
 დუმილს —
 აღსავესე შხამით...

გავბრუნდი უმალ —
 მოწმეა ღმერთი —
 განვერიდე სხეის დღესასწაულს,
 დავუბრუნდი ჩემს მზიან ღამეს, —
 მე ხომ დაცემა არ შემეძლო არავის
 ფერხთით, —
 თუმცა ფარვანა გახლდით მხოლოდ —
 ყალბი, სინათლით გაბრწყინებულ
 სამყაროში შეჭრილი წამით...

ვაჟიანი მონატრება

სრულიად მოულოდნელად
 ოლქანდრებზე ვბრაზდები,
 ვბრაზდები
 მაგნოლიებზე,
 რადგან ვვრძნობ
 მთელი არსებით,

რომ...
 იქ, ხასხასა ზღვის ფონზე, —
 ისევ ისეთი ნაზები, —
 მტრისთვისაც
 ურცხვად ჰყვავიან,
 დამშვიდებულნი სავსებით..

1937

ტიციანს

გაცრეცილი ლოცვანი
 ვბრძვის ღრუბელს წამოშლილს...
 ყველაფერი ტორტმანებს
 გაფინულ სამყაროში...

ციე, უმკაცრეს შუბლებში
 ბორიალი ობლობით...
 გაყიდულ სამშობლოში
 კედლმა უსამშობლობით...

აკრთობს დილას დათოვლილს
 მამლის ზმობა მესამე...
 სიტყვის ბატონ-პატრონნი
 სიტყვის მახვილს ლესავენ...

სასაფლაო ცოცხალი...
 შხამი ცინცხალ წყაროში...
 პლანეტების ტორტმანი
 გაფინულ სამყაროში...

ვაილი უამოდგომიდან

ჩემთან ისევ ფოთოლცვენაა...
 რა ხდება თქვენთან? —
 ალბათ ატმებმა, აღუბლებმა
 გაიპარაღეს,
 გასაფრენად გამალეს ფრთები...
 კო...
 მზიან კელთა მწვანე ხანძრებსაც
 ვამჩნევ ჩემი ნისლიანი ამინდებიდან...

მე კი...
 აპრილის სურნელოვან ფერთა მუსიკას
 ნუთუ არაფერს ეუბნება
 ჩემი დუმილი?
 ჩემთან ისევ ფოთოლცვენაა...

რადაც დასრულდა...

ჩაღამებულ სულის მღვიმეში
 წყნარად, ფოსფორის

სხივებით გაიბრწყინებენ

ღვინისფერ ღღუთა
 სიზმრისფერი ნაფეხურები...

გამოვიტირე მიწიერი ბედნიერება,
 გამოვიტირა მიწიერმა ბედნიერებამ:
 ჩვენ... ლანდები გამოვიტირეთ...

მთვარით — უმწარეს ღვინით —

გადამთვრალს,
 ცით — შეღამების ფერით — გაღუშელს,
 შესცივდა, თითქოს ღვინი დამთავრდა
 ბედნიერების ნათელ მხარეში,
 ან ცის საუნჯე ვინმემ გაძარცვა,

სხივთა საუნჯე,

უბნელეს ხელით...
 და... ოფელიას —
 გამჭრალ პატარძალს —
 პრინცი ნაპირზე ამაოდ ელის...

უცხოის პაიტაზია

„უთხარით ერთადერთს, მას, არსთა გამრიგეს:
 არაფრის ნაცრისფერ კუნძულზე გამრიგეს,
 არაფრის უფსკრულში ცოცხალი დამპარტახეს,
 სიცოცხლე ვიყავი, სიკვდილი დამარტახეს...
 უთხარით მეუფეს, მას, არსთა გამრიგეს, —
 ცარიელ სიერცეთა ხაფანგი დამიგეს...
 ღამისფერ ღღუბის ცივ ჯვარზე გამაქრეს...
 უკვალოდ გამაქრეს... უკვალოდ გამაქრეს...
 ო, ჩემი ნამდვილი სახელიც წამართვეს! —
 შესთხოვეთ შენღობა სამყაროს წარმმართველს!..“

პოლოდიო

არის რა ძნელი, რა შემზარავი,
 თან რა ადვილი სათქმელი: „მოკვდა...“
 და... არც ჯვარს უცვამს თუმცა არავის
 და არც თავიანი უციათ მოგვთა —

მაინც გვგონია: ოდესმე, ერთ ღღეს, —
 თუნდაც არ იყოს ის ღღე შესამე —
 კვლავ მოვლენ, რადგან... სათქმელი ვერ თქვას,
 ისე უეცრად გამოვესალმეთ...

ყველაზე ახლო, ყველაზე შორი
სამყაროს ზღვართან სიწუმე იხმის...

გაუბედავად შევალე კარებს
იმ სიწუმეში... გაუბედავად...

და... წყნარ სენაკში გაბნეულ
სპეტაკ,
ციხკრისფერ სხივებს შევეფეთები —
იქ, სიმარტოვის ზღვარს მიღმა
მბრწყინავს...

გამოვბრუნდები უკან უცებვე,
რომ ჩემი ფიქრის უხმო ხმაურმა
არ დაარღვიოს ეს სიმყუდროვე
და არ შეაკრთოს სინათლე ჩემი...

სასოწარკვეთის ნაპირებიდან
გამოდწეულმა მშფოთვარე ქარმა
რომ არ ჩააქროს მოულოდნელად
მარტოსულ სხივთა წყნარი კამკამი, —

მე...
შეუმჩნევლად,
ფეხაკრეფით
გამოვბრუნდები, —

იხვეე ჩუმად,
როგორც მოვედი,
იხვეე უცებ...
და... ჩემთვისვე მოულოდნელად...



მოთხრობები

I

დაღვინილი სათიფლი

უგონოდ იყო მთვრალი. აღმართი ძლივს აათავა, იმდენად გათიშული იყო, სახლს ინსტინქტივად მოაგნო. კიბის რამდენიმე საფეხური წვალებით ამოიარა. ფანჯარაზე დააბრაზუნა — ვეღარ მოზომა და მის გამო ისედაც გამოდმებით გულდამფრთხალი დედა კიდევ ერთხელ შეაშინა...

ქალს შვილის შინიდან ყოველი გახვლა საფრთხის აღბათობებს უძლიერებდა — მთელ ქალაქში უთავბოლოდ ძალმომრეობდა დენთი... მთელ ქვეყანაში უთავბოლოდ ძალმომრეობდა დენთი... მან შემთხვევითი შემსხვერპლებაც იცოდა და წინასწარ განზრახულიც — კარგა ხანია, ადამიანებმა ურთიერთობებისა და უპირატესობის დადგენის ენად დენთი აღიარეს ამ ქალაქში... ამ ქვეყანაში... დედას შვილის შინიდან ყოველი გახვლისას გული ეკუმშებოდა — საფრთხის აღბათობებს უმძაფრებდა ყოველი ახალი ინფორმაცია:

— წინა კვირას ჩვენს სადარბაზოსთან ანგელოზივით ბიჭი მოკლეს...

— ისეთი სროლა იყო წუხელ ჩვენს კბანში, ჩემი ბიჭი მთელი ოცი წუთი მეზობულ სადარბაზოში იცდიდა, თურმე...

— ქეიფისას წაკინკლავებულან და ერთს შეუბრალებლად დაუცხრილავს მეორე...

— უწვევები არიან ერთმანეთს გადამტერებული და ხელსაყრელ შემთხვევაში ტყვიას არ ზოგავენ ერთმანეთისთვის...

— ყველა პარტიას თავისი შეიარაღებული ჯგუფები ჰყავს და მაგათსას რას გაიგებს...

ქალაქისთვის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა შემზარავი ფაქტები...

ქვეყნისათვის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა შემზარავი ფაქტები...

საფლავის ბორცვები და შაოსნები მომრავლდნენ — უთავბოლობებს ცალკეული ადამიანები შეეწირნენ...

უთავბოლობებს ქვეყანა შეეწირა — წინაპართაგან დანატოვარი ტერიტორიაც თვალს და ხელს შუა გაქრა. შედარებით უჩუმრად სამაჩაბლო დაიკარგა — მტერი დობდა: „ეს მიწა ჩვენია. რა სამაჩაბლო, რის სამაჩაბლო?! თუ თქვენია, „სადაა მაჩაბელი?“ — და მართლაც, არაფინაც არ მაჩაბლობდა, არაფინაც არ კაიყმობდა...

უთავბოლობას ეწირებოდნენ ადამიანები... ეწირებოდა ქვეყანა...

დაღუპულისა და დაკარგულის სირთულეს აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ, გაცილებით დიდ ტრაგედიად იქცა საყოველთაო განუკითხაობა. გადარჩენილ-დარჩენილებსაც არ უჩანდათ სამაგისო პირი, რომ შერჩენილი სულისა

და სხეულის გამრთლება მაინც ეცადათ...

დამარცხებული ქვეყნისათვის ახალი წლის შემოსვლა თავისთავად ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ადამიანთა ცხოვრების წესი ბევრად განსახლერავს საქვეყნო იმედსაც. დანოქილი, დანარცხებული ქვეყნის დედაქალაქმა, სხვა ქალაქებმა, ყველა დასახლებულმა ადგილმა, ათას ცხრაას ოთხმოცდაათობმეტი წლის პირველ დამესვე შემზარავი სიცხადით გამოააშკარავა სრული უიმედობის საფუძველი. ყოველ შემთხვევაში, შერჩენილი სულისა და სხეულის გამრთლებების ცდაც კი სათუო ვახდა — ადამიანთა ცხოვრების წესი ბევრად განსახლერავს საქვეყნო იმედსაც და იმი...იტომ. ახალ წლის დამეს კი, აღარც დედაქალაქი, აღარც სხვა ქალაქები, აღარც სხვა დასახლებული ადგილი არაფრით გავდა სამაძულო ომში იმ მიზეზით დამარცხებული ქვეყნის დედაქალაქს, სხვა ქალაქებს, დასახლებულ ადგილს, რომ: „ხუთ კაცზე ერთი ავტომატი მოდიოდა“ — მსხვილკალიბრიანების მასირებული ზალპებით ქვეყანაში იმდენი დენთი დაიხარჯა, ცხრა კრწანისის ომს რომ მოიგებდა (თოფების პატრონებს კალიბრის სიმცირის გამო, ალბათ, არც გაუსვრიათ)...

მონანიებებს თაობები არც ეყოფოდა და ცოდვებით დამძიმებულთა უმრავლესობა მაინც არ ცდილობდა, რომელიმე დროის რომელიმე შთამომავლისთვის სამშობლოდ თუნდაც სულ უმცირესი რამ დაეტოვებინა...

უგონოდ იყო მთერალი. კარი დედამ გაუღო:

— ვაიმე, შეილო!.. — ქალს ფრაზა არ დაუმთავრებია.

შეილი მიხვდა, დედის ღუმელი მუდარას ნიშნავდა. შერცხვა. თავისი მღელვარე სიჭაბუკის გამო დედა თვითონვე ჰყავდა გაჭაღარავებული — ბავშვობის ონავრობებიდან მოყოლებული, ქვეყნის ბედის გადასაწყვეტი ბარიკადებით დამთავრებული, შეილის თავდაუზოგავი და გულწრფელი შეუპოვრობა

ქალს საფრთხის შეგრძნებას თავისთავად უმაფრებდა...

— ჰოო... დედა, მეტს აღარ დავლევ — ჩემი გეგმა უკვე შევასრულე... ეს ბოლო დალევა იყო... სივარეტსაც აღარ მოვწევ და აღარ შევივი... იწროვებ ისედაც ვიწრო სისხლძარღვებს, — მთვრალმა თეატრალური ენებით სცადა, მაგრამ საკმაოდ უფერულად — იმდენად მთვრალი იყო, რომ ძლივს ლუღლუღებდა.

— მე შენ კაის არაფერს მომასწრებ, შეილო, ისე მომკლავ...

— შენ კი არა, მაკედონელის დედაც კი მოკვდა, — ისევ სცადა ხუმრობა და სანთელს დასწვდა.

— ახლა დიძინე, კითხვა არ დამანახო. ცივა და სანთლის შუქი დაგაუღმებს — ისედაც, სათვალეს უკვე ატარებ...

— ენერგომატარებლებს და განახნახებულ ჭალებს ვუცადო, ზომი?! — სიფხიზლისკენ გადაიხარა მთერალი ვონება.

— რაც ვინდა, ისა ქენი, ჩემთვის როდის დაგიჯერებია რამე! — ქალი ზალათის კალთის სწორებით გაემართა სამინებლისაკენ.

— ჰოო... — თხელი თითები სახეზე მოისვა და გამოფხიზლება სცადა. ღვინო მაინც არ ეშვებოდა...

აბაზანაში შევიდა. სანთლისთვის დიდხანს ეძება ადგილი. ბოლოს, სასაპნეზე დაამაგრა. პირსაბანის სარკეში საკუთარ ორეულს შეხვდა. არ მოეწონა. დაძაბული სახე ჰქონდა. ბოლო დროს, შეძრწუნებები შეძრწუნებებზე აცხრებოდა. თავისთვის ჩვეული იუმორითაც კი ვერ უმკლავდებოდა ახალ-ახალ ვაწბილებებს. ღვინო ისედაც უყვარდა, სმამიც თავდაუზოგავი იყო და ახლა, განსაკუთრებული მორჩილებით გადაეშვა ბახუსის აზარტში...

სახეზე ისევ ჩამოისვა თხელი თითები. ახლა, სიმთვრალის გარდა, მწუხარებასაც ერეკებოდა. ბოლო ინტერვიუ გაიხსენა: „მქონია მრავალი ვაწბილება, თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანთა გამო, მაგრამ ხელი არ ჩამიქნევია და უმოქმედობას არ დავნებებულვარ. ტკი-

ვილიც ძალიან მრავლად მახსოვს და მაინც მიბრუნდება ხოლმე ჟინი და ენერჯია კუთებისა...”

ამ წუთას, დაქანცული იყო და არანაირი სურვილი არა ჰქონდა თვით სიცოცხლისაც კი...

ონკანი მოუშვა. სველი თითები შუბლიდან კეფისკენ აატარა. რამდენჯერმე საფეთქელზე საჩვენებელი თითი მიიბჯინა. ცერი სასხლეტივით შემართა. საკუთარ ორეულს თვალი თვალში გაუყვარა — სარკიდან დამცინავი მზერით უპასუხეს...

ონკანი გადაკეტა. განახევრებული სანთელი აიღო. მისაღებსში სავარძლის კიდეს გამოედო — სათამაშო ძაღლი იატაკზე დაენარცხა. აიღო. წლინახევრის გოგონა დილით მამასთან ერთად ვთამაშებოდა ამ ყავისფერ პუდელს... ახლა იმ გოგონასა და დედამისს სხვაგან ეძინათ... არ მთავრდებოდა წვრილმანი უკმაყოფილებები, გულის გამაწვრილებლად დამქანცავი გაუგებრობები... ორის ურთიერთობას მშობლების ჩარევებიც ართულებდა... თვითონ მშობლებთან ურთიერთობაც იძაბებოდა...

თავდახსნის ერთადერთ საშუალებად რჩებოდა საქმე. აინტერესებდა ვველაფერი, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა. უმთავრესი მაინც, მწერლობა იყო. მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობდა. ინტუიციით, მოსწრებაზე იყო. ხშირად იმეორებდა მისთვის საყვარელი მწერლის სიტყვებს: ადამიანმა ყოველი დღე იმ აზრითა და ფიქრით უნდა იცხოვრო, რომ ეს შენი უკანასკნელი დღეა... ბოლო დროს, რამდენიმე ნაწარმოებზე ერთდროულად მუშაობდა. ცოტა ეძინა, მაგრამ სიზმრებსაც ასწრებდა — მონატრებულ მწვერვალებს ხედავდა. თუმცა, ასე დაქანცული მთებს ვერ დაუბრუნდებოდა...

ღვინომ კი, ვაცრეცილი ნებისყოფა უპოვა და თავის კალთაში საფუძელიანად არწევდა. მალე უკან მოსაბრუნებელ გზასაც მოუჭრიდა, აღბათ.

ოღონდ, ჯერ არ იყო დანარცხებულნი — დროდადრო ასეთ მდგომარეობაში ვარდებოდა, მაგრამ ისევ თვითონვე

უბრუნდებოდა ენერჯია და სურვილები

ახლა მით უფრო ვალდებულად თვლიდა თავს — ერთი უანგარო ადამიანის არსებობა გაცილებით მეტს ნიშნავდა ქვეყნისათვის, ვიდრე უთავბოლო და უპასუხისმგებლო ბატალიონი. ბოლო ინტერვიუმაც მისთვის ჩვეული გულწრფელობით ახასიათებდა საკუთარ აღნაგობას: „პესიმიზმის უფლება, ჩემი აზრით, არ უნდა ჰქონდეს ჩვენისთანა ქვეყნის შვილს. მითუმეტეს ადამიანს, რომელიც თვლის, რომ მისი სიცოცხლე მის სამშობლოს ეკუთვნის და იგი იბადება იმისთვის, რომ ამ ქვეყანას თავისი ცხოვრებით რაღაც შესძინოს. თუ ზემოთქმულის გაცნობიერება არ ხდება, ადამიანის შემოქმედება და საერთოდ ქმნა რაღაცისა, ქვეყნობიერად ისევ და მაინც სამშობლოს ნაწილია. ჩვენ რომ დალაგებულ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, პესიმიზმი პირადად ჩემთვის, თანამდევით განწყობა და მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ რადგან ჩვენი სამშობლო საქართველოა, ოპტიმიზტიები უნდა ვიყოთ. თუმცა, პირადად მე, ზოგჯერ ძალიან მივირს. ძნელია ოპტიმიზტურად ცქერა ვველაფრისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და მაინც ვცდილობ, რადგან, როგორც ვთქვი, სხვა გზა არა გვაქვს. არც უფლება...”

ყავისფერი პუდელი ისევ სავარძელში ჩასვა. უკვე საკმაოდ გამართული ნაბიჯებით თავისი ოთახისკენ გაემართა. საწერ მაგიდას გადახედა და — ახალი აღმანახის მასალები შავ ზონარ გადაჭიმულ ვარდისფერ საქაღალდეში იდო და გამოსაცემად ფინანსურ მხარდამჭერთა ლოდინს ითმენდა. რამდენიმე გამჭვირვალე საქაღალდეში თავისი ჯერაც დაუმთავრებელი პიესები, მითხრობები, სცენარები და რომანი ეწყო. დრო და საშუალება ვერ ეპოვნა მათთან მისაბრუნებლად. ბევრი საქმიან-შემოქმედებითი იღეა ჰქონდა, მაგრამ ფინანსიანებს სურვილები არ გააჩნდათ, სურვილებიანებს — ფინანსები. მატერიალურად გალადებულებს თავიანთი მდგომარეობა უმთავრესად, ქვეყნის მარცვითა და სხვადასხვა დანაშაულებრივი ხერხებით ჰქო-

ნდა მიღწეული და ქველმოქმედებასა და კულტურის გადარჩენას რაღას დაგიდეუდათ...

ქვეყანა საესე იყო სამათხოვროდ გაწედილი ხელებითა და მშიერი თვალეებით. ქვეყნის ბედს ძალმომრეობა და ჯგუფური ინტერესები განაგებდა. ჯერაც არ მოთავებულიყო პატიემოყვარეთა ჯირითი. სახელმწიფო არ არსებობდა და ჯერაც მის ძვალსა და რბილს ხრავდნენ...

სანთელი მაგიდის კიდეზე დაამაგრა, თაროდან სქელტანიანი წივნი ჩამოიღო. საწოლზე ჩამოჯდა. დილეილოებმა საკმაოდ აწვალეს. ბოლოს, მოხერხებულად მოეწყო, ჩათბა და კითხვას შეუდგა...

მეზობელ ოთახში დედა ფხიზლობდა. უფრო კი, ცდილობდა სიფხიზლეს. ოღონდ, ყოველდღიური ჯაფისგან დაღლილს დროადრო თელემა ერეოდა. მთელეძარეც შეილის ოთახისკენ იყო გულისფურ მიპრობილი. გრძნობდა, ბოლო დროს შეილს ბევრი რამ ჰქონდა საწუხარი — თვითონ ვერმორეული და დედასთანაც ხმაძალა უთქმელი...

ბავშვობის ონავრობებიდან ჩვეულებული, ქვეყნის ბედის გადასახვეტი ძარბუკადებით დამთავრებული, შეილის თავდაუზოგავი და გულწრფელი შეუპოვრობა დედას საფრთხის შერძნებას თავისთავად უმძაფრებდა...

საცაა გათენდებოდა.

ფხიზელ შუალელში დედამ შენიშნა, რომ შეილის ოთახის დია კარებში არაბუნებრივი შუქის ზოლები ირეოდნენ. სანქაროდ ადგა. საღამურის ამარამ ფეხაკერფით შეიხედა: სასთუმაღლს ზურგმიყრდნობილ შეილს უკვე ეძინა. სათვალის მოხსნაც ვერ მოესწრო. ბოლომდე დაღვეთილი სანთლის აღი მაგიდის უკვე დამღეული შერქნიდან ქალღლებისკენ მიიწედა. დედამ ცეცხლი ჩააქრო. პირჯვარი გადაიწერა:

— შეილო, შეილო, მე შენ დროზე აღრე გამიხეთქავ გულს...

დედამ საბანი აუკეცა შეილს. შეილმა გვერდი იცვალა და ძილი განავრძო...

დედამ საწოლიდან აიღო და მაგიდაზე დაღო სქელტანიანი წივნი: „ქართული ერის ისტორია. ტომი მკორე...“

კელის საათი

მისი უხეში საქციელის გამო ისე საშინლად განრისხდა, რომ დანახვა არ უნდოდა. თუმცა, საკუთარი განცდები მაინც ენანებოდა სიტყვისთვის „სიძულვილი“. თანდათან კარგად რომ დააკვირდა და რკვევაში გულის გარდა გონებაც ჩაერთო, დაასკნა, რომ საკუთარი განცდები კი არა, უფრო ის ენანებოდა უკიდურესი განაჩენისთვის. ჯერ ერთი, თვითონაც რამდენი რამე ეშლებოდა მასთან, მაგრამ მამაკაცი მხოლოდ შემწყნარებლური ღიმილით იგერიებდა ქალის უიმედო გრძნობებიდან გამოძინარე ქცევებს. მეორეა და, იმდენად უღალატო, სიკეთით საესე და ვაჟკაცური ადამიანი იყო, რომ ერთი უხეში საქციელით შეუძლებელი აღმოჩნდა ამ დანარჩენის წაშლა. მაგრამ ქალი თავიდან

მაინც საშინლად განრისხდა და გამანადგურებელი იყო მისი ვანსჯა. პირველ რიგში იმიტომ დასწყდა გული, რომ დარწმუნებული იყო, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი, რუს ქალთან არც ის იუხეშებდა ამგვარად:

— ჩემს ადვილას ყოფილიყო მისი რუსი ქალბატონი, ასე საჯაროდ თუ აკარებდა შეურაცხყოფას, — პირველი ელდისგან ქალს ლამის სისხლი ჩაექცა ტვინში და მზად იყო, ყველა ქართველი მამაკაცი სამუდამოდ დაესამარებინა.

მიუხედავად მომზდარისა, თვითონ მაინც იმხელა რიდი და მოკრძალება ჰქონდა მამაკაცის მიმართ, რომ ხმაძალა არ აპირებდა ამ საკითხზე კამათსა და მსჯელობას, ფიქრში კი მაინც ის იგულისხმებოდა მსმენელად:

— რუს ქალზე ნაკლები ქართველი ქალის დედა ვატირე, მაგრამ ჩვენებურ კაცებს მაინც მაგათი ტან-ფეხი გირჩევნიათ, მაგათთან აბრეშუმით დამყოლები ხლებით, ქართველ ქალებთან კი — ზოგჯერ, სახედრებზე უარესები ხართ. თუმცა, ქართველი ქალების ბრალიცაა ზოგი რამ. ოლონდ, ისევ თქვენი მათდამი დამოკიდებულება ხდის მათ იმგვარს, როგორებიც არიან და როგორებსაც მერე თქვენ თვითონ წუნობთ.

გადამძული უძილო ღამეების მანძილზე ქალს ძალზე ვრცელი მონოლოგები ჰქონდა და მარტო ყოფნის ჟამს ხმამაღლა წარმოხტეკამდა მათ. სხვათა შორის, ამან უშველა — წარმოსახულ მსმენელთან ხმამაღლა საუბრებმა რისხვა თანდათან ბრაზამდე დაიყვანეს, ბრაზი კი მერე მშვიდ განსჯაში გადავიდა. ჯერაც ბრაზისა და განსჯის მიჯნაზე ყოფნისას პატარა გამოცდაც მოუწყო მამაკაცს — აინტერესებდა, თვითონ რა ფორმით შეეცდებოდა დანაშაულის აღიარებასა და შერიგებას. დარწმუნებული იყო, ამაყი ხასიათიდან გამომდინარე, ძეხნას არ დაუწყებდა ბოდიშის მოსახდელად. ამიტომ, თვითონ უნდა მიეცა „შემთხვევითი შესაძლებლობა“.

საერთო გაჩერებაზე დაუდარაჯდა დიდხანს იჯდა. საღამო ჟამი იყო და კოლოები თავს არ ანებებდნენ:

— თქვენნაირი სისხლისმსმელები არიან ისინიც, — ქალმა კიდევ ერთხელ დაასამარა მთელი კაცობრიობის კუნთმავარი და გრძნობებსუსტი ნაწილი.

მამაკაცის მარშრუტის რამდენიმე ავტობუსმა ჩაიარა. ქალი ისევ კოლოებს იგერიებდა.

კარგა ხნის მერე კიდევ ერთი ავტობუსი გამოჩნდა. ქალმა იგუშანა, რომ მგზავრებს შორის მამაკაცი აუცილებლად იქნებოდა და შეხედრის მოლოდინმა გული აუჩქარა. იმდენად ადგელდა, რომ მკლავზე გუგუფურად მომსხდარი კოლოების კბენა არც კი უგრძნინა.

ავტობუსი მოსაცდელის პირდაპირ გაჩერდა და მის სიღრმეში, მგზავრთა

სიმჭიდროვის მიუხედავად, მამაკაცი რედ მამაკაცის დიდ, ღამას თვლებზე შეეფეთა. ოლონდ, ისინი ამჯერად დაბნეული და შემცბარი უფრო ჩანდნენ, ვიდრე ღამაზე. მხემოკიდებული მამაკაცი გაუპარსავიც აღმოჩნდა და ქალს არ ესიამოვნა მისი ასე უჩვეულო მდგომარეობაში ყოფნა — იმიტომ ვიფიქრობდა მასზე, რომ განსაკუთრებული სიკოხტავით გამოირჩეოდა, თამამი და ღამაში ქტეკები ჰქონდა ფოველთვის და მის სულაერ სილაღეს გარეგნული მხარეც ავსებდა. სიარულიც არაჩვეულებრივი იცოდა და მის ნაბიჯებში თვით ხასიათი იკითხებოდა. ახლა კი, რადიკულიტით შებოჭილი, ავტობუსიდან ძლივს ჩამოვიდა.

— გააცივა მისმა ქალბატონმა, ახია, ეფეროს რუსებს, — გაიფიქრა მოსაცდელის ჩრდილში მუდარმა გაგულისებულმა ქალმა და კოლომიმუდარ მკლავზე ხელისგული იტკიცა.

მამაკაცი ფეხთირევით მიუახლოვდა და საღამოს ნაცვლად მორიდებით გაუღიმა:

— ლუდი არ გინდა? — მუხლზე შემოიღო ჭრელი პარკი.

— არა! — ქალს არ შეუხედავს.

— ცივი, — მამაკაცმა პარკის გახსნა დააპირა.

— არა! — ქალმა მამაკაცის ხელების მოძრაობას გააყოლა მზერა — ესენი იყვნენ ის მისი ხაოცნებო ხელები, რომლებიც საღდაც აქვე, ამავე ქალაქში, რომელიღაც რუსი ქალის ფელ-კისერსა და თეძობებზე მიმოდიოდნენ ყოველ საღამოს, ხოლო გრძნობამორეული, ღამეების მთეველი და უმწეოდ მტირალი გული ხამუდამოდ ჰყავდა უარყოფილი. მართალია, ქალს არასოდეს არ აღიზიანებდა არც ერთი სხვა ქალის ბედნიერება და არც ამჯერად შურდა თავისი მეტოქის, მაგრამ საკუთარი უიმედო განცდები უსაზღვროდ ენანებოდა. ოლონდ, რა ექნა, „ის“ ალბათ ძალიან კარგი იყო, რაკი ასეთმა თავმომწონე მამაკაცმა სათავისოდ ჩათვალა.

— ბავარიული, — მამაკაცმა კიდევ ერთხელ სცადა გაბუტული ქალის შემორიგება.

— არა! — ისევ ჯიუტად უპასუხა ქალმა და მიხვდა, რომ მამაკაცს ძვირად უჯდებაოდა ეს დიალოგი და ბოდიშის მოხდის სხვა ფორმის ჰოვნა მის ძალღონეს აღემატებოდა.

ქალი წამოიღვა.

— სახლში მიდიხარ? — მამაკაცმა მუხლი გამართა და პარკს მჭიდროდ მოუკრა თავი.

— კი, — ქალის გული უკვე გაღლობას იწყებდა და არ სურდა, მამაკაცს ეს შეემჩნია.

— რატომ?

— იმიტომ! — ქალი ჩამომდგარი ავტობუსისკენ გაემართა.

— კაი, აბა! — ქალს უკვე ზურგს უკან მოესმა მამაკაცის სიტყვები.

მძლოლისკენ საზურგეშექცეულ სკამზე ჩამოჯდა. ფანჯრიდან ტროტუარს გახედა — მამაკაცი მისთვის უჩვეულოდ, რადიკულიტიანისთვის დამახასიათებელი ნაბიჯებით მოდიოდა. მარცხენა ხელით პარკი ჩაებღუჯა, მარჯვენათი კი ქამარს ისწორებდა. წამით მის დიდ, ლამაზ თვალებსაც მოჰკრა მხერა — მზემოკიდებული და გაუპარსავი მამაკაცის აღნაგობაში ერთადერთი მიწიბდველი ნაპერწკალი ახლა მხოლოდ ეს თვალები იყვნენ.

ქალს გული მტკივნეულად შეეკუმშა და თვალები დახუჭა...

თოვდა. სასიამოვნო გაურკვევლობაში ჩაბრუნული წელა მოაბიჯებდა — ნაზი გრძნობები მამაკაცისთვის ჯერაც არ ჰქონდა გამხელილი და მისი ნახვის ყოველი წამი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

თოვდა ხვავრიულად. თბილ ბურანს მოეცვა არემარე და დროგამოშვებით მხოლოდ ტრანსპორტის ხმაური არღვევდა სიმყუდროვეს.

საერთო განერებას უახლოვდებოდა. ჯერ იგრძნო, მერე კი ხმაც მოესმა:

— რა იყო, რა დაღვრემილი მოდიხარ?

— არა, დაღვრემილი არა ვარ, — ქალმა მხერა ვერ გაუსწორა დიდ, ლამაზ

თვალებს, რომლებიც სიბმრთი და მდამიანური თანაგრძნობით იყვნენ საყვანი.

— რაღაც უნდა გაჩუქო, — მამაკაცმა პარკი გაუწოდა.

— დიდი მადლობა, — ქალმა გაოცებით შეხვდა. ის ისე მშვიდად და მეგობრულად უდიმოდა, რომ ქალს გული აუჩუყდა:

— რამდენიმე დღით ადრე მილოცავ დაბადების დღეს? — ქალმა ახლავა ჩაიხედა პარკში.

— არა, ეს დაბადების დღის საჩუქარი არაა, ეს ისე... დაღვრემილი მერვენი და ცოტას გავამხიარულებ-მეთქი...

ქალს უფრო აუჩუყდა გული და წამწამებზე შემომდნარ თოვლის ფიფქებს ცრემლის კურცხლებიც გააყოლა.

— რა ლამაზია! — ბავშვივით აღფრთოვანდა ქალი და ოქროსფერი კედლის საათი ისევ პარკში ჩააბრუნა.

მწვანე ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მამაკაცი იდგა და გულწრფელად აღტაცებულ ქალს უდიმოდა... მისი დიდი, ლამაზი თვალები ქურთუკის ფონზე მწვანედ ანათებდნენ და ქალმა ვერც ამჯერად გაარჩია მათი ნამდვილი ფერი...

ქალმა თვალები გაახილა. ავტობუსი კარგა მანძილით გასცდენოდა გაჩერებას და ძლივს მომავალი მამაკაცი უკვე აღარ ჩანდა...

კარის შეღებისთანავე კედლის საათს მივარდა. ჩამოხსნა, სახელოთი მტკერი გადაწმინდა. სინანულით გაიქნია თავი. ნიკაპით ჩამოყვრდნო მკერდზე მიხუტებულ საათს და გაირინდა. კარგა ზანს იყო ასე. მერე კარადის უჯრა გამოსწია. დენის წყარო მოიძია, საათის დაფას სარკველი ახადა და საჭირო რიგით სათითაოდ ჩააწყო. ისრებს დახედა — იმ დღის იმ საათზე იყვნენ გაყინულნი, როცა მამაკაცის საქციელით განრისხებულმა თვითონვე შეაჩერა ისინი.

კარადაზე დადგმულ მალეიძარას შეხედა. კედლის საათი გაასწორა და სასიამოვნოდ აწიკვიკებული ისევ ძველ ადგილას დაჰკიდა.

ქალი მებრძოლი

— ელენეს გაუმარჯოს!.. ძალიან მიყვარს ელენე!.. ხომ შეიძლება?.. — სიმთვრალე მორეული ჭარმაგი მამაკაცი მასპინძელს წარამარა უჭაბუნებდა კონიაკიან ჭიქას.

— გაუმარჯოს... კაი ქალი ჩანს... — მასპინძელი თავის ძველ ძმაკაცს დროდადრო მხარს უბამდა.

— ელენე მიყვარს!.. ხომ შეიძლება?.. ქალის გარეშე არაფერია ჩვენი ცხოვრება!.. — სიმთვრალე მორეული ჭარმაგი მამაკაცი ოცი წლის ბიჭის მღელვარებით განიცდიდა ახალ და მოულოდნელ თავგადასავალს.

— მართალი ხარ... — ელიმებოდა მასპინძელს, — ნეტავი შენ, ჯერაც ამნაირად რომ შევიძლია აღფრთოვანება.

— ჩემო შოთა, შენ კარგად იცი, მე არასოდეს არ ვყოფილვარ ქალებისგან დავიწყებული, მაგრამ ახლა... ახლა სხვა რამეა... ელენე ქალი კი არა, ქალღმერთია... ვგიჟდები მისთვის...

— ღმერთმა შეგარგოს!.. — მასპინძელი კონიაკიან ჭიქას დააქერდა, დააყოვნა და მერე კი ერთბაშად გადაქერა.

შოთა მხარბეჭიანი მამაკაცი იყო, სპორტული აგებულება შენარჩუნებული, მიხვრა-მოხვრა დაუზარელი ჯერაც. ეს ორი მამაკაცი თითქმის თანატოლი იყო, მაგრამ ძალთა თანაფართობაში განსხვავება აშკარად იგრძნობოდა. შოთა, ალბათ, ვრძნობდა ამას და თავშეკავებულად გადახედავდა ხოლმე მაგიდასთან მჯდარ ელენეს.

მასპინძლის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ქალი სასმელს არ ეკარებოდა. დროდადრო მორიდებით ილუქმებოდა, მამაკაცების საუბარს უსმენდა და ღუძდა.

— ჩემო ოთარ, არ ვიყავით ჩვენ ურიგო ბიჭები, — ჩანდა, მასპინძელს საკმაოდ ენანებოდა ჩავლილი ახალგაზრდობა და სიმდორე მორეული ცხოვრების გამო მამაკაცურ სევდას განიცდიდა.

— ეგ, იცი, რა მაგარი ბიჭი იყო?.. პირველი სპორტსმენი და დამრტყმელი... — ოთარმა ცერით ანიშნა ელენეს

და კვლავ კონიაკიან ჭიქას დასწვდა.

ელენემ კედელზე მასპინძლის ფოტოს შეხედა და მერე ოთარზე გადაიტანა დიმილიანი მხერა:

— დათვრები.

— უკვე მთვრალი ვარ... წელან ქვეთარაქმესთან ორ-ორი ბოთლი ღვინო დავლიეთ, ახლა ეგ კონიაკი... შენ არც მანდ დავილევი... მოსვი ცოტა, თუ გიყვარვარ...

— სასმელით მიზომავ სიყვარულს?

— არა, მაგრამ... კაი რამეა სასმელი...

— ღვინო, ღუძუკი, ქალები, არა?! — ქალმა გადაიკისკისა.

— აგაშენოს ღმერთმა, სწორად ნათქვამია. მაგის პირველმოქმელს გაუმარჯოს! — ოთარს კიდევ ერთხელ გაუნწადა ჭიქის გამოცლის საბაბი.

— ხო კაი ქალია ელენე? — ოთარი ძველ ძმაკაცს მიუბრუნდა და ქალმა მის ხმაში მამაკაცური უპირატესობით თავმოწონების სიხარული იგრძნო.

— ჩვენ ახლა შემოდგომას ვვავართ... ქალებიც ნაკლებად გვწვავლობენ... ეს ოხერი, მაინც კაია სიცოცხლე, — შოთას სიმარტოვის განცდა მოეძალა. ჭარმაგ ძმაკაცსა და შედარებით ახალგაზრდა ქალს შეხედა:

— თქვენი ყოფა კი ვატირე, თქვენი... — შემთვრალმა ველარ დამალა გულაწუება, ოთარსაც და ელენესაც სტაცა კისერში ხელი და ხუმრობით თავები მიახლევიან ერთმანეთზე.

პირველი შემთხვევა იყო, რომ ქალი მოულოდნელმა განცდამ კი არ ააფორიაქა, არამედ, სიმშვიდით გაჯერებული თვითგანცდით აავსო. თვითონ მამაკაცი აღმოჩნდა ქალის სრულყოფილი დამფასებელი და, ალბათ, თავიდათავი ეს იყო.

— ელენე, შენ ყველანაირად კაი ქალი ხარ: სილამაზით, ნიჭით, სინაზით... ყველანაირად... შენს გარშემო ისეთ აურას ქმნი, შეუძლებელია თავის დაღწევა, — ჭარმაგი მამაკაცის დამოკიდებულება გრძნობებში მრავალგზის იმედგაცრუებულ ელენეს ქალურ ეჭვებს

უფანტავდა და საჭირო თავდაჯერებულობას აჩვენებდა. ქალის არსებობა გვიანი შემოდგომის ბაღში დამწიფებულ ნაყოფის სიტკბოს დაემსგავსა და ეს ნაყოფი საკუთარი სისახვის შეგრძნებით თვრებოდა.

ელენე ბავშვობიდან მეოცნებე იყო. მეოცნებენი კი ყოველთვის გულნათხრობილი არიან და მათი ცხოვრება თავიანთი შეთხზული სამყაროს მიღმა, ანუ, რეალობის შიშისმომგვრელ სივრცეებში გაშუღმებით ჰგავს გაღახული ძაღლის ხეველიან არსებობას. ვარდა ამისა, ელენე თავიდანვე მონათლეს ჭკვიან ბავშვად და ეს ეპითეტი მას მიძიმე ტვირთად აწვა. სკოლის წლებიდანვე მზად იყო, ჩამოეთრებინა ეს ეპითეტი და ეყვირა: ჭკვიანი კი არა, დათრგუნული ვარ და მაცალეთ ბავშვობაო. ამას მერე მიზღდა, როცა დი...იდი ქარტეხილება გამოიარა და უთვალავი შემზარავი გარემოებების მიუხედავად, თანდათან მაინც იგრძნო პიროვნებად ყოფნის სიხარული, შეძლო, გადარჩენის გზისა და საშუალების ძებნა ეცადა...

ორი დღის წინაც კარგ გუნებაზე იყო. ყოველთვის უხაროდა იმ ოჯახში ყოფნა, თუმცა, იშვიათად კი ეძლეოდა სტუმრობის შესაძლებლობა.

უსხდნენ მწირ ვახშამს, მაგრამ თანამესუფრეთა პიროვნული ღირსებების ფონზე წარმოუდგენელიც იყო, საყოველთაო სიღუბნის ქვეყანაში ამ ადამიანებს ხორაკმოძალებული ქეიფის საშუალება ან სურვილი ჰქონოდათ.

ოთარი შთამბეჭდავად თამადაბოდა — ყველა სადღეგრძელო ელენეს ეძღვნებოდა. მასპინძელი გიტარაზე უკრავდა და ოთართან ერთად ორმოცდაათიანი წლების სიმღერებს ღიღინებდა. ელენე მშვიდად გრძნობდა თავს ამ კეთილმოსურნე გარემოცვაში. ხანდახან კეკლუცად ინაზებოდა და თვითონვე იხვედა უკან, როგორც კი შენისწავდა, რომ ბუნებრიობას სცილდებოდა.

გარეთ კი წვიმადა. წვიმა უფრო აღრმაკვებდა სიმყუდროვისა და სიმშვიდის განწყობილებას.

გვიან დაიშალნენ. ელენე და ოთარი მეტროსკენ ფეხით გაუყვნენ გზას. ვერაიანად თინვლადა, მაგრამ ორივე აუქარებლად მიაბიჯებდა. მამაკაცს ძალიან სიამოვნებდა ქალთან ყოფნა და იზნგრძლივებდა ამ განცდას, რომელიც ჯერჯერობით არაფერს ჰპირდებოდა მას.

მამაკაცი ბევრისმნახველი და ცხოვრების მრავალგვარი გამოცდილებით მზრებდამძიმებული იყო, მაგრამ ქალის გვერდით იხე მსუბუქად მიაბიჯებდა და ისეთი ყმაწვილური მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, რომ ოცი წლის ჭაბუკსაც შემურდებოდა.

ელენეს გონებაში თანდათან იკვეთებოდა თამამი გადაწყვეტილების მიღების სურვილი. მიჰყვებოდა მამაკაცს გვერდით და თვითონვე უკვირდა, რომ რაღაც განსაკუთრებული ბიძგის პოვნა ეწადა.

ზაფხულის წვიმაში სველდებოდა ორივე.

— კარგია წვიმა, — მამაკაცმა ქალს მხარზე მორიდებით მოჰხვია მკლავი.

— მიყვარს წვიმაში ხეტიალი, — ქალს ცხელი ხელისგული ესიამოვნა და კიდევ უფრო გაულრმავედა თამამი გადაწყვეტილების სურვილი.

ბაბეის ვარდის გამო ესკალატორი მოულოდნელად გაჩერდა. მამაკაცმა ხელი შეაშველა ქალს. საფეხურები ჩაათავეს და მეტროსადგურის სიხალვათეში მომლოდინე მგზავრებს შეუერთდნენ.

მატარებელი იგვიანებდა. ელენემ ჩამოჯდომა დააპირა, მაგრამ გაოგნებული შეყოვნდა — უახლოეს სკამზე ქალი იჯდა... საკუთარ ნარწყევში მოთხვრილი. მეტროს თანამშრომელი ქალი მილიციელ მამაკაცთან ერთად შორიახლოს იდგა და ზიზღით უყურებდა მთვრალ ქალს. თან, მგზავრების გასაგონად კიცხავდა მას. მეტროს თანამშრომელი ქალის მხერასა და ბუზღუნში აშკარად გამოსჭვიოდა საკუთარი წესრიგიანობის ზაზგანსა.

მგზავრების უმრავლესობა გულგრილად იდგა, ან მიმოდიოდა შორიახლოს და „ნარწყევში მოცურავე“ ქალის მი-



მართ არანაირ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა — ისეთ ტრაგიკულ ვითარებებში ცხოვრობდა ქვეყანა და მისი თითოეული აბუნად ავღებული მოქალაქე, რომ ძნელად რამე შეაშფოთებდა ეროვნული ნიპილიზმისა და საყოველთაო გულგრილობის მორევში ჩათრეულ ადამიანებს.

— ცოდვია, — შეძრწუნებული ელენე მომდევნო სკამზე ჩამოჯდა და ქალს გახედა: მთვრალი ქალი ორმოციოდე წლის თუ იქნებოდა — მოშიშვლებული ძკალებისა და წვივების მიხედვით დაადგენდი, თორემ თავნაქინდრულსა და ტალღოვან თმებჩამოშლილს სახე არ უჩანდა. ეცვა რივიანად. საკმაოდ მოღერი ხელჩანთა კალთაში ედო და ნარწყვეს აცლიდა მთვრალის უკონტროლო მოძრაობით.

ოთარი ქალს მიუახლოვდა და თავი გადაუწია. უმაღლვე შეუშვა ხელი და ელენესთან დაბრუნდა:

— ვერ გაევიკე, ქართველია თუ არა, ასე როგორ შეიძლება ქალის დათრობა... ელენეს არ ესიაშოვნა ოთარის სიტყვები.

— რა, ქართველი რომ იყოს, განსხვავებულად შემზარავი იქნება?

— არა, მაგრამ...

— ქართველი ქალების უბედურებაში ქართველი მამაკაცები არიან დამნაშავენი... საწყალი, გამცილებელი მაინც არ აღმოაჩნდა, სახლამდე რომ მიეყვანა? — ელენეს საკუთარი მოღვმის ქალთა ვველა სატკივარი ერთბაშად ემწარა და მატარებლის გამოჩენა რომ არა, რამე უკმეხიც წამოსცდებოდა ქართველ მამაკაცებზე და შეიძლებოდა, თვითონ ოთარიც არ დაენდო.

მეტროს ვაგონში სიჩუმე სუფევდა — დამქანცავი ყოველდღიურობითა და უსასრულო სიღუბქირით გამოფიტული ადამიანები მოჩვენებათა სახელმწიფოს ბინადრებს ჰგავდნენ — არსებობისთვის ბრძოლის მარათონში მონაწილის ჩანაცრისფერებული მხერა ჰქონდათ და ვერც კი დაიჯერებდი, რომ ვერაც სუნთქავდნენ.

საჭირო სადგურზე ჩაიფიქვნიდა. ელენემ მოცდა ამჯობინა. ის თავის გადაწყვეტილებას უკვე საბოლოოდ აყალიბებდა და ფეხს ითრევდა.

— რა საშინელ დღეში იყო, არა? — კვლავ მთვრალი ქალის თმას დაუბრუნდა ელენე. გონებაში უნებლიე პარადლებს ავლებდა საკუთარ სიმარტოვესა და „ნარწყვეში მოცურავე“ ქალის მდგომარეობას შორის.

— აბა, კაცო?! — ოთარი კიდევ ერთხელ აღშფოთდა, — გაეცილებინათ მაინც, ეგეთ დღეში როგორ მიატოვეს.

— ვინ იცის, იქნებ, სულაც უკაცო გარემოში იქეიფეს.

— არა, ისე, ემანსიპაცია მაგრა შემოიჭრა ჩვენშიც.

— ეგ ემანსიპაცია კი არა, უხუსური მამაკაცებით საესე ერის ტრაგედიაა. ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა კაცმა მითხრა, კაცივით ქალები მომწონსო — ე. ი. ისეთი ქალები, რომლებიც მამაკაცებს იქით მფარველობენ. ანდა, სადაც მხოლოდ „მანისის“ ფურცლებზე ეძებენ ერთმანეთს, სულიერი უძღურება გასაკვირია?.. ჩვენ თვითონვე ვართმევთ საკუთარ თავს ურთიერთობათა სიხარულსაც და სილამაზესაც.

— სექსუალურად დათრგუნული ერი ფიზიკურადაც და სულიერადაც რომ უძღურდება, ცხადია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სოციალური პირობები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მამაკაცების პასიურობას.

— მერედა, სახელმწიფოს მოწყობის სადავეები ისევე მამაკაცების ხელში არაა?

— სადავეები იდიოტების ხელშია და არა მოახროუნეთა განკარგულებაში.

— ვველაზე კარგი იქნებოდა, ქართველ მამაკაცებს ქალისადმი დამოკიდებულება შეეცვალათ.

— თქვენ თვლით, რომ ცუდი დამოკიდებულება აქვთ?

— აბა, რა, ქართველი მამაკაცი გამუდმებით მეპატრონედ გრძნობს თავს, ქალს მის ხელში ნიუთის როლი ეკუთვნის და არა პიროვნებისა. ამიტომაც, ქალთა ცნობიერებაში აგრესია გროვდე-

ბა და გამოვლენის შესაძლებლობის შემთხვევაში ძლიერი უარყოფითი ძალით ელინდება. ეს კარგად გამოჩნდა ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების მანძილზე. მოკლედ, ქალს ქალად ყოფნის ასპარეზი უნდა ჰქონდეს სრულფასოვნად და მერე აღარ ექნება ამორბალობის სურვილი. ქალად ყოფნის ასპარეზი კი — მამაკაცია.

— თავის დროზე, საქართველოში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა იდეალური იყო. ბოლო სამოცდაათ წელიწადში კი ძლიერ დამახინჯდა.

— თავის დროზე ბევრი რამ იყო იდეალური, მაგრამ ყველაფერი ცვალებადია.

— გეთანხმებით, ყველაფერი ცვალებადია სამყაროში და ჩვენი ზნე-ხასიათიდანაც ზოგი რამ უნდა შეიცვალოს.

— ადამიანური ურთიერთობის იდეალური ფორმა ოჯახია, მაგრამ რა დასაშვებს იმ ქალებმა, რომლებიც ვერ შეხედნენ სასურველ საქმროს, ან ვითარებათა გამო დაუგრაოთ პირადი ცხოვრება...

ისევ წვიმდა. საღამოს ბინდმა უკვე მძლავრად მოჰხვია ხელები ხმაურიან დიდ ქალაქს. ლამპიონების შუქი კი ბინდის გაფანტვას ცდილობდა.

— ეტყობა, აღარ გადაიღებს, — ელენემ ირბიად გახედა გარინდულ ოთარს.

— მოდი, ჩემი პიჯაკი წამოიხურე თავზე და წაიდე, — ოთარმა ბიჭური სიმარდით გაიძრო ღია ფერის პიჯაკი და ქალს მოახურა.

ქალმა თავშიშველა ყოფნა ამჯობინა და პიჯაკი მხრებზე მოიარო.

— თქვენ რომ დასველდებით? — ხალათის აპარა მდგარ ოთარს თანაგრძობით შეხედა ელენემ.

— არა უშავს, მე ჯანმგარი კაცი ვარ, — გაიცინა ოთარმა.

ფოიედან გავიდნენ. მიდიოდნენ ნელა და საუბრობდნენ. სიამოვნებდათ ზაფხულის წვიმიანი საღამო. უმთავრესად მაინც ოთარი საუბრობდა — თავისი სიჭაბუკის ფათერაკებიან თავკადასავლებს ჰყვებოდა. ჰყვებოდა ამ დიდი ქალაქის ცხოვრების ადრინდელ სტილზე, რომ-

ლისაც ყოველთვის შურდა თავისი დროით უკმაყოფილო ელენემ.

— დიდი სიამოვნებას უცხოვრობდი ორმოცდაათიან წლებში, — ამბობდა ქალი და ზარბადად უსმენდა ჭარმაგ მამაკაცს.

აიარეს რამდენიმე ქუჩა.

— სხვათა შორის, მე ამ უბანში დავიბადე და ახალგაზრდობის წლები აქ გავატარე, — მამაკაცმა თავისი ძველი ქუჩაც დაასახელა.

— მოდით, იმ ქუჩით ავიდეთ, — რაღაც გაურკვეველმა სიხარულმა დაუარა ელენეს.

— კარგი.

გაცდნენ ორიოდე მოსახვევს.

— აი, ის ჩვენი აივანი იყო. ახლა მანდ ჩემი ნათესავეები ცხოვრობენ, — მამაკაცმა აივანს ახედა და ქალს კვლავ ფრთხილად მოჰხვია მკლავი.

კიდევ ერთი მოსახვევი მოიტოვეს უკან. უკვე ქალის ქუჩის შორიახლოს იყვნენ. მამაკაცმა იგრძნო, რომ ელენეს მხრები უკანაკალებდა:

— გცივა?

— მცივა.

— მიხვალ შინ და გათბები.

ქალმა ნაბიჯები შეანელა. შეჩერდა. შეყოვნდა მამაკაციც.

— მეზარება შინ მისვლა, — ქალი მამაკაცის მკერდს აეკრა და ტურები საკოცნელად მიუშვირა.

ოთარმა სველ ტურებს აკოცა. ერთმანეთის სითბომ ორივე გაახელა.

— წაიდე, ჩემთან, არავითარი პრობლემა არ გვექნება, — მამაკაცი აჩქარებით სუნთქავდა და ვერ ამჩნევდა, რომ წვიმის წვეთებს ქალის ცრემლებიც ერთვოდნენ და მის სუსტ მხრებს საღამოს ბინდთან ერთად მარტობის უსაშველო ტკივილიც აწვა.

— იცი, რა საყვარელი ზარ?.. ვვიფდები შენთვის, — მამაკაცმა მკლავი უკვე თამამად მოჰხვია ქალის მხრებს და ორივე უკან გაბრუნდა უკვე გამოვლილი გზით.

ქალი დუმდა.

— შენ მიხვდი, რომ ერთბაშად შემიყვარდი, არა?!

ელენემ ჩაიცინა.

— საოცარი გუმანი გაქვთ ქალებს.

წვიმდა გადაუღებლად.

— კარგია წვიმა, — მამაკაცი აღფრთოვანებული იყო.

— მიყვარს წვიმაში ხეტიალი, — სიამამე დაუბრუნდა ქალს.

— ზაფხული კარგად დაიწყო... ნეტავ იცოდე, როგორ ვვიქცევი შენთვის...

ქალი იცინოდა. საღამოს ბინდს სასურველის მოლოდინი შერწყმოდა და გრძნობებში მრავალგზის იმედგაცრუებულ ელენეს რაღაც გარკვეულობის შუქს ჰპირდებოდა...

ღამე იყო მღელვარე და შფოთიანი. გარეთ წვიმდა, ქროდა ქარი. შიგნით — ვნებები ბობოქრობდა. ალიონს კი ორივე შეებამოკერილი შეეგება...

— ელენეს გაუმარჯოს!.. ძალიან მიყვარს ელენე!.. ხომ შეიძლება?.. — სიმთრალე მორეული ჭარმაგი მამაკაცი მასპინძელს წარამარა უჭახუნებდა კონიაკან ჭიქას.

— უკვე ორი დღეა ვიცნობ და ვვიქცევი მისთვის!

ელენესათვის ამ ორმა დღემ მთელი მისი განვლილი ოცდათხუთმეტი წელი-

წადი გადასწონა — მანამდე არავინ ჰყოლია ოთარივით დამნახატი და დაფასებელი. ორი დღეა, მშენი და კეთილგანწყობილი ეჩვენებოდა მთელი სამყარო. უკვე სრულფასოვან ქალად გრძნობდა თავს და ამ ჭარმაგ მამაკაცს უმადლოდა ქვეყნიერების ხელახლა შეყვარებას.

ქალმა ნავსი გატეხა და კონიაკიან ჭიქას დასწვდა:

— შენ გაგიმარჯოს ოთარ, ქალის შენნაირად დამფასებელ ყველა მამაკაცს გაუმარჯოს. ქალმა რაც უნდა თავი გამოიღოს, თავისი ემანსიპირებულობით, მისი ბედნიერების სადავეები მაინც მამაკაცის ხელშია და ყველა ქართველ მამაკაცს ჰქონდეს ცოლის, შეყვარებულის, უბრალოდ, ქალის გაბედნიერების უნარი.

ელენემ ჭიქა დასცალა, ოთარისკენ გადაიხარა და საკოცნელად მიუშვირა გაბუსხული ტუჩები.

ერთმანეთის სითბომ ორივე გაახელა.

— თქვენი ყოფა კი ვატირე, თქვენი... — გულარეული მასპინძელი ოთახიდან გავიდა.

0 0

(ციკლიდან: „მშობლიური ცივი სახლი“)

მარინა შჩერბაკოვას ქმარმა მოაკითხა. რომ შეხედო, ერთი ძალზე დაგვიჯული რუსია. უღვაშები წვრილ ზოლად ნიკაპამდე ჩამოგრძელებული. მისი გარეგნობა არაფრით ეხამება ორ თეთრ, პუდელივით ქრიზანთემას, ხელში რომ უხერხულად უჭირავს. ცოლქმრული სინაზისთვის შეუფერებელია ადგილიც, სადაც მარინაა. ან თვითონ მარინა? — ეჰ, ვერაა კარგად. უფრო სწორად, ძალზე ცუდაა. წინა საღამოს იტირა, თვალები დაიწითლა. მაგრამ, წინასწარმა ცრემლებმაც ვერ უშველეს. დღეს უკვე უაზროდაა. ერთი

ცდა ასპიტმა სანიტარმა დებმა, სტეპანოვნებმა, ხელებიც შეუკრეს ზურგს უკან. მაინც მოახერხა კედელზე უადგილოდ დაკიდებული უზარმაზარჩარჩოიანი სურათის ჩამოგდება. ერთი-ორი წაუთაქეს ასპიტებმა. მერე ქმარიც მოვიდა. მარინა უაზროდაა, ქმართან კი ჩამოჯდა, მაგრამ უაზრო სიტყვებს წარმოთქვამს, თვალები შიშისმომგვრელად გაშტერებია. გამოთავისუფლებულ ხელებსაც იქნევს შიგადაშიგ, თითქოს, რაღაც აბეზარს იგერიებს. რაღაცას თუ ვიღაცას — შემადრწუნებელს, ავს, სტეპანოვნებზე უფრო ასპიტს. ისე ადვი-

ლად მოიცდილებს? — შიგნითაა დაბუდეული, სხეულში, სულში. ვეღარც ქმრის უშწყო და მაინც მოსიყვარულე თვალებს ამჩნევს, ვეღარც პუდელივით ქრიზანთებებს. ალბათ, ასპიტთა თავები თუ ჰკონია, ახეთქებს მაგიდაზე, მერე წიწკნის და ძირს ყრის. მერე მაგიდას ურტყამს მუშტებს, სკამს დასწვდება, მაგრამ სკამიც და მაგიდაც იატაკზეა დამაგრებული. ტანჭიკები მყარადაა მოჭერილი. ქმარი უშწოდ ამშვიდებს ცოლს, ცდილობს ხელების გაკაჯვებას. მაინც ნაზად. ეპა, მარინა განა კრძნობს რამე სინაზეს, ან თუნდაც შუესა და მთვარეს. ის სხვაგანაა. ასპიტთა ქვეყანაში, იქ ჯოჯოებიც ბლომად დაცოცავენ. კედლებიდან ლაშქბომორეცილი ურჩხულებს გაღმოდინან, ხელში საღვისეები უჭირაუთ. ჩხვლეტა. კიდევ ჩხვლეტა. მოქნულია მუშტი. ქმარს სისხლი სდის ცხვირიდან. მოდიან სტეპანონენები. ხელები უკანაა გადაგრეხილი. ესეც ასე — ასპიტები მარჯვე ხალხია. ქმარს ურჩევენ, ვაიდეხს. საწყალი. შინაც ენქარება. იქ პატარა ტყუპები ელოდებიან. მეზობელიც განა მოცილილია, დიდხანს ელოლიავოს მათ. მარინამ ვერ აგრძნობინა შეილებს დედური სითბო — ტყუპი ქალ-ვაჟის მოლოვინებას ემსხვერპლა სწორედ.

უშწო ქმარი და მამა ემშვიდობება შეურაცხად ცოლს და მიდის.

მარინა უაზროდ გაჰყვირის. ხელებს ვეღარ იქნევს. იფურთხება. ტაკ. სილა. ისევე. უფრო გამშაგებული ღნავილი. ნემსი, როგორც იქნა. დიდი დოზა. მოეშვა. აწვეწვენ ლოვინზე. რალას იბობოქრებს. მალე უფრო შესაფერის განყოფილებაში გადაიყვანენ.

ჩაკეტულ კარებზე აბრაზუნებენ. სადილზე აფრთხილებენ. ვეღარ იცლიან. პალატებიდან გამოდის სვეტა აბრამოვა. ჩაფლარათებული საცვლები მოუჩანს უკულმა ჩაცმული სახაზინო ხალათიდან. ფარს ქალთა განყოფილება. ასპიტები აქაც მარჯვედ არიან. შეგადეს აბრამოვა სააბაზანოში. ისმის წვეკლა. ჯაჯკური. წყლის შხუილი. ცივი — გამოძაფხიზლებელიცაა, არა უშავს. გამოდიან

სააბაზანოდან. სტეპანონენები იცდილებში შესდგომიან აბრამოვას. შეჭყვინტალებულ ტაში. აწვეწვენ საწოლზე. გარდიგარდმო უჭერენ თასმებს და კმაყოფილნი გამოდიან. ვერც ეს იბობოქრებს. სიწყნარეა. შეიძლება სადილისთვის საშაბადისი. არის თუნუქის ჯამებისა და კოვზების ჩხაკუნი. ჩანგლები არაა. დანები — მითუმეტეს. მორიგეები მთელ ამ ტუსალურ ტურკულს მაგიდეზე აწყობენ. ამათ ეს ჯერჯერობით შეუძლიათ. სანამ ჯოჯოები ამათთვისაც გადმოცოდებოდნენ კედლებიდან.

სტეპანონენებმა ჩამოარიგეს პირველი, მეორე, დესერტი. სუვეელაფერი წყალწყალაა. მაინც ხრამუნია. ხრამუნია. წკლაპუნია. სულმოუთქმელად იღმურძლებიან. ულიანა დოროფევენა თან თავის თავგადასავალსაც ჰყვება, — თავისი ჭკუით, — რალაც გაბმული ზმუილი კია. ციცხვი თავში, სიწუმე. გრძელდება ხრამუნია. ხრამუნია. წკლაპუნია.

ჩათავდა სადილი. ისევე: თუნუქის ჯამებისა და კოვზების ჩხარუნია. ალაგება. დაგება. სიწყნარე. წამლები. შუადლის დოზა. რიგი. ლასლასი. პალატები. შუადლის ძილი, ანუ: მკედარი საათი. ვითომძილი. საღამომდე.

* * *

დაბორიადობენ დერეფანში. ექთანაც იქვე ზის. სვეტა აბრამოვა ხან ერთთან გაჩერდება, ხან მეორესთან. სათითაოდ ეკითხება:

— თქვენ ჩემთვის რალაც გინდოდათ გეთქვათ, არა?

— არა, — გაცელებიან.

ულიანა დოროფევენა პიჟამოთი დანაწინალებს. თმაში იქექება. მარჯვე სტეპანონენები მივარდებიან. ტილები. წვეკლა. სააბაზანოში გამწესება. მაკრატლის კრაჭუნი. უაზრო შეძახილები — დოროფევენა მღერის. ლაწუნი სახეში. უკან გადაგრეხილი ხელები. გაკრეჭილი თავი. უსწორმასწოროდ. დერეფანში დოროფევენას რევერანსები. ხორბოცი — ვითომაზრიანების.

* * *

სეირნობის დროა. მუდმივად ჩაკეტილი კარი იღება. გადიან განყოფილებიდან. გაივლიან გრძელ დერეფნებს. ერთ-ერთ შავი როიალი დგას. ეს მამაკაცთა განყოფილებაა, საპროფილაქტიკო. სამხედრო სამსახურს თავამორიდებულნიც აქ არიან. უფრო სამხრეთელები. თავიანთი ქვეყნების ზომიერი ჰავისათვის ზურგი უქცევიათ. თითქოს, აქ უზრუნველი თავშესაფარი იყოს. ვერ გაამტყუნებ — აქ უფრო იაფი უჯდებათ დეზერტირობა, ვიდრე საკუთარ ქვეყნებში. თუმცა, საბჭოთა ჯარისკაცია ვყვლა.

ფართონა ხალათებიანი ქალები თვალუბგადმოკარკულნი მიშტერებიან კაცებს. ზოგი იატაკზე დაგებულ ხალიჩას ედება. ბორძიკი. გინება. სტეპანოვნები. გასცდნენ სახიფათო ადგილს. ჩადიან სარდაფში. სარდაფში კარადკსია. კარადებში — კალაშნიკიანი თქვის ჩექმები, დაბამული ქურთუკები, ყურებიანი ქუდეები, — ზოგს ხუთქიმიანი ვარსკვლავის კვალე ეტყობა: ალებ-მიცემობა და გაცვლა-გამოცვლა აქაც ძალაშია. მთელი ეს გარდერობი უხდება დაწესებულების პროფილს — ფსიქიატრიული სამხედრო კლინიკა.

ეზო, თოვლი. ხეები — ჩამოშეშელებული. ცა — ჩამოქუფრული. მესერი — მასიური. სადღაც ტროლეიბუსის ხმაური. რომ შეეძლოთ, მღვრიე ნევის ბორძიკსაც მიაფურადებდნენ.

წრეზე სიარული. დატკეპნილზე. მოშორებით — კაცების წრე. გადმოცვნილი თვალები. მალე ექთნის ყვირილი სარკმლიდან, — დროა შინისკენ.

ისევ დერეფნები. პალატები. მალე კარზე ბრახუნია. ვახშამი. წამლები. საღამოს დოზა. რიგი. ლახლახი. პალატები. კვლავ სიწყნარე. ღამე. ძილი. ვითომ. დილაამდე.

* * *

ვაპყავთ სამუშაოდ. გამყვანთა აზრით, სასარგებლოა და შრომათერაპია ეწოდება.

დება. გზა იქამდეც დერეფნებში მინდის შედარებით მოწყობილი საუდაფი.

საერი მაინც დახუთული. სხედან მაგიდებთან. კაცები. ქალები. კაცები ოზუნჯობენ. ზოგჯერ ორაზროვანს, — ქალების გასაგონად. იშვიათად უწმარსაც გაურევენ. კაცები მალ-მალე გადიან სიკარეტის მოსაწვეად. ქალებს ერთი ყმაწვილი გოგო ურევია. საღსალამათი. უზნეობისთვის მშობლებმა დასაჯეს — მამამისი შორეული ნაოსნობის კაპიტანია. გოგო არხეინადაა. მიდის კაცებთან. ართმევს სიკარეტს. ეწვეა დერეფანში. ასაკთან შეუფერებლად დიდ მკერდს დროდადრო ამაყად შეათამაშებს. ოცნებობს სამხრეთელთან ქორწინებაზე. შეიძლება, ნაკლებსაც დასჯერდეს. მოსდგამს.

სამუშაო ადვილია: წებო, მავთული, ფერადი ქაღალდები.

სამხრეთული აღნაგობის ყვავილებიც მზადაა გვირგვინებისათვის. ადვილია პროცესის წარმოდგენაც. თუმცა, დაბინდულ გონებას ესეც არ შეუძლია. ხედავენ მხოლოდ იმას, რასაც ხელს შეახებენ. სიტყვები, გამოხედვა — მაერში უფორმოდ ირხევა, კიდევაც არსებობს, კიდევაც არა. გონება საგნობრივი წარმოსახვის გარეშე, მხოლოდ ბურუსიან ხილვებშია. შემარწუხებელში. მტანჯველში. ჯოჯოხეთური წარმოდგენები სინამდვილედაა ქცეული. მთლად უაზრონი აქაც ვერ მოდიან. სტეპანოვნებსაც სჭირდებათ ქვეშევრდომნი. მართლა შევრდომილნი. ზუსტი სიტყვაა. მთელ საცოდობას სრულად იტყვს.

კითხულობენ დროს. ცდილობენ გამოიციონ, სადილად მუზუდოს სუპი იქნება თუ თევზის შეჭამანდი. წამოამლევიან. კიდევ ერთი პროცედურა დამთავრდა. დღევანდელი დოზა.

* * *

ის სამხრეთელია. ბუნებაკარგი ქვეყნიდან. სხვაც ბევრი რამა აქვს იმ ქვეყანას კარგი, თუკი იქაურები გონიერულად გამოიყენებენ. გონიერება კი, უნ-

და ითქვას, რომ... ხშირად დაღუპობო...

ხის მაგიდასთან. რაღაცას წერს. ლუბოვ ფოკეენა დაინტერესებული შეკურობებს, — სტეპანოვნებს ყოველივეს ეს მოხუცი სათნო ხანიტარი ენაცვლება:

— სამშობლო გენატრება, წერილს წერ? — ეკითხება ის.

სამხრეთელს ელიმება და აგრძელებს წერას. დაღუნული არც ისაა. ჯოჯოხები კედლებიდან მისთვისაც გადმოდიან. სადგისიც უკირავთ. ჩხვლეტა. კიდევ უფრო ენერგიულად, ოღონდ, ხელების გაკაეება არ სჭირდება. ნემსი კიდობი დოზა არა. სადენები საფეთქლებთან. სუსტი ღენი სადენებში. სხვებზე მსუბუქადაა მაინც. სტეპანოვნები მისთვის არა ხარჯავენ ენერგიას. თუმცა,

გამოწეული ხერხები ყოველთვის საეჭვოა. ტრელი სფეროა. გამაყნარებელი. ქვეყანათა ამ შეკოწმებულ ქვეყნში — განსაკუთრებით.

მალე მნახველები მოვლენ. შემოდიან. ის კარებთან დგას. პირველად მასთან მოდიან. უხარია. როგორც შეუძლია. ჯდება კაცის გვერდით. ის მამაა. მალაღობი. ზომიერად სქელი, უღიმის ხელზე კოცნის. ესეც ეფერება. ხსნის შეკვრას; ხილი. ჩურჩხელები. შინიდან. მეგობრებისაგან. ბარათი დედისგან. ლოდინით დაწერილი. სამხრეთელს გული უწყდება. მშვიდდება.

მნახველთა საათი იწურება. ემშვიდობება. რჩება. უჭირავს ბარათი.

კინ იცის, როდის გააღწევს აქედან...

ჭაკაუნები

კარგახანი იყო, ლანჩებმორღვეული ფეხსაცმლით დაიარებოდა. ფეხსაცმელი შეკეთების პროცედურასაც ვეღარ გაუძლებდა. ქალს უკვე რცხვენოდა გაკვეთილზე შესვლის; მეცხრე-მეათე კლასელი გოგონები რეტრო-ულტრათანამედროვე მოდელებს იცვლიდნენ.

ხელფასი იგვიანებდა. რამდენიმე თვისა უროდროულად. მაინც ვერ გასწვდებოდა რამე რივიანს. ზამთარი იწურებოდა. პალტოს მერე უფრო თვალშისაკეში იქნებოდა ულაზათი გარდერობი. ქალს უმაგისოდაც თრგუნავდა საკუთარი გარეგნობა:

— ერთა ნახშირით ქალი ვარ, — ხშირად ჩიოდა ზოლმე.

საკუთარ თავს არ-ვერ უფრთხილდებოდა, თორემ, მიმზიდველიც კი ეთქმოდა.

— თავს ნუ იჩაგრავ, მშვენიერი ქალი ხარ, — წუწუნს უშლიდა უახლოესა შეგობარი.

— შენ ლამაზად გამოიყურები, კარგ ფერებში ხარ, — თავისას არ იშლიდა თავ არ-ვერ მოვლილი.

— იცი რა, მოდი, თმა საპირისპირო მხარეს გადაივარცხნე, მუქი საღებავე-

ბი ღია ფერებით შეცვალე — სულ ოდნავი ცვლილებაა საჭირო. უფრო კი, გულმოდგინება, — ხელჩაქნულს არ ეშვებოდა უახლოესი მეგობარი. სულში თვითონაც უთვალავ მაჯლაჯუნას ებრძოდა, მაგრამ გარეგნულად თავადერილი დაიარებოდა...

— ეგენი არიან მამაკაცები?... ამითთან თავს ქალად როგორღა იგრძნობ — სურვილიც არ გაგიჩნდება სამაგისო: მეოთხედის ნიშნები ჩააბარე. პროგრამას არ ჩამორჩე, გუშინ შენმა კლასმა გააცდინა, — ამით მხოლოდ ვირივით მომუშავე მასწავლებელი უნდათ. მამაკაცები კი არა, მუღოები არიან... კი არ მიკვირს, ბიჭები ამათგან რაინდობის ნატამალსაც რომ ვერ სწავლობენ, — ხშირად ღიზიანდებოდა ლანჩებმორღვეული და გარემოთი უკმაყოფილო.

ქალი შლეიფიანი კაბების საუკუნეებში ბინადრობდა: რევერანსები... ეტიკეტი... ლამის, სერენადებიც...

კარგახანი იყო, ლანჩებმორღვეული ფეხსაცმლით დაიარებოდა. ფეხსაცმელი შეკეთების პროცედურასაც ვეღარ გაუძლებდა...

მამაკაცი ქვეყნის ამ კუთხეში ამავე ქვეყნის სულ სხვა კუთხიდან იყო ჩა-

მოსული. ეს ქვეყანა ერთმანეთისგან განსხვავებული კუთხეებისგან შედგებოდა. რდითგანვე. მაინც ერთი ქვეყანა იყო. რდითგანვე, მაგრამ კუთხეებს ერთმანეთის გასაკილავი ეპითეტებიც ჰქონდათ და ხანდახან ეს ეპითეტები მძლავრობდა. ახლა: ქვეყანას ვერ მივგონო სახელმწიფოს მოწყობის სრულყოფილი ფორმისთვის. დიდი მონდომებითაც არ ეძებდა და რაღას მიაგნებდა. სამაგიეროდ, აგნებდა ძალაუფლების სიყვარულს, ძალადობას, ომს; კარგავდა ტერიტორიებს. ასეთი რამეების მიგნებას ბევრი ტვინის ჰყვლტა არ უნდა. ტვინი, თან ბევრი, თანაც საჰყვლტი, ამ ქვეყანაში მაინცდამაინც არ ჩანდა. რაც ჩანდა და გამოაჩინა, არ გავდა ტვინიერ-გონიერების შედეგს. ერთი სიტყვით, ეს ქვეყანა იყო ტერიტორიად და სასუჰე ნაჰყერიჰით წალმა-უჰულმა ჰტრიალებდნენ: გარეშენიც, შინაურნიც. ყველას შადა ჰპაში მოსდიოდა, სტომაჰი უფსჰერო ჰქონდათ: შინაურებსაც, გარეშეებსაც. სასაზღერო ბოძებს ზრამუნ-ზრამუნი გავდიოდა ენერგიულ ყბებში...

მამაკაცი ქვეყნის ამ კუთხეში ამავე ქვეყნის სულ სხვა კუთხიდან იყო ჩამოსული. ოთხი შვილი ცოლის ანაბარა დაეტოვებინა... გარდაცვლილი დედა ვერც დაიტირა... ზშირად, კენახში მუშაობა ენატრებოდა... ამ კუთხეში ჩამოსული, დენტოსნებში ერია. სჯეროდა, რომ სიმართლეს იცავდა. სჯეროდა, რომ სამართლიანობას იცავდა. სჯეროდა, რომ სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდა...

ქალი შეეჩვია მის ლალ ბუნებას: სიმღერის ომახიანი მომახილი იცოდა — თბილი ხმა ჰქონდა, გულიანად იცინოდა. ხანდახან ქალს გამოაჯავრებდა:

— ბაბაჯანას ჰქოშები... იი...

ქალი დროებით ებუტებოდა. მერე, ისევ მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. ქალმა არ იცოდა, რა ევალეობდა მამაკაცს მედენიურებთან — იარაღს არ ატარებდა, ფორმა არ ეცვა. ოღონდ, თითქმის ყოველთვის უძინარი სახე ჰქონდა.

ერთხელაც, ქალს სკოლაში მიაციტხა. გამოაზმობინა გაკვეთილში. ფონი ეში ქალი მის ბოზ ხმას შეეფფტა:

— და-რა-რი-რა-რა რი-რა-რა-აა... — მამაკაცი მთერალი იყო:

— ბაბაჯანა, შაიტა ჰქოშები... იი... აჰა, შენ! — უთბრა ქალს და იღლიაში ამოჩრილი შეკვრა შეაჩეჩა.

დაბნეულმა ქალმა ნელა გახსნა შეკვრა:

— ვაიმე...

— და-რა-რი-რა-რა რი-რა-რა-აა...

— შენ ზომ არ გავიჰდი, საიდან მოიტანე ამის ფული?

— და-ვა-ყა-ჩა-ლე, — მამაკაცმა გადაიხარხარა.

ქალს ახსოვდა, ერთხელ, სამხედრო ფორმიან, შაშხანიანს გაარტყა — იმ შაშხანიან — სამხედრო ფორმიანმა მსუბუჰი მანქანა გააჩერა და მძღოლს ბენზინი გადმოასხმევენა...

მანამდე ქალთან ჰქონდა ნათჰვამი:

— თუ ყველა უსამართლობაზე გადავიდა, მეც იარაღს ავიღებ და ვიყაჩაღებ. ოღონდ, საქართველოს ტერიტორიაზე არავის შევეხები...

ჯერჯერობით: სჯეროდა, რომ სიმართლეს იცავდა, სჯეროდა, რომ სამართლიანობას იცავდა, სჯეროდა, რომ სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდა...

ამჯერად: მეგობრებისგან ჩამოიმათხოვრა ფული და ქალს ლამაზი ფეხსაცმელი უყიდა...

დიდი ხნის შუალედის მერე სამთავრობო ხელისუფლება არანაკლები ძალმომრეობრივი ხერხებით ამ კუთხეში თავის მმართველობას აერცვლებდა.

მამაკაცი არსად ჩანდა.

კლასი ჩეულებრივად ზუზუნებდა: ზოგი ჩუმად ხითხითებდა, ზოგი ქაღალდის ბურთულებს ესროდა ვოგონებს, ზოგი ჩანთაში ფათურობდა.

ქალი ფანჯარასთან იდგა. მექანიკურად მოქმედებდა: სია ამოიკითხა, უკვე მესამე მოსწავლეს იძახებდა დაფასთან. არანაირი ბევრა არ ესმოდა, გარდა ბოზი ხმისა: „გიყიდი წკაპუნებს და მერე იაარე, ამ ბარაქიან დედამიწაზე ჩემი სახელის გასათელავად...“

ხალხმობარული

ქართული
საზოგადოებრივი

მამაკაცმა მთელი დღე უთავბოლოდ აბორიალა. შინიდან იმ დილითაც გაბრაზებული წავიდა. მის ქორწინებას იმთავითვე ეთქმოდა უიღბლო: ქალისადმი ერთ დროს გარკვეულად თბილი გრძნობები კი ჰქონდა, მაგრამ გზად გზა ეს სითბო თავისთავად განელდა და დაეწვეებას მიეცა. ქალი კი დაფინებით ქორწინების მომხრე იყო. რატომღაც, აუცილებელ საკუთრებად თვლიდა მამაკაცს და მის გულგრილობას ადვილგადასალაბ დაბრკოლებად მიიჩნევდა, როცა ქალის კატეგორიულმა სურვილმა ვერ გასჭრა, ურთიერთობაში ქალის მამა ჩაერია:

— ან ჩემს გოგოს შეირთავ, ან არადა... — სასიამაოროს მუქარა არ დაუკონკრეტებია.

საოცარი ის იყო, რომ მამაკაცს ნამდვილად არაფერში ეთქმოდა ლაჩარი — თავი ყოველთვის ამყავდა და თამამად ეჭირა, პირადი ცხოვრების გადაწყვეტაში კი უცნაური უსუსურობა გამოავლინა...

შინიდან იმ დილითაც გაბრაზებული წავიდა. მიმსველელ-მიმსველელებით ახმაურებულ სამსახურში დიდხანს შეყოვნდა — რამე ძნელი სამსახურეობრივი დატვირთვა არ ჰქონდა, მაგრამ დილიდან გვიანობამდე აქ ტრიალებდა — ოღონდ გაქცეოდა პირველივე დღეებიდანვე სასჯელად ქცეულ ოჯახურ ურთიერთობებს და თუნდაც ქვესკნელში იმოგზაურებდა უსასრულოდ.

თანამშრომლებთან ერთად სასადილოში რამდენიმე ჭიქა არაფი გადაჰკრა. სმა საერთოდ არ სიამოვნებდა და თავდაეწვეების საშუალებად ვერ გამოადგებოდა. დღის მეორე ნახევარში მიეღობა შენობა დაცარიელდა. სინუმემ მოიცვა იქაურობა, იჯდა ფანჯრის შუშებ-მოზრიალზე კაბინეტში და განმარტებული სივარეტს ეწყოდა. საკუთარივე მიზეზით თავმოყვარეობა შელახული კაცის მძიმე განცდები საფეთქლებზე წერაქვივით ურტყამდა. უკვე სამუდამოდ დამსხვერულად თვლიდა თავის ცხოვ-

რებას.

მყარი გადაწყვეტილებით წამოდგა. სიმთვრალე ჯერაც ჩაბლაუჭებოდა თავისი ამამსუბუქებელი მოურიდებლობით.

კბეები ჩაათავა. ღრუბლიანი დღის ნაცრისფრად ჩამობურულმა იღუმალეზამ სურვილი გაუმძაფრა.

კომერციულ ჯიხურში ორი ბოთლი შამპანური იყიდა, პარკში ჩააწყო ჩვეული აკურატულობით და ამოიდილია.

მაიაბიჯებდა საკმაოდ დაიმედებული და შუბლგახსნილი. შუა ზღვაში ჩამირული გემიდან ნაფოტს შერჩენილი მეზღვაურივით ეძებდა ნაპირის სიმყარეს და დაბეჯითებით მიიკვლევდა გზას ამ ნაპირსაკენ.

რაც უფრო მოკლდებოდა გზა ქალის სახლამდე, მით უფრო ნელდებოდა თავდაჯერება: — ვაითუ, არ შემირიდეს, — ვაიფიქრა მამაკაცმა და შეყოვნდა, უკვე ქალის სადარბაზოსთან იდგა და ფეხს ითრევდა მოსალოდნელით შეყოფმანებული. — არ არსებობს! — თავი ისევ დაიიმედა, რადგან ქალის ხანგრძლივი მარტოხელობის სევდა თავის მომხრედ ჩათვალა.

აღელვებულს ხართული შეეშალა. კარი ზედა ხართულის მეზობელმა გაუღო. საკმაოდ დაბნულმა მოუბოდიშა ირონიულად მოშინარა და ორი ხართულით დაბლა დაეშვა. მამაკაცს ცუდად ენიშნა ყოველივე და ბრაზი ძლივს შეიკავა — უკვე სასურველ კართან იდგა. ფრთხილად დააკაკუნა. ჩამიჩუმდა არ ისმოდა. დენი გამორთული იყო და ზარის დილაკი ცალთვალა მეკობრესავით მტრულად უმზერდა. უფრო დონივრად დააკაკუნა. როგორც იქნა, კარს უკან ფრთხილი ნაბიჯები გაისმა და ქალის ნამძინარევა ხმამ ჩუმად იკითხა:

— რომელი ხარ?

— გააღე და ნახავ! — მამაკაცმა შინაურული ჰასუხი სცადა.

ურდული გადასწიეს. ოდნავ შეღებული კარიდან წარბეზებულმუნღამ ქალმა გამოიხედა:

— შენ აქ რა გინდა? — ქალის თვალუბში ბრაზის ნაწერპკლებმა გაიფლევს და მამაკაცს სრულიად წაართვეს თავდაჯერება.

— შემოვალ და... — წინადადება ვედარ დაასრულა მოსულმა.

— ჩემთან არაფერი გესაქმება! — ქალმა კარი მოუჯახუნა.

მამაკაცი არ აპირებდა დამთობას — ხელმოკრედ დააკაუნა. ქალმა წაუყრუა. მამაკაცი ბრაზუნზე გადავიდა.

ზედა სართულის მეზობელი კიბის მოაჯირს დაყრდნობოდა და მოვლენათა მსვლელობას გაფაციცებული აღევნებდა თვალფურს.

მამაკაცმა კარს ქუსლი ჰკრა და ბრაზით შეივინა. დუმელმა დიდხანს არ გასტანა. ქალმა ამჯერად ბოლომდე მოაღია კარი და დონიხშემოყრილი ზღურბლზე შედგა:

— შენ რომ ჩემთან მოსასვლელი პირი გქონოდა, ფხიზელი მოხვიდოდი.

— მთვრალიც იგივე არა ვარ?
— კო, იგივე ხარ — არც ფხიზელი უქნიხარ გამჩენს.

მამაკაცი იდგა და პასუხი ვერ მოეფიქრებინა — დანამდვილებით ვერ დაედგინა, რატომ ურისხდებოდა ქალი: საკმაოდ ვნებიანსა და ეროტიულად ნამარზულევს მამაკაცის ნელთბილი ტემპერამენტი აღიზიანებდა, თუ უკვე წამოჩინებული გოგონას წინაშე დედობრივი მოვალეობის შეგრძნება გაუშდაფრდა. ერთი რამ ცხადი იყო: მამაკაცს ამ ნავსადგურში ღუზის ჩაშვება ნამდვილად გაუჭირდებოდა.

ქალი ისევ ზღურბლზე იდგა. მამაკაცმა ნაბიჯი წაღგა წინ. ქალი დაეჯახურა. მამაკაცს პარკი გაუვარდა და შუშის მსხვერვის ხმამ ზედა სართულის ცნობისმოყვარე მეზობელს ინტერესი გაუძლიერა.

მამაკაცმა უკან დაიხია. ქალი ზღურბლთან დაფენილ ფეხსაწმენდ ტილოს დასწვდა და დაღვრილი სითხე მოამშრალა. ბოთლის ნამსხვერვეები ტილოში მოაქცია და მოძალადეს უკვე საბოლოო ღვარძლი გადაანთხია:

— წაეთრე აქედან! — ^{ერეკუნული} მამაკაცი გააცხვლდა. ^{სწავლობდა} ტემის რევოლვერი იშიშვლა და ჩახმახი შეაყენა:

— დაგიცხვრილავ ფეხებს!
— რატომ ფეხებს და არა გულს? — ცინიკურად დაეკითხა ქალი.

— დედა...! — ნამძინარევი გოგონას ისტერიულმა შეკვივლებამ ორივე შეაკრთო.

— ნუ გეშინია, დედა გენაცვალოს! — ქალმა დამფრთხალი შვილი გულში ჩაიკრა და მამაკაცს ველური მრისხანებით შეხედა.

— ჩემი თავი შემოევლოს შენს გოგონას! — მამაკაცის ზხარგარეული ხმა ბოდიშის მოხდას უფრო ჰგავდა, ვიდრე ვინიანობას. მას უღონოდ დაეშვა მკლავები და ნაკვთებგამკაცრებულ სახეზე დარდი და სინანული აღბეჭდილდა.

— შენი მოფერება შენი ცოლ-შვილისთვის შეინახე! — უკიდურესად გაგულისკებულმა ქალმა გოგონას ხელი ჩასჭიდა. კარი გამოიხურა და გარინდულ მამაკაცს ბოლო ფრაზა დაუტოვა:

— ენახე ერთი, როდემდე აისვეტები მანდ!

კიბეზე ჩამავალი დედა-შვილის აჩქარებული ნაბიჯების ხმა სადარბაზოს ფილაქანმა შორეულ ექოდ აქცია და თანდათან მდუმარებაში დააბინავა.

ცნობისმოყვარე მეზობელი ფარდა-დაშვებულ სცენას კმაყოფილი დაეშვიდობა და თავისი ბინის კარები საიმედოდ გადაკეტა.

მამაკაცი ჩაფიქრებული იდგა. რევოლვერის სასხლეტს მიბჯენილი საჩვენებელი თითი არაბუნებრივად უთრთოდა და კისრის ძარღვებზე დასჭიმვოდა.

ახლო მანძილიდან გასროლილი ტყვია რკინის კარს გამეტებით ებეგრა.

მოძალადე ნაგანის ლულას ჩასცქვროდა — იქიდან ქვესკნელის სიბრმავე და უნაპირო მორევი უშვრდა.

შუა ზღვაში ჩამძირული გემიდან ნაფოტს შერჩენილი მეზღვაურივით უმწყო მამაკაცი კიბეზე უთავბოლოდ დაეშვა...

ც რ ე მ ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყანა მალაყებზე გადავიდა. თავიდან თითქოსდა სასიკეთოდ აღმართული ბარიკადები მალე შეუნელებელი ნგრევის ასპარეზად იქცნენ. თავიდან თითქოსდა ერთმანეთისა და საყოველთაო ტკივილთა დასანახად მოპოვებული მიტინგური სითამამე ერთმანეთისა და საკუთარივე ქვეყნის გამძაფრებული დაუნდობლობისა და კორტნის ენერგიად იქცა.

ბიჭი თავიდანვე გულწრფელი მემბოხე იყო. მთელი მისი თაობა იყო უანგარო თავდადებისთვის შემზადებული. მათ თითქოსდა საკუთარი თავი და სრულფასოვანი არსებობის ფორმა იბოვებს — პიონერული ყელსახვევის შებნევისას თავსმოხვეული ყალბი ფიცია: „სსრკ ჩემი სამშობლოა“, მათ შეგნებაში ახალი, ნამდვილი ფიცით შეიცვალა: „ენა, მამული, სარწმუნოება!“ თავიდან თითქოსდა სასიკეთოდ ისმოდა ყველა ლოზუნგი. მალე: ყველა ლოზუნგი ლოზუნგადლა დარჩა და დიდი ხნის ეკუთვებულმა საყოველთაო ენერგიამ ავი სადინარი არჩია.

ბიჭი თავიდანვე ყველა მიტინგზე გულწრფელად ორატორობდა. ამბობდა იმას, რაც სჯეროდა. სჯეროდა მხოლოდ სიკეთე და თავისი ქვეყნის უკეთესი მომავალი.

მერეც, როცა მიტინგები ურთიერთშეურაცხყოფისა და ურთიერთშეუწყნარებლობის საშუალებად იქცა, ბიჭი კვლავ გულის სიმართლეს მიჰყვებოდა. თან, გონების ნათელ ნააზრევზეც არ იყო მწყრალად და მთელი მისი გულმხურვალე აზრი თანდათან გახლეჩისაკენ მიდრეკილ საყოველთაო ცნობიერებაში რამე შედიუმის პოვნას ცდილობდა.

ერთ-ერთ მიტინგზე თავისი შერბილებული შეხედულება გამოთქვა მიტინ-

გური ფსიქოლოგიის მიერ სამშობლოს დალატად მიჩნეულ ერთ მოსაზრებაზე. იმ მოსაზრებას არც თვითონ ეთანხმებოდა, მაგრამ ბიჭზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა ურთიერთგამეტების შეუნელებელი ყინი და ამ ალტკინების განელება სურდა. განსაკუთრებით ქალების აღგზნებული თავგამოდება ზარავდა — მისი იდეალი არახოდეს ყოფილა მემომარი, მებრძოლი ქალი. ხუმრობანარევი სერიოზულობით ხშირად ამბობდა:

— მათა წყნეთელი შინ რომ დარჩენილიყო და ქალის საქმე ეკეთებინა — შეილები ეზარდა, საქართველოს რამდენიმე კარგი მემომარი კიდე შეემატებოდა. ღირსეული დედობა უფრო დასაფასებელია. ან: მეფეს, თანაც, სათაყვანებელ, საყვარელ მეფეს შაქარყინული როგორ უნდა მოპარო?

იმ მიტინგზე სიბრალულისგან დაცლილი ქალების მრისხანებას შეეჩხება და გაოგნდა.

პირველი სიტყვისთანავე ივრძნო, რომ მომიტინგეები მისადმი მტრულად განეწყვნენ. წინა რიგებში მდგომი ქალები ბიჭისკენ დაიძრნენ. ბნელოდა და ბიჭი მათ თვალებს ვერ ზედაედა. სიკვდილის არ შეშინებია — შემზარავი მხოლოდ ქალების მზადყოფნა იყო — ჩაქოლათ ადამიანი იმისათვის, რომ... მათ აზრს არ იზიარებდა.

ბიჭი ატირდა. თვალებიდან ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები და ნიკაბიდან გულისპირზე ეღვრებოდა სუსხიან ნაკადულად. პიჯაკის საყელი უნებლიედ აიწია და უღმობელი გულების ზღვაში ჩაძირული საკუთარი ქვეყანა ღამის სიბნელეში ზემდინევენით ნათლად დაინახა.





მადლობა უფალს, რომ შემახვედრა
ცხოვრების გზაზე კაენს, ფვარეფვარეს,
ეს შერგო, ალბათ ბედად და ხვედრად,
წუხუხვარ რომ მტერი ვერ შევიყვარე.

ვერ გავეჩქეცი მოწოლილ სევდას.
დაბლაც დავეშვი, მაღლაც ვიცოცე,
თვალს გავადევნებ მოქუფურულ ზეცას
და მოსაწყენი ხდება სიცოცხლე.

ხევი და მინდორი, გაშლილი ნახირი,
პატარა სოფელი; წვალება ჯახირი,
შაშვების ჭახჭახი და დელის ჩხრიალი...
თოვლი და დათვები და თოფის გრიალი...

დაბმული ვნებები, დარდი და ღვინის
სმა...
რა ხდება სოფელში, რა იცის
თბილისმა...

გარმონს გაწელავს და მღერის
თათარაიძის ქალია,
თვალეს მიხნიდავს, მილულავს
თავისი ლექსით მთვრალია.
ყელს მოიღერებს ამაყად,
ვით გავსებული მთვარეა,
ლექსით და პანგიით აივსო
თუშეთის არემარეა.
მისმა სიმღერამ ტყეებში

ნადირ-ფრინველი არია,
გამოაცოცხლა სულდგმული
და აუხილა თვალთა.
ლექსში გაისმის ქებაი
მოქუფხვს ალაზნის წყალია;
მთას შეჰყენია მრავალი
ცხვარი, ძროხა და ხარია,
ასეთი არის თუშეთი.
რა ჰქნას, რა მისი ბრალია...

ულელში შებმულს, რაც ბედად მერგო,
ჯერ არ შემხსნია აპურები,
სულით და ხორციტ შენი ერთგული
ხშირად სიზმარში გესაუბრები.
მძიმე ტვირთისგან კისერდაკოჭრილს,
მოხიბლულს შენი მთით და მდელითი,
ადრე თუ გვიან ზომ უნდა მეთქვა -

ვკვდებოდი, რადგან შენ ვერ გშველოდი.
სისხლისგან დაცლილს და
ფრთამოტეხილს.

ჩემო დარდო და ჩემო ვარამო,
ჩუმი ლექსით და ჩუმი გალობით,
ვცდილობ, დაგადო გულზე მალამო.

დიდება შენდა, რომ ამამღერე
და ამიხილე გონების თვალი.
დამღევს ბარბაცით ვით ორეული,
ღანდი ჩემივე სიმღერით მთვრალი.

ასე ვიმღერებ ალბათ მანამდე,
ვიდრემდე სული მოწყდება სხეულს,
ოღონდ სიმღერა არ გამიწყვიტო,
ღმერთო, ამას გთხოვ ნუ მომკლავ
წლელს...

სალოხავი

მოთხრობა

მეგობარი შწერლის ზადრი
ჭობონელიძის სხოვნას

სოფელი მთის ძირას, მწკანეში იყო ჩაფლული. ადრე ეს სოფელი ქვეყნიერებისგან მოწყვეტილად ითვლებოდა. ამიტომაც გახლდათ დასაფიქრებელი და გასაკვირიც კი, თუ რამ მოიყვანა აქ ებრაელობა — ირგვლივ ხომ არანაირი დასახლება არ იყო. აქაურებს, გარდა მიწაზე ოფლის ღერისა, ოჯახის შენახვისათვის არა საშუალება არ ჰქონდათ — მეზობელი სოფელი კი შორს იყო. იმ სოფელში რომ ჩასულიყავი, მთა უნდა გადაგეარნა, მის გადავლას ერთი დღე არც ჰყოფნიდა — გამთენიის ხანს ოჯახიდან გასულნი, ღამის პირზე უღელტეხილზე მდგარ ქოხს თუ მიაღებოდნენ, ეს იყო და ეს! ღამეს იქ, იმ ქოხში ათევდნენ და ირიქრატებდა თუ არა, ისევ გზას გაუდგებოდნენ ხოლმე. ცხენი თითო-ოროლა კაცს თუ ჰყავდა. არადა, სოფლიდან გაუსვლელიობა არ იქნებოდა — სარჩო-საბადებელი ერთობ ჭირდა. ყოველივე ამის გამო ზოგიერთი სწავლული მიიჩნევდა: ამ დაბაში ებრაელთა ცხოვრება გვიდასტურებს იმას, რომ ებრაელნი ოდითგანვე მიწათმოქმედი იყვნენ. თუ არა მიწათმოქმედებით, ამ სოფელში თავის რჩენა სხვა რით შეიძლებოდაო.

ეს ვველაფერი ადრე იყო, სანამ ამ სოფელში ჩავლილ ერთ რუს გენერალს არ გაუჩნდა აზრი, რომ სოფელზე დიდი გზის გაყვანა ძლიერ შეამცირებდა მანძილს ქუთაისიდან თბილისამდე და სამხედრო ალაფის მოკლე გზით ტარება დიდ დანაზოვს მისცემდა ხაზინას. იმ ცხოვრებული გენერლის სიტყვა და საქმე ერთი ყოფილა — რუსმა ჯარისკაცებმა ორიოდ წელიწადში ისეთი გზა გაიყვანეს, მთელი სოფელი იმ გენერალს და მის ოჯახს ლოცავდა. გზამ მისვლამოსვლა, აღებ-მიცემობა გააიოლა. სოფელიც უცებ გაიზარდა — უბნებიც კი შეიქმნა. ქუთაისში გასვლაც აღარ იყო რთული საქმე. ხოლო ის დასახლებული პუნქტი, რომელიც ქუთაისთან ახლოს იყო, მთელ ქვეყნიერებას უკავშირდებოდა, რადგან ქუთაისი დიდი ქალაქი გახლდათ — იქ კიდევ იყიდდი და კიდევ — გაყიდდი. ვველაფერმა ამან განაპირობა, ის, რომ სოფელი რამდენიმე წელიწადში სამაზრო ქალაქად გადაიქცა. ეს ერთობ ღამაზი, თეთრ გედს მიმსგავსებული ებრაელთა სალოცავიც, სინაგოგა, ანუ ბეით ქნესეთი — სახლი შეკრებისა — როგორც ებრაელები ემაზიან, იმ წლებში ააშენეს. მანამდე ებრაელები ერთ უბადრუკ ფიცრულში ლოცულობ-

დნენ და ნამდვილი ბეით ქნესეთის აშენება ფიქრადაც კი არავის მოსდიოდა. ვხამ ხალხს ქვეყანა დაანახა — ზოგი ოღესამი გავიდა; ზოგი — სტამბოლში, ზოგი კი უფრო შორს. მაგალითად, იოსების მამას — იეზიზკიელს — ვარშაიდან დაქონდა საქონელი. სწორედ იეზიზკიელს უთქვამს, სირცხვილია ჩვენი ჯამაათი ამნაირ ფიცრულში აღიდებდეს გამჩენს, ჩვენი სეფერთორები! ამ ქოხში ბინადრობდნენო. ორიოდ კვირის შემდეგ კი ვალაცას უთქვამს: ხომ ნახეთ, ქუთაისელებმა როგორი ბეით ქნესეთი ააშენეს, ნუთუ, არ დადგა დრო ჩვენც ჩავეწეროთ ხალხის სიაშიო?!

ამ ქალაქადქცეულ, ჯერ კიდევ დიდი სოფლის მცხოვრებთა შორის, ქართველი იქნებოდა თუ ებრაელი, ქუთაისი ავტორიტეტით სარგებლობდა — ბამადნენ კიდევ ქუთაისელთა ყოფას. ამ წამხედურობას სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია მათთვის. ამჯერადაც ასე მოხდა.

ორიოდე ძვის შემდეგ რაფიელ შამაშვილმა ისე დასვა საკითხი („პატრიარქოლო ჯამაათო, თუ რომელიმე თქვენგანს არ სურს ახალ, სახენათელ სალოცავში აღიდებდეს და მსახურებდეს გამჩენს, აკერ ვართ ყველა და ბრძანეთ, თუ არადა, ვახსენოთ ღმერთი, შეუდგეთ საქმეს!“), რომ მალე დაიწყეს და ორ წელიწადში ააშენეს კიდევ სალოცავი. მას მთელი ქალაქი აკებდა — არა მარტო ებრაელი, ქართველიც, არა მარტო მოზრდილი, მოზარდიც. ეგ არის, რომ ხის მოხელენი — დურგლები ჩამოიფყანეს ქუთაისიდან. აქაურმა ხელოსნებმა ზეში ვერაფრით გამოიფყანეს დავითის ვარსკვლავები და მენორები. სალოცავის ასაკები მთავარი მასალა — თეთრი ქვა მეზობელი სოფლებიდან ურმებით მოხიდეს. ფერადი შუშები იეზიზკიელმა ვარშაიდან ჩამოიტანა. ხოლო მეორე ჩამოსვლაზე სამოცი ოქრო დაუტოვა შალომიას (ფული

მასთან გროვდებოდა), მეირმა, კი სეფერთორების შესამოსად და ფარდობითად ვის ისეთი ქსოვილები გამოვზავნა ოღესიდან, რუსეთის იმპერიაში ბარე ორ სალოცავში არ იქნებოდა.

მალე გამოჩნდა, რომ ამ ქალაქის ებრაელებმა მიზანს მიადწიეს — დიდებული სალოცავი ააგეს. იქნებ, ბევრ სხვასაც, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ქუთაისის ბეით ქნესეთს ათახზის სჯობდა. რაკი ეს დადასტურდა, რაკი ქუთაისელებმაც აღიარეს ჩვენსას თქვენმა აჯობაო, სიხარულით ცას ეწივნენ, ქართველებს კი სიამაყის გრძნობა გაუორკვედათ. თავად როსტომის ისიც უთქვამს „რაგა, ვინმეს ეჭვი ეპარებოდა ქუთაისლებს რომ ვაჯობებდით?“ ასე რომ ამ სალოცავით ქალაქის ყოველი მცხოვრები ამყობდა, ხოლო ისინი, ვინც აქედან ქუთაისში, ან სულაც თბილისში გადასახლდა, კითხვაზე საიდან ბრძანდებითო, წელგამართლნი და შუბლგახსნილნი მოუკებდნენ: აი, ებრაელთა დიდებული სალოცავი რომ დგას, იმ ქალაქიდან ვართო.

სალოცავი ქალაქის ღირსება გახდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სამაზრო ქალაქი, რაიონულ ცენტრად გადაკეთდა. რაიონულ ცენტრში მალე რკინიგზაც მოვიდა. რკინიგზამ ათასი ჯურის ადამიანი მოიყვანა ქალაქში. ამ ადამიანებმა ქალაქს სახე უცვალეს. მაშინ კი აბუზლუნდნენ ხანდაზმულნი: „ხომ ხედავთ, რამდენი რამ არიეს ბოლშევიკებმაო“, — უმთავრესად ზნეობრიობის დაქვეითებას უჩიოდნენ.

ვერ ვიტყვიოთ, რომ ხანდაზმულნი მართლნი იყვნენ. ამ ქალაქის მცხოვრებნი კვლავ ძველებურად ცხოვრობდნენ — მეზობელი მეზობელს კვლავ პატივისცემით ექცეოდა, ქართველნი და ებრაელნი ისევ კეთილმეზობლურად იყოფდნენ ჭირსა და ღზინს. ზოგჯერ კი იყო ხოლმე უშნო ლაპარაკი („ღორის ზორცს რატომ არ ჭამთ!“ „შაბათს ცეცხლს რატომ არ ანთებთ?!“, მაგრამ ამნაირ კაცს უცებ დაუკარგავდნენ ხოლმე დაცინვის ხალისს — თავისივე მეგობარ-ამხანაგე-

თორის — მოსეს ხუთწიგნეულის გრავირი.

ბი შეუტევდნენ. გარდაცვლილს კვლავაც მთელი ქალაქი აპატიოსნებდა, ქორწილებშიც გათენებამდე ისე იღხენდნენ, აუგი არავის წამოსცდებოდა. დრო რომ გავიდა, ერთმანეთი კარგად რომ გაიცნეს, ქუთაისელებიც და თბილისელებიც ძალიან მიეტჩანნენ აქაურ ქალებს. ეს იმიტომ რომ აქაურმა ქალებმა ამ ქალაქებში კარგი სახელი დაიკავეს — პატიოსანნი, გამყვნი, ოჯახის ერთგულნი და დედამთილ-მამამთილის მოამაგენი არიანო.

ცოტა მოგვიანებით, რკინიგზის გაყვანიდან 10-15 წლის მერე, შესამჩნევი გახდა ერთი კარემოება: თუ ადრე მიცვალებულს მთელი ქალაქი პატირონობდა, ახლა მიცვალებულისათვის ვველას არ ეცალა — მხოლოდ ახლო ნათესაელები და მეგობრები აპატიოსნებდნენ, მთელი ჯაფაც მათ კისერზე გადადიოდა, უბნის მცხოვრებნი კი დინჯად მიაცილებდნენ იმ გზაზე, რომელსაც საშუალოდ სასუფევლში მისულს არავინ ჩქარობს — არც ბრძენი — ხაზამი, რომელიც რელიგიის ერთგულებას ჩასძახის ყოველ ებრაელს, და არც — ხეპრე, რომელსაც არც ამ ქვეყნისა სწამს რაიმე და არც — იმ სოფლისა.

ქორწილებში სხვაგვარად იყო — ქორწილისათვის სამზადისისას მექორწინეს ნათესავ-ახლობლები ედგნენ გვერდით, მოწვეულნი კი თითქმის უკლებლივ მოდიოდნენ. ეგ არის, რომ ახლა ხალხს უფრო ყურადღებით, გამორჩეულად ეპატიუებოდნენ. თავიდათავი რაიონში სასახელო, შეძლებული ადამიანების დაპატიუება იყო. მაგალითად, ეხისკელაშვილს სიაში არავინ დასწერდა პირველს, შეძლებით არა უჭირდა რა, გამართული ოჯახიც ჰქონდა და ცოლ-შვილსაც რიგიანად აცმევდა, მაგრამ ისეთი ჭაჭყანი, უაზრო ლაპარაკი იცოდა, ერიდებოდნენ, არც გაბრიელაშვილს — ბაზართან წულებს რომ კაცი კერავს, სუფრის თავში რა წამოსასკუბებელი არისო. ბედი უნდა ვველაფერს, თორემ ამ ქალაქში ან წულებს კერავდნენ ებრაელები, ან ქუდეებს, ან გზაიან

წყალს ყიდდნენ! აი, აბრამიკო ^{ეპიკო} და აქონების კი... აბრამიკოს საფუძვლიანი ^{ეპიკო} სების ტყავის გადამამუშავებელი საამქროები აჭმევდნენ პურს რაიონის მოსახლეობის ერთ ნაწილს. ამიტომ იმათ პირველს სწერდნენ სტუმართა სიაში. ეს ოთხი-ხუთი წელია ამათ შორის იაკობიც ჩადგა.

იაკობი, რაიკომის მდივნის, დიმიტრი ლუარსაბიშვილის კლასელი იყო. ადრე რაიკავშირის რიგითი ეკონომისტი, ახლა უკვე თავმჯდომარე, კარგი სპეციალისტი და ნაკიბი კაციც გახლდათ. რაიონში მისი გავლენა ისე სწრაფად იზრდებოდა, ამოვლიდნენ, აბრამიკოსა და იოსებს კიდევ ეშინიათო მისი. ეს იმიტომ, რომ დიმიტრი ლუარსაბიშვილი ძალიან ენდობოდა. ასე იყო თუ ისე, ამ სამ კაცს ვველა ეპატიუებოდა — ქართველიცა და ებრაელიც — ცხადია, თუ შეპბედავდნენ. ესენი კი ქართველთა ოჯახებში მომღიმარნი შედიოდნენ, განსაკუთრებით იოსები და აბრამიკო. იოსები და აბრამიკო ქართველთა ოჯახებში არასოდეს შევიდოდნენ ისე შუბლ-შეკრულნი, თავიანთი ძლევამოსილებით კმაყოფილნი, როგორც ებრაელთა ოჯახებში. თუმცადა, არც ღვინოს, არც საჭმელს პირს არ დააკარებდნენ — ღმერთი გვიკრძალავს არაებრაული წესით დამზადებული საჭმელის ჭამასო. ნეფე დედოფალს დალოცავდნენ, მათი ღირსებისათვის საკადრის საჩუქარს მიართმევდნენ და ცოტა ხანში უკან გამობრუნდებოდნენ. მათი ეს ჩვევა ქართველთა ოჯახებში კარგად იცოდნენ და არც უკვირდათ. იაკობი კი ხულ სხვაგვარად ირჯებოდა — ქართულ ოჯახებშიც ისევე ეჭირა თავი, როგორც ებრაელთა შორის — თუ ახლობელი იყო, ახლობლობდა — ზუმრობდა, სვამდა, ქეიფობდა. ერთი სიტყვით, იქაც და აქაც ერთნაირი კაცი იყო.

იოსები და აბრამიკო ებრაელთა ოჯახებში ღამის შუბლშეკრულნი („აპა, ხომ ხედავთ, როგორი უბრალო ხალხი ვართ, თქვენთანაც კი მოვედით“), მედიდური იერით შედიოდნენ, ქორწილს, თუ ნათლობას მიულოცავდნენ, საჩუქარს

ზიართმევენ, პირში ლუკმას არც აქ ჩაიდებდნენ („აბა, ამის დრო სადა ვაქვს“) და უკან გამობრუნდებოდნენ: მთავარია ჩვენი ვალი მოვიხადეთო, მაგრამ თუ აბრამიკოს იოსების, ან პირიქით, იოსებს აბრამიკოს დათრობით „დაჩაგვრის“, ესე იგი, თავისი აშკარა უპირატესობის დადასტურების სურვილი გაუჩნდებოდა, ან რაიკომის ბიუროს რომელიმე წევრს დაინახავდნენ სუფრაზე, ან იაკობის მოფერებას ჩასთვლიდნენ საჭიროდ, ამ ბოლო დროს კი ამის აუცილებლობას ხშირად გრძნობდნენ, იტყოდნენ: ნუფე-პატარძლის გამხარულებას ღმერთი გვაკვალებს, აქედან ასე გასვლა არ იქნება, ერთი-ორი ჰიჭა უნდა ავწიოთო და სმას მოჰყვებოდნენ. ქეიფი კი ჩინებული იცოდნენ. სიტყვას ძალიან ემოციურად იტყოდნენ და სიმღერა ხომ ისეთი შეეძლოთ, მსმენელნი, ქართველნი იქნებოდნენ, თუ ებრაელნი, ტკბებოდნენ.

იაკობი კი, როგორც უკვე ვითხარით, ლხინის მოფეარული კაცი იყო — არტახებაშვებული, შინაგანად თავისუფალი, ლალი. ეს თვისება სიტყვაშიც ეტყობოდა, ხმაშიც და სიმღერაშიც.

— დღეს დიდ ფულს შოულობს და იმიტომ არი ასე, მაგრამ, მაგან არ იცის — კომუნისტები არაფერს არ შეარჩენენ! — იტყოდა ხოლმე აბრამიკო.

იოსები უფრო თავშეკავებული იყო, მას შეეძლო საკუთარი აზრების დაფარვა. იგი გულში გაივლებდა ხოლმე: „დღეს კი შოულობს ფარას იაკობი, მარა, რად გინდა? ბოლო ხო ერთია — ესენი გამოვინებენ და ერთ დღეს ძმრად ამოგადენენ“.

სუფრაზე იმდენად ჩინებულნი იყვნენ, არაერთხელ უთქვამთ, ესენი ნამდვილი არტისტები არიან, აბა, ამათზე უკეთესად ჩვენი რაიონის რადიოში რომელი მღერისო. ამის გაგონებაზე მიხაკო კეტაშვილი ბრაზით იტყოდა ხოლმე:

— მე რომ მაგოდენი ფული მომცა, ისე ვიმღერებ, ქვეყანას გადავრევი! — თუმცა, მიხაკოს არც ხმა ჰქონდა თავისი ქაღილის შესაფერი და არც — ნიჭი. ასე მიდიოდა რაიონის ებრაელობის

ცხოვრება მანამ, სანამ ერთ-ერთი მქორწინებელი დღეს იოსებმა, ერთ-ერთი მქორწინებელი ხელში, სრულიად შემთხვევით, დასაბატიყებელთა სიას არ დახედა. დახედა და ელდა ეცა: სიაში პირველი იაკობი ეწერა. მერე იყო აბრამიკოც და იოსებიც. ორიოდ კვირაში კი ერთ-ერთ სუფრაზე ჯერ იაკობის სადღევრძელო მოწიწებით რომ წარმოსთქვეს და მერე იოსებისა და აბრამიკოსი ერთად, იოსები დარწმუნდა: ამ ქალაქის ებრაელობისათვის პირველი კაცი იაკობი გამზდარიყო. და თუ ეს ასე იყო ამ ქალაქის ებრაელობისათვის, ასევე იქნებოდა მთელი საქართველოს ებრაელობისათვის.

დრო გადიოდა და იოსები თანდათან რწმუნდებოდა: იაკობს დიდ პატივს სცემდნენ — სხვა ქალაქებში, ქორწილებსა თუ ნათლობებში შემხვედრნი იაკობს გულით მოიკითხავდნენ, ყველგან მას ეპატიყებოდნენ, კეთილად ახსენებდნენ და განსაკუთრებულად, ხაზგასმით ადღევრძელებდნენ.

რაც უფრო რწმუნდებოდა იოსები, ხალხი მეტი პატივისცემით იმსჯელებდა იაკობის მიმართო, მით უფრო იცვლებოდა. იოსების ამ ცვლილებას დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა: ერთობ თავშეკავებულად, მოკრძალებულად კი იქცეოდა, თუ რაიმეს იტყოდა, ათასგზის ბოდიშს მოიხდიდა, რაიონის მოსახლეობამ თუ მეორე პლანზე გადასწია, თავად მეზუთე პლანზე გადაჰყავდა თავისი თავი. ძალიან უშუამჩნეველ, უძლურ, დაჩაგრულ კაცად კი გაჩვენებდათ თავს.

ერთხელ, როცა იმ მზით გაბრწყინებულ ბეით ქნესეთში ფესახისათვის მაცის გამოცხობის ხაკითხზე მსჯელობდნენ, მენაშე მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რას ბრძანებ, იოსებ, როგორ გადავწყვიტოთ ეს საკითხი?

— აბა, მე რა ვიცი, მენაშე, მე რომ მაგდენი შემეძლოს, აქ კი არ ვიქნებოდი.

— შენ რომ იცი და შეგიძლია, იოსებ, ბარე ათ კაცს გასწელება, — გაიღიმა მენაშემ, — შენ თუ არა, სხვას ვის ვკითხოთ რჩევა.

— რაიონის მთავარ ებრაელს, — ძალიან სერიოზულად, ხაზგასმით წარმოხსენებდა იოსებმა.

არავის უკითხავს, ვინ არის რაიონის მთავარი ებრაელი. ყველა მიხვდა ვის გულისხმობდა — ვინ არის რაიონის მთავარი ებრაელი და ვის უნდა ჰკითხონ რჩევა. ამან კიდევ უფრო გააღვიძინა იოსები. ამ დღიდან კიდევ უფრო მეტად შეაფარა ჩრდილს თავი. იაკობი კი სულ სამზოვზე იყო. აბრამიკო ბრახობდა: ყველაფერი იაკობის გადასაწყვეტი რატომ უნდა იყოს, ან ეს იოსები რატომ გავეიბის ასეო. აბრამიკო ვერ ხედებოდა, თუ საით მიჰყავდა საქმე იოსებს: თუ გინდა მოწინააღმდეგე დამარცხო, იმაზე მეტად უნდა წარმოაჩინო, ვიდრე არის, ამით იმდენ მოშურნეს გაუჩენ, დამარცხება არ უნდა გაგიჭირდესო. ეგ კი არა, ერთხელ ვანო გიორხელიძესთან ისიც კი ჩაილაპარაკა „ტყუილად დარბიზარ ექითაქეთ, იაკობთან რომ მონახავდე საერთო ენას, ორ დღეში გაგიკეთებს მაგ საქმეს — ორ დღეში გახდება პურის ქარხნის დირექტორი, ხომ იცი, ლუარსაბიშვილი, ჩვენი პირველი მდივანი, უმაგისოდ ნაბიჯს არ დგამსო“.

იოსებს ძალიან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა რაიონის მილიციის უფროსთან — საამქროს რომ შეუფერხებლად ემუშავა, მილიციის უფროსის კეთილგანწყობა აუცილებელი იყო. ალბათ, ამიტომაც მოადგა ერთ დღეს პეტრე: „მიშველე, ჩემმა ბიჭმა სადგურში ვიღაცა სცემა, ხუთი წლით პატიმრობისთვის ამზადებენ, არაფერს არ დავიშურებ, ოღონდ მიშველე“.

იოსებმა მეგობრული რჩევა მისცა: მაგ საქმეს იაკობი თუ გააკეთებს, ხომ იცი, როგორ არის ლუარსაბიშვილთან (მილიციის, სამხედრო კომისარიატის უფროსთან) მაგის ერთი სიტყვაც საკმარისიაო.

ერთი სიტყვით, იოსების შემწეობით, იაკობს ყველა რაიონის მთავარ ებრაელად მიიხსენებდა, თუმცა, არავინ იცოდა არსებობდა თუ არა ამნაირი წოდება. იაკობს რომ უთხრეს, რაიონის მთავარ

ებრაელს ვეძახიანო, გაიცნე, დე, შენცა: ვიღაცამ იციგნა, ალბათ! მერე ეწოდებოდა: ებრაელობისათვის მთავარი მათი სულიერი წინამძღოლი — რაბი არისო.



რაიონში, მართლაც იყო პიროვნება, რომელსაც ყოველი ებრაელი დიდი პატივისცემით და მოწინააღმდეგეობით კი ექცეოდა — რაბი დავითი. თეთრწყვრა, ცისფერთვალეა, ძვალმსხვილი, შთამავონებელი მზერისა და საუბრის კაცი. ამ რაბის სულიერ სამწყვსოში ყოფნას ქუთაისსა და თბილისშიც ბევრი ნატრობდა — იმ ქალაქებში, რომლებშიც დიდებული მოძღვარნი ჰყავდათ, მაგრამ რაბი დავითი ამ რაიონს არ სტოვებდა. სწორედ ამ რაიონში, მაშინ ვერ კიდევ მახრამში, გამოუგზავნიან იერუსალიმის ქართველ ებრაელთა თემს: იქ ჩადი, ჩვენს ძმებს მიეშველე, თორის ცოდნა გაიღრმავონ, ახალმა დროებამ არ წახადინათო. საქართველოში ორიოდ წელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შესცვალა მისი გეგმები — ამ არეულ დროში ძმებს ვერ მივატოვებო. მერე დავით ბააზოვს ეხმარებოდა ებრაელთა რეპატრაციის საქმეში. აი, იმ ჯგუფს უნდა ვაპყლოდა — 1925 წელს ისტორიულ სამშობლოში მიმავალ ქართველ ებრაელთა ჯგუფს — დავით ბააზოვმა რომ გაუკაფა გზა, მაგრამ მოულოდნელობამ დასტოვა — ხელისუფლებამ, თითქოს ჯიბრზეო, სწორედ მაშინ გასცა ებრაელთა წახვლის ნებართვა, სწორედ ისეთი ვადები დაუთქვა, რომ ვერაფრით ვერ გააღწია — იმ დღეებში შეუძლებს შესამე შეიღზე უნდა ემშობიარა. მშობიარე ქალის ამოდენა გზაზე გემით წაყვანა ვერ გაბედა. თან ის სულმნათი, დავით ბააზოვი ემუდარებოდა: „ხომ ხედავ, ჩვენს ხალხში საზოგადო საქმე არავის უნდა, ყველა თავის ქვაბზე ზრუნავს, ცოტა ხანს კიდევ დარჩი, დამუხმარეო“. ვეღარ წაყვიდა — ვერც იმ სულმნათს უთხრა უარი და ცოლის გემ-

ზე მშობიარობაც არ იყო აგრე იოლი საქმე, მაგრამ ის რომ სცოდნოდა, ამის შემდეგ მთავრობა რეპატრიაციას აკრძალავდა, გემით კი არა, ფეხით წავიდოდა, ცოლსაც ხელში ატატებულს წაიყვანდა.

მასზე ამბობდნენ, რაბი დავით ბენ იუდეამ იმდენი იცის, რაც სხვა რაბებს არც დასიხმრებიანთ, მისმა მეუღლემ კი უფრო მეტიო. მეუღლე, კი ერთობ უცნაური ჰყავდა — სახლიდან თითქმის არ გამოდიოდა, დღისით, თუ ღამით ბიბლიას, თალმულს ჩაჰკირკიტებდა, ქმარსა და შვილებს ებრაულ ენაზე ელაპარაკებოდა.

რაბი დავითი რაიონის ებრაელობას ორ ნაწილად ჰყოფდა: მეცნიერებად და უმეცრებად. მეცნიერებს თორის კარგ მცოდნეთ ეძახდა, დანარჩენი კი ყველა უმეტარი იყო — მდიდარიც, ღამაზიც, ახალგაზრდაც. აქედან გამომდინარე, მისთვის აბრამიკო, იოსები და იაკობიც კი ორ ნაწილად იყოფოდნენ. იაკობს ერთხელ უთხრა კიდევ:

— შენზე ამბობენ, რომ ფულისა და თანამდებობის პატრონი ხარ, მაგრამ მე მაინც მეცოდები.

იაკობმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა მჭირს საცოდავი, რაბი, ნეტავი, ჩემი შვილები იყვნენ ჩემსავით!

— ღმერთმა ნუ ჰქნას, იაკობ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ შენი შვილებიც შენსავით ღარიბები იყვნენ!

— ღარიბები?! — იაკობის თვალებიდან სიხარულის სხივი იფრქვეოდა, — მე ვარ ღარიბი?!

— ღარიბი ხარ, ჩემო იაკობ, რაც არ უნდა დიდი ქონება და თანამდებობა გქონდეს, ღარიბი ხარ! თორის უცოდინარი კაცი ყველა ღარიბია!

აი, ამ სიტყვების ვაგონებაზე კი ჩადა იაკობის თვალებში სევდა. რაბი დავითი მართალს ამბობდა: იაკობმა თორა არ იცოდა. მის ბავშვობაში არავინ იხრუნა იმისათვის, რომ დედითა და მამით ობოლ იაკობს თორა ესწავლა, ამიტომ აქ, ამ დიდებულ სალოცავში, რომ შემოვიდოდა, თავს უმწყოდ ვგრძნობდა —

მთელი ჯამაათი იოსებისა და იაკობის კოს ლოცვას უწყობდა ხმას. იაკობს იცოდნენ ეს გარეობა და როგორც კი იაკობს სალოცავში დაიგულვებდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი კარგი ვალობით მისთვის ეთქვათ: იქ კი ხარ კაი ბიჭი, შენი რაიკომის მდივნის ზურგით, მაგრამ, ებრაელი კაცისთვის მთავარი ლოცვა არისო.

ამ ბოლო ხანს იაკობი თავისი ცხოვრების ამ ნაკლს ძლიერ განიცდიდა. რაბი დავითს კი არაფერი არ გამოუპარებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ერთხელ ასეთი წინადადება მისცა იაკობს:

— თორის სწავლა არასოდეს არ არის გვიან. შენ თუ იცი, რაბი აკივამ რამდენი წლისამ დაიწყო თორის სწავლა? 40 წლის იყო, ისე ისწავლა, იმდენი შრომა დაგვიტოვა, 19 საუკუნეა ვაგბსოვს. დაიწყე თორის სწავლა, ვაის ამ დროს იმდენი გვეკოდინება, სულ, სხვა, უფრო მდიდარ კაცად იგრძნობ თავს.

იაკობი რაბი დავითის წინადადებას ჩაუფიქრდა: იქნებ, მართლა დავიწყო თორის სწავლაო. ამ თემაზე ფიქრიც კი ახალისებდა, უფრო მსუბუქად დააბიჯებდა. ეგ კია ყოფმანობა — იმაზე ფიქრობდა დიმიტრი როგორ შეხვდავს ამ ამბავს, რაიკომის პირველ მდივანს რამდენად ვაეხარდება ის, რომ ახლო მეგობარი და რაიკაეშირის თავმჯდომარე ყოველდღე სალოცავში, რაბისთან დადის თორის შესასწავლადა. თან ეს თავმჯდომარე და მეგობარი კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

— ამ პატარა რაიონში რა დაიმალევა, სამ დღეში გაიგებს. მეც არ უნდა დაეუმალო. კიდევ დაეუმალო, გამოინახება ხალხი, რომელიც უცებ ჩაუკაკლავს, შენი მეგობარი ასეთ გზას დაადგაო, ვონების ოპიუმს — რელიგიას მიჰყვაო, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაცვლად ობმოდებულ წიგნებს კითხულობსო. ვინ ეტყვის? აი, პროკოფი ეტყვის, გაჰკენწლავს კიდევ, ჩემი მოადგილე ეტყვის, გასაგებია, რატომაც, თუ იოსებმა არ მიასწრო. რატომ იზამენ ამას? იმიტომ რომ, ჩემი

ადგილი დაიკაონ. მე რომ ახლა თორის შესწავლა დაეწყო, გლახა დღეში ჩავაგდებ დიმიტრის, იქნება, პარტიული საყვედურიც კი მიიღოს. ესეც არ იყოს, რაღა დროს ჩემი სწავლაა — რა ხანია ოცდაათი წელი შემისრულდა.

— აი, ასეთი ფიქრები დასტრიალებდა თავს იაკობს და ამის გამო ვერაფერი გადაეწვიტა. ახლაც, ამ წუთშიც, ჭალაში რომ მიდიოდა, ამაზე ფიქრობდა.

ჭალაში, მდინარის პირას მეგობრული სუფრა იშლებოდა. თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს სადილს უმართავდნენ.

მეოთხე ჭიჭა რომ დალიეს, იაკობმა სიმღერა წამოიწყო. მთელი სუფრა აპყვა. „მრავალქამიერი“ ისე დააგუგუნეს, კირილე პაჭკორიასაც კი შეშურდებოდა. ვიღაცამ ტაში დასცხო, ვიღაცამ „ყოჩაღო“ წამოიძახა, ვიღაცამ „შენი ჭირამე, იაკობ, რა ყელი გაქვსო“, — უთხრა. ვანო გიორხელიძემ კი, აი, იმ ვანომ, რომლის თაობაზეც ამას წინათ დიმიტრი ლუარსაბიშვილს ეხვეწებოდა, იქნება მართლა დანიშნო პურის ქარხნის დირექტორად, ძალიან უნდა კაცსაო, დიმიტრი კი გაიძახოდა, სადაც გავგზავნე, იქ რა სიკეთე დააწია საქმესო, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შეხედე შენ ამ ურიას, რა კარგად მღერის ქართულ სიმღერებს?

თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა-მეთქი, იმიტომ ვითხარით, რომ ამ ათკაციან სუფრაზე არავის ყურს არ გამოპარვოდა. არც გამოპარვია.

უცებ ისეთი ღუმილი ჩამოეარდა, ხეებზე ფოთლების შრიალს გაიგონებდით.

ვანო გიორხელიძემ მიმოიხედა, დამცინავად გაიღიმა და თქვა:

— რაო, ტყუილი ეთქვა, თუ?

— ვანო გიორხელიძემ დასტოვოს ჩვენი სუფრა! — თქვა თამადაძე.

— რაო? — გაიღმიჭა გიორხელიძე.

— ქართული სუფრის შეურაცხყოფისათვის ვანო გიორხელიძემ ახლაც დასტოვოს ჩვენი სუფრა! — თავიც არ აუწევია, ისე თქვა თამადაძე. ხმადაბლა,

მკაფიოდ და აუჩქარებლად ულაპარაკობდა.

ხმა არავის ამოუღია. ყველა მიწას ჩამსტერებოდა.

— გადარიეთ?! — ამ ურიის გულიზა მაგდებთ სუფრიდან? — წამოიძახა გიორხელიძემ.

თამადა ფეხზე წამოდგა, ახლა უფრო მკაფიოდ, ხაზგასმით თქვა:

— ვანომ ქართული სუფრის და ქართველი კაცის შეურაცხყოფისათვის ამ წუთში დასტოვოს ჩვენი სუფრა. ამას შესამედ ვამბობ და მეტად აღარ ვიტყვი. იაკობი, როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ამ ქალაქში გაზრდილი კაცი იყო. ეს სიტყვა „ურია“, ხან ზუმრობით, ხან ბრაზით, ხანაც ანეგლოტში ნათქვამი, ადრეც არაერთხელ სმენია — ბავშვობაში, ბიჭობაშიც კი...

მაგრამ სულ ასე ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ეს მისგან ძალიან შორეულ ადამიანებზე ითქმოდა. ასეც იყო — სადაც ვიღაც ოყროფი რაღაცას წამოიძახებდა, იაკობს გულთან ახლოს რატომ, რისთვის უნდა მიეტანა: ეგ კაცი, აღნაბთ, თავის ძმას, დედასაც კი ავინებსო, დიმილით გაიფიქრებდა, ეს იყო და ეს!

მას მერე დიდი ხანი გავიდა. ეს სიტყვა კი არსად სმენია. მითუმეტეს, მეგობარ-ახლობელთა წრეში. იმიტომ ახლა ვანოს შეძახილი რომ მოესმა, მთელ სხეულში სიმზურვალემ დაუარა. ეს სიმზურვალე იმდენად ძლიერი იყო, სუნთქვაც კი გაუჭირდა — ასე მოეჩვენა, გაზურვალე თონეში ჩავეარდი, მუგუზლებზე ვწევარო. მერე თავის არეში ამოძრავდა ცხელი მასა. ეს მასა შავი ღრუბელივით ჩამოაწვა თვალეებზე, ისე ძლიერ ჩამოაწვა, ქუთუთოები დაახურვინა კიდევ. წამოდგომა მოინდომა. ამაოდ. მუხლებმა ვერ დაიჭირეს მისი სხეული. კვლავ სკამზე დაეშვა. მდინარის ხმა ისე მკაფიოდ ჩაესმა ყურში, როგორც არასდროს — რამდენჯერ ყოფილა აქ, ჭალაში, რამდენჯერ მჯდარა ამ მუხასთან, მაგრამ მდინარის ხმა ასე მკაფიოდ არასოდეს სმენია. მერე უცებ ვანო გიორხელიძის სახე დაუდგა თვალწინ — დაღრეჯილიყო, ოფლი შუბლს,

ლოყებს, ნიკაძის მოსდებოდა და სისვე-
ლისგან უბრიალებდა — „იქნება, ორი
სიტყვა უთხრა ლუარსაბიშვილს, ამო-
მივიდა ყელში აბანოს დირექტორობა,
პურის ქარხანაში გამგზავნოს დირექ-
ტორად. ძმურად ვებუწები, ნუ დამა-
მადლი ორ კეთილ სიტყვას“.

იაკობმა ისევე დააპირა წამოდგომა.
შესძლო, მუხლებში გაიმართა. ორიოდ
ნაბიჯი გადადგა კიდეც, მაგრამ უცნა-
ური ის იყო, რომ ადამიანებს ვერ ხე-
დავდა, ყველა, სუფრის ყოველი წევრი,
ერთ მასად შეკრულიყო, ყველა ერთსა-
დაიმავე სიტყვას ამბობდა:

— ვანო ძმურად სუფრის და ქარ-
თველი კაცის შეურაცხყოფისათვის ამ
წუთში დასტოვოს ჩვენი სუფრა! ამას
მესამედ ვამბობ და მეტად აღარ ვიტ-
ყვი — ზოგი ზმამადლა ამბობდა ამ სი-
ტყვებს, ზოგი ჩურჩულით, ზოგი ბოხი
ხნით, ზოგიც — წერილი, გამყინავი
ხმით, მაგრამ ვანო გიორხელიძის ხმა
ყველასას ფარავდა:

— კი, მაგრამ, ამ ურიის გულიზა
მაგდებთ სუფრიდან?!

ის კი თითქოს ხიოდა:

— ვარ კი მე ებრაელი? ვარ კი?

ხიოდა, მაგრამ მისი ხივილი არავის
ესმოდა. ყველა ერთად, ერთი ხმით ყვი-
როდა.

— მესამედ ვამბობ!

— მესამედ ვამბობ!

— მესამედ ვამბობ!

მანც შესძლო, მანც გადადგა ნაბი-
ჯი, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს
მესამე და ამა, მდინარის პირას, წყლის
რაკრაკში უფრო მკაფიოდ ესმოდა:

— კი, მაგრამ ამ ურიის გულიზა მაგ-
დებთ სუფრიდან?!

აქ, მდინარის პირას, უკვე აღარ
ხიოდა იაკობი, აქ თითქოს მდინარიდან
მოდიოდა მისი მბეუტავი ხმა:

— ვარ კი მე ებრაელი?

გვერდით ვიღაცა ამოუდგა, ვერ სცნო-
ბდა, ვერც ხედავდა, რადგან ის სიტყ-
ვები თვალების წინ მიმორბოდნენ, მე-
რე პატარ-პატარა კენჭებად გადაიქცე-
ოდნენ და თვალების გუგუბზე ისე ეცე-
მოდნენ, როგორც ჯოხები ეცემიან დიდ

დოლს — ბარაბანს, რუსის ჯარში რომ
უკრავდნენ ადრე. ის კაცი, ^{მის შემდეგ} რადაცას ელაპარაკებოდა ^{მის შემდეგ} ^{მის შემდეგ}
კი არაფერი ესმოდა. ვერც იმ კაცს ხე-
დავდა და არც სიტყვები ესმოდა. „ნე-
ტა, რას მელაპარაკება?“ — გაივლო გუ-
ლში იაკობმა. მიწაზე დაჯდა, ფეხსაც-
მელი გაიხადა, შარვალიც, და წყალში
შევიდა.

— რას შობი, იაკობ, წყალში კოსტუ-
მით შედიხარ? — შესძახა იმ კაცმა.

აქ, მდინარეში კი სიტყვები: „ვარ კი
მე ებრაელი?“ წყლის შხეფებით ეცე-
მოდა სახეში, თვალის გუგუბზე, ყურ-
ში...

მერე ცივმა წყალმა სუნთქვა შეუკრა.
ასე მოეჩვენა, სხეული გაუქვავდა კი-
დეც. კოსტუმი გაიხადა და ნაბირისაკენ
მოისროლა, კოსტუმს ზალათიც მიავო-
ლა.

— რას შობი, იაკობ, ზაფხული ზო არ
გგონია, ოქტომბერია! — დაუძახა იმ
კაცმა ნაპირიდან. იაკობს კვლავ არაფე-
რი გაუგია. მდინარეში ჩაწვა. ცივი წყა-
ლი ძალიან ეამა. ის სიმზურავლე სხე-
ულში რომ ჩასდგომოდა, თითქოს წყალს
გაჰყვა. საოცარი სიმსუბუქე იგრძნო.
მერე ცას ახედა. ღრუბლის თეთრი ქუ-
ლები მშვიდად დაცურავდნენ ცის ტატ-
ნობზე.

— ამ ღრუბლებს არაფრად არ ენაღ-
ვლებათ, თუ როგორ ეცხოვრობთ ჩვენ.
რა ბედნიერნი არიან! — გაივლო გულ-
ში და მზერა თხელ, სიფრიფანა ღრუბ-
ლის ქულას გააყოლა. ცის ლაქვარდში
ღრუბელი თხელ ბამბას ჰგავდა, აი,
იხეთს, საახალწლო ნაძვის ხეს რომ შე-
მოუწყობენ ხოლმე ირველივ. ღრუბლის
ქულა ნელა მოძრაობდა, ცის ტატნობ-
ზე წრეს უვლიდა, დიდ, მთასავით ახერ-
ვილ-ჩახერვილ ღრუბელს ზან მარჯვ-
ნივ მოექცეოდა, ხანაც — მარცხნივ.

— ეე, ე, ე, საით მიდიხარ?! — შეს-
ძახა იაკობმა ღრუბლის პაწია ქულას, —
მერე, როცა დაინახა, რომ ეს პაწია,
თხელი, მჭრქალი ქულა ღრუბლისა,
უზარმაზარი ღრუბლისაკენ გაეშურა,
შესძახა:

— რას შობი, რას! შეგვკამს, გადავ-
ვლაპავს!

მაგრამ უკვე გვიან იყო — ის პაწია,
მქრქალი ქულა ღრუბლისა აღარ არსე-
ბობდა — დიდმა ღრუბელმა ჩაყლაპა.

იაკობი გადმობრუნდა და წყალში
პირქვე ჩაემხო.

— ვისწავლი მე თორას თუ არ ვის-
წავლი, მნიშვნელობა არა აქვს, მაგ-
ნაირებისთვის, მე მაინც ებრაელი
ვარ. თუ ვისწავლი ებრაელი ვიქ-
ნები, თუ არ ვისწავლი, მაინც ებ-
რაელი ვიქნები, მაგრამ ჩემს ბი-
ჭებს იმ ღრუბლის ბედი ეწევათ, — გა-
უელკა უცებ. ასე საღად, ასე მსუბუქად
არასოდეს უგრძენია თავი — დიმიტრი?
— ელექტროდენივით დაკრა თავში, —
რა ექნა, რაიკომი, პარტია დღევანდ-
ლობაა, თორა—მარადიულობა, — წყალ-
შივე გადმოტრიალდა, თავი ზე ამოჰყო
და ქავთარამქს დაუქნია ხელი.

— რას აკეთებ აქ, რა გინდა!

ქავთარამქს გაიღიმა, მაგრამ შეფიქ-
რიანდა. ნუთუ არ იცის რა ხანია და
რისთვის ვარ აქაო.

იაკობი მდინარიდან მალე ამოვიდა.
ტანი არც შეუშრალებია, ისე ჩაიცვა
და სახლისაკენ გაემართა, თუმცა, სახ-
ლში არც შესულა, ცოლს მიაძახა, ზუ-
რიკო და დათო ჩამოვიდნენ ქვევით.
ბიჭებმა ყვილ-ხვილით ჩამოიბრინეს,
მამიკოს საღდაც მიჰყავართ სასეირნო-
დო. იაკობმა ორივეს ხელი ჩაავლო,
გვერდით ამოიყენა და სალოცავისკენ გა-
ემართა.

ჩამავალი მზის სხივები სალოცავის
ფანჯრებში უცნაურად ირეკლებოდა.
იაკობმა და ბიჭებმა სალოცავის
უზარმაზარი კაკლის ხის კარი შეაღეს.
უხმოდ მიუახლოვდნენ ფსალმუნში თავ-
ნარგულ რაბის. რაბი დავითმა კარგა
ხნის შემდეგ ასწია თავი. ბავშვებს გა-
უღიმა, იაკობს კი კითხვის გამოძახ-
ველი მხერით მიაჩერდა.

— ა, რაბი, მოვედით მე და ჩემი შვი-
ლები თორის სასწავლებლად, — თქვა
იაკობმა, — ვარ მე ისრაელი და ხო უნ-
და ვიყო.

— გაკურთხოთ ღმერთმა! მაგრამ შე-
მა ორი კვირით მაინც უნდა უნდა
დეს შეილებს.

ენის შესწავლა, ცხადია, დროს და
მოთმინებას მოითხოვს. მითუმეტეს, ებ-
რაული ენისა. რაბი დავითი კი მხო-
ლოდ ენას არ ასწავლიდა იაკობს. სულ
რადაც ორ კვირაში ლოცვანთა კითხვა
დააწვევინა. ერთ თვეში კი ბიბლიისა.
ბევრისმნახველი რაბი დავითიც კი გა-
ოცებული იყო, თუ რა იოლად, სწრაფად
ითვისებდა ყველაფერს იაკობი. არაერ-
თხელ უთქვამს: „ისრაელის შვილს თო-
რის შესწავლაში ღმერთიც ეხმარებო“.

იაკობის მთავარი სიხარული თორა
გახდა.

სულ რადაც სამიოდ თვეში სხვა სამ-
ყარო დაინახა, სამყარო, რომლის არსე-
ბობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

— ბერებით ბარა ჰელიომ ეთ აშამაიმ
ვეეთ პარეც, — წაიკითხა პირველი
ფრაზა, პირველი სიტყვები თორისა და
გული პაწია ბავშვივით, ისე აუჩქროლ-
და, რომ შერცხვა კიდევ. შემდეგ სია-
მყით აღივსო: დეთის მიერ მოხსათ-
ვის ნაკარნახევ სტრიქონს კითხულობ-
და. რაბი დავითის დახმარებით თავად-
ვე თარგმნა თორის პირველი ფრაზა.

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა
ცა და დედამიწა“.

არა, ამ სიამოვნებას, ამ სიხარულს
იაკობი ვერაფერში ვერ გასცვლიდა.

ისე ბედნიერი იყო, რომ გარშემო
არსებულ ყოფას ვეღარ გრძნობდა. არც
აინტერესებდა. მართალია, სამსახურში
დადიოდა, თავის მოვალეობას პირნათ-
ლად ასრულებდა, მაგრამ გული აქეთ
ჰქონდა — სალოცავისაკენ. ცოლი — ნა-
რგიზა — ერთ დღეში იყო — ვიღაცამ
მომიწამლა ქმარი, გამომიღენიაო. საქ-
მეში უფრო ჩახედულნი, ისინიც კი, ვი-
საც არასოდეს და არაფერი შემურე-
ბიათ სხვისა, ამბობდნენ:

— შეხე, რა კირეშმაკა ყოფილა! —
ჯერ ქონება დააგროვა, ახლა იმქვევ-

ნიურ ცხოვრებაზე ზრუნავს — გამჩენის გზას მისდევს, ჩვენ რა ვქნათ, რო არცერთი გაქვს და არც შეორეზე ფიქრის თავი?!

იაკობი ქეიფებში, ქორწილებშიც კი აღარ დადიოდა, მაგრამ თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, იქ განძებოდა, იჯდა და ფსალმუნს კითხულობდა.

დიმიტრი ლუარსაბიშვილს, ცხადია, ყველაფერი მოახსენეს. ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როცა რაიკომის მდივნებს რაიონში უცხო ფრინველის შემოფრენაც კი არ უნდა გამოპარვოდათ, ხოლო ჭალაში მომხდარი ამბავი, სალოცავში იაკობის ხშირი სიარული, ცხადია, ობერატიულად მოახსენეს. მეორე მდივანმა, იასონმა, ბიუროს დადგენილების პროექტიც კი გაამზადა, იაკობი პარტიიდან გაერიცხით და რაიკაუშირის თავმჯდომარეობიდან გავანთავისუფლოთო, მაგრამ ლუარსაბიშვილმა ხელი აიქნია: რაღაცას ფანტაზიორობს, დაანებეთ თავი, თავად მოეგება გონსაო.

ასე ცხოვრობდა იაკობი მანამ, სანამ ერთ დილას, გაკვეთილის დაწყების წინ რაბი დავითმა უცნაური რამ არ უთხრა:

— როგორ მოვიქცეთ, შვილო, იაკობ, ბეით ქნესეთს დანგრევას რომ უპირებენ, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ? ის შენი მეგობარი რაიკომის უფროსი ვერაფერ პატივს ვერ გვცემს? — რაბი დავითი ერთობ მშვიდად, აუღელვებლად ლაპარაკობდა.

— რას პქვია ბეით ქნესეთს ანგრევენ!

— იაკობმა ვერაფერი გაიგო.

— გუშინ დამიმახა რაიკომის კაცმა და გამომიცხადა — თქვენი სალოცავი უნდა დაეანგრიოთ, პარტია და მთავრობა თხოულობს ასეო.

— მაგათი შენობასთან რა ხელი აქვთ, მაგათი ამენებულთა თუ?! — წამოენთო იაკობი.

— მეც ვიფიქრე ეგ, შევბედე კიდევ, მაგრამ... რა მითხრა იცი? არც სამების ეკლესია იყო ჩვენი ამენებული, მაგრამ დაეანგრიეთო.

ორიოდ დღის წინ მთელი ქალაქი მართლაც, გააყრუა აფეთქების ხმამ.

— კი, მაგრამ! — შესძახა რაგობმა და განუმა. თავისისავე უძღურებამ გააჩუმა. მიხვდა, უღონო იყო, ეკლესიების დამანგრეველნი არც სალოცავს დაინდობენო, გაიფიქრა, მაგრამ უცებ ერთმა აზრმა გაუნათა გონება და იმედს ჩაეჭიდა. „არ შეიძლება ასე უბრალოდ ანგრევენ, დილას თბილისში წავალ, ჩვენი რაიონის ხალხს ვნახავ. ამ სალოცავს ყველა დაიცავს“, — გაიფიქრა და იკითხა — როდის?

— რა, რადის, შვილო? — კითხვას კითხვით მიუვო რაბი დავითმა.

— როდის დაეანგრევთო?

— ხვალ ანგრევენ!

ხვალ! თბილისში წასვლას და იქ დიდკაცთა კაბინეტებში სირბილს ვერ მოასწრებს. ამიტომ, რაღაც უნდა იღონოს. ტელეფონს მიუახლოვდა, ნომერი აკრიფა და მშვიდად სთქვა:

— გამარჯობა! მე ვარ, კი... სად უნდა ვიყო, აქ ვარ. რას გეტყვი, დიტო, იცი? იყო ერთი მეფე... ბაბილონის... სახელი არ მახსოვს, ნაბუქისერი თუ რაღაც... არა, პო... ნაბუქოდონოსორი... აი, მაგ ობერმა მეფემ ებრაელობას სალოცავი ტაძარი დაუნერია და იმის მერე დედას აგინებს მთელი ხალხი... შენ გინდა, იყო მეორე? შენი ნებაა, მაგრამ მე არ მინდა ჩემს მეგობარს დედას აგინებდეს და წყველიდეს მთელი ებრაელობა.

იაკობი გაჩუმდა.

დიმიტრი ლუარსაბიშვილი რაღაცას ლაპარაკობდა.

იაკობს სახეზე სიწითლე მოერია და იყვირა:

— მე არ მოგცემ მაგის უფლებას, მე... მე!..

რაბი დავითს წყვეტილმა ზუმერმა მოსჭრა ყური — როგორც ჩანს, დიმიტრიმ ყურმილი დასდო.

იაკობმა ყურმილი უღონოდ დაუშვა.

— ეს პარტიის მითითებას არ გადავა.

— გამჩენი თუ მოგვხედავს, თორემ...

ასე უღონოდ, გულდამძიმებულნი შეუდგნენ ბიბლიის იმ მონაკვეთის კითხვას, და განმარტებას, რომელშიც მამა აბრაამთან სამი ანგელოსი მიდის და აბ-

რამი სოდომის გადარჩენას შესთხოვს იმ სამ ანგელოსს.

— ნუთუ, ხუთი მართალი არ არი ჩვენს ქალაქში, რომ გადარჩეს ჩვენი სალოცავი? — იკითხა იაკობმა.

— ექვს! — ხუთი მართალი!

კითხვაში და წაკითხულის განმარტებებში იყვნენ გართულნი, რომ სალოცავის ეზოში ებრაელობამ იწყოს თავმოყრა. თანდათან მეტი და მეტი მოდიოდა, მაგრამ ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, რატომ მოგვიყვანეს აქაო. როცა რაბი დავითი ეზოში გამოვიდა და იკითხა, ამ დროს რა გინდათ, რატომ მოსულხართო, დათიკო კვაჭამ მიუგო, რაიკომის კაცებმა ჩამოიარეს ბახარში, ოჯახებში და ყველა აქეთ გამოგვრეკესო. იაკობმა რაბი დავითი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

— რაბი, ახლა აქ ან დიმიტრი მოვა, ან იასონი — მეორე მდივანი. ამ ხალხს ათქმევინებენ არ გვინდა, არ გვჭირდება სალოცავი, დაანგრეთო, ნათელი მომავლის შენებაში გვიშლის ხელსო — ასე იციან კომუნისტებმა. შენ უნდა გააკეთო ერთი საქმე.

— ბრძანე, შვილო!

— რამე მოიფიქრე, დღესასწაული არის-თქო, ან კიდევ რაღაცა და გადაადებინე, ხვალ არ დაანგრიონ, ერთი კვირით გადაადებინე. მერე მე ვიცი.

მერე ხალხს მიუბრუნდა:

— ისრაელებო, ჩვენი ბეით ქნესეთის დანგრევას აპირებენ. იმისთვის შეგყარეს, რომ თქვენ უთხრათ პარტიას ვაბულსა ვართ, დაანგრიეთ სალოცავიო, — ხალხი ერთხმად აყაყანდა. ატყდა ერთი აღიქოთი, ვიღაც თვალებს აბრიალებდა, ვიღაც ივიწებოდა, ვიღაც იმუქრებოდა, მაგრამ ეზოში იასონი შემოვიდა თუ არა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იაკობმა იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს საერთო დუმილი და იქნებ, ხალხი რაიმეთი გავამხნევო, იქნებ ისევ ამოვალდებინო ხმაო, თავად დაასწრო იასონს.

— ეს სალოცავი ჩვენი წინაპრების აშენებულია, იმ ხალხმა ჩვენთვის ააშენა, აქ ებრაელები იმისთვის ვიკრიბებით,

რომ ღმერთს ქვეყანაზე მშვედრებუ ვართო, ვით. ამიტომ ჩვენ ყველანაირად მტკიცებულ რებილი ხალხი, წინააღმდეგი ვართ სალოცავის დანგრევასა.

იასონი შეკრთა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენაც კი ვერ დასძრა. ხალხს გადახედა. ყველა ერთობ მორწინილად იდგა. ბევრი მათგანი კი თვალეზში შესციციანებდა იასონს და ეუბნებოდა: „რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ ეს ამნაირი კაცია!“ იასონმა ეს რომ დაინახა, დამშვიდდა, იაკობს მხარზე დაადო ხელი, გვერდზე გასწია და თქვა:

— ამხანაგო ებრაელებო, პარტიამ და მთავრობამ მიზნად დაისახა ხალხის ცრუმორწმუნეობის სიბნელიდან გამოყვანა. რომელი თქვენგანია წინააღმდეგი პარტიის გადაწყვეტილებებისა?!

ეს იყო და ეს. რაიკომის მდივანს მეტი არაფერი უთქვამს. ეზოში დუმილი ჩამოვარდა. არავინ ხმას არ იღებდა. იაკობმა ხალხს გადახედა. შეკრებილნი ისე იდგნენ, თითქოს ყოველი მათგანი მართო მოსულიყო ამ ეზოში. გვერდით მდგარ მეზობელს, ამხანაგს ვერავინ ვერ გრძნობდა. იაკობმა თვალებში ვერავინ შეხედა. ყველა მიწას ჩასცქეროდა.

— ვისა აქვს სურვილი პარტიის წინააღმდეგ გამოსვლისა? — ისევ იკითხა რაიკომის მეორე მდივანმა.

სალოცავის ეზოში გამეფებული დუმილი არავის დაურღვევია. იასონი უფრო ახლოს მივიდა ხალხთან. ვიღაცას მხარზე მეგობრულად დაადო ხელი და იკითხა:

— ახლა ის მითხარით, როგორ აფასებთ ზოგიერთი მესაბოტაჟის გამოხტომას?

არც ამჯერად ამოუღია ვინმეს ხმა.

— აი, შენ მიპასუხე! — მეორე მდივანის წინ შათულია იდგა. ამიტომ კითხვა მისკენ იყო მიმართული.

— რა, ბატონო?!

— როგორ აფასებთ ზოგიერთი მესაბოტაჟის გამოსვლას?

შათულიამ დაბნეულმა მიმოიხედა და თქვა:

— არ ვიცი, ბატონო, მე, რა არი მაგ, არ მესმის მაგნაირი ქართული.

იასონმა გაიღიმა. მოტრიალდა. მის წინ დიმილაძეცული იოსები იდგა.

— თქვენ? — იოსებს მიმართა იასონმა. იაკობმა კარგად იცოდა: ამწუთში, რაც არ უნდა ეთქვა იოსებს — ჰო, თუ არა, არც სალოცავისთვის შეიცვლებოდა რაიმე და არც მისთვის — სალოცავი მაინც დაინგრეოდა, თავად კი დაისჯებოდა, მაგრამ ძლიერ მოუნდა იოსებს კვირი არ დაეკრა მეორე მდივნისთვის, ისე მოუნდა მის მოშურნეს და ავისმზარხველსაც ღირსეული პასუხი გაეცა, რომ ინატრა: ნეტავ, მე ვიდეგ იასონის წინ, ნეტავ, მე მამლედეგ ასეთ შეკითხვას რაიკომის მეორე მდივანიო.

იცოდა, კარგად იცოდა იაკობმა, ახლა იოსების პასუხი მხოლოდ იოსების პასუხი არ იყო, დიდი, ძალიან დიდი ჯამათის ღირსების საკითხი წყდებოდა ამ წუთში და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა. იოსებმა პასუხი არ დააყოვნა:

— ყოველი ადამიანის ელია, დაეხმაროს პარტიას და ხელისუფლებას ხალხის სასიკეთო საქმეების კეთებაში.

იასონს სახე გაუბრწყინდა. იოსებს მეგობრულად დაადო, მზარხე ხელი და უთხრა:

— მე ყოველთვის მეჯეროდა, რომ თქვენ ჰკვიანი ხალხი ხართ. მაღე რაისაბჭოს არჩევნები ტარდება, თქვენს ხალხს უნდა ჰყავდეს იქ თავისი ღირსეული წარმომადგენელი, — იოსებს ისევე გაუღიმა, ხელი კელავ ჩამოართვა.

— დიდი მადლობა, დიდი მადლობა! — იოსებმა ოფლი მოიწმინდა.

— ჩვენი მტერი არასოდეს არ არის ძლიერი, — გაიფიქრა იაკობმა, — ჩვენი სისუსტე აძლიერებს მათ!

— ბატონო უფროსო, — რაბი დავითმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა. იასონი მას მოუტრიალდა, — იქნება ერთი სამი დღე გეცალოთ, ზეგ ჩვენი რელიგიური დღესასწაულია, კიდევ ერთხელ ვილოცებთ ამ სალოცავში და მერე იფოს ნება თქვენს.

იასონმა სალოცავის გუმბათს ახედა, ისე მიატყურდა, გგონებოდათ, რაღაცას დაემტებო. სინამდვილეში ფიქრობდა:

— მამაძალღუბი არიან ბურჯუნი რა კარგად აუშენებიათ! დავითმა იფიქრა ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო და ხელახლა დაიწყო.

— ორიოდ დღეში ის რელიგიური დღესასწაულიც გავა.

იასონმა მარჯვენა ხელი აღმართა, ხაზგასმით, დამარცვლით სთქვა:

— საბჭოთა ხალხს სამი დღესასწაული აქვს: დიდი ოქტომბრის რევოლუციის, მშრომელთა სოლიდარობის დღე — პირველი მაისი და სტალინური კონსტიტუციის დღე — ხუთი დეკემბერი. სხვა დღესასწაული არ არსებობს. ზეადილას, საათის ათზე, ყველანი აქ მოხვალთ — მიდამო უნდა გაიწმინდოს ნანგრევებისაგან, — იასონი შეუვინდა, ხმაში მეტი სიცივე და შეუვალაობა ჩაუდგა, — თქვენ იცით, როგორც ექცევა საბჭოთა ხელისუფლება მესაბოტაჟეებს, — მერე იაკობსკენ შებრუნდა, ხაზგასმით, კატეგორიული ტონით თქვა, — ყოველგვარი წინააღმდეგობა აღკვეთილი იქნება, როგორც პარტიის წინააღმდეგ გამობდობა, — თქვა, შეტრიალდა და წავიდა.



იაკობი შინ მიდიოდა. თავში ათასი ფიქრი ერეოდა. მოქმედების გეგმას ალაგებდა, მერე იწუნებდა, ფიქრში ვილაც-ვიდაცეებს ეკამათებოდა, განუმარტავდა, რომ სალოცავების ნგრევა ვერ ააშენებდა ქვეყანას, სალოცავების ნგრევა ადამიანების სულს დაანგრევსო, მაგრამ იმათ, ვისაც იაკობი ამ სიტყვებს ეუბნებოდა, არაფერი ესმოდათ. ისინი მაინც გაიძახოდნენ: დაანგრეთ, ააფეთქეთ!..

ამასობაში სამების დანგრეულ ეკლესიას მიუახლოვდა. აფეთქებას ეკლესიის სამი კედელი ჩამოეგრია. მეორე — ჩრდილოეთის კედლის ნაწილი კიდევ იდგა, რომელიღაც წმინდანის ფრესკა შემორჩენილიყო იმ კედელზე. ეგ არის, რომ აფეთქებას იმ ფრესკისათვის თავი გადაუცლია. ამიტომ წმინდანის კედელ-

ზე მიხატული ანაფორა კედელზე ჩამოკიდებულ ადამიანს მოგაგონებდათ.

ახლო-მახლო მცხოვრებნი, ქალი თუ კაცი, ეკლესიის გადარჩენილ კედელს მისეოდნენ, რაც ყუმბარას ვერ დაეგზავნია, ახლა ლომებით, უროებით, წერაქვებით ანგრევენ, მაგრამ ლომების ცემა, უროს ბათქუნი, წერილებილა წერაქვის ცემა ეკლესიის განიერ კედელს ვერას აკლებდა.

— დასცხე ზოზია, დასცხე! — მოესმა იაკობს მიტო სამებაშვილის ხმა.

— ერთი ყუმბარაც რომ გაემეტებიანთ, ვითომ რა იქნებოდა?! — უკმაყოფილოებას ვერ მალავდა ზოზია.

— ცუდად არი საქმე, ძალიან ცუდად! — ფიქრობდა იაკობი. — შეველა უნდა ამ ხალხს, ამ ხალხის სულს უნდა შეველა.

ტკივილისაგან ღამის შექვივლა — მონგრეული კედლის აქამდე დაგორებული ნაგლეჯი კანჭზე მოხვდა. ქვას დახვდა. ფერი ეცნაურა. დაიხარა, იმ ფრესკის ნაგლეჯი იყო — რომელიღაც წმინდანის თავი ეხატა ზედ. ახლა, ამ წუთში ქვაზე დახატული, მთელ სხეულს მოგლეჯილი თავი ქრისტიანი წმინდანისა, ადამიანის მოჭრილ თავს მოაგონებდა. ანაფორა, ე. ი. სხეული იმ წმინდანისა, იქ იყო, ჯერ კიდევ მოუნგრეველ კედელზე. თავი კი — აქ მის ფეხებთან ეგდო. დაიხარა. ქვასთან ჩაიბუხლა. ფრესკის ნაგლეჯი ხელში აიღო. დიდხანს, საკმაოდ დიდხანს ჩასცქეროდა.

— იქნებ, ესეც ჩემი წინაპარია? — ფიქრობდა იაკობი, — ქრისტიანების წმინდანებიც რომ ერთ დროს ებრაელები იყვნენ. იქნებ, ესეც ჩემი წინაპარია, შორეული საუკუნეებიდან აქ, ჩვენთან მოსული, და აჰა, ახლაც ისე მოჰკვეთეს თავი, როგორც რომაელები ჰკვეთდნენ ერთ დროს!

რაფერი ვერ მოიხაზრა ღმრის წყალობა უფრო თრგუნავდა.

შე გადაიხარა, დაღამდა კიდევ, მაგრამ ლოვინიდან ვერ წამოდგა.

მთელი ღამე უნაყოფო ფიქრში გაატარა.

— ნუთუ, ასე გავეწირა ღმერთმა, აზრიც კი ვერ ვიპოვე.

ღამე თითქმის რომ გაივლია, მაშინდა მოედო თვალზე რული. ხუთიოდ წუთის ჩაძინებულიც კი არ იქნებოდა, ძლიერ, ღონიერ კაცად წამოხტა. აზრმა მისცა ასეთი ღონე, აზრმა, რომელიც ძილ-ღვიძილში ისე შოადგა, როგორც მოსიყვარულე მეგობარი მოვადგება ახალი წლის დილას. უცებ ჩაიცვა ტანთ, ფრთხილად, არაეინ ვაჟაღვიძოლო, ფეხაკრეფით გავიდა სახლიდან და სალოცავისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

— ნუთუ, ასე ბრიყვი იყო ბარ კოხბა, ნუთუ, არ იცოდა, რომ დაიღუპებოდა. ნუთუ, ვერ გამოიანგარიშა, რომ ამდენ ხალხს დაღუპავდა. იცოდა, იცოდა რომაელთა ძალას ვერ გაუმკლავებოდა, მაგრამ თავისი ბრძოლით ხალხს მისცა ძალა, ხალხს ასწავლა: მტერი მაშინ არი ძლიერი, როცა შენ ხარ სუსტი და თუ დამარცხდი, მერე რა მოხდა, დირსებით მაინც აჯობე მტერსაო.

ღამის გარბოდა. უნდა ექარა... უკვე გათენდა და ჯამათის წევრები მალე მოვიდნენ დილის ლოცვისათვის.

სალოცავის გასაღებს სადაც ინახავდნენ, კარგად იცოდა. გააღო, შიგ შევიდა და კარი ჩაკეტა. თავი სალოცავში რომ დაიგულა. ჩამოჯდა, დამშვიდდა. მერე წამოდგა, ციციით მოისხა და დილის ლოცვას შეუდგა. ლოცულობდა, მაგრამ იმაზე ფიქრობდა, შემოსასვლელი როგორ გავამაგროო. სალოცავის მრგვალ სარკმელებში ადამიანი ვერ შემოეტეოდა. კარის გამაგრება საკმარისი იყო. ბერლინში, ვილინუსში, იერუსალიმში დაბეჭდილი უზარმაზარი, სქელი, შავ, ოქროსფერ გარეკნიანი თორებით სავსე კარადა სწორედ კარის გასწვრივ იდგა. შეეცადა, კარისკენ მიეწინაღობინა. ძვრა ვერ უყო. ამას ათი წემ-

სახლში მივიდა თუ არა, ლოვინს მი-
აშურა. უღონობამ მოაღასლასა — ვე-

ნაირი კაციც კი ვერ დაძრავსო, გაიფიქრა და თორები კარადიდან გამოაღაგა. ფრთხილად, სათუთად იღებდა თორებს კარადიდან, სკამებზე ალაგებდა. ცარიელი კარადა ძლივს მიაჩონა კართან. თორების ისევ უკან შელაგებას შეუდგა.

— ამას ვერაფერი მოერევა. ცაცხლს თუ წაუკიდებენ, ხხეა საქმეა, — ფიქრობდა.

ამასობაში მლოცველებიც მოვიდნენ. იაკობი ხმაზე ცნობდა ყოველ მათგანს. აღშფოთებულნი იყვნენ, გასაღები თავის ადგილზე არ არი, ვინ წაიღო, ლოცვა გვიანდებაო. რაბი დავითიც რომ მოვიდა, ისიც გაიგო იაკობმა. გასაღები აქ დავტოვე, ნეტავი, ვის უნდა წაეღო. იაკობმა სარკმელთან სკამი მიადგა, ზედ აფორთხდა და ეზოში შეკრებილთ გადახედა.

— შეტი არც მოვა, — გაიფიქრა, — ათ საათზე მოდიოთ, უბრძანეს, ათამდე კი ბაზარში, მაღაზიებში თავიანთი საქმეები უნდა მოილიონ. ათ საათზე ნახვრეებისაგან უნდა გაწმინდონ აქაურობა, — მწარედ გაიღიმა იაკობმა და სარკმელი გამოაღო. სალოცავში ხალხის ყაყანი შემოიჭრა: გვაგვიანდება, გასაღები ვინ წაიღო. ზოგი ვის აბრალებდა გასაღების დაკარგვას, ზოგიც — ვის.

— გასაღები აქ არის, ხალხმო, ნუ ჩხუბობთ! — გადასძახა იაკობმა ხალხს. ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა.

— აქ მოდიოთ, აქეთ, აქეთ! ყველამ სარკმელთან მიიბრინა. იაკობმა დაინახა: ეზოში ხუთი უცნობი შემოვიდა. ესენი ებრაელები არ იყვნენ. ყუთებს მოათრებდნენ. „აღბათ, ამფეთქებლები არიან“ — გაიფიქრა. სარკმელში თავი ძლივს გაჰყო. პატარა იყო სარკმელი, თავი გაჰყო, ხელი — ვერა.

— ეი, თქვენ, ამფეთქებლებო, აქეთ მოდიოთ, — აქეთ, აქეთ!

— რა ხდება, შეილო, იაკობ! — დინჯად იკითხა რაბი დავითმა.

— ახლავე, რაბი! — გადმოსძახა იაკობმა.

— მანდ რა გინდა, იაკობ!

— ახლავე მოგახსენებ! — უფრო ხმაზე დაიწყო ნახა, ამფეთქებლებიც სარკმელთან მოვიდნენ, თქვა: — სალოცავის გასაღები ავიღე მე, იაკობ ლევიაშვილმა და ჩავიკეტე სალოცავში. თუ თქვენ ამფეთქებთ სალოცავს, ამფეთქებთ მეც; შენთან ერთი თხოვნა მაქვს, რაბი: ახლავე წადი და ჩვენს ბელადს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს გავუზავნე დეკეშა. იაკობ ლევიაშვილი სალოცავის გადარჩენის მიზნით შივ ჩაიკეტა და რაიკომი მაინც ამფეთქებას უპირებს-თქო. მორჩა! — თქვა იაკობმა. და ის-ის იყო, კვლავ ძირს უნდა დაშვებულყო, მოიხედა კიდეც, ზომ სწორად ედგამ ფეხსაო, რაბი დავითის ხმა შემოესმა.

— იაკობ, შეილო!

იაკობი კვლავ აიხნიქა, სარკმლის ჩარჩოს მოეჭიდა და თავიც გაჰყო.

— გისმენ, რაბი!

მაგრამ რაბი სდუმდა — სალოცავის ბებერ კედელს უხზოდ მისჩერებოდა. მოგვიანებით ასწია თავი. იაკობს მიაჩერდა და თქვა:

— მტერმა ჩვენ ნამდვილი ტაძარი დაგვინგრა — შელომო ამელეხის! მიერ აშენებული ტაძარი. მერე სამშობლოც წაგვართვა მტერმა, ვარეთ გამოგვყარა, მარა გამჩენის წყალობით მაინც ვართ, — რაბი ხმადაბლა, აუჩქარებლად და შთამავონებლად ლაპარაკობდა, — იმით ვართ, რომ ერთიც და მეორეც — რწმუნაც და სამშობლოც გულში მოვიტყვიეთ. ამან მოგვიყვანა აქამდე. თავიდათავი ადამიანის სულია, შეილო, ადამიანის სიცოცხლე დგას ყველაზე წინ. ამიტომ...

— რაბი გაჩუმდა. სალოცავის ეზოში სიჩუმე გაბეფდა. იქ, ქვემოთ, რაბი დავითი და მის ირგვლივ შემოკრებილნი უხზოდ იდგნენ და იაკობს შესცქეროდნენ.

— მართალს ამბობ, რაბი, იაკობ, ადამიანის სულია მთავარი, — სთქვა შელომიკო კოკლმა.

! შელომო ჰამლეზი — სოლომონ მეფე, სოლომონ წინასწარმეტყველი.

— რას შობი, იაკობ შენი ეს სალოცავი ჩვენი წინაპრების ამწებულთა, კიდევ ავაშენებთ, მაგაზე უკეთესს ავაშენებთ, — ეს ისაკი იყო.

მაგრამ ორივემ ისე უმწოდ, უდიდამოდ შესძახა იაკობს, რომ ამჟამად იყო თავდაც არ სჯეროდათ იმისა, რასაც ამბობდნენ. ამიტომ ისევ დუმილი გამეფდა სალოცავის ეზოში.

— ეს რა, თავს იკლავს? — იკითხა რომელიღაც ამფეთქებელმა, — ამას რა ჰგონია ახლა აქ, ის...

— ახლავ ავაფეთქებ!

არც ერთს და არც მეორეს არავინ შესხიანებია.

— რა ვქნათ, შვილო, იაკობ, მე დეპესას კი გავგზავნი, მარა, აქვს რაიმე ახრი?

— რაბი ბატონო, — იაკობიც რაბისა არ იყოს, ხმადაბლა და აუჩქარებლად ლაპარაკობდა — თუ ამ სალოცავს ყველა მიატოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებას მოყვადით აქ და არა გამჩენის სამსახურს. იმ დიდ ტაძარში, შელომო ამელეხმა რომ ააშენა და შენ რომ ახსენებ, ხალხის სისხლი რომ არ დაქცულიყო, იქნებ, არც იმის ხსოვნა ჩაგვედო გულში, — სთქვა იაკობმა და გაჩუმდა. უხმოდ შესცქეროდა იქ, ქვევით შეკრებილთ.

— კი, იაკობ, მართალს უბნობ, მაგრამ... — იაკობს მოეჩვენა, რომ რაბის ხმა სალოცავის ირგვლივ შემოჯარული ალვის ხეების შრიალში ჩაიკარგა.

— მართალს უბნობ, მაგრამ ადამიანის სულზე ძვირფასი არაფერი არ არი. ეს ბევრს ქნესეთიც კი...

— ვის ედავები ბიჭო შენ, ვის? ამით? ბოლშევიკი შვილი მენშევიკ მამას არ ინდობს, — ტურებზე ხელი მიიღო და ხმადაბლა, საიდუმლოდ შესძახა შელომიკომ.

— რწმენა? — უმაღ, ისე, თითქოს შელომიკოს შესახელი არ გაუგიაო, მიუგო იაკობმა, — რწმენა, რაბი?!

იაკობმა სარკმლიდან თავი გაჰყო და ძირს ჩაფორთხდა. სკამზე ჩამოჯდა. დე-

დადა. გული უცემდა. ხანამ იმას იტყოდა, რაც რაბი დავითს ურჩობდა უფრო მშვიდად, თავდაჯერებულად გრძნობდა თავს. ახლა მღელვარება მოერია.

— რად მინდოდა ამ სიტყვების რახარუბი, რა საჭირო იყო, ბრაზობდა. ეზოში რომ ხმაური მოძლიერდა, კარი კარგად უნდა გაუამაგროო, გაიფიქრა და წამოდგა, კარადაში წიგნების შელაგება განაგრძო.

გარეთ, სალოცავის ეზოში კი ხალხი მატულობდა. შეძახილებიც ესმოდა. ვიღაცეები ეძახდნენ: — იაკობ, საკრმელში გამოჰყავი თავი ერთი წამითო, მაგრამ იაკობს სწორედ მაშინ, როცა ინატრანეტავ, დიმიტრი არ მოვიდეს და არ დამიძახოსო, იასონმა დაუძახა — რაიკომის მეორე მდივანმა, ახლავ გააღე კარი და გარეთ გამოდიო. იაკობი არც შეჩვეულა. ამ სამყაროში ისე კარგად გრძნობდა თავს, სულაც არ აინტერესებდა, რას დაუძახებდა იასონი. მერე მილიციის უფროსის, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, შინსახკომის უფროსის ხმა მოესმა: ბრალდებულო ლევიასვილო, გარეთ გამობრძანდითო. იაკობმა კი ამასობაში დილის ღოცვა მოითავა, პირველ რიგში, იქ, სადაც იოსები იჯდა ხოლმე, ჩამოჯდა და ვილაცის ზელით ღამაზად გამოყვანილი და კედელზე გაკრული მოსეს ათი მცნების კითხვა დაიწყო.

— ანონი აღონაი, — წაიკითხა პირველი მცნება და სიამაყით აღივსო.

„მე ვარ ღმერთი შენი“ — სწორედ მას, იაკობ ლევიასვილს მიმართავდა უფალი.

— ის მეუბნება, მე შენი ღმერთი ვარო და მე იასონი დავისვა ღმერთად?

რამდენჯერმე წაიკითხა ათი მცნება, ზემოდან ქვევით, ქვემოდან ზევით. მერე თავისი თავი შეამოწმა: აბა, ზემორად თუ ვიციო. კარგ მოსწავლესაც კი შემურდებოდა, ისე ჩააბულბულა. მერე მოსეს ათ მცნებას ზურგი აქცია და იმაზე დაიწყო ფიქრი, ამ ათი მცნებიდან მე რომელს ვარდევო. პირველი სამი

მცნება კარგად ასწონ-დასწონა, გააანალიზა, დარწმუნდა, არცერთს არ ვარღვევო, მეოთხეზე რომ გადავიდა, სალოცავის ეზოში საბარგო მანქანა შემოვიდა. მანქანა სწორედ იმ სარკმელთან მიხრივინდა, რომელშიც დილას იაკობმა გადაიხედა, მალე იასონმა დაიწყო ლაპარაკი.

იასონი რაიონის ებრაელობას მიმართავდა და ყოველი მათგანისაგან კატეგორიულად მოითხოვდა დაეგმო იაკობ ლევიასვილის ანტიპარტიული, ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომა. მერე ბეხორა ფოყუაშვილს მისცა სიტყვა. ბეხორამ ყველი მორთო: რას გვიშვრები, იაკობ, ყველას გეჭრი ველს, ხომ იცი რა ღონიერია ბოლშევიკების პარტია, როგორ ექცევა ურჩებს, ყველას ერთად მოგვიდებს ბოლოსო. ბეხორას ნერვიულობის გამო სუნთქვა შეეკრა, სიტყვა ვეღარ გააგრძელა და იასონმა გამოაცხადა: რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, მოწინავე მშრომელ ებრაელს, იოსებს ვამღეუ სიტყვასო.

— მე ხო ვიცი, რატო არ თქვა იოსების გვარი, არ იცის და იმიტომ, — გაიფიქრა იაკობმა და გაიღიმა, — გამხდარა აბა, იოსები რაიონის მთავარი ებრაელი.

იოსები მშობლიური კომპარტიის ეროვნულ პოლიტიკასა და იაკობის საბოტაჟზე ალაპარაკდა. მერე თქვა:

— ამ დილას, ამხანაგებო, მე დამიძახეს რაიკომში და მითხრეს, შენ იქნები ებრაელობის წარმომადგენელი რაიონის საჭოშიო. მე შენ გეუბნები, იაკობ, გათავდა! შენი დრო მორჩა, ახლა სხვა დრო იწყება და გამოდი მაქედან, შენ არავინ გეკითხება ებრაელთა საკულტონაგებობის დაცვას, რაც საჭირო იქნება, მე დაეიცავ, თქვენ, ისრაელიშვილებო, გეუბნებით: თუ რამე საქვეყნო საქმეს გადაწყვეტთ, ჯერ მე გამაგებინეთ, შემითანხმეთ. ეს ერთი. მეორე, — იოსებმა ხმას აუწია, აყვირდა, — დიდი ერთგულება გემართებს კომუნისტური ხელი-სუფლების, დიდი ერთგულება!

— საწყალი! — გაიფიქრო გულში იაკობმა და მოულოდნელად, სულ სხვა ფიქრით, რი წამოტივტივდა, — ნეტავ ჩემი ბიჭები თუ უსმენენ ამის ყვირილს? სად არიან ჩემი ბიჭები?

ისევ აფოფხდა სარკმელამდე. ეზოს გადახედა. უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ამდენი ხალხი შეიდი ნოემბრის, პირველი მაისის პარადზე არ უნახავს იაკობს. ებრაელებიც იყვნენ და ქართველებიც. ქართველი მეტი იყო, ვიდრე ებრაელი. ეგერ აბრაამიკო, ეგერ შათულა! ვანო გიორხელიძეც აქ იყო და ქავთარაძეც, მენაშეც და იასა დაფხვილიც; ხუტა ბაღდაძეც ისე იდგა, თითქოს ჭიქა ეჭირა ხელში. აგერ, მურთაზა ყაჩალი, კობერიძის გვერდით დგას. შერიგდნენ? ერთი ამას შეხედე, რაბი დავითის მეუღლეც კი მობრძანებულია! — იაკობს გულისკარი სიხარულით გაეხსენა — დავითის მეუღლის — რახილის გვერდით მისი შვილები — დათო და ზურიკო იდგნენ. რახილს ორივესთვის მოეხვია ხელი და იოსებს უხმენდა. რახილის მზერაში იოლად ამოიკითხავდით, თუ როგორ აფასებდა იგი იოსების ნათქვამს — ზიზლით შეჭყურებდა. რახილის უკან ნარგიზა იდგა. იაკობს ძალიან ეამა შვილების და მეუღლის დანახვა. განსაკუთრებული სიამაყე იმან მოჰგვარა, რომ დათოსა და ზურიკოს გამოხედვაში სიამაყე იგრძნობოდა. ამან ძალა შემატა იაკობს. „ჩემმა ბიჭებმა კარგად გამიგეს“, — გაიფიქრა. სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი ზურიკომ მამას. მამა რომ დაინახა, გაიბადრა. სიამაყით სავსე მზერით მიანერდა. დათო შეუძწნევლად მოაბრუნა, უხმოდ ანიშნა, იქით გაიხედეთ. დათომ რომ იაკობი დაინახა, სიხარულმორეულმა შესძახა:

— მამო, მამო!

აქამდე იოსები ლაპარაკობდა, ხალხი კი თავისთვის ყაყანებდა. ცხადია, მას არ უხმენდა. დათოს შეძახილზე ყველა აქეთ, იაკობისკენ მოტრიალდა და სალოცავის ეზოში ისეთი დუმილი ჩამო-

ვარდა, იოსებმაც იგრძნო, რაღაც მოხდაო და გაჩუმდა.

— გამოდი, ახლავე გააღე კარი, სინისტო-კონტრეპოლუციონერო! — შეხმახა იასონმა.

იაკობმა დათოს და ზურიკოს ზელი დაუქნია და სარკმლიდან დაეშვა.

— ახლავე, ახლავე გააღე კარი! — მოესმა იაკობს იასონის ხმა.

— მორჩა, ისინი უკვე კაცები არიან! — გაივლო გულში იაკობმა შვილების მისამართით. მერე კვლავ ფიქრში დასძინა, — რაფერ გამახარა დიმიტრიმ, აქ რო არ მოვიდა დღეს, ნეტავი, რა მოიმიზეჯა?

მზე გადაიხარა, საღამოვდებოდა. იაკობმა თორა აიღო ხელში და საღამოს

ლოცვა დაიწყო. ხმამაღლა ლოცულობდა, თითქმის წამღერებით. ამიტომ ვეღარ გაიგონა ჯარისკაცთა რაზმის რიტმული ფეხის ძმა, მარშით რომ შემოვიდნენ სალოცავის ეზოში. ვერც ის გაიგონა, რაზმის მეთაურმა როგორ გასცა ბრძანება: „სდექ“, „თაეისუფლად!“

არა, იაკობს არაფერი გაუგია, იდგა მოსეს ათი მცნების წინ და ხმამაღლა, გატაცებით, ცოტა წამღერებითაც კი ლოცულობდა.

იგი ამ წუთში ძალიან კარგად, ბედნიერ ადამიანადაც კი გრძნობდა თავს და ამიტომ არ გაუგია, არც აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა სალოცავის ეზოში.



უაღრამო ტყვე

(ბილიდან „სისხლიანი მოზაიკა“)

მოთხრობა

დრო ნელა მიიზღახნებოდა. წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. ამიტომ ცდილობდა დროზე საერთოდ არ ეფიქრა.

„ნეტა რას მიშველის დროზე ფიქრი“?

ეს პასუხგაუცემელი კითხვა უძძიმეს ტვირთად აწვა მის სულსა და გულს.

აგერ ამდენი ხანია, ქვეყანას მოწყვეტილი, ამ ბნელ სარდაფში ჩაკეტილი ფიქრში მთასა და ბარს ედებოდა. თუმცა, რაზედაც არ უნდა ეფიქრა, უნებლიედ მაინც დროს უბრუნდებოდა. დროს, რომელიც საოცრად იწელებოდა. იწელებოდა, როცა მარტო იყო ამ ბნელსა და ნესტიან სარდაფში. იწვა თვალგაზელილი, სულგატვრენილი, წკვარამს ჩაშტერებული. მხოლოდ მაშინ ირღევოდა დროის ეს ზანტი მსვლელობა. პატარა დინარი რომ ესტუმრებოდა.

მეზობლის ეს ბიჭი პირდაპირ მხსნელი ანგელოზივით მოეკვინა.

...სამი დღე უძრავად იწვა და ელოდა. თუმცა თვითონაც ვერ გაერკვია, მაინც რას ელოდა. ერთადერთი, რაც ურყევად სწამდა, ის გახლდათ, რომ ყველაფერი გათავებული იყო. გრძნობდა, ადრეც მუდამ გრძნობდა — მოვლენები ისე ვითარდებოდა, თოფის გაკარდნა გარდაუვალი იყო. და გაკარდა კიდეც. გაკარდა და მისმა ექომ ბევრი დააყრუა და გონება აურია.

5. „მწათობა“, № 3—4.

მალე კი ქალაქს შეიარაღებული მოლაშქრეები ისე მოულოდნელად შემოესივნენ, ბევრმა ვერ მოასწრო აქაურობას გასცლოდა. და მოძალადეებმა შინ დარჩენილებზე აქამდე გაუგონარი ნადირობა გამართეს. მთელ უბანს ერთბაშად გაუჩნდა ხანძარი.

გოჩამ იცოდა. ვერც მისი სახლი გადაურჩებოდა დარბევას, იქნებ დაეწვათ კიდეც. პირადად მასაც უეჭველი სიკვდილი ემუქრებოდა. სჯობდა, აქაურობას სასწრაფოდ გასცლოდა, მაგრამ მისი ქუჩაში გამოჩენა უკვე ყოველად შეუძლებელი იყო — ნებისმიერი აფხუა შემთხვევით რომ გადააჭროდა, ალბათ, სულს გააფრთხობინებდა. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — სადმე საიმედოდ უნდა დამალულიყო, სანამ ამ განუკითხაობას არ მოეღებოდა ბოლო.

და საკუთარი სახლის სარდაფს შეაფარა თავი. პირველი სართულის ბეტონის იატაკს ვიწრო ჩასასვლელი ჰქონდა დატოვებული. რომელიც ზემოდან თითქმის ჰერმეტიკულად გახლდათ დაზურული — ვინც არ იცოდა, რომ სწორედ აქ იყო სარდაფში ჩასასვლელი, ვერასვხით ვერ მიაგნებდა.

სარდაფში ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. თანაც საოცრად გრილოდა. სარდაფის ერთ კუთხეში ერთმანეთზე შემოწყობილი რამდენიმე თო-

ფი ტოლი ეგულებოდა. ხელისცეცებით მიაგნო, ერთი მათგანი ვადმიიღო, გაშალა და გაასწორა. მერმე მალლა ავიდა, ლეიბ-საბანი ჩამოიტანა და ლოვინი გაშალა.

დინჯად აუჩქარებლად საქმიანობდა. თან ფურებაცქვეტილიც იყო — ვაითუ, მზედევლობიდან გამოშეპაროს და შეიარაღებული ბანდიტები თავს უცაბედად წამომადგნენო.

ლოვინზე მიწვა და მაშინდა მიხვდა — თავსასითუშლი დავიწყნოდა. ისევე ავიდა მალლა, მუთაქა მოძებნა, მერმე დივანთან მივიდა ცალი ხელით წამოსწია, მეორე ქვეშ შეუსურა. ხელისცეცებით მონახა სანადირო თოფი, გატენილი ვაზნები. ვაზნები ჯიბეში ჩაიფარა, თოფი მხარზე გადაიკიდა. მუთაქა იღლიაში ამოიჩარა და კვლავ სამალავში დაბრუნდა.

თოფი გადახსნა, გატენა და გვერდით დაიდო.

„თუ ვინმე მომიხტა, ვანანებ...“ — გაიფიქრა და ნამალადეკად გაიღიმა.

მერე მთელი დღე იწვა და გონების თვალთ წარსულში იჩხრიკებოდა.

უცებ ხმაური გაიგონა და წამით გავლევებული სინათლე თვალეში ისარივით ეტყერა.

მიხვდა — სამალავში ვიღაც ჩამოვიდა. წამოიწია. თოფი აიღო და შეძარტა.

რამდენიმე წამით სულისშემძვრელი სიჩუმე ჩამოწვა.

იგრძნო, სამალავში შემოსული ელოდა, როდის შეაჩქევდა თვალს სიბნელეს. არადა, ამოი იყო მისი ლოდინი — ბეტონის სქელ ბლაფერში სულ ერთი ბეწო საპაერო ხერელი დაეტოვებინათ და გარედან ოდნავი ცრიატიდა აღწევდა, რაც მთელს სარდაფში გამეფებულ უკუნეთს ვერაფერს აკლებდა.

— გოჩა ბიძია!..

თითქოს შორიდან გაიგონა ძახილი. ხმა კი იცნო. მაგრამ ვერ დაიჯერა, რომ დინარი უხმობდა. ყოვლად წარმოუდგენლად მიანდა ბიჭის აქ შემოსვლა.

— გოჩა... — კვლავ გაისმა ბიჭის ხმა, როგორღაც შემერთალი, თითქოს ხმა სოწარკვეთილი.

— რომელი ხარ? — ძლივს ამოღერდა გოჩამ და თოფი მიწაზე დადო. უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ მისი სტუმარი კარისმეზობლის, ჯანსუხ სერგევიას ბიჭი დინარი იყო.

— მე ვარ, დინარი... — ბიჭი წელში მოიხარა და გოჩასკენ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა.

— აქ... საიდან გაჩნდი? — გოჩას ისე ესიამოვნა ბიჭის გამოცხადება მღელვარებისგან ხმა ჩაებრჩნწა. იქნებ მხოლოდ სიხარულმა კი არა, გაოცებამაც ააღლევა ასე — ვგონა ამ სამალავის არსებობა მხოლოდ მან, მისმა მეუღლემ და შევიღმა იცოდნენ. სინამდვილეში კი...

— დამალობანას რომ ვთამაშობდით, მე და ჯანიკო აქ ჩამოვიპარებოდით ზოლზე და ბავშვები ვედარ გვაოულობდნენ... — ისე აღუღლულდა დინარი, თითქოს ახლად იგრძნო, რომ ამ საიდუმლოს ცოდნის უფლება არ ჰქონდა.

— მოდი, აგერ დაჯექი! — ხელი მოხვია გოჩამ.

დინარი დაჯდა.

— როგორ მიხვდი, რომ აქ ვიქნებოდი?

ბიჭმა უცებ არ უპასუხა. მზერა დაძაბა — უნდოდა, სახეში შეეხებდა გოჩასთვის. მაგრამ წკვარამში ვერაფერი გააჩნია.

— გითვალთვალებდი, — მიუგო ნაკვიანევად, — ეზოდან არ გადასულხარ. მაშასადამე, აქ უნდა დამალულიყავი.

გოჩამ ხელი გაიწვინა და თავზე აღერსით გადაუსვა.

— რა ამბავია გარეთ, რა ხდება? — ჰკითხა, მღელვარება რომ დაიოკა.

ბიჭმა ამოიოხრა.

— რატომ კლავენ ადამიანები ერთმანეთს, ბიძია გოჩა? — კითხვა შეუბრუნა მცირე ღუმილის შემდეგ. — რამ გაამხეცა ხალხი ასე?

გოჩა მიხვდა, დინარი გაუგონარი ზოცვა-ჟღერების მოწმე გამხდარიყო და სულშემძვრული ამოიდ ეძებდა ამ ტრაგიკული კითხვის პასუხს.

— გუშინ ძმებივით იყვნენ, დღეს კი დაუნდობლად დაერივნენ ერთმანეთს... — ნანახითა და განცდილით დაზაფრული ბავშვის ხმაში საოცარი სასოწარკვეთა იგრძნობოდა.

— ასეა, ჩემო დინარ, — ჩაფიქრებით უთხრა გოჩამ, — ხშირად ადამიანი ნადირზე უფრო დაუნდობელია.

— ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოკლეს ალე ჩხოტუა... ბუჩქებიდან გამოათრიეს, ღობეზე საკუთარი ქაპრით მიანბეს და შუბლი გაუზერიტეს. — ასე ლუკუნდა ბიჭი.

— იცანი, ვინ ესროლა? — ჰკითხა დაბოლმდღეა გოჩამ.

— ლადია ვოზბამ... იქ სხვა აფსუებიც იყვნენ, მაგრამ მაინცადამაინც ლადიამ ესროლა...

გოჩამ იცოდა, ალე და ლადია მეზობლები იყვნენ. უერთმანეთოდ პურს არ გატეხავდნენ. დღეს კი...

— დამშვიდდი, დინარ, — დაუყვავა თვითონაც გულმოკლულმა გოჩამ, — სხვის ფეხისხმას აყოლილი ადამიანი ხმამა და უგანაჩენო...

— ჰო... — ჩაილულულა ბავშვმა და გოჩა მიხვდა, რომ მისი ნათქვამის აზრს დინარი ვერ ჩასწვდა.

— მოვა დრო და ყველაფერს მიხვდები. ახლა კი ეცადე, ამ ამბებზე არ იფიქრო.

ერთხანს ორივე დუმდა. ხმამაღლა ხუნთქავდნენ. თითქოს მძიმე ტვირთქვეშ მოკაკეულნი ციცაბო აღმართზე მიაბიჯებდნენ.

— დედა სოჭში იყო დღეს. — შეცვლილი ხმით დაიწყო ბიჭმა ბოლოს. — ადღერში ჯული დეიდა და ჯანიკო უნახავს...

— მერმე? — პირში ეცა გოჩა.

— კარგად არიანო, მხოლოდ იმას სწუხან, რომ თქვენი ამბავი არ იცინათ...

...მაშინ გაგრაში სიტუაციას ქართველები აკონტროლებდნენ. „ხალხთან კავშირის უზრუნველყოფის მიზნით“ ერთდროული გაზეთი დაარსდა. ეს გაზეთი ქალაქის სტამბაში იბეჭდებოდა. სტამბას მუშები არ ჰყავდა და ასოთამწყო-

ბიც გოჩა ანდლულაძე იყო. ფეხებიდან ნებელიცა და მბეჭდავიც. ვრცელსიტყვივით, ისე გახლდათ დაკავებული, თავის მოსაფხანად დრო არ რჩებოდა.

1992 წლის პირველი ოქტომბერი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. ქალაქს აყრუებდა ზარბაზნების გრუნხუნი, ნადმსატყორცნების გრიალი თუ ავტომატების კაკანი. ზეტას წამდაუნუნო ხერავდნენ „სუ“-ები.

გაზეთის ბეჭდვას რომ შორჩა, დღე დაღამე იყრებოდა. კაბინეტში შევიდა და შინ დარეკა. არ უპასუხეს. რამდენჯერმე ზედიზედ აკრიფა ნომერი. ზარი გადიოდა, მილაკს კი არავინ იღებდა. ალუკებული გარეთ გამოვარდა და მანქანაში ჩაჯდა.

„უფუღუს“ გიფივით მიაქროლებდა. საოცარი იყო — მანქანები არ მოძრაობდნენ. ქუჩაში არც ხალხი ჩანდა. თითქოს ერთბაშად ჩამკვდარიყო სიცოცხლე.

„ნეტა რა ხდება?“ — ფიქრობდა. გულში შეპარული გაუცნობიერებელი ეჭვი არ ასვენებდა.

იმ დილას, მივიდა თუ არა სამსახურში, ქალაქის გამგებელს დაურეკა. რას მირჩევ. როგორ მოვიქცე — ცოლ-შვილი გავხიზნო თუ არაო. მე არ გამიხიზნავეს. რადგან არავითარ საშიშროებას არა ვგრძნობ და მთელი ოჯახი აქა მყავსო, მიიღო პასუხად.

დაშოშმინდა. რაკი გამგებელს არ გაუხიზნავეს თავისიანები, ეტყობა, მართლაც არ არსებობს შიშის საფუძველიო, დაასკვნა.

მერმე ამაზე არ უფიქრია, საქმემ გაიტაცა და შინ დარეკვა არც უცდია.

და ახლა, შინისკენ თავაწვევტილი რომ მიქროდა, ეჭვის ჭია ისე მწარედ ღრღნიდა, სუნთქვას უზუთავდა.

სახლს რომ მიუახლოვდა თავისუფლად ამოიხუნთქა — ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც დილას დატოვა. მანქანა ჭიმკართან დაყენა და ეზოში შევიდა.

— ჯანიკო! — დაიძახა. არავინ გამოეხმაურა. — ჯული! — ახლა ცოლს უზმო. პასუხი ამჯერადაც არ გასცეს.

სამაგიეროდ მეზობლის ეზოში შესასვლელი ჭიშკარი აჭრიალდა.

— გაიქცნენ, — უთხრა მეზობლის ცოლმა. — უუთხარი, აქ დარჩით, ნურავისი შეგეშინდებათ-მეთქი, მაგრამ სხვების ფეხისხმას აჰყვნენ. მთელი უბნის ქართველობა გაიქცა... — რომა ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხელებს როგორღაც უცნაურად იქნედა. თვალს ვერ უსწორებდა.

— საით წავიდნენ? — უანგარიშოდ ჰკითხა გოჩამ.

— ლესელიძისკენ. სხვაგან სად უნდა წასულიყვნენ? — გაცეხის შეუნიღბავად შეუბრუნა ქალმა კითხვა. მცირე ხანს იყუნა და ისევ აწრიალდა. — მთიდან ჩვენები ჩამოვიდნენ... მაგარი სროლა იყო. ვალიჯო მოკლეს... ლადოც... ღმერთო, ეს რა უბედურება დატრიალდა.

გაგონილით გაბრუებულ და რეტდასხმულ გოჩას კრიჭა შეეკრა. არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. უკან გატრიალდა. მანქანა გარაეში დააყენა. გარაეის კარი ბოქლომით დაკეტა და შინ შევიდა. უაზროდ აბორიალდა. ჯერ ტელევიზორი ჩართო. ეკრანი რომ არ განათდა, მაშინდა მიხვდა, რომ შუქი არ იყო. მერმე ფანჯარა გააღო. რაფას იდაყვებით დაეყრდნო და გზას გახედა. უცებ რაღაც უცნაური სტვენა-ზორზოცი გაიგონა. ფანჯარა სწრაფად მოხურა და სამალაეისკენ გაეშურა. სტვენა და ხმაური თანდათანობით მოახლოვდა. უცებ შაშხანამ დაიქუხა, მერმე ავტომატი აკაენდა. ვიღაც ქალმა შეჰკივლა.

რამდენიმე წუთიც და კვლავ სიჩუმე დამყარდა. ახლა აქამდე მხოლოდ შორეული ხმაურის ექოლა აღწევდა.

სამალაეიდან ამოვიდა და გზას ქურდულად გახედა.

საეჭვო ვერაფერი შენიშნა. ქუჩის სიწყნარეს აღარაფერი არღვევდა. მიტრიალდა და დივანზე ჩამოყდა. მძიმე ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა გაუჩინარებულ ცოლ-შვილზე, ხვალინდელ დღეზე, რომელიც, ვინ იცის, რას უშხადებდა.

ჯერ ჭიშკრის ჭრიალი და მერმე რომას მორიდებული ძახილი გაიგონა:

— გოჩა!
გარეთ გამოვიდა და ეზოში შემოსულ მეზობელს მიეგება.

რომა დაბნეული ჩანდა. შემფოთებულ-ცი-თვალს ვერ უსწორებდა.

— ერთხანს სადმე დაიმაღე... — უთხრა ქალმა. — კაცი ვერ გაიგებს, რა ხდება... ვაითუ... მერმე, დრო რომ გავა და ყველაფერი გაირკვევა... ოჯახს შემიხვლავ... თუ რაიმე გამოვიდა... — აზრი აღარ დაამთავრა. საწყლად შექლიმა, უმწეო სასოწარკვეთილი ადამიანის დიმილით.

— ჯანსუხი სად არის? — ისე ჰკითხა გოჩამ, თითქოს მისი ნათქვამი არც გაეგონოს.

— წავიდა. ავტომატი გადაიკიდა და წავიდა. ჩვენი ხალხი იბრძვის, მე შინ რა გამაჩერებსო, და წავიდა.

მამ ასე, ჯანსუხს სერგვეიასაც იარაღი აუღიას ოცდაათ წელიწადზე მეტი იყო, მეზობლად ცხოვრობდნენ. ჯანსუხი აქ გულაუთის რაიონის მიუარდნილი სოფლიდან გადმოვიდა საცხოვრებლად. შეძლებისდაგვარად გოჩა მუდამ ხელს უმართავდა კეთილ, ძალიან ხელმოკლე ჯანსუხს — სახლს რომ ამენებდა. ფიცარი უვიდა და მიუტანა ცემენტიც. ლუკმა გაუყოფელი ჰქონდათ, ერთურთის ჭირსა და ღონის იზიარებდნენ. ახლა კი გოჩა უნდა მორიდებოდა ჯანსუხთან პირისპირ შეხვედრას, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, ხატყვივლად გაემეტებინა.

— ცუდი დრო დაგვიდგა, გოჩა. — თითქოს შორიდან ესმოდა ქალის ხმა, არადა, რომა იქვე იდგა. სულ ორიოდე ნახევის დაშორებით. — ხალხს თავბრუ დაახვიეს, გაღარავს. გული მეუბნება, რომ ბევრი სისხლი დაიდევება... ღმერთო, ამას რას მომასწარი...

— კარგი, რომა, მე წავალ... გავვირდები აქაურობას... — ანგარიშმოუცემლად უთხრა გოჩამ...

— ჰო, წადი... ოჯახის დარდი ნუ გექნება. შენ ხომ გვიცავდი, როცა გვიჭირდა...

კი, ნამდვილად იცავდა უკეთურთავან, როცა შეიარაღებული ბანდიტები მოსახლეობაში დაძრწოდნენ. აფსუების მარცვას მიჰყვებს ხელი, მერმე სომხებსა და რუსებზე გადავიდნენ, მერე ქართველებიც მიაყოლეს. სერგეევიებს კი გონა შევლოდა. მოჰკრავდა თუ არა ყურს მეზობლის ეზოში საეჭვო ხმაურს, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და არავის აძლევდა მათი დაწავგრისა თუ გაძარცვის უფლებას.

— შენგან ისე ვართ დაჯალებული, თავს არ დაუზოვავ...

„ჯანსუხს ავტომატი აუღია ქართველთა დასახოცად. ესაა ამავის დაფასება?“

— გაიფიქრა გონამ, ქალს კი გაუმეორა: — პო, წავალ...

მაგრამ ვერსად წავიდა — საკუთარი სახლის სამალავს შეაფარა თავი.

მერმე ის იყო, დინარმა მიაკითხა. დინარმა, რომელიც ახლა დუმდა, აღბათ ელოდა, რას ეტყოდა გონა.

და ჰკითხა:

— კიდეც იცის ვინმემ, აქ რომ ვარ დამალული?

— არა, არავინ.

— არც დედაშენმა?

— არა.

— არ ეტყვი?

— არ ვიცი... — ბიჭი შევოყმანდა. — შენ თუ არ გინდა, არ ვეტყვი.

— ნუ ეტყვი... ვინმესთან რომ წამოსცდეს...

— კარგი, არ ვეტყვი.

— ვინმემ რომ შეგნიშნოს, როცა ჩემთან მოდიხარ...

— ვერავინ შემნიშნავს. ისე შემოვიპარები, კაციშვილი ვერ დამინახავს.

— ჭკვიანი ბიჭი ხარ. — შეაქო გონამ.

— პური და ხორცი მოგიტანე, — უთხრა დინარმა და ქალაღში გახვეული საქმელი მუხლზე დაუდო.

მოშიებული გონა მაშინვე ჭამას შეუდგა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა კაცმა, მაღიანად რომ ილუკებოდა.

— კიდეც მოგიტან.

— ხშირად ნუ ივლი, არავინ შეგნიშნოს.

— არხეინად იყავი.

უცბე შენიშნა, რომ დინარი ერთბაშად დადინჯებულიყო, თითქოსდა დაკაცებულიყო, ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა.

ეს ბიჭი მის თვალწინ გაიზარდა, მისი ჯანიკოს კბილა იყო. ბავშვები მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ და, ბუნებრივია, საკუთარი შვილივით უყვარდა.

— ზეგ მოგაკითხავ ახლა კი წავალ.

— აბა, შენ იცი... — გაეღიმა გონას.

კაცმა ჭამა განაგრძო. ნელა ილუკებოდა, თან დინარის მამაზე ფიქრობდა.

რომ დათერებოდა, გულაჩუყებული ჯანსუხი ასლუკუნდებოდა — ჩემი წინაპრები მეგრელები იყვნენ, მე კი აფსუა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფრის შეცვლა შემიძლიაო. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ყველანი ძმებივით მიყვარხართო.

„ახლა კი იარაღი აუღია!“

იქნებ ფასიდად აიღო, თანატომელთა თვალის ასახვევად?

ერთხელ შეზარბოშებულმა ისიც კი უთხრა — აფსუები არაფსურის გვარის მქონეთ მიტმასნილებს გვეძახიან და ამრეზილად, რთგორდაც ზემოდან დაგვცქერნიანო.

ჰოდა, იქნებ ჯანსუხმა იარაღს იმიტომ მოჰკიდა ხელი, რომ თანატომელებს თავისი ნაღდი აფსუობა დაუმტკიცოს? იქნებ, მაგრამ ეს ვისთვის რა შელაჯათია!

არადა, საოცრად მორიდებული, კეთილი და გულჩვილი კაცია. თავის დღეში ქათამიც არ დაუკლავს.

„გულჩვილი ეძახე შენ, იარაღი კი აუღია და!“

გონას ვერ წარმოედგინა, როგორ დაუმიზნებდა ადამიანს იარაღს ჯანსუხს სერგეევი, როგორ გამოჰკრავდა სასხლეტს თითს, როცა მისი ავტომატის სამიზნეზე ადამიანი „დაჯდებოდა“...

— კიდეც მოგიტან.

— ხშირად ნუ ივლი, არავინ შეგნიშნოს.

— არხეინად იყავი.

უცბე შენიშნა, რომ დინარი ერთბაშად დადინჯებულიყო, თითქოსდა დაკაცებულიყო, ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა.

დრო კი სიცხით დაოსებული კამე-
ჩივით მიიზღაზნებოდა.

ფიქრის მორევში ღრმად შეცურებუ-
ლი გონა დინებას მიჰყვებოდა. წინააღ-
მდეგობის თავი დაკარგული ჰქონდა. არც
კი ახსოვდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა
როდისმე წინააღმდეგობის თავი.

არადა, იყო დრო, როდესაც ჰქონდა.

ლინოტიპისტმა კაბინეტის კარი შე-
მოაღო და თავი შემოჰყო.

— შემოდი! — შეიწვია გონამ.

ქალი მორიდებულად შევიდა და „რე-
მინგტონზე“ დაბეჭდილი თაბახის ფურ-
ცლები გონას წინ დაუდო.

— რა არის ეს? — ჰკითხა კაცმა და
ფურცლები ახლოს მიიჩინა, თუმცა რა-
ღა ახლოს მიიჩინება უნდოდა. მაშინვე
მიხვდა, რომ ლინოტიპისტმა გაზეთის
დღეკანდელ ნომერში დასაბეჭდი მასა-
ლა მოუტანა. ასეთი რამაც ხდებოდა,
მაგრამ ძალზე იშვიათად: თუ დედანი
„ჭუჭყიანი“ იყო, ლინოტიპისტს დი-
რექტორთან მიჰქონდა, რომელიც ისევ
რედაქციას უბრუნებდა გადასაბეჭდად.

გონამ დედანი გადაათვალიერა და
ქალს გაოცებული მიანერდა.

— წაიკითხეთ...

გონა კითხვას შეუდგა.

ეს იყო ინფორმაცია იმის თაობაზე,
რომ იმ დღეებში გუდაუთის რაიონის
სოფელ ლიხნში ჩატარებულა აფსუათა
შეკრება, სადაც დაუდგენიათ — აფხა-
ზეთში სახელმწიფო ენად ცნობილ იქ-
ნეს მხოლოდ რუსული და აფსუური
ქართული კი ზედმეტად იყო მიჩნეული.

— მე ამ მასალას არ ავაწყობ! —
მტკიცედ განუცხადა ლინოტიპისტმა
სტამბის დირექტორს.

მასალის ხარისხზე, მისი ჩვეურობასა
თუ უიდეობაზე შემდგომი ურეგულურობის
წინაშე პასუხისმგებლობა სტამბას არ
ეკისრებოდა. თუ დროისა და რეჟიმის-
თვის მიუღებელ მკრეხელობას ექნებო-
და ადგილი, რედაქტორსა და მის კო-
ლექტივს გაამათრახებდნენ და ყველა-
ფერი ამით გათავდებოდა. მაგრამ იმ-
ჟამად კომპარტიას უკვე დაკარგული
ჰქონდა (სტეხისი მაგიური ძალა, პარ-
ტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტსა
და მინისტრთა საბჭოში მმართველობის
სადაკეები სეპარატისტულად განწყო-
ბილ პირებს ეჭირათ ხელში, რომელ-
ნიც თავიანთი ყოველდღიური საქმიანო-
ბით ხელს უწყობდნენ ავტონომიურ რე-
სპუბლიკაში ანტიქართული განწყობი-
ლების გაღვივებას. გუდაუთის რაიონუ-
ლმა გაზეთმა „ბზიფმა“ იმ ხანებში არა-
ერთი ანტიქართული რესპუბლიკა მია-
წოდა მკითხველს, რითაც, ცხადია, ქა-
რთველთა სასტიკი პროტესტი გამოიწ-
ვია. ეტყობა, გაეროს გაზეთის აფსუა
რედაქტორს ამ რესპუბლიკით ერთდრო-
ულად ორი კურდღლის დაჭერა განეზ-
რახა: თვითონ პატრიოტის იარღიეს
მიიკრებდა და სოკანგებოდ მონხულ და
დაფარცხულ ნოყიერ ნიადაგში სეპარა-
ტიზტებისთვის საიმედო კიდეც ერთ
თესლს ჩათესავდა.

— წადი და სხვა მასალები ააწყვე, —
უთხრა ლინოტიპისტს გონამ და ისევ ინ-
ფორმაციის კითხვას შეუდგა. ბოლომდე
რომ ჩაიკითხა, ვადაწყვიტა, რედაქტორს
ტელეფონით დაურეკავ და ვებგვერდი ამ
მასალას არ ავაწყობო, მაგრამ მცირე
ყოყმანის შემდეგ არჩია, პირადად ხლე-
ბოდა და ეთქვა სათქმელი.

გაზეთის მაშინდელი რედაქტორი ერ-
თი უწიგნური, თუმცა მთელი თავისი
ცხოვრება მაღალ თანამდებობაზე ნაშუ-
შევარი აფსუა იყო. დაუწერელი კანონის
ძალით აფხაზეთში ერთი წესი სარგებ-
ლობდა — ნებისმიერ თანამდებობაზე და-
ნიშვნისას სხვა ეროვნების წარმომად-

გენელთა წინაშე უპირატესობა აფსუ-
ებს ენიჭებოდათ. კმაროდა აფსუა
ასე თუ ისე თავდაპირველი კაცი ყოფი-
ლიყო, ჰქონოდა იმის უნარი, გაფუფული,
საქმიანი ადამიანის პოზით ევლო, და
მაღალი თანამდებობა გარანტირებული
ჰქონდა.

სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნე-
ბოდა შამილ ვოუბა.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ადამი-
ანები დაბალი საფეხურებიდან იწყებენ
თანამდებობრივ კიბეზე აღმასვლას, ასე
ეთქვათ, დამსახურებისამებრ წინაურდე-
ბიან. ვოუბა კი ამ მხრივაც გამონაკ-
ლის წარმოადგენდა: დაამთავრა თუ
არა რუსეთის რომელიღაც უმაღლესი
სასწავლებელი, მაშინვე პარტიის საოლ-
ქო კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებას
ჩაუყენეს სათავეში. იმ განყოფილების
მუშაობა რომ ჩააფლავა, იძულებული გა-
ხდნენ, რაიონში გაეგზავნათ სოფლის
მეურნეობის სამმართველოს უფროსად.
ვერც იქ ივარგა, რადგან სოფლის მე-
ურნეობის არა გაეგებოდა რა. დარგის
წამყვანი სპეციალისტები აიჯანყა თავი-
სი არაკომპეტენტურობითა და უაზრო
ჯინიანობით და „ეროვნულ კადრებზე
ზრუნვით“ დაკავებულმა ჩინოსნებმა
ვოუბასთვის ახალი თანამდებობის ძებნა
დაიწყეს. შესთავაზეს ერთი ადგილი,
მეორე, მესამე, მაგრამ ვოუბამ ისინი შე-
უფერებლად მიიჩნია და კეთილისმყო-
ფელთ უსიტყვეოდ აგრძნობინა, რომ შე-
ურაცხყოფილი დარჩა. სწორედ იმ ხა-
ნებში განახლდა ადრე გაუქმებული რა-
იონული განუთების გამოშვება და, თუმ-
ცა არც თუ დიდი ენთუზიაზმით, მაგ-
რამ მაინც დათანხმდა განუთის რედაქ-
ტორობაზე.

ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი,
რომ შამილ ვოუბამ საგანგებო მუშაობის
ანაბანაც არ იცოდა და ვერაფერიშვილი
რედაქტორი იყო. მაგრამ თავი მაინც
ამაყად ეჭვობა, რომ ამ სიამაყით თავისი
უვიციობის კომპენსაცია მოეხდინა. შე-
შოქმედებით მუშაობაში რომ ვერ მო-
ნაწილეობდა, მთელი ენერგია რკინის
დისციპლინის დამყარებაზე გადართო.

ფიზიკურად ადევნებდა თვალ-ყურს, სა-
მუშაოზე ვინ რამდენი წუთით დაიგვიანა,
ვინ ვერ დაწერა საჭირო რაოდენობის
სტრიქონები. ვინ ვერ შეასრულა ესა
თუ ის დავალება. თუმცა სარედაქციო
მუშაობისთვის ამ მეორეხარისხოვანი
საკითხებისადმი ვადამეტებულმა ყურა-
დღებამ უკუშედეგი გამოიღო — თანდა-
თანობით დაკარგა ის ავტორიტეტიც,
კოლექტივში ახალმოსულ ხელმძღვა-
ნელს თავისთავად რომ მოჰყვება ზო-
ლმე. ამას ყველაზე უკეთ თავად ხელ-
მოკარული რედაქტორი გრძნობდა და
გაფაციკვებული ადევნებდა თვალ-ყურს,
იქნებ სადმე ჩემთვის შესაფერისი ადგი-
ლი განთავისუფლდეს და აქაურობას თა-
ვი მშვიდობიანად დავალწიო.

სწორედ ამ დროს ჩატარდა აფსუთა
ლიზნის თავყრილობა, რომელსაც, ცხა-
დაა, თვითონ ვოუბაც ესწრებოდა. ის
ინფორმაციაც, რომლის აწყობაზე სტამ-
ბამ უარი განაცხადა, მისი უშუალო მი-
თითებით მომზადდა მის დაბეჭდვაზე
შამილ ვოუბა დიდ იმედს ამყარებდა.
რადგან არ ეეჭვებოდა, რომ ამით საზო-
გადოების თვალში დიდების შარაქანდე-
დით შეიმოსებოდა.

და წარმოიდგინეთ, როგორ გაცოფ-
დებოდა, როცა სტამბის დირექტორმა
მასალა უკან დაუბრუნა და განუცხადა:

— სტამბა ამ მასალას არ ააწყობს და,
მამასადამე, თუ ხსენა მასალით არ შეე-
კლით, განუთის ეს ნომერი ჩავარდება.

— თქვენ ვინ გვეკითხებათ? — მაგიდას
მუშტი დაჰკრა რედაქტორმა — მასა-
ლაზე პასუხს ჩვენ ვაკვებთ!

გონას კამათი არ დაუწყია, გატრიალ-
და და კაბინეტიდან აუღელვებლად გავი-
და.

ანდულაძე დარწმუნებული იყო ამ
ნაბიჯისთვის ოფიციალურად ვერავინ
დასჯიდა, რადგან კონსტიტუციით გათ-
ვალისწინებულ კანონს იცავდა. კონს-
ტიტუციაში კი შავით თეთრზე ეწერა,
რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენად ქა-
რთულიც ითვლებოდა, და სსქმისთვის
არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ-
ას, თუ რომელი სოფლის ყრილობა

რას მშობივოდა თუმცა ქისიკ კარგად მოეხსენებოდა, რომ აფსუთა გარკვეული ნაწილი, ალბათ, უმრავლესობაც კი, მტრად მოეკიდებოდა. ცხადია, გულითა და სულით არ სურდა, ეს ასე მომხდარიყო, მაგრამ უკანდახევა არასდიდებით არ შეეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ ეს საკუთარი ხალხის დაღატაკის ტოლფასი იქნებოდა.

სიმატლე რომ ითქვას, მაინც დელაუდა. მთელი დღე კაბინეტი წუთითაც არ დაუტოვებია — პარტიის რაიკომიდან ზარს ელოდებოდა.

მხოლოდ დღის ბოლოს დაურეკა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ:

— რა იყო, შე კაცო, რედაქტორთან საერთო ენა რომ ვერ ვიპოვია?

იმწამსვე იგრძნო, რომ განყოფილების ქართველი გამგე ყასიდად საყვედურობდა.

— მსგავსი რამ აღარ განმეორდება, ბატონო... — ორაზროვნად უპასუხა ვოჩამ და ყველაფერი ამით დამთავრდა.

თუმცა არა, არ დამთავრებულა. გონას ფურამდე ხმამ მოაღწია — ვოუბას, რომელმაც წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, რითაც სეპარატისტთა შორს გამიზნული გვეგებები წინასწარ გამოაშკარავა, „ზემოთ“ კარგა მაგრად აუწიეს ყური. უფრო მეტიც — განცხადება დააწერინეს და რაიონული გაზეთის რედაქტორობაზე „საკუთარი სურვილით“ ააღებინეს ხელი.

ბოლოს ვოუბა ერთ-ერთი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა.

გონა ანდლულამეს კი აფსუები ანონიმურ წერილებს უგზავნიდნენ შინაც და სამსახურშიაც, ურეკადნენ ტელეფონით და მოკვლით ემუქრებოდნენ.

მართალია, გონა ფოველივე ამას მაშინ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაგრამ, რბილად რომ ეთქვათ, ამგვარი მუქარის მოსმენაზე გუნება მაინც უფუჭდებოდა.

ახლა კი, როცა ასე აირდაირია ყველაფერი და, რაც სიტყვას უნდა ეთქვა,

ტყვიას ათქმევინეს, ცხადად იგრძნო, რა საფრთხე მოელოდა თუკი, რასაკვირველია, აფსუებს ჩაუვარდებოდა ხელში.

ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. ბრავის ხმით იცნო, რომ საბარგული იყო.

ეზოში ვილაკები ხმაურით შემოვიდნენ. აფსუურად ლაპარაკობდნენ, შიგადა შიგ რუსულსაც ურევდნენ.

— არ გაბედოთ, ხელი არაფერს ახლოთ! — გაიგონა როშას რისხვით აღსავსე ხმა.

ვილაკამ ავტომატის მთელი ჯერი დასცალა. მერმე ეზოში შემოსულთა ხარხარი გაისმა.

— გარეწრებო! — უკან არ იხეველა როშა. — ეს ოჯახი მე ჩამაბარეს!

— სახლა ჩვენ გადმოვგაბარებ! — გაიგინა რომელიღაც მომხვედურთაგანმა. — თუ ვინმემ პასუხი მოგთხოვოს...

— პასუხს არავინ მოსთხოვს... — ვოჩა საუბრის კილოთი მიხვედა, რომ ამ სიტყვების მთქმელი აფსუა არ იყო. — იმი ყველაფერს ჩამოსწერს...

— ამ სახლის პატრონი სად არის, თუ იცი? — ახლა სხვამ ჰკითხა როშას.

— გაიქცა. აბა, თქვენ ხომ არ ჩავივარდებოდათ ხელში!

— ის თუ იცი, რომ ეს შენი მეზობელი აფსუების მოსისხლე მტერია? — ჰკითხა იმავე ხმამ.

— არავითარი მტერი არ არის, მშვენიერი სამეზობლო კაცია!..

— მაგარი ხარ! — დაიღმუველასავით იმავე მომხვედურმა. — ხელში რომ გავვარდნოდა, უმალ წირვას გამოუყვებოდი. რაკი გაგვასწრო, მისი ქონებით მაინც ავინაზლაურებთ დანაკარგს.

— გავწვიტათ ჭირმა, თქვე ავაზაკბო, თქვენა!

— წადი, დედაკაცო, და შენს ოჯახს მიხედე! — ეტყობა. მუქარით სავსე ამ ხმამ როშა განაიარაღებ რომ მას შემდეგ გონას მისი ხმაც არ გაუგონია.

სამაგიეროდ ესმოდა, როგორ დაბრახუნობდნენ მის სახლში ყაჩაღები, ახრივინებდნენ სკამებს, მავიდებსა და საქარძლებს. დიდხანს ისმოდა მათი ზუჯური. ბოლოს კი ღდაბლოებით საძიოდუ საათის შემდეგ, კვლავ ამუშავდა საბარგული. გონა მიხვდა — ნაძარცვით დატვირთული მანქანა ვხას გაუდგა.

გული არ უთმუნდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ავიდოდა მაღლა და ნახავდა, რა წაიღეს და რა დარჩათ მძარცველებს, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ცდუნებას არ აჰყვა.

უცებ მსუბუქი მანქანის ძრავა ამუშავდა. გონა მიხვდა, რომ ეს მისი მანქანა იყო. გული საოცრად ეტკინა და მძიმედ ამოიგმინა. თითქოს დაკარგა ახროვნების უნარი. გული გაუცივდა. სულიერად დაცარიელდა.

და საოცარი რამ მოხდა — გაუქრა სურვილი იმის გაგებისა, რის წაღება შესძლეს და რა ვერ წაიღეს მძარცველებმა. დიან, ერთბაშად ყველაფრის ინტერესი დაკარგა.

დიდხანს გაუნძრევლად იწვა და უთავებოლოდ არეულ ფიქრებს ებრძოდა. ხან ერთი ფიქრი წამოუვლიდა, ხან მეორე. ერთ, კონკრეტულ საფიქრალს გულს ვერ უღებდა.

ფიქრი, შიშისა თუ უსასოობის გრძნობა ერთმანეთში არეოდა და ჩაგულისყურების საშუალებას უსპობდა. გარინდებული თითქოსდა უმწეოდ დაფარფატებდა უპაერო სივრცეში.

ბოლოს, როგორც იქნა, დაშვიდდა. დაამშვიდა იმის შეგნებამ, რომ არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა. კაცს, რომელიც თავის გადასარჩენად სარდაფს შეფარებოდა და სიკვდილს წამისწამ მოელოდა, განა უნდა გაჰკვირვებოდა, რომ სახლში მიხტომოდნენ და ყველაფერი წაეღოთ, რის წაღებაც შესაძლებელი იყო, სულით ზორცამდე გაეცალათ?!

არა, ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ასე რომ, თავი უნდა დაემშვი-

დებინა და ღმერთს შევედრებოდნენ ღმერთს დამარჩინეო.

ღაჩოქა და აბუტბუტდა, თანაც გამალებით იწერდა პირჯვარს:

„ანგელოზო ქრისტესო, მცველო ჩემო წმინდაო, მფარველო სულისა და ზორცისა ჩემისა. ყოველივე შემინდევე, რაოდენიც შეგცოდე... და ყოველთა ბოროტთა და წინააღმდეგთაგან მტერთა გამოიმიხსენ მე, რათა რომლითავე ცოდვითა არა განვიარისხო ღმერთი ჩემი, არამედ მეოხ შეყავ მე ცოდვილსა და უღირსსა მონასა, რათა ღირსად გამომაჩინო მე კეთილის მყოფელისა მოწყალისა სამებისა, და დედისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოველთა წმიდათა. ამინ“.

ერთხანს კიდევ იყო ღაჩოქილი, სიბნელეს ჩამტრეებული, ისევ გადაიწერა პირჯვარი და „ლოგინზე“ წამოწვა.



სამალავში ვიღაც ჩამოვიდა. გონა მიხვდა, რომ დინარი იყო.

— გონა ბიძია! — შორიდანვე დაიძახა ბიჭმა.

— მოდი, დინარ... —

დინარმა გონა ხელისცეცებით მოძებნა და გვერდით მიუჯდა.

— ყველაფერი წაიღეს... — ჩავარდნილი ხმით თქვა ბიჭმა.

— ვიცი... —

— დედამ ერთი ამბავი ატება, მაგრამ... მანქანაც წაიყვანეს.

— ესეც ვიცი... მესმოდა.

ბიჭი კარგა ხანს დუმდა, ქერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. თავნაქინდრული იჯდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, რომ გონა ანდლულადის ოჯახი მოძალადეებმა გაძარცვეს.

— ჯანსუხის რა ისმის? — დაარღვია უხერხული დუმილი გონამ.

— მსუბუქად დაუჭრიათ. პოსპიტალში წევს. დედა სანახავად წავიდა. მე კი შენსკენ გამოვსწვი.

— ოქრო ბიჭი ხარ! — შეაქო გონამ.
— ერთი რამ მინდა დაგაკალო, თუ შე-
მისრულებ.

— როგორ არ შეგისრულებ!

— ქალაქში წადი და გამოიგე, სტამბა-
ში რა ხდება.

ეს უთხრა და უმაღლესი გაიფიქრა, სტამ-
ბას რა თავში ვიხლი, სახლი გამიძარ-
ცევს, მანქანა წამართვეს, ჩემი სიცოცხ-
ლეც საფრთხეშია და რაღა დროს სტამ-
ბაზე ფიქრია ან ამ თითისტოლა ბიჭმა
რა ამბავი უნდა მომიტანოსო.

— ახლავე წავიდე? — ჩაეკითხა დი-
ნარი.

— არა, ახლავე — არა.

— მამ როდის?

გონამ უცებ არ უპასუხა. გრძნობდა,
რა სულმოუთქმელად მოელოდა ბიჭი
მის პასუხს. ეჭვი არ ეპარებოდა, დინა-
რი მის ნებისმიერ სურვილს დიდი სი-
ამოვნებით შეასრულებდა, და ახლა
იმის თქმა, სტამბაში წუ წახვალო, იმ-
ედგაკრუების ტოლფასი იქნებოდა. ამ-
იტომ მცირეხნის დუმილის შემდეგ მი-
უღო:

— როცა გეტყვი.

იმ დამეს უცნაური სიზმარი ნახა —
თეთრ კაბაში გამოწყობილი შავთვალ-
წარბა გოგონა გამოეცხადა და გაღიმე-
ბულმა ჰკითხა:

— ბატონო გონა, აქ რას ელოდებით,
გარეთ რატომ არ გამოდიხართ?

გონამ გოგონა ვერ იცნო და გაოცე-
ბული მიაჩერდა.

— ვერ მიცანიო? — სახე ვაებადრა
სტუმარს.

ვერასო თავი გაიქნია გონამ.

— გარეთ გამობრძანდით, რომ კარ-
გად დამინახოთ.

— ვერ გამოვალ.

— რატომ? — გოგონას სახიდან თან-
დათანობით გაქრა ღიმილი.

— იმიტომ, რომ ტყვე ვარ... უხადრა-
ვო ტყვე.

— ეს რას ნიშნავს? — წარბეჭედვი-
ბა ქალიშვილმა.

— აქედან გამოსვლას არავინ მიშლის,
მაგრამ ვერ გამოვდივარ იმ უბრალო მი-
ზეზით, რომ ვიცი — მომკლავენ.

— თქვენ მოგკლავენ? თქვენ?! — გა-
ოცება არ დაუმაღლავს ქალიშვილს.

— დიახ, მე.

— ხელს არავინ გახლებთ, თქვენ ხომ
სიკეთის განსახიერება ხართ! თქვენის-
თანა კაცის მოკვლა როგორ შეიძლება!

ქალიშვილის სიტყვებმა გონას გული
აურწყა.

— თქვენ რა იცით, მე რა კაცი ვარ...
თქვენ...

— ვიცი, აბა, კარგად დამაკვირდით.
ჩვენ ხომ დიდ ხანია ერთმანეთს ვიც-
ნობთ?

გაოცებული გონა პირდაღებული მის-
ჩერებოდა ამ უცხო არსებებს.

— ნუთუ ვერ გამიხსენეთ — მე ხომ
ნინო ვარ, ნინო ნოზაძე!

— ნინო ნოზაძე?! — ტუჩების ცმაცუ-
ნით გაიმეორა გონამ, რომელსაც უცებ
გაახსენდა, ვინც იყო და როგორ გაიც-
ნო ეს ქალიშვილი, რომელიც იმწამსვე
ისვე მოულოდნელად გაქრა, როგორც
გამოეცხადა.

გამოეღვიძა. გარშემო წკვარამი სუ-
ფევდა. ხეირიანად ჯერ კიდევ ვერ გა-
მოფხიზლებულიყო და ისევ ჩაესმოდა
იმ ქალიშვილის აღერსიანი ხმა.

გვერდი იცვალა და დამინება სცადა,
მაგრამ ამაოდ.

...ეს ამბავი ათიოდე წლის წინ მოხ-
და. მაშინაც სტამბის დირექტორად მუ-
შაობდა. ერთხელ მის კაბინეტში სამი
ახლგაზრდა შევიდა. უცნობი ბიჭები
(ყველაზე ერთი ასაკის — თვრამეტ-
ცხრამეტი წლისანი იყვნენ) გონას მო-
რიდებით მიესალმნენ და უხერხულად
გაღიმებულნი მიაჩერდნენ.

ცხადია, გონამ ბიჭები ვერ იცნო, მა-
გრამ მაინც ჩვეული გულთბილობით მი-
იღო.

— დაბრძანდით, ყმაწვილებო! — უთ-
ხრა და კედელთან ჩამწკრივებულ სკა-
მებზე რომ დასხდნენ, ჰკითხა: — რით
შემიძლია ვემსახუროთ?

ყველანი მაშინვე წამოდგნენ და ერთ-ერთმა მათგანმა, სხვებზე მაღალმა შავ-გვრემანმა ბიჭმა კითხვა შეუბრუნა:

— თქვენ ბრძანდებით გონა ანდლულაძე?

— დიახ, — მიუგო გაკვირებულმა მასპინძელმა, — დაბრძანდით, დაბრძანდით!..

ბიჭები ისევ დასხდნენ.

— ჩვენ პოლიტიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვართ. პრაქტიკიდან შინ ვბრუნდებით. მატარებელში ჩვენს თანაგურსელ გოგონას ბრმა ნაწლავი გაუსკვლა. თქვენი ქალაქის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს... — ბიჭმა სული ღრმად მოითქვა.

— ახლა როგორაა? — წამოგდა გონა.

— შედარებით უკეთა გრძნობს თავს, მაგრამ... — ბიჭს უხერხულად გაეღიმა. — ექიმმა გვითხრა, სასწრაფოდ ლიმონი უნდა იშოვნოთ. ბაზარში ვიყავით, მაგრამ ლიმონი არ იყიდებოდა... ჩვენ აქ არავის ვიცნობთ. გვითხრეს... — ბიჭს ისევ უხერხულად გაეღიმა. — თქვენზე გვითხრეს, ბატონი გონა დაგეხმარებათო, და...

— რა გვარია და რომელ პალატაში წევს თქვენი ავადმყოფი? — ჰკითხა მცირე ფიქრის შემდეგ გონამ.

— ქირურგიული განყოფილების მე-ხუთე პალატაში წევს, — მაშინვე მიუგო ბიჭმა. — ნინო ნოზაძე...

გმაწილები რომ გაისტუმრა, გონა ტელეფონს ეცა. მეციტრუსეობის ყველა მურწნობაში დარეკა, ბევრი სანატორიუმის მთავარი ექიმიც შეაწუხა, მაგრამ ყველამ ერთი და იგივე პასუხი გასცა: არ გვაქვსო.

სწორედ ამ დროს რედაქციის ფოტოკორესპონდენტმა კლიშეებისთვის ფოტოსურათები მოუტანა. ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილი იყო ოთახში ნახარები, ნაყოფით დახუნძლული ლიმონის ხესთან მდგომი კაცი.

— ეს კაცი ხომ ალექსი ბგანბაა? — ჰკითხა ფოტოკორესპონდენტს.

დიახ, ის არისო, მიიღო პასუხი.

გონამ ბგანბას მისამართი ქუჩაწუტა, მანქანაში ჩაჯდა და ბიჭვინისსკვნი წაქცნა და.

ალექსი შინ დაუხედა. თავაზიანად მიიღო, ბინაში შეიწვია.

ტანმორჩილი კაცი იყო, ბოლოაწკვერტილი უღვაშები და თაე-პირისათვის შეუფერებლად დიდრონი ყურები ჰქონდა. მთელი სახით იღიმებოდა და სტუმარს უცნაურად აციმციმებული თვალებით შესცქეროდა.

— ძალიან მესიამოვნა თქვენი სტუმრობა, — უთხრა ალექსიმ, — თუმცა არ დაგიმალავთ, რომ გაკვირებულიცა ვარ...

— გაკვირვებამ მომიყვანა ბატონო ალექსი, — გაიღიმა გონამ და მზერა განიერი დარბაზის კუთხეში მიდგმულ ხის ყუთში ჩარგულ ლიმონს ესროლა. ლიმონს აუარება საკმაოდ მსხვილი ნაყოფი ესხა.

ალექსიმ მის მზერას თვალი გააყოლა. გონამ შენიშნა, რომ მასპინძელს სახეზე უეცარმა ჩრდილმა გადაურბინა.

— ხუთიოდე ცალი ლიმონი მინდა ავადმყოფისთვის. სხვაგან ვერსად ვიშოვნე და... — უხერხულად გაღიმებული გონა მასპინძელს წამით მიაჩერდა, მერმე მზერა ისევ ლიმონზე გადაიტანა. კარგად იცოდა, წლის ამ დროს ნაყოფის დაკრეფა მცენარეს აუნებდა, ამიტომ გრძნობდა თავს უხერხულად.

ალექსი უსიტყვოდ გატრიალდა და მეორე ოთახში გავიდა. ისევ რომ გამოჩნდა, ხელში კენახის მაკრატელი ეჭირა. ლიმონთან მივიდა, რამდენიმე მომსხო ნაყოფი მოწვევითა მაგიდაზე დააწყო და კვლავ მეორე ოთახში გავიდა.

გონამ ოთახი მოათვალიერა. აქ სისუფთავე, წესრიგი და სიმყუდროვე გამოეშვებულიყო. და ახლალა მიაქცია ყურადღება, რომ ოთახში რადიკანარი მწკლარტე სურნელით შეზავებული პაერი იდგა.

„ლიმონის სურნელი!“ — გაიფიქრა გონამ.

ალექსიმ ქალაღის პატარა პარკი შემოიტანა და ლიმონები შიგ ჩაყარა. მე-

რმე გატრიალდა და კარადიდან „ვარციხე“ გამოიღო.

— ხანამ ერთ სირჩას მაინც არ დამილკეთ, ლიმონს არ გაგატანთ, — ლიმილით უთხრა მასპინძელმა.

გონამ ბოთლზე ხელი უტაცა — არ გახსნაო.

— ვერ დავლევ, ბატონო ალექსი, მანქანითა ვარ.

მასპინძელს დიდი მადლობა გადაუხადა და კიბეზე სირბილით დაეშვა.

ქირურგიული განყოფილების მეხუთე პალატაში სამი საწოლი იდგა. გონამ ავადმყოფებს გადახედა და ხმამაღლა იკითხა:

— რომელია ჩემი ავადმყოფი?

ნინო ნოზაძეს მაშინ მაღალი სიცხე ჰქონდა და გონა არც დალაპარაკებია.

ყოველდღე რეკავდა საავადმყოფოში და კითხულობდა, როგორ არისო.

ერთ დღეს ნაცნობმა ექიმმა უპასუხა: ნინოს მამამ ჩამოაკითხა და თბილისში წაიყვანაო.

მოკლე ხანში კი თბილისიდან ღია ბარათი მიიღო: „ბატონო გონა, მინდა, დიდი მადლობა მოგახსენოთ ჩემზე გაწეული მზრუნველობისათვის, თან ბოლოში მოვიხადოთ, რომ ისე წამოვიდე, სიქვენი ნახვა ჯერ შეეძელი. გვედრებით, როცა თბილისში ჩამობრძანდებით, აუცილებლად დავგერიკოთ. უღრმესი პატივისცემით ნინო ნოზაძე“.

ვინ იცის, მას შემდეგ რამდენჯერ იყო თბილისში, მაგრამ ნოზაძეებისთვის არ დაურეკავს.

...„რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი?“

— ფიქრობდა გონა და ისევ და ისევ სიზმრის შინაარსს უკირკიტებდა.

გონამ იცოდა, ჯანსუხის მეუღლე რომა სიზმრების ახსნის დიდოსტატი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მასთან დაკავშირება არ შეეძლო.

ახალი დაღამებული იყო, დინარმა რომ მოაკითხა.

— ცხელი ხაჭაპური მოგატანე უთხრა ბიჭმა.

გონამ ხმაზე შეატყო, რომ დინარი კმაყოფილი იყო.

— დედაშენის გამოძხვარი?

— პო. შუაზე გაჭრა და მითხრა — ერთ ნახევარს მამაშენს წავუღებ, მეორე შენი იყოსო.

— გამოდის, შენი არჩივი უნდა შეეკამო.

— დედამ კარგად იცის, რომ ამდენს მე ვერ შეეჭამ.

— ესე იგი, ისიც სცოდნია, რომ, რაც გადაგრჩებოდა, სხვისთვის უნდა მოგეკოხა.

დინარმა ერთხანს არ უპასუხა. იმაზე ფიქრობდა, გაეშხილა თუ არა გონასთვის თავისი ეჭვი: დედა გრძნობს, რომ აქვე ხარ დამალული და დღევამოსვებით გაკითხავო.

— პა, დინარ? — თავი შეახსენა გონამ და ჯერ კიდევ ცხელი ხაჭაპურის ჭამას შეუდგა.

— ვფიქრობ, დედა ზღვება, რომ სადღაც ახლოს ხარ დამალული...

— შეიძლება...

— შენ არ შეგეშინდეს, გონა ბიძია. დედა არავის ეტყვის... — უთხრა დინარმა.

— ეიცო...

— სტამბაში ვიყავი... — თითქოს სხვათა შორის უთხრა ბიჭმა.

— როდის?

— დღეს. სტამბა მუშაობს. გაზეთს უშვებენ.

— აფსუურ ენაზე, არა?

— აფსუურად და რუსულად.

ადრე გაზეთი სამ ენაზე გამოდიოდა. ახლა კი ქართული რაში სჭირდებათ.

„ის ხორციელდება, რასაც საფუძველი დიდი ხნის წინ ეყრებოდა!“ — გაიფიქრა გონამ და გულზე სასტიკი ბოღმა შემოაწვა. ეს ბოღმა უფრო იმის შედეგი გახლდათ, რომ შექმნილ სიტუაციაში უძლური იყო, მოვლენათა მსვლელობაზე რაიმე გავლენა მოეხდინა.

— სტამბის დირექტორად ის კაცი და-
უნისნავთ, ერთხელ აქ რომ დათვრა და
ცხენივით ჭიხვიინებდა.

ესე იგი, ყოფილი მბეჭდავი სტამბის
დირექტორად დაუნისნავთ. ხეპრე უტ-
ვინო კაცი, რომელსაც სტამბის შუშა-
ქობისა არაფერი გაეგებოდა, ერთადერ-
თი, რაც შეეძლო, ბეჭდვა იყო.

„ნაცნობი ხელწერა!“ — შწარედ გა-
ელშია ვოჩას.

— ჯანსუხი როგორ არის? — ჰკითხა
მოგვიანებით ბიჭს.

— დღეს უნდა გაწეროს. დედა თავს
იკლავს — უკვე ბებერი ხარ, რა დროს
შენი ბრძოლაა, ფრონტზე აღარ გაგიშ-
ვებო, მაგრამ შამა არ უჯერებს, შენ ამ
ცხოვრების არაფერი გაგეგებო. ეუბნე-
ბა.

„საცოდავი ჯანსუხი ღამურას ბედს
იზიარებს“, — გაიფიქრა ვოჩამ.

— დღეს რა რიცხვია? — ჰკითხა დი-
ნარს.

— ოცდათერთმეტი.

„თქვე შესრულდა გარეთ თავი
არ გამიყვია, — გაიფიქრა და ლოცვებზე
ხელი მოისვა. — ალბათ, ისე ვარ გა-
ბურძენული, კაცს არ შეეხებები“.

— მთელი თვეა, ჯანიკო არ მინახავს,
— თქვა დინარმა და სიტყვებს ოხვრა
ამოაყოლა.

შვილის სახელის გაგონებაზე ვოჩას
გულზე კაეშანი შემოაწვა.

— ჯანიკო აქეთ ვერ შემოვა, მე იქით
ვერ წავალ... — თქვა გულანუყებულმა.

— ალბათ, დიდხანს არ გავრძელებდა
ასე... — ივარაუდა ბიჭმა.

— ღმერთმა ჰქნას.

ანდლულაძეების ჭიშკართან უცხოური
მარკის მსუბუქი მანქანა გაჩერდა. შავი,
გაპრიალებული მანქანა იყო. რადიოან-
ძაზე თეთრხაზებიანი აღისფერი დროშა
უფრიალებდა.

— უკანა კარი გაიღო და მანქანიდან მა-
ღალი, ჭიქარათმიანი კაცი გამოვიდა.
ჭიშკარს მიადგა და დაიძახა:

— მასპინძელო!

დინარმა ძაბილი გაიფონა და მეზობ-
ლის ეზოში გადავიდა.

— გამარჯობა, ბიჭიკო! — მიესალმა
კაცი, ჭიშკარი გამოაღო და ეზოში შე-
ვიდა. — ეს გოჩა ანდლულაძის სახლია?

— დიახ, — მიუგო ბიჭმა და უცხო კა-
ცი ცნობისმოყვარედ შეათვალიერა. კაცს
პენსე ეკეთა. მაღალი შუბლი ნაოჭე-
ბით ჰქონდა დაღარული. სახე კეთილად
უღიმოდა.

— არ იცი, ბატონი გოჩა სად არის?

— კაცი ბიჭს მიუახლოვდა — მხარზე
რბილად დაადო ხელი.

არ ვიციო, თავი გაიქნია დინარმა და
კაცს ქვემოდან ახედა. მოეჩვენა, რომ ძა-
ლზე მაღალი იყო.

— რა გქვია? — ჰკითხა სტუმარმა.

— დინარი. დინარ სერგეგია.

— ქართველი ხარ?

— არა, აფსუა.

— ისე კარგად იცი ქართული, ქართ-
ველი მეგონე.

— ბავშვები ხან ქართულად ვლაპარა-
კობთ და ხან აფსუურად... ასე ვისწავ-
ლე.

— ყოჩაღ! — კაცმა ბიჭს ხელი მოხვია
და სახლისკენ წაიყვანა.

— დინარ, — დაიწყო კაცმა და ნაბიჯი
შეანელა, — ის ხალხი, — მანქანაში
მსხდომთაგენ მიუთითა, — გაეროს მი-
სიის წარმომადგენლები არიან. ადამიან-
ნის უფლებათა დამცველები. მე გოჩას
ღმცროსი ძმის... იცნობ ნიკა ანდლულა-
ძეს? — ჩაეკითხა უცებ.

— ვიცნობ, როგორ არა...

— ნიკა ჩემი სტუდენტია... ჰოდა, თუ
იცი, სად არის გოჩა, ნუ დამიძალავ.

ბიჭმა ისევ დაკვირვებით შეათვალი-
ერა უცხო კაცი და თავი გაიქნია:

— არ ვიცი, მთელი თვეა არ მინახავს.

— იქნებ მოკლეს?

— არა, — ისევ გაიქნია თავი დინარ-
მა. — ჩვენები რომ შემოვიდნენ, იმ და-
მესვე გაქრა.

— მას შემდეგ აღარ გამოჩენილა? — სტუმრის ხმაში იმედგაცრუება აელერდა.

— მე არ მინახავს.

კაცი მიტრიალდა, მანქანაში მსხდომთ უცხო ენაზე რაღაც უთხრა და ისევ დინარს მიუბრუნდა.

— იქნებ შენმა მშობლებმა იციან, სად არის გონა?

ბიჭმა უარის ნიშნად ისევ გაიქნია თავი.

კაცი ჩაფიქრდა. სახიდან დიმილის ნახაბიც გაუქრა, უცებ პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიყო ხელი და კონვერტი ამოიღო.

— ეს ბარათი ნიკამ გამომატანა გონასთვის გადასაცემად... — კონვერტი ხელში შეატრიალა. — რა გაეწეობა, რაქი ვერ ვიპოვე... — აზრი აღარ დაასრულა და კონვერტი ისევ ჯიბეში ჩაიდო. გატრიალდა და ჭიშკრისკენ წავიდა. დინარს თითქოსდა მისდარუნებურად აღმოხდა:

— ბიძია...

კაცი მაშინვე მიტრიალდა და ბიჭისკენ წამოვიდა. ეტყობა, მიხვდა — დინარმა რაღაც იცოდა და უმაღავდა.

დინარმა ენაზე იკბინა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო: კაცი ისეთი გამოიმეტყველებით უცქეროდა, ნამდვილად არ ეეჭვებოდა, რომ დინარმა გონას ადგილსამყოფელი იცოდა.

— ჰო, დინარ... — გაუღიმა კაცმა, თითქოს ამხნევებსო.

— დამიტოვეთ ბარათი... — ყოყმანით უთხრა დინარმა. — თუ გამოჩნდა...

კაცმა კონვერტი გაუწოდა. ის უკვე დარწმუნებული იყო, ბიჭი ბარათს აუცილებლად გადასცემდა გონას.

დინარმა კონვერტი გამოართვა და უბეში შეინახა.

— დაახლოებით ერთ საათში დაგბრუნდებით უკან... იქნებ მანამდე ნახო...

კაცი გატრიალდა და მანქანისკენ გაემართა.

მანქანა რომ წავიდა, დინარი შინ გაიქცა, ჭრაქი და ასანთი მოძებნა და გონას სამაღავს მიაშურა.

გონა დინარს იმ დღეს აღარ მოელოდა და, როცა სარდაფში ჩამოსული ბიჭის ხმა გაიგონა, გაოცებული დარჩა.

— შენა ხარ, დინარ?

— ჰო, მე ვარ.

— აქი ხვალ უნდა მოსულიყავი?

დინარმა ასანთს გაჭკრა და ჭრაქს მოუკიდა.

— რას შერები. ბიჭო! — შესძახა გონამ და ჭრაქი სულის შებერვით ჩააქქრო. — ვინმემ თვალი რომ მოჭკრავს...

— ნუ გეშინია, მზიანი დღეა და ჭრაქის შუქი გარეთ ვერ გააღწევს, — დაამშვიდა დინარმა, ასანთს ხელახლა გაჭკრა და ჭრაქი ისევ აანთო.

— რად გინდა ეს ოხერი, ვერ გამოვივა.

— მინდა... — ბიჭმა ჭრაქი დადგა და უბიდან კონვერტი ამოიღო. — წაიკითხე. გონამ კონვერტი გამოართვა, დახედა.

კონვერტზე გარედან არაფერი ეწერა, გაოცებული მზერა ისევ ბიჭს მიაპყრო. მერმე კონვერტს თავი წახაზა. ბარათი ამოიღო და ნულა გაშალა.

„გამარჯობა, ძმონ გონა!“

დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალი ხარ. დემეტრემა ჰქნას, ნამდვილად ასე იცოს. ამ ბარათს ვატან ბატონ გაიოზ ნოზაძეს, იმ ნინო ნოზაძის ძამას, ერთხელ მძიმე ავადმყოფს ღიმონი რომ უშოვნე (მახსოვს, შენ მომიყვები ეს ამბავი ამ ათიოდე წლის წინ). ბატონი გაიოზი ჩემი ლექტორია — ინგლისურ ენას მიკითხავს. ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ვაგრაში იყავი ჩარჩენილი. ამას წინათ მითხრა, გაეროს მისიას აფხაზეთში მიყვები თარჯიმნად, ეინ იცის, იქნებ ვაგრაშიც მომიხდეს ჩასვლა, ბარათი დასწერე და, თუ მოვახერხებ, შენს ძმას გადავცემ, იქნებ გადმოვიყვანო კიდევო. მეც სწორედ ამ მიზნით ვწერ ამ ბარათს. ერთი სიტყვით, ბატონი გაიოზი საიმედო კაცია, ენდუ და დაუჯერე. იქნებ ბედმა გაგვიღიბოს და მალე შევხედეთ ერთმანეთს.

შენი ძმა ნიკა ანდლულაძე“.

გოჩამ თვალები დახუჭა, თავით ბეტონის ბალაქერს მიეყრდნო.

„ნიკა... ჩემი ძმა ნიკა... ნინო... ნინო ნიზამე და მამამისი გაიოზი“... — ტუნების ცმაცუნით იმეორებდა გოჩა.

დინარი თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა და სულგაკმენდილი ელოდა, რას იტყვისო.

გოჩა კი არაფერს ამბობდა — უზმოდ, ტუნების ცმაცუნით ჩურჩულებდა რაღაცას.

— ეს ბარათი საიდან გაჩნდა? — ჰკითხა გოჩამ ბიჭს.

დინარმა დაწვრილებით უამბო ყოველივე.

— რაო, რას იწერება? — ჰკითხა ბიჭმა.

გოჩამ უაზროდ გაუღიმა და ისევ წერილს დახედა.

— გაიოზს დაუჯერო... —

— გაიოზი, ალბათ, ის ძიაა, ბარათი რომ გადმოშცა.

— ალბათ, — დაუდასტურა გოჩამ და ისევ ბარათს დააკეჭრდა. — ენდო... დაუჯერო... — უცებ შუბლი შეიჭმუნა და საკუთარ თავს შეედავა: — როგორ უნდა ვენდო... არა, არა, ახლა არაუის ნდობა არ შეიძლება... არავითარ შემთხვევაში...

— ეს ბარათი ხომ ნამდვილად ნიკას დაწერილია? — აღმოხდა გაოცებულ ბიჭს.

გოჩამ კიდევ ერთხელ დახედა ბარათს: — კი, ნიკას ხელია, მაგრამ...
გაწვევითა, ენა დაება.

— რას ამბობ! — შეიცხადა დინარმა, — ძმას არ უნდა ენდო, ბიძია გოჩა?

ბიჭი დაუფარავად საყვედურობდა და გოჩას უცებ ამასწინანდელი სიზმარი მოაგონდა. კვლავ წარმოუდგა თეთრკაბიანი ნინო... სათნო და ღამაში კეთილად უღიმიოდა.

— ძმას კი, — მიუგო გოჩამ. — მაგრამ სხვას...

— ის კაცი სხვა აღარ არის! — რწმუნით აღსაუხე ხმით უთხრა ბიჭმა. — რაკი ნიკა გირჩევს, უნდა ენდო, აბა, რა!

თითქოს ნინოს ხმაც ჩაესმა: „ენდეთ მამაჩემს, ბატონო გოჩა!“

— როგორ ვითხრა, რამდენ ხანში გამოვივლიო? — ჰკითხა გოჩამ.

— დაახლოებით ერთ საათშიო, წავალ, ჭიშკართან დაველოდები.

— წადი, წადი...

დინარი რომ წავიდა, გოჩამ დაიხოქა, პირველად გადაიწერა და ლოცვა წამოსთქვა:

„...ერთი დვთაებაო, ერთი ძალო, შემიწვალე მე ციღელი და, რომლისათა მსჯავრითა უწყი, მაცხოვრე მე უღირსი მონა შენი, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ საუკუნითგან უკუნისამდე. ამინ“.





საილენკის ვარდი

პოემა

ღამეა... ჟამი იღუმალი,
მთვარის სხივები
ვერცხლად ციმციმებს გალიების
შავ გისოსებზე.
იატაკზე ვარ გაწოლილი, და ჩემთვის
ვფიქრობ,

ვფიქრობ იმ დღეზე,
როცა ვიყავ თავისუფალი.
ახლა ვინა ვარ? გალიაში გამოკეტილი
ორანგუტანგი... მიმი გაზღავთ
ჩემი სახელი.
ვიცნობდეთ ერთურთს! თუმცა, აბა,
რაში ვჭირდებათ
ჩემი გაცნობა. მე დაცინვაც მეყოფა
თქვენი.

დამცინეთ! აკი მეც დაეცინი
ჩემს ბედს და ყოფას.
მაგრამ რატომღაც სვედიანი გავხდი
ბოლო დროს!

... ვგრძნობ რომ ვებრდები.
ამოგანგლული სიბინძურეში,
იავარქმნილი, პატიუაყრილი,
მე მაინც შენზე მაღლა ვდგავარ,
აღამიანო!

ღიახ, უცხოა შენთვის ხილვანი —
მე რომ მეწვევა ბინდიან ღამით...
მშვენიერება, ცით გარდმოსული
ჩანს ხოლმე სიზმრის
სიფრიფანა, ცისფერ კედელზე...
რამდენჯერ უცაღე მივახლებოდი,
ამაოდ დაეშვრი, დავრჩი ეულად!
ხანდახან რისხვით ვარყევ გისოსებს,
ეს მაშინ,

როცა მაგონდება თავისუფლება.
ღიახ, მე ვიცი, ერთხელ იქნება —

გავამსხვრევ რკინის მტკიცე გისოსებს
და გავიქცევი!

მაგრამ ჩუ! არვინ ამოიკითხოს
ეს აზრი ჩემი თვალების ფსკერზე!
ღამე კი, ღამე, იღუმალებით
აეხებს ყველაფერს — ბნელი და ცივი
და მე საკუთარ ლანდს ვემალები,
სულს ვაჩვევ ლოდინს,
ზორც ვაჩვევ ტკივილს.

ბოლო ხანდახან, როცა ტკივილი
გაუსაძლისი ხდება ძალიან,
მაშინ საკუთარ თავს ვუშეორებ —
— შენი ბრალია!
— შენი ბრალია!

აღბათ, როდისმე შეცდომა დიდი
დავუშევი, რომლის გამოსწორება
არც მე, არც არვის
არ ძალუძს ქვეყნად...

მაგრამ, ო, მაგრამ, ნუთუ წვალება
არ კმარა ჩემი?

ნუთუ არ კმარა, რაც ავიტანე?
სად ჩაიძირა ოცნების გემი?

რომელ მეჩენზე დაიმსხვრა ნეტავ, —
თეთრი, აღისფერ აფრააშლილი,
ვერ დაადწია თავი ქარიშხლებს,
ვერ ესაღბუნა ო, ჭირთა ჩემთა!
და პა... თენდება!
ეს ერთი დილაც
მოიპარება,

და პა, მეც წელა და ხანტად ვდგები.
უუახლოვდები გისოსებს რკინის,
და პა... ვიღვიძებ.

გაოცებული დავყურებ ჩემს ტანს! —
აჲ გარდასახულს კაცის სხეულად,
მერე წყაროსთან მივდივარ სწრაფად,

და არც კი ვიცი, რას, მაგრამ ველი,
 ველი და ვფიქრობ რადიკალს ჩემთვის...
 ეჰ, დამეს მაინც დილა სჯობს მუდამ,
 არა! აქედან გავიქცე უნდა!
 ისევ ვფიქრობ და ვფუშვარ და ვწუხვარ...
 აჰა, მზეც აღწდა...

სხივები ცხელი
 მომისვა თავზე, მკერდზე, სხეულზე,
 გამოაფხიზლა გონი — მთელმხარი,
 და გაფაუნდა მცირე იმედი,
 ორანგუტანგის გატანჯულ სულში.

ვზედავ —
 მოადგა ვიღაც გალიას!
 ვინ არის ნეტავ? უცხო ქალია...
 იცინის, საკვებს მანოდებს ფრთხილად...
 ვართმევე, ვჭამ, მერე მადლობას ვუხდი,
 ის კვლავ იცინის, იცინის დიდხანს
 და სავსე მკერდი უბტის და უთრთის.
 მერე კი მიდის... და ვრჩები მარტო.

* * *

ზეცას ვუმზერდი, რუხს და ნაღვლიანს,
 ვფიქრობდი — ნეტავ რატომ გონიათ,
 რომ ეს სიცოცხლე — მხოლოდ შუღლია
 და ერთმანეთთან ბრძოლად შეხვლილი
 რატომ იცლება მთელი სამყარო
 სისხლით, რას ამბობს საღვთო წერილი
 ამაზე?

ვზივარ და პასუხს ველი...
 ხოლო პასუხი არა და არ ჩანს,
 (ეტყობა რჩება გაურკვეველი);
 და ამის ნაცვლად ჩემს გალიასთან
 აჭრელბული მოცურდა გველი.
 მიყურებს, დიდხანს მიყურებს იგი
 და შეკითხება?

— ნუთუ ტყვეობით არ დაიღალე?
 მე არც კი ვიცი, რა ვუპასუხო...
 ის პასუხს ელის.

— ჰო, დავიღალე და დავიტანჯე...
 ვამბობ და საზეს ვისრისავ ხელით.
 — მაშ, რად არ ცდილობ გაქცევას,
 მითხარ?
 მისვამს უნასი მეორე კითხვას.
 — როგორ გავიქცე, ან სად? — ვპასუხობ,
 — დავებრდი, უკვე არ ვარ ჩაუქი.
 — არა არის რა აქ საჩაუქო!
 უკმაყოფილო ჩემი პასუხით

6. „მთაბი“, № 3—4.

ამბობს გველი და იკვრება რკინა...
 — ჰო, მერე, როცა აქედან წავალთ,
 უნდა ვიპოვოთ ადგილი კარგი,
 სადაც სამალავს ვიპოვოთ სანდოს!
 — წავალთ? და როდის? — კვლავ
 ვკეითხები,
 ის ამბობს — მალე! სულ მალე, ნახავ!
 და ჰგავს უნასი დაგრეხილ ბაწარს
 და მე მისდამი ნდობით ვივსები.

* * *

და ჰა, მოველით
 იმ დღეს, სასწაულს, —
 რომელსაც ქქვია თავისუფლება!

* * *

ვერ მოახერხა — ასცილებოდა შხამს,
 გადავაბიჯეთ მოკლეულ მოძველელის
 გვამს.
 გარეთ ვართ უკვე, გააფთრებულნი
 მიუქრით,
 სწრაფნი ვართ, როგორც ადამიანის
 ფიქრი!

* * *

გამოქვაბულში შევდივარ ფრთხილად...
 ჰო, არა უშავს აქაურობას.
 შუაში წყნარად რაკრაკებს წყარო,
 კედლიდან დურჯი სურო დამცქერის,
 დაღლილ-დაქანცულს მერევა ძილი
 და ისიც მოდის — მშვიდი და ტკბილი.

* * *

უსიზმროდ გადის ეს ერთი ღამე,
 არ ჰგავს წინანდელთ...
 სულში უცხო რამ შუქი ჩადგა,
 დაიბინადრა...
 მაინც საიდან, ასე მკრთალი, ლბილი
 სინათლე...
 ახლა მე მგონი, ჩემმა სულმა
 რაც რომ ინატრა!

კამკამა წყალში, როგორც სარკეში
კრთის და ციმციმებს ჩემი სახე,
ჩემი თვალები,
ჰოი, უფალო, და სამყაროს იღუმალებავ!
ნუთუ დღეიდან აღარავის დავემალეები?
იღვიმებს გველიც,
არ მაშორებს აღმაცერ მზერას,
ამბობს — ჰო, მინდა დავიჯერო, და
კადეც მჯერა!

მე კი, მე ისევ დავრჩები იმად,
რაც უწინ ვიყავ!

მე — სიხარულით ღამის შესულილი,
გარდაქმნილი და სახეშეცვლილი,
მთელი სულით და გულით რომ ვხარობ,
აღარ ვცილდები კამკამა წყაროს,
ვეხლები კედლებს, ხმამაღლა ვვეირი,
გველი კი ამბობს — მოკემე პირი,
კვლავ მაიმუნად არ გარდისახო!

* * *

ჟამი კი გადის... მიიპარება...
სულის სარკმლები — ჩემი თვალები,
არ ემალება უკვე არავის,
მგონი ვათავდა ჟამი წვალების,
და როგორც იქნა, დაედგი კარავი
აწმყოს ნაპირზე — სიზმრების მშვიდის...
წარსული — როგორც ზღაპარი, მითი,
გადის ჩემგან და მიედინება...
და ისევ ვხედავ ხატრფოს სახებას
სიზმრის კარავის ცისფერ კედლებზე,

* * *

და მე — იმ ღანდის მკრთალი ნათება
მიკვალავს ცისკენ მიმაჯალ გზას,
როგორც მლოცველი, დაბლა ვაგდივარ,
მოვთქვამ, ავსტირი უზორცო ღანდს.
განვიდა ჩემგან ავი, ბოროტი,
ეს თასი უნდა შევსვა ბოლომდის,
სიზმრით პირთამდე აღვისილი თასი,
რომ ცხადის უფრო შევიცნო ფასი.
და ზოგჯერ თუმცა ვივსები რისხვით
და მეყინება ძარღვებში სისხლი,
როცა ვოგონებ გარდასულ დროს,
და იასამნის ფაფუკი რტოც
იქცევა მაშინ რკინის სატევრად!

ნეტაეი ვინ ან რამ ამადღვენ
ჯოჯობეთური, შავი ხილველები
ამ დროს თითქოსდა ორად ვეყოფი,
(დამეხილი ხე რომ გაიფოფა)...
და მაინც ცოცხლობს,
და მაინც სუნთქავს,
იმკობა, მაინც მწვანით იმკობა!

* * *

მე მენატრება ზოგჯერ ტანჯვა,
ასეა, რა ვქნა...
მე მენატრება დაცინვა და
ზიზლი, ძაგება,
ვერ ვუმორჩილებ სულის ფეთქვას
გონივრულ განსჯას,
და ჩემს სიზმარში შენი სახე
ისევ ცხადდება, —
ო, მშვენიერო დულსინეა!
ეს მე გიმღერი —
დამძიმებული ტანჯვით, სვედით,
ლექსით, სიმღერით,
მოაპყარ ყური ჩემს ვოდებას,
მოვმართე საზი
შენს სადიდებლად...
ვინ არს შენზე ღამაზი, ნაზი!
შენსკენ მაქვს ორთავ ზელი ვაწვდილი,
ნუთუ ხარ მართლა მხოლოდ აწრდილი?
მამ, რატომ ჩანხარ ასე მკაფიოდ?
დგახარ და ერთვი ციურ დაფიონს!
ო, დულსინეა, იკმარო იქნებ
ჩემი ტანჯვა და ჩამოქვევ კიბებს...
ჩამოქვევ კიბებს სხივთა და ჩრდილთა,
ო, დულსინეა, იწამე ღმერთი!

* * *

აღრეულია სისხლი და შღამი,
აღრეულია თაფლი და შხამი...
ისევ ღვართქაფად მოედინები
სულო და ისევ ტანჯვით ითვრები...
საოცარია არსება შენი!
რამ დაგავიწყა ის შაენი დღენი,
ისევ რომ ნატრობ გარდასულ ტანჯვას...
ასე რომ ეტრფი ჩრდილს თუ ზმანებას...
კვლავ ვიმეორებ — გონებით განსჯა
რად ვერ გარწმუნებს ღანდს უკარებას
რომ უიმისოდ არ გაგეძღება

და ფეხქვეშ მიწა გამოგეცლება!
 რატომ, როდიდან, რად ზდება ასე?
 რა ამისთანა ბაღდაში გასვეს,
 რა შხამი იყო ამგვარი ტკბილი,
 რომ ვეღარ იგებ, სად არის ჩრდილი,
 რომ ვეღარ იგებ — სად არს ნათელი.
 მაინც შორს რბიან ჩემი ფიქრები,
 კელაჲ მესმის ჩემი გულის ფართქალი...
 და რალაჲ უცხო, სულ უცხო გრძნობა
 შემოდის ჩემში... უცებ, ანახდად,
 ვიცი ტანჯვამ და წვალებამ შობა
 ეს სიხარული — ჰო, სიხარული,
 (აბა ამ განცდას სხვა რა დაგარქვა),
 ახალ ტანჯვისთვის სამზადისს მოგვაგვს
 იგი... (და ვიცი, ის ტანჯვაც მოვა),
 იქნება ცრემლი, იქნება გლოვა,
 იათა, ვარდთა იქნება კვდომა...
 ულოდიკოა და ირრეალურ
 ჭვრეტამდის ადის — მკაცრი და ცივი,
 სპილენძის ვარდს ჰგავს — ცეცხლით
 შეაღწულს,

ბრწყინავს, ელავს და ნაპერწკლებს
 ისვრის...

ნათელია და ბნელიც იმავე დროს,
 გრძნობა — ახლა რომ სულში
 ბინადრობს.

* * *

გარეთ კი ბინდი წეება ისევე,
 მეც მივეგდები და დავისვენებ,
 და მოვა მერე იგი — სიზმარი
 და ამტკივდება გულის ფიცარი,
 და გული — ბასრი ზანჯლით ნაკორტნი
 და ქვებს კბილით და ფრჩხილით
 დავპოტნი.

* * *

ნეტაეი რატომ ცდილობენ ასე
 გაქირღვას, რაც არ უწყვიან თვითონ...
 თუმცა, შორს ჩემგან წაწუნის, კვნესა,
 ანდა ასეთი რა მადლი თესა
 ამ ხალხმა, ასეთ დიდ ყურადღებას
 რომ ვაქცევ, — ჩემზე იტყვიან თუ რას
 და ხელოვნების მხურვალე ქურა
 თანდათან უფრო მეტად ხურდება...
 მე ხომ მასხარის ქუდიც მეყოფა!

მაგრამ, ო, ის დრო თუ დაბრუნდება,
 როს გალიაში ვეგდე უმწყოდ
 და მომეველინა მეგობრად გველი,
 გარდავისახე ადამიანად,
 მაშ, რა მოხდება განვლილი ვზები
 მოვიხსენიო ღრმა მოწიწებით,
 ვით სევდიანი სიმღერის, ძველის
 შორეული და მწველი მოტივი?
 ადამიანო, არ დამცინებდი,
 შენც რომ გაგველო გზანი ივინი,
 თუმცა კი, ახლა შენი ჯერია,
 და ჰა, რა გინდა, მეც ხომ ვიციანი
 ვიციანი შენზე, ჩემზე, ყველაზე!
 ვიციანი! ვტირი!
 ვტირი! ვიციანი!
 ჩემი სიცილი — სევდისგან შემლა!
 თქვენი სიცილი — სევდასთან შეხლა!
 ჩემი სიცილი — ციმციმა ნისლი!
 თქვენი სიცილი — ბირუტყვის წიხლი!
 და ჰა, მე მაინც თქვენთან მოვსულვარ!

* * *

და შედეძიება...

მე, თურმე ძილში
 მესიზმრებოდა კარი გალიის,
 გარეთ ცივა და მძლავრი ქარი ქრის.
 და წევს უნასი ჩემს ფერხთით, ჩრდილში.
 რა მოვახერხო,
 რა მოვახერხო,
 როგორ დაუხსნლტე ფიქრის მარწუხებს,
 ვილაც ჩამძახის — მიდი, იცინე,
 სხვა ნურაფერი ნუ შეგაწუხებს!

* * *

ვგრძნობ, რომ თანდათან ვცარიელდები,
 გამირბის ცეცხლი კალმის წვერიდან,
 მონანს სამარის შავი ბელტები,
 უკლებლად ჩვენი ყველას ზვედრი და
 ყველა სადგურის ბოლო ბაქანი...
 გარეთ კი ფეთქავს იასამანი,
 როდის აღვდგები ნეტაჲ ფერფლიდან?

* * *

რა საბრალოა ადამიანი!
 ჩემს ბედში მეოფსაც
 სურს —

თუნდ მცირე ხნით
დაიგვიანოს სიკვდილის ბასრმა,
შხაშში ლესულმა ცელმა პრიალამ,
და მოთქვამს სადღაც ჩანვი წკრიალა:
„რა ქნას საბრალლო ადამიანმა!“

* * *

არ ვიცი!

უკვე ვიცი აღარა!
დაღარა შუბლი ნაოჭმა მკაცრმა,
მარგალიტების ლამაზი აცმა
არ არის, ვიცი, ჩემი პოემა...
სისხლით, ოფლით და ცრემლით ნათესი
მისგვარი ბეკრი მოიბოვება,
მაგრამ რა ვუყოთ... ერთმანეთსა ჰგავს
მიცვალებულთან გამოთხოვება!
მეც გეთხოვებით... (აწ ცხადში უკვე),
ზოოპარკისკენ მივდივარ, ძმებო,
სისხლი მთხოვს ამას, გავსინჯო ისევე
ჩემი ცრემლების ფერი და გემო!
და თქვენს დაცინვას ვუპირისპირო
უფრო ხანგრძლივი, მძაფრი სიცილი,
შმაგი, ველური და უნაპირო,

თუმცა რას ვამბობ, ვინ მტყურობს
თქვენს დაუწერელ მცნებებს, ვასწავლებს,
და არ არსებობს ჩემნაირთათვის
არც მოწყალება,
არც სიბრალული,
და რეალურზე უფრო ნამდვილი
ხდება ამიტომ ირრეალური!
და დულსინეას ზატის მშვენიეზაც
არ გახლავთ ყალბი და მოჩვენეზა,
(ერთ მშვენიერ დღეს
იქნებ მართლა შეისხას ზორცი!)
* * *

და, ჰა, მგონია თავდება კიდეც
ეს ხეტიალი სულის სიღრმეში,
როგორც ყოველთვის, ჩამიტყვდა კიბე,
ცას რომ მივადგი... მაგრამ იმედი
მაქვს – გამოჩნდება ისეთი ვინმე,
ვინც წაიკითხავს ჩემს იეროვლიფს,
სისხლით წარწერილს წვეტიან ქიმზე.
და მაშინ ისევე მოველანდებით,
და მაშინ ისევე მოვესხალმებით
და გეტყვით:
– ძმებო, ეს მე ვარ, მიმი!



უ ლ ი ს ე

მე-14 პიპიროდი

ჰელიოსის ხარაზი

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

Deshil Holles Eamus. Deshil Holles Eamus. Deshil Holles Eamus.

გარდმოგვივლინე სხივმოსილო, ნათელსახოვანო, პორნპორნ², ძალი უმოსწრაფესი შობიერებისა და ნაშობი. გარდმოგვივლინე სხივმოსილო, ნათელსახოვანო, პორნპორნ, ძალი უმოსწრაფესი შობიერებისა და ნაშობი. გარდმოგვივლინე სხივმოსილო, ნათელსახოვანო, პორნპორნ, ძალი უმოსწრაფესი შობიერებისა და ნაშობი.

ჰოპლა, ბიჭია ბიჭი! ჰოპლა, ბიჭია ბიჭი! ჰოპლა, ბიჭია ბიჭი!

კაცისა მის გონიერება ყოველითურთ კინ ფასობს იმ საგნის წედომაში რომელიცა უფრომსლა სარგებელ არს შესასწავლად გონიერ მოკუდავთა მიერ რამეთუ არ უწყით ის რააცა მეცნიერებაში ყველაზე განსწავლულთ, და მიზეზად ამისა დიდად პატივდებულთ, მარადის სწამდათ და ერთსულ ამტკიცებდნენ რომელ ყოველი სხუა გარემოება თანაბარია, ერის აღყუაება უფრომსლა დასტური არს არა გარე ბრწყინვალეობით არამედ უფრომის იმით თუ რაოდენ გზის იზრდება ხარკი ვალდებული გამრავლებისათვის, რააცა თუკი თანამყოლი ბოროტება არ ახლავს, საბედნიეროდ ყოვლისაშემძლე ბუნების წყალობითა ძალისადათა, ჭეშმარიტი სასწაულია. რა-

მეთუ სადმე არსებობს ვინმე რომელსაც, მცირე გულისხმა თუ გაანია, არ ესმოდეს რომელ ეს გარეგანი ელვარება შესაძლებელ არს ბუნებრივის უკუღმართი გამოვლინებაა ანუ, წინაუკუმო, ვერეთ უვიცი და უგუნურია, რომელ არ უწყის რამეთუ ბუნების ყველა მოვლენათაგან განმრავლების ნიჭს ვერარა ვერ შეედრება, ისე რომ ყოველ კეთილმზახურ მოქალაქეს თანა-ედევას უნდა ვალი გახდეს თავისდართა სიბრძნის დამრიგებელი და თრთოლდეს რაითაცა წარსულში ერის მიერ ესრეთ ბრწყინვალედ წამოწყებული, მომავალში უფრო მცირედ ელვარედ არ განვითარდეს, რამეთუ ჟამთა ვითარებაში უზნო ჩუქვანი წინაპართა კეთილგონიერ წესს იქიმდე დასცემს რომ დიდი მხნეობა დაჭირდებოდა მას ვინც ხმის-ყოფას იკადრებდა ეთქვა ქუყანად იმაზე უფროისთლა მდაბალი ქცევა არ არს ვიდრე დაიწყება ამა მცნებისა, ისევე როგორც მცნებისა და აქემისა რაც ყოველ მოკუდავს უზუებას უწინასწარმეტყველებს ანდა უპოვრებას ეშუქრება, და ესე უმეტეს ვალად შთამომავალთ დებს ადამიანთა თესლ-ტომის მარადის განმრავლებას?

ამისა გამო არ არს მიზეზი ჩავრდომისა საგონებელსა შიდა, რამეთუ ვითარცა უფრომს უკეთესი ჟამთაღმწერნი მოგვითხრობენ, კელტთა შორის რომელ-

თაც არა ჩნდა ღირსი აღტაცებისა იმით რამც თვისი ბუნებით აღტაცების ღირსი არ იყო, მკურნალობის ხელოვნება იყო ყოვლად თაყუანცემული. სამადლო საგანებების, კეთროვანთა ქსენონების, ორთქლის აბანოების, ჭირის ორმოების მოწყობაზე რომ არა თქუმდეს, მათ უფროდ უკეთეს მკურნალთ ო' შილის, ო' ჰიკის ო' ლის გუარათა ნაშიერთ მრავალფერი საშუალება მოიგონეს რომლის შემწეობით სნეულნი და ვინაც განწყობილი იყო სნეულებისადმი, განეკურნათ, ვინა სიმწვანის სენი და ვინა ღამის უნებლიე ფსმა ჭირვებოდათ. რადგან ყველა საქმეს რასაც ცოტაოდენი მნიშვნელოვნება მაინც თუ გააჩნია საერთო კეთილდღეობისათვის, მისი მნიშვნელოვანების შესატყვებელი მომზადება ესაჭიროება, მათ შექმნეს გეგმა (ხოლო შექმნილ იქნა იგი წინამსწარი განჭვრეტით თუ მოწიფული გამოცდილებით, ხელეწიფების ადამიანს ამის თქმა, რამეთუ შემდგომად გამოძიებულთა განსჯა ურთიერთის წინა-აღმდეგობია და აწცა აქუნს ნათელი მოფენილი), თანახმად რომლისა დედობა დაცულ იქნებოდა ყოველი უცნობისაგან იმით რომელ ზრუნვაც უნდა ჭირვებოდა მშობიერსა ყველა ქალისათვის ესდენ შეჭირვებულ ქაშს, დაუყენებლად მიიღებდა, თანა იგი არა ოდენ მისგან ვისაც დიდძალი სიმდიდრე აქუს არამედ ესრევე უყოფდეს მას ვინაც თავად უპოვარი არს.

ამიერითგან სამარადისოდ არაეინათ იქნებოდა წყენილ, რამეთუ ყველას შეესმეს და ზრახეს შეთქმით ურთიერთას, რომ არა კეთილდღეობა იქნებოდა როცა ესვეითარი რამ არ გააჩნიათ მშობიარე დედებს და რაკი ღმერთებს მარადისობა ეგების ზოლო მოკვდავთ შთამომავლობის გაგრძელება, უვლიდნენ მას და რამე ქამი იგი მოწყენილ არს მშობიარესა ზედა წარჰყვანდეს იგი ოთხთვალათი, ესრევე ყველა დიდ ნდობა უჩნდა თანა-შეწეოდა რამათა მიედლოთ იმა საგანეში. ამა მეცნიერი ერი რომელიმცა არა მარტო მისი ხილვისას არა, მედ თვით ერთხელ მის შესახებ გავო-

ნებითაც დიდად საქებად იქნა წარმოდგენილი წინამსწარ ხილვასში. იქვე უნდა ტივს მიაგებდა დედას, ვინ უმაღლესად გრძნობდა როგორ ყოველითურთ დაიცივდნენ და ზრუნვიდნენ მასსა ზედა.

შვილი ჯერეთ არ შობილა და საშობივე შეშუნდება შეება. ყოველივე რამცა ამა საქმესა დაუხმანდეს სათანადო გულისხმის-ყოფა არ მოკლებია. სარეცელი დამაშვიდებელი, გამრჯე აღმქუმელნი დედათ-მოურავნი, ჰამადი ნოყიერი, სპეტაკი ზურები წინამსწარ გონიერად განგებულნი, აგრეთვე წამალი და ყოველნი საჭურველნი სააქიპონი მშობიარეს რომ ჭირდება. და სიამით ჭურეტა ყოვლად ტურფა სახილველთა ქუეყნიერთა და ზეცისათა აღგზნებს განმარტოებულ დიაცთა რამსაც შეეწევა ქაშსა შობისასა ამა ქსენონსა მადალ-კამარედისა მზით განათლებულსა, საჩინოდ აღნაგებულსა და მოკაზმულსა შინა. და როს იგი დიაცი მუცელქმნული მოვა და იხილავს ამას, შეუშუან რამთგან მოწეულ არს ქამი მისი.

კაცი ვითმე მოარული მოხულიყო და დამდგარიყო კართან მიმწუხრის ქაშს. ისრაელიტელთა ტომისა იყო კაცი იგი რომელ ეხტიალა ქუეყანასა ზედა და მოედწია შორიელ ალაგს. და ამა კაცმა რომელიცა გარნა მხოლო ადამიანური თანა-ღმობისა გამო იარა მარტოდ, მიადწია სახლსა მას.

უფალი ამა სახლისა ა. პორნია. იგი პატრონია სამეოცდაათი სარეცელისა რომელთა ზედა საღმობენ დედანი რამთა შობონ შვილნი მთელნი ვითარცა ანგელოზმა უფლისამან აუწყა მარიამს. თეთრი დანი მოწყალენი წყვილად მორარებენ უძილნი. და მაინც კუალად მხნე მყოფნი ახამებენ იქ მყოფთ: სამ ასნი არიან აქ ათორმეტ თუეში. დაწვეილებული ქველის-მოქმდნი პორნის ქსენონში ქველის-საქმარს კეთილი ქმნულობითა იქმან.

მსახური დიაცი, რამელა შიცილო კაცი იგი გულქველი მოვიდაო, თავდაბურული ვაეიდა და კარიბჭე განალო. და მეცსა შინა თუალისასა ირლანდიის ცა

დასაუღეთით ელვამს ელვარე გაელვარე-
ბით გაცისკროუნდა. და შიშნულ იქნა
იგი ფრიად რომელ შურის-მგებელი უფ-
ალი გულის-წყრომით კლამობს წყლით
წარრეღუნეს სული ყოვლისა კაცისაი
მის ბოროტ ზრახვათა და ცოდვათა გა-
მო. გამოისახა პირსა ზედა თვისსა სას-
წაული პატიოსნისა ჯუარისა და თქუა
მისადმი უმაღლე შესვლად ქსენონსა ში-
ნა. და ამა კაცმაჲ ვითარცა გულისკმა-
ყო დიაცი დია ქველი ზრახვითა პზრუ-
ნავდა მასსა ზედა, შევიდა სახლსა შინა
პორნისასა.

მაძიებელი რომელი შეჭურვებას ერი-
დგობდის თავდაუბურველი რიდით იც-
დდა მოსაცდელში. ოდესმე ამა დიაცის
ახლოს ცხონებულ იყო თვისისა საყუა-
რელ ცოლისა და სასურველ ასულისა
თანა, მაგრა უკუე შემდგომად ცხრა
წელი მსხემობდა ხმელსა და ზღუასა
ზედა. ერთჯერ ნავთ-საყუდეღთან შეე-
ყარა დიაცსა მას და არა მოიკითხა იგი,
ამისგანად მიზეზ-იღვა ვითარმედ ანაზ-
დად თუალთა შედგმა და რომელ სახე
მისი ვერა შეიცნო რამეთუ ნორჩი იყო.
თუალნი მისნი გაბრწყინდნენ და ღაწუ-
ნი მისნი აღგზებდნენ რამცა იყო ნიშა-
ნი ბლუმის გამარჯუებისა.

ვითარცა შეძლო თუალთა შედგმად
ბლუმის შესამოსელისა, შეძრწუნდეს
დიდად თუ რა ჭმუნვა შემთხუეოდის.
რაითგან პირველ შემრწუნდა აწ ესერა
გაიხარა. კაცმა კითხა დიაცს ო' ჰეარ
მკურნალისაგან ჰამბავი თუ ისმეს შო-
რიელ ზღვის კიდესაგან, რამსაგან მან
შეჭუენებულად მიუგო მკურნალი ო'
ჰეარი დამკედრებულ არს ცათა შინაო.
მჭმუნვარე შეიქმნა კაცი იგი გამკონი
ამა სიტყუისა რომელმან სიტყუამან
გულ-ღვიძლი დაუმწუხრა. აქა დიაცმა
ველა აუწყა, ესდენ ჭაბუკი მკობრის
აღსრულება, ხოლო უწყოდე არვის ეგე-
ბის ეჭუი ჰქონდეს ღმრთისა. თქუა მი-
სადმი რამეთუ ღირს-ჰყო მშვიდად გან-
სასუენებელსა ღმრთის კურთხევითა და
ცოდვათა მიტვეებით, ზიარების მიღე-
ბითა და ზეთის ცხებად ხორცთა მისთა.
შემდგომად ამისა კაცი თანაღმობით

იკითხავდა მოწყალების დისკანონს
მსაგან მოკუდა და დამკედრებულსა
მელ იგი მოკუდა მოუნას კუნძულსა ზე-
და სტომაქის კიბოსაგან ყრმათა მოხვ-
რის მესამესა წელსა და რომელ იგი
ვეედრებოდა ყოვლად-მოწყალე უფალსა
რამათამცა სული მისი კეთილი დამკვიდ-
რებულ ყოფილიყო საუკუნო სასუფე-
ველსა შინა. უსმენდა დიაცის მწუხარე
სიტყუას, თავსაბურავი თვისი ეყრა
ხელთა და მწუხარედ იდგა. ესრე იდგ-
ნენ მუნ ორნი ერთი მეორის წუხილით
შეჭირვებულნი.

ამისათვის, ყოველო კაცი, შეხედე
დასასრულსა შენსა, რომელ არს შენი
სიკუდილი და მიწას და ნაცარს, რამცა
უნდა დაირცოს ყოველმან კაცმან რო-
მელ არს ნაშობი დიაცისაგან, რამეთუ
გამოვიდა იგი შიშულავ დედის საშო-
რითგან, ეგრეთვე შიშულ წარვიდეს. რა
დასაბამი ესრეტ დასასრული.

კაცი იგი რომელიცა მოვიდეს სახლსა
მასსა შინა მოიკითხავდა დიაცსა რომე-
ლიმცა მშობერის სარეცელსა შიგან წვა,
ხოლო მზრუნველი მონაზონი იგი ეტ-
ყოდა მას ვითარმედ მშობადი იგი სალ-
მობათა შეპყრობილ არს კუალად სამსა
დღესა და რომელ მშობიერება მძიმე
ელოდა მაგრამ უკუე მალად დაიწყებო-
და. ოდენ ისიც თქუა რომელ მრავალი
შობიერება უნახია მაგრამ ესდენ მძიმე
არცა ერთი. შემდგომ ამისსა მან მოუთ-
ხრა ესე ყოველი, რამეთუ უწყოდა რო-
მელ კაცი ესე ოდესმე ამა სახლსა ახ-
ლოს ცხორებულ იყო. კაცმა შეისმინა
სიტყუანი მისნი რამეთუ განკვირებულა
ზიარ იყო ქალთა მათთა დამურომისა
და საღმობისა ფამსა შობისათა. და კა-
ცი იგი განცვიფრებულ იქმნა ზილვითა
სახისა მისითა შუენიერისა, რამცა ყო-
ველსა მამაკაცსა დაატკობს, მაგრა კუ-
ალად მრავალი წელი მზრუნველი მონა-
ზონი დაშთა, რომელი იყო სისხლისა
ღინებისა ცხრასა წელსა და უშვილო
იქმნა.

და ვიდრე ესე ისაუბნარეს ტამრისა
კარნი განიხენა და ესმათ ხმა დიდი მა-
თგან ვინაც ტრაპეზად იჯდა. და შევიდა

ადგილისა მასსა სადა ისინი იყუენ მოსწავლე მკურნალი დიქსონად სახელდებული. და მწირი ლეოპოლდი ჰცნობდა მასსა რომელ დროსაც ურთიერთას შეხუდენ მოწყალების ქსენონში რომელსა შინა მყოფ იყო იგი მოსწავლე მკურნალი ხოლო მწირი ლეოპოლდი მივიდა იქი რამეთუ მოწყვლული იყო ფრიად მკერდსა შინა პოროლითა რომლისაგან საზარელმა და საშინელმა ფრინავმა ვეშაპმა განუგებირა იგი, რამთგან მოსწავლე მკურნალმა დაუშინადა საღბუნი საყნოსელი მარილისა და ზეთისგან. რადენი-ესე ყმა ეყო განკურნებამდე. და აწ თქუა მან რომელ უნდა შთავიდეს ტაძარსა მასსა შინა და მოღბინებაჲჲ ჰლონ მათთა თანა. და მწირმა ლეოპოლდმა თქუა რომელ წასვლად ჰმართებს სხუას-ცა რამეთუ იგი იყო კაცი გულმანკიერი და მზაკუვარი. ქალმა რქუა მოსწავლე მკურნალს დასტური თვისი მაგრა კუალად ესეცა დასძინა რომელ მწირისა სიტყუა ტყუილ არს მისსა მზაკუარებასა გამო. მაგრა მისწავლე მკურნალს ვაგონება არ სუროდა რაიმესი რაიცა წინა აღუდგების გულის-თქმასა მისსა და თქუა რომელ ესდენ მშუენიერი იყო ტაძარი იგი. და მწირი ლეოპოლდი შევიდა ტაძარსა მასსა შინა რამთამცა შუება მიეცა ფერხთა მისათვის რამეთუ უწია მიმოვლა მრავალ არესა შინა და ჟამ-ჟამად ტყუნა.

და ტაძარსა მასსა შინა იდგა ტაბლი ფინური არყის ხისად და იგი ოთხ ჯუჯას იმა ქუეყნისა ეჭირათ რომელთაც არა ძალუბთ კუალად ძერაჲ რამეთუ გრძნულ იყვნეს იგინი. და ამ ტაბლასა ზედა ეწყო მახვილნი და დანაკანი საშინელი რომელიც-ესე ქმნული იყუენ დიდსა მღვმესა ერთსა გულს-მოდგინე ქაჯთაგან თეთრსა აღზე ცეცხლსად და კუალად შთამაგრნეს ისინი ხართა და ირქითა-ვაცთა რქებსა შინა, რომლისა-იგი მოპოვნება ადიდელ იყო არესა მას და იყო იქი ჭურჭელი ქმნული მუჰამედის მოგუებითა ზღვის ჰაერისა და ქვათა გამო ოდეს გრძნული ვინმე შთაჰბე-

რავდა მათ სულსა თვისსა ^{ქითარცა} რომამე ბურთუს შიგან. და ყრველივე იყო ფრიად ტაბლასა მასსზე, ვერვინ ძე ხორციელი ვერ ჰნატკრიდეს უფროეს შუებასა და სიმდიდრესა, და იყო იქი კოლოფი ვერცხლისაჲ რომლისა განსხუამდ უცილობელი იყო სიმარჯუე და რომელსა შინა უცნაური თავ-მოჭრილი თევზნი ეწყვნეს და თუ კაცთაგან ურწმუნოთაგან ითქუ-მოდის რომელ ვერ შესაძლებელ არს, ესე მხოლოდ იქიმდე ვიდრე არღა ნახნეს თავად რომელ ესრე იყვნეს. და თევზნი იგინი იწყვნეს ზეთსა შინა რამცა მოილეს მიწისაგან პორტუგალიისა რამეთუ პოხიერება კოლოფსა შინა მსგავს იყო ზეთისხილის საწნებელის ნაბანისა. და კუალად საოცარი იყო ხილვად იმა ტაძარსა შინა თუ რადენ-რამ გრძნეულებითა იქმოდნენ იმა რეულსა ნუყიერი იფქლისა ქალდეველთა ქუეყნიდან რაიც მავანბოროტ სულთა შეწყვენით სასწაულად აღიბერვიდა ვითარცა დიდ-დიდი მთაჲ. და ისინი იქი წუართნიან გუელებს რამთა მიწაში დასობილ გრძელ ჯოხებს შემოეხუიონ და ამა გუელების ჰერანგთაგან ისინი თაფლუჭის მსგავს სასუმელს აღუღებენ.

და მოსწავლე მკურნალმა აღუცხო თასი წარჩინებულ ყრმასა მასსა ლეოპოლდსა და მიართუა იგი რამჯამს ყოველმა მუნ მყოფელმა შესუა და. წარჩინებულმა ყრმამან ლეოპოლდმა აღწია ზარადი თვისი რამთამცა ეამებინა მისთვის რამეთუ არაოდეს სუამდა ამა სასუმელსა რამცა გუერდით დასდგა და იდუმალ შთასახა მეტი წილი მეზობლისა თასსა შიგან, რომელმა არა იცოდა ამა ეშმაკობისა. და დაჯდა იგი მუნ მათთან ტაძარსა შინა რამთამცა მცირედ რაოდენმე შეეხუნენა. მადლი უფალსა ყოვლისა მკურნებულსა.

ამასობაში კეთილი დიაცი იგი დადგა კართან და ვეედრებოდა ჩვენი უმაღლესი უფლის იესოს გულისთვის შეწყვიტათ მათი ღრეობა, რამეთუ იქ ზემოთ კეთილშობილი ვინმე ქალბატონი იწვა ფეხმძიმე, ვისმა დრომაც მოაწია.

სერ ლეოპოლდს ზედა სართულიდან ხმამაღალი ყვირილი მოესმა და ვერ გავგო, თუ რა ყვირილი იყო იგი ბავშვისა თუ ქალისა და მიკვირსო, თქუა მან, რომ აქამომდის ეს ხმა არ წყდებაო. ჩემის აზრით, უფრო დიდხანს გრძელდება ვერე ამის ატანა შეიძლებოდა. და ვითარცა კაცმან კეთილგონიერმან დაინახა ღარიბი აზნაური სახელად ლენეჰენი მაგიდის მეორე მხარეს, რომელიც სხევებზე უხუცესი იყო და რადგან ორივენი კეთილშობილი ღირსეული რაინდები იყვნენ და რადგან მასზე უფროსიც იყო, დიდის ზრდილობით მიმართავდა. მაგრამო, თქუა მან, ღმრთის წყალობით, უკვე მალე შობს და გაიხარებს თავისი ნაშვირით, რამეთუ საკვირველად დიდხანს ელოდა ამას. და ღარიბმა აზნაურმა, რომელმან გამოცალა თასი თვისი, თქუა ვითარმედ ყოველი წაში შეიძლება მისი ტანჯვის დასასრული იყოს. და მან აიღო თასი, რომელიც მის წინ იდგა, რამეთუ არც არასოდეს მოელოდა რომელ ვინმე შესთავაზებდა დაეღია და, მოდი დავლიოთო, თქუა, და სიამოვნებით დასცალა იგი მათი დღეგრძელობისა, რადგან ჭეშმარიტად თვისი საწაფელის აღმსრულებელი კაცი იყო. და სერ ლეოპოლდმან, რომელიც ყველაზე პატიოსანი სტუმარი იყო ვინაც ოდესმე ჯდა სწავლულთა დარბაზში და იყო ყველაზე თავმდაბალი და კეთილი ვისაც ხელი შეუფეია კვერცხის დასადებად მჯდარ ქათმისათვის, და იყო მსოფლიოში უერთგულესი რაინდი რომელსაც ოდესმე სამსახური გაუწეია თვისი ქალბატონისათვის, თავაზიანად შესვა მისი სადღეგრძელო ქალთა მიერ ხალხობის თმენითა და თრგუნვით დია განცვიფრებულმან.

აწ ვილაპარაკოთ იმ თავყრილობაზე, რომელიც იქ შეიკრიბა ღრეობაზე რომე გამომთვრალიყვნენ უზომოდ. ტაბლის ორივე მხარეს ისხდნენ ყმაწვილი სწავლულნი როგორც იყო დიქსონი წმინდა მარიაშის ქსენონიდან, მეგობრებთან ღინთან და მედენტან, ჰაქიმობის შეგირდებთან, და ღარიბ აზნაურ წოწოლა

ლენეჰენთან ერთად, აგრეთვე ჩემი იყვნენ ვინმე ალბა ღონგიდან, ვინმე კროტონი და ყმაწვილი სტივენი, რომელსაც მორჩილის გამომეტყველება ჰქონდა და სუფრის თავში იჯდა, აგრეთვე კოსტელო, პანჩ კოსტელოდ რომ უხმობდნენ, რომელმაც დიდი ოსტატობა გამოიჩინა (და ის, სტივენის გარდა, ყველაზე უფრო მთვრალი იყო და მაინც კვლავაც მოითხოვდა თაფლს), და მის გვერდით მორიდებული უფალი ლეოპოლდი. ხოლო ისინი ჭაბუკ მალაქიას ელოდნენ, რამეთუ ის დაპირდა მოსვლას და მათ კი არ სურდათ ეთქვათ თუ როგორ გატეხა სიტყვა. და უფალი ლეოპოლდი დაჯდა მათთან, რამეთუ მეგობრობის გრძნობა აკავშირებდა უფალ საიმონთან და იმის შეილთან ჭაბუკ სტივენთან და ამის წყალობით ყარიბობის ეამს მიღებულ დაღლილობას იფურცებდა, მით უფრო რომელ უკეთილშობილესად მასპინძლობდნენ და პატივს მიაგებდნენ. თანაღმობა გეზს აძლევდა, ეინი მსხემობისკენ უბიძგებდა, არნდომა წასვლას უკრძალავდა.

რამეთუ იგინი ჭეშმარიტად ჭკვიანი ჭაბუკი სწავლულნი იყვნენ. და იგი ისმენდა მათ მსჯელობას დაბადებასა და კანონზომიერებაზე. ჭაბუკმა მედენმა თქუა რომელ უსამართლობა იქნებოდა იმა დიაცის სიკუდილი (როგორც ეს დაემართა აწ განხვეწებულ ქალს ემბლანიდან ჰორნის ქსენონში და სიკუდილის წინა ღამეს ყველა ექიმბაში და წამალთ-მკოდნე შეიკრიბა სჯად). მათ თქვეს რომელ იგი იცოცხლებდა რამეთუ დასაწყისში მშობიერობა მძიმე იქნებოდაო და მერმე აღიარეს, რომელ ჭაბუკი მედენი სწორი იყო როს სინდისი ქენჯნინდა სასიკუდილოდ ვტოვებთო, ხოლო ისინი და ასეთნი ცოტანი არ იყვნენ და მათ შორის ჭაბუკი ღინნი, რომლებიც ეჭვობდნენ რომელ ბოროტება მეუფობს სამყაროზე რამეთუ იგი იმთავითვე შეშლილი იყო და ვერცა კანონი და ვერცა მოსამართლენი ვერას შევლიან მას. უფალი საკადრისს მიუზღავს ყოველს. ეს ითქვა გარნა ყველამ ერთად წამოიძახა ვითარ: სახელითა ქალწული-

სა მარიამისათა, ისე არ უნდა იყოს რომელ ქალი გადარჩეს და ბავშვი კი მოკუდეს. დია გაცხარდნენ ერთნი ამა კამათისა ხოლო მეორენი სმისა გამო და უპოვარი აზნაური ლენეკენი ჩქარობდა მათთვის ლუდი დაესხა, ისე რომელ ღრუობა არა წაშს არ შენელებულა. შემდგომ ჭაბუკმა მოუთხრო მათ მთელი ამბავი და თქუა რომელ: როს იგი მოკუდა, მისმა მართლმორწმუნე ქმარმა, მიმლოცველის თქმით, ვერ ირწმუნა სიკუდილი მისი, რამაც ყველა გააოცა და დააღონა, რაზეც ჭაბუკი სტივენი ეზრახა მათ ვითარ: დრტკინვა, უფალო, ხშირი არს ერისაგანთა შორის. ორივე, ბავშვიც და მშობელიც, აწ მათ შემოქმედს განადიდებენ, ერთი ბნელსა უფსკრულსა, მეორე განსაქმენდელის გვენასა შინა. მაგრამ რაღა ითქმის იმ დეთის მიერ, შესაძლებელქმნილ სულელებზე, რომლებსაც ყოველდამ შეუძლებელქმნიით, რაიც ცოდვაა სულიწმინდისა, ჭეშმარიტი ღმრთისა, უფლისა და სიცოცხლის მომნიჭებლის მიმართ? რამეთუ, უფალო ჩემო, თქუა მან ვითარ: გულისთქმა ხორცისა ჩვენისა უხანო არს. ჩვენით არსებობენ ის პატარა არსებანი, ჩვენს სხეულში რომელ არიან, გარნა ბუნებას ჩვენს გარდა სხუა მიზნებიც გააჩნია. დაკითხა ჭაბუკმა დიქსონმა პან კოსტელოს, თუ იცოდა რა მიზნები იყო ივინი. გარნა მან ზედმეტი დალია და მხოლოდღა ერთს ამოღერღავდა თუ რომელ შემთხვევა მისცემოდა ნამუსს აჰყრიდა თუნდაც უბიწოსა და თუნდაც ხარჭასა, ოდეს შემთხვევოდეს რომელ თავისუფალ ქმნილიყო ნღობის ვინისაგან ხოლო აღბა ღონეულმა კროტერზმა დაიწყო მალაქიას სიმღერა იმა მხეცისა მარტორქისა სახობო, თუ ათასწლეულში ერთხელ როგორ ათავებდა თავისი რქით და ყველამ სიცილი დააყარა ღუარმლით და იმოწმებდნენ წმინდა ფუტინუსის მანქანებს, რომელ მას შეეძლო ყველა იმის გაკეთება რაიც მამრმა უნდა აკეთოს. ასრე იცინოდნენ და მოიღხენდნენ ხოლო ყრმა სტივენსა და უფალო ლეოპოლდს არც ერთხელ არ გაეცინათ ვი-

ნათგან უცნაურ გუნებაზე ეყენებოდნენ. გან ეცოდებოდათ ქალი, ვინაჲც უნდა სადაურიც უნდა ყოფილიყო იგი. ჭაბუკმა სტივენმა ქედმაღლურად დაიწყო ლაპარაკი დედა ეკლესიისა გამო, რომელმან განუტყუა იგი თავისი წიაღიდან, დოგმებზე და კანონებზე, ლილითზე აბორტების მფარველზე, იმაზე რომელ მუცლადღება ხდება ქარის მობერილ თესლისაგან ან ვამპირთა ტუნის ტუნზე ძალუმი შეწებებით, ანდა, ვითარ ვერგილიუსი იტყოდა, შემთხვევის ძალით ანუ დასავლეთის ვავლენით ან თეურის სიმყრალის დახმარებით, ან თუ დაწვება ქალთან, რომელიც ახლახან იწვა თავის ქმართან effectu secuto³ ანდა განბანვის ვამს, ავეროესისა და მოსე მიომონიდეს მიხედვით, მან თქუა აგრეთვე თუ მეორე თვის ბოლოს ადამიანის სული როგორ ჩაიბერება და რომელ სულთა ყოველთა პატრონობს წმიდა დედა ჩუენი, ოდეს მიწიერი დედა იგი ოდენ დედალი ცხოველია, ვინაც ნამატს იძლევა და მიზეზად ამისა კანონით უნდა მოკუდეს, რამეთუ ეს თქუა მან, ვისაც მეთევზის ბეჭედი ეყურა, ნეტარმა პეტრემ რომლის კლდეზეც აივო ტამარი წმიდა სამარადეჲმოდ. და იქ მყოფმა ყველა უცოლომ ჰკითხა უფალ ლეოპოლდს, ასეთ შემთხვევაში საფრთხეში თუ ჩააყენებდა ქალის სიცოცხლეს სიცოცხლის გადახარჩენად. უნდოდა ყველასთვის ეამებინა და ფრთხილად ეპასუხა, ნიკაბი ხელს დაყრდნო და ფარისევლურად თქუა, რომელ, ჩამდენადაც მან უწყოდა ვითარცა ერისგანმა, რომელიც ისწრაფოდა შეეცნო ბუნების წესი, და რაც მის ცოდნას ხელეწიფებოდა ესოდენ იშვიათი შემთხვევისა, სწორი იყო ყოველი, რამეთუ დედა ეკლესია ერთბაშად იღებს დაბადებისა და სიკუდილის საფასურს და ამა გზით მან იირიდა მათი შეკითხვები. ჭეშმარიტად, თქუა დიქსონმა, და თუ არ ეცოდა, ჭკვიანური ნათქვამი. რის გამგონე ჭაბუკმა სტივენმა მეტად გაიხარა და განაცხადა რომელ: ვინაც უპოვარს ართმევს სესხად, მიაგებს ღმრთოს, რადგან უტიფარი



ეხდები როს ვთვრებიო და რამეთუ ახლაც იმ მდგომარეობაშია, ესე მალე გამჟღავნდებაო.

და მიუხედავად ამა სიტყვისა უფალი ლეოპოლდი დიდად იყო დამწუხრებული, რამეთუ მშობიარე ქალების შემპრწუნებელი კვილი გულს უკლავდა და აგონებდა თუ როგორ გაუჩინა მისმა კეთილმა ცოლმა მერიონმა წული რომელმაც მხოლოდ თერთმეტი დღე იცოცხლა და მოკუდა, ვერა კაცმა განსწავლულმა ვერ გადაარჩინა, რამეთუ ესრეთი იყო უწყალო განგება. და ესე ვარაში გულს უღრღნიდა ცოლს და მის დასაკრძალად მეტად ლამაზი ქურთუკი შეუკერა ცხვრის ფარიდან არჩეული საუკეთესო ბატკნის ტყავისაგან, რომელ არ გაყინულიყო (რამეთუ შუა ზამთარი იდგა) და ახლა უფალი ლეოპოლდი, რომელსაც ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავდა, შეჰყურებდა მას, თავისი მეგობრის ვაჟს, ფრიად დამწუხრებული თავისი დაკარგული ბედნიერების გამო და რომ არ ეღირსა ასეთი ყოველმხრივ შემკული შვილი (ყველას მიაჩნდა რომელ ის მრავალი ღირსებებით დაჯილდოვებული ყმაწვილია) და აგრეთვე არა ნაკლებ წუხდა იმისა გამო, რომელ ჭაბუკი სტივენი თავქარიან ცხოვრებას ეწეოდა იმ უსაქმურებთან და რაც ებადა მემკვიდრეში ფლანგავდა.

იმავე დროს ჭაბუკმა სტივენმა ყველა ცარიელი თასი გაავსო. სასმელი ცოტა დარჩა, კეთილგონიერნი უარს ამბობდნენ მასზე, ის კი უზენაეს პონტიფქის სახელს იფიცავდა და მოუწოდებდა დაელიათ ქრისტესმიერი მოძღვარის სადღერძელო, მან თქუა რომ ის ამავე დროს ბრეის მოძღვარიცააო. და თქუა მან, მოდიოთ, ავწიოთ ეს ფიალა და შეესვათ თაფლი, რომელიც ჭემმარიტად ჩემი სხეულის ნაწილი კი არ არის, არამედ განსხეულებაა სულისა ჩემისა. და დაუტოვეთ პურის ნაწილა მათ, ვინაც პურითა ხოლო ცხონდების, ნუ შეუშინდებით გაჭირებას, რამეთუ იგი უმაღლესა გცემს ვინემ სხვა იმედს გაგიცრუებს. შეხედეთ ამას. და

მან აჩუენა მათ ნაანგარებიანნი წყურბი და ოქრომჭედლის ხელქერის, სულ ორი გირვანქა სტერლინგისა და ცხრაშეტი შილინგის ღირებულებისა, რომელიც, თქუა მან მიიღო მის შეთხზულ სიმღერაში. ყოველმან დიდი აღტაცება გამოხატა ხსენებული სიუხვის ხილვისას ფულის ეგზომ გაჭირვების ფაშს. და პრქუა ვითარმედ: ყოველთა კაცთა უწყის რომელ ჟამთა ნაშუსრევი მარადისობის სასახლეებს აგებს. რისი მაუწყებელია ეგე? წადილის ქარი ეკლიან კვრინჩხს ამტვრევს მაგრა შემდგომ ამისა დროის ჯუარზე კვრინჩხის ეკლმან ვარდი გამოიღოს. მისმინეთ აწ. ქალის საშოში სიტყვა ხორცად იქცევა ხოლო შემოქმედის სულში ყოველი მოკუდავი ხორცი იქცევა სიტყვად, რომელიმცა არ მოკუდება. ესე არს შემდგომ შესაქმე. *Omnis caro ad te veniet*. განა თუ ვინემ ეჭუდეს, რომელ ძღვეის-მყოფელია სახელი მისი, ვინაც მუცლით ატარა საყურელი სხეული ცოდვათა ჩუენთა გამოისყიდველის, მკურნალის და მწვემსისა ჩუენისა, ჩუენი უძლეველი და უპატიოსნესი დედისა და, ვითარ ბერნარდუსი ამბობს, მას ვასჩნია *omnipotentiam deiparae supplicem*, ანუ ყოვლად-უძლეველობა, რამეთუ იგი არს მეორე ევა და მან გვიხსნა ჩუენ, თქუა აგრეთვე ავეუსტინემ, მაშინ როცა პირველმა ჩუენმა დედაკაცმა, რომელთანაც ჭიპლარის თანმიმდევრობითი ანასტომოზითა ვართ დაკავშირებული, ყველა, თესლი, ჯილაგი და ჩამომავლობა გროშიან ლოყაწითელ ვაშლზე გავვიყიდა. მაგრამ საკითხავია, ხომ არ შეიცნო მან იგი, მეორემ-მეთქი, და იყო ოდენ ქმნილება მისდაგვარისვე ქნილებსა, *vergine madre figlia di tuo figlio* ანდა არ შეიცნო და მამ დარჩა უცხო და უარყოფილი პისკატორთან ერთად სახლში, რომელიც ააგო ჯემმა და იოსება დურგალთან, ყოველთა უიღბლო ქორწინებათა იღბლიანი ჩაშლის მფარველთან, *parce que M. Léo Taxil nous a dit que qui l'avait mise dans cette fichue position c'était le sacré*

pigeon, ventre de Dieu! Entweder მიღმარსოვნება, oder? ერთარსოვნება, მაგრამ არამც და არამც არა ქვეარსოვნება. და ამას ზედა ყოველთა იწყებს ყივილად, რამეთუ საუგო სიტყვა იყო იგი. მუცლად-ღება თვინიერ ტკობისა, სხეული თვინიერ ვნებისა, თქუა მან, შობა უტკოვილოდ, მუცელი არა-გამობერილი, დაე უცოდველთა სცენ მას თაყუანი რწმენით და გულს-მოდგინედ. ჩუენ ჩუეულ ჩინებულ ჩუეებს ჩვეულებრივ გამოვიჩინთ.

შემდგომად პანჩ კოსტელომ მჯილი ხეთქა მაგიდას. თან მეტად ბილწ სიმღერას მოყვა ჭაბუკ ქალზე, რომელსაც მუცელი გამოუბერა გერმანელმა დარდმანდმა. და როცა ვალობდა პირველ სამ თვეს გაუძნდა, მოწყალების დამ ქუივლიმ კარს მიღმიდამ ბრაზით მიამახათ გრცხუენოდეთო რამეთუ იგი მოვალე იყო დაეცვა წესი ვიდრემდის უფალი ენდრე მოვიდოდეს ვინათგან არ ჰქონდა სურვილი ამისთანა სასიციხო ღრეობას ეწყო იმისი სამსახურებელი ღირსებისათვის. იგი იყო ზანდაზმული და ქველი დედაბერი სათნო სახისა და ქრისტეს-მიერი ქცევისა. თალხი სამოსელი კშვენოდა მის ნაღვლიან შესახედაობასა და ნაოჭიან პირის კანს. მისი შვეგონების შემდგომად ყოველმა მაშინვე მოჰყოლა პანჩ კოსტელოს ძაგება, ზოგმა შევიწებით და სხვებმა დაქადებით, შერეუებით: აჰ, შე უტიფარო, უგუნურო, შე ნაბიჭვარო, ნებვო. და რათამცა ვაჩერებინა შლეგი, ლექა ღაღადი, რომელი წარმოითხოვოდა ვითარცა მაიმუნთა მეუფის შერეუნება, კეთილი უფალი ლეოპოლდი რომელს მისი ქველი ზნის ნიშნად მშვიდობის ყუავილი მაიორანი შევნოდა ესრეთ, ქადაგებდა, რომე უფრო მეტადრე წმინდა არს და უფრო მეტადრე არს ღირსი წმიდად ყოფისა. რამეთუ საზღსა ჰორნისასა მშვიდობა მშვენის.

მოკლედ რომ ითქუას, ესრეთ ცხარა კამათი ლამის მიიწურა როცა ეკლზ სტრიტის მარიაშის ქსენონის მაგისტრა

დიქსონი, პირმოძიმარე შეეკითხა ჭაბუკ სტივენს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბერმონაზუნობის აღთქმა არ შიილო და მან პასუხად ეგრე უთხრა: მორჩილება საშოსა შინა, უბიწობა საფლავეში, ხოლო უნებლიე ხიდატაკე უკანასკნელ დღემდი. ამა სიტყვასა ზედა მაგისტრმა ლენეპენმა მიმართა რომელ მას ესმა იმა სიბილწეთა გამო და თუ როგორ შებღალა მან მინდობილი დიაციის შროშანი უბიწოებისა, რაიც უპასაკოთა ვარყუნას ნიშნავდა და რაზეც ყოველმან დია ნამეტნავად მოილხინა და მისი მამობის დღეგრძელობისაც დალია. ხოლო მან მზურვალედ განაცხადა რომ ჭეშმარიტება ცხადლივ წანაღმდგომია მათი ცილისწამებისა, რამეთუ იგი იყო მარადი შვილი და მარადის უბიწო. იმას იქით უფრო მეტად მოილხინეს და მოაგონეს უცნაური საქორწინო წესი, რომელიც მან ადრე აუწყათ მათ და რომელსაც ასრულებენ ქურუმნი კუნძულ მადაგასკარზედ, პატარძლის განძარცვა და ქალწულობის დაკარგუა, და სამოსელი მისი უნდა იყოს თეთრი და ზაფრანისფერი, ხოლო სიძესი კი თეთრი და მეწამული, საქორწინო სარეცელთან სანთლებს უნთებენ და გუნდრუკს უკმევენ, უგალობენ აღილუიას და მისთან ერთად *Ut novetur sex us omnis corporis mysterium*-ს ვიდრემდის არ აღსრულდება ქალწულობის დაკარგუა. და მან პასუხად მიართვა მათ პატარა ვარნა ტურფა ეპიტალამა ნატიფი პოეტების მაგისტრ ჯონ ფლენქერისა და მაგისტრ ფრანსის ბომონტის „ქალწულის ტრადედიდამ“, რომელიც დაწერილი იყო ჭაბუკ მიჯნურთათვის: „სარეცელისკენ, სარეცელისკენ“ იყო მისამღერი მისი და სრულდებოდა იგი მკლავისინზედ. ეს იყო საამებელი, ტკბილი, ჯადვეგი ეპიტალამა სატრფოთათვის ვისაც პარანიმფების ტკბილსურნელი ლამპრები უნათებენ მათს ამაღლებას ოთხლებს საქორწინო ავანსცენაზე. ტურფა წყვილი იყო, თქვა გალაღებულმა მაგისტრმა დიქსონმა, ვარნა მისმინეთ, ჭაბუკო ხერ, უკეთესი ხომ არ იქნებოდა მაგათ ვენ-



რას აბიზინეული ბორცვი და რქასავით აღმართული საოხრო ერქვათ, ამისთანა კავშირიდამ დიდი რამ სიამოვნე იქმნოდა. ჭაბუკმა სტივენმა კი თქუა, თუ მეხსიერება არ ღალატობს, მათ ერთი ბოზანკალი დიაცი ჰყავდათ ერთობილად და ჯერი-ჯერ ჰყუარობდნენ, რამეთუ იმ დროს ცხორება ღულდა და გადმოღულდა და ქუეყნის ჩუეულება ამას არ უშლიდა. არ არს უფრო დიდი სიყვარული, თქუა მან, ვიდრე ოდეს ვიეთი კაცი საკუთარ ცოლს მეგობარს მიუწევს. მიღა და ქმენ აგრე. ესრეთ, ანუ ამა ჰაზრით, იტყოდა ზარატუსტრა, ოდეს ოქსფორხიალის უნივერსიტეტის ფრანგული მაკინტლოპის პრიმა-დოცენტი იყო, და ჯერაც არ დაბადებულა ადამიანი ვისგანაც ეგზომ ყოფილიყო დავალებული კაციობრიობა. შეიფუანე გარმიანელი შენს კოშკში და გინდა თუ არ გინდა ნაკლებზარისხოვანი საწოლი შეგხედება. *Orate, fratres, pro memetipso*⁹. და მთელი ჯამათით უპასუხებს, ამინ. გაიხსენე, ერინ, შენი ჯილაგი და ძველი დღენი, ვითარ გამწირე მე და სიტყვა ჩემი და განუზენე ბჭენი გადამთიელს რათა ემრუშა ჩემს თვალწინ და გათქვიორულიყო ვითარცა ისრაელი. ამიტომ შესცოდე შენ ჩემი ნათელისა და ჩემს მიმართ და მყავ მე, უფალი შენი, მსახურთა მონად. მოაქციე, მოაქციე, კლან მილი: არ დამივიწყო, ჰოი ნამიერნო მილისაო. რისათვის ჰქმენ ესე სიბილწე ჩემს თვალთა წინაშე, აბუსალათინის ვაჭარს რომ მამჯობინე და ხელი აიღე ჩემზედ რომაელისა და ბნელმოუბარ ინდოელის გამო, რომელთანაც ასულნი შენნი ნებიერად მოილხენდნენ სარეცელსა ზედა? უმზირე აწ, ჩემო ერო აღთქმულ ქუეყანას ხორებიდამ და ნებოდამ და ფისვადამ და ხეთური რქებიდამ, ქუეყანასა მას რომელსა გამოხდის სძე და თაფლი. შენ ხომ მწარე სძით გამოძკებე: მთუარე ჩემი და მზე ჩემი ჩამიქრე და დამაგდე ეულად სამარადჟამოდ სიმწარეთა ჩემთა ბნელეთში: და ხრწნილის ამბორით ეამბორე ჩემსა ბა-

გეთა. ეს შინაგანი ბნელეთი განაგრძო მან, არ იყო სამოუცხოველეთისის სიბრძნით ნათელყოფილი გინდა მხოლო თქმული. რამეთუ აღმოსავლეთი მაღლიდამ რომელმა დაღწეა ბჭენი ჯოჯოხეთისა მოფინა იგი უკუნი რომელ იყო მარადის. შეჩუევა აშოშინებს მძვინვარებას (ვითარცა იტყოდა ტულიუსი მისი საყვარელი სტოიკოსებისა გამო) და უფლისწულ ჰამლეტს მამამისი არ გამოუჩენს საღზინებლის იარებს. გაუმჭვირვალობა ცხოვრების შუიხანში ჰქმმარიტად ევევიტური ჭირია რაიცა არის შობისწინა და მიძინების შემდგომ დაძვეების სათანადო *ubi* და *quomodo*¹⁰. და ვითარცა ბოლო და დასასრული ყოვლისა რამდენადმე და როგორმე მის დასაბამსა და დასაწყისს ეთანაბებვიან, ასეთივე მრავალსახა თანაწყობა, რაც დაბადებიდამ ხელს უწყობს და წარმართავს ჩვენს ზრდას, მთავრდება რა რეტროგრესული მეტამორფოზით იმ დაღმავალი და კლებადი ტენდენციით ფინალისაკენ, რომელიც ესოდენ შეესაბამება ბუნებას და ჩვენს ამქვეყნიურ ყოფასაც მიეხადაება. ხანდახმული მოწყალების დანი შემოგვათრევენ ცხოვრებაში: ჩუენ ვსტირით, ვიზრდებით, ვცელქობთ, ერთმანეთს ვეხვევით, ემორდებით, ეჩაჩანაკებით, ვკუდებით: მკუდარებს დაგვტირიან. თავად ძუელი ნილოსის წყალთავან გადარჩენილი, შამბსა შინა ლერწმის კიდობანში: ბოლოდ კი მთის ქუაბი, იღუშალი დასაფლავება, ავაზისა და სეავის ერთობლივი ვალაღა. და ვითარ არა სულიერმან არ იცის საკუთარი საფლავის ბორცვი ამიტომ მოგვენიჭება თუ არა უფლება ვიდოდეო ტოფეტისაკენ თუ ედემქალაქისაკენ, და ესრეთვე დაფარული არს როს პირუკულმა შევებდაეთ, თუ შორეულობის რომელ მზარედამ ამოხააა ჩუენი ვინაობის რაობამ მისი სადაურობა.

აქ პანჩ კოსტელომ ველარ მოითმინა და შეჰყვირა *Etienne chanson*¹¹, მაგრამ მან ძლიერის ხმით მოუწოდა, უცქირე, სიბრძნემან იშენა თვისისა სახლი, ეს დიდებული ძუელისძუელი კა-

მარა, შემოქმედის ბროლის სასახლე, უხადო, წუნდაუდებელი.

ესრეთ ლამაზი სასახლე მეტად.

სად ზორაგ-სრული ტომრები ტყვად.

ვითა ააგო იმ ქეკია ნეტავ?

საზარელი ჭახანი ქუნაში, გრგვინვა გრიალი. მარცხნით მეზმფრქვეველმან თორმან დაიგრუხუნა რისხვით. და ამოვარდა ქარიშოტი და გული გადუქანდა. და მაგისტრმა ლინმა შესთხოვა ქილიკი და ბოზური ლაპარაკი დაეცზრო, რამეთუ თავად ღმერთი განრიხხდა მისი ბილწსიტყვაობისა და ვპოობისა გამო. ვისაც მედიდურად მოჰქონდა თავი, ერთ წაშში დაჰკარგა სახის ფერი და ვუშლას წინაშე მოიპრუნა, მეტყულება აქამომდის რომელიც ასე რიხიანად და ლაღად მიედინებოდა, აწი საოცრად მღოვრე იქმნა და გულმა მისმა მვისვე იწყო ფრთხოლა მისი მკერდის გაღიაში ოდეს იგრძნო ამა ქარიშხლის სიმძლავრე. ზოგმა დაუწყო შექცევა, ზოგმა ქირდეა, პან კოსტელი კი ეგრეთვე ლულს დაეწაფა, ზოლო მაგისტრი ღენეპენი ფიცულობდა მასზედ ნაკლოვანი არა ვარო და ჭეშმარიტად კამათობის ოსტატი იყო. გარნა ტრაბახა ბაქიმ წამოიძახა რომ ბერიკაცი არამამა იქნებ თავად მივდომია კათხას და სრულიადაც არ წუხს ამაზე და არც წინა ურემს აკრია და არც უკანასა. გარნა ამით ცდილობდა დაემოშინებინა თუისი სასოწარკვეთა, ვინათგან, შიშნული, კანკალებდა პორნის ქსენონში. და მალიად გამოცალა კათხა, რათამცა რათურთით შიში თუისი განეკარგებინა, რამეთუ კუალად დაიგრგვინა და მაგისტრმა მეღენმა, რომელიც ერთდროს ნამეტნავად ღმრთისმოშიში იყო, ამ საზარელი გრუხუნის დროს ფერდში წაჰკრა ხელი, ზოლო მაგისტრმა ბლუმმა, ტრაბახას ახლოს მჯდარმა, მის დასაფრეებლად, განუმარტადა, რომ ქუხილი სხუა არა იყო თუ არა უბრალო ხმა, რომელს გამოიღებს ღრუბლიდამ გამოყოფებული ნაკადი, შეხედე და ირწმუნე, და ყოვე-

ლივე ეს ბუნების ფენომენს განაწესებს სრულდება.

თუ დათრგუნა ჭაბუკი ტრაბახელას შიში გულკითილას სიტყუებმა? არა, რამეთუ მის მკერდში დამკვიდრებულია ხიწვი სახელდობრ სიმწარე, რაიცა სიტყუებით ვერ მოშორვდების. მამ არ ყოფილა არც კეთილგონიერი ერთისათვის და არც ღვთისმიერი მეორისათვის? ჭეშმარიტად არა, თუმცა კი ორივენი უნდა ყოფილიყო. გარნა არ შეეძლო ყოველი ეღონა რათა კუალად, ვითარც მისა ჭაბუკობის ეამს, ეპონა ღვინის დოქა სიწმინდე, მისი მაშინდელი სულიერი საზრდელი? სულაც არა, რამეთუ არ მიუღია მაღლი იმა დოქის პოვნისა. მამ რა ესმა მას იმ გრგვინვაში, ღმრთაება ნაყოფუსას ხმა თუ, როგორც გულკითილამ თქუა, ფენომენის დრიანცელი? სმენოდა? როგორ შეეძლო არ სმენოდა თუკი თავად არ დაიცო სოლინარი შესხენისა (რაც მას არ უქმნია). რადგან იმა სოლინარის მეოხებით ხედიდა რომ იყო ფენომენის ქუეყანაში, სადაც ერთხელაც სიკუდილი მოუწევს, რამეთუ, სხუათა მსგავსად, თავადაც წარმავლის ხატია. და ზომ არ მიიღო მან ხევერი ესე, მოეკუდყო სხუათა მსგავსად და აღვიგავო პირისაგან მიწისა? არამც და არამც არ უნდა მიედო, რამეთუ ჯერ კიდევ უნდა ეკეთობინა ის რასაც კაცები იქმნიან თავის ცოლებთან და რაც ფენომენმა განუწესა მათ სჯულის წიგნით. გარნა არც რამ უწყოდა მან იმა ქუეყნისა გამო რომელ ეწოდების გრწმენდეს-ხეში, რაიც, არის აღთქმული ქუეყანა, რომელს განაგებს მეუფე ნეტარება უკუნითი უკუნისამდე, სად არც სიკუდილი და არც შობა, არც ცოლიანობა და არც ღვდიანობა და სად ყველა შეიყრება რომელს ჰრწმენდეს ესე? დაახ, ღმრთისმოსავან უთხრა მას იმა ქუეყანაზე და უბიწობამ აწაყელა გეზი, გარნა მოხდა ისე, რომ გზად მას შემოეყარა საცქერლად საამებელი ვინმე ბოზი რომელსაც, ვითარცა თავად თქუა, ერქვა დღევანდელი კვარცხი და რომელმაც იგი ჭეშმარიტ გზას ააცდი-

ნა, მაცდური კილოთი მიმართა, ეი, შენ, შვენიერო მამრო, აქეთ ვადმოუხევი და მე გაჩუენებ სამოთხის კარს, და ლაცი-ცობით თავის ბუნავში შეიტყუა, რომელ-საც ერქვა **ხვალინდელი ქათამი**, ანუ მეცნიერთათვის **ხორციელი თავდავიწყება**.

სწორედ ეს ეწადათ **დედობის სრასახხლეში** შეკრებილთ და ისინი რომ შეკყროდნენ იმ ბოზ **დღევანდელ კვარცხს** (რომელიც ბოლნა იყო ყოველი ჳირისა, ურჩხულებისა და ჳიპკათა), რას არ იქმოდნენ რომ ცნობოდათ და შეეცნოთ იგი. რაც შეეხება **გრწმუნდეს-წემი-ს**, მათ სთქუეს, რომ ჯერ ერთი, **ხვალინდელი ქათამი**, რომელშიც ის ყველას იტყუებდა, კოპწია რამ იყო და იქ ოთხი ბალიში იდო და ზედ ოთხი ბილეთი დასტამბული სიტყუებით, **გუერდიდამ, ზემოდამ, უკნიდამ და პირიდამ**. და მეორეც ის რომ საზარელი ჳირი ყოვლად-შანგი და ურჩხულები მათ არ აშინებდნენ, რამეთუ ხარის ბუშტის **პრეხერვატივი** ხანდოდ იფარავდა მათ, ხოლო მე-სამეც ის, რომ არც იმ ტარტაროზის საშისპროება ემუქრებოდათ, **ნაშიერისა**, იმავე ფარის წყალობით, რომელსაც **ჩაკალპირმშო** შეარქვეს. ისე რომ ყველანი ხოშის ბურანში იყვნენ გახვეულნი, უფალი შარიანი და უფალი **ვაძღვა** მღვთისმოსავი, უფალი **მელუნწავი** პაიიანი, **შემოდგომის აზნაური ფრანკლინი**, უფალი **კობტაპრუნა დიქსონი**, **ჭაბუკი ტრაპახელა** და უფალი **კეთილგონიერი გულკეთილა**. ოო, უბადრუკო მენახენო, თქვენ ყველა მოგატყუეს, რამეთუ ეს იყო ხმა უფლისა, რომელიც დიდად განრისხებული მზად იყო აღეშართა მარჯუნა თვისი რათა მათი სულები ჩაეფერფლა მათივე ბოროტ ზრახვათა და თესლთა ამოა ფლანგვისათვის, რაიც წინა აღუდგებოდა მის მცნებას: შეთუსეთ შეძენა, შემატება, შენება.

ამრიგად, ზუთშაბათია, თიბათვის თექვსმეტი. პატკ დივანში ცივ საფლავშია სისხლის ჩაქცევიდამ და საშინელი გვალების შემდეგ, ღვთის წყალობით, გაწვიმდა. მეკარჭაქემ ორმოცდა ათიოდე

მილის მანძილიდამ ტორფის მსოფსანს, ამბობდა ნათესები არ ამრდნენო, მიღწერები დაიგოლევა, საშინელი სანახავია და გვარიანად ყარსო, ასევე დაბლობება და მთაგორები. სუნთქვა ჳირს და ნორჩი ყლორტები მთლიანად განადგურდა, ცვარიც არ ჩამოვარდნილა, არავის რო არ ახსოვს, იმდენი ხანია. ვარდის კოკრები მთლად ჩაშავდა და დაიბუშტა, გორაკებზედ მხოლოდ ჩაქამული ბალახი და ხმელი ბუჩქნარია, პირველივე ნაპერწკლიდამ ააღდება. ყველა ერთხმად ამბობს, გასული თებერვლის ქარიშხალი, მთელი ქვეყანა რო გააჩანავა, არაფერი იყო ამ ღვთის წყრომასთან შედარებითო. მაგრამ ახლა როგორც უკვე ითქვა, მზის ჩასვლის შემდეგ, თანაც დასავლეთის ქარი დაქპროდა, დიდრონი დაპერილი ღრუბლები გამოჩნდნენ, ბინდის მოახლოვებასთან ერთად თანდათან გაიზარდნენ და ამინდის მცოდნენი თვალთ ზომავდნენ მათ. შემდეგ ამისა აქა-იქ ციალი გამოჩნდა და ათი საათის შემდეგ ძლიერ იელვა, რასაც ხანგრძლივი ქუხილი მოჰყვა და ყველა უცებ აბოლილი თქემის ქვეშ მიფიფანტ-მოიფანტა თავის სახლებში. კაცები ჩალის ქუდებს ხელსახოცით იფარავდნენ, დედაკაცები კი თქემი რო მატულობდა, ზტუნვა-ზტუნვით კაბის კალთებს იწვედნენ. ილი პღვისზედ, ბეგოტ სტრიტზედ, დიუკის ლონზედ, იქი-დამ კი მერიონ გრინით პოლის სტრისაკენ ნიაღვარი მოდიოდა, სადაც აქამდისინ მშრალზედ უმშრალესი იყო და ახლა კი არსადა ჩანდა პორტშეზი, ეტლი თუ ფიაკრი, მაგრამ მეტი აღარ დაუქუხია. ფრიად პატრეცემულ ბნ მოსამართლე ფიცგიბონის კარის წინა (რომელიც ადვოკატ ბნ პილისთან ერთად უნდა დასწრებოდა სხდომას კოლეჯის მიწებთან დაკავშირებით) მელ.მალეიგანი, ჯენტლმენტა შორის უჯენტლმენტესი, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა ბნი მურისაგან, მწერლისაგან (ყოფილ პაპისტ, მაგრამ ახლაო, ამბობენ, კაი უილიამელისაგან) ელ. ბენონს შეეფთა მოკლედ თმაშეკრეჭილს (რაც ისევეა

ახლა მოდამი როგორც მწვანე სამეფ-
ლისო ტვიდის ლაბადა), რომელიც ახ-
ლა დაბრუნდა ქალაქში საფოსტო კა-
რეტით მალინგარიდამ, სადაც მისი
კუზენი და მელ.მ.-ის ძმა კიდევ ერთ
თვეს დაყოფდნენ წმ. სუიდინის დღესას-
წაულამდის და იკითხა რამ შეახვედრა
იქ, ეს თავის სახლისაკენ და ის კი ენდ-
რუ პორნისაკენ მიმავალი, სადაც მას
ჭიქა ღვინის გადასაკრავად ელიან, რო-
გორც თავად ამბობს, მაგრამ ერთი სუ-
ლი კი აქვს მოჰყვეს ოინბაზი ვარიკუ-
ლას ამბავს ასაკთან შეუფერებლად რო
გაპზრდია ფორმები და წვიუსქელაა, და
მთელი ამ ხნის მანძილზედ კოკისპირუ-
ლად წვიმდა და ორივენი პორნისაკენ
მისწრაფოდნენ. იქ ლეოპ.ბლუში, კრო-
ფორდდის გაზეთიდან ჩხუბისთავეებისა
და აყალმაყალის ამტებ უქნარების გრო-
ვასთან მიმჯდარიყო, იქვე იფუნენ დიქ-
სონი უმცრ., მკმუნეარე ღვთისმშობ-
ლის საპკურნალოს სწავლული, ვინ.ლი-
ნნი, შოტლანდიელი წარმოშობის ყრმა,
უილ.მედენი, ტ. ლენეპენი, ფრიად დაღუ-
რემილი ერთი დოღის ცხენისა გამო
რო არ გაუმართლა და სტივენ დ. ლეოპ.
ბლუშიც დაღლილობისა გამო იქ აღმო-
ჩნდა, მაგრამ ახლა უკედ გრძნობდა
თავს, თუმცა ღამით კი უცნაური რამ
ესიზმრა მის გულის დამახედ ქნ მოლ-
ზედ, წითელ კოსტუმში და თურქულ
შარვალში, რაიც, როგორც ამ საქმის
მცოდნენი ამბობენ, ცვლილების ნიშა-
ნია, და ქნი პიურფოიც იქ იყო მისი გა-
ბერილი მუცლის გამოისობით და ახლა
საბრალო სული იტანჯება, გაშოტილი,
ორი დღე ვადას გადაცილებული, ბეზია-
ქალები სასოწარკვეთილნი არიან და
ვერა და ვერ უმშობიარნია, ბრინჯის ნა-
ხარში აზიდებს, არადა წყლების დაღ-
ვრისათვის მისწრებაა, სუნთქვა გაუ-
ჭირდა, დაუმიმდა, მაგრამ იმისდა მი-
ზედვით თუ როგორ აწეება, ამბობენ მა-
რჯვე ვინმე ჯეელი უნდა იყოსო, ოღ-
ონდ ღმერთმა ქალის მორჩენა ინებოს.
ეს მისი მეცხრეაო, ამბობენ, ხარების
დღისთვის უკანასკნელს თორმეტი თვი-
სას დააჭრეს ფრჩხილები, წინა სა-

მიც დედის ძუძუზედ დაეზარდნენ. ის
კი მოკვდა და ღამაში ასევე დაეზარ-
რილი მეფე ჯეიმზის ბიბლიაში. მისი
ქმარი კაი ორმოცდაათისაა და მეთო-
დისტია, მაგრამ ზიარებას ლეზულობს და
ყოველ კვირადღეს თავის ორ ვაჟთან
ერთად ბალოკის ნავსადგურთან ჰხედა-
ვენ, სადაც ის საიკასა და კამბალას იჭ-
ერს მძიმე კოჭიანი ანკესით, ზოგჯერ
ბრტყელძირიანი ნაყიდამაც. ანკებს
ფრთხილად ისვრის და, ამბობენ, ნადაე-
ლიც გვარიანი აქვს ხოლმეო. მოკლეა,
ასეა თუ ისე, კარგა მაგრად იწვიმა,
ყველაფერი გამოცოცხლდა და დიდად
გაპზრდის მოსავალს, თუმცა გრძნულ-
ნი წინასწარმეტყველებენ რო ქარსა და
წყალს ცეცხლი მოჰყვებაო, რადგან მა-
ლაქიას კალენდარის მიხედვით, თანაც
გავიგე რო ბ-ნ რასელსაც მსგავსი შინა-
არსის წინასწარმეტყველება გადმოუღია
პინდუსტანიდამ თავისი ფერმერული გა-
ზეთისათვის, ეს სამი სტიქია მუდამ
ერთად არისო, მაგრამ ეს ყოველგვარ
საფუძველს მოკლებული ზღაპარია ბებ-
რუტანებისა და მიამიტ ბაღლთათვის
განკუთვნილი, თუმცაღა ზოგჯერ სასწა-
ულად მართლები აღმოჩნდებიან ხოლმე
კაცმა არ იცის როგორ.

ამ დროს მაგიდის ბოლოდან წამოდგა
ლენეპენი საღამოს გაზეთში დაბეჭდილი
წერილის შესახებ რო მოჰყოლოდა და
ვითომ ჯიბეებში ეძებსო (რადგან ხატ-
ზედ ფიცულობდა ძალიან ამაღლეაო),
მაგრამ ბოლოს დაუჯერა სტივენს, ძებ-
ნას მოეშვა და ხალისით მიიღო მისი
მიპატივება გვერდზედ დამოჯექიო. დი-
დად მოურიდებელი ვინმე ბრძანდებოდა,
გულდია, ალაღ ვაჟაკად მოქონდა
თავი, დარდიმანდობდა და როცა ქალ-
ებზედ, ცხენებზედ ან ცინცხალ სკან-
დალზედ მიდგებოდა საქმე, უმალ იქ
გაჩნდებოდა. მაგრამ კაცმა რომ თქვას,
შეძლება არ გააჩნდა და უმეტეს დროს
ყავახანებსა და იაფფისიან სამიკიტნო-
ებში, დამჭირავებლების, მეეტლეების,
მუქთამკამულების, შიკრიკების, ქარგ-
ლების, დოღის თაღლითების, ქუნის კა-
ხების და საროსკიპოს ქალბატონები-



სა და სხვა მისთანების საზოგადოებაში ატარებდა. დიად, ზოგჯერ ღამეები უთენებია შემთხვევით შეხვედრილ გამოძიებელთან ან სასამართლოს ჩინოვნიკთან, რომელსაც ცხელ-ცხელ ჭორებს დაქსინცლავდა ზოლმე წრუპვა-წრუპვაში. დღის საზრდოს ყველაზედ გულდამშვეულ შესატყველებში ღებულობდა და თუმცა კი ზოგჯერ მხოლოდ უკანასკნელი გახვერტილი ექვსენისიანით ფშაენაწლავი და ნარჩენების საღაფავი მოუდიოდა ზოლმე, მისი ენა მაინც არასოდეს ჩნდუნდებოდა და რომელიმე ბოხანკალისაგან ან სხვა ვინმესაგან გაგონილ რაიმე უწმამურობას ისე გამოიყენებდა, რო ყველას სიცილისაგან ფერდები ასკვებოდა. იქ მყოფმა კოსტელომ კი იკითხა, ეს რა, ლექსია თუ ამბავი რამეო. არა არა, ფრენკ (ასე ერქვა), ამბობს ის, ირლანდიური ძროხების შესახებაა, რომლებიც შავი ჭირის გამო უნდა დაიკლასო. ჯანდაბამდის ვზაქქონით, ამბობს ის, თან თვალს ჩაუკრავს. ფეხებზედ მკიღია მავათი სუკები, ჭირსაც წაუღია, აგერ იქ თუნუქის კოლოფში საუკეთესო თევზი გვაქვს, რომელიც კი ოდესმე ამოუღიათ იქიდან. დიად, და შესთავაზა დამარილებული ქარსალა, რომელსაც დიდხანია უმიზნებდა და რისთვისაც მთელი ეს სტრატეგია წამოიწყო, რამეთუ მიმშვილით კუჭი უზმებოდა *Mort aux vaches*¹², ამბობს ფრენკი ფრანკუზულად დიად, ადრე ბორდოში ემუშავნა მიკიტანთან, რომელსაც დვინის საწყობი ქონია და ჯენტლმენს რო შეშენის ისე პარლუობდა. ეს ფრენკი ბაღლობიდან გამოუსწორებელი უქნარა იყო და მამამისი, ოქქის პოლიციის სტოლნაჩაღნიკი, ძლივს აიძულებდა სკოლაში ევლო რო წერა-კითხვა და გეოგრაფიის ვლობუსი ესწავლა. მერე ვანამწესეს უნივერსიტეტში მექანიკის შესასწავლად, მაგრამ იქ ბიჭმა თავი აიშვა და სასამართლოს ისპალნიტელი და სამრეველო დარჯი უკეთ გაიცნო ვინემ თავისი სახელმძღვანელოები. ერთხანს აქტიურობა-

ზედ ფიქრობდა, შემდეგ მარკიტანტობაზედ ან ბანქოს თაღლითობაზედ შემდეგ ვერაფერი მოსწყვეტა და დათვზე მწვეარ-მეძებრების მისევასა და მამლების ძიძგილაობას, შემდეგ გულმა ზღვებსა და ოკეანეებისაკერ გაუწია ანდა შარაზედ მოუნდა ზეტიალი ბოშებთან ერთად, რომლებიც ხან ახნაურის მეშვედრეს მოიტაცებდნენ მთვარის შუქზედ, ხან მოახლის მიერ გაფენილ საცვლებს ჩამოკხსნიდნენ, ან ქათამს კისერს მოუგრებდნენ ღობის იქიდან. გულმა იმდენჯერ გაუწია სახეტილოდ რამდენი სიცოცხლევ კატას გაანია და ბოლოს ჯიბეგამოფხვკილი ბრუნდებოდა უკან მამამისთან, პოლიციის სტოლნაჩაღნიკთან, რომელიც თითო პინტა ცრემლს ჰღვრიდა მის ყოველ დანახვაზედ. როგორ, ამბობს გულზედდაკერფილი ბლუმი შეწუხებული, ნუთუ ყველას დაქვავვენ. მე პროტესტს ვაცხადებ, ამბობს ის, დღეს დილას არ იყო რო ვნახე ისინი ლივერპულის გემისაკენ რო მიერეკებოდნენ. არ შემიძლია დავიჯერო, რო ეს ასე უიმედოა, აცხადებს ის. იგი ზომ გამოცდილი იყო ასეთ რამეში, სასამუნო საქონლის, ხბორების, ქოსმანების, მატყლოვანი ცხვრების თაობაზედ, რადგან რამდენიმე წლის წინ ბ-ნ ჯოზეფ კაფთან, ღირსეულ ვაჭართან მუშაობდა, რომელიც შექმნილ საქონელს აუქციონზედ ყიდდა ბ-ნ გვეინ ლოუს ფუნდუკის ახლოს, პრაშა სტრიტზედ. ამ საქმეში არ გეთანხმებით, ამბობს ის. საგარაუდოა რო ეს რაღაც ბრონქიალური დაავადება ანდა აქტიზმიკოზი. ბ-ნი სტივენი ოდნავ შეცბა, მაგრამ მეტად თავაზიანად უპასუხა, არავითარ შემთხვევაშიო, რადგან მას დეკემბერი აქვს ხელთ იმპერატორის სასახლის მთავარი კუდიფხანისაგან, რომელიც მადლობას უზღლის მასპინძლობისათვის და ატყობინებს, რო უგზავნის დოქტორ სკოტოვს, მთელს მოსკოვეთში ძროხების კარგად ცნობილ მომთვინიერებელს, წაშლის ორიოდ ბოთლთან ერთად რათა ხარს, არც მეტი არც ნაკლები, რქებში წვდეს. კარგი ერთი, ამბობს პირში მოქმელი

ბ-ნი ვინსენტი. ის თავად აღმოჩნდება დილემის რქებზე წამოკებული, დაუკრეფაში თუ გადავიდა და ირლანდიურ ხარხ წაეპოტინა, ამბობს ის. ირლანდიურს სახელითაც და ხნითაც, თქვა სტივენმა, თან ლუდი მოეწუნწკლა. ირლანდიელი ხარი ინგლისური ფაიფურის მალაზიაში. მივიხვდით, ამბობს ბ-ნი დიქსონი. ეს უთუოდ ის, ცხვირში ზურმუხტის რგოლგაყრილი ხარია ფერმერმა ნიკოლასმა, უგულადესმა მენაშენემ, რომ გამოუგზავნა ჩვენს კუნძულს. ჭეშმარიტად, მაგიდის იქიდან ამბობს ბ-ნი ვინსენტი, და ხარისთვის ვფიცავ ყველაზედ ნასუქი და ზორბა ხარი, ამბობს ის, რომელსაც კი ოდესმე სამყურაზე მოუსკორავს. რქები ქორბუდა, ტყავი ოქროსფერი ბეწვისა, ნესტოებიდან სასიამოვნო თბილი სუნთქვა, ისე რომ ჩვენი კუნძულის ქალებმა ცომის საგორავებლები და სართავი ჯარები მიატოვეს, გაკვეყნენ მას, თან მის ხარმატებულებას ზინზილის გვირგვინებით ამკობდნენ. მაგრამ რა გინდა, ამბობს ბ-ნი დიქსონი, გამოგზავნის წინ ფერმერმა ნიკოლასმა, რომელიც თავად საჭურისი იყო, საგულდაგულოდ დააყვერინა ექიმების კოლეგიას რომლის წევრებიც მანუდ უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ. ჰოდა, ახლა წადი ყველაფერი გააკეთე, ამბობს ის, რასაც მავნე ჰარი, ჩემი ბიძაშვილი ვიბრძანებს და ფერმერული კურთხევა მიიღე და ამ სიტყვებით გვარიანად წაუტყაპუნა საჯლომზედ. ამ წატყაპუნებამ და კურთხევამ კეთილი სამსახური გაუწიაო, ამბობს ბ-ნი ვინსენტი, როგორც ჩანს, დანაკლისის სანაცვლოდ რაღაც შეაძენინა რაკილა ქალიშვილი, ცოლი, დედათა მონასტრის წინამძღოლი და ქერივი დღემდის ერთხმად ამბობენ, რო ურჩევნიათ უმაღ, თვის ნებისმიერ დროს, ყურში ჩასწურწლონ ბნელ ბოსელში ანდა მისი გრძელი წმინდა ენისაგან კურთხევა მიიღონ კეფაში, ვიდრე ირლანდიის ოთხივე მხარის ყველაზედ მომხიბლავსა და მაკდურს ჩაუწუნენ საწ-

ოლში. კიდევ ერთი მათგანი ჩარბაქსი სიტყვას: და მათ შემოსეს და ამბობს ის, მაქმანიანი ჰერანგითა და კაბით, შემოდამ კი ჰალანტინითა და მაქმანიანი მანქეტებით, შუბლზედ კულული მიუმაგრეს, მთელი სხეული ნელსაცხებლით დაუზილეს და გზის ყოველ მოსახვევში ბავა დაუდგეს, საუკეთესო თივით საესე ოქროს საკვებურებით, ისე რო გამოეძინა და მოესკორა როგორც მის გულს გაუხარდებოდა. ამ დროისათვის ერთგულთა მამა (ასე ეძახდნენ მას) ისე გასუქდა, რო სამოვრამდის მისვლა საშინლად გაუჭირდებოდა. მის დასახმარებლად ჩვენ ქალიშვილებსა და მანდილოსნებს მისთვის ახლა საკვები თავისი წინსაფრებით მიჰქონდათ და როცა სტომაქს ამოივსებდა, უკანა ფეხებზე დგებოდა, მათ მაღალშობილებათ თავის საიდუმლოებათ ანახებდა, თავის ხარულ ენაზე ბუბუნსა და ბლაილს მოჰყვებოდა და ისინიც ერთხმად აჰყვებოდნენ ხოლმე. აგრეა, ამბობს მეორე, და ისეთი წუნია გახდა, რო მოითხოვა მთელ ქვეყანაში აღარაფერი მოგვანილიყო მწვანე ბალახის გარდა მისდა მოსახმარად (რაღვან ეს ერთადერთი ფერი მოსწონდა) და ამიტომ კუნძულის შუაგულში, გორაკზედ აღმართეს დაბეჭდილი განცხადება: უფალი ჰარის ნებით ამწვანებულ მდგლოზედ მწვანედ მწვანობს მწვანელოვანი. და თუ, ამბობს ბ-ნი დიქსონი, რომელიმე საქონლისპარაიას იყნოსებდა რისკომონის ან კონემარის მივარდნილ ადგილას, ანდა ვიღაც ფერმერს სლაივოუში ერთი მუჭა მდოგვის მარცვალი თუ ერთი ტომარა რაფსი დაუთესიაო, უმაღვე გააფთრებული გადაირბენდა მთელ კუნძულს რქებით რომ ამოეძირკვა რაც კი რამ იყო დათესილი და ეს ყოველივე უფალი ჰარის ნებით. თავდაპირველად ვერ ეთვისებოდნენ ერთმანეთს, ამბობს ბ-ნი ვინსენტი, ეშმა ჰარი იძახდა ფერმერ ნიკოლასს ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო და მას ბებერ ოღრამს უწოდებდა, რომელსაც შვიდი კახა ეჯდა თავის სახლში და მე მავის შავხელ საქმეებში გავერკვევიო, ამბობს ის. მე მაგ ბი-



რუტყეს ჯოჯოხეთს ვახუნებინებ, ამბობს ის, აი იმ გვარიანი ქიანთართი მამაკემისაგან რო მერგო შემკვიდრეობითო. მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს, ამბობს ბ-ნი დიქსონი, როცა უფალი ეშმა პარი თავის მეფურ ქერქს იფხვდა ნიჩბოსნობის შეჯიბრებაში გამარჯვების აღსანიშნად სადილზედ წასასვლელად (თავად ნიჩბებს უსვამდა, ხოლო შეჯიბრის აუცილებელი პირობის მიხედვით დანარჩენებს ფიცლები უნდა ეზმარათ), მან მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ვასაოცრად ჰგავდა ხარს და საკუჭნაოში მივლებულ წივში დაადგინა, რომ ქუშმარიტად იყო არაპირდაპირი შთამომავალი რომელთა სახელოვანი ჩემპიონი ხარისა Bos Bovum რაც სუფთა დამაზინებულ ლათინურზე ხართა ბოსს ნიშნავდა. ამის შემდეგ, ამბობს ბ-ნი ვინსენტი, ეშმა პარიმ თავის კარისკაცთა თანდასწრებით ძროხის საპირეში ჩაჰყო თავი და როცა კვლავ ამოჰყო, თავისი ახალი სახელი ამცნო შეკრებილთ. შემდეგ, თუმც კი ჯერ კიდევ გალუმპული იყო, თავისი დიდუდის ზედა და ქვედატანში გამოეწყო და ხარის ენის სახელმძღვანელო შეიძინა, თუმცა კი იქიდან ერთი სიტყვაც ვერ ისწავლა პირველი პირის ნაცვალსახელის გარდა, რომელიც მსხვილად გადაიწერა, დაიზუთხა და როცა კი გაიხსიერებდა, ჯიბეებს ცარცით გამოიტენიდა ხოლმე, რათა სადაც კი მოეპრიანებოდა იქ წაეწერა, კედელზედ თუ ჩაიხანის მაგიდაზედ თუ ბამბის ბარდნაზედ ანდა ანკისის ტიეტრიაზედ. მოკლედ, ის და ირლანდიის ხარი ისე დამპაკდნენ, როგორც საჯდომი და შარვალი. კი დამძობილდნენ, ამბობს ბ-ნი სტივენი, მაგრამ კუნძულის მამრებმა დაინახეს რა, ხსნა არსაიდან არისო, რაკი ქალებმა უმაღურესთა ზურგი შეაქციეს, მოზრდილი ტივი შეკრეს, თავდაც ზედ მოთავსდნენ და თავისი ფუთები და აელა-დიდებაც დატვირთეს, ანძები სწორეზე აღმართეს, გემსართავი შეკრბეს, ტაკელაჟის წინა ტროსი ვამართეს, დრეიფზედ დადგნენ, გვარიანად გადაჟღურწეს, ცხვირი წყალბაზზე ქვე-

მოთ დაფარეს, ღუზა ასწიეს, საჭე ბერტის მარცხნივ დაიჭირეს, დაკორიდა დროშა აღმართეს, სამჯერ დასტყვეს ეაშა, ტრიუმის ტუმბო ააქოთქოთეს, თავის კანჯოს ხელი ჰკრეს და ზღვის გზას გაუყენეს ამერიკის კონტინენტის ხელმეორედ აღმოსაჩენად. და ამასთან დაკავშირებითო, ამბობს ბ-ნი ვინსენტი, ბოცმანმა ეს ხალისიანი მისამლერი შესთხზა:

პაპი პეტრე რო ქვეშ იფსამს თითქოს კაცი კაცია, რაგინდ რა იყოს.

ჩვენი ღირსეული ნაცნობი ბ-ნი მალაქია მალიგანი კარის ზღურბლზედ გამოიჩნდა, როცა სტუდენტები თავის აპოლოგიას ამთავრებდნენ, მეგობართან ერთად, რომელსაც ის-ის არის შეხვდა, ახალგაზრდა კაცი, სახელი მისი ერიკ ბენონი, გვიან საღამოს ჩამოვიდა ქალაქში, რაიმე სამხედრო ჩინი რომ ეყიდა, იქნებ პრაპორშიკისა ან კორნეტიხა ლაშქარში და სადმე ბრძოლაშიც მივლო მონაწილეობა. ბ-ნმა მალიგანმა თავაზიანად მოუწონა განზრახვა, მით უფრო, რომ იგი ემთხვეოდა მის საკუთარ პროექტს იმ ბოროტების აღმოსაფხვრელად, რომელსაც ზემოთ შევხებით. თქვა ესრე და შეკრებილთ ერთმანეთთან გადასაკემად მიაწოდა რამდენიმე მუყაოს ბარათი, რომელიც სწორედ იმ დღეს ბ-ნი ქვინელის შეუკვეთა და რომელზედაც ლამაზი კურსივით იყო დაბეჭდილი: „ბ-ნი მალაქია მალიგანი. გამანაყოფიერებელი და ინკუბატორი. კუნძული ლემბეი“. ხსენებული პროექტის მიხედვით, როგორც მან განმარტა, მას უარი უნდა ეთქვა ფუჭ დროსტარებაზე, რომელსაც ქალაქში უზომოდ აჰყვნენ სერფრანტი თუთიყუში და სერ დონდლო ზოზინა, რათა მთლიანად მისცემოდა უკეთილშობილეს საქმიანობას, რომლისათვისაც ასე რიგად მორგებულია ჩვენი ორგანიზმი. მამ გვიამბეთ, კეთილი მეგობარო, თქვა ბ-ნმა დიქსონმა. ეჭვი არ მეპარება, აქ ბოზებში გასეირნების სუნი ტრიალებს. დასხედით ორივენი. გინდ დგომა, გინდ ჯდომა, ერთი ფასია. ბ-ნმა მალიგანმა მიიღო მისატიყება და

ტირადა წამოიწყო თავისი გვეგების შესახებ, კერძოდ, რომ ამ აზრამდისინ ის მიიყვანა უნაყოფობის მიზეზებზე ჩაფიქრებამ, გამოწვეულს როგორც განზრახ შეკავებით, ისე აკრძალვის შედეგად, ამასთან, პირველი შეიძლება ცოლქმრულ უთანხმოებათა შედეგი იყოს ანდა ხელმოშობინებისა, ხოლო მეორე კი თანდაყოლილი ზადისა თუ შენაძენი მიდრეკილებისა. დიდად აწუხებდა, თქვა მან, როცა ხედავდა თუ როგორ აღუკვეთავდნენ საქორწილო სარეცელს მის ყველაზე ძვირფას მოვალეობას: და თუ გაეიხსენებთ რამდენი სანდომიანი მანდილოსანია ქერივის გვარიანი კაპიტალით, რომელიც შეიძლება ბინძური თაღლითების საკუთრება გახდეს, რომლებიც თავის კანდელს საწყაულის ქვეშ, რომელიმე პირქუშ სავანეში მალავენ, ანდა თავის ქალურ მშვენიერებას ვიღაც უტიფარ მუსუსთან ხვეწა-აღერსში ფლანგავს, იმ დროს როდესაც შექმლო ბედს სწევოდა, ანდა თავისი სქესის ფასდაუდებელ მარგალიტს სწირავს, იმ დროს როდესაც გარშემო უთვალავი კოხტა ვაჟია საალერსოდ განწყობილი, ეს ყველაფერი, არწმუნებდა ის მათ, გულს დარდით უვსებდა. ამ მოუწესრიგებლობის მოსაწესრიგებლად (რაც, როგორც მან დაასკვნა, ლატენტური სიმშურვალის დათრგუნვის შედეგი იყო), მოუთათბირა ღირსეულ მრჩეველებს, საგულდაგულოდ გაერკვია ამ საქმეში და გადაწყვიტა შეეძინა მუღმივ და უპირობო მფლობელობაში კუნძული ლემბეი ლორდ ტოლბოტ დე მალაპაიდისაკან, ტორების წარმომადგენელ აზნაურისაკან, რომელსაც მინცდამინც არ სწყალობდა ჩვენი მშართელი პარტია. იქ ის აპირებდა დაეარსებინა ეროვნული გამანაყოფიერებელი ფერმა, რომელსაც ერქმეოდა ომფალოსი¹³, გამოეთალა და აღეშარათა ობელისკი ეგვიპტურ ყაიდაზე და მოვალეობის სრული შეგნებით შეეთავაზებინა თავისი უანგარო სამსახური ნებისმიერი წოდების ქალთა სქესის წარმომადგენლის განაყოფიერების საქმეში, რომელსაც კი გუუგზავნიან რათა

შეუსრულოს ბუნებით დაწესებული წესი არ შეადგენდა მის მიზანს, თქვა მან, გარჯამი ერთ პენისაც არ ავიღებო. ღარიბ-ღატაკი მზარეული, ისევე როგორც მდიდარი ლედი, თუკი მათი აგებულება და ტემპერამენტი სათანადო სიცოცხელით განაწყოდნენ მათ თხოვნის შესასრულებლად, იპონიან მასში მათთვის სასურველ მამრს. მის კვების რაციონთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ იკვებება მხოლოდ სანუკვარი ბოლქვებით და თევზულით და ბოცვერებით, რადგან ამ უკანასკნელთა, მეტად ნაყოფიერი მღრღნელების, ხორცი ყველაზე მეტადაა რეკომენდირებული ამ მიზნისათვის, თუნდ მოშუშული და თუნდაც შამფურზე შემწვარი, განსაკუთრებით თუ ცოტაოდენ მუსკატსა და წიწკას დაუმატებთ. ამ დიდის გრძნობითა და შთაგონებით წარმოთქმული ქადაგების შემდეგ ბ-ნმა მალიგანმა მკვირცხლად მოაცილა თავის ქულს ხელსახოცი, რომლითაც ლამობდა მის დაფარვას. ორივენი, როგორც ჩანს, წვიმაში მოხვედრილიყვნენ და როგორც არ ეცადნენ თავი შეეფარებინათ, მაინც მოასწრეს გვარიანად დასველებულიყვნენ, რასაც ბ-ნ მალიგანის კოსტუმის ქვედა ნაწილი მოწმობდა, რომლის შინაქსოვი რუხი მატერია ერთიანად აჭრელებულიყო. მისი პროექტი ამასობაში კეთილგანწყობით იქნა აღქმული მის მსმენელთა მხრიდან და გულწრფელი ქება დაიმსახურა ყველასაკან გარდა მარიამელი ბ-ნი დიქსონისა, რომელმაც ქილიკით იკითხა ნიუკასლის ნახშირის საბადოში ნახშირის ნაზიდვას ხომ არ აპირებდა. ბ-ნმა მალიგანმა მსმენელთა განსწავლული ნაწილის გული მოიგო კლასიკოსების შესაფერისი ციტირებით, რამეთუ მის მეხსიერებაში შემორჩენილ გამონათქვამებში თავისი შეხედულების მოხდენილ და დამაჯერებელ დადასტურებას ხედავდა: *Talis ac tanta deprevatio hujus seculi, O quirites, ut matres familiarum nostrae lascivas cujuslibet semiviri libici titillationes testibus ponderosis atque excelsis erectionibus*

centurionum Romanorum magnopere anteponunt¹⁴ ხოლო ნაკლებად გონიერო, ცხოველთა სამეფოს ანალოგიით, შეაგნებინა, რაიც უფრო იოლი მოსანელებელი იყო მათი კუჭებისათვის, ხარირემისა და ფურირემის შესახებ ველობაზე ანდა დედალ-მამალ იხვზე ფერმის ეზოში.

რაკილა არცთუ მცირე წარმოდგენისა იყო საკუთარი ელევანტურობაზე და მართლაც თვალადი გაზღდათ, ეს ენამახვილი ახლა თავისა ჩაცმულობის მიმოხილვას მოჰყვა, თან მოულოდნელ მკაცრ შენიშვნებს ურთავდა ატმოსფერული სიურპრიზების თაობაზე, შეკრებილი საზოგადოება კი ამ დროს ალტაცებულ ხოტბას ასხამდა წარმოდგენილ პროექტს. მისმა მეგობარმა, ახალგაზრდა ჯენტლმენმა, რომელიც სასიამოვნოდ იყო აღელვებულ ახლახან თავგადახდენილის გამო, თავი ველარ შეიმაგრა, უახლოესი მეზობლისათვის რო არ გაეზიარებინა. ბ-ნმა მალიგანმა კი თვალის გადავლო მაგიდას და იკითხა თუ ვისთვის იყო განკუთვნილი ესოდენი პური და თევზეულობა, უცხო რო დაინახა, ზრდილად მიეხალმა და უთხრა, გეთავა, სერ, პროფესიული რამ დახმარება ხომ არ გესაჭიროებათ, ჩვენ რომ შეგვეძლოს გაგიწიოთ? რომელმაც, მისი შემოთავაზების პასუხად, გულითადი მადლობა გადაუხადა, მაგრამ ვარკვეული დისტანცია მაინც დაიცვა და უპასუხა, რომ აქ იყო მოსული ერთ ქალბატონთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ბ-ნი პორნის სამშობლიაროში იმყოფებოდა, რადგან ქალის ხეუდრმა საბრალო ფეხმძიმედ გაჰხადა აქ მან მძიმედ ამოიოხრა) და სურდა გაეგო, ბედნიერი ფაში ხომ არ დაუდგა. რაზედაც ბ-ნმა დიქსონმა გადაწყვიტა იმავეთი გადაეხადა სამაგიერო და კითხვა ბ-ნ მალიგანს, მისი სფეროიდალური ღიპიანობა, რაზეც მას დასცინოდა ხოლმე, თვობლასტიკური გესტატიის შედეგი თუა პროსტატის პარკუჭში, თუ მამაკაცის საშოში, ანდა, როგორც ბ-ნი ოსტინ მელდონი, სახელ-

ვანთქმული მედიკოსი, აღნაშენსწრისმ გრესული ენდოგენური ფილოფიინის სიმნდრომის სიმპტომი. პასუხის სანაცვლოდ, თავისი შარვლის შემწურე ფრიად გამხიარულებულმა ბ-ნმა მალიგანმა დიაფრაგმის ქვემოთ ხელი დაირტყა და დედა გროგანის (მისი სქესის შესანიშნავი წარმომადგენლის, თუმც კი, გულდასაწყვეტია, მაგრამ ფეხსუსტის) სასაცილო გამომეტყველებით წამოიძახა: აი მუცელი, რომელსაც არროდეს უტარებია ნაბიჭვარი. ეს ისეთი მოსწრებული ხუმრობა აღმოჩნდა, რომ კვლავ აგორდა ალტაცების ტალღა და მთელი დარბაზი უზომო სიმხიარულემ მოიცვა. და ასე ვრძელდებოდა მათი ცოცხალი მახხარაობა, სანამ წინა ოთახიდან რაღაც შემოფოთების ხმა არ მოისმა.

აქ ერთმა მსმენელთაგანმა, შოტლანდიელმა სტუდენტმა, ერთობ ალტაცებულმა ახალგაზრდამ, დიაფრის აბრეშუმისთმიანმა, მხურვალედ მიულოცა ახალგაზრდა ჯენტლმენს, შეაწყვეტინა თხრობა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას და თავაზიანად მიმართა თავის ვიზავის, ხომ არ დასდებდა პატივს და არ გადმოაწოდებდა ლიქიორის ჭურჭელს, რასაც თან ახლდა შეკითხვისა და თხოვნის გამომხატველი თავის დახრა (ზრდილი ქცევის წრთვნის მთელი საუკუნე ვერ გამოიმუშავებდა ასეთ ელევანტურ ფესტს) და რომელსაც შეესაბამა ასეთივე კუთხით ბოთლის დახრა მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ყოველგვარ სიტყვებზედ უკვედ გამოხატადა სათქმელს, ისიც ხომ არ გადაკრავდა სირჩას. Mais bien sur, კეთილშობილო უცნობო, ხალისით თქვა მან, et mille compliments¹⁵ შეტად დროულია. ეს ერთი სირჩა მაკლდა სრული ბედნიერებისათვის. მაგრამ, მოწყალეო ზეცავ, ნატეხი პური რომ მამრეხს თოფრაკში და კათხა ჭის წყალი, ღმერთო დიდებულო, მივიღებდი მათ და გული მეტყოდა მიწას დაეშობოლი და მადლი მეთქვა ზეციურ ძალებისადმი კეთილი მმოძებლის ნაჩუქარი ბედნიერებისათვის. ამ სიტყვებით ბავესთან

მიიტანა სირჩა, სიამოვნებით მოსვა, თმა შეისწორა, მკერდი გადაიღულა და გამოაჩინა აბრეშუმის ბაფთაზე ჩამოკიდული მედალიონი, სანუკვარი სურათი, გულთან რომ ატარებდა მას შემდეგ რაც მან თავისი ხელით წაუწერა. დიდის სინაზით დაჰყურებდა მის ნაკეთებს და თქვა, ეპ, მსიე, თქვენ რო ის გენახათ ისეთი როგორც მე მინახავს იმ ამაღლევებელ წუთებში, იმ ღამაზ ბლუზაში, ახალი მოხდენილი ქუდით (მისი დღეობის საჩუქარიო, კეკლუცად მითხრა) და ყველაფერი ეს ისე ბუნებრივად არუული, მომხიბლავი სინაზით, თქვენც კი, გუფიცებით, მსიე, თქვენი დიდსულოვანი ბუნება გაიბუღებდათ მთლიანად დინებობდით ასეთ დუშმანს, ანდა სამუდამოდ მიგეტოვებინათ ბრძოლის ველი. უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიცოცხლეში არ ამჩუყებია ასე გული. ღმერთო, დღეთა ჩემთა მომნიჭებულო, მადლობა შენ! სამგზის ბედნიერი იქნება ის, ვისაც ესოდენ ღვთისნიერი მომხიბლავი არსება შეიყვარებს. გრძნობამორუულმა ამოიხვრამ ენაპირიანობა შემატა ამ სიტყვებს და კვლავ მკერდზე შეინახა მედალიონი, თვალი შეიმშრალა და კიდევ ერთხელ ამოიხვრა. ოო მწყალობელო ყოველთა შენს მიერ შექმნილთა მიმართ, რარიგ-რა დიდი და უზომოა უტკბილესი უღელი შენი, რომ ძალუქს მონობაში იმყოფოს თავისუფალი და ყმა, სოფლელი ტუტია და ქალაქელი კოხტარბიზა, მგზნებარე მიჯნური ჭაბუკი და წლებით გამოობრძმედილი ქმარი. მაგრამ, სერ, ვგონებ სათქმელს ავციდი. რარიგ-რა მყიფე და არასრულყოფილია ყველა ჩვენი მთვარეული ნეტარება. დაღაზვროს ეშმაკმა! გულამოსკვნით წამოიძახა მან. რატომ არ ინება ღმერთმა რომ წინათგრძნობას ეკარნახა ჩემთვის ლაბადა წამოძელო. ღამის ავტირდე, ამას რომ გავიფიქრებ. მაშინ ვერავითარი თავსხმა ვერაფერს დაგვაკლებდა. მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი, ხვალ ახალი დღე გათენდება და შუბლ-

ზე იტკიცა ხელი. ერთი უყარქყარქყ capotes¹⁶ ვიცი, მსიე პონტა, ზანმეღმტ ერთ ლივრად მომყიდის ფრანგულ მოდაზე შეკერილ ყველაზე მოსახერხებელ ლაბადას, რომელსაც კი ოდესმე დაუფარავს მანდილოსანი სინოტივისაგან. ნტ.ნტ! შეაწყვეტინა Le Fécondateur-მა¹⁷, ჩემმა მეგობარმა მსიე მურმა, ყველაზე გამოცდილმა მოგზაურმა (სწორედ ახლა გეახელით ნახევარი ბოთლი avec lui¹⁸. ქალაქის რჩეულ ენაფხიანთა წრეში), რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად მიმანნია, შემატყობინა, რომ პორნის კონცხზე, ventre biche¹⁹, ისე წვიმს ხოლმე, ნებისმიერ, თვით ყველაზედ სქელ ლაბადასაც კი ჩაატანდა. ამ გამშაგებულმა თავსხმამო, მეუბნება, sans blague²⁰, არაერთი უბედური ყმაწიელი უდროვოდ გაისტუმრა საიქიოს. ფუი! მთელი ერთი ლივრი! წამოიყვირა მსიე ლინჩმა. ასეთი უღაზათო რამ ერთ სუზე მეტი არ ღირს. ერთი ქოლგა, მანჭკვალა სოკოს ხელაც რომ იყოს, ათ ამისთანა ძველმანს ჯობია. არც ერთი ჭკვათამყოფელი ქალი არ მოინდომებს მის გამოყენებას. დღეს ძვირფასმა კიტიმ მითხრა, რომ უმაღ წარღვნაში იცეკვებდა, ვიდრე ასეთ გადასარჩენ კიდობანში იშომშილებდა, რადგან, როგორც გამახსენდა (თან მორცხვად გაწითლდა და ყურში ჩამჩურჩულა, თუმცა პეპლების გარდა არავის შეეძლო გაგეონა მისი სიტყვები), ქალბატონმა ბუნებამ, ღვთის კურთხევით, გულბებში ჩაგვიწერა და ეს უკვე მთარულ გამოთქმად იქცა, რომ il y a deux choses²¹, რომლისთვისაც ჩვენი დასაბამიერი სამოსის უბიწოება, რაიც სხვა ვარემოებაში უწესობად მიიჩნევა, ყველაზედ შესაფერისი, უფრო მეტიც ერთადერთი შესამოსელი აღმოჩნდება. პირველი, თქვა მან (და აქ ჩემმა მომხიბლავმა ფილოსოფოსმა, სანამ შარაბანში ჩაჯდომას ვეხმარებოდი, ყურადღების მისაპვრობად ოდნავ შეეხო

ენით ჩემი ყურის ნიქარას), პირველია აბაზანა... მაგრამ სწორედ ამ დროს ხარის წკრიალმა წინაეარში შეაწყვეტინა

ამბის მოყოლა, რომელიც ვეპირდებოდა გაემდიდრებინა ჩვენი ცოდნის საგანძური.

შენიშვნები

ფრანკის ან ნომერში გამოქვეყნებული

მე-14 ეპიზოდის ენობრივი სქემა:

- 1) შესასუენების ლათინური ტრაქტატი
- 2) შესასუენების ლათინური ქრონიკა
- 3) ანგლო-საქსონური რიტმული პროზა (დაახლ. 955-1010 წწ.)
- 4) მე-15 საუკ. მორალიტე
- 5) მე-14 საუკ. „სერ ჟონ მანდევილის მოგზაურობანი“; ფანტასტიკა
- 6) მე-15 საუკ. რაინდული რომანი (სერ თომას მელორის „ართურის სიკვდილი“)
- 7) შექსპირის დროინდელი ქრონიკა (მე-16 საუკ.)
- 8) მე-16-17 საუკ. ლათინიზირებული პროზა; ჟონ მილტონი
- 9) მე-17 საუკ. ჟონ ბანაინის რელიგიურ-ალეგორიული რომანი
- 10) მე-17 საუკ. ბოლო, სემუელ პიბსი; დღიურის პროზა
- 11) მე-17-18 საუკ. დენიელ დეფო
- 12) მე-18 საუკ. დასაწ. ჟონათან სუიფტი
- 13) მე-17-18 საუკ. ჟოზეფ ადისონი და რიჩარდ სტილი; ნარკვევები
- 14) მე-18 საუკ. ლარენს სტერნის „სენტ-მენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში“

1. (ირლ.) მარჩენი, მზისკენ; დუბლინიში პოლეს ქუჩაზე სამშობიარო იყო; (ლათ.) წავიდეთ.
2. ერთ-ერთი ეკიმის გვარი ბელიოსის ხარების ასოციაციას იწვევს („პორნ“ — რქა).
3. (ლათ.) სქოლასტიკაში — ქმედება, რომელიც სხვა ქმედებას მოყვება.
4. (ლათ.) ფსალმუნი 64(65): „შენთან მოვა ყველა ხორციელი“.
5. მიეწერება წმინდა ბერნარდს, მეტრნალსა და 163 მონასტრის დამაარსებელს (მე-12 საუკ.).

6. (იტ.) დანტე, საშობე, 33:1, „ქალწულო დედა, შენი ვაჟიშვილის შეილო“ (წმ. ბერნარდის ლოცვა).
7. (ფრ.) რადგან ბნმა ლეო ტაქსილმა გვითხრა, რომ ის, ვინც ეს ქალი ამ უბედურ დღეში ჩაავდო, იყო წმინდა მტრედი, ღმრთის შიგანს ვფიცავ! (გერ.) ან... ან.
8. (ლათ.) დე შეიციობდეს საიდუმლოსა სქესისა ყოვლისა სხეულისა.
9. (ლათ.) ილოცეთ, ძმანო, ჩემთვისაც.
10. (ლათ.) სად და როგორ.
11. (ფრ.) ეტეენ სიმღერა.
12. (ფრ.) „სიკვდილი ძროხებს“.
13. ომფალოს (ბერძ.) — უბი; ბერძნულ მითოლოგიაში დედამიწის ცენტრს აღნიშნავდა; მე-19 საუკუნის ფილოსოფიაში „ადამიანის ასტრალური სულის“ ადგილსამყოფელი.
14. (ლათ.) იმდენად დიდია ჩვენი თაობის გახრწნილება, ო თანამოქალაქენო, რომ ჩვენი მატრონები ხალისით ანიკებენ უპირატესობას ფრანკებს ნახევარკაცების ავზორც ხელისფათურს რომაელი კენტურიონების ძალოვან უფერებთან და არაჩვეულებრივ ერექციისთან შედარებით.
15. (ფრ.) რა თქმა უნდა... და ათასი მადლობა.
16. (ფრ.) ლაბადებით (ყარგ. პრეზერვატივით) მოვაკურ.
17. (ფრ.) გამანაყოფიერებელი.
18. (ფრ.) მისთან ერთად.
19. (ფრ.) ირმის ფაშვი; სტერნის სტილისათვის დამახასიათებელია მსგავსი ფრანგული წყევლისა და მისთანა ფრანგების გადამეტებული ხმარება.
20. (ფრ.) ზემოთა იქით იყოს; სერიოზულად.
21. (ფრ.) ორი რამ არის.

□ ბ ა ბ რ ძ მ ე ბ ა ი მ ე ნ ბ ა □

21



თამაზ ჭილაკა

მესამე ზარი

(საუბრები ახალგაზრდა დრამატურგებთან)

თეატრი მოულოდნელობის სამყაროა! — აი, თითქმის ყველაფერი ვთქვი, რაც კი შემემლო მეთქვა თეატრის შესახებ, ანუ კულტურის იმ ფენომენთან დაკავშირებით, რომელიც მარადიული სიახლის სიმბოლოდაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

შეიძლება დღეს ზოგიერთს მოეჩვენოს, რომ ჩვენს საქმიანობას თანდათანობით ტრაგიკომიკური იერი ედება. შეიძლება სხვის თვალში იმ რაინდებსაც კი ვგაეღვთ, სატრფოს საძებნელად, ან ურჩხულებთან საომრად შორეთს რომ გადახვეწილან და არ იციან, რაინდობის ინსტიტუტი რომ აღარ არსებობს, დაბრუნებულებს სერვანტესის კეთილი, მაგრამ დაუნდობლად ირონიული ღიმილი ელოდებათ. სხვამ შეიძლება ისიც კი თქვას, ქვეყანა ინგრევა, რა დროს თეატრზე ლაპარაკი. მართლაც, რას შეიძლება მივაწეროთ ჩვენი ქმედება — გულბრყვილობას, შიშსა თუ ხსნის ძიებას? ჩემი აზრით, ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, ანუ სამივეს ერთად. გულბრყვილობაა, რამდენადაც ლაპარაკით კი ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენი არავის ესმის, შიშია, რადგან, პირველყოფილ ადამიანებით, საფრთხეს პირდაპირ ვერ ვახსენებთ, მის სახელს ჩვენ თვითონ-

ვე დავადეთ ტაბუ. ხოლო გადარჩენის, ხსნის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იმიტომაც აღმოჩნდეს, თუნდაც ჩვენს ადამიანობას რომ გვახსენებს. ვახსენება, რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილია, ვიდრე რაიმეს გაკეთება, მაგრამ დღევანდელ დღეს იქამდე მივედით, რომ არც ესაა ცოტა, უფრო ზუსტად — ესეც საქმეა. ახლა ვინმე ენამოსწრებულმა ზუმარამ — ასეთები კი დღეს მრავლად არიან, რაც უფრო უბედურია ქვეყანა, მით უფრო მეტი ზუმარა ჰყავს — შეიძლება სირაქლემასაც შეგვადაროს, საფრთხე რომ უგრძვნია და თავი სილაში წაუფვია. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ის საცოდავი მორბენალი ფრინველი ჩვენზე ჭკვიანია, რაკი ჩვენსავით არ დავიწყებია, ყველაფერზე უმაღლესი რა უნდა გადაარჩინოს?..

საბუნდევროდ, მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, თეატრი გასართობად ან დროის გასაფხვანად არის შექმნილი. „ავიღე თოფი და წავედი დროის მოსაკლავად“ — ეს ფრანგი პოეტის ფრაზაა, მაგრამ ვინც თეატრის ბილეთს იღებს, რათა დრო გაიფხანოს, „მოკლას“, იმან შეიძლება არც იცოდეს, რომ თეატრზე წარმოდგენაც კი არ გააჩნია.

დრო და ცხოვრება ადექატური ცნებებია — ცხოვრება დროშია, დრო — ცხოვრებაში. ამიტომ გამოთქმა „გავლილი დრო“, რომელსაც ძალიან ხშირად ვხვდებით, სინამდვილეში სიძარბულს არ შეეფერება. დრო, ისევე როგორც ცხოვრება, არსად არ მიდის და არც შეიძლება სადმე წავიდეს. იგი ჩვენს პიროვნებას ემატება, ერთვის, რა თქმა უნდა, გაუაზრებლად და შეუმჩნეველად. სწორედ ხელოვნებას, ამ შემთხვევაში — თეატრს შევყვართ სულის იმ საიდუმლო მღვიმეში, რომელსაც „გავლილი დროის“ სამყაროც შეიძლება ვუწოდოთ და სადაც „ჩვენში მცხოვრებ წარსულს“ პირისპირ ვხვდებით. ამიტომაც, რომ სპექტაკლის ნახვა, წიგნის კითხვისას, თვითგაცოცხლების აქტია. ადამიანის არსება იქცევა რეალურისა და ირეალურის დამაკავშირებელ ხიდად. ამ ქვეყნად ვველაფერი უკვე იყო, გვასწავლის ეკლესიასტე. მართლაც, ვველაფერი ძველია, გარდა ადამიანისა, ანუ თითოეული ადამიანი თავისთავადი სიახლეა, თანაც მარადიული სიახლე, რამდენადაც ღმერთის მიერაა შექმნილი „ხატად თვისად“. ღმერთის სიკვდილი კაცობრიობამ ასე თუ ისე წარმოიღვინა და რადგან წარმოიღვინა, შესაძლებლად მიიჩნია კიდეც, მაგრამ ღმერთის დამკვლევება ვველაზე უკიდურესმა ათეისტურმა აზრმაკი ვერ დაუშვა...

ამასთანავე, თეატრი სტაბილურობის სიმბოლოა მაშინაც კი, როცა ქვეყანა არეულია. სწორედ მნებლედობის ჟამს არის ვალდებული შეინარჩუნოს სიმშვიდე და სითბო თავშესაფრისა, რასაც წარმოადგენს კიდეც უამრავი ცხოვრებისეული პრობლემით დამძიმებული და შეჭირვებული ადამიანისათვის. შეიძლება ითქვას, სიმშვიდე თეატრის სახეა. მისი განათებული ფანჯრები იმედს უნერგავს იმასაც კი, ვისაც თეატრის კარი ერთხელაც არ შეუღია. თეატრის ჩაბნელებული ფანჯრებიდან ჩვენი უსახური მომავალი იცქირება. ამდენად, თეატრი, როგორც სიმბოლო, სხვადასხვა ფორმით, ვველასთვის არსე-

ბობს, როგორც მოქმედი სიკვანძის ტიტულტი. ბევრი ხალხისთვის უკმაყოფილო იხეთი მნიშვნელობა თეატრს, როგორც ჩვენთვის. ამ მხრივ ეკლესიას მოგვაგონებდა და ამითაც ინარჩუნებდა ნამდვილი თეატრის სახეს.

გავრცელებულია აზრი, რაც ხელოვნებაზე მეტად გაუბრალოებული წარმოდგენის შედეგია, თითქოს მაყურებელი თეატრში საკუთარი ცხოვრების, საკუთარი თავის სანახავად მოდიოდეს. მე, პირადად, ასეთი თეატრი არ შემხვედრია, გარდა, რასაკვირველია, ცუდი თეატრისა, სადაც სცენაზე ყოველდღიური ცხოვრება მეორდება, ანუ სადაც ჩვენი „მცოდნეების“ საყვარელი „ობიექტური სინამდვილე“ აისახება თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით.

თუკი „ობიექტური სინამდვილე“ მხატვრულ ნაწარმოებში ინარჩუნებს თავისთავადობას, სუბსტანციურობას, თუკი შეცვლილი არ არის „მეორე სინამდვილით“, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ის, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულად მოიკოჭლებს. ძველი რომაელები ამბობდნენ: „ცხოვრება მოკლე სიზმარია“-ო. მერე ერთმა დიდმა დრამატურმა ეს ლათინური ანდაზა პიესის სათაურად გამოიყენა, ოღონდ გამოტოვა სიტყვა „მოკლე“, რითაც კიდე უფრო ირეალური გახდა ცხოვრების ცნება. მაკეტეტი ფრანხს: „არ არსებობს არაფერი, გარდა იმისა, რაც არ არსებობს“, თითქოს პლატონის კარნახით წარმოსთქვამს. აღარაფერს ვიტყვი სიურრეალისტებზე, რომელთა შეხედულებანი ამის თაობაზე, კერძოდ მათი „მანიფესტი“, უკიდურესი სიმძაფრით გამოირჩევა.

განა რომელიმე ცნობილი პერსონაჟი, ვთქვათ — ჰამლეტი, ან გოდოს მომლოდინე მაწანწალა, ან თუნდაც ფალსტაფი, ეს თითქოს და მართლაც ჩვენი ორეული, ვველაზე ადამიანური ტიპი, სინამდვილეში რაიმეთი გვკავს ჩვენ? იქნებ მათი ტანჯვისა თუ თვალთმაქცობის ხილვის შემდეგ გარდავიქმნებით სხვა, უკეთეს ადამიანებად? ან იქ-

ნებ ადამიანი თეატრში თავისი ცხოვრების დასაიწყოებლად მოდის? ეს უკანასკნელი უფრო ახლოსაა სიმართლესთან, თუმცა, შეიძლება, ესეც არ იყოს ნამდვილი მიზეზი იმ იდეალური ლტოლვისა, რასაც თითოეული ჩვენგანი განიცდის თეატრალური სანახაობის მიმართ. თეატრიკენ ადამიანს იზიდავს ის, რაც თვითონ არ გააჩნია, უფრო მეტიც — გულის სიდრმეში არც კი სჯერა, რომ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია. ყველაფერი აქ მისთვის სასწაულის სიმადლეზე დგას. იმასაც უშვებს, რომ რაღაცას ატყუებენ, მაგრამ ეს ტყუილი აშკარად აღტაცებასა ჰკერის.

ადამიანი, თავისთავად უაღრესად თეატრალური არსებაა. მის მიერ შექმნილი ცხოვრების მოდელი, თავისი ადამიანურად, ამაზე მეტყველებს. თამაშის კომპლექსი ყოველი ჩვენგანისათვის უაღრესად დამახასიათებელია. შეიძლება ითქვას, ადამიანი თამაშ-თამაშით ცხოვრობს. იმედია, „თამაში“ „გართობაში“ არ აგვერევა. თეატრალურია მისი პოზა, ექსტი, სიტყვა. შესაძლებელი რომ იყოს საკუთარი თავის შორიდან შეხედვა, ალბათ გაგვაოცებდა ჩვენივე უნარი და მიდრეკილება თამაშისადმი, მიმიკრიისადმი. ეს უნარი გვეზმარება, ვიყოთ უფრო თავშეკავებულები მრისხანების ქამს, დამაჯერებლები, როცა ვცრუობთ და გამოვიფურებოდეთ გაცილებით მომზობლავად, ვიდრე ნამდვილად ვართ. ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელი ატრიბუტი ნიღაბია. ადამიანთა რეალური ცხოვრება უნიღბოდ წარმოუდგენელია. ამ თვალსაზრისით, თეატრი მართლაც ცხოვრებასა ჰკავს, მაგრამ მსგავსება მინიმუმბაზე შორს არ შეიძლება წაიხედეს, თორემ თეატრი თავის მაგიას დაკარგავს. რაც უფრო ემსგავსება, უახლოვდება თეატრი ცხოვრებას, მით უფრო მცირდება მისი ზემოქმედების ძალაც. რასინი ამბობდა: „რაც უფრო გვეშორდება ან გმირები, მით უფრო იზრდება პატრიისცემაც მათ მიმართ“-ო. რუდოლფ შტაინერსაც ძველი ბერძენ-

ბის მსგავსად, მიაჩნდა, ~~რამე უფრო მეტი~~ სწავლად უდევს „ის კონსტრუქციონის... არამედ ის, რაც შეიძლება იყოს“. თეატრი ცხოვრებიდან მოდის და არა ცხოვრებისკენ. ხელოვნება საინტერესოა, როგორც ცხოვრებისგან გამოყოფის, „ცხოვრებისგან შეგნებული დაშორების“ აქტი. უფრო მეტიც: როგორც ყოველდღიური ცხოვრებისგან თავდაცვის საშუალება. როგორმე უნდა ვირწმუნოთ, რომ თეატრი ცხოვრების ასლი კი არა — ახალი ცხოვრებაა, აუცილებელია განვასხვაოთ ცხოვრებისეული სიმართლე სიზუსტისაგან. „სიზუსტე სიმართლე არ არის“-ო, გვაფრთხილებდა მატისი. თეატრში ყველა ადამიანური ვნება უფრო მძაფრი და ნამდვილია, ვიდრე ცხოვრებაში, სადაც ნიღბებს სწორედ ამ ესებების დასამალად იკეთებენ. პირობითობის სამყარო გაცილებით ადამიანურია, ვიდრე ადამიანთა საზოგადოების რეალობა. შეიძლება ითქვას, თეატრი ადამიანურობის მონატრებაა, ნიღბები აქ ადამიანობის გამოსავლენად ჰმირდებათ. იქნებ ამიტომაც მიგვიწევს გული მისკენ... არსებობს კიდევ ერთი ნიუანსი, რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია თეატრისა და მათგანების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის დროს — თეატრში პირდაპირ მოწოდებდა კი არ გადავიქცევით, რომელიც მხოლოდ ინფორმაციას ისრუტავს, არამედ, თუნდაც, წუთით, შემოქმედად გარდავიქმნებით ხოლმე. ეს, ეტყობა, სულის სამკურნალო აუცილებელი „პროცედურაა“, სულის აცრის მსგავსი რამ. ეხვებით, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ადამიანური არ არის, ადამიანური ცხოვრება მხოლოდ თეატრშია, სცენაზე. მოკლედ, რაც სცენაზე ხდება, განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვენ „ცხოვრებას“ ვეძახით. გავიხსენებ სემუელ კოლრიჯის მეტად საგულისხმო სიტყვებს: „თეატრალური წარმოდგენები იმიტომ გვანიჭებს ჭეშმარიტ ტკბობას, რომ ისინი არარეალური და გამოგონილია. სცენაზე წარმოდგენილი სიკვდილის აგონია ნამდვილი რომ იყოს,

განა მოიძებნებოდა ჩვენს ცივილიზირებულ ეპოქაში კაცი, ვინც ამით ისიამოვნებდა?" თეატრში, უნებურადაც კი, მოქმედების, თამაშის მონაწილე ვხდებით, სპექტაკლის თანაავტორები, რასაც აქტიურად ან ცრემლით, ან სიცილით, ანდა აპლოდისმენტებით გამოვხატავთ და იმ წუთს უფრო ახლოს ვდგავართ საკუთარ თავთან, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ბოლომდე გაუზრებელი განცდა კი ისეთი რამ გახლავთ, რაც ზოგჯერ თითქოს ძალითაც კი გვეწვევა თეატრისაკენ. თეატრში ადამიანი საკუთარ თავთან რჩება მარტო, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მომენტია, ვიდრე თეატრში რაიმეს სწავლა. მხოლოდ გარკვეული მიმართულების პოლიტიკოსმა შეიძლება მოსთხოვოს თეატრს პედაგოგობაც. ეს გასაგებია — ტოტალიტარიზმს თეატრიც ბრიყვებდა და მონების აღსაზრდელად სჭირდება. ტოტალიტარიზმი ხელოვნებას პედაგოგიკად გარდაქმნის ანუ სპობს მას. ადამიანის სულის ინჟინერობა, ადამიანის სულის შენება ადამიანობის ინსტიტუტის ნგრევაა, ანუ ზნეობრივი დეკადანსია და სხვა არაფერი...

თეატრში ადამიანი, თუნდაც წამით, გრძნობს, იკერებს, რომ ისა და ჰამლეტი ერთი და იმავე თიხისგან არიან გამოძერწილნი. შეიძლებოდა აქვე აღგვეჩინა, რომ ცხოვრებისეული თამაში და თამაში, როგორც ხელოვნებისმიერი აქტი, ერთმანეთს გარეგნულად საოცრად ჰკავს, ოღონდ ზოგჯერ (უმეტესად!) ცხოვრებისეული „თამაშები“ გაცილებით თეატრალურია, სისასტიკეზე რომ არაფერი ვთქვათ. განა, მართლაც, სასტიკსა და თითქმის აბსურდულ ცხოვრებისეულ თამაშს არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ ბერიას შვილის წიგნი „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“ ბერიასგან წამებული პოეტების წიგნების გვერდით იყიდება წიგნის მაღაზიაში და რაც კიდევ უფრო აბსურდულია — ის იყიდება და პოეტების წიგნები არა?! რატომღაც მახსენდება გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონი: „რად არ დაიწვიის დარაბა, სადაც

პიტლერის წიგნი ძევს „მეტიკურულ“ ბერია, რა თქმა უნდა, შემთხვევითად გამხსენება: მან ქართული სინამდვილის სცენაზე გაითამაშა მოძღვრისა და მოწაფის კლასიკური დრამა და შიგნიდან ორად გახლიჩა არა მარტო რუსთაველის, არამედ ქართული თეატრი საერთოდ. არც ერთმა ბრძოლამ არ იცის იმდენი მარადიორი, ავაზაკი და მძარცველი ადამიანის სულითა, როგორც ლიტერატურულმა თუ თეატრალურმა ბრძოლებმა. შემზარავია, როცა თეატრის სცენაზე ნამდვილი გვამები ჩნდება, შემზარავია, როდესაც იმ კოცონზე, რომლებზედაც ტიტანები დაიფრფლენ, ზოგიერთი ვარეწარი ხელებს ითბობს.

თეატრი ცხოვრების სარკე კი არა, თავად ცხოვრებაა, ანუ ის, რაც ჩვენ — უბრალო მოკვდავთ — არ გავაჩნია. თეატრში მახსოვრობის ოწინარს ჩვენივე ემოციების ჭიდან ამოაქვს უამრავი ისეთი რამ, რაც საერთოდ მოსალოდნელია ნამდვილ ჭაში იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ანუ სცენაზე, თითოეული ნივთი, საგანი, განსხვავებით ნამდვილი ჭიდან ამოღებული საგნისგან თუ ნივთისგან, ცოცხლდება, ენას იღვამს, გვიყვება თავის ამბავს, შემოპარული მზვერავით, თავისი ლეგენდა გააჩნია. სცენაზე არავინ ერთმანეთს სიტყვაზე არ უჯერებს, აქ გაცილებით მეტი სიზუსტე და დამაჯერებლობაა საჭირო, ვიდრე ცხოვრებაში. აქ ემოციების ლოგიკა ბატონობს, რომელიც გონიერებაზე უფრო გონიერულად მოჩანს. სცენაზე ყველა და ყველაფერი ენას იღვამს: ცოლის ხელით მოკლული ქმარი, მკვლელის დანა, თუ... მოკლედ, ყველაფერი! სინამდვილისგან განსხვავებით, ხელოვნებაში ვერაფერს დამალავ. „დამალობანას“ თამაში არის პირველი თეატრალური წარმოდგენა, რომელსაც ბავშვობაში ასეთი ზალისითა და მღელვარებით ვასრულებთ. დამალვა და პოვნა! — აი, თეატრალური სანახაობის თავი და ბოლო. ემოციური მახსოვრობისა თუ ასოციაციითა ჯაჭვური რეაქციის წყა-

ლ ბით, ვპოულობთ ცხოვრებაში უიმედოდ დაკარგულ საკუთარ თავს. ეს არის თითქმის ღვთაებრივი ფუნქცია ხელოვნებისა, რომელიც არავითარ შემთხვევაში პოლიტიკური ამბიციებით არ უნდა დაეაქინნოს!

თეატრმა შეიძლება პოლიტიკასთან ერთად ერთი-ორჯერ ქუჩაში გაისეირნოს, ბარიკადზეც ავიდეს, მაგრამ თავის სცენაზე პოლიტიკას ფეხი არ უნდა დაადგმევინოს, იგი უმაღლ იმათ გამოყრის გარეშ, ვინც თეატრის კანონიერი პატრონები არიან, სცენას მამოწვევ ტრიბუნად გადააქცევს. „პოლიტიკად გარდაქმნილი ისტორია“ (ბრუკის გამოთქმა!) შეიძლება ეფექტური სწორედ სცენაზეა, მაგრამ, ამავე დროს, უზნებობაა, როგორც თეატრის, ასევე, თუ გნებავთ, ისტორიის მიმართაც. ჩვენი პლანეტის ერთ-ერთმა ყველაზე გონიერმა ადამიანმა თქვა, მშვენიერია ის, რაც მოგვწონს მისი შინაარსის გარეშე. აქ უკიდურესი კატეგორიულობით არის გამოყენებული ხელოვნება და პოლიტიკა, თუნდაც, ხელოვნება და პედაგოგია. ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, ნამდვილად მოგაჩნიათ თუ არა, რომ პოლიტიკის ადგილი სცენაზე არ არისო, იონესკომ უპასუხა: „ჩვენს დროში პოლიტიკა უპირისპირდება ინდივიდუალურსა და პუმანიზმს. პოლიტიკოსებს დღეს უყრიათ გაცილებით მეტი ძალაუფლება, ვიდრე ერთად აღებულ ყველა ფილოსოფოსსა და მხატვარს... ბოლოს და ბოლოს, ყველა პოლიტიკოსი მიისწრაფვის მსოფლიოს დაპყრობისაკენ“-ო. თითქოს პირდაპირი პასუხისთვის თავია არიდებული, საკითხი გადატანილია ფილოსოფიურ ასპექტში, ანუ უკიდურესად განზოგადებული, მაგრამ მაინც ამკარაა დრამატურგის შიში — არ ვახდეს უნებური თანამონაწილე მორიგი პოლიტიკური ბოროტმოქმედებისა, არ აღმოჩნდეს ტყვეობაში ყველაზე გაურკვეველი რეალიზმისა, რომელსაც, მისივე სიტყვით, „პოლიტიკური რეალიზმი“ ჰქვია, მითუმეტეს, რომ, მისი აზრით, და ეს მისი პასუხიდანაც ამკარად გამოს-

ჭვივის, სცენაზე ასული ქვეყნის ცილებით მეტ სიძლიერეს ვიდრე თავისთავად, ანუ უიმისოდ მიაღწევდა.

ჩვენ, როგორც პოლიტიკურად უუფლებო ხალხს, ყველაფერში პოლიტიკა გველანდება, ყველაფერში პოლიტიკას ვეძებთ, რაც რასაკვირველია, ჩვენს უბედურებას კი გამოხატავს, მაგრამ ახალი უბედურების მიზეზადაც გვევლინება: დიქტატურა და თეატრი პოლიტიკამდე დაეპქვეითეთ, დაეაქინეთ, რითაც, ფაქტურად, ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოვლენის ყველაზე ნატიფი ფორმა უარყვავით. ადამიანის ნაკვლად მოქალაქის ცნების წინ წამოწვევამ დიქტატურა და თეატრი არა მარტო მიუახლოვა ცხოვრებას, არამედ გაუთანაბრა კიდევ, რაც ხელოვნებისთვისაც და ცხოვრებისთვისაც ერთნაირად საზიანოა.

ჩვენი თეატრის დღევანდელი საველადო მდგომარეობის ახსნა და გამართლება ხალხის უკიდურესი ვაჭირვებითა და ომით, სწორედ ხალხისთვის იქნება გაუგებარი, რადგან მას კარგად ახსოვს სხვა ომის დროინდელი თეატრალური ცხოვრება — პრემიერები, ვასტროლიორები, ხალხით გაჭვდილი დარბაზები. ნუთუ მაშინ არც უტრანსპორტობა გეშლიდა ხელს, არც უსინათლობა, არც ბანდიტებისა გვეშინოდა, ნუთუ სხვის ომში იძულებით ჩართულები უფრო ამტანები, უფრო გაბედულები, უფრო კულტურულები ვიყავით?

დღიდან თეატრის გაჩენისა, მსახიობს არასოდეს დაღბინებული ცხოვრება არ ჰქონია. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც, ბედნიერი წუთებიც, მაგრამ მსახიობთა უზრუნველი ცხოვრება ამ ქვეყნად ბევრ რამეზე შეუდარებლად პირობითია.

პირველი მსახიობი, რომელიც ბავშვობაში თავის ოჯახურ გარემოში ენაზე, იუსუფ კობალაძე იყო. ეს დიდებული ხელოვანი, რომლის თვალის გადატრიალებაც კი მთელ დარბაზს ელექტროშოკით დაუვლიდა ხოლმე, უბი-

ნაობის გამო, მთელი ოჯახით, ვიღაცის შუშაბანდში იყო დროებით შეკედლებული, „კუთხეს ქირაობდა“. ის „ვიღაც“ ჩემი თანაკლასელის ოჯახი გახლდათ. ამიტომაც შევსწრებივარ, თუნდაც, ასეთ „სცენას“: სავარძელში ზის, ფეხები გაუწვართავს, ხელები თავქვეშ ამოუდევს, ჭერს შესცქერის — ისვენებს! ახლა ვხვდები, რა ცეცხლი ტრიალებდა მამინ მის გულში... სიღარიბე ბევრი სასიკეთო ქმედების მუხრუჭი იყო და არის, ეს განსაკუთრებით თეატრში შეიძინევა. თეატრი ყველაზე ძვირი ხელოვნებაა, რა თქმა უნდა, თუკი კინოს ხელოვნებად არ მივიჩნევთ, ყოველ შემთხვევაში, თეატრის გვერდით მისი ხსენება სამართლიანად მოგვერიდება.

2.

მართალია, ლიტერატურას თეატრში უზარმაზარი როლი ენიჭება, მაგრამ თეატრი მაინც დამოუკიდებელი, უფრო მეტიც — მისგან განსხვავებული სამყაროა. ვინც თეატრის კარს შეაღებს, მისი კანონებიც უნდა აღიაროს. ეს კანონები კი ძალიან მკაცრია. მაგალითად, დრამატურგს ამ კანონების დარღვევისთვის საქვეყნოდ თავს სჭირან, მართალია, ვადატანითი, მაგრამ არანაკლებ სასტიკი მნიშვნელობით, რასაც მაგურებელი ალტაცებითაც კი ხვდება. ბევრი გაუგებრობის სათავე, რომელიც დრამატურგსა და თეატრს შორის წარმოიქმნება, ამ კანონების ან სრულ არციოდნასა, ანდა მათ იგნორირებაში უნდა ვუძებნოთ. თეატრი რომ დამოუკიდებელი სამყაროა, ამის აღიარება დრამატურგს, რასაკვირველია, უჭირს, ზოგიერთი თეატრს, თომას მანის თქმით, სტამბადაც კი წარმოიდგენს, მის თხზულებას უცვლელად რომ ამრავლებს. საქმე ის არის, რომ თუ მწერალმა თეატრის დამოუკიდებლობა არ აღიარა, მამინ დრამატურგის წოდებასაც უნდა გამოეთხოვოს. სტრინდბერგი წერდა, „ინტიმურ თეატრში“ მსახიობები როლს

გაცილებით ღრმად და მნიშვნელოვნად წარმოგვიდგენენ, ვიდრე ჩემს მიუხაზო ჩეხოვსაც „სამხატვრო თეატრში“ განხორციელებულ „სამ დასთან“ დაკავშირებით მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული. იონესკოს მიერ თავისი პიესის „მოვალეობის / მსხვერპლის“ ერთ-ერთი პასაჟისთვის დართული შენიშვნაც თითქმის უცვლელად იმეორებს სტრინდბერგის სიტყვებს. შეიძლება ვინმემ თქვას, ნიჭიერები გულგრილები არიანო. არა, ნიჭიერებმა უკეთესად იციან თეატრი...

თუ დრამატურგისთვის ძნელია თეატრის დამოუკიდებლობის აღიარება, თეატრისთვის თითქმის შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ახალი თეატრალური აზროვნების ვასალები დრამატურგიაში დევს, რომ დრამატურგია თეატრის სკოლაა. ერთი ქართული რეჟისორის ნათქვამია: „ლიტერატურა — დრამა ქმნის თეატრს და არა პირიქით“. ეს რეჟისორი კი — იგულისხმება სანდრო აბმეტელი — იმიტომაც იყო დიდი, რომ, თუნდაც, ასე აზროვნებდა. შეიძლებოდა ვაგვეხსენებინა მისი კიდეც ერთი გამონათქვამი: „თეატრი არც სკოლაა და არც ტრიბუნა! თეატრი მხოლოდ რელიგიური ტაძარია“. თეატრი პოეტური სიტყვიდანაა დაბადებული, იქვე, როგორც ქალღმერთი — ზღვიდან. მართალია, კარნავალურ საწყისს აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ბრეტის საკეისრო გაკვეთაც ეფექტურია უძველეს ბერძნულ კათარზისთან შედარებით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ბერძნები უფრო თანამედროვენი და, თუ გნებავთ, უფრო თეატრალურნიც არიან, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება. და ამის მიზეზი არის ის, რომ მათთვის სანახაობაში დომინირებს სიტყვა. სპექტაკლი პოქმედებად ქცეული სიტყვაა, რაც სიტყვიდან არ არის წარმოშობილი, არ შეიძლება თეატრალური იყოს. მაგრამ არის კი რაიმე ამ ქვეყნად, რაც სიტყვიდან არ არის დაბადებული? ცნობილი რეჟისორის მიხედვით თუმანიშვილის ნათქვამია: „ამ ბოლო ხანებში ხშირად



მირეკავენ და წერილობითაც შეკითხები-
ან, თუ რატომ არ ვთამაშობთ „ღონ ქუ-
ანს?“ ვერ ვვგამოთ და ვერც ვთამაშობთ,
რადგან დღეს ეს სპექტაკლი უკვე თი-
თქოს სრულებით აღარ გავს იმ ძველ
წარმოდგენას. მუდმივად უცხოელი მა-
ყურებლისთვის თამაშმა სპექტაკლიდან
გამოდგენა სიტყვა...“ მართალია, სიტყ-
ვასთან დაპირისპირება და ჯიბრი ერთ-
გვარად ზრდის და ამდიდრებს თეატრს,
მაგრამ ეს დაპირისპირება უკიდურესო-
ბამდე, ანუ სიტყვის უარყოფამდე არ
უნდა მიდიოდეს. ეს უნდა იყოს რაინ-
დების ტურნირი და არა სისხლიანი
შკვლელობა. ბოლო ორი ათეული წლის
განმავლობაში სწორედ რომ სიტყვას-
თან დაუნდობელი ბრძოლა შეინიშნე-
ბოდა. იყო სიტყვის სცენიდან განდევ-
ნის ცდებიც. ევროპაში, კერძოდ, საფ-
რანგეთში 60-იანი წლების ბოლოს და
70-იანი წლების დასაწყისში მოდად იყო
ქცეული სცენაზე სიტყვის შეცვლა თე-
ატრალური ზერხით, თეატრალური მე-
ტაფორით. მეტად ცნობილი რეჟისო-
რები ეწეოდნენ ამ საქმიანობას, რომე-
ლიც ვგულა ამაო გაბრძოლებასავეთ-
სხასტკიკითა და უკიდურესობით გა-
მოირჩეოდა, თუმცა, ეფექტურობას აშ-
კარად ვერ წაართმევდა. აღბათ მსგავს
მოვლენასთან დაკავშირებით წერდა თა-
დემუშ რუჟევიჩი მაშინ, ჩვენს სცენაზე
კლასიკოსებს ოთხში იღებენო. ასეთ
მოდას, რასაკვირველია, არც ქართვე-
ლი რეჟისორები ჩამორჩნენ, ოღონდ
ცოტათი დაიგვიანეს, უფრო სწორად –
დღემდე ამ მოდას მისდევენ. მოდა კი,
ფრანგებისა არ იყოს, სახაცილოა თავში
და ბოლოში, ევროპელები მალე მიხვ-
დნენ, რომ ასეთი არანორმალური ვი-
თარება დიდხანს არ შეიძლებოდა ვაგ-
რძელებულიყო და აი, დღეს სიტყვა ის-
ევ ბრუნდება ევროპის თეატრების სცე-
ნაზე მთელი თავისი ძლევაშისილებით.
აქის დამადასტურებელია, თუნდაც, სა-
ფრანგეთში ისეთი თეატრალური ცენ-
ტრის გახსნა, როგორცაა „ღია თეატ-
რი“ (1981 წ.), რომელმაც სწორედ ერ-

ოვნულ დრამატურგიაზე ზრუნვისთვის
მოიპოვა სახელმწიფო თეატრალური ცენტრის
სი. 1994 წელს ბონის თეატრალური
ბენაღეც ამ ნიშნით ჩატარდა...
მეორე უბედურება, რომელიც ამა-
ვე ეპოქას დაემთხვა, იყო სცე-
ნაზე ე. წ. „ყოფითი პიესების“ მღვრიე
ნაკადის შემოჭრა, რაც, სხვათა-
შორის, ასევე პოეტურ სიტყვასთან
ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას წარმო-
ადგენდა, რამდენადაც ცდილობდა და-
ემსხვრია ის, რასაც თეატრი გაჩენის
დღიდან ეყრდნობოდა: პოეტურობა და პი-
რობითობა. თეატრს მოეძალა დრამა-
ტურგია, სადაც აღარ არსებობდა ქვე-
ტექსტი, ლექსიკური ფერწერა, სიტყვა-
თა ეტიმოლოგიური ნიღბები. მკითხვე-
ლსა და მაყურებლის ყური ამოიგლისა
ერთგანზომილებიანი, უმწეო, პირველი-
ვე შიშველი სიტყვებით შეკოწიწებული
ულგარული და ბანალური ტექსტებით,
სადაც გაცილებით ნაკლები პოეზია იყო,
ვიღრე, თუნდაც, ცირკის ანტრეში. თუ-
მცა, უკაცრავად ცირკის კლოუნებთან!
მშვენიერი წიგნის „კლოუნების“ ავტო-
რი ტრისტან რემი ერთ-ერთი მთგა-
ნის, გროკის შესახებ წერს: სიტყვე-
ბით ისეთივე კომიკურ ვუფექტს ქმნიდა,
როგორც მიმიკითა და მუსიკითო. ტრის-
ტან რემის ამ ფრაზაში კიდევ ერთი
ჩვენთვის საინტერესო აზრიც ამოიკით-
ხება: ცირკშიც კი, სადაც თითქოს მისი
აღვილი არ არის, სიტყვა ინარჩუნებს
თავის ღირსებას და ძალას და წარმო-
იდგინეთ, რა სასწაული შეუძლია და-
ატრიალოს თეატრში, რომელიც მისი
შესაძლებლობების სრული გამოვლენ-
ისათვის არის მოწოდებული!
პოეტური სიტყვისადმი ნიპილისტუ-
რი დამოკიდებულება, უმჯობესია ვთქვა
– ჯიბრი, არა მარტო რიგითი რეჟისო-
რებისთვისაა დამახანსიათებელი, რაც
თავისთავად შემოქმედებით უმწეობაზეც
მიუთითებს, არამედ ამ მხრივ ვგულაზე
დიდ წარმატებებს მაინც „თეატრის კო-
რიფეებად“ აღიარებული პიროვნებები
აღწევენ, რომლებიც, ამავე დროს, აზა-
ლი თეატრის თეორეტიკოსებადაც მო-



გვევლინენ, ოღონდ, თავიდანვე უნდა ითქვას, ალბათ სწორედ ამის გამო, მა-
თი თეორიების თვალისმომჭრელი სი-
ახლის იქით შეინიშნება თეატრალური
ეფექტების სცენის განათების სისტემის
ფუნქციამდე დაყვანისა და თამაშის ფონ-
გლიორობით შეცვლის ცდა, მკურნალების
გაოცების მძაფრი სურვილი აშკარად
იზარევეებს პროფესიულ „კარგ ტონზე“.
ეს კი სახიფათოა: არ უნდა ვეცადოთ
ერთმანეთის გაოცებას, ეს გვიკარგავს
ერთმანეთით გაოცების უნარს. ერთ-
ერთი ასეთი, საინტერესო თეატრალუ-
რი თეორიის ავტორი დრამატურგი ან-
ტონენ არტია. შეიძლება ითქვას, არ-
ტოს თეორიამ ახალ თეატრზე უფრო
ემოციურად იმოქმედა, ზოგადად რეჟი-
სორული წარმოსახვების გამძაფრებას
უფრო შეუწყო ხელი, ვიდრე შესძლო
სცენაზე რაიმე პრაქტიკული შედეგის-
ათვის მიღწევა. ეს მართლაც რომ ეფექ-
ტური თეატრალური თეორია თავიდანვე
მ.რცხისთვის იყო განწირული, თავისი
ზედმეტი... ეფექტურობის გამო. ოღ-
ონდ მისი „დამარცხება“ უამრავი თეატ-
რალური სიახლის სტიმულს იძლეოდა.
ბევრ თეატრში ამ თეორიის ემოციური
ზეგავლენა დღესაც იგრძნობა, შეიძლე-
ბ: იმიტომაც. სპექტაკლის ნაცვლად,
გრანდიოზული მირაჟის ილუზიას რომ
წარმოშობს, რაც მისახალმებელიც კი
იქნებოდა, მირაჟს საერთოდ თეატრიც
რომ არ ეწირებოდა, ანუ ყველაფერი
ის, რითაც აქამდე თეატრად იწოდებო-
და, უპირველეს ყოვლისა კი, პოეტური
სიტყვა. არტოსთვის „სიზმრების მაგი-
ური თავისუფლება“ იგივე ყოველგვარი
არტახებისგან გათავისუფლებული ცხო-
ვრებაა, რომელიც თავის გზაზე ამხვე-
რებს ადამიანის ინდივიდუალობის საყ-
რდენებს, ადამიანი მის წიაღშია ჩარ-
ჩენილი, როგორც მხოლოდ იდეის ანა-
რეკლი. თეატრის ასეთმა გააზრებამ
არტო სიტყვიერი ენის უარყოფამდე მი-
იყვანა. ჩვენი პლანეტის ყველა მდგმუ-
რისთვის, ნებისმიერი რელიგიის აღმსა-
რებლისთვის, რომელიც სიცოცხლის სა-
წყისად ტრანსცენდენტალურ ბიძგს აღი-

არებს, სიტყვა და ადამიანი იდენტური
ცნებებია. სიტყვა ადამიანისაა, ად-
მიანი სიტყვაა, რამდენადაც იგი, მოე-
ლენილი ღვთის სახედ, დემიურგია, მე-
ტაფიზიკურ ხივრებს ადამიანურობის
დაღი ფენომენის უთვალავი გამოვლი-
ნებით რომ ავსებს. ასე რომ, შეიძლება
ითქვას, ადამიანის ფენომენი ამქვეყნი-
ური ცხოვრების შემოქმედებითი სუბ-
სტანციაცაა. ეს კი თავისთავად სიცხა-
დაა, რომელიც არ შეიძლება არ დაუ-
პირისპირდეს სიზმრის ანარქიას, მით-
უმეტეს, ხელოვნურად ორგანიზებულს,
ხელოვნურად წარმოქმნილს, რომლის
ცენტრშიაც მოქცეულია სასოწარკვეთილი
საყურებელი, როგორც იდეური მძევა-
ლი, ტყვე გარშემო. ვივინით, სამშე-
ტრიანი ნიღბებითა და ტოტემური სიმ-
ბოლიკით შეიარაღებული სტატისტიკი
რომ ურბენენ.

უაღრესად ემოციური არტოსაგან გან-
სხვავებით, თეატრალური სამყაროს კი-
დევე ერთი დიდი წარმომადგენელი ბერ-
ტოლდ ბრეჰტის უაღრესად ლოგიკურია.
ოღონდ ბრეჰტის ლოგიკა, რატომღაც,
მათემატიკას ჩამოგავს და უნებურად
გვახსენებს ერთი მწერლის სიტყვებს:
ყველაზე ძნელი დასაჯერებელი მათე-
მატიკური მტკიცებუებიაო. ეს კი თით-
ქოს ბუნებრივად ხდის იმ თითქმის გა-
უთვითცნობიერებულ პროტესტს, რომე-
ლიც ბრეჰტის თეატრში გვეუფლება ზო-
ლმე. როგორც კი მსახიობი აქ ემოცი-
ების ანუ პოეტური ტექსტის თავბრუ-
დამხვევ მორევეში „შეტოპავს“, მაშინვე
ჯოხის ცემით აფხიზლებენ, როგორც
მსახურები — კუნძულ ლაპუტის ღრმად-
ჩაფიქრებულ მაცხოვრებლებს, და ისიც
— მსახიობი, უკვე გვერდზე გამდგარი,
პოეტური სინამდვილიდან რეალობაში
დაბრუნებული, საკუთარ „პოეტურ სი-
სუსტეს“ ფიზიკური გონებით არა მარ-
ტო უპირისპირდება, არამედ დასცინის
კიდევ. ამ „ამოცანას“ შესანიშნავად
ასრულებდა ეკეპარდ შალი. იქმნებოდა
შეაბჷჭდილება, რომ ადამიანის ოცნე-
ბას მთელი სპექტაკლის განმავლობაში,
როგორც სცენაზე შემთხვევით შემოფ-

რწინილ პეპელას, დასაჭერად დასდევდნენ და ბოლოს, ფინალში, მთელი დასის ძალისხმევა წარმატებით გვირგვინდობოდა — ნარბენი, ვაოფლილი, დაღლილი, მაგრამ ბედნიერი მსახიობები იმ ხელებით, რომლებზედაც ჯერ კიდევ შერჩენილათ ოცნების ფრთების მტვერი, მავურებულს პარტირიდან მოწოდებულ ყვაილებს ართმევენენ...

ბრეჰტის დრამატურგია პირობითად თუ შეიძლება მხატვრულ შემოქმედებას მივაკუთნოთ, იმდენად დიდი ადგილი უჭირავს მასში თეორიულსა თუ იდეოლოგიურ სექციებს გაცილებით დიდი, ვიდრე პაპებისა თუ ეპისკოპოსების საშობაო მოთხოვნებსა თუ პიესებსა. ბრეჰტი სიტყვებით ქმნის მხოლოდ იდეის საყრდენ კონსტრუქციას, იდეის საწყის არქიტექტურას, სქემას. სქემას კი პოეტური, ანუ მოაზროვნე სიტყვები არ ჭირდება, მისთვის საკმარისია ერთგანზომილებიანი ლინგვისტიკური ნიშნები. სიტყვათა უცნაური შეუღლებანი, ან მათი მოულოდნელი მშობიარობა, რომელიც ასე ამდიდრებს ნებისმიერ პოეტურ ტექსტს, მისთვის დაუსვეებელია. მაგრამ, ამასთანავე, ის რაც სხვა პოეტთან აშკარა ნაკლად აღიქმებოდა, ბრეჰტის სამყაროში მეთოდური გამართლებაც კი აქვს მოძებნილი. უფრო მეტიც — ჩამოყალიბებულია სისტემის სახით, რომელიც, არტოს თეორიისა არ იყოს. გაცილებით უფრო ემოციური და ამდენად უფრო გავლენიანიც აღმოჩნდა, ვიდრე მისი დრამატურგიული ოპუსები. ემოციის გონებით შეცვლა, რასაც ბრეჰტი მოითხოვდა, თავისთავად აქვეითებს ადამიანში ადამიანურობის ხარისხს. აქ ის არტოს თანამოაზრე ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, რადგან მაშინვე აშკარავდება, რომ ასეთ შედეგამდე ისინი არამარტო სხვადასხვა გზით მიდიან, არამედ სხვადასხვა გზით აპირებენ სიარულს — ერთი ადამიანის ქვეცნობიერ სამყაროში შედევვას ცდილობს, პალუცინაციებისა თუ მირაჟების უღრანში დაეძებს თავისივე ვნებებისა თუ სურვილების ფესვებს, მეორე კი

უარყოფს ქვეცნობიერს, როგორც სისუსტეს, როგორც კონიერებებს მტკნარ იცის რა, რომ ქვეცნობიერი პიროვნების ინდივიდუალობის საფუძველია, პიროვნება კი კონკრეტული სიმბოლოებათაა მიჯაჭვული სინამდვილეზე, ბრეჰტი ამსხვრევს კონკრეტულის ცნებას და ზოგადის ვაფეტიშებას ცდილობს. ასე მიდის ის კოსმოპოლიტიზმამდე. მართლაც, მისი შემოქმედების კართან კოსმოპოლიტიზმის ურჩხული თვლემს, რომელიც დაუნდობლად ყლაპავს ყველას, ვინც კი ადამიანობის აქამდე აღიარებულ საყრდენებს ეჭივება. ამიტომაც იქმნება, თუნდაც ასეთი პარადოქსული ვითარება: აქ კონკრეტულ ტოტალიტარიზმს, ვთქვათ, გერმანულ ფაშიზმს, ებრძვიან უემოციო ჰუმანიზმის ანუ სულიერი ტოტალიტარიზმის დროშით. სრულებითაც არ არის საკვირველი, რომ ფაშიზმთან მებრძოლი ბრეჰტი ასეთივე ტოტალიტარული სისტემის — კომუნისმის ბანაკში აღმოჩნდა...

ყველაზე დიდი მეტამორფოზა ბრეჰტის შემოქმედებამ ქართულ სცენაზე განიცადა: აქ ის უაღრესად ემოციური და პოეტურია. სპექტაკლი „კაკაისიური ცარცის წრე“, რომლის პლასტიკური საფუძველი, პლასტიკური მელოდია ქართული ცეკვიდან იღებს სათავეს, იმდენად ქართულია, იმდენად სრულყოფილია, რომ თითქოს თავისთავად ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე გაჩნდა რუსთაველის თეატრის სცენაზე.

თეატრი ნებისმიერ მთარგმნელზე დიდი ძალით „თარგმნის“ სხვა ხალხთა დრამატურგიას თავის მშობლიურ ენაზე, სხვა ხალხთა დრამატურგიას, უპირველეს ყოვლისა, ეროვნებას უცვლის ხოლმე...

რაც შეეხება „ყოფით პიესას“, სცენაზე მისი განხორციელება თითქმის თავისთავად მოითხოვს პოეტური სქემის „მაგნიტოფონის სქემით“, ხოლო მხატვრის თვალის — ფოტოაპარატის ობიექტივით შეცვლას. ეს კი პირობითობის სინამდვილედ წარმოადგენის იმ უნარის დაწლუნებაზე მიგვანიშნებს, ურომლი-

სოდაც ამ მოსიბულ პლანეტაზე წონასწორობის შენარჩუნება გაკვივრდება. აქედან ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი იმ ჭეშმარიტების დაიწყოებად, რომ ჩვენი საქმიანობის განმსაზღვრელი სინამდვილისადმი ჩვენი დამოკიდებულება, სინამდვილისადმი ონტოლოგიური მიდგომის ხარისხი, ანუ სინამდვილეში მეორე სინამდვილის აღმოჩენის ნიჭი. უნდა გავარკვიოთ, რა მიგვაჩნია სინამდვილედ და რა არა, ვთვლით თუ არა ჩვენს თავს, დიდი დრამატურგის სიტყვით რომ ვთქვათ, იმავე ძაფით მოქსოვილად, რითაც ჩვენი სიზმრები იქსოვება, თუ მკვეთრად ვმიჯნავთ ერთმანეთისაგან, რასაც უხედავთ, ვეხებით და ვერძნობთ იმისგან, რაც მხოლოდ ხილვების სახით გვეწვევა ხოლმე. ზოგი რეალობას ფანტასტიკურს უწოდებს, ზოგიც ყოველგვარი ფანტასტიკისაგან დაცულიად წარმოიდგენს, მთავარი ეს განსხვავებული შეხედულებები კი არაა, არამედ ის, რომ რეალობა მხოლოდ მატერიალური სამყარო არ არის...

შემოქმედებითი ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე, კანონების დარღვევით, ტრადიციათა ნახანძრალითა თუ ნანგრევებით, ინცესტებით, ზღვარგადასული სითამამითა თუ თავხედობით. ხელოვნებაში ყველა თავისი კარით შედის, აქ საერთო კარის ცნება არ არსებობს. ნიუტონმა თავის ორ კატას თურმე ორი კარი გამოუჭრა. კი გვეცინება ამ ანეგდოტზე, მაგრამ იქიდან ჩვენთვის საინტერესო ამბის ამოკითხვაც შეიძლება. ახალ თეორიებსა და კანონებს თეორიებისა და კანონების დამრღვევნი, ანუ მეამბოხნი პქმნიან, უფრო სწორად, მათ ძალისხმევას, აღმოჩენებს, თუნდაც თავგანწირვას, კანონებად აქცევენ ე. წ. „ნიცოდნეები“ — ხელოვნების პავლე მოციქულები — მას მერე, რაც მეამბოხეებს ამ ქვეყნად აღარ დაივლუბენ, როცა მათ — დაუდრული პარიკებით მორთულთ — ოქროსწარჩიან სურათებად გამოფენენ კონსერვატორიათა თუ უნივერსიტეტთა სააქტო დარბაზების კედლ. „მნათობი“, № 3—4.

ლებზე. ამავე დროს, არაფერს ვთქვამს უღებელი და უცხო არ წარმოქმნილ დებითი ცხოვრებისათვის, როგორც ჯანყის ქაოხი და ანარქია. განახლების დაუოკებელი სურვილი საკვირველი ძალით ერწყმის პარმონიის ასეთივე დაუოკებელ, სახიცოცხლო მოთხოვნილება. მხატვრული შემოქმედება ბუნებას იმით ჰგავს, რომ აქაც მარადიული მკვიდრდება მარადიული განახლების გზით. ბუნება, ეს თითქოს პედანტი შემოქმედი, რომელიც არაფერს წარმოშობს, გარდა იმისა, რასაც აზრი და გამართლება აქვს, უეცრად ცაზე გამოაბრწყინებს ცისარტყელას, რასაც თითქოს არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია, მაგრამ ვინ იცის. რომელი იდეალური არსების თვალს სიამოვნებს მისი ცქერა? ბუნებაც ტრანსცენდენტული ძალის ემოციების გამოვლენაა. მეორე სინამდვილე, რომელიც ადამიანი სამყაროს დაამატა, ემოციებით არის შექმნილი. ამ სამყაროში ბევრ რამეს ვერ ამოხსნი, თუ ემოციებს დაივიწყებ, ან მათ მნიშვნელობას უარყოფ. სამყაროს შექმნის ბიბლიური კვირეული ემოციების ბუნებრივ ლოგიკას ვერდნობა. პოეზიას, რომელიც საფუძველთა საფუძველია ადამიანის ნებისმიერი შემოქმედებისა, უფრო ზუსტად — ყოველგვარი სასარგებლო საქმიანობისა, ემოციების ძეგლ აქვს ნაწოვი. პოეტები თავიანთ ხალხს (და არა მარტო მას!) ვეველაზე დიდი განძით — ემოციებით აღვადრებენ. კანტს ეკუთვნის ასეთი გამოთქმა: „გრძნობებით სავსე სული“. „გრძნობების აღზრდა“ — აი, მთავარი, ალბათ ერთადერთი პედაგოგიური მოწოდება ხელოვნებისა და, ამდენად, რასაკვირველია, თეატრისაც. ვამბობ რა ანას, თვალწინ მიდვას ბრეტის ირონიულად მომღიძარე სახე. ბრეტის გარეგნულად ძალიანა ჰგავს მონა ლიხას...

3.

თეატრში წარსული დრო არ არსებობს, ისევე როგორც საერთოდ ხელოვნ-

ნებაში (ალბათ ცხოვრებაშიც). რაც სცენაზე ხდება, აი, ახლა, პირველად იბადება და ვითარდება ჩვენი თანდასწრებით. მსახიობებმა არც კი იციან, როგორ დამთავრდება მათი ამბავი, რა ელთით მათ გმირებს. და თუკი ეტყობათ, რომ პიესა წაკითხული აქვთ, ცუდი მსახიობები არიან...

თეატრს სულ სხვა აწმყო დრო აქვს, რომელიც უცნაური ძალით ითავსებს წარსულსაც და მომავლსაც და კიდევ პრაქტულ ისეთ დროს, რომლებიც საერთოდ უცნობია გრამატიკისთვის და მკითხველიცა და მსაყურებელიც მხოლოდ ინტუიტურად შეიგრძნობს, რა თქმა უნდა, თუკი ნამდვილი მკითხველი და მსაყურებელია. მოლიერი ამბობდა: კომედია მხოლოდ იმან უნდა წაიკითხოს, ვისაც უნარი შესწევს, კითხვის დროს მთელი თეატრალური მოქმედება წარმოიდგინოს.

რასაც მწერალი გვიყვება, ისტორიული ამბავიც რომ იყოს, ყველაფერი დღევანდელობაა, უფრო ზუსტად — დღევანდელობის ილუზიაა, სხვანაირად ნაწარმოები მხატვრული ვერ იქნება. ნაწარმოები ცხოვრების იმიტაცია კი არ უნდა იყოს, არამედ იმიტაციის ილუზიას უნდა ქმნიდეს. ილუზიურობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა მხატვრულობისა. ყოველი ცდა ამ მოთხოვნის დარღვევისა მარცხით მთავრდება. ცდა კი ათასნაირი შეიძლება იყოს — ანტიპირობითობას, ანტიპოეზიას, ანტითეატრალურობასაც კი თავისი მსლავრი და. თქვენ წარმოიდგინეთ, მომხიბლავი საშუალებები გააჩნია, ამასთანავე მყარი იდეოლოგიური ბაზისიც. უცნაურია, ადამიანი ყველგან ცდილობს ცხოვრების აღმოჩენას, ვარდა... ცხოვრებისა. ხელოვნებაში გადმოტანალი ეს ცდა ნატურალიზმის უსიამოვნო განწყობას ბადებს. თუკი სცენაზე ადამიანის შინაგანი ცხოვრების გამოსახვის ხერხები თეატრალური არ არის, ხელოვნების არსენალიდან არ არის გამოტანილი, თუკი მსახიობი ზუსტად ისე მოქ-

მედებს, როგორც ცხოვრებაში, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ არც ამ თეატრს და არც მსახიობს თეატრისა არაფერი სცხია. კაჟკა ამბობდა, „მსახიობი ვალდებულია იყოს თეატრალური“-ო. ვაიხსენოთ თუნდაც სიმერსეტ მოემის მსახიობი ქალი. როჩელიც მხოლოდ იმიტომ დამარცხდა სცენაზე, რომ იქ თავისი ნამდვილი გრძნობების გადმოტანას შეეცადა. თითქოს ამ მოთხოვნი კომენტარით ვაიხსენებ კამიუს სიტყვები: „თუკი სცენაზე შეეცდებოდნენ ზუსტად ისე გადმოცათ სიყვარული, როგორც ეს ცხოვრებაშია... თეატრის ენა ყველასთვის გაუგებარ შიფრად გადაიქცეოდა“.

ცხოვრების იმიტაციის, კობირების ყველაზე გავრცელებული და ეფექტური ხერხია მხატვრული ენის სალაპარაკო ენით შეცვლა, რასაც სხვა სიტყვით შეიძლება დავარქვათ „ცხოვრება სცენაზე“. მართალია, დრამატურგის ენის პირველი ღირსება თავისუფლება და ბუნებრივობაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს სალაპარაკო ენის ზუსტ გამოიღებას, როგორც ეს ჩვენში, რატომღაც, მაინცაა. შექსპირის შემოქმედებაში, სპეციალისტების აზრით, ვერ შეხედებით ენობრივი რეალობის კობირებას. სახასიათო სცენებშიაც კი არ მიმართავს ვარგონს, „თითქმის არ შეხეობია ინგლისურ დიალექტებს“ და მაინც ერთი ინგლისელი პოეტისა არ იყოს, მის პერსონაჟებს დაუსახელებლადაც კმ გაარჩევთ ერთმანეთისგან მეტყველების მიხედვით. სიტყვიერი ქმედების დიდოსტატი შეუდარებელი სიტყვიერი პორტრეტისტია. მეტყველება იგივე ადამიანია, სიტყვა იგივე აზრია, ენა პოეტური აზროვნებაა — აი, რას ვსწავლობთ, სხვა უამრავ რამესთან ერთად, შექსპირის სახელოსნოში. ზახათის გამოხატვის ლოგიკა ქმნის ზუსტ ენობრივ სისტემას, როგორც მხატვრულ საშუალებას და არა ფონს ან სამკაულს. ეს საფუძველია ცხოვრების იმ გრანდიოზული ილუზიისა, რასაც შექსპირის შემოქმედება ჰქვია.

თუკი დრამატურგიული ნაწარმოები ლიტერატურას განეკუთვნება, ანუ პოეზიაა და არა დრამისმკეთებლის სერიული პროდუქციის ნიმუში, მაშინ ყველაფერი არალიტერატურული, ემპირიული, თვითნაბადი სახით წარმოადგენილი, მისთვის მიუღებელია და უცხო. მწერლის ენა ხელოვნებაა. მწერლის ენა ეს არის ფორმა ნაწარმოებისა, ანუ იგივე ნაწარმოები. მისი წიაღიდან იბადება შინაარსიც და ასოციაციებიც. მისი წყალობით ფაბულა ატომივით იზლიჩება და წარმოიშობა მეტაფორების ჯაჭვიური რეაქცია. სწორედ ნაწარმოების ენაა, რომელიც ქმნის ერთგვარ საზღვარს, ჯებირს, ზოგჯერ ძნელად შესამჩნევს, ზოგჯერ კი აშკარას, ხელოვნებასა და ცხოვრებისეული ემპირიის შორის. მწერლის ენა ნაწარმოებთან ერთად იქმნება და ნაწარმოებისგან განცალკევებით არ არსებობს, ასეთად შეიძლება მხოლოდ მარად აუღელვებელმა ფილოლოგმა წარმოიდგინოს და როცა ეს ხდება, ენა მაშინვე ხელოვნებიდან გრამატიკის საოპერაციო მაგიდაზე, ანდა უარესი — მორგის მაცივარში ამოყოფს თავს. ამ დროს, შეიძლება ითქვას, ენა აღარ არის, მხოლოდ გარკვეული გრამატიკული სისტემით მოწესრიგებული ტექსტია, გარკვეული ინფორმაციის შემცველი. ეს არის და ეს. მწერლის ენა კი, როგორც ვთქვი, იგივე მხატვრული ნაწარმოებია, მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად იქმნება. ეს შემოქმედებითი პროცესია და ამ დროს შეიძლება ინტუიციას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს, ვიდრე ნებისმიერ მიზანდასახულ ქმედებას. ამასთანავე, მწერალი თავის ენას ქმნის სალიტერატურო ენის წიაღში. არსებობს ვაჟას ენა, ილიას ენა, აკაკის ენა, მაგრამ არც ერთი არ უპირისპირდება საერთო — სალიტერატურო ქართულს, პირიქით, ერთვის და ამდიდრებს მას. მწერალი რაც უფრო მეტ სათამამეს გამოიჩენს კანონების დაცვით, მით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ხდება. სალიტერატურო ენა კულტურის

ფუნოქმენია, რამდენადაც უპირისპირდება ლინგვისტიკურ სტიქურულს, მისთვის ლეგებს, უვაციობას, ლინგვისტიკურ თავხედობას, ხულიგნობას. ის ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა. ამასთანავე, ვინც მის კანონებს არ იზიარებს, არ ემჩრჩილება, იმას ნამდვილად უჭირს, როგორც... მწერალს.

ჩვენს დრამატურგიაში თვალშისაცემად არსებობს ხელოვნურად შექმნილი ენა, რომელიც ორი სახით ვლინდება: ერთია ამალღებული, ანუ „ინტელექტუალური“ და მეორეა ხალხური ანუ „მლაბიური“. მათი მოჩვენებითი ეფექტურობის მიუხედავად, რაც იმიტაციას საერთოდ ახასიათებს, ორივე ერთნაირად ყალბია და მიუღებელი. სწორედ ემოციური ეფექტურობაა, თავისუფლებას რომ უკლავს ენას. ამით გვერდზე სენტიმენტალურ-მემწიანური და ფსევდორომანტიკული მიმდინარეობანი ერთნაირად დამღუპველი მოვლენებია. ორივე, აკაკის სიტყვით, „პროვინციალიზმია, ენის გარყვნა“ და ვაჟასი არ იყოს, „ინტელიგენტს მგოსანს არ უნდა ვაპატიოთ ეს უცოდრობა“...

ცხოვრების ასლის სცენაზე წარმოდგენის სურვილი, რასაკვირველია, მართლ ქართველებს არ ახასიათებთ, ამასთანავე, ყველაზე ნაკლებად სწორედ ქართველები სცოდავენ ამ მხრივ. ერთმა მეტად ნიჭიერმა მოსკოველმა რეჟისორმა თქვა, მოგებუზრდა ამდენი პირობითობა, კიდევ კარგი, ახლა ჩვეულებრივ ყოფით პიესას ვეგამთ, სადაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ცხოვრებაში. უცნაურია, რომ ეს ანატოლ ეფროსის ნათქვამია, ერთ-ერთი ყველაზე პოეტური რეჟისორისა. მაგრამ ესეც ხომ პირობითობაა? „ჩვეულებრივ ყოფით პიესას“, მდიდარ საცოლესავით, მართლაც, შეუძლია მოიყოლიოს უამრავი ნივით, „მდიდარი მზითვი“, მაგრამ ვანა პოეტური პიესა ნაკლებად მდიდარია? ნივთებით სცენიდან პირობითობას ვერ განდევნი, თუმცა ვერც უნივთობად და-

ამყარებ მას. „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ — აი, თავი და ბოლო თეატრალური ხანაზობისა, უნდა ვაღიარო, საერთოდ არ მესმის. რას ნიშნავს „ყოფითი პიესა“. როგორ უნდა განეწილიყო ასეთი ცნება ლიტერატურასა და ხელოვნებაში? თუკი ნაწარმოები ნამდვილია, მასში ყოფა უსათუოდ უნდა იყოს და ეს ვრცელდება ყველანაირ დრამატურგიაზე, როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვეზე. ერთმა ინგლისელმა მკითხველმა თქვა და ეს მისი ნათქვამი პინტერის პიესების რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში საგანგებოდ მოიხსენიება: პინტერის ინგლისი როდისმე ჩვენს შეგნებაში ისევე დამკვიდრდება, როგორც დიკენსის ინგლისი. დიკენსი კი ის მწერალი ვახლავთ, რომლის ნაწარმოებებშიც ყოფა გაცილებით მეტია, ვიდრე თავად ცხოვრებაში. ამავე დროს, სადაც მარტო ყოფაა, ის მხატვრული ნაწარმოები არ არის! ხელოვნებაში, უმთავრეს შემთხვევაში, უაღრესად კონკრეტიზირებული, უაღრესად გასაგნებული გარემო, უაღრესად დეტალიზირებული ფონი ნაკლია და არა მიღწევა. ეს ნაკლი, მაგალითად, ადვილი შესამჩნევია რუსულ თეატრში. სპექტაკლში შემოტანილი ნივთების ფუნქცია უსათუოდ უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი ავეჯის ფუნქციისაგან. „მეორეხარისხოვანი ნივთების სიმრავლე ერთობ ახლოა სილატაკესთან“-ო, ეს დიდროს სიტყვებია, რომლებიც სცენურ სილატაკეზეც შეიძლება გააუვრცელოთ. საგანი სცენაზე მხოლოდ მაშინ ჩანს არა მხოლოდ მკაფიოდ, არამედ სრული სახითაც, ანუ მხოლოდ მაშინ „თამაშობს“, როცა მხოლოდ მისთვის ყველაზე დამახასიათებელ დეტალს ვხედავთ. ეს თვალნათლივ შეინიშნება საუკეთესო სცენოგრაფისტების ნამუშევრებში. მწერლებს (და რეჟისორებსაც!) უამრავი საგანი, ნივთი ისეთი ნატურალისტური სიღრმადით შემოაქვთ პიესაში, თითქოს ახალ ბინაში ავეჯი შექონდეთ. ეს ფაქტი ერთდროულად ალტაცებასაც იწვევს და ზედმეტობის შემაწუხებელ გან-

ცდასაც, რაც ბუნებრივია, რადგან მოვეწონს რა მწერლის (რეჟისორის) შეხვედრის არეალის მასშტაბურობა, გვადინიანებს მისი ყოვლისმხედველობა. მწერლობაში (ხელოვნებაში) მხოლოდ აუცილებელს ხედავენ, ანუ ხედავენ გამოირჩევიან, რაც თუნდაც ავტორთა გემოვნებაზე მეტყველებს. ზედმეტი ნივთები მხოლოდ ცუდ ნაწარმოებსა და უკეთესად მორთულ ბინებში გვხვდება. უაღრესად დეტალიზირებული ყოფა თავისი უხეში კონკრეტულობით აშკარად ზემოქმედებს მხატვრული ნაწარმოების ქსოვილზე, რომელიც სწორედ ამის შედეგად აქა-იქ გარღვეულია, ზოგჯერ გაგლეჯილიც კი და იქიდან პიესაში ემპირიული მღვრიე ნაკადი მოეონავს თუ მოთქრიალებს. შეიძლება ითქვას, ყოფითი ვაკლენაც ისევე სახიფათოა მწერლისთვის, როგორც ლიტერატურული ეპიგონობა. ე. წ. „ყოფითი პიესა“ ყოფითი ეპიგონობის მაგალითია. „ნივთიერი პირობითობის“ გარეშე წარმოდგენილია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დრამა. მაგრამ უკიდურესობამდე მიყვანილი ეს პირობითობა დღეს მხოლოდ საიპერო თეატრს შემორჩა. ამ ყველაზე უფრო თეატრალურ თეატრს. ასე რომ, ეფროსის ნათქვამი აშკარად ამჟღავნებს თანამედროვე ოსტატის სვედას მოძველებულ ხერხებზე. ეს არის ოქენაქვიმერის ნოსტალგია ორ ნაფოტზე, რომლებითაც ცეცხლს ანთებენ...

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პიროვნება, რომელსაც ცხოვრებაში შევხვდებივარ, ანატოლ ეფროსი იყო, ბრწყინვალე რეჟისორი. ანატოლ ეფროსი შესანიშნავმა მსახიობმა, შეიძლება ითქვას — მისმა მუშამ, ოლეა იაკოვლევაშვილმა გამაცნო. ერთი-ორჯერ ვისაუბრეთ კიდეც. დღემდე არ მშორდება ის სასიამოვნო გრძნობა, რომელიც ამ საუბრებმა დამიტოვეს. მოხდა ისე, რომ მოსკოვის ერთ-ერთი ჟურნალის ფურცლებზე შევეკამათე მის მოხაზრებას ისევე „ყოფითი პიესის“ გამო. პასუხად წიგნი გამომიგზავნა წარწერით: „ყო-



ვლთვის მიხარია თქვენი ნახვა“-ო. ისიც, როგორც ყველა ნამდვილი რეჟისორი, კარგად წერდა... შორიდან უნდობლობის ნიჟარაში შეკეტილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმ გარემოსა და პირობებში, რომლებშიაც უხდებოდა ცხოვრება, ეს ძალიან ბუნებრივი და გასაგები იყო. ცოტათი მაინც თუ გაიცნობდი, უპირველეს ყოვლისა. იმას შეამჩნევდი, თუ როგორ მკვეთრად გამოირჩეოდა გარშემო მყოფთაგან, თავისი ადამიანური თვისებებით. ეს კი, რასაკვირველია, უკიდურესად აღიზიანებდა იმას. ვისაც არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ... ადამიანები! ამიტომაც, თითქმის ყოველწამს დიდი საფრთხე ემუქრებოდა, თუნდაც. ნიჟიერების გამო. სინამდვილეში ეს საფრთხე თურმე კიდევ უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე მოჩანდა. მისი სიკვდილი ნიჟიერებაზე ორგანიზებული შურისძიების კიდევ ერთი დამაფიქრებელი ფაქტი იყო...

4

კლასიკასთან დაბრუნება ერთგვარი შემოწმებაა ჩვენივე ზოგადსაკაცობრიო სახეებით აზროვნებისა და კონკრეტულ მოვლენათა განზოგადობების უნარისა. შეიძლება ითქვას, კლასიკაში ვეძებთ საკუთარი ბიოგრაფიის დრამატიზმს, დღევანდელი უგუნურობის ახსნას, დღევანდელი კითხვების პასუხს, რომელსაც ჯიუტი ძიების შემდეგ უსათუოდ აღმოვაჩინებთ კიდევ ამ უმდიდრეს საგანძურში მართალია, არიან შემოქმედები, რომლებიც სტრელების მსგავსად, მიიჩნევენ, რომ თეატრი ვერაფრით ვერ ჩაწერება თანამედროვეობის პრობლემატიკაში, თუკი თავის თანამედროვე პიესებს არ დადგამს და რომლებიც ვარდასულ დროთა პიესების წარმოდგენას მიაჩნევენ. ისევ სტრელების სიტყვით, ერთდროულად „კულტურულ მიღწევად და სისუსტის ნიშნად“, ანუ კულტურის გამარჯვებად და რეჟისორის დამარცხებად, მაგრამ ფაქტია, რომ „კულტურულ-

ლი მიღწევა“ აშკარად გადაწმინდა ხალხში „სისუსტეს“, ღრმად კლასიკა აერთიანებს ადამიანებს, ვკვებინება, როგორც საერთო თვალი იმის დასანახად, რომ ყველანი პაწაწინა პლანეტაზე ვცხოვრობთ, რომ ჩვენს დღევანდელობაში ჯერ კიდევ ბუტყავს წარსულის ჩაუშქრალი ვნებები, რომ ამ გლობალური სისასტიკის ეპოქაში საერთო ბედითა ვართ ერთმანეთზე გადაბმულნი და ამ საერთო ბედზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ. ვრწმუნდებით, რომ ერთნაირ ეროზიას განიცდის როგორც ტირანის, ასევე მონის სულიც, რადგან ადამიანი არც ტირანადაა გაჩენილი და არც მონად, რომ ადამიანის გონებას ისე არაფერი ამდაბლებს, როგორც ძალმომრეობა. ადამიანის გონება, სიბნელის გასანათებლად არის ღმერთისგან ბოძებული და არა ინკვიზიციის კოცონის გასაჩაღებლად.

კლასიკური პიესა შეიძლება უფრო თანამედროვე იყოს, ვიდრე დღევანდელი და უფრო ხშირად ასედაც არის. ხელოვნებაში ნოვატორობის აუცილებლობა იმიტაცაა გამოწვეული, რომ მხოლოდ ნოვატორს შეუძლია დაგვანახვოს, გვაგრძობინოს კლასიკის უკვდავება. კლასიკის ყურმოჭრილი მონა ეპიგონი მისი პირველი მტერია. ამიტომაცაა, რომ ჩვენს საქმიანობას ყველაფერზე მეტად სტერეოტიპი, სქემა, დოგმა ემუქრება, ვითომ იდეური თუ პატრიოტული საფარველით შენიღბული შემოქმედებითი უმწირობა, რასაც, სამწუხაროდ, ადვილად ნებდებიან ჩვენი თეატრები, თუნდაც მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი გამოხმაურების მომიზეზებით. თეატრი უნდა გამოეხმაუროს ცხოვრებას, თარიღების გამოხმაურება ღურნალისტიკის საქმეა.

კლასიკისგან ესწავლობთ ადამიანის ბედზე ფიქრს, ანუ ფიქრს არა მხოლოდ დღევანდელ დღეზე, არამედ წარსულსა და მომავალზეც. კლასიკის დრო მარადისობაა. ამასთანავე, წაიკითხო კლასიკა, როგორც კანონიკური ტექსტი, ნიშნავს გაწირო თავი აშკარა მარცხისთვის.

ამას ყველა ნამდვილი შემოქმედი ინსტიტუტით გრძნობს. ეს ტალანტის თანდაყოლილი თვისებაა.

ინგლისში რუსთაველის თეატრის დიდი წარმატების შემდეგ (1980 წ.) ჩვენს პრესასა თუ საჯარო შეკრებებზე ვაიხმზურა ასეთმა ფრაზამ: ჩვენ ინგლისელებს შექსპირის დადგმა ვასწავლეთო, რაც პარდაპირ რომ ვთქვა, სასაცილო იყო და მეტი არაფერი, თუმცა სწორედ იმას მიგვანიშნებდა, რომ სასაცილოდ არ გვქონდა საქმე. ეს იყო პროვინციალური მისი ერთ-ერთი პირველი წამოყივლება ჩვენს სინამდვილეში, რასაც მაშინ რატომღაც წაუყურეთ და რაც (რათქმა უნდა, არა მარტო ეს) მერე რუსთაველის პროსპექტის ნანგრევებად შემოგვიტრიალდა. ბაქიაობა და ტრაბახი (როგორც ჩვენ ვამბობთ — ბრეკი!) არც ისე უვნებელი რამ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ფსევდო-ემირულ-რომანტიკული მითოსის ილუზიებითა და მირაჟებით სავსე უღრანში ძალიან ადვილია სიფხიზლის დაკარგვა, რაც ჩვენისთანა ხალხისთვის ეროვნული კატასტროფის ტოლფასია. ჩვენ ინგლისელებს ალბათ დავანახებთ კლასიკის წაკითხვის კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე ვარიანტი, რაც დამდგმელთა ნიჭიერების წყალობით, ბევრისთვის, მათ შორის, ინგლისელებისთვისაც, მახლობელი აღმოჩნდა. ამით კიდევ ერთხელ დაეამტკიცეთ (თუკი ამას საერთოდ დამტკიცება სჭირდება!), რომ დიადი შექსპირი ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა და ქართველებსაც, როგორც ერთ-ერთ კულტურულ ხალხს, დამსახურებულად ეკუთვნის მისი სინათლის თუნდაც პაწაწინა ნაწილი...

ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი სწავლაც შექსპირის სახელოსნოში შეიძლება, ალბათ არის ის, რომ ზელოვნებაში ყველაზე დიდი სკოლა ნიჭია, რომელიც ამხურვეს და ქმნის კიდევ კანონებს. ამასთანავე ცხადყოფს, რომ კანონთა ერთგულება მხოლოდ ნიჭიერებს შეუძლიათ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ კანონებს დაუ-

პირისპირდებიან. ერთმა ქვეყნულმა თქვა, ჭეშმარიტად დიდი მსწერ-მწერ დიდაც ყველა და ყველაფერი დიდად მოჩანსო. შექსპირის სამყაროში ყველაფერი დიდი და მოულოდნელია და, რაც მთავარია, ყველაფერი ახალია, ისიც კი, რასაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჩვენ შეგვიძლია, შიშისგან სუნთქვა შეკრულებმა, მხოლოდ ცალი თვალით ჩაიხედოთ იმ უფსკრულში, სადაც ის ფრთოსანი არსების სილადით ეშვება და საიდანაც არნახული საუნჯე ამოაქვს. მისი სითამამით გაბრუებულებს, ისღა დავერჩენია ხელიხელჩაკიდებულები მივყვით მას ტავერისა თუ ელსინორის ბნელ ტალანტში, დავიჯეროთ დაუჯერებელი, შესაძლებლობა შეუძლებლისა, თქმა უთქმელისა, შესრულება შეუსრულებლისა, სინათლე სიბნელისა, ლმობიერება მტარულთა და სისასტიკე ანგელოზთა... აი, „კამლეტი“, დრამატურგიის კანონების მიხედვით, თითქოს პირველხვე მოქმედებაში უნდა დამთავრებულიყო — თავიდანვე ნათელია, რაც მოხდა დანიაში და არა მარტო ეს, ვიცით, ვინც არიან დამნაშავენი. მაგრამ გენიოსი იწყებს იქიდან, სადაც სხვები, საკმაოდ ნიჭიერები, დამთავრებდნენ. მოცარტმა „კამლეტი“ რომ ნახა, მამას მისწერა: „აჩრდილის სიტყვები ასე გრძელი რომ არ ყოფილიყო, უფრო დიდ შიშბეჭდილებას მოახდენდა“-ო. შექსპირს რომ ეს შენიშვნა — თანაც ვიხი შენიშვნა! — მოესმინა, შეიძლება გაესწორებინა „ნაკლი“, მაგრამ იყო კი ეს ნაკლი? თუ ესეც ერთ-ერთი ისეთივე ლუთაბრძივი სითამამეა, რაც თავად მოცარტს ასე უხვად ახასიათებს და რასაც ხელი არ შეუშლია მისთვის „სრულყოფილების მაგალითად“ მიეჩნიათ ზელოვნების ისტორიაში. მოცარტი მოწოდებით დრამატურგიც იყო. ამ ცნების პარდაპირი ვაკვებით, ამითაც აიხსნება მისი კომპოზიციების, მართლაც რომ გასაოცარი პარმონიულობა და სრულყოფილება, აგრეთვე მის მიერ შექმნილი თეატრალური პერსონაჟების უკვდავება, მაგრამ ის, სწორედ როგორც



დრამატურგი, ახლოსაც კი ვერ მივა შექსპირთან, რომლის ნაწარმოებებშიაც ბევრია ისეთი რამ, რაც არა მარტო „ფილოსოფოსთ არ დასიზმრებათ“, არამედ დიდ შემოქმედებსაც, მათ შორის მოცარტსაც კი...

ვფიქრობ, ამ დიდებული ტრაგედიის დრამატურგია იმით გამოირჩევა, რომ ჰამლეტისთვის, მკვლელთა ვინაობა კი არა, საკუთარი მისიაა უცნობი, რომელიც, რასაკვირველია, არ შეიძლება მხოლოდ შურისძიებით შემოიფარგლოს. ასე რომ ყოფილიყო, ჰამლეტს, ბევრი ბევრი, გრაფ მონტე კრისტოს წინამორბედად მივიჩნევდით და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ის კი დიდია, თუნდაც, იმიტომ ასეთი გულმოდგინებით, ასეთი გამწარებით, ასეთი დაუნდობლობით რომ ეძიებს საკუთარი არსების წილში პაწაწინა, თითქოს უმნიშვნელო ნამცეცვებს საკუთარი პიროვნებისა. ეს კი კლიანი ვზაა, რომელიც თითოეული ჩვენგანის სულზე გადის, ანუ ყველანი, თუნდაც უნებურად, საკუთარი პიროვნების რაობაზე ვფიქრობთ, ყოველ შემთხვევაში, ეხედებით, რომ ჩვენც, თუკი ადამიანებად გვინდა დავრჩეთ, უპირველეს ყოვლისა, პიროვნება. უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენი არსების წილში. ასე რომ, მახვილივით ბასრი კითხვების ოსტატად, ჩვენც გვისვამს საქამოდ მტკივნეულ კითხვას: ვართ თუ არა მზად საკუთარი უნიღბო, ნამდვილი სახის სახილველად? ადამიანის ცხოვრებაში დგება წამი, როცა ნიღაბი, რომელსაც აუცილებლობის გამო, თუნდაც თავდაცვის მიზნით ატარებდა, ისევე როგორც ადამიანთა უმრავლესობა და უკვე ნიღაბი კი არა — სახედ აღიქმებოდა, ერთ მშვენიერ დღეს აუტანელი ხდება. და აი, ადამიანს უნდა თავისი ნამდვილი სახის დანახვა და არა არსებობისთვის მებრძოლი „იარაღის მკეთებელი ცხოველისა“. ჰამლეტმა კაცობრიობის ისტორიაში პირველმა შეამჩნია, ნიღაბი რომ უკეთია და მისი მოშორება მოინდომა. „სათაგურიც“ ხომ სწორედ

ამიტომ მოივონა, სურდა ^{მეტი უნიღბო} რომელიც ცხოვრებას წინ დაუდგა. უნიღბო ცხოვრებას ჩაეხედა, სარკის ზედაპირზე უნიღბო ცხოვრება არეკლილიყო. საინტერესოა ისიც, რომ „სათაგურის“ ანუ თეატრის საშუალებით მიაჩნია ჰამლეტს შესაძლებლად ადამიანთა უნიღბო ანუ ნამდვილი სახის დანახვა. ეს კი ყველაზე ნაღდი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდი, როცა ცხოვრებისა და თეატრის ურთიერთმიმართებას აღვნიშნავდი. ამავე დროს, ეს იმაზედაც მეტყველებს, რომ ჰამლეტს, მისი შორეული ლიტერატურული წინაპრის ოიდიპოსის მსგავსად, როდღი აბრმავეებს სიმართლედ. იგი ზითოსის მორალურ-ზნეობრივი სამყაროდან დიდი ხანია თავდაღწეულია, უნივერსიტეტთა გაყინულ ბიბლიოთეკებსა თუ აუდიტორიებში გამოიჯვკა მისი სული. დიდი ხანია მიუგნია იმ ძაღისთვის, რომლითაც შეიძლება ბედისწერას დაუპირისპირდე, ანუ ჩასწვდომია გონიერების არსსა და მოწოდებას. შეიძლება ითქვას. ის უკვე რენესანსის კულტურულ ბრძმელშია გამოწრთობილი. თუმცა ორივე — ოიდიპოსიცა და ჰამლეტიც — ერთნაირი ვნებით ეძებენ სიმართლეს, მაგრამ სწორედ სიმართლისადმი დამოკიდებულებაა მათ შორის სხვაობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — სიმართლედ ოიდიპოსს აბრმავეებს, სიმართლისაგან დაბრმავეებული ითხრის თვალებს, ჰამლეტს კი, შეიძლება ითქვას, სიმართლედ თვალს უხეღს. ამიტომაცაა ბედისწერას ასე თავისუფლად რომ ეთამაშება, ხაფანგსაც უგებს, მაგრამ ამასთანავე — და შეიძლება ეს იყოს მისი პიროვნების იდუმალი მიმზიდველობის მიზეზი — ყველა მომდევნო თაობისათვის, რომელსაც კვლევასატეს აკომპანიმენტის თანხლებით უფიქრია მომავალზე, ჰამლეტი არის ბედისწერაზე გამარჯვებული პიროვნებაც და უმწეო, ტანჯული, გლობალურ, მე ვიტყვი — აბსურდულ კატასტროფაში მოყოლილი დღევანდელი ადამიანიც, რაც მის მნიშვნელობასთან ერთად, მის გან-

ს. კუთრებულობასაც წარმოაჩენს. მკვლევარები შემთხვევით როდი აღნიშნავენ კამლეტის როლის „მისტიურ მხარეს“ (ნერვალი).

ამ პიესაში, სადაც ერთ-ერთი ყველაზე „იდეური“ პერსონაჟი მესაფლავეა, ფინალში კიდევ ერთი მესაფლავე გამოიხატება — ფორტინბრასი! კამლეტის მერე ფორტინბრასები გამოდიან ასპარეზზე, სვავივით „შემოფრინდებათ“ ტრაგედიაში, ბუნების ბრმა ლოგიკით წათამამებულები, უფრო სწორად, შეუმცდარ ინსტინქტებს აყოლილნი — მათ ხომ სიკვდილის სუნი იკრეს! ღირსეულების პატივით დამარხვა ფორტინბრასის ფუნქციას სრულებითაც არ ცვლის, უბრალოდ იმაზე მეტყველებს, რომ კარგად იცის თავისი ხელობა. თუ ჩვეულებრივი მესაფლავე ადამიანებს მარხავს, ფორტინბრასი ადამიანობას, უფრო ზუსტად — „მაღალი სულისკვეთების“ დამარხველია. კამლეტის სიკვდილის მერე ქვეყანა ცარიელდება, ფუჭი ოცნებები და ამაო ვაბრძოლებანი (ასეთად მიაჩნდა კამლეტს პოლიტიკური ძალისხმევანი!) იკავებენ ზოგადსაკაცობრიო ენებების ადგილს, ტრაგედიის სული მდაბიოდება, მდაბლდება პოლიტიკაში, რომელსაც ამ პიესაში ფორტინბრასი ასახიერებს. პიესის ფინალი ამ პოლიტიკოსის საოცარი თვალთმაქცობისა და ამავე დროს, გამჭრიახობის დამადასტურებელია. ფორტინბრასის წინაშე მისთვის იდეალური სურათია გადაშლილი: ფაქტიურად ყველა მისი მოწინააღმდეგე (პოტენციურიც კი!) მკვდარია. მათ თავისი ხელით გააკეთეს ის, რასაც ფორტინბრასი უპირებდათ. რატომ არ უნდა დაკრძალოს კამლეტი პატივით, მას ხომ, ჭკვიანი პორაციოს სიტყვით, მისი დანიაში გამეფება ნდომებია! ეს დიადი პოეტური ქმნილება ასეთი პესიმისტური აკორდით მთავრდება: კამლეტთან ერთად, პოლიტიკოსის ხელით, თითქოს მაღალკუმანური სულისკვეთებაც იმარხება. შეიძლება ისიც ითქვას, ფორტინბრასის მიერ კამლეტის სამეფო პატივით დაკრ-

ძალვა, რატომღაც მაგონებდა მკვლევარებს ბრძანებით ქრისტეს ჯვარზე მოკრულ ღირფიტას: „იუდეველთა მეფე!“...

თავისი მოწოდებით მესაფლავეა იაგოც, შექსპირის ყველაზე „უცნაური“ ტრაგედიის გმირი, მასაც რომ დასცლოდა, უსათუოდ დიდი პატივით დამარხავდა მისთვის ყველაზე საძულებელ ადამიანს — ოტელოს. არ არსებობს უფრო ღირიკული, მე ვიტყვოდი, უმწეო პერსონაჟი მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე ძღვევამოსილი მეომარი ოტელოა. ამ მრისხანე მავრის ქცევებში მფლავნება და შექსპირის გენიის წყალობით შეორდება ყველა ჭაბუკის უბიწო და ნეტარებით საესე გულუბრყვილო პირველი სიყვარული. ეს უბედური კაცი თავის უსაზღვრო და ულოგიკო, საზარელი საქციელის გამო შეჩვენებას კი არ იმსახურებს, როგორც მოსალოდნელია, არამედ ბოროტებისგან სასიკვდილოდ განწირული წმინდა მსხვერპლის სიმადლეზე ადის. ოტელოს სიყვარული ყრმის პირველი ტრფობაა. „ოტელოს ბავშვური გულუბრყვილობა“-ო, თქვა გერონტი ქიქოძემ. ოტელო, მართლაც, თითქოს ბავშვია, როცა სხვისგან მოქსოვილ ეჭვიანობის ბაღში ფართქალებს, მაგრამ ნუთუ მართლა ასე იოლია მისი მოტყუება, შეცდენა, როგორც, თუნდაც, იაგო ფიქრობს: „ადვილია, მას კაცმა ცხვირზედ ხელი მოსჭიდოს და გაიფოლოს, როგორც ვირი“-ო. სხვათაშორის, ამ პიესას სცენაზე უმთავრეს შემთხვევაში ასე წარმოადგენენ. მაგრამ ასე მარტივად, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იფოს საქმე, ეს შექსპირს არ ეკადრება. ყველაფერს რომ თავი დაჰკანებოთ, ოტელო ეჭვიანი არ არის და ეს რამდენჯერმე, თითქოს საგანგებოდ, აქვს აღნიშნული თავად შექსპირს. „თუნდა მთელ ბანაკს, ყოველ ჯარისკაცს თუნდ ცალ-ცალკე ეგებნა. იმის ტკბილ სხეულს შეკნებოდა, მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა-რა!“ — განა შეიძლება ამ სიტყვების მოქმედ ადამიანს ეჭვიანობა დასწამო? ეს ფრაზა ხომ თითქმის იმავე აზრის შემცვე-

ლია, რაც „როცა ჩვენა ვართ, სიკვდილი არ არის, როცა სიკვდილია, ჩვენ არა ვართ!“ განა ეჭვიან ადამიანს შეეძლო ეს ეთქვა: „ოჰ, ნეტა ზეცას მოვეუღონა ჩემდა საცდელად და ჩემ შიშველ თავს წვიმასავით ზედ დასდენოდა სხვადასხვა გვარის მწუზარება, შერცხვენა მწარე თუნდა ყელამდე ჩაფულულიყავ სიღარიბეში და შეეებოქვით მეც და ჩემი იმედნიც, — მაინც კი სადმე ჩემის სულის სიღრმეში ერთ წვეთ მოთმინებისას ვიპოვიდი; მაგრამ თუ გაეზღი შეუძრავ ნიშნად, რომლისკენაც დრო-ვამი ზიზღით ისარს მოიშვერს წყნარად მავალს... არა, ამასაც ავიტანდი, დიად, ოღონდაც...“ აქ წყვეტს სიტყვას. რა არის ის, რასაც არ ამბობს? უნდა ვიგულისხმოთ, იმის თქმა უნდა — ოღონდ დეზდემონას, რომელსაც „სიცოცხლის სათავეს“ უწოდებს, ვევარებოდით. თავად დეზდემონას ოტელოს ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად მიაჩნდა ის, რომ ეჭვიანი არ იყო: „კიდევ კარგი, რომ სულმადალს და გულმართალ ქმარს სენად არ სჭირს ეჭვიანობა მდაბალსულთა...“ წონასწორობადაკარგული ოტელოს შემხედვარე ემილიას, რომელიც მას საკმაოდ კარვად იცნობს, უკვირს: „ნეტა ვიცოდე, რა მოუვიდა დღეს სარდლსა?“ „უეცრად გაჩენილი სიგიჟე“-ო, იტყვის ოტელოსთან დაკავშირებით აივორ ა. რიჩარდსი და ზუსტად განსაზღვრავს კიდევ ტრაგედიის მთავარი გმირის მდგომარეობას, რაც, შერთლაც ძალიან ჩამოგვავს „უცაბედ შემლილობას“. სხვათაშორის, რენესანსის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მარსილიო ფინჩინო სიყვარულს „ღუთაებრივ სიგიჟეს“ უწოდებდა, ხოლო შექსპირის თანამემამულე ჩოსერი ამბობდა: „სიყვარული გმირთა ავადყოფობაა“-ო.

რასაკვირველია, გარკვეული წილით, არც ოტელოსთვისაა უცხო ეჭვიანობა, ისიც ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანია, ოღონდ აქ სწორედ „ნორმალურის“ ცნებასა აქვს გადამწვევტი მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, ის არასოდეს

საზღვარს არ გადასულა. ^{მარტინ შმიტი} „უცაბედი შემლილობა“ ^{ეჭვიანობის} უნდა დავაბრალოთ. ოტელო საკუთარი გაუზიარებელი სიყვარულის მსხვერპლია და არა ეჭვიანობისა. ეს სიყვარული ჩვენს თვალწინ იზრდება. ალი ზანძრად გადაიქცევა, „მზიარული კმაყოფილება“ — გულისხმეთქვად. დასაწყისში მარტო მიდის კვიპროსზე, დეზდემონას ჩამოყვანას იაგოს ანდობს, მერე კი წამითაც ვერ ძლებს უიმისოდ. მოუთმინლობა ხომ პირველი ნიშანია სიყვარულისა, ზედმეტი ეჭვიანობა ავადყოფობაა, სიყვარული, თვით შემლილიც კი, ნორმალური გრძნობაა. რაც შეეხება „შემლილობას“, შექსპირის პიესებში მხოლოდ დიდებული, ნათელი პიროვნებები „გადადიან ჭკუიდან“ და ეს არც არის საკვირველი: რაც უფრო ნატიფია სული, მით უფრო ადვილად იმსხვერვა ჩვეულებრივობის ხავსიან კედელზე. „ოჰ, რა დიდებულს ჭკუაგონებას ეწია ბნელი“-ო, იტყვის ამ შემთხვევაში შექსპირი და ეს სიტყვები მის ყველა დიდებულ გმირზე ერთნაირად ვრცელდება — ჯამლეტი იქნება ის, ღირი თუ ოტელო. ამასთანავე, ეს დიადი „შემლილობა“ არის, მართალია, ალოგიკური, მაგრამ სწორედ ის ერთადერთი მდგომარეობა სულისა, რომელსაც ისინი ავლენენ თავიანთ ჭეშმარიტ რაობას.

პიესის მიხედვით, დეზდემონა ნამდვილი ანგელოზია. მამამისის სიტყვებია: „თვისივე მიხვრა-მოხვრა სიწითლეს ჰგვრიდა“-ო. მაგრამ ოტელოს ურჩევნია დეზდემონა ქალი იყოს და არა ანგელოზი. ჩემი აზრით, ტრაგედიის ფესვები ოტელოს ცნობილ სიტყვებში უნდა ვეძებოთ: „ჩემგან გამოვიღე ჭირთათვის მან მე შემეყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის!“ აქ ყველაფერია თითქმის ნათქვამი: მათი ურთიერთობა სიყვარული, ყოველ შემთხვევაში, ორმხრივი სიყვარული არ იყო! ერთს ებრაღებოდა და მეორეს, რომელსაც სიბრალული კი არა — სიყვარული სწყუროდა, არ შეეძლო ეპატივებინა მისთვის და საკუთარი თავის-

თვის სწორედ ეს სიბრაღელი. თანაგრძნობისთვის, მართალია არ კლავენ, მაგრამ რადგან თანაგრძნობას სიყვარულის მაგივრობა არ შეუძლია, თავისი წიაღიდან წარმოშობს სიყვარულის სიკვდილს, თავაზიანად მომღიმარე გულგრილობის სახით. ოტელოს ეჭვიანობა, რომლითაც ასეა ცნობილი, არაფერია იმ სულიერ დრამასთან შედარებით, რასაც განიცდიდა ეს, გაუზიარებელი სიყვარულით გათანგული, მეომარი, რომელსაც შეეძლო, მწერალთა თუ მსახიობთა მსგავსად, სიტყვით მოეჯადოებინა მსმენელი, თავბრუ დაეხვია მეოცნებე ქალისთვის და, მწერალთა და მსახიობთა მსგავსად, საპასუხოდ ნამდვილი გრძნობა არ ღირსებოდა. ღეზდემონა, შეიძლება ითქვას, ოტელოს ლიტერატურული ნიჭის თაყვანისმცემელია, მისი იმპროვიზაციების ალტაცებული მსმენელია და არა მისი სატრფო. როდესაც ამბობს: „ოტელოს ნიჭსა დაუემონე მე გული ჩემი“-ო, რასაკვირველია, ოტელოს „ჯადო-თილისმის“ ანუ თხრობის უნარის გარდა არაფერს გულისხმობს. გაქნილი იაგო გრძნობს, რომ ღეზდემონას სიყვარული ეიფორული ხასიათისაა, მისი სიტყვით: „შედგომია“, რაც ასე ხშირად ემართებათ მკაცრად აღზრდილ, კეთილშობილ, უწესიერეს ქალიშვილებს. გაიხსენოთ, თუნდაც ნატაშა როსტოვას ამბავი. ასე რომ, ოტელოს ურჩევნია და ჯეროს ღეზდემონას დაღატი, ვიდრე აღიაროს, რომ ღეზდემონას თავიდანვე კი არ უყვარდა. არამედ ებრალებოდა. ამიტომაც თვითონვე ეძებს საბაბს, მიზეზს, თუნდაც უნინშენელის, თუნდაც სასაცილოს, მისთვის შეუფერებელს, არასაკადრისს, ამით თავსაც აწამებს და სხვასაც აწამებს, რომ მისი სულიერი ტრაგედია ვასკდეს, აფეთქდეს, დამთავრდეს! მას ზომ სიგიჟემდე უყვარს ის, ვისაც არ შეუძლია პასუხად სიყვარულითვე უპასუხოს და თავისი უმწიკვლო სიბრაღელითა და თანაგრძნობით ამცირებს მის ჭეშმარიტ გრძნობას. მხოლოდ სიკვდილის წინ ეხილება ღეზდემონას თვალი, რაღაცას

სედება, რაღაცას კი არა მტკიცდეს, მინდი სიყვარულის სიღრმეს უზიარებელია შინ წედება. ამიტომ თითქოს სხვა ადამიანად ტოვებს ამ ქვეყანას, მართალია, წამიერს, მაგრამ ნამდვილ სიყვარულს ნახიარები. ბოლო სცენა თითქოს მარტივად შეყვარებულთა თვითმკვლელობის აქტია, რომეოსა და ჯულიეტას მსგავსად, ერთად სიკვდილი. გაიხსენოთ მომაკვდავი ღეზდემონას ერთი შეხედვით უცნაური სიტყვები: „ე მ ი ლ ი ა — ს ი ტ ჯ ი, ვ ი ნ მ ო გ ჯ ა. ღ ე ზ დ ე მ ო ნ ა — ა რ ა ვ ი ნ. თ ვ ი თ ო ნ მ ო ე ი კ ა ლ თ ა ვ ი...“ ამ პიესაში სიმარტოვის ტრაგედია თამაშდება, გამძაფრებული ადამიანის ალოგიკურ ქცევათა პოეზიით, ანუ სიმართლის სიმართლით... ოტელომ, ღეზდემონასთან ერთად, ჯერ საკუთარი პიროვნება მოკლა, ანუ პოეტი, რომელიც ასე აჯადოვებდა მსმენელებს და არა მარტო ღეზდემონას. უღეზდემონოდ ის მხოლოდ ჯარისკაცია, მეტი არაფერი და ბოლოს ჯარისკაცივით კვდება კიდეც და ისევ ვენეციისთვის, რომელიც ასე ძალიან უყვარდა: „რომ როცა ერთხელ ალბოში ოსმალი ვინმე... ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით ავინებდა — მიეწვი მე ველში... და დაეკალ ასე“. პათეტიკურად ეღერს ბოლო მისი მონოლოგი. წამით თითქოს ჯიღოსან სპათა სახეებიც გაიფლვებენ და საყვირებისა და დაფდაფების ხმაც მოწვდება ჩვენს სმენას. ეს არის ამო გაბრძოლება საკუთარი პიროვნების დაბრუნებისთვის და გრძნობათა ეს ჭიდილია, ეს გაორებაა, ღირსებისკენ ეს ლტოლვაა, მის პიროვნებას ტრაგიკულად, ანუ გმირულად რომ წარმოვიდგენს და უსაზღვრო სიმპათიით განგვაწყობს მის მიმართ, მიუხედავად, როგორც ეოქვი, მის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულისა. თუმცა ეს ბოლო ცნებაც ძალიან პირობითია ხელოვნებაში. რაც, თუნდაც, იურიხპრუდენციის მიხედვით დანაშაულად ითვლება, აქ ზოგჯერ გმირობად და ღირსებად გვევლინება. შეიძლებაოდა გაგვეხსენებინა ესპანელი ფილოსოფოსის ხოსე ორტე-



გას სიტყვები: „პოეზია აღიარებს იმას, რასაც მეცნიერება უარყოფს“ და დაგვემატებინა: რაც მეცნიერებას ვერაფრით უპატივობა პოეზიისთვის. სიკვდილის წინ გახსენებულ საკუთარ ღირსებათა შორის ოტელოს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, და ამასაც სიკვდილის წინ ხედება, რომ იცოდა „სიყვარული მან ჭეშმარიტი“! აი, ეს კი ნამდვილად ასე იყო. ოტელო უზიარა ადამიანის არსებობისათვის ყველაზე დიდებულ, შეიძლება ვთქვათ — ღვთაებრივ გრძნობას და ემსხვერპლა კიდევ მას, რადგან მის გარშემო ეს გრძნობა ყველასთვის უცხო აღმოჩნდა. ოტელო თავის სიყვარულს „ჭეშმარიტს“, მაგრამ „არაბრძნულს“ უწოდებს, რადგან იმასაც ხედება, რომ გონებით განელებული სიყვარული წყლიანი ღვინოა, რომელსაც ადადმყოფებს ან ბავშვებს ასძევენ...

ზემოთ რაც ვთქვი, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ პიესაში ეჭვიანიობის ადგილი აღარ დარჩენილიყო. პირიქით, მას, როგორც შავი ღრუბელი, სწორედ ეჭვიანიობის აჩრდილი ადგას თავს. ეჭვი აქ სიკვდილის ერთ-ერთი სახეა, იარაღია შხამია, რომლითაც იღუპებიან კიდევ კეთილშობილი გმირები. და თუ ვინმეა ამ პიესაში ეჭვიანი, უპირველეს ყოვლისა — იაგოა, რომელიც სწორედ რომ ეჭვიანიობის გამო ჩადის ასეთ დანაშაულს, ასეთ საბედისწერო ვერაგობას. მისი ნათქვამია ოტელოზე: „ამბობენ, ვითომ ჩემმაგივრობა გაეწიოს ჩემს სარეცელზე“! მერე რა, რომ ამბობენ, მერე რა, რომ ეს ეჭვია მხოლოდ, როგორც თვითონ იტყვის, მისთვის ეჭვი და სიმართლე ერთი და იგივეა. ეჭვიანობა „მწვანეთვალა საზარელი არსება“ არის — ეს სიტყვები მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა, ვისაც საკუთარ თავზე პქონდა გამოცდილი ეჭვიანიობის სულისშემზუთავი მარწუხები. იაგოს სახით ყოფითი ჩვეულებრივობა (თუ შეიძლება ასე ითქვას!), ყოფითი ადამიანურობა, ებრძვის პოეტურ პიროვნებას — განსხვავებულსა და ამაღლებულს.

შეძრულები ვართ ამ ტრაგედიით და ამავე დროს არ ვგშორდებთ ფიქრს, რომ აქ ჩვენს თვალწინ რაღაც საოცრება ხდება. დიახ, „ოტელო“ კომედიაა თავისი ინტრიგის ხასიათით, პერსონაჟთა ტიპებითა თუ კონფიგურაციით, მხოლოდ მთავარი გმირი აქცევს მას ტრაგედიად. ჟერარ ნერვალის იაგოს (ფალსტაფის, მერკუციოს, კალიბანის კვერდით) „შექსპირის კომიკურ პერსონაჟად“ მიიჩნევდა. ჩვენ შეგვიძლია გავფარბელოთ ეს აზრი და კთქვათ: ამ ტრაგედიაში ყველა პერსონაჟი კომიკურია, გარდა ოტელოსი... ასე რომ, ჩვენ მოწმენი ვართ მწერლის ყველაზე თამამი ქმედებისა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, რაც გამოიხატება მრისხანე ბასტიონის — ჟანრის კანონების წინააღმდეგ არა მარტო ბრძოლისა, არამედ გამარჯვებაშიც...

ასევე „ვენეციელ ვაჭარს“ შეილოკი ვარდაქმნის ტრაგედიად მაშინვე, როგორც კი შევეცდებით, შექსპირის მსგავსად, ამ ცბიერ მევახშეში ადამიანი დავინახოთ. ტრაგედია იწყება შეილოკის საბედისწერო შეცდომით. ასე შეიძლება შეცდეს მხოლოდ გამუდმებული შეურაცხყოფისაგან, დამცირებისგან უკიდურესობამდე მიხული ადამიანი. გასეხებული ფულის გირაოდ თხოულობს ადამიანის ხორცს! სადამდე უნდა მიიყვანო ადამიანი, თუნდაც მევახშე, ასე რომ იფიქროს! ეს გულუბრყვილო, ბავშური შურისძიებაა. შეილოკი აშკარად არ არის ისე გაქნილი და ეშმაკი, როგორც მონანს, როგორც მიაჩნიათ, ანდა როგორც, თუნდაც, თვითონ ჰგონია. მასზე გაცილებით ეშმაკი ამ პიესაში ლამაზი ქალი პორციაა, რომელიც ათას ინტრიგებსა თუ ფთერაკებში გამოვლილ ვენეციელ მევახშეს (ვენეციელი ვაჭარი ამ პიესის მიხედვით ანტონიოა, გვაფრთხილებენ შექსპიროლოგები!) სასამართლოში საქმეს მოუგებს. შეილოკს ლამაზი, განებივრებული ქალი ამარცხებს და აი, აქ იწყება შექსპირის გენიის ზეიმი: შეილოკის დამარცხება ხომ იმასაც გვაუწყებს, რომ თუმ-

ცა მისი გული შურისძიების გრძნობითაა შეპყრობილი, ჯერ კიდევ ადამიანის გულია და არა მხეცის! მას არ შეუძლია გაიზიაროს ბიბლიური შეგონებაჟი „სისხლი სისხლის წილ“. შურისძიებაზე ფიქრის დროს მას საერთოდ არ ახსოვს სისხლი, არ შეუძლია ფიქრობს სისხლზე. შექსპირის სისხლით მოთხვრილ პერსონაჟთა შორის ის უცოდველკრავივით გამოიყურება და ეს არაჩვეულებრივად შეტყვევლი დეტალია შექსპირის იდეალური ოსტატობისა. ეს პიესა შეცდომის ტრაგედიაა, ტრაგედიაა ადამიანისა, რომელსაც შეცდომის უფლება არა აქვს, რომელმაც იცის, პაწაწინა შეცდომაც დაღუპავს, მაგრამ რომ არ შეცდეს, არ შეუძლია... ეს პიესა კომედიაა, თუკი სასამართლოზე გამარჯვებულთა მხარეზე დადგებით – ასე მოუხდება მაც გაუმადლარ მეჯახტებს! მაგრამ მაშინვე ტრაგედიად გადაიქცევა, როგორც კი შევეცდებით შეილოკის ხასიაის უფრო ღრმად ჩაწვდეთ...

ამასთანავე, შექსპირის სახელოსნოში უსათუოდ ისიც უნდა იწამო, რომ შენი შეხედულებები, დაკვირვებები, შთაბეჭდილებები, მიგნებები ოდნავადაც არ გაახლოებენ იმ საიდუმლოსთან, რასაც შექსპირის პოეზია ეწოდება. იმას უნდა დავეჯრდეთ, რაც თავისთავად არც ისე ცოტაა, რომ ჩვენი „ადმოწინები“ უკეთეს შემთხვევაში საკუთარი პიროვნების ამოსაცნობად თუ გამოგვადგება. ზემოთ თვითგაცოცხლება ვახსენე, მართლაც, პოეზია თვითგაცოცხლების უბარი საშუალებაა.

თავისთავად იბადება კითხვა: არის კი აუცილებელი პოეზიის საიდუმლოს ამოხსნა? მართალია, კოკტომ თქვა, პოეზია ელექტროობის სახეობააო, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ელექტროობის რაობის, ბუნების, საიდუმლოს ამოხსნა შეიძლება და აკი ამოიხსნა კიდევ, მაგრამ პოეზიის საიდუმლოს ამოხსნა შეუძლებელია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ ამოხსნილი ელექტროობა ელექტროობად რჩება, ამოხსნილი პოეზია უკვე პოეზია აღარ არის.

მწერლობისა თუ თეატრის ნებისმიერი თეორეტიკოსი, ნებისმიერი კრიტიკოსი თუ მსახიობი კიდევ უფრო გვიშორებს, გვიბნევს პოეზიისაკენ მიმავალ გზას და რაც უფრო ნიჭიერია იგი, მით უფრო აძლიერებს პოეზიის საიდუმლოს განცდას. და ეს არის სწორედ მისი ღირსება და არა ნაკლი!..

ბევრს ალბათ ჩემსავით უჭირს ტრაგედია და კომედიის განსხვავება, ტრაგედია და კომედია ერთნაირად ჰგონის ცრემლს. კომედიაა დანტეს პიესა, რომელსაც ბოკაჩიომ „ღვთაებრივი“ უწოდა, კომედიაა ბალზაჩის რომანები, ჩეხოვის „თოლია“ თუ „ალუბლის ბაღი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომედიური და სასაცილო სხვადასხვა მოვლენებია. კომედიური, შეიძლება ითქვას, განზოგადოებული ტრაგიკულია, დამღეული ტიკილია. ვერც ერთი ეპიკური ისეთი ძალით ვერ გამოხატავს ადამიანის ბუნების მოზაიკურობას, ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთთან შერწყმით რამდენიმე პიროვნული საწყისის არსებობას, როგორც კომედია, გამოხატავს იმასაც კი, რაც თვით ადამიანისთვის უცნობია, მოულოდნელია. კომედია აღიარებს და საკუთარ სასიცოცხლო სტიმულად მიიჩნევს ისეთი კონტრასტული მოვლენების ერთდროულ, პარალელურ არსებობას ადამიანის პიროვნების წილში: როგორცაა სასაცილო და სატირალი, ეპიკური და ლირიკული. ან თუ გნებავთ, კომიკურის ლირიზმი და ლირიზმის კომიკურობა. ამით ის ვაცილებით თამამია, ვიდრე ტრაგედია, რომლის დახშულ საკანშიც იხრნობიან მარტოხელა გმირები, უფლებაც რომ არ გააჩნიათ დასცინონ საკუთარ უმწეობას, ანუ ერთსახოვან ენებას. ის კომედია ხუსტიკია, სადაც არ ტირიან, მაგრამ ტრაგედია, რომელიც ხცილს იწვევს, არამარტო უმწეოა, არამედ უზნეოც. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კომედია ნაკლებად დაუნდობელია, ვიდრე ტრაგედია. ტრაგედიაში მოვლენის მოწმენი ვართ, კომედიაში კი – თანამონა-

წილენი. ჩვენს თვალწინ, ჩვენივე ხელ-
შეწყობით, თამამდება ათასნაირი ხრი-
კი, ოინი, ფათერაკი, ჩვენ თვითონვე
ვაკვებთ მახეს და მერე თვითონვე ვებ-
მებით ამ მახეში, რასაც გარეგნულად
ხიცილით გამოვხატავთ, გულის სიდრ-
მეში კი — რისხვით. „კომედია არ არსე-
ბობს მსხვერპლის გარეშე“-ო, თქვა ერ-
თმა ფილოსოფოსმა. ყველა ტრაგედიაში
დევს კომედია და ყველა კომედიაში ამო-
კითხება ტრაგედია. ეს განსაკუთრებუ-
ლი სიციხადით ანტიკური ავტორების
ქმნილებებში იგრძნობა მერე. თანდათა-
ნობით, ათასნაირი მწერლური მანიპუ-
ლაციით იფარება ეს უცნაური გარე-
ბა და სწორედ ასეთი მანიპულირების
უნარი არის მწერლის ოსტატობის მაჩ-
ვენებელი. აბსურდის თეატრი არისტო-
ფანეს კომედიიდან არის ამოზრდილი.
„კომიზმი ხომ აბსურდულიაო“, — ეს
აბსურდის იდეატრის ერთ-ერთი მეტ-
რის ნათქვამია. აბსურდული პიესა კომე-
დიაა, რომელიც ყველაზე მძაფრად ავლ-
ენს კომედიის მთავარ თვისებას—ტრაგიკ-
ულობას. ამასთანავე, რაც უნდა შორს
იდგეს კომედია პოლიტიკისგან, არსად
ისეთი გულშოფენივობით არ ეძებს ცენ-
ზურა პოლიტიკას, როგორც კომედიაში.
აქ მხრივ კომედია ყველაზე სახიფათო
წანრია დრამატურგიისა, განსაკუთრე-
ბით ავტოკრატული ხელისუფლების
დროს. არავის ისე არ ეშინია დაციენი-
სა, როგორც დიქტატორს და რაც უფ-
რო ძლიერია იგი, მით უფრო დიდია ში-
შიც...

ტრაგედია, თავისი წარმოშობით. დღე-
სასწაულთან, ლხინთან, ღვინოსთან არ-
ის დაკავშირებული და მართლაც სი-
ციოხლით მთვრალეები კვდებიან მისი
გმირები, სიციოხლით გაბრუნებულები, სი-
ციოხლით მოტყუებულები თუ სიციო-
ხლის მიერ წაქეზებულები სიკვდილისა-
თვის და, რაც მთავარია, თვალში საცე-
მია გმირთა დიადი გულუბრყვილობა.
აზისგან არც ერთი გმირი, თვით ჰამლე-
ტიც კი, არ არის დაზღვეული. დღე-
ვანდელი ტრაგიკული ყოფის მიუხედა-
ვად, და შეიძლება სწორედ ამის გამოც,

ტრაგედია სცენაზე თანდათანობით აღ-
გაილს სხვა ეანრებს უთმოზუნ ყველაფერს,
რომ თავი დაეანებოთ, ტრაგედიას ფი-
ზიკურად ძლიერი გმირი ჭირდება, ეს
ეუცილებელი პირობაა. ჩვენი დროის
ადამიანი ამიტომაც არ გამოდგება ტრა-
გედიის გმირად. სანამ ის, ოიდიპოსი-
ვით, ფინალამდე ჩავიდოდეს და თვა-
ლებს დაითხრიდეს, მანამდე ინფარქ-
ტით მოკვდება...

რუსთაველის თეატრის ინგლისის
ტრიუმფალურ გასტროლებს მოსკოვის
ასევე ტრიუმფალური გასტროლები მო-
ჰყვა, მაგრამ სწორედ ტრიუმფი არ აპა-
ტიეს ჩვენს თეატრს მოსკოველმა თე-
ატრმცოდნეებმა და კულტურის იმდრო-
ინდელმა მესვეურებმა. კულტურის სა-
კავშირო სამინისტრომ გასტროლების
განხილვა დანიშნა... შუა გასტროლების
დროს! ასე კი იმიტომ აჩქარდნენ, რომ
შატროვმა საგასტროლო აფიშიდან მისი
პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკ-
ლის მოხსნა მოითხოვა, ამ მოთხოვნას
იქაურმა თეატრმცოდნეებმა აქტურად
დაუჭირეს მხარი, მკერდით გადაეფოფ-
რნენ „ვლადიმერ ილიჩის წმინდა სა-
ხელს“. მათ შორის განსაკუთრებით
ვიშნევსკაია და რუდნიციკი გამოირჩე-
ოდნენ. ალბათ ბევრს შეუნიშნავს, ზო-
გიერთი რეპრესირებული ინტელიგენტი,
გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ,
რატომღაც უკიდურესი ორთოდოქსი
ხდებოდა.

5.

თეატრში ყველაზე ტანჯული ადამი-
ანი რეჟისორია. სხვას რომ ყველაფერს
თავი დაეანებოთ, მან უნდა აღმოაჩინოს
პიესაში ის, რაც იქ არ არის! ეს „სენი“
შეადრებით ახალია და ქართველ რეჟი-
სორებსაც ჭირთ, თუმცა სწორედ დიდი
ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვი-
ლის ნათქვამია: „მე განუხრელად მიე-
დევ იმ პრინციპს, რომ პიესის ბატონ-
პატრონი ავტორია და ამიტომ ამა თუ
იმ პიესის დადგმისას სწორედ იმ სტილს

ვიცავ, რომლითაც დაწერილია პიესა“-ო. ჩვენ რომ მასწავლებლებს ცოტათი მაინც ვუჯერებდეთ, ბევრ გაუგებრობას თავიდან ავიცილებდით...

რეჟისორის საქმიანობა მისწობასა ჰგავს — ცდილობს ჩაწვდეს პიესის საიდუმლოს ისე, რომ ეს საიდუმლო სიტყვებში კი არ ექებოს, არამედ სიტყვებს შორის და თუ უფრო გულახდილნი ვიქნებით — თვითონ ჩადოს პიესაში. პიესის ტექსტს ისე კითხულობს, როგორც პოლიტიპატიმარი შემოგზავნილ დამოფრულ წერილს. მოკლედ, სიცოცხლე აქვს გამწარებული „ახლის“ და „უცნაურის“ ძიებით. ცოტას თუ ვიხუმრებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ პიესაში რეჟისორი პირდაპირ ქვეტექსტს კითხულობს, ტექსტის კითხვა უკვე ჩამორჩენილობადაც კი ითვლება. არადა ქვეტექსტი არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ტექსტია. ქვეტექსტი მეორე, ჩვენი სინამდვილის პარალელურად არსებული მეტაფიზიკური ცხოვრების ერთ-ერთი იდუმალი გამოვლენაა. მისი შემწინევა აღმოჩენა განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს, რაც აღნიშნული აქვს პლატონს („ნადიმო“).

რეჟისორმა შეიძლება რომელიმე კლასიკურ ტექსტში სხვა ასევე კლასიკური პიესა აღმოაჩინოს, რაც, თავისთავად, საინტერესოა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არაფერს ნიშნავს. თუ კლასიკური პიესის ასე წაკითხვას შევეცდებით, შეიძლება, რუსებისგან „მატროშკად“ მონათლული, ჩინური, ერთმანეთში ჩადგმული, თოჯინების გაუთავებელი, აბსურდული მწკრივი მივიღოთ. ვთქვათ, ტურგენევის პიესის („ერთი თვე სოფლად“) სანახავად წაიღეთ და ხელში შეგვრჩევს ფიულენ სორელისა და მადამ დე რენალის ურთიერთობა. ამას ჯობდა, შინ დაერჩენილიყავით და რომანი წაგვიკითხა. ჩემს მიერ ზემოთ რამდენჯერმე გახსენებული ნერვალის — შეხანიშნავი ფრანგი პოეტი და თეატრალური კრიტიკოსი — ნათესაობის ნიშნით აერთიანებდა ჰერაკლეს, ოტელიოსა და ოროსმანის ხასიათებს („ერთნაი-

რად ჩაფიქრებული, მაგრამ ტყუილად ხეყნაირად გაგებული“), მისტრინის („სიყვარული“), ლეკე ჯგუფს წარმოადგენდა თეხევის, მიურიდატე და ფილიპე II („გამოაქვთ განახენი თავიანთი შეიღებისათვის, რომლებიც მათ მეტოქეებად გვევლინებიან“); კიდევ ერთი ასეთი ჯგუფია: ეგისტე, მაკეტე, კრეონტი და რინარდ III.. ნერვალის დასძენს: „ასე შემდეგ“. მართლაც. უამრავი და უამრავი ასეთი „მსგავსი“ პიროვნებების ჯგუფი შევვიძლია შეექმნათ მსოფლიო დრამატურგიის მიხედვით, მაგრამ ასეთი ცდა, ვფიქრობ, შეკლევარებისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე რეჟისორებისთვის. პერსონაჟი სცენაზე რაც უფრო თავისუფალია ასეთი ნათესაური „ჩენოსგან“, მით უფრო საინტერესოა. შეიძლება რეჟისორმა ასეთი უწყვეტი ასოციაციების საშუალებით წამით გაგვაოვოს კიდევ, მაგრამ საბოლოოდ მისი ქმედება, ბუნებური ცეცხლივით, არც დაგვწყავს და არც გაგვათბობს. ამ შემთხვევაში, შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს შემდეგნაირად პერიფრაზირებული ერთი ბრძნული გამონათქვამი: გაცილებით ძნელია გაიგოს ის, რაც ტექსტში დაუფარავადაა ნათქვამი, ვიდრე ის, რაც დაფარულია. მართლაც ასეა. ბოლოს და ბოლოს, ქვეტექსტი ჩვენშია და არა ტექსტში, ანუ ტექსტი იმდენია და ისეთია, რამდენიც და როგორიც მისი მკითხველია. რეჟისორიც მკითხველი უნდა იყოს და თანაც მკითხველზე უკეთესი მკითხველი. როცა ეს ასეა, მისი ძალისხმევა ნამდვილი წარმატებით გვირგვინდება. მეცნიერებაში ნებისმიერი საინტერესო ვერსია შეიძლება მცდარი გამოდგეს, ხელოვნებაში ვველა საინტერესო ვერსია სწორია. შექმნის პიესის ერთი ასეთი საინტერესო ვერსია წარმოადგინა რ. სტურუამ სექტაკლში „რინარდ III“. აქვე შეიძლება და მეთქვა, რომ ვველანი რ. სტურუასგან „მოულოდნელსა“ და „უცნაურს“ მოველით, რაც უმეტეს წილად გვიმართლებდა კიდევ, უფრო მეტიც — რასაც სცენაზე ვხედავთ, ჩვენს ყოველგვარ მო-

ლოდინს აჭარბებს, მაგრამ თუ ღრმად ჩაუყვირდებით, მის ნაწარმოებში არაფერია მოულოდნელი. ყველაფერი ტექსტის ხილრმიდანაა ამოხიდილი, ამობრწყინებული. სტურუა კარგი მკითხველა და ამითაც ბევრისგან განსხვავდება უკეთესობის თვალსაზრისით. ის თეატრის ენაზე თარგმნის და სცენაზე იმეორებს ლიტერატურული ნაწარმოების მთავარ, საყრდენ მელოდიას, ჩვენს თვალწინ შიფრაკს ნაწარმოების შინაგანი მუსიკის პარტიტურას. თვით უარყოფითად განწყობილმა კრიტიკოსებმაც კი ვერ თქვეს, რაც სცენაზეა წარმოდგენილი, შექსპირის სამყაროს არ ეკუთვნისო.

და აი, ჩვენ დაუინახეთ ტირანის ბუნებაში ჩაბუდებული მარადიული ბავშვი, ოღონდ არა მცირეწლოვანი ანგელოზური არსება, არამედ მემკვიდრეობითი სხსასტიკის ბავშვით დააუადგებული, სულიერად განუვითარებელი ფენომენი — მხეცი, რომელსაც დედის მუცლიდან ერთადერთი ადამიანური თვისება გამოაყოლა განგებამ — დემავოგობა. მთავარი პერსონაჟის ასე წარმოდგენა შეიძლებოდა მიგვეჩინა რეჟისორის იმდროინდელი შემოქმედებითი იდეის (დიდი ტირანი — პატარა კაცუნა!) ერთერთ ვარიანტადაც.

რ. სტურუას სპექტაკლში ტახტზე ასული რიჩარდი მეფობანას თამაშს განაგრძობს ისევე, როგორც ოცნებაში ბევრჯერ უთამაშია მახინჯს. ყველასგან დაუწყებულს, ბნელ ტალანებში ძაღლებთან და მეჯინებებთან გაზრდილს, რომელსაც ყველა, ვისაც მოესურვებოდა, თავში წამოუთაქებდა ხოლმე. რიჩარდი ვერ კიდევ ბავშვობაში დაბერდა, უფრო სწორად, ბავშვად დაბერდა. უსაზღვროა ამ „ბავშვის“ სისასტიკე, ასევე უსაზღვროა მისი შიშიც ყველაფრისადმი, რაც კი ღირსების ნიშნითაა აღბეჭდილი. სხვათაშორის, „მშინარა ბავშვი“ სტანისლავსკიმ შენიშნა ხლესტაკოვის ხასიათშიც („ფიზიკური ქმედების შესახებ“). ჩემი აზრით, ალბათ

ამითაც აიხსნება ხლესტაკოვის მიდრეკილება იმპროვიზაციულ მსახიობებაში, ძალაუფლებით ტკბობისადმი. რაც სხვათა დამცირების მოთხოვნით გამოიხატება. ყველა ეს თვისება უხვადა აქვს გამოუღწეილი რიჩარდს. რიჩარდი შურისძიებაზე ოცნებობს და ახორციელებს კიდევ მას, როგორც კი საშუალება ეძლევა, მაგრამ ის შურს იძიებს არა ცალკეულ პიროვნებებზე, არამედ ადამიანობაზე საერთოდ. ჩანაფიქრის, თუნდაც, სურვილის მასშტაბურობა რიჩარდს თავისთავად მნიშვნელოვანს ხდის, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი — ხდება გაცილებით საშიში, სახიფათო. ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. შურისძიებით ტკბობა მას, თითქმის უნებურად, აქტიორად გარდაქმნის. აქედან იღვამს ფეხს მისი შემძრწუნებელი ცინიზმი. უფლისწული ბიჭუნები, რომლებსაც ის ხოცავს (სიამოვნებით ითამაშებდა მათთან, მათი დახოცვა რომ არ ჰქონდეს განზრახული. გარკვეულ წილად, „ეთამაშება“ კიდევ!), მისგან განსხვავებით, მეფობისთვის გაუჩენია ღმერთს, ის კი მარადიული თამაშისათვის — რაც, სხვათაშორის, დესპოტების ხვედრია — ანუ მარადიული შურისძიებისათვის. აი, თუნდაც, ამის გამო, ვრძნობს კიდევ საშინელ, გარდუვალ ხვედრს, ხედავს საკუთარ სიკვდილს, რომელიც მის მიერ დახოცილთა სახით მოველინება. კიდევ ერთხელ ერწმუნდებით — საკუთარი სიკვდილის ავტორი თვითონ ადამიანია... საერთოდ, მრავალი პასაჟი ამ შესანიშნავი სპექტაკლისა ციხესა თუ კოლონიაში პატიმართა მიერ ვათამაშებული სპექტაკლის ნამსხვრევებს ჰგავდა, არა მართო დაუნდობლობით — ყველაზე საშინელი ავაზაკიც კი ვერ იქნება ისეთი დაუნდობელი, როგორიც შექსპირმა შეიძლება წარმოვეიდგინოს — არამედ, თუნდაც, ბრეჰტისმიერი „გულუბრყვილობით“, პრიმიტიული პირობითობით, რაც უნიჭიერესი ქართველი ოსტატის ნებით, ჩვენს წინაშე წამოჭრიდა ხე-

ლისუფლების, როგორც მარადიული თამაშის იდეას...

თუ ნაწარმოები მკითხველს, მაყურებელს გაუჩინებს რწმენას, ამას ხომ მეც ვიტყვოდით, ჩათვალეთ, რომ ის კარგი ნაწარმოებია. მან დაბადა ილუზია, რომ სასწაულის შექმნა რევით მკითხველსა თუ მაყურებელსაც შეუძლია. მაგრამ ილუზიაა კი ეს?..

6.

ყველა თეატრი, კვლისხმობ, რა თქმა უნდა, გარკვეული მიმდინარეობისა თუ სტილისტიკის თეატრს, ვითარდება, თავის კულმინაციას აღწევს და... კვდება. ვერც ერთმა თეატრმა ვერ გააღწია ამ თითქოს და ბედისწერისგან შემოხაზულ წრეს. აი, სულ ახლახან ჩვენს თვალწინ დამთავრდა ერთი მთელი ეპოქა ჩვენი თეატრისა, რომელსაც თითქოს წერტილად დაესვა მედეა ჩახავასა და ეროსი მანჯგალაძის დუეტი „პეპოში“. მთიი თამაში, ჩემი აზრით, თამამად შეიძლება მიეკუთვნოს ასეთი თეატრის ყველაზე მაღალ აქტიორულ მიღწევათა რიგს. ასევე შეიძლება გაგვეხსენებინა ბევრი შესანიშნავი ქართული სპექტაკლი, სადაც თითქოს მხოლოდ იმპროვიზაცია ლაღობდა უსაზღვროდ, თავდავიწყებით, როგორც ბოთლიდან გათავისუფლებული ჯინი, მაგრამ სინამდვილეში აქ ყველაფერი პროფესიონალიზმის დოლაბებში იყო გამოტარებული. მოჩვენებითი იმპროვიზაცია წარმოადგენდა ქართული თეატრის ერთგვარად გამოხარჩევ თვისებას. ბევრი ზემოთ ჩამოხსენებული თეატრის ნაწარმოებები, ოდესღაც მიღწეული წარმატებების ნასუფრალით ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში, თანაც არა მარტო თეატრში, საერთოდ, ხელოვნებასა და მწერლობაში. ამიტომაც შეიძლება არც კი აღმენიშნა, ერთ, მე-

ტად სახიფათო მოვლენას ვთქვათ: ერთი იყოს დაკავშირებული: ეს უკვე მკაცრად შეზღუდული რეფორმატორების რეაქციონერებად ანუ ყოველგვარი სიახლის დამამუხრუჭებლად გადაქცევის ფაქტი. გუშინდელი რეფორმატორი დიდხანს ინარჩუნებს, თუნდაც, ინერციის ძალით და ჩვენი მხდელი, პასიური კრიტიკის ხელშეწყობით. სიახლის ილუზიას, დიდხანს განმავლობაში ანელებს თეატრალური ხელოვნების განვითარებას. ზეგვერ თვად შემოქმედმაც არ იცის, რომ მხოლოდ ინერციით თულა შეიძლება იწოდებოდეს რეფორმატორად. თეატრში, ისევე როგორც საერთოდ ხელოვნებაში, „ვეერუსტის“ ცნება არ არსებობს, მისთვის ახალი, უცნობი მწვერვალებისკენ განუწყვეტელი ლტოლვაა დამახასიათებელი.

ჩვენში რატომღაც დაივიწყეს, რომ თეატრალური რეფორმის მოთავე დრამატურგია. მართალია, ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ჩვენს თეატრალურ სამყაროში ცოტა ვინმე მეგულება ისეთი, ამ აზრს რომ იზიარებდეს, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა. ამის აღიარებას დიდი ძალა და გაბედულება ჭირდება, თუნდაც ისეთი, როგორც სანდრო ახმეტელს ჰქონდა. „ახალმა ქართულმა დრამამ უნდა შექმნას ახალი ქართული სამხატვრო თეატრი“ — ეს მისი სიტყვებია რასაკვირველია, მხოლოდ ის არ ფიქრობდა ასე. მსგავს პოზიციას ბევრი გამოჩენილი რეჟისორი იზიარებდა და იზიარებს კიდევ. „თეატრი პოეტების წყალობით ვითარდება“—ო, ამბობს, მაგალითად, ანტუან ვიტეზი, ანდა გავიხსენოთ რ. სტურუას გამონათქვამი „ყვარეულები თუთაბერთან“ დაკავშირებით: „მე, როგორც რეჟისორი, ამ პიესის დადგმისას დავიბადა“...

როგორც კი თეატრი განტყვევების ვაცის ძებნას დაიწყებს, ყველასთვის ნათელი ხდება, რომ კრიზისში შეუტოპავს. განტყვევების ვაცი კი თეატრისთვის ტრადიციულად დრამატურგიაა. კრიზისის აღიარება მწელია. ამიტომაც, რომ თეატრი ყველას ადანაშაულებს, საყუ-

თარი თავის გარდა, იმ დღის საქციელს მოვეჯივონებს, შეილის უწესობას „ცუდ წრეს“ რომ აბრალებს. სიმართლე კი ის არის, რომ დრამატურგია ამ შემთხვევაში სრულიად უდანაშაულოა, მითუმეტეს დღეს როცა ის აღმავლობას განიცდის, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი, სამწუხაროდ, თეატრისგან უარყოფილი დარგი. „ჩვენს თეატრში კრიზისი მწიფდება“-ო, ეს რ. სტურუამ 1983 წელს თქვა, როცა. თუნდაც მისი ამდროინდელი სპექტაკლების მიხედვით თუ კომსჯელებით, ყოველგვარ კრიზისზე დაპარაკი უხერხულიც კი იყო, რასაც, ასევე სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით მის ბოლო ნამუშევრებზე. რ. სტურუა, როგორც ყველა ნამდვილი შემოქმედი, კარგი მოწაფეა, მაგრამ თვითონ მოწაფეები კი არა — ეპიკონები ჰყავს. სხვათა შორის, თავადაც ხშირად ექცევა „სტურუიზმის“ გაკლენის ქვეშ.

დღევანდელი კრიზისის გამართლება ცხოვრებისეული არეულობით, რასაც ყველა ერთნაირი ხალისით ცდილობს, ჩემი აზრით, სწორი არ არის. ჩვენი თეატრი უფრო ადრე დაძველდა, ვიდრე მას ცხოვრებისეული ქარიშხალი გადაუვლიდა. ცხოვრება ასე რომ არ არეულიყო, ქართული თეატრი კრიზისს მაინც ვერ გადაურჩებოდა. დღეს სპექტაკლები, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც აღდგება, ეს უფრო მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითებია, ვიდრე შემოქმედებითი აუცილებლობისა.

ამავე დროს, თეატრის კრიზისი კატასტროფას არ ნიშნავს, თეატრის ევოლუციის დამახასიათებელი ეტაპია. ამ დროს როგორმე უნდა შეეინარჩუნოთ ის იდეალური, ეზოტერიული ბინდუნდი, რომელიც თეატრშია დამკვიდრებული, მისი ხელის ხლება ისევე არ შეიძლება, როგორც ფოტოსურათის გამკლავების დროს შუქის ანთება. ტყუილად როდი ადარებენ თეატრს ტაძარს, ტყუილად როდია ჩვენშიაც კი თეატრში წასვლა რიტუალის დონემდე აყვანილი. მართლაც, არ შეიძლება თეატრში ისე-
9. „წათობა“, № 3—4.

ვე წახვიდე, როგორც, თუნდაც, კინე-
ში. აქ თავიდან ფეხებამდე ვაფრქვე-
ტაკლს ეკუთვნი, შენი ტანსაცმელიც
კი სპექტაკლის რეკვიზიტია და შენც
თვითონ მეორე სინამდვილის საკუთრე-
ბა ხარ, კაპელდინერივით ანდა მეხანძ-
რესავით. იდეალური შემთხვევაა, როცა
თეატრს ისეთი მასურებელი ჰყავს, რომელიც ვირჯინია ვულფის თქმით, „თ-
ობების მანძილზე ეჩვეოდა სპექტაკლზე
დასწრების ხელოვნებას“. ხელოვნების-
თუბს აუცილებელია მისი გაგების ხელო-
ვნების არსებობა. ჩემს მიერ შემოთ-
ნახსენებ ტრისტან რემის თავის წიგნში
მოყვანილი აქვს ერთი კომიკური ანტ-
რე, ფაქტიურად, პაროდია „ჰამლეტზე“,
რომლებსაც ცირკში კლოუნები ბარიო
და რომო ასრულებდნენ. პაროდიაში
ერთმანეთში არეული იყო სხვადასხვა
პასაჟები ტრაველიდან და მაყურებელი
იცინოდა — ცირკის მაყურებელი! ეს
არის მთავარი. არადა, ასეთ ტექსტზე
რომ გაიცინო. „ჰამლეტი“ თითქმის ზე-
პირად უნდა იცოდეს...

როგორც არ შეიძლება ყველა სანახა-
ობას თეატრი ეუწოდოთ, ასევე ყველა
მაყურებელს მაყურებელს ვერ დავარქ-
მევთ. ბევრი რამ დამოკიდებულია იმა-
ზე, რამდენად თეატრალურია მაყურე-
ბელი. ეს ქმნის ელიტარულობის განც-
დას, უძიბოსოდ თეატრი თავის მოვალე-
ობას ვერ შეასრულებს. დღეს ფილმის
ხანგრძლივობა გაიზარდა, სპექტაკლისა
კი შემცირდა, თანაც ანტრაქტის ზარჯ-
ზე. არადა, ანტრაქტი ქმნიდა სწორედ
თეატრისთვის აუცილებელ განწყობი-
ლებას, შეიძლება ითქვას, ისიც ზრდი-
და მაყურებელს. თანდათანობით თეატ-
რის დარბაზიც კინოს დარბაზს და-
ემსგავსა. საერთოდ, ჩვენი ხელოვნება
ამ ბოლო დროს კინემატოგრაფიული აქ-
ცენტით მეტყველებს. ამის აღნიშვნა,
უპირველეს ყოვლისა, თეატრალური
კრიტიკის საქმეა, რომელიც, სამწუხა-
როდ, აღარ არსებობს, ერთი ორი ნი-
ჭიერი კრიტიკოსი საქმის ვითარებას
ვერ ცვლის, მთავარია, რომ თეატრა-
ლური ცხოვრება არ გაგვაჩნია. ამიტო-

მაცაა, გუშინდელი კატეგორიებით, გუშინდელი ნორმებით რომ ვზომავეთ ნებისმიერ დღევანდელ მოვლენას, გუშინდელი თეატრი მიულწიველ ეტალონად ქცეულა ჩვენთვის, ამის გამო, მასწავლებლები კი არა გვყავს, არამედ — კერპები. თუ მართლა დავიჯერებთ, რომ გუშინ ყველაფერს კარგად ვაკეთებდით, მაშინ შეიძლება დარწმუნებით ეთქვათ, რომ ხვალ ვერაფერს კარგს ვერ გავაკეთებთ. სიახლის, განახლების მოთხოვნილების გარეშე ხელოვნება არ არსებობს. სტენდალის სიტყვები: კვისარს გაცოცხლება რომ შეეძლოს, თავის არმიას უმაღლესელებით შეაიარაღებდეთ...

7.

ქართული კულტურის ცენტრში ყოველთვის იდგა მწერლობა და არა მხოლოდ ასახორღობდა ხელოვნების ყველა დარგს, არამედ ერთგვარად წარმართავდა მათ საქმიანობას, ყოველ შემთხვევაში, უბიძგებდა ახალი, თანაც დამოუკიდებელი გზებისკენ, ჩვენი ხელოვნების კორიფეები, წერილფეხობისაგან განსხვავებით, ამ აზრს არა მარტო აღიარებდნენ, არამედ თავიანთ საქმიანობას ასეთი ხულისკვეთებით წარმართავდნენ. რაც უფრო ახლოს იყო თეატრი მწერლობასთან, მით უფრო საყურადღებო წარმატებებს აღწევდა. მაგრამ ეს ცალმხრივი ურთიერთობა არ ყოფილა. მწერლობაც, თავისთავად, ბევრს სწავლობდა თეატრისგან და ეს ურთიერთგამომდინარეობელი პროცესი სასიკეთოდ მოქმედებდა ჩვენი კულტურის განვითარებაზე საერთოდ. მწერლობისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა აშკარად სათანადო სიღრმით არა გვაქვს გარკვეული არც მწერლებს და არც თეატრის მესვეურებს და, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, იდგმება თუ არა ჩვენს სცენაზე ჩვენი დრამატურგების პიესები. ის გაცილებით ფართო ხასიათის პრობლემაა. რამდენადაც იგულისხმება საერთო ცხოველყოფილი შემოქმედებითი ატმოსფერო,

სიცოცხლისათვის აუცილებელი კლიმატი.

ამ ბოლო დროს თეატრი დამორღმწერლობას, გადაუხვია თავისი ტრადიციული გზიდან და, შეიძლება ითქვას, უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. არ ვიცი, ვისმა მცდელობამ მიიყვანა ის აქამდე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ამბავს არავითარი სასიკეთო რამ არ მოჰყოლია. ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან თეატრს თავისი ეროვნული განვითარების გზა აქვს, თავისებური, ზოგჯერ შეუმჩნეველი, მაგრამ ამავე დროს ქმედითი შინაგანი მექანიზმი ამოძრავებს. ზოგჯერ ეს ფსიქოლოგიური ხასიათისაა, ამდენად გადამწყვეტიც. ფსიქოლოგიასთან, როგორც მოგეხსენებათ. ზუმრობა არ შეიძლება, ეს ცეცხლთან თამაშებითაა.

დღეს თეატრი თავისი გზით განაგრძობს გზას, დრამატურგია კი — თავისით, რაც, პირდაპირ რომ ეთქვა, უგზობას ნიშნავს. ეს გაყოფა ყველაზე სახიფათო მოვლენაა ჩვენს თეატრალურ სამყაროში. რა თქმა უნდა, ორივეს შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ეს არსებობა ნორმალური არ იქნება. ახლა თეატრები იმიტომ კი არ უარყოფენ ქართულ დრამატურგიას, რომ ის სუსტია, რასაც შეჩვეულები ვიყავით დიდი ხნის განმავლობაში, არამედ იმიტომ, რომ... ნამდვილია! ეს ეპითეტი მ. თუმანიშვილს ეკუთვნის. მან 1984 წელს ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის სემინარზე ერთ-ერთი სხდომის დროს თქვა. და მისი ეს სიტყვები გამოქვეყნდა კიდეც: „დრამატულ თეატრს თუ აკლია ნამდვილი ლიტერატურა. როგორც არ უნდა გააფორმო სპექტაკლი, რაოდენ დიდი ფანტაზიაც არ უნდა ჩააქსოვო, სპექტაკლში თუ არ ძვეს მაღალი კლასის ლიტერატურა, მე ასეთი თეატრი არ მწამს... მე ხშირად ვეკითხები დამწვებ რეჟისორებს, როგორი თეატრი გვექნება ათი წლის შემდეგ? უნდა ვითხრათ, რომ ძალიან მიხარია მათი პასუხი: ათი წლის შემდეგ დაიბადება ნამდვილი დრამატურგია

(აქვე უნდა ითქვას, რომ დღესაც გვაქვს ცალკეული ნიმუშები) და ჩვენი თეატრი ძირითადად ეროვნულ დრამატურგიას დაეყრდნობა. ახალგაზრდობა იმედით შესცქერის მომავალს. არც მწერლობა და არც თეატრს უფლება არა აქვს შევასუსტოთ სასიხარულო და მღელვარე მოლოდინის განცდა. ქართული სცენიდან ქართული სიტყვა უნდა ისმოდეს! აი, ვაკიდა ათ წელზე ცოტა მეტი დრო და დიდი რეჟისორის წინასწარმეტყველება ახდა, ოლონდ... ნაწილობრივ, ნამდვილი ქართული დრამატურგია მარ. თლაც დაიხადა, მაგრამ იმავე რეჟისორების წყალობითაც, ვინც თითქოს ასე მოუთმენლად ელოდებოდნენ მის გამოჩენას, თეატრის მაგრად ჩაკეტილი კარის წინ აღმოჩნდა. აშკარაა, რომ ჩვენი თეატრი მზად არ არის ახალ „ნამდვილ“ ქართულ დრამატურგიასთან შესახვედრად.

რეჟისორის არსებობაში ჯერ კიდევ ცოცხლობს მწერალი, ყოველ შემთხვევაში, მწერლური იმპულსი აშკარად ცოცხალია, რასაც „ატავისტური რეციდივიც“ შეიძლება ვუწოდოთ, რამდენადაც ადრე, თეატრის გარიჟრაჟზე, რეჟისორი და დრამატურგი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ასევე დრამატურგთა ნაწარმოებებში აშკარაა რეჟისორული იმპულსი, პიესის რემარკები ამის დადასტურებაა და რაც უფრო ვრცელია რემარკა, მით უფრო აქტიურია დრამატურგის არსებობაში რეჟისორი. უამრავი და უამრავი რეჟისორი წერდა და წერს პიესას, უამრავი და უამრავი დრამატურგი ოცნებობდა და ოცნებობს საკუთარი პიესის დადგმაზე, საკმაოდ ბევრი აღწევს კიდევ მიზანს, მაგრამ აშკარაა, რომ დღითი დღე ეს იმპულსი თანდათანობით ძალას კარგავს და სუსტდება. ასე ხდება ყველგან, გარდა საქართველოსი, სადაც განსაკუთრებით ბოლო დროს შეიმჩნევა რეჟისორთა დრამატურგიული გააქტიურება. რეჟისორები წერენ და თარგმნიან პიესებს, აკეთებენ ინსცენირებებს, ანუ გვევლინებიან, რო-

გორც დრამატურგები, მაგრამ მათი დრამატურგიული ნაწარმოებებიც უნდა იყოს თუ ვიმსჯელებთ, თუკი რაიმე აკლია ჩვენს თეატრს, უპირველეს ყოვლისა, დრამატურგია, დრამატურგის ხელი.

მწერლობა და თეატრი — კულტურის ეს ორი მაცოცხლებელი ფილტვი — ერთმანეთთან სინქრონულად უნდა იყოს შერწყმული. ყველგან, სადაც ნამდვილი თეატრია, ასე ხდება, მხოლოდ საქართველოში გამოიკვეთა მათი დაპირისპირება. უფრო მეტიც, რაც უფრო ძალას იკრებს ჩვენი დრამატურგია, მით უფრო იზრდება ნიპილიზში მის მიმართ. ამას წინათ ტელევიზორის ეკრანიდან ასეთი ფრაზაც კი გაისმა: „ქართული დრამატურგია არ არსებობსო“. მართალია ასეთ „გამოხტომას“ (სხვას ვერაფერს დავარქმევ!) სამართლიანად „უვიცობა“ უწოდეს, მაგრამ დამაფიქრებელია ფაქტი, რომ უვიცობა ჩვენს სინამდვილეში კატასტროფულ მასშტაბს იღებს და, რასაკვირველია მარტო დრამატურგია არ არის მისი მსხვერპლი.

ჩვენი უახლესი დრამატურგია ძალიან საინტერესოა. დღეს მხოლოდ ახალი დრამატურგიის ნიმუშები რომ იდგმებოდეს სცენაზე, არავისზე ნაკლები თეატრი არ გვექნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხალხს თავისი თეატრი დაუბრუნდებოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. არა მარტო ის არ ვიცით, რა გვინდა, რა გვჭირდება, არამედ წარმოდგენაც არ გავაჩნია, რისი პატრონები ვართ. მსგავსი მოვლენა, ანუ დრამატურგიის აღმავლობა, ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში თეატრის აღმავლობას გამოიწვევდა, თეატრალურ ცხოვრებას გამოაცოცხლებდა, ჩვენთან კი ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, თეატრმა ახალი დრამატურგიის მიჩქმალვა სცადა, ანუ საბედისწეროდ შეცდა. მოვლენაზე თვალის დახუჭვა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს მოვლენა არ არსებობს.

ნამდვილ დრამატურგიას ყოველთვის თეატრალური სიახლეებიც მოაქვს თან. ახალ დრამატურგიას ახალი თეატრა-

ლური ფორმა სჭირდება. სხვანაირად ის სცენაზე თავის სათქმელს ვერ იტყვის. დრამატურგია თეატრში თეატრალურ საშუალებათა განმარტებლის ფუნქციასაც ასრულებს. დრამატურგია თეატრის სკოლაა. განა ჩეხოვის პიესა „თოლია“ სუსტი იყო, ალექსანდრიანას საიმპერატორო სცენაზე რომ ჩაეარდა? არა, ჩეხოვის პიესა უკვე სრულიად ახალი აზროვნების მაცნე გახლდათ, მან აქცია საიმპერატორო თეატრი ძველად და ამდენად — კონსერვატორულად. ჩეხოვმა ვალბ, პომპეზურ პოეტურობას დაუპირისპირა „მარტივი ფრაზებით“ შექმნილი ნამდვილი პოეზია. როგორ უნდა გაეშიფრათ იმ ძველ თეატრში თუნდაც ნინა წარენაის მონქენების სცენა ტრეპლიოვის თვითმკვლელობის წინ, როცა ამ ეპიზოდის ქვეშაირი რაობას ბევრი დღევანდელი თეატრიც კი ვერ წვდება? პოეზიას თავისი ლოგიკა აქვს და თუ სადმეა ის აუცილებელი, უპირველეს ყოვლისა, თეატრში.

თუ არ ვიუკადრისებთ და, სხვა მაღალკულტურული ქვეყნების მსგავსად, თეატრალური რეფორმაციის სტიმულად დრამატურგიას ვადიარებთ, ბევრი ხელოვნურად შექმნილი პრობლემა მოიხსნება და ჩვენი საქმიანობა საგრძნობლად გადახალისდება და, თუ გნებავთ, გაიოლდება კიდევ. ჩვენს თეატრს არჩევანის უზარმაზარი შესაძლებლობა აქვს — ქართული დრამატურგიის გარდა, მის წინ გადაშლილია მსოფლიო დრამატურგიის ზღვა, რასაც — გულისტკივილით აღვნიშნავ — ვერ ამჩნევს. დაინახო მხოლოდ ის, რასაც ყველა ხედავს, არ ნიშნავს, რომ კარგი მხედველობა გაქვს, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნებაში ასეა. მსოფლიო დრამატურგიასთან დაკავშირებით, ჩვენი თეატრის სიბეცე სამწუხარო ფაქტია. სწორედ ახეთ უღვევ და მრავალფეროვან მასალასთან ურთიერთობით ამკარავდება მისი ერთგვარი შეზღუდულობა, რაც ზოგჯერ მოულოდნელი და გაუკვებარი სახით ვლინდება. მარტო ის ამბავი რად

ღირს, რომ არც ერთი ქვეყნის დრამატურგებშიც არც ერთი დღე უფრო საკვირველია — არც ერთი თანამედროვე უცხოელი ავტორის პიესა არ დადგმულა ჩვენს თეატრში იმდენჯერ, რამდენჯერაც შატროვისა და გელმანის პიესები, თანაც სად — რუსთაველის აკადემიურ თეატრში!..

„რაც უნდა დაიდგას თეატრში, ყველაფერი უნდა იყოს უაღრესად აუცილებელი“ — ეს რასინის სიტყვებია და, ჩემი აზრით, ერთნაირად ეხება, როგორც ეროვნულ, ასევე თარგმნილ დრამატურგიასაც, რომელიც გარკვეულ ვითარებაში შეიძლება უკეთესადაც კი გადმოგვეცემდეს თეატრის სათქმელს. ტყუილად როდი უწოდებენ შექსპირს ფრანგული თეატრის დონორს! ივანე მანაბლის გენიალური თარგმანის წყალობით, შექსპირმა ქართული თეატრისთვისაც დონორის როლი შეასრულა. ოღონდ შეიძლებოდა აქვე გვეთქვა: ამ ბოლო დროს რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელებული, „დღევანდელ ენაზე“ (?) თარგმნილი შექსპირის პიესები ამ მნიშვნელოვანი მისიისთვის, ვფიქრობ, ვერ გამოდგებიან...

ბედნიერებაა როდესაც თეატრი თავის სათქმელს ეროვნული დრამატურგიის საშუალებით გადმოგვეცემს. ზუსტად მოძებნილი, აუცილებელი პიესა სპექტაკლის წარმატების გარანტიაა. იბადება ერთგვარი შემოქმედებითი პარმონია ავტორსა, მსახიობსა და მყურებელს შორის. კლოდელი წერდა ბაროს: „თუკი ის, რასაც მე ახლა განვიცდი, თქვენსა და ფილიერის გულებში ჰპოვებს გამოძახილს, პუბლიკა იქითიანებს“ — ო. ელვიჟ ფილიერი კლოდელის პიესის მოკარ პერსონაჟს ასახიერებდა...

დრამატურგი მეექვსე გრძნობით უნდა იყოს დაკავშირებული თეატრთან, სხვანაირად თავს გაიმწარებს მეტი არაფერი. თეატრის მუხა ძალიან დაუნდობელია, თუმცა, რომელი მუხაა კეთილი? დრამატურგმა კითხვები უნდა გაუჩინოს მყურებელს, თანაც უნდა შეეცადოს, თვითონვე არ უპასუხოს საკუ-

თარ კითხვებს. უკიდურესად უნდა გამამაფროს ცნობისმოყვარეობა, დარბაზიდან სცენისკენ დაძრული უტყვე კითხვათა ტალღები პიესის ტექსტს ამდიდრებენ ათასნაირი წარმოდგენილი პასაჟით, ანუ ასე თუ ისე სრულყოფენ მას, რამდენადაც თვითონ პიესას კითხვად აქცევენ, რაზედაც პასუხი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუკი ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებია და არა ასე რიგ გავრცელებული დრამატურგიული სინთეტიკა, რომელიც, არითმეტიკულ სავარჯიშოსავით, ყველა კითხვაზე პასუხს შეიცავს. ამის მაგალითია, თუნდაც, გიბსონის „ორნი საქანელაზე“. პასუხი კლავს ნაწარმოებს. „პასუხის შეუძლებლობა უკვე თავად პასუხია“-ო, წერდა იონესკო.

საქართველოში ყოველთვის დიდი ინტერესით კითხულობდნენ დრამატურგიულ ნაწარმოებებს, სათუთად ინახავდნენ პირად ბიბლიოთეკაში, პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნების გვერდით. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და, თავისთავად, კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებდა. მერე თანდათანობით, თითქმის გაუგებარი. ამოუხსნელი მიზეზების წყალობით, პიესა გაქრა ჩვენი მაღაზიების თაროებიდან. თვით მწერლებიც კი შეურიგდნენ ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი დარგის — დრამატურგიის სრულ იგნორირებას. თითქოს ამით არაფერი დაშავებულა, მაგრამ ისიც აშკარა გახდა, რომ, როგორც ზემოთ ვთქვე, თუკი რამე აკლია ჩვენს თეატრს, უპირველეს ყოვლისა, დრამატურგია. უცნაურია, ამ ბოლო დროს იმპორტული დრამატურგია, უცხოეთიდან შემოზიდული საქონელივით, დაბალი ხარისხისაა. მოხდა ის, რასაც ხალხი გვაფრთხილებდა: „ქალი არ გინდა უცხო მზარის, დასნეულდება, მოკვდება“. „ქალიც“ დასნეულდა და „ქმარიც“. ეროვნული დრამატურგიის გარეშე თეატრი ვერ იარსებებს.

თეატრს ეროვნული დრამატურგიის ჯანვითარებაში დიდი როლის შესრუ-

ლება შეუძლია. მსოფლიოს სრულყოფილი თეატრები ამაყობენ და ტრადიციულად იმ დრამატურგებით, რომლებიც მათ აღმოაჩინეს და დაიმეგობრეს, ანდა მათ „მონათლეს“ დრამატურგებად. დიურენმარტის პიესის სათაური „ეთამაშობთ სტრინდბერგს“ ერთგვარად ხსნის კიდევ დრამატურგის როლს თეატრში. მსახიობები, თავიანთი როლების გარდა, ასრულებენ კიდევ ერთს, შეიძლება ითქვას — საერთოს და ამდენად მთავარ როლს — დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ს ა ს ! პუშკინი წერდა ბესტუჟევს: „ვინ არის მთავარი მოქმედი პირი კომედიისა „ვბიჭკუისაგან“? პასუხი: გრიბოედოვი...“

ადრე ჩვენი დრამატურგია იმით გამოირჩეოდა, რომ განუწყვეტლივ შეღავათებს თხოვლობდა, სულ მითხოვრის როლში გამოდიოდა, სულ თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგის კართან იყო ატუხული. ამან კი ერთგვარად ჩამოაყალიბა კიდევ დრამატურგიისადმი არა მარტო თეატრის, არამედ მწერლობის დამოკიდებულება.

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები შეღავათებს არ უნდა შეეჩვიონ. დრამატურგია, ისევე როგორც საერთოდ მწერლობა, ძალიან ძნელი საქმეა, ბრძოლაა, ხადაც შეღავათი უკვე წაგებას ნიშნავს. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს კარგი ნაწარმოები, რომელსაც ადრე თუ გვიან თავისი მკითხველი და დამფასებელი არ გამოსჩენოდეს. ამიტომ არ უნდა ვინქაროთ. ჯერ პიესის დაწერაზე ვიფიქროთ და მერე მის დადგმასა თუ გამოქვეყნებაზე. დრამატურგიის სისუსტის მიზეზი უმჯობესია დრამატურგიაში ვეძებოთ და არა სხვაგან, თუნდაც თეატრში. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: საქართველოში არც ერთ სახელოვან რეჟისორს დრამატურგი არ აღუზრდია. ეს მეტად დამაფიქრებელი რამ გახლავთ...

ახალგაზრდა დრამატურგს უსათუოდ უნდა ჰქონდეს თანამედროვეობის გრძობა, ბიოლოგიური ტერმინი რომ მოვიშველიოთ — „შინაგანი საათი“. ასევე უნდა გრძობდეს მომავალსაც, მომავლის გამამაფრებელი ინსტინქტით. ორივე —

თანამედროვეობის გრძნობაც და მომავლის ინსტინქტიც — ტალანტის თანდაყოლილი ნაწილია, თუნდაც ამიტომ არა აქვს ახაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს საქმიანობაში. ახალგაზრდობა ისევე არ არის ნიჭიერების დამამტკიცებელი საბუთი, როგორც სიბერე — უნიჭობის მიმტვევებელი სიჯელი...

ახალგაზრდა დრამატურგს უნდა სწამდეს, რომ დიდ საქმეს ჰკიდებს ხელს და როგორც ყველა დიდი საქმე, ისიც მისგან გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. სიამოვნებით გავიჟივრებ ლეონარდ ბერნსტაინის მიერ ახალგაზრდა მუსიკოსებთან შეხვედრის დროს წარმოთქმულ სიტყვებს: „მე გეუბნებით — აკეთეთ თქვენი საქმე, მაგრამ არ გეუბნებით, იცოდეთ მხოლოდ თქვენი საქმე-მეთქი. ეს პასიურობისა და უმოქმედობისკენ მოწოდება იქნებოდა. მე ვლამპირაკობ მოღვაწეობაზე, ქმედებაზე და ვგულისხმობ... ხალხის სამსახურს, იქნება ეს პატარა ქალაქის, თუ ექვსივე კონტინენტის მასშტაბით“...

8.

თუნდაც იმ მცირერიცხოვანი პიესების მიხედვით, რომლებზედაც ამ ბოლო დროს ხელი მიგვიწვდება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახალი დრამატურგია ევროპასა და ამერიკაში იმ საზღვარს მიაღწა, სადაც პოეზიით დაწვეილებული ლოგიკა და პარადოქსი თავისთავად უკვე წარმოადგენს სიტყვის მაგიის გადმოცემის, ზემოქმედების ერთგვარ მაქსიმალურ მოდელს. კადენციაშივე მიყვანილმა სიტყვისა და პაუზის მონაცვლეობამ გაზარდა თუნდაც ერთი სიტყვის მავნიტური არე პოეტურ ტექსტში. მისი ტალღების უჩინარი ციციმი გასწვდა მთელი ტექსტის სივრცეს და ბუნებრივად დაუკავშირდა სხვა სიტყვათა ასევე უჩინარ ნათებას, რამაც ერთგვარად გასაგები გახადა ისეთი ბუნდოვანი ცნება, როგორიცაა ქვეტექსტი. დაეინახეთ, რომ პაუზა ტექსტის ხელოვნური, ზოგჯერ მეტად ეფექტური ნიჭიერება კი არა, დუმილზე უფრო მნიშვნელოვანია, რაც თავისთავად ქვეტექსტის არსებობაზე მიგვანიშნებს. არ არის საკვირველი, რომ დღევანდელი პარადოქსის თეატრი თითქმის პაუზაზე დაწდობილი (ბერკეტი, პინტერი...) დუმილის ენა — ასევე შეიძლება განვსაზღვროთ პაუზის რაობა. ადამიანი უმეტეს შემთხვევაში დუმს. სიტყვა დუმილის საიდუმლო წილშია ჩასახული და მერეა ამოსროლილი, ზოგჯერ აფეთქებულიც კი ჩვენივე წარმოსახვათა ზედაპირზე. სიტყვის საშუალებით, დაახლოვებით, მაინც შეიძლება მივხვდეთ, თუ რა ხდებოდა იქ, დუმილის სამყაროში. პაუზის დროს ადამიანი რჩევას ეკითხება ყველაზე სანდო პიროვნებას — საკუთარ თავს. პაუზა ზოგჯერ ხელოვნურად გახანგრძლივებულ ელვასაც ჰგავს, რომლითაც უკიდურესად იმუხტება ჩვენი ისედაც გაღიზიანებული ცნობისწადილი. ზოგჯერ ის წინა ფრაზის შლეიფივით კიდევ დიდხანს ბრჭყვიალებს ჩვენს თვალწინ. პაუზა დუმილის პარტიტურაა, რომლის ამოკითხვა ყველას არ შეუძლია, მაგრამ ვისაც შეუძლია. გამოაგნებულ ეფექტსაც აღწევს სცენაზე. არიან მსახიობები, რომლებიც სწორედ ამ დროს — უსასრულოდ მკვიანა სიჩუმეში — ავლენენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს. პაუზისა და სიტყვის ნათესაობის აღმოჩენისა და მათი დაწვეილების შედეგად შეიქმნა ახალი სცენიური ენა. აქაც თავი იჩინა დრამატურგთა რეფორმატორულმა უნარმა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩეხოვის შემდეგ, ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით ერთმანეთისგან გასხვავებულ ისეთ პოეტებს, როგორებიც არიან ბეკეტი და ტენესი უილიამსი, თუმცა ბევრმა დრამატურგმა უკვე გადაასწრო მათ მათივე გაკვალულ გზაზე და ალბათ კიდევ ბევრი გადაასწრებთ. ესეც ერთი პარადოქსია ჩვენი ხელობისა. მიმდინარეობის დამწყვეტ ზოგჯერ მიმდევრების ხათრით თულა იხსენებენ ზოლმე. მუზეუმების ზვერდოვანი ბინდუნდი უკვდავების გარანტია კია, მაგ-

ნური, ზოგჯერ მეტად ეფექტური ნიჭიერება კი არა, დუმილზე უფრო მნიშვნელოვანია, რაც თავისთავად ქვეტექსტის არსებობაზე მიგვანიშნებს. არ არის საკვირველი, რომ დღევანდელი პარადოქსის თეატრი თითქმის პაუზაზე დაწდობილი (ბერკეტი, პინტერი...) დუმილის ენა — ასევე შეიძლება განვსაზღვროთ პაუზის რაობა. ადამიანი უმეტეს შემთხვევაში დუმს. სიტყვა დუმილის საიდუმლო წილშია ჩასახული და მერეა ამოსროლილი, ზოგჯერ აფეთქებულიც კი ჩვენივე წარმოსახვათა ზედაპირზე. სიტყვის საშუალებით, დაახლოვებით, მაინც შეიძლება მივხვდეთ, თუ რა ხდებოდა იქ, დუმილის სამყაროში. პაუზის დროს ადამიანი რჩევას ეკითხება ყველაზე სანდო პიროვნებას — საკუთარ თავს. პაუზა ზოგჯერ ხელოვნურად გახანგრძლივებულ ელვასაც ჰგავს, რომლითაც უკიდურესად იმუხტება ჩვენი ისედაც გაღიზიანებული ცნობისწადილი. ზოგჯერ ის წინა ფრაზის შლეიფივით კიდევ დიდხანს ბრჭყვიალებს ჩვენს თვალწინ. პაუზა დუმილის პარტიტურაა, რომლის ამოკითხვა ყველას არ შეუძლია, მაგრამ ვისაც შეუძლია. გამოაგნებულ ეფექტსაც აღწევს სცენაზე. არიან მსახიობები, რომლებიც სწორედ ამ დროს — უსასრულოდ მკვიანა სიჩუმეში — ავლენენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს. პაუზისა და სიტყვის ნათესაობის აღმოჩენისა და მათი დაწვეილების შედეგად შეიქმნა ახალი სცენიური ენა. აქაც თავი იჩინა დრამატურგთა რეფორმატორულმა უნარმა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩეხოვის შემდეგ, ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით ერთმანეთისგან გასხვავებულ ისეთ პოეტებს, როგორებიც არიან ბეკეტი და ტენესი უილიამსი, თუმცა ბევრმა დრამატურგმა უკვე გადაასწრო მათ მათივე გაკვალულ გზაზე და ალბათ კიდევ ბევრი გადაასწრებთ. ესეც ერთი პარადოქსია ჩვენი ხელობისა. მიმდინარეობის დამწყვეტ ზოგჯერ მიმდევრების ხათრით თულა იხსენებენ ზოლმე. მუზეუმების ზვერდოვანი ბინდუნდი უკვდავების გარანტია კია, მაგ-

რამ სიცოცხლისა არა. ეს ყველაზე ნაკლებად ჩეზოვს ეხება, რომელიც შეიძლება ითქვას, XX საუკუნის ყველაზე ცოცხალი დრამატურგია, თუმცა ამ საუკუნეში ფეხის შემოდგამაც კი ვერ მოასწრო, ზედ მის ზღურბლზე გარდაიცვალა. დრამატურგიის ბევრი ნოვატორის კოლუმბის პროფილს ერთგვარი აკადემიზმის იერი დაედო, რაც თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ მათი გავლენა ინერციით გრძელდება, სხვა სიტყვით რომ ვთქვა — პირველადმომჩენი მეზღვაურები გეოგრაფიის პროფესორების დონემდე ჩამოქვეითდნენ...

ცივილიზაციისა და კულტურის განვითარების ასკარა კონტრასტულობამ წარმოშვა სულიერი „შავი ჭირის“ ეპიდემიები, რაც, მართალია, ადამიანს ფიზიკურად არ სპობს, მაგრამ მის პიროვნულ თავისთავადობას ანადგურებს. ახალგაზრდობის უზარმაზარი ნაწილის ინტელექტის დონე მთელ მსოფლიოში საესტრადო დოლის დარტყმების რაოდენობით იზომება. თანამედროვე ინგლისელი დრამატურგი სტოპარდი ერთ-ერთ პიესაში ასეთი ახალგაზრდების შესახებ ამბობს: მთელი თავიანთი ფილოსოფია მათსურებზე აწერიათო. ახალგაზრდობა მოექცა მუსიკალური ფაშიზმის მავთულხლართებში. მასობრივი კულტურა, მართლაც, სულიერი ფაშიზმის ერთ-ერთი სახეობაა. შენში ქრება პიროვნება და ხდები უსახური მასის წევრი, რომლის გემოვნებაც და სულისკვეთებაც შენთვის საყალღებულა.

შემთხვევითი არ არის, რომ მწერლობა, თუნდაც ისეთი პოეტები, როგორც არიან ბეკეტი და იონესკო, იმავე მოვალეობას ასრულებენ, რასაც ბერძონაზნებმა ასრულებდნენ შუა საუკუნეებში დიდი ეპიდემიების დროს. ისინიც გათავისუფლებულ, აწყვეტილ ინსტიტუტებს ებრძვიან. რომლებიც, სხვათა შორის, ადამიანებსა და მხეცებს საერთო აქვთ. პოეტები ნადირობენ ინსტიტუტებზე, როგორც ეპიდემიის გამავრცელებელ ცოფიან ძაღლებზე. ამით მოგვაგონებენ ანტიკურ კორიფებს. მა-

თი ბრძოლა უკიდურესად მკაცრად, უკომპრომიზო და ამდენად ექსტრემულია. აქ თავს იჩენს ერთგვარი აღმზრდელი ბოთი ელემენტიც, თუკი აღზრდად მივიჩნევთ ადამიანის მიერ საკუთარი არსების შეცნობის ცდას, თუნდაც წამიერ დაეჭვებას საკუთარი არსებობის რაობაში...

დრამატურგიის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა ჟურნალისტიკის დამკვიდრებამ იმ საერცეში, რომელიც ტრადიციულად მწერლობის საკუთრება იყო. დიდიხნის წინ დაწყებული ეს პროცესი (ამაზე ჯერ კიდევ დოსტოევსკი ჩიოდა!) ამ ბოლო დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერეს. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ჟურნალისტიკასა და მწერლობას სხვადასხვანაირად ესმის ახლიც ცნება და ეს არის მათი განსხვავების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. ჟურნალისტიკისთვის ახალია ის, რაც აი ახლა, ამ წუთას ხდება და რაც უკვე ხვალ ძველი და ამდენად უინტერესო იქნება. მწერლისთვის კი ახალი არასოდეს ძველდება. მწერლის ნაწარმოები, თუკი თანამედროვეა (რაც იგივე მაღალმხატვრულობის სინონიმიცაა), თანამედროვეა უკვე სამუდამოდ. მწერალი კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ ქმნის და ამის დაჯერება, რატომღაც ყველას ერთნაირად უჭირს. მწერალი ცდილობს, ფოლკნერის სიტყვით რომ ვთქვათ, „ადამიანის არსების ელემენტებისგან შექმნას რაღაც ისეთი, რაც ადრე არ არსებობდა“. მწერლობასა და ხელოვნებაში არ გვხვდება ინფორმაციის კულტი, რომელიც ჟურნალისტიკაში ზოგჯერ ნარკოტიკის მნიშვნელობასაც კი იძენს, განსაკუთრებით ინტელექტუალურად განუვითარებელი ადამიანისათვის. არაფერი არ შეიძლება იყოს ისე ცარიელი, როგორც ინფორმაციით გატენილი თავი. მწერლობა უცვლელია, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი — მარადიულია, ჩვენ ვიცვლებით მასთან შეხვედრის დროს, საკუთარი პიროვნების ახალ, ჩვენთვის უცნობ

ნიუანსებს ეწვდებით. ამრიგად, მწერლობასთან შეხვედრა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, თვითგაცოცხლების აქტია...

9.

„აღსდგება ერი, აღსდგება თვით თეატრიც“-ო, თქვა სანდრო ახმეტელმა. იმედი მაქვს, ეს დღეც მალე დადგება.

ხვალინდელი მაყურებელი თეატრში პირდაპირ ქუჩიდან შემოვა. პოლიტიკოსთა წყალობით, ის დიდხანია უკვე ქუჩაში „ცხოვრობს“. ქუჩის კონტრაქტურა კი ყველაზე ძლიერი დამანგრეველი ფაქტორია ადამიანის პიროვნებისა. ხვალინდელი მაყურებელი თავსუფლებისგან იქნება გამოდევნიებული, თუკი, რასაკვირველია, მართლა გვეღირსება თავისუფლება. ხელოვნებამ და მწერლობამ თავისუფლების ცნება თანდათანობით პოლიტიკურიდან ადამიანურად უნდა აქციოს, დაუკავშიროს ადამიანის პიროვნების ცნებას.

მაინც როგორი თეატრი უნდა დახედეს ხვალინდელ მაყურებელს, თუკი იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ ის დიდხანია ადამიანურ ცხოვრებას გადაეწვია? როგორი უნდა იყოს ხვალინდელი თეატრი, უაღრესად დემოკრატიული (რაც, რატომღაც, მარტივის სინონიმად აღიქმება ჩვენში!), „სუცას სკოლა“, ბალაგანი თუ კლასიკური, უფრო მეტიც — აკადემიური? დარწმუნებული ვარ, ეს კითხვები დღეს თეატრის ბედით დაინტერესებულ ბევრ ადამიანს აწუხებს. ჩემი აზრით, ხვალინდელი თეატრი უნდა იყოს უაღრესად თეატრალური. მთელი თავისი ტრადიციული აქსესუარით, სიმკაცრით, პირობითობით, იდუმალი სიზვიადით, დაწყებული გარდერობით და დამთავრებული მსახიობთა თამაშით. გაჭირვებული ცხოვრებიდან თეატრმა, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ისწავლოს, რომ თეატრად დარჩეს. მისი რეპერტუარი უნდა განიწმინდოს დრამატურული „ნაგვისფანი“, შეივსოს ახალი ეროვნული დრამატურგი-

ის ნიმუშებით, კლასიკური დრამატურგიებით, აგრეთვე იმ დრამატურგიულ „ფორმაციის“ ავტორების პიესებით, რომელიც ჩვენი ცალმხრივი განვითარების გამო გამოვტოვეთ. ვვლისხმობ, თუნდაც, პირანდელოს, სტრინდბერგის, იბსენის პიესებს. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ანტიკური დრამატურგია (დარწმუნებული ვარ, ევრიპიდესა და სოფოკლეს — ამ გიგანტი პოეტების — შედევრები სწორედ დღეს ცხოველყოფილური ძალით „აფეთქდებიან“ ქართულ სცენაზე!) ინსტინქტების მოხაზოკად და ცივილიზაციის გალიაში მათ დასამწყვდევადაც იყო მოვლენილი. ყველა ნამდვილად დიად პოეზიას ახლავს ასეთი ზეადამიანური დანიშნულება. ამიტომაცაა, რომ იქ კონფლიქტები კი არა, კატასტროფებია, ჯერ კიდევ დიდია ცხოველური ბრმა ძალის ზემოქმედება, რომელსაც პოეტი მითოლოგიური ზოოლოგიის ნიღბებს აფარებს. რითაც ჩვეულებრივობის იერს ანიჭებს კენტავრებს, მინოტავრებს, სფინქსებსა თუ სხვა ათასნაირ ურჩხულს, ადრეული კაცობრიობის კომპარულ არსებებს და ამით ადამიანისათვის ადვილად ხელმისაწვდომს, ადვილად დასამარცხებელს ზღის მათ. ამიტომაც არ არის ტრაგედიაში ყოველდღიური ცხოვრება, ყოფა, იქ მითი ბატონობს, ერთგვარი გრანდიოზული წესია დამყარებული, რადგან ადამიანი ომობს საკუთარ არსებაში ჩაბუდებულ ბნელ ინსტინქტებთან, ეომება საკუთარ ქვეცნობიერ სამყაროს, რომლის საცეცებიც მის სულს, როგორც ლაოკონის—გველი, ისე შემოხვევია, იხრჩობა, მაგრამ მაინც იბრძვის, ბოლომდე ინარჩუნებს ღირსებას და ეს ღირსებაა სწორედ ვათავისუფლების, გაადამიანების დიადი აქტი. დიდრო წერდა: „ის, რაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე ამ განთქმულ ჯგუფში ლაოკონისა და მისი შვილებისა. ეს არის ადამიანის ღირსება. შენარჩუნებული ღრმა მწუხარების დროსაც“-ო.

რეპერტუარში ალბათ გამოჩნდება მსოფლიო დრამატურგიის დღემდე ჩვენ-

თვის უცნობი სახელები: ბეკეტი, იონესკო, პინტერი, ტენესი უილიამსი, ოლბი, შეპარდი, ანაბალი... საბედნიეროდ, ეს სია გაცილებით გრძელია, ვიდრე შეწარმოვადგინე... მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილება უსათუოდ დაგვეხმარება, მისი წიაღის გავლით, შევხსნათ ახალი კარი ჩვენი დრამატურგიისა, რომელიც უსათუოდ დაუბრუნდება განვითარების იმ საფეხურს, იძულებით რომ გამოატოვებინეს და ამის გამო, ერთ ადგილას გაიყინა, ვაქავდა. ამავე დროს, ეს „დაბრუნება“ წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს და არა უკან, უფრო ზუსტად — ამ აქტით თუ წინ არ წავიწევთ, მაშინ საბიფათო სივრცეებში მოგვიხდება დაბრუნება, რადგან უკან ცხოვრება კი არა — ლიტერატურაა, რომელსაც გამეორება არ უყვარს. დავემსგავსებით იმ აკრობატს, რომელიც პაერში მიფრინავს იქითკენ, საიდანაც მისმა „პარტიორმა“ უკვე გადაინაცვლა, სულერთია საით, მთავარია, იქ აღარ არის, სადაც ეგულებოდათ. ვიდრე ჩვენ ერთ ადგილას „ვიფინებოდით“, მსოფლიოს ე წ. „ინტელექტუალური საზოგადოება“ წინ წავიდა. ნუ ვიტყვით, რომ ეს „წინ წასვლა“, მაინც და მაინც, პროგრესულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მან ახალი ზნეობრივი თუ მორალური ნიღაბი მოირგო და ამ ნიღბის შესაბამისად ცხოვრებისეულ კოდექსსაც კრიტიკული თვალთ გადახედა. რაც ახალია, ყველაფერი როდია პროგრესული, ოღონდ „ახალი“ ევოლუციისათვის აუცილებელია. ჩვენ უსათუოდ უნდა ვივარდნოთ და განვიცადოთ კიდევ სიახლე ცხოვრებისეული მომენტისა, სხვანაირად, თუნდაც, მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილება ინერცია იქნება და არა ტრადიცია, ცოცხალი ცდა, ცოცხალი ძიება, ცოცხალი პროცესი, რომელიც თავის მხრივ მოძრაობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

უსათუოდ განხდება და აქტიურად ამქმედდება ნამდვილი თეატრალური კრიტიკა, ურომლისოდაც ახლა არც კი უჩივიან, იმდენად ცხადია, რომ მისი

არსებობა დღევანდელ დღეს, მკაფიოდ გამოიხატა კურიოზულიც კი იყოს. სამკრტის კრიტიკა ვერ აღორძინებს, ამისთვის მას არც ძალა შესწევს და არც საკუთარი მისია აძლევს ნებას. თავისი კრიზისი მხოლოდ თეატრმა უნდა დასძლიოს, შეიძლება ითქვას, საკუთარი ფერფლიდან უნდა აღსდგეს, აღორძინდეს. სწორედ აღორძინებული თეატრი წარმოქმნის კრიტიკას, როგორც ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელ ფენომენს. უნდა ვიფიქროთ, რომ კრიტიკის მახვილი, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იქნება ჩვენს მიერ ყალბად გავებული რეჟისორის თეატრის ცნების წინააღმდეგ, რომელმაც ჩვენი თეატრი აულებელ ციხე-სიმაგრეს დაამსგავსა, უფრო მეტი შემკვიდრობითი სიახლოვე რომ აქვს ქართულ ფეოდალიზმთან, ვიდრე ქართულ თეატრალურ ხელოვნებასთან. ჩვენი დღევანდელი, უარესად პოლიტიზირებული პრესის ენით რომ ვთქვა — თეატრალური ავტოკრატია უნდა შეცვალოს თეატრალურმა დემოკრატია. ყველასთვის ერთნაირად ცხადი უნდა გახდეს, რომ იქ, სადაც უარყოფილია სიტყვა, არც რეჟისორის შემოქმედებითი პოზიცია, იდეა არსებობს.

ჩვენში დატრიალებული აპოკალიფსური მოვლენების ფონზე, ჩვენს თეატრში ალბათ ყველაზე აქტუალური ოჯახის თემა იქნება, ოღონდ, რა თქმა უნდა, მკვეთრი სიახლითა და თავისებურებით გამოირჩეული — ოჯახი, როგორც „ადამიანის სივრცე“, აი, სადამდე უნდა ამაღლდეს ეს თემა. ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ადამიანი ეძებს საკუთარ თავს, საკუთარ პიროვნებას, საკუთარ დღევანდელ ცხოვრებას. ეს მძაფრი, შიშველი სინამდვილეა, რომელიც გვინდა თუ არა, თავისკენ გვახედებს. ამასთანავე, თუკი მხოლოდ მას დავინახავთ, სამუდამოდ ემპირიზმის ტყვეობაში ჩავრჩებით. ის უსათუოდ პოეზიის ენაზე უნდა „ითარ-

გმნოს“, შეტაფორად უნდა იქცეს. მართალია, ყველა ოჯახი, დღევანდელი იქნება თუ საუკუნის წინანდელი, ერთმანეთსა ჰკავს, მაგრამ ჩვენ ისეთ საქმეს მივსდევთ, სადაც ყოველგვარი მსგავსება, გამეორება სასიკვდილო მარცხის მანუწყებელია. კიდევ კარგი, თავად ცხოვრებაა პარადოქსებით სავსე. ახლა მთავარია იმის გარკვევა, შევძლებთ თუ არა ახალი ძვრების, ახალი ურთიერთობების, ახალი ურთიერთობების შემჩნევას, რომლებიც უსათუოდ წარმოიქმნება, თუკი უკვე არ წარმოქმნილა ჩვენს სინამდვილეში.

ბევრი დაეწყებული სვლა, ხერხი გაბრწყინდება თავისი პირველყოფილი

მშენიერებით. სცენაზე ^{მარქენსული} რუნდება მონოლოგი. ადამიანებს მოუნდებათ მოგვიტოზონ საკუთარი თავგადასავლები. ყველა დამეთანხმება, რომ მოსაყოლი ძალიან ბევრია. ამავე დროს, ყველა უბედურ ადამიანს ჰგონია, რომ მისი უბედურებაა ყველაზე საშინელი და არც ცდება და, თუნდაც, ამიტომ ელის იეატრისგან ცხოვრებაზე უფრო ნამდვილი ცხოვრების წარმოდგენას. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს უკან დაბრუნება კი არ უნდა იყოს, არამედ წინ წასვლა. ახალი დრამატურგია უნდა დაიწყოს იქ, სადაც დამთავრდა „ირინეს ბედნიერება“...





ღარი ალიმონაიო

გაფრენა სისკან

§ 1. ამა, მიილია საუკუნე- და რო-
გორც ჩიტი ისწორებს ფრთებს, ხიდან
ხეზე გადასაფრენად, ისე ისწორებს
მისი სულიც ფრთებს საუკუნიდან საუ-
კუნეში გადასაფრენად, რომ არ გაწყდეს
სიცოცხლის ძაფი, რომ გახდეს, როგ-
ორც დიდი ვალაკტიონი ბრძანებს, უკუ-
დავების ბინადარი. დიახ, დასრულდა ფა-
მი კატაკლიზმებისა, მფოთიანობისა,
დასრულდა სისხლიანი საუკუნე. ტერენ-
ტი გრანელმა საუკუნოვანი ომი გადა-
იხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელ-
თან — დროსთან და სძლია იგი: „ამ სა-
უკუნეს ხომ ვასცილდება ჩემი ტანჯული
სულის ტკივილიო“, — ამბობდა. და მარ-
ილაც, მისმა ნაგვემმა ხელმა ლოცვით
გამოაღწია მეოცე საუკუნის უღმერთო-
ებას და დღეს, ოცდამეერთე საუკუნის
კარიბჭესთან მწირივით მღვარი, განაზ-
ღებული ძალით გვიხმობს ახალ დრო-
ებასთან მისაახლებლად.

§ 2. ის მოვიდა ხველი ოდიშიდან,
დამძიმებული და მგლოვიარე. მოვიდა
და თან მოიტანა მეგრული ნანინას მის-
ტური ხვედა, ძველი კოლხეთის მიწის
ნოსლიანი ნოსტალგია, მშობელი ქვეყ-
ნის ჩუმი წუხილი. მან, როგორც თავი-
სი დროის ღვიძლმა შვილმა, მთელის
არსებით გაიზიარა ამ საუკუნის ხვედ-
რი, გადაკვართული სამშობლოს ხვედ-
რთან. 1919 წელს 26 მაისს, საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის წლისთავზე, გა-
ხეთ „ია“ში წერს: „ჩვენ ღრმად
გაწაშს, დღევანდელ ზეიმში მხურვალე
მონაწილეობას მიიღებს ყოველი ქარ-
თველი და ამით ერთხელ კიდევ დაკუმ-
ტკიცებთ ჩვენს მტრებს, რომ ჩვენ შეგვ-
წევს ძალა და უნარი, შევინარჩუნოთ
ეროვნული თავისუფლება. დეე, ყველამ
გაიგოს, რომ ჩვენ გვწყურია თავისუფა-
ლი ცხოვრება და არავის ნებას არ მივ-
ცემთ, აბუნად აივდოს ჩვენი უზენაესი
უფლებები“. 1921 წელს, როცა საქარ-
თველოს თავისუფლების მზე ჩაეხვეწა,
საზარელი ხოცვა-გლეჯისა და თავისუ-
ფლების დაცემის მომსწრე აქვეყნებს
ლექსს „სულის ცეცხლი“, რომელიც
ამ ტრაგიკული მოვლენების სულიერი
კითომითაა აღბეჭდილი:

ქალაქის კვამლი, მღელვარება,
ღამის ალები
და შორეული რაინდების უმწეო
შფოთი.
სამარადისო მწუხარება მოკლულ
თვალების
და ჩემი სული ამართული, ვით
გშაფოტი.

ხოლო 1924 წელს, როცა მთელს სა-
ქართველოში სისხლში ჩააღრჩვეს ქარ-
თველი ხალხის კადევე ერთი უზენაესი
გამოვლინება თავისუფლებისათვის, იგი

სცემს ახალ წიგნს სათაურით „Memento mori“, რომლის საყოველთაო სიმბოლოც ამ ისტორიული მოვლენითაც არის ნაკარნახევი, წერს ლექსს „სამშობლოს“, რომელსაც იმხანად არ უწერია მზის სინათლის ხილვა:

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბუღი,
მე განვიციდო ჩემ სამშობლოს
ტკივილს.

§ 3. ტერენტი გრანელი, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მოქალაქე, ამგვარ, პიროვნულ-ზნეობრივ პოზიციებზე დგას. მაგრამ მისი სულიერი ტრავმა არ ეტყვა განსაზღვრული დროის საზღვრებში. მისი, როგორც მსოფლიო მოქალაქის, პოეტური თვითცნობიერება სრულიად სხვა მეტაფიზიკურ საფუძვლებზეა აღმოცენებული, სრულიად სხვა მისტიკური სამყარობიდან იღებს დასაბამს, მისი შეურიგებელი უთანხმოებაც სრულიად სხვა მიზეზებითაა განსაზღვრული და არა მხოლოდ ისტორიულ-ეპოქისეულით. თუ ღრმად ჩაეხედავთ მის შინაგან წრიალსა და მშფოთვარებას, ვერაწმუნებთ, რომ იგი არსებითად უპირისპირდება არა გარეყოფას, არამედ საკუთარ თავს, როგორც მთელი მატერიალური ყოფიერების ნაშეივრსა და ნაწილს. და ამ ყოფიერების წინაშე მართოდ დაშთენილი მწარედ განიცდის თავის მიწიერსა და ხორციელ ხვედრს.

შენ, დედამიწაე, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ.
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინებ,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!

და კიდევ:

ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ,
(დგება ლანდივით დღე ნაწვიმარი).
ვიცი, სხეულმა რომ დამატყვევა,
ტანი — ციხეა, მე — პატიმარი.

ეს დასაბამიერი შეუგუებლობა და უთანხმოება ციხესა და პატიმარს, ანუ

ხორცსა და სულს შორის, მთელს მის პოეტურ მსოფლმხედველობას, მარტოვან პულად მსჭვალავს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება მიწიერება და ზეციერება, სიკვდილი და სიცოცხლე, ტანჯვა და სიხარული, და ასპარეზი ამ უთანხმოებისა — თავადვეა. იგი უჯანყდება საკუთარ ხორციელ დასაბამს, და ამით უჯანყდება მთელს მატერიალურ ყოფიერებას, რისი ანარქელიც ის უმძიმესი ანტისულიერი ხანა გახლდათ, სადაც განგების ძალით მოუწია ცხოვრებამ. სად არის ხსნა?! ბედისწერამ დაბადებითვე შეაზო პოეზიის უზილავე კვერთხი, როგორც მხსნელისა, და შეაცნობინა, რომ ერთადერთი პოეზიაა ამ ბედისწერის უმალლესი გამოცხადება, სულის იდუმალი ხსნა, ღვთაებრივი უსაზღვროება და სიხარული, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს იმ მიწიერ ყოფასთან, რასაც მთელი თვითცნობიერებით ებრძვის, და რაშიც საბედისწერო დაღუპვას უქადის წუთისოფელი:

ეს ცხოვრება სარკვეზავით ელავს,
ახუთ ყოფნას ვეუბნები უარს,
ვიღუბები, არ იქნება შევლა
ცხოვრების და პოეზიის შუა.

აკეთებენ სადაც ჩემთვის კუბოს,
ნელა მივალ და გულია ღერძი.
ეს ცხოვრება ტალახია უფრო
და ცხოვრება პოეზიას ებრძვის.

და მართლაც, მთელი მისი საწუთრო აღბეჭდილია მოწამებრივი თავდადებით და მაგალითია იმისა, თუ პოეტმა როგორ უნდა შესწიროს ყოველივე წარმავალი იმ წმიდა საკურთხეველს, რასაც პოეზია ჰქვია, და ისეთივე სპეტაკი დაუბრუნდეს უფლის წიაღს, როგორი სპეტაკიც ამ წიაღიდან მოველინა ქვეყანას. მისი წამებული ცხოვრება ერთი გაბმული მონანიებაა იმ ცოდვებისა, რომლებიც არასოდეს ჩაუდენია, მაგრამ როგორც მაძიებელი ღვთისა, განუწყვეტლივ ატარებს თავის თავში პირველ-ცოდვის მოუნანიებელ მისტერიას. ხოლო ვინც არასოდეს დაბნეულა საკუ-



თარ შეცოდებათა წინაშე, ვისაც ერთხელაც არ დაუკარგავს ვზა ამ უღაბურ წუთისოფელში, — კერასოდეს შეივრძნობს მონანავს ფარულ სიხარულს, მის შინაგან გასხვივონებას, რისი ძალითაც იგი პოეზიას რელიგიური აღსარებისა და კათარზისის ძალას ანიჭებს. მიწიერ ბინდში მდგარი, ცდილობს შეიცნოს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება, შეიცნოს შუეცნობელი, დაეუფლოს უხილავ სივრცეებს, დაუტბორომლად მიიღტვის შორეულობისაკენ, უსახლვრობისაკენ, და აქ იკვეთება მისი ცეცხლოვანე მისტიკური ბუნება:

ისევე სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მიეცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

იქ უხილავი მხარე მიცდიდა
და ნისლიანი უსახლვრო სივრცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

სამყაროს უსასრულობისაკენ მის ამ უტოლევაში იკვეთება სიკვდილის საიდუმლოების ძიება, უმწვავესი უთანხმოების სარბიელად რომ აქცევს მის არსებობას. სადაც ერთმანეთს უპირისპირდება სიკვდილის უარყოფელი მიწიერი ადამიანი და სიკვდილის მსურველი პოეტ-მოაზროვნე. თუმცა არც ერთია ხსნა და არც მეორე. და როგორც ქანცაწვეტილი მეუდაბნოე პოლიგრაფი ეძიებს ოაზისს მწვურვალი გული რომ დაირწვლოს, იმგვარად ეძიებს მუდმივი ფიქრით გათანგული მისი შემეცნებაც მესამე ვზას და მისტიკოსის შურეუქველი რწმენით სწამს მისი არსებობის, რომელიც დაიხსნის როგორც ამოფლიური, ისე იმსოფლიური უბედურებისაგან „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე ხული... მე არ მინდოდა სიცოცხლე, არც სიკვდილი, მე რაღაც სხვა მსურდა... ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე ვზის არსებობა, როგორც იდუმა-

ლების. მე ისევე ედგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვეღარ მძინებ არე სერაფიმი და ველი ქრისტას ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან.“ და მართლაც, ნოსტალგიით შეპყრობილი მისი მახსოვრობა, სადაც ოდინდელი ყოფნის უხსოვარი სახეები ილანდება, მისტერიულად უხმობს და ეძიებს დაეწეებულ ღმერთს, ლოცვა-ვედრებით შესთხოვს მიწიერი სამწვერვეისაგან სულის ხსნას, შუეცნობელ მესამე ზეყოფიერებას რომ დაეუფლოს:

წამი აღმაფრენის
და ფიქრი ნანევეი.
ღმერთო! გამაფრინე
და ქრისტე მანევენე.

ხელს მალლა ავიშვერს
ცოლეა ადამისა.
ღმერთო! გამაგივე
და შენვე დამიცავ.

ნეტავ ზღვის ძახილზე
გრივალს გავებტაცე.
ღმერთო! გამაღვივე
მე სხვა პლანეტაზე.

§ 4. ცხადია, უკვე გამარჯვებული ტოტალიტარული რეჟიმი, დღითი დღე რომ უფრო და უფრო მძლავრდებოდა, ამგვარ პოეტურ იდეოლოგიას მის წიაღში ვერ მოითმენდა. ეს რეჟიმი თავის მოთხოვნებს კარნახობდა შემოქმედს, ვინც ამ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა, მას ხასტიკი ანათემა და ექსორია ელოდა. მაგრამ ტერენტე გრანელს, ლეთიური სამყაროებისაკენ რომ მიიკვლევდა ვზას, ერთის წამითაც არ შეპარვია ურწმუნობა, ფიქრადაც არ მოსვლია, დაეთმო პოზიციები, შეგუებოდა იმ იდეოლოგიურ დიქტატურას, თითქმის მთელი იმეამინდელი ცხოვრება რომ მოეცვა:

ისევე დაბნულა, მიღის დღე სწორედ,
გარინდებული მოსხანს საგანი.
არ შემიძლია, ტყვია მესროლედ,
ანდა მომეცი მე გასაქანი.

აღბათ სინუშე იხვე დადგება
და სიზმარივით გაიფლის ქარი.
ღმერთო, ბნელდება! ღმერთო, რა
დღეა!

სანატრელია მზიანი დარი.

არ შემიძლია, რაღაც ხხვა მინდა,
საშინელ გრიგალს იხვე შე ველი,
სული ნაზია და სული წმინდა,
როგორც ქაღალდი დაუწერელი.

ამ წმინდა სულის ძალით მას არ ძა-
ლუბდა ყოფილიყო ის, რაც არ იყო, და
არ ყოფილიყო ის, რაც იყო. მას არასო-
დეს უღალატნია თავისი ცხოვრებისეუ-
ლი მრწამსისათვის პოეზიაში და პოე-
ტური მრწამსისათვის — ცხოვრებაში.
და განუღვა ცხოვრებას. მოჩვენებასა-
ვით დაიარება თბილისის ნისლიან ქუ-
ჩებში, თვალუბამღერეული, შფოთიან
ელდითა და კონკულსიებით შეპყრობი-
ლი, და მიწიერ ხვედრში ბეტილით და-
ქანცული ზეციურ სივრცეებში პოულ-
ობს განსვენებას. განუღვა ყოველივე იმ-
ას, რაც ოდნავ მაინც შეღახავდა მის
პროცენულ-პოეტურ ღირსებებს, ერთი
ნაწიბურიც არ დაუტოვებია ამოუქოლა-
ვი, საიდანაც კუჭყვსა და ტალახს შეეძ-
ლებოდა მის არსებაში შეღწევა. მთელ-
ის თვითცნობიერებითა და რწმენით სა-
სწორის ერთ პინაზე მიწიერი ცხოვრე-
ბა დასლო თავისი ავლადიდებით, ზო-
ლო მეორეზე — სულის სიწმინდე:

გაზაფხულია, მივიღვარ ნელა,
და მიკავია ხელში ეს ია.
შე უარვყავი მთელი ცხოვრება,
ვიწამე ზეცა და პოეზია.

ტერენტი გრანელის განდგომილმა და
მიუსაფარმა ცხოვრებამ არათუ დააბნია
და გაადიზიანა პოლიტიკური ელიტა,
რომლის წარმოდგენაშიც ხუხულასა-
ვით ინგრეოდა ჩვეული სტერეოტიპები,
არამედ მტრულადაც განაწყო მის მი-
მართ. მაგრამ მას მტრობდა არა მხოლ-
ოდ რეჟიმი და იდეოლოგია, არამედ ამ
იდეოლოგიას ამოფარებული უნიჭო ფა-
რისეველთა მთელი ობიექტული პლე-
ადა, რომელთა მტრობამაც ნახევარ სა-

უკუნეზე მეტ ხანს გასტანა, და რისი
მომსწრეც თავად გახლავართ განსაკუთრ-
ებული ტოტალიტარიზმი მანთინისა და
მახვილით დეკნის ფოველივეს, რაც სუ-
ლიერ საგანძურს უკავშირდება. და რომ
ზოგიერთი მწერლისა და ხელოვანის
ტიტანური ძალისხმევა და რაინდობა
არა, რაც ხშირად უსასტიკესი რებრე-
სიების ფასადაც ჯდებოდა, სანთლით სა-
ძიებელი გაგვიხდებოდა ქართული წიგ-
ნიცა და ქართული ფრესკაც. ამ ადამი-
ანებს ესმოდათ ცხოვრება გრანელისა.
„ტერენტი გრანელი განწირული ბოგე-
მის შვილია, — წერდა ვალერიან გაფ-
რინდაშვილი, — ბოგემა მისთვის სინამ-
დვილდა და არა პოეზია“, და დევნიან ტე-
რენტი გრანელს, მაგრამ დევნიან ყვე-
ლაზე საზარელი ფორმით: მას გიჟის
ხალათს აცმევენ და ხურამში აშწესებენ.
ექსორია, დროთა ვითარებით ლოგიკუ-
რად რომ მწიფდებოდა, და რომელსაც
თავად პოეტიც ბედისწერულად ვამნობ-
და, ვარდუვალი აღმოჩნდა:

იხვე ფიქრია, იხვე მართო ვარ
და მივხდევ გრიგალს, დღეების
მხლებელს.
შე ვსტირი ქვეყნის უკულმართობას
და ჩემს დაღუპვას აუცილებელს.

სასტიკი მარტოობისა და ამოუბის
ოთხი წელი გაატარა სურამის საავად-
მყოფოში იძულებით შემწვედეულმა პო-
ეტმა. და გარბის სათაყვანებელ თბილ-
ისში, გარბის, კიდევ ერთხელ რომ მო-
ეჩვენოს თბილისსა და თბილისელებს,
გამოეთხოვოს წმინდაადგილებს და რო-
გორც მიუსაფარმა ბოვანომ იხე დაამთა-
ვროს წამებული ცხოვრება არამიანცი-
სეულ საავადმყოფოში, დასტოვოს მი-
წერი საპყრობილე (და უზიაროს უფ-
ლის თავისუფალ ქვეყნიერებას. პროზექ-
ტურაში რაღაც ბედად ამოცნობილ პო-
ეტის ნეშტს რამდენიმე კაცისაგან შემ-
დგარი პროცეხია ინკოვნიტოდ ვადაას-
ვენებს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, იქ-
ვე. საავადმყოფოს ვადაღმა. მისი გარ-
დაცვალების გამო არათუ ნეკროლოგს,
ცნობასაც არ გამოაქვეყნებენ. მწერალ-

თა ფედერაცია დუმილით მიაგებს პატივს პოეტის ხსოვნას, ავი დრო-ჟამით სიცოცხლამწარებულს, არც იმ სოფლად დააკლებენ დევნას: სატანის მსტოვრები მისი სახელის აღმოფხვრასაც კი შეეცდებიან. ასე რომ, — ტერენტი გრაქელისათვის ოცდაჩვიდმეტი წელი გატლებით ადრე დაიწყო, ვიდრე იგი თავისი სრული აყვავების ხანას მიაღწევდა... მათ არ უწყობდნენ და ვერც ვერასოდეს შეიგნეს, რომ ქვეყნად არსებობენ მოხეტიალე უთავსასთუმლო მიუსაფარი პოეტები, პოეტი-ბავშვები, რომელთაც ცოტა სითბო, ცოტა თანაგრძნობა და ერთი ნატეხი პური სჭირდებათ... მათ არ უწყობდნენ და ვერც ვერასოდეს შეიგნეს, რომ სილატაკით ქანცაწვეტილ პოეტებს პოეზია იცავს მსახურალის ხელი-საგან, რომ ანათემითა და ექსორიით ვერ წაართმევენ იმას, რისთვისაც მუხლმოყრილი დღენიდაგ ლოცულობენ, რაც დუმიური ბედისწერით განჩინებულა მათთვის. საგულისხმოა, რომ პოეტის გარდაცვალებიდან გაივლის მეოთხედი საუკუნე და გაქრობის პირზე მისულ მის საფლავს სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი იხსნის დალუპვისაგან.

§ 5. და როცა დღეს მეოცე საუკუნის ღომალდი ტორტმანით უახლოვდება ახალ ნაპირს, როცა ყოველივე დაიწყინდა, ქვიშასავით გაიცრა დროის ქარტე-

ხილებში, როცა დიდების ~~დამღწმუნებელი~~ ბეჭდილი ღირებულებანი ~~გამოფხვნილი~~ ებული პერგამენტივით ხელში შემოგვეფშენა, როცა შავანნი, ვინც ტერენტი გრანელის ცხოვრების ბედს განაგებდნენ და მის წამებულ წუთისოფელს აბუნად იგდებდნენ, დავიწყების უწყვედიადეს უფსკრულებში შთაინთქნენ, — დიადი მსაჯულის უხილავი კვერთხი იდუმალად ებება საუკუნელამენათევი პოეტის ყარბულ სამოსს, რომლის უბეშიც იგი სასიუბით მალავს თავის „სისხლიან რვეულს“, და ანიშნებს ახალ მიწაზე გადასვლას. და როგორც სტრადიუარიუსის ეიოლინო, ძველი სახლის სხვეზე აღმორჩენილი, სათუთად მტკვრგადაცლილი, ფილიგრანული დიდოსტატობით აღდგენილი, ხემის შეხებისთანავე იწყებს ახალ სიცოცხლეს, ამგვარადვე ტერენტი გრანელის პოეზიაც იწყებს ახალ სიცოცხლეს. და მჯერა, როცა ახალი დროის ადამიანები გაიხსენებენ მის ტანჯულ სახეს, — ერთის წამით ჩაფიქრდებიან, მოწყვდებიან წარმატალ ყოფიერებას და სინანულით მოიგონებენ სტრიქონებს:

იხვე სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
 არ მინდა გული სამარეს მიეცე.
 მე ხომ მინდოდა გახვლა მიწიდან,
 მე ხომ მინდოდა გაფრენა ციხიდან.





დავით თაყაიძე

„ოლე“—თავისუფალი საქართველოს სიგოლო

„აღმოაცენა ღმერთმან... ხე ცხო-
ვრებისა და ხე იგი ცნობად კეთი-
ლისა და ბოროტისად“.

ბიბლია..

ხეა, ხეა ზერაუანდი

ზედ ასხია შარაუანდი.

ხალხური, გ. ლეონიძის მოთხრობიდან
„ნატერის ხე“.

ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში ყოველ-
თვის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას,
განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი წარ-
მოსახავს თანამედროვეობის მწვავე ერ-
ოვნულ-პოლიტიკურ რთულ ვითარებას
და მიმართულია არსებული წყობილების
წინააღმდეგ. ამ დროს ძნელია, ბოლომდე
გაიცნობიერო შემოქმედის ჩანაფიქრი,
ჩაიხედო მის ლაბორატორიაში და ჩას-
წვდე მხატვრული ოსტატობის ხერხებს;
მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ
მწერალს საბჭოურ ეპოქაში დიდი შე-
მოქმედებითი ძიებებით უნდა მიეგნო
ისეთი მხატვრული ფორმებისათვის, რო-
მელთა შეცნობას ცენზურა ვერ შეძლებ-
და, ამასთან დიდი სიფრთხილე მართებ-
და თვით კრიტიკოს-მკვლევარსაც. რომ
„ველაფერი არ ეთქვა“ და სიფრთხი-
ლით მოპკიდებოდა მწერლის სახელს,
რომ მთავრობას ფიზიკურად არ გაენად-
გურებინა იგი.

არის კიდევ ერთი გარემოება: ესაა
დროის ფაქტორი, რომელიც განსაზღ-
ვრავს მხატვრული ქმნილების აღქმას;
არა თუ ეპოქის ცვლილება, დროის ფო-
ველი პერიოდი შესაძლებლობას გვაძ-
ლევს, ახალი თვალით შევხედოთ ნაწარ-
მოებს და მასში ამოვიკითხოთ ახალი
ესთეტიკურ-საზოგადოებრივი იდეალები,
რომელთა შენიშვნა ადრე შეუძლე-
ბელი იყო. აქ სწორი იქნება დავისძინ-
ოთ, რომ ამ ახალ იდეალებს თვით დრო
წამოსწევს, თვით დრო გვიმზადებს და
მკვლევარებს უადვილებს ახალი თვალ-
თახედვით გააშუქოს ნაწარმოები, რაც
ადრე შეუძლებლად გვეჩვენებოდა.

ამ პრინციპებით უნდა მიუდგეთ
დღეს დიდი ქართველი პოეტის, გიორ-
გი ლეონიძის შემოქმედების ანალიზს და,
კერძოდ, მის ლირიკულ-მოეტურ შე-
დევრს — „ოლეს“.

ტოტალიტარული წყობილების პირობებში, ანუ პოეტის სიცოცხლეში, „ოლე“ შეფასება შეუძლებელი გახდა, თუმცა იგი აღიარებული იყო „გიორგი ლეონიძის შემოქმედების მწვერვალად“ არა მხოლოდ მის პოეზიაში, არამედ, საზოგადოდ, XX საუკუნის ქართულ პოეტურ სამყაროში.

ამის მიუხედავად, ამ ნაწარმოების შეფასებას ბევრი მკვლევარი არიდებს თავს და ლეონიძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებშიც კი არ მოიხსენიება; მკვლევართა დიდ ნაწილს „ოლე“ მიაჩნია „მარტოობის თემაზე“ დაწერილ ნაწარმოებად. აქედან მას უკავშირებენ ინდივიდუალისტურ ბუნებას, ზოგიერთი კი მას სატრფიალო მოტივზე დაწერილ ქმნილებებს აკუთვნებს.

ამ ლექსის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა შორის ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ვიორგი მარგველაშვილის, ემზარ კეიტაიშვილისა და ნათელა ონაშვილის წერილებმა (ბოლო ორი წერილი გამოქვეყნდა კრებულში „ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი“, 1995, რედ. აკაკი ხინთიბიძე). მათ ყველაზე ფართოდ განიხილეს „ოლე“, მისი არაერთი მხატვრული თავისებურება და პოეტური სახე გახსნეს; სავესებით სწორად დაუკავე შირეს ქართულ ეროვნულ ფესვებსა და ფოლკლორს, მოძებნეს პარალელები სხვა ცნობილ პოეტურ ქმნილებებთან, საგანგებოდ შეჩერდნენ პოეტის ოსტატობასა და ლექსის მხატვრულ ადგილებზე, რომლებიც შედევრების ტოლფასია.

ე. კეიტაიშვილმა შენიშნა მოულოდნელი პოეტური გადასვლები, რომლის დროს პოეტი მიმართავს კონტრასტებს, ასახავს ოლეს სწრაფვას ზესთა სამყაროსაკენ, „მის დაუძლეველ ფინს ვარსკვლავთა საუფლოში აჭრისა“;

ნ. ონაშვილმა გახსნა მთელი რიგი პოეტური სახეები, თავადაც შეეცადა მხატვრულად გადმოეცა ლექსის შინაარსი, რომ შეითხველისათვის გაეადვილებინა ნაწარმოების ემოციური აღქმა (მიზანსაც მიაღწია), წინა პლანზე წა-
10. „მნათობი“, № 3—4.

მოსწია „მარტოობის მოტივი“¹ და შენიშნა, „რომ მარტოობის ეპიკურული რკალიდან თავის დაღწევა მხოლოდ საკუთარი სულიერი ძალების აღდგენით არის შესაძლებელი. ეს ძალები კი რწმენაში უნდა აღადგინოს“, — წერს იგი, მიუთითებს აგრეთვე ნაწარმოების დიდ პუმაინიზმზე.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ორი გამოკვლევა დიდი წვლილია „ოლელოგიაში“.

ამ გამოკვლევებთან ერთად, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ოლე“ გიორგი მარგველაშვილისეული შეფასება, მის მიერ „ოლე“ მოაზრებულია როგორც „ფილოსოფიურ-სიმბოლური აზრის პოეტური სახე“, რომელიც ლექსში აერთიანებს ადამიანის ბედსა და პოეტის ბედს **სამშობლოს არსებობასთან** ერთად. „მარტოობა, — წერს ავტორი, — იანაბრად დამღუპველია სამივესათვის“ („ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“, 1977, გვ. 56. რუსულ ენაზე, მოსკოვი).

ამ შეფასებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მკვლევარმა საზოგადოდ აღამიანისა და პოეტის ბედს დაუკავშირა „სამშობლოს არსებობის“ აუცილებლობა, თუმცა სამიოდე სტრიქონის ზემოთ მკვლევარი მიუთითებდა მხოლოდ სამ მოტივზე: ფილოსოფიურზე, ეთიკურსა და სოციალურზე.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებისა და თუნდაც მისი ერთი ნაწარმოების ანალიზი მკვლევარს ავალდებულებს, გაითვალისწინოს მთელი მისი პოეზიის ლიტმოტივი.

ამ მხრივ, თუ თვით პოეტს დავეკითხებით, გვასუბოხს: „სამშობლოც ისევე შენ ხარ პირველი: ტორტმანებ გულში, როგორც მეწყერი... შენი შენდამი ვარ შემწირველი, მღალაღებელი, ლექსით მეტყველი“. („სამშობლო“, 1959).

ისიც ვასათვალისწინებელია, რომ ლეონიძე პოეზიაში დიდი ვაჟის ნათლულია, მისი დალოცვილი და მუდამ ახსოვს, როგორ დალოცა ვაჟა-ფშაველამ: „დამსკლარი ხელი თავზე დაადო“...

„ოლე“, უპირველეს ყოვლისა, ეგრდნობა ეროვნულ ცნობიერებას, იგი ორ-

განული გავრძელება ავტორის ოციანი წლების პოეტური შედეგების რკალისა და ახალ ეტაპს ქმნის არა მხოლოდ მწერლის პოეტურ აზროვნებაში, არამედ ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში.

„ოლე“-ში თემის არაორდინალური გახსნა და მძიმე დრამატულ-ობტიმისტური მურათების მონაცვლეობა ქმნის ქართულ კოლორიტულ ფერადოვან მხატვრულ-ლირიკულ ტილოს.

ზე, საერთოდ, თავისი არსით და დანიშნულებით განუყრელია ადამიანის ცნობიერებისა და ყოფისაგან; ამიტომ უძველესი ხანიდანვე ფართოდ გავრცელდა ხის კულტი მთელს ხმელეთზე; შუმერთა ქვეყანაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში ყოველ ხეს საკუთარი ნიშნა ჰყავდა, ზე ითვლებოდა ერთგვარ „ცის კბედ“, სადაც „ღმერთები“ იყრიდნენ თავს.

ხის კულტი გამოიყენებოდა წარმართულ ეპოქაში სხვადასხვა რელიგიური რიტუალებისათვის, კერძოდ, საქართველოშიც. მაგალითად, ჭყონდიდშიც, სადაც ხდებოდა მსხვერპლშეწირვა. ჩვენ ვიცნობთ „ძველ აღთქმისეულ „სიცოცხლის ხეს“ და „ცნობადის ხეს“, ადამიანის მიერ „კეთილისა და ბოროტის შეცნობა“ ხომ ამ აკრძალული ხის ნაყოფის გახიზვასთანაა დაკავშირებული.

მსოფლიო მითოლოგიაში არის ხეები, რომელთა ფესვები ქვესკნელშიც აღწევენ, რაც მის მიწასთან კავშირზე მიუთითებს.

ხეთა გრანდიოზული სიდიდე და მათი მაგიური მნიშვნელობის სიდიადის გამოხატვა შეუძლებელი გახდა ადამიანის ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაზე; ამის გამო ხის უჩვეულო როლის გამოსახატავად ადამიანი იძულებული გახდა სიმბოლოსათვის მიემართა.

„ოლეს“ დაწერიდან 30 წლის შემდეგ მწერალი ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ნატკრის ხეს, რომელიც „ოლეს“ თავისებური გამოძახილია, თუმცა ამჯერად მას სოციალური დატვირთვა აქვს, მაგრამ თვით ნატკრის ხის სახე

გიორგი ლეონიძესთან მაინც რჩება „კედოსურ ხედ“, მწერლის მხატვრულ-მეტაფორულ და მრავალ განზომილებიან იდეალად, რომელსაც „არამშვენიერება არ სჯობია, ის თურმე ერთ საათში კიდევ აყვავდება, კიდევ ნაყოფს მოიხზამს“...

ე. კვიციანიშვილმა ხავეხებით მართებულად განიხილა ხის თემა XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვ. ლეონიძე, როდესაც „ოლეს“ შესახებ ვსაუბრობთ, უნდა მივუთითოთ ბაჩანას ლექსზე „მუზა“, რომელიც ქართველი ერისა და მისი სამშობლოს სიმტიციისა და უკვდავების სიმბოლოს წარმოადგენს, სხვათა შორის, როგორც „ოლე“, ბაჩანას მუხაც განმარტოებით დგას, უშინარია, „ვაჟაცა“ (გაპიროვნებულია), არ ეშინია არც „ქარის შხუილის“, არც „დაკლანილი ელვის“, ამაყად ელის აედარს, ქარს და ა. შ.

გიორგი ლეონიძე, რომელიც ქართულ ქარემოსთან და მიწასთან მტკიცედა დაკავშირებული თავისი ფესვებით, კარგად იცნობდა ხის კულტს, მისადმი მიძღვნილ მწერლობას, მითოლოგიასა და მის სიმბოლურ მნიშვნელობას; იგი ქმნის ლექსს შუაგულ საქართველოში, ლიახვის კლდეზე ეულად მდგარ ოლებზე, როგორც ადგილის დედაზე, ერისა და ქვეყნის „სიცოცხლის ხეზე“, როგორც ზირ-ვარამში გამოვლილ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოზე.

ის, რომ მწერალი ლექსში კონკრეტულ ხეს მიმართავს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხეზე არ მიგვითითებს. ოლე მკითხველის ცნობიერებაში მკვიდრდება, როგორც საქართველოს ისტორიული სახე – სამშობლო, რომელიც შინაგანი აწილობით „შვინიდან გამოშწვარა, გაბზარულა და გახეთქილა კეცად“;

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებათა მიუხედავად, შევეცდებით წარმოვადგინოთ ზოგიერთი პასაჟის ჩვენული ინტერპრეტაცია, კერძოდ, „ოლე“

განვიხილოთ ისტორიულ-ეროვნული პოზიციებიდან და მასში განვკვირვოთ მოული ჩვენი უმძიმესი წარსული უკეთესი მომავლით...

პოეტს მარტოზე სახრწობელას მოაგონებს, რომელსაც თვით მთები (ჩემი აზრით, ვარემო) ახრწობს. ანალოგიური რკალები და პოეტური სახეები უხვადაა ლექსში, რომლებიც უპირატესად სტიქიური მოვლენებითაა გამოხატული. მაგრამ მათში ქვეყნის ისტორიული ბედი იკითხება (სწორედ სამშობლოზე დაფიქრება იწვევს ავტორის გულსიტკივლს!). პოეტი დიდ თანაგრძნობას იჩენს ოლესადმი... ნაწარმოების ყოველი სიტყვა და ყოველი ფრაზა ფიქრის, მოქმედებისა და განსჯის შედეგია და შეჯერებულია სიუჟეტის დინამიკასთან. ლექსის ექსპრესიულობა აღიერებს ფსიქოლოგიურ შემოქმედებას მკითხველზე, რაც ოლესადმი თანაგრძნობას იწვევს. ნაწარმოების გმირი ოლე, რომელიც ხშირად გაპიროვნებულია, მრავალგანზომილებაში იკითხება; ფართოა არა მხოლოდ მისი მოქმედების არეალი, არამედ — შინაგანი ბუნებაც. ავტორი მიმართავს ოლეს ტრანსფორმირებას და იგი ხან ერთი ბეწო, მოკუზული და „შიგნიდანვე გამოშვარი ხეა“, ხან — აღამიანი მარტის შვეკრილ ჩოხაში, ხან კი პოეტი მას ზედავს ლიახვის „რძიან ქაფში“ ტივად შემოცურებულს „გმირის“ ეს მეტამორფოზა მის მდიდარ ბუნებასა და მოქმედების მასშტაბებზე მიგვიბრუნებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ოლე მკითხველისათვის ზედროული სახეა; იგი არა მხოლოდ არსებობდა და არსებობს დღესაც, არამედ იცოცხლებს მომავალშიც, უსახლვროა მისი ვერტიკალი: „მაგრამ ცისაკენ იფურება შენი ოქროს თავი“, — მიმართავს პოეტი.

ოლეს აშინებენ ბოროტი ძალები, რომლებიც ნაწარმოებში გამოხატულია შინაური და გარეშე მტრებისა და სტიქიური ძალებით: „გელანდება ნაჯახები და გრივალი დამჯახები მწარედ ავითროლეს. ცას ჯანდების აჯანყებით,

სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს, დამდნარ ძელებით ეგებები, მარტოზე...“

აქ პოეტმა იპოვა არამხოლოდ დინამიკური რიტმულ-ვერსიფიკაციული შესაფერისი საზომები (როგორც ე. კვიციანიშვილი მიუთითებს „ლექსის საზომი ჰეტერომეტრულია — ხდება რვა და ექვსი მარცვლის თანმიმდევრული მონაცვლეობა, ორიოდე შემთხვევაში რვა მარცვლიანი სტრიქონები ერთმანეთის გვერდითაა. ამ დროს რითმა წყვილადაა, რაც გარკვეულ ეფექტს ახდენს“; (ლექსის ფერადოვან მეტყველ ეპითეტებს და საგანგებოდ შერჩეულ სიტყვებს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის ალიტერაციები).

პოეტის აზრის დენა კიდევ უფრო ძლიერდება: „ერთი ხატი უმალ მეორეს უთმობს ადგილს და ჩვენ გვაიციებს პოეტის ამოუწურავი ფანტაზიის სიძაღლე და სითამამე“ (ე. კვიციანიშვილი). ავტორის ემოციურ მუხტთან შეჯერებულია აზრობრივი ფაქტურა, რომლებიც ერთიან სიმბოლურ-ალეგორიულ გააზრებას იძენენ და ფილოსოფიურ ასპექტში იკითხება. ლექსი მდიდარია კონკრეტულ-სახეობრივი რეალობით, რომლებიც ხორცს ასხამენ სიუჟეტს და მხატვრულ-აზრობრივ ფუნქციებს ასრულებენ.

თბრობის დრამატული ტონი ტრაგიკულში გადადის; მტრების მოქნულ ნაჯახებს, დამჯახებ გრივალებს, აჯანყებულ აჯანყებს და სეტყვას კიდევ ემატება ზღვიდან წამოსული ქარი, „ბუნდარა ღრუბელი და ცაში შეკლაკნული ელვა. აქველა შენკენ შემობრუნდაო“, — მიმართავს ათროლებული პოეტი, რომ მოუსწრო სულთმობრძავ ოლეს: „ყინვის კარხი თვალს გიკაწრავს, ლაყვარდს ველარ უმზერ, წვიმის შუბი ვალესილი გიკაუნებს გულზე: მზე შემწველი, ცოფიანი: ხრწოლავს აგაბოლებს“...

ჩვენს მიერ მოტანილი პოეტური სტრიქონები საკმაოდ ძლიერია თავისი განსაკუთრებული მხატვრულ-ექსპრესიული შთამბეჭდაობით. აქ საოცრია პოეტის მდიდარი ქართული, ფერადოვა-

ნი ლექსიკა; ლეონიძის ფოველ სიტყვას თავისი სუნთქვა და სიმძაფრე აქვს (დადებითი მნიშვნელობით), რაც ემოციურ ელფერს მატებს პოეტურ ფრაზებს, რომელთა რიტმული მონაცვლეობით იქმნება წარმოუდგენლად აჩქარებული ტემპით და კეთილხმოვანებით. ამ თვისებას ჩვენ პოეტის უსახლურო ტემპერამენტი-თა და ეროვნული პოეტური გზნებით ვხსნით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ლექსის მეოთხე ნაწილში (მეოთხე თავი—დ. თ.) შემოდის ახალი მოტივი“. ამ შეხედულების ავტორს (ე. კვიციანიშვილი) მხედველობაში აქვს „ვაჟად წარმოსახული ოლეს წუხილი, რომელიც სატრფოს გამოჩენას ელის“.

ამ შეხედულებას, რა თქმა უნდა, საფუძველი აქვს და შეიძლება დავუშვათ, რომ ოლე სწორედ საყვარელს (ე. კვიციანიშვილისეული წაკითხვით — „სატრფოს“ ელის; ჩვენეული ინტერპრეტაციით კი ოლე მშველელს ელის (შეიძლება სატრფოც იყოს მშველელი), მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება მასში წარმოვიდგინოთ ქართველი ერი. ამ დასკვნას გვეკარნახობს თვით ნაწარმოების შინაარსი, ოლეს მტკიცე ბუნება და დაუმორჩილებლობა ავი ძალებისადმი; აკი თვით პოეტიც დრო და დრო ამბის მდინარეებშია შეჭრილი და შეწუხებული მძმართავს ოლეს: „ვის გასტკერი, ვის მოელი, გული ვისთვის გტკივა? ვის მიადწევს შენი ხეები, ვის კერამდე მივა?“

და შინაგანად უფრო დაძაბული ავტორი თვითონვე გამოთქვამს შიშს: „ვაი, თუ გზაში დაიღალა, ვერ იარა სწრაფად; ვაი, თუ კვირას ვერ მოვიდეს, ვერც გამოჩნდეს შაბათს! თუ მოწამლეს საყვარელი შავი ღარიშხანით და მის პერანგს აფრიალებს, გზახედ ქარიშხალი!“

ამდენად, ეს „ახალი მოტივი“ (თითქოს ხატრფოს დაგვიანებით გამოწვეული ხედა) ოლეს ტრაგიზმისაკენ ვადა-

დგმული კიდევ ერთი ნაბიჯია და კულმინაციას უახლოვდება. **შეიძლება** სწორედ ამიტომ მოუწოდებს პოეტი ოლეს მოქმედებისაკენ: „წადი, ძებნე მეგობარი, ვინმე წაიყოლე“..

აქ საინტერესო ისაა, რომ პოეტი დაბეჯითებით ეტყვის: „**სხვა რომელი დაკმახებს შეირე სახელს — ქოლე**“ (ხაზგასმა ჩვენია — დ. თ.).

ეს ორი პოეტური ფრაზა მიგვაჩინა პოეტის დიდ თანაგრძობად ოლესადმი და იმის რწმენად, რომ ოლე ელოდება თავისიანს, (შეიძლება ითქვას, თავის ხალხს, რომლის შვილი იგივე პოეტია, რომელიც არიგებს: წადი, ძებნე ე. ი. ოლე განსულიერებულია, განპიროვნებულია, ტროისის სახეა). ამდენად, იგი სამშობლოს მეტაფორაა (რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით), მასში ისტორიულად დამწუხრებულ, მაგრამ მოშალოს მქონე საქართველოს სიმბოლურ-ალეგორიულ სახეს ვხედავთ.

ამ მოტივს პოეტი განამტკიცებს ამავე (მეოთხე) თავის მეორე ნაწილში კონტრასტული ზერხით, კერძოდ, მაშინ, როცა ოლე მშველელს ელოდება, მას ტყე ეძახის. „მწვანე მხრიდან“ ტყეს იგი უნდა დიდხინიდან, უქნევს ათას ხელებს... მაგრამ მას ოლე უზასუხოდ ტოვებს: ჩანს, არ ენდობა... და აქ გამოჩნდა ოლეს, ანუ „სამშობლოს“ ღირსეული სახე, მიხი ერთგული შვილი თვით გიორგი ლეონიძე, სწორედ ის, ვისაც ელოდებოდა მშობელი, იგივე ოლე, რომელსაც პოეტი მძმართავს: „გვეო, მართო ერთეოდე, გაძილია კარი! გვეო, მხრებზე გეხვეოდეს ეხოების ქარი! მოდი ჩემთან, დაგაურო, არ ვინახავს ხემსი, მე ავიყვან ხელში, როგორც ნაპოვნ ბატკანს — მწყემსი! მოდი, მოგცე, გაგახარო, ცოლი — მეწაწოლე, ოხერო და ნამებარო, მართოხეო, ოლე!“

ამგვარად, „ოლეს“ ამ ეპიზოდისა თუ „მოტივის“ პარალელი ნ. ჩხიკვაძის ცნობილ ლექსთან და გავრცელებულ ხალხურ სიმღერასთან („სალამურმა დაიკვნესა“) რემინისცენციაა, უფრო გარეგნული ხასიათისაა, ხოლო ლეონიძის

„ოლე“ მთელი ეპოქისა და ერის ისტორიაა თავისი ტრაგიზმით... ✓

ამ ახალ „მოტივს“ უკავშირებს მკვლევარი პერსონიფიციკრებულ ტყესაც, რომელიც, შეშწნედ და უერთგულეს მგვობრად თავის თავს სთავაზობს ღიახვის კლდეზე დარჩენილ მარტოხეს.

შემდეგ იგივე ავტორი ტყის პირით აღაპარაკებს პოეტს: „მოდი ჩემთან, დაგაპურო და ა. შ.

„ოლეში“ ერთ-ერთი პერსონაჟია პოეტი (იგივე ავტორი) და მისი გაერთიანება „გმირთან“ — ოლესთან არასწორად მიგვანია, ამასთან, ლექსის ავტორი არაა მომხრე ტყესთან შერწყმისა, ამიტომ „გმირს“ — ოლეს თვითონ პოეტი ჰპირდება დაპურებას და „ხელში აყუანას“, როგორც ნაპოვნ ბატკანს — მწყემსი“.

ეს სურათი ე. კვიტიანიშვილმა შეაღარა იაკობის გოლიათურ ფიგურას, „ქრელი ბატკნის მისაფერებლად ცალ მუხლზე რომ დანოქილა და სახე უღიმის“, — დიდებული შედარებაა!..).

იგივე „პერსონაჟი“ — პოეტი (და არა ტყე) ოლეს ჰპირდება „ცოლს — მესაწოლეს“, რაც ოლეს, ანუ სამშობლოს ზომავალზე მიგვანისწებს.

ტყესთან მიმართებით ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ნ. ონაშვილმაც: „...პოეტი მანც დაჟინებით ცდილობს, შთააგონოს ოლეს, რომ ეს განზე გამოზიდული ტოტები სწორედ მისკენ გამოწვდილი მავედრებელი ხელებია, ხოლო ფოთლების ჩუმი შრიალი სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის ნაზი ოხერა“.

რატომ არ ისურვა ოლემ, შეერთებოდა (შერწყმოდა) ტყეს, ან თვით პოეტმა რატომ არ გაუერთიანა ოლე ტყეს?

ტყე, მოგეხსენებათ, მასაა, რომელშიც ჯე, როგორც ინდივიდი, მხოლოდ ტყის შემადგენელი უმცირესი ნაწილაკია და დამოუკიდებლობას მოკლებულია, ე. ი. „მე“ არ გააჩნია, საკუთარი სახე და სახელი დაკარგული აქვს.

თუ ოლე შეუერთდება ტყეს, მისი დამოუკიდებლობა უნდა წაიშალოს და შეერიოს ტყის მასას, ხადაც კერძო გათ-

ქვეფილია და მისი თვითმფრინავი არგება...

პოეტი, როგორც ჩანს, შორს იხედება, მას ურჩევნია ოლე იყოს, როგორც მარტოხე, თუნდაც შიგინდანვე გამოშწვარი მარტოობის შხამით, გაბზარული, დახეთქილი კეცად, ყორნის მიერ ჩაყვფილი, ოღონდ არსებობდეს, როგორც დამოუკიდებელი, თავის თავის პატრონი.

თუ ოლეს სამშობლოს სიმბოლურ-პეტაფორულ სახედ გავიაზრებთ, დაისმის კითხვა: რა ჯობდა საქართველოსთვის? ის, რომ შეერთებოდა „ტყეს“, ანუ რომელიმე ძლიერ მეზობელ ქვეყანას, ვთქვათ — რუსეთს, ირანს, თურქეთს და ა. შ. თუ საკუთარი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა? პასუხი ნათელია!..

პოემა, მიუხედავად მძაფრი შინაგანი კოლიზიისა, რომელიც თითქოს ტრაგიკულად უნდა დასრულებულიყო, ოპტიმისტურია, როგორც ეს აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნაწარმოების ოპტიმიზმში გეარწმუნებს თვით ოლეს გაუტეხავი ხასიათი. ლექსში ოლეს ტრაგიზმზე ძლიერია თვით ოლეს ხასიათი, რომელშიც დრო და დრო ნათელი იჭვრიტება: კოლიზიარომელიც შეიკრა პოემის დასაწყისში და თანდათან მძაფრად განვითარდა, ფინალში ოპტიმისტურია (შვითხე თავის ბოლოს, როცა ოლემ არ მიიღო ტყის მაცდუნებელი მიპატიჟება, ოლემ გაიმარჯვა); მან თვითმყოფობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა; მართალია, იგი დაზარალებული და დამწუხრებულია, მაგრამ თავისუფალია. აქ მას მხარში უდგას თვით პოეტი, დიდი მამულიშვილი, გიორგი ლეონიძე. ეს მოტივი ნაწარმოებში არგუმენტირებულია თვით ოლეს გამძლე და თავისუფლების მოტრფიალუ ხასიათით და ლექსის ცალკეული რეალიებით.

პოეტი ოლეს ხედავს როგორც მარტოკაცს (სამშობლო ხომ ადამიანს ერთი აქვს!), რომელსაც არც დედა ჰყავს, არც მამა, არც ძმა, მაგრამ ჰპირდება: „...მა-

რტი! ნიხას შევიკერავს ზანზალებით ზედა, წვიმით ქოჩორს დაივარცხნი, ღამის წვეთს სვამ რძედა... მზიარული საკრავებით გაზაფხულის ვარსკვლავები შენს ტოტებზე სხედან, ოქროსხმიან სიმღერაში თვალს ზუჭავ და ხედავ. — მაგრამ ცისკენ იყურება შენი ოქროს თავი, კომკებად და ჯიხურებად მოქპრის ღრუბლის შვაფი, მოქპრის ცაში წასაყვანად აკიბული კიბე, დაგაყრიან ტოროლები ატლასებს და დიბებს. მზე, მარჯანზე უწითლესი, მოგვეგება წინა, დაეკოცნა ველა ფესვი, გულზე მიგიწვინა. დაგესოენენ ვარსკვლავები, დაირით და დოლით გაკვერევიანეს სალამური. გათამაშეს გოლი, სთქვეს: ნურც გტკივა ნურცა გცივა, ნულარც აგათრთოლებს, ტოტზე ტოტით ვადამხვეო, მარტოხეო ოლე!"

ეს ზომ პოემის გამარჯვებული გმირი-სა და ბუნების ზეიმი, რომელიც ასე დიდოსტატურად წარმოსახა პოეტმა (დამეთანხმებით, ჩვენს საუკუნეში ასეთი ეროვნული ტემპერამენტით, პოეტური გუნებითა და ექსპრესიით დაწერა შექმნილი მხოლოდ იმ პოეტს, ვინც შეისისხლ-ხორცა ჩვენი ერის ტრადიციები, ხასიათი. შეიგრძნო მისი ხალხის ბუნება და ყოფითი რიტუალები. ამიტომ შესძლო გ. ლეონიძემ! ეწინასწარმეტყველებინა ჩვენი სამშობლოს, იგივე ოლეს, ზვალინდელი დღე, რომელიც ზღაპრული ფიქრვერკივით ბრწყინავს.

„ოლეს“ მეხუთე თავი აპოთეოზს წარმოადგენს: მაჟორული ზარ-ზეიმი, ახალ-ახალი და ფერად-ფერადი ცოცხალი, ეროვნული ყოფისათვის დამახასიათებელი სახეები აგრძელებს პოემის (მეხუთე) დამავიკრავინებელ თავს. აქ უკვე კანძი გახსნილია და ზეიმი თვით გმირის სულშია, რომელიც ზესთა სამყაროსაკენ მიემართება და კასკადივით სიწიხიდველია.

ამდენად, ნაწარმოებში მოვლენათა

1. „მარტი“ გაზაფხულის სიმბოლო ან ალეგორიაა.

ტრაგიკული გზით განვიხილავთ შეხედავად, რწმენა და ოპტიმიზმი შეიძლება.

პოემის მეექვსე თავი ერთგვარი „ეპილოგია“, რომელშიც პოეტი ოლეს „ღიახვის რძიან ქაფში“ ხედავს, როგორც ტივების წინამძღოლს“ (ცხადია, „ტივების წინამძღოლი“ პირდაპირ არ უნდა გავიგოთ).

პოეტი ოლეს კვლავ მიმართავს, როგორც მიწას მიჭვდილ რაშს: „გასჭერ, აჩქროლე, მარტოობის არტახები ვადიხიე, ოლე!.. რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა“.

მეშვიდე თავის რამდენიმე ტაქში პოეტი გულწრფელად ესიყვარულება გატანჯულ, მაგრამ თავისუფალ სამშობლოს, რომელიც ოლეს სახით სიმბოლურადაა წარმოდგენილი ღიახვის პირზე „კლდეზე მდგარი როგორც საქართველოს „სიცოცხლის ხე“. „ასე ჯერ ხეს იშვიათად თუ მოფერებია ვინმე, შთაუბერავს მისთვის ამგვარი ცხოველი სული“ (ე. კეიტიანი).

ნაწარმოების ოპტიმიზტური გადაწყვეტა შთაგონებულია ოლესა და თავისი ხალხის ერთიანობით, რომლის დირსეულ შეიღად თვით გიორგი ლეონიძე გვევლინება: „მოდე ჩემთან, ვიდრე მეხი დაგკრავს. აგაბოლებს ტყავ-დამსკდარო, ნიოხარო, მარტოხეო ოლე!“

ამგვარად, „ოლეში“ დანახულია არა მხოლოდ თავისუფალი საქართველოს სახე — სიმბოლო, არამედ გ. ლეონიძის ფიზიკური უკვდავებაც და ამ ქვეყნად ძველად დატოვებული მისი პოეტური ხატიც, ანდერძად რომ დაუსახა თავის სიცოცხლეში ვერმოსწრებული კეთილი საქმეების გაგრძელებას.

ღიახ, „ოლე“ გიორგი ლეონიძის „ფიზიკური არსებობის ზუსტად გაგრძელებაცაა და ამასთან გაგრძელებაა ოლეს, იგივე თავისუფალი საქართველოს, სულიერი და ფიზიკური სიცოცხლის, აღორძინებისა და მარადისობისაკენ სწრაფვისა!

ალექსანდრე ჭავჭავაძის შთაშობა

ცნობილი პოეტის, ქართული რომანტიზმის მამამთავრის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. თავისი დროის სახელგანთქმული დიპლომატის, გარსევან ჭავჭავაძის ერთადერთი ვაჟი ყურადღებას იპყრობდა არა მარტო იმით, რომ იყო წინეული პოეტი, მოაზროვნე და სამხედრო ასპარეზზე წარმატებული პიროვნება, არამედ იმითაც, რომ ეკუთვნოდა ბრწყინვალე არისტოკრატიულ ოჯახს. რომელიც კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისა და რუსეთის შიდალი წრეებისათვის. ბევრმა იცის, რომ პატარა ალექსანდრე 1786 წლის 19 აგვისტოს¹ მონათლა იმპერატორმა ეკატერინე II-მ. რომელმაც მას თავისი 9 წლის შვილიშვილის, შემდგომში (1801 წლიდან) რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრეს სახელი უწოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლ-კახეთის საელჩოს თავკაცის, გარსევან ჭავჭავაძის პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართ უარყოფითი აზრი იყო დამკვიდრებული. მისი ბევრი თანამედროვე და პირველ რიგში, უტახტოდ დარჩენილი ბატონიშვილები საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას გარსევან ჭავჭავაძესა და საელჩოს მდივანს, გიორგი ავალიშვილს აბრალებდა და მათ მოლატაობად მიიჩნევდა. ეს უსაფუძვლო ბრალდება ქართლ-კახეთის საელჩოს არსებობის მთელს მანძილზე დავროვე-

ბული უხეი საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე დღეს უკვე მოხსნილია გარსევან ჭავჭავაძისა და გიორგი ავალიშვილის მიმართ.² უფრო მეტიც, ამ მასალამ ისინი წარმოაჩინა პატრიოტ მოღვაწეებად, რომელთა მთელი საქმიანობა რუსეთის თვითნებურ გადაწყვეტილებამდეც (საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ქვეყნის რუსეთის გუბერნიად გამოცხადება) და მის შემდგომაც მიზნად ისახავდა საქართველოს დაწინაურებას, ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების ევროპულ ფაიდაზე ჭარბაქმნას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ერთგული კაცის ნიღაბს ამოფარებულნი, ისინი უკვე ფარულად იღვეწიან სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად და დიპლომატიის დამახასიათებელი მოქნილობით მისდევენ „ორმაგი თამაშის“ პოლიტიკას, რაც იმ დროის ბევრ ქართველ პატრიოტს ახასიათებდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა მია (მარია) იონანეს ასული ავალიშვილი ქართლ-კახეთის საელჩოს აქტიური წევრის, ცნობილი მწერლის, მთარგმნელისა და შოგზაურის, გიორგი ავალიშვილის და იყო. ლამაზი, ჭკვიანი და თავისი დროისათვის განათლებული მია დიდი გავლენით სარგებლობდა თანამედროვეებში.³ მისი მშვენიერებით მოხიბლულ დავით რექტორს მაიასთვის ლექსები მიუძღვნია.⁴ მატაკარ ვრ. გავა-

რინს კი მისი პორტრეტი დაუხატავს და პარიზის ერთ-ერთ გამოცემაში მოუთავსებია.⁵ საქართველოს ზელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია რუსული სკოლის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული მაიას პორტრეტი, რომელზეც იგი გამოხაზულია ქართული კაბით და სამკაულებით. „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მაია ქართველი საზოგადოებისა და უცხოელი სტუმრების სიმართიებს იმსახურებდა. ხშირად იხსენიება მისი სახელი შვილიშვილ ნინო ჭავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის წერილებშიც.⁶ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაიას პატრიოტული ხულისკვეთება. იგი ფოველთვის მხარში ედგა მეუღლე გარსევანსა და ძმას, გიორგის რუსეთის კოლონიური რეჟიმის საქართველოში დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ საგულისხმოა „აქტებში“ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი მონდომებით ასრულებდა შუამავლის როლს პეტერბურგში მყოფ გარსევანსა და ქართველ საზოგადოებას შორის საქართველოში დაბრუნებული მაია.⁷ საინტერესოა ახლადმოკლეული ერთი დოკუმენტის ჩვენებაც, რომელიც რუსი ჩინოვიკის მიერ შედგენილ ერთგვარ დოსიეს წარმოადგენს ქართველ თავად-ახნაურებზე. მასში მაია ასეა დახასიათებული:

„გონიერი ქალია, მაგრამ თავისი საბუნებრივი მსგავსად უფრო მეტად ინტრიგებშია გაბმული“.⁸ ამ დოკუმენტის მიხედვით ინტრიგები ახასიათებს მის ძმებს, გიორგი და სოლომონ ავალიშვილებს და მეუღლეს, გარსევანს. ცხადია ამ სიტყვაში ანტირეჟიმული ტენდენციები უნდა ვიგულისხმოთ, რაც რუს ჩინოვიკს „ინტრიგებად“ მოუნათლავს.

ალექსანდრე ჭავჭავაძეც, მამისა და ბიძის მსგავსად, ღიად განიცდიდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და

ვერ კიდევ სრულიად ანტირუსულად 18 წლისა, 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობს, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამის გამო მას ტამბოვში ასახლებენ, მაგრამ როგორც იმპერატორის ნათლულს, მალევე ათავისუფლებენ. 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგაც ალექსანდრე, როგორც შეთქმულების მონაწილე, ისევ ტამბოვში გადაასახლეს 4 წლით, მაგრამ „წინანდელი დამსახურებისათვის“ მალევე ათავისუფლეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი საყოველთაო ყურადღებითა და სიყვარულით იყო გარემოსილი ქართველი საზოგადოების მიერ. ალექსანდრეს მეუღლე იყო სარდალ ივანე ორბელიანის ასული ხალომე (გარდაიცვალა 1844 წ.). მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: ნინო (1812-1857 წწ.), ალექსანდრე გრიბოედოვის (1795-1829 წწ.) მეუღლე, ეკატერინე (1816-1882 წწ.), სამეგრელოს მთავრის დაეთ დადიანის მეუღლე (1813-1853 წწ.), დაეითი (1818-1884 წწ.), რომლის მეუღლე იყო ილია ბატონიშვილის, გიორგი XII-ის ძის, ასული ანა (1828-1905 წწ.) და სოფიო (1833-1862 წწ.), ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის (1821-1899 წწ.) მეუღლე. სიღამაზით, ჭკუითა და ქველმოქმედებით განთქმული ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებზე ბევრი დაწერილა და მათ აღარ შეეხებოთ. ვიტყვიტ მხოლოდ შემდეგს: ნინო და ალ. გრიბოედოვი მხოლოდ 4 თვის უკარდაწერილნი იყვნენ, როდესაც ალექსანდრე — რუსეთის მინისტრი — რეზიდენტი ირანში, თეირანში 1829 წლის 30 იანვარს მოკლეს. მათ შვილი არ ჰყოლიათ, ნინომ იშვილა თავისი ძმის, დავითის პატარა ასული ელენე (დაიბადა 1850 წ.), მაგრამ მათი დედაშვილობა ხანმოკლე გამოდგა: ნინო ავადმყოფობით გარდაიცვალა 1857 წელს.



ეკატერინე ჭავჭავაძის შუღლუ დავით ლევანის ძე დადიანი, სამეგრელოს მთავარი 1842-1853 წლებში, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება და, იმ დროის ბევრი განათლებული ადამიანის მსგავსად, საქართველოში ევროპული კულტურის შემოტანის მომხრე იყო. იგი ყოველნაირად ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკის გაძლიერებას და დიდად ზრუნავდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვის. მფარველობდა მეგრულ ვაჭრებს, რომლებიც ძირითადად სტამბოლთან იყვნენ დაკავშირებული. იქ გააქონდათ აბრეშუმი, თაფლი, ტყავი და მისი, რაც ადგილობრივი ბაზრობების გამართვასაც უწყობდა ხელს. 1848 წელს დავითმა მოიწვია ფრანგი როზობდრუკი და ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა გაამართვინა, სადაც ფრანგი ქალების გვერდით მეგრული ქალებიც მუშაობდნენ. მიღებულ ძაფს ჰყიდდნენ ქ. ლიონში.⁹

დავით დადიანმა ჩინებულად იცოდა ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, იყო მწერალი, მთარგმნე, განთქმული ბიბლიოფილი და კოლექციონერი. მისი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმდროინდელ საქართველოში. მარი ბროსე დავითსაც სწევია სამეგრელოში და მოხიბლულა მისი ბერძნული და რომაული მონეტების კოლექციითა და შეხანიშნავი ქართული ხელნაწერებით, რომელთაც დავითი დიდი მონდომებით აგროვებდა პლატონ იოსელიანის ხელშეწყობით. საქართველოს ისტორიის კარგ მცოდნესა და დამფასებელს, დავითს გადმოუწერია სამეგრელოს 30-მდე ეკლესიის წარწერები და 1839 წ. პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილისთვის გაუგზავნია, რომლებიც გამოუყენებია მარი ბროსეს. თეიმურაზ ბატონიშვილი დიდად აფასებდა დავითს და ხშირად უგზავნიდა ხელნაწერებს მისი კოლექციის შესახებ. 1834-1835 წლებში დავითი პეტერბურგში ყოფილა თეიმურაზთან, რომელიც მას ამხადებდა მარი ბროსეს გამყოლად საქართველოში, მაგრამ იმ

წელს მ. ბროსე ვერ ჩასულა პეტერბურგში, რის გამოც თეიმურაზი დანაწილებით წერდა მას: „აქ კარგი მგზავრი მყავდა თქვენთვის. ჩემი ლეილა დისწულის შვილი, ჩვენი ქვემო საქართველოს — მეგრელების სამთავროს მეკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზრდილი; შვენიერი ჯერეთ ყმაწვილი, ოცდაერთის წლისა იქნება ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარე, სხვა ენებისაც კარგად მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანცისკულიც იცის. ძალიან კარგი გულისა და ჭკვიანი“...¹⁰

ეკატერინესა და დავით დადიანს 4 შვილი ჰყავდა: ნიკო (1847-1903 წწ.), სალომე (1848-1913 წწ.), ანდრო (1850-1910 წწ.) და თამარი, რომელიც პატარა გარდაიცვალა. ნიკო, როგორც ძმებში უფროსი, სამეგრელოს უკანასკნელი თავადი იყო, 1953 წლიდან მამის, დავითის გარდაცვალების შემდეგ. მისი მცირეწლოვნების გამო სამთავროს განაგებდა დედა, ეკატერინე. ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) როდესაც ომერ-ფაშას რაზმები სამეგრელოში შემოიჭრნენ, ეკატერინე თავად ჩაუდგა სათავეში სახალხო თავდაცვას. საინტერესოა წერილები, რომლებიც მას გამოუგზავნეს (1855 წ. ნოემბერი) რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირეების (ინგოლი, საფრანგეთი, თურქეთი) შტაბიდან. ერთს ხელს აწერდა საფრანგეთის გენერალი გრაფი დე მეფრე, მეორეს კი — თვითონ ომერ-ფაშა. წერილებში ნათქვამია, რომ ომი მიმდინარეობდა კეთილი განზრახვით — ბოლო მოუღოს რუსეთის აგრესიას კავკასიაში და აღადგინოს მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობა. წერილების ავტორები ეკატერინეს პირდებოდნენ, რომ შენარჩუნებული იქნებოდა მისი მმართველობა სამეგრელოში და წინადადებას აძლევენ, თუ მათ მხარეს დაიჭერდა, მას შესამუბრობა მიეცემოდა ცივილიზებული ერების დიდ ოჯახში შესულიყო.¹¹ მაგრამ ეკატერინე რუსეთის ერთგულებას ინარჩუნებდა და იმედოვნებდა, რომ რუსეთის მთავრობა ჯეროვნად დააფო-

სება მის მხარდაჭერას. მან კი თავისი მაღლიერება იმით გამოხატა, რომ 1856 წელს ეკატერინე მიიწვია ალექსანდრე II-ის კორონაციაზე, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს, მიანიჭეს „სტატს-დამის“ წოდება და წმ. გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. მაგრამ ეკატერინეს უფრო მეტი სურდა — სამთავროს შენარჩუნება. რაზეც რუსეთს სხვა აზრი ჰქონდა. 1857 წელს ალექსანდრე II-მ სამეგრელოს სამთავროს გაუქმება გადაწყვიტა და ეკატერინე შვი ლეზბიურთ პეტერბურგს გაიწვია. ეკატერინე ბევრს ეცადა, სამთავრო შეენარჩუნებინა, მაგრამ ამაოდ — მან მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობა გაუხანგრძლივა სამთავროს. 1866 წელს ნიკო დადიანი — მინერელსკი აიძულეს, უარი ეთქვა მთავრის ტიტულზე, რაც სამეგრელოს სამთავროს გაუქმებას ნიშნავდა, სამაგიეროდ იგი დააჯილდოვეს I მილიონი მანეთით, მისცეს დიდი მამულები კიშინიოვში¹² და შაიორატის წესით დაუმტკიცეს მთელი მიხი მამული და სასახლე სამეგრელოში.

60-იანი წლების ბოლოს ეკატერინე საფრანგეთში, შვილებისთვის ევროპული განათლების მისაცემად მიემგზავრება. ამ დროიდან იწყება მისი ახლო ურთიერთობა საფრანგეთის სამეფო სახლთან. ეკატერინეს ოჯახი ზამთრობით პარიზში ცხოვრობდა, ზაფხულობით გერმანიაში — ჰამბურგსა და ვაისბადენში. შვილებს ქართული რომ არ დაეცემოდათ, ეკატერინემ საქართველოდან ჯერ პეტერბურგს, შემდეგ კი პარიზს გაიფილა განათლებული ახალგაზრდა მღვდელი: თევდორე ხოშტარია, რომელიც ჭადრაკის მოტრფიალაც ყოფილა.

ნიკო დადიანმა განათლება პეტერბურგსა და პარიზში მიიღო. საბოლოოდ სამხედრო ასპარეზი აირჩია სამოღვაწეოდ და რუსეთში დაბრუნდა. 1875 წლიდან კავალერგარდის პოლკში მსახურობდა. 1877 წლიდან პოლკოვნიკია, 1878 წლიდან — გენერალ-მაიორი. 1877-1878 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. ბულგარეთის ტახტიდან

ბატენბურგის ჩამოგდების შემდეგ სეთის იმპერატორმა თომასმა მისი რელოს სამთავროს გაუქმების საკომპენსაციოდ, (ნიკო მინერელსკი ბულგარეთის სამთავროს პერცივობის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ ინგლისმა მხარი არ დაუჭირა რუსეთის კანდიდატურას და ბულგარეთის მთავრად ავსტრიის პრინცი კომბურგი აირჩიეს.

იმედგაცრუებული ნიკო მინერელსკი 1888 წელს საქართველოში ჩამოდის და ზუგდიდის სასახლეში იღებს ბინას. იგი ტახტზე მეოცნებე, დიდაციობის მოყვარული მკაცრი მებატონეც არის და განათლებული ქველმოქმედი და მამულის კეთილდღეობაზე მოფიქრალი პიროვნებაც. მიუხედავად მატერიალური სირთულეებისა, რამაც იგი აიძულა გავეიდა და დაევირაებინა თავისი მამულების დიდი ნაწილი, ნიკო სოფელ გორდის დამწვარი სასწავლებლისთვის თავისი ზარჯით ქირაობს შენობას და მისი აღდგენისათვის საჭირო სამშენებლო მასალასაც უფასოდ აძლევს სკოლის მესვეურებს. მას ზუგდიდის სასახლეში გორდის მცხოვრებთათვის უფასო აფთიაქი ჰქონია გახსნილი, რისთვისაც ძალზე ემადლიერებოდა მოსახლეობა. ნიკო ზრუნავდა აგრეთვე ფოთსა და ზუგდიდს შორის რკინიგზის გაყვანაზეც და ამის განსახორციელებლად მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის დიდგაჭრებთან. ანტონოვსკი წერდა ვახ. „კვალი“ მის შესახებ: ნიკო დადიანი „ერთი უკეთესი ქველმოქმედადგანია ჩვენში“.

ნიკო დადიანს ჰქონდა იმ დროისთვის ბრწყინვალე ბიბლიოთეკა, რომლის შეგროვება მამამ დაეთმო დაიწყო. მასში შედიოდა 179 ხელნაწერი და ნახევრადი წიგნი, რომლებიც ნიკომ უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებს. 1885 წელს ნიკო ვასილ მაჩაბელს წერდა: „თუ ამ ჩემი ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება (წერა-კითხვის გამავრცელებელი, — ლ. კ.) მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყნას, მით შევრაცხ თავს ბედნიერად“.

ამ შეწირულობას დიდი რეზონანსი ჰქონია მთელს საქართველოში, ვველა გაზეთი ქებას ასხამდა ქველმოქმედს „მართლაც რომ მეფური შემოწირულობის გამო“ (გაზ. „დროება“).

ძალზე საინტერესოა ნიკო დადიანის ერთი წერილი (1885 წლისა). მასში იგი თანადგომას უცხადებს საქართველოს მოწინავე ადამიანებს — ილია ჭავჭავაძეს, იონა მეუნარეიას, დიმიტრი ყოფინასა და მრავალ სხვას, რომლებიც რუსი ფიციკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იბაღლებდნენ ხმას. ეს ის პერიოდი როდესაც რუსეთმა სამეგრელოში ქართული ენა აკრძალა და სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება შემოიღო. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს კარგად ესმოდათ ამ კამპანიის ფარული აზრი — საქართველოს გახლეჩა, მისი ერთიანობის დარღვევა და მხარეების ერთმანეთთან დაპირისპირება. ნიკო დადიანი ამის შესახებ აღშფოთებული წერდა ვახილ მაჩაბელს: „მე სამეგრელოს, იმერეთსა და გურიას უყურებ როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს. ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები“.

ნიკო დადიანს მეუღლედ ჰყავდა გრაფინია (მარია) მერი ალექსანდრეს ასული ალფერბერგი, რუსეთის იმპერატორის ერთ-ერთი მინისტრის ასული. მათ 2 შვილი ჰყოლიათ — სალომე და ნიკოლოზი.¹³ სალომე პეტერბურგის ქალაქისთავ ალექსანდრე ობოლენსკიზე გაიხოვილა. მათ 4 შვილი შესძენიათ: ალექსანდრე, სალომე, ნინო და ნიკო, რომელთაგანაც უფროსი, ალექსანდრე ამერიკაში ცხოვრობდა, დანარჩენები კი — პარიზში. სალომეს მეუღლე ყოფილა ბალაშოვი, ნინოსი — თავადი შახოვსკოი, მათი ძმა, ნიკო პარიზის რუსული ეკლესიის მღვდელი იყო. მას ცოლად ჰყოლია ვერა მაკაროვა, იგივე ვიკო ობოლენსკაია, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირი, რომელსაც ფაშისტებმა თავი მოჰკვეთეს, დაჯილ-

დობული ყოფილა საპატიო ლეგიონისა და სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1934 წლის მარტში ნიკო დადიანის ასულ სალომე მინერელსკაია-ობოლენსკაიას, რომელიც დაქვრივებული პარიზში ცხოვრობდა, სასამართლოში უჩივლია ექვთიმე თაყაიშვილისთვის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ საქართველოს სამუხუძო განმეულობას გაჰყვა მეთვალყურედ საფრანგეთში და მრავალი განსაცდელის მიუხედავად განძი იხსნა სხვადასხვა პიროვნებებისა თუ მთავრობების ხელყოფისაგან და უკლებლივ ჩამოიტანა საქართველოში 1945 წელს. სალომე, როგორც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის მემკვიდრე, მოითხოვდა დადიანების ძვირფასეულობას, რომელიც ამ სამუხუძო საუნჯის ნაწილი იყო. ექვთიმე თაყაიშვილი 7 წელს იგერიებდა სალომეს შემოტყვევებს და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწია. მთავარი საბუთი იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წ. დეკემბრის დეკრეტი ნიკოლოზ მინერელსკის მიერ თავისი ქონების ნებაყოფლობით განსახელმწიფოებრიობის შესახებ.¹⁴ განაწყენებული სალომე ამის შემდეგ გერმანიაში გამგზავრებულა.

ნიკო დადიანის ვაჟი, ნიკოლოზი, პეტერბურგში ცხოვრობდა. მან 1903 წლის 4 თებერვალს გარდაცვლილი მამის ცხედარი თბილისში ჩამოასვენა თავის სიძე, ალექსანდრე ობოლენსკისთან ერთად. ვაგხალზე მათ უამრავი ხალხი დახვედრია. დასაქვლეთისკენ მიმავალი მატარებელი სადგურებში კარგა ხნით ჩერდებოდა, რომ მოზღვაკებულ ხალხს პატივი მიეგო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნეშტისათვის. ძველი სენაკის, სამეგრელოს მთავრის რეზიდენციის, საზოგადოების წინაშე გამოსულმა ნიკოლოზ მინერელსკიმ, როცა მადლობას იხდიდა თბილი დახვედრისათვის, დაუმატა, რომ მალე სამადლობეუ სიტყვას ქართულ ენაზე გადაიხდიდა. გაზეთ „ივ-

ერიის“ ცნობით, მას სურვილი ჰქონია სამშობლოში დაბრუნებულიყო: ზამთრობით ზუგდიდის სასახლეში იცხოვრებს, ხოლო ზაფხულობით ვორდშიო, — იტყობინებოდა ვაზეთი. როგორც ჩანს, მან სურვილი ვერ შეისრულა, იგი 1918 წელს დაუხვრეტიათ პეტერბურგში.¹⁵

ეკატერინეს ასულის, სალომე დადიანის მეუღლე იყო პრინცი აშილ მიურატი — ნაპოლეონ ბონაპარტეს დის კაროლინას და მარშალ იოაჰიმ მიურატის, ნეაპოლის მეფის, შვილიშვილი. აშილის მამა, პრინცი ლუსიენი (1803-1879 წწ.), იოაჰიმის უმცროსი ვაჟი-შვილი, დიდ როლს ასრულებდა საფრანგეთში ნაპოლეონ III-ის იმპერატორობის დროს: იყო სენატორი, პონტიკორვოს თავადი. 1831 წელს ცოლად შეურთავს ულამაზესი ამერიკელი კაროლინა ჯორჯინა ფრაზერი (1810-1879 წწ.), რომელთანაც შეეძინა სამი ვაჟი და ორი ქალი: იოაჰიმი აშილი, ლუი, კაროლინა და ანა.

აშილ მიურატი დაიბადა ამერიკაში 1847 წელს. იგი იყო კარგი ვარეგნობის — ქერა, ცისფერთვა ლუბა, უადრესად კეთილი და თავაზიანი. განათლება მიიღო პარიზში. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. ერთხანს აფრიკაში მსახურობდა, იყო ევერთა პოლკის ბრწყინვალე ოფიცერი, მიღებული იყო პარიზის მაღალ საზოგადოებაში.

სალომესა და აშილის ქორწინებაში დიდი როლი უთამაშია საფრანგეთის დედოფალს, ევენიას, რომელიც 1867 წელს პარიზში მცხოვრებ ეკატერინეს სწვევია ოჯახში ქალიშვილის, სალომეს, დაბადების დღეზე. ევენიას ძალიან მოსწონებია 18 წლის სალომე თავისი ახლო ნათესავის, სასახლის კარზე აღზრდილ 20 წლის პრინც აშილისთვის. მალე ახალგაზრდებს ჯვარი დაუწერიათ ჯერ ტრიულის სასახლის კათოლიკურ ეკლესიაში, რასაც ესწრებოდნენ იმპერატორი ნაპოლეონ III და დედოფალი ევენია, შემდეგ კი, რუსეთის საელჩოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მათი ქორწილი ლუერის სასახლეში გა-

დაუხდიათ, რომელსაც თბილისის წამიერების განგებოდ ჩამოსული დაიბრუნებოდა. ეკატერინეს მძა თამადაობდა. ახალგაზრდაწერილები მალე საქართველოში ჩამოსულან ეკატერინესა და ბიძებთან — დაიბრუნებოდა და ანდრო დადიანთან ერთად.¹⁶

1869 წლის იანვარში პარიზში შვებულებიდან დაბრუნებული აშილი აღვირში გაიწვიეს. სადაც სალომეც წაიყვანა. სწორედ აქ, აღვირში (მუსტაფაში) დაიბადა მათი პირველი, ლუსიენ შარლ დაიბრუნდა.

1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისთანავე აშილი პარიზში გაზიდახვს, როგორც ნაპოლეონ III-ის აღიუტანტი. ამავე წლის 3 სექტემბერს იმპერატორი და მისი აღიუტანტი ტყვედ აღმოჩნდნენ. მით ისარგებლეს რევოლუციურმა ძალებმა და ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადეს.

ამიერიდან აშილ მიურატმა თავი დააქება სამხედრო სამსახურს და ოჯახთან ერთად პარიზში დასახლდა. მალე კი დატოვა საფრანგეთი და საქართველოსკენ გაემართა, რომელიც ზუგდიდში სტუმრობისას ისე მოსწონებია და შეკვარებია, რომ მეორე სამშობლოდ მიუჩნევიდა. იგი თავისი ოჯახით სამეგრელოში, სალხინოს სასახლეში დასახლებულა, რომელიც მისთვის ეკატერინეს უნუქებია. როგორც ვაზეთი „ივერია“ იწვევებოდა, აშილმა „გულდასმით შეისწავლა ქართული და მეგრული ლაპარაკი და როგორც თვითონ ისე შვილებს ასწავლა ქართული ენა“. განათლებულ ფრანგს სოფლის მეურნეობისთვის მოუკიდია ხელი. ფიზიკურ შრომასაც არ თავი-ღობდა, თვითონ ბარაქა და თიხნიდა და ამით მგაღიოს აძლევდა იქურტლებს. აშილს გადაშენებული ოჯახის ჯიშის ხელახლა მოუშენებია და სალხინოს გლეხობა დაუბაქმებია ვაზის მოვლითა და საუკეთესო ღვინის დაყენებით. ზრუნავდა იქაური მზარის კეთილმოწყობაზე. აშენებდა ხიდებს, გაყავდა გზები. სალხინოში აუშენებია საქალაქო სკოლა.

ამილსა და სალომეს საფრანგეთიდან ფრანგების ამაღლა ჩამოჰყოლია. მათ ევროპული ცხოვრების წესი შემოჰქონდათ სამეგრელოში, ამასთანავე სწავლობდნენ ქვეყნის ბუნებას, ბუნებრივ სიმდიდრეებს (უპირატესად ტყეებს). სურდათ საქართველო ჩაებათ საფრანგეთთან საგარეო ვაჭრობაში. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში მრავლადაა ამისი დამადასტურებელი მასალები. აქვეა საინტერესო მიმოწერაც ეკატერინესა და ნაპოლეონ III-ის ოჯახებს შორის.

ამილს საქართველოში ჩამოუტანია მიურატებისა და სამეფო სახლის ცხოვრების ამსახველი დიდძალი ლიტერატურა, ოპერებისა და ოპერეტების კლავირები (500-მდე ოპერა, 258 ოპერეტა 25 ბალეტის პარტიტურა), ვერდის, ჩიმაროზას, ბელინის, დონიცეტის, გლუკის, შტრაუსისა და სხვათა ნაწარმოებები. ყველაფერი ეს ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში.

ამილს ზუგდიდში ჰქონდა კონცერტია რომელიც განუწყვეტელ მიმოწერას აწარმოებდა საფრანგეთის გარკვეულ წრეებთან. მასასადამე, საკმაოდ აქტიური იყო კონტაქტები სამეგრელოსა და საფრანგეთს შორის. ეს კი ეთანხმებოდა იმ განწყობას, რომელიც საქართველოში ძალზე პოპულარული იყო: ევროპული კულტურის შემოტანა და ცხოვრების გარდაქმნა ევროპულ ფაიდაზე.

1895 წელს ამილ მიურატმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მისი დაკრძალვა საყოველთაო გლოვად გამოცხადდა. დასაფლავებაზე სიტყვა წარმოუთქვამს პატრ ა. ვერმიშევს, რომელშიც დაბასიათებულია განსვენებულის მოღვაწეობა საქართველოში. მოვიტანთ ნაწყვეტს: „შენ ვსურდა სამეგრელოსა და ევროპას შუა გაგვეკეთებინა ხიდი, გაგება შემაერთებელი ძაფი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვეძლებოდა დასავლეთ ევროპის ვაცნობა, მისდა წახედვით ჩვენც დაგვეწყო მუშაობა და მიგველო სწავლა-განათლება. ეს სურვილი ცოტაოდენად კიდევ მოიყვანე აღსრულებაში. ახლა საფრანგეთი კარგად

იცნობს სამეგრელოს...“ გარდაცვალების წლისთავზე ვრცელი სიტყვა მიმოწერა აკაკი წერეთელს, რომელმაც შემდეგ „აკაკის კრებულის“ პირველხავე ნომერში დაუბეჭდავს.

სალომე და ამილ მიურატებს 3 შვილი ჰყოლიათ: ლუსიენი, ნაპოლეონი და ანტუანეტა-კატერინა (ბებე). ისინი ძირითადად პარიზში ცხოვრობდნენ, მაგრამ ხშირად დედისეულ მამულშიც ჩამოდიოდნენ. ლუსიენს 1897 წელს შეურთავს მარი მოჰან შაბო, რომლის დედა იყო მწერალი ქალი, ჰერცოვის ასული დუშეს დე როანი, ავტორი წიგნისა „ნადრ-ახდილი კავკასიაში“. წიგნში ასახულია XIX ს. საქართველოს ყოფის ცალკეული მომენტები. დუშეს დე როანს უმოგზაურია საქართველოში, ყოფილა თბილისში, საიდანაც გამგზავრებულია სამეგრელოში თავის სიძესთან. იგი მოგზაურობისას წერდა დღიურებს, რომლებშიც გამქვადენებულია დიდი სიყვარული საქართველოსადმი. მისი მომხიბლავი ბუნებისა და ხალხისადმი, სიყვარული ქართველი პოეტების შემოქმედებისა, ფიქრები საქართველო-საფრანგეთის კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. სამეგრელოში მწერალს გაუცნია შვილიშვილი ამილი, ლუსიენისა და მარი შაბოს ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც იმ დროს 9 წლისა ყოფილა (დაიბადა 1898 წელს). აქვე აღვნიშნავთ, რომ 1969 წელს 71 წლის ამილი ჩამოსულა საქართველოში ქალიშვილის, სიძისა და შვილიშვილების თანხლებით. ისინი ყოფილან ზუგდიდსა და მარტვილში, ჭკადუაშსა და სალხინოში, დაუთვალეირებიათ ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი.¹⁷

ამილს 10 შვილი ჰყოლია: რომელთა შვილები დაინტერესებას ამჟღავნებენ საქართველოს მიმართ. ასე მაგალითად, 1995 წელს ზუგდიდში ჩამოვიდა სალომე, თავის მდივან პოლინასთან ერთად შემდეგ მისი ძმა ალან მიურატი მეუღლე ვერონიკასთან ერთად. ალანს ზუგდიდში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე შეუძენია სახლი. 1997 წლის იელისში მისი

დაფინანსებით საფრანგეთში ფოლკლორულ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გამგზავრებულია ზუგდიდის 2 ანსამბლი. ამჟამად აღანის ოჯახი ზუგდიდში ცხოვრობს (1997 წ. აგვისტოში დამკვიდრებულან). მათი 10 წლის გოგონა მატლდა სწავლობს მე-11 სკოლაში, სადაც ფრანგული გაძლიერებულად ისწავლება.¹⁸

ასე რომ, აშილ მიურატისა და სალომე დადიანის შემკვიდრები უბრუნდებიან ქვეყანას, რომელიც მათ პაპის პაპას მეორე სამშობლოდ მიიჩნდა.

სალომე და აშილ მიურატების მეორე ვაჟი ნაოლეონი სამხედრო პირი ყოფილა. მსახურობდა საფრანგეთის პუსართა ერთ-ერთ შენაერთში. ჭაბ. „ივერიას“ ცნობით, იგი იბრძოდა დაღესტანსა და მანჯურიაში, სადაც 1904 წელს დაჭრილა და ქრილობა დედის, სალომეს მამულში, სოფ. ჭკადუაშში მოუშუშებია.

ერთი ცნობის თანახმად აშილსა და სალომეს ქალიშვილი ანტუანეტა — ეკატერინა ხიდების მშენებელი იყო. სალომეს მისთვის დაუმტკიცებია თავისი ქონება სამეგრელოში, თვითონ კი 1913 წელს საფრანგეთში გამგზავრებულია სამკურნალოდ, სადაც იმ წელსვე გარდაცვლილა, დასაფლავებულია პარიზში.

ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის მესამე შვილი ანდრია ევროპაში სახელგანთქმული მოჭადრაკე და მეცენატი იყო. ჭადრაკი მას ბავშვობაში დედამ ასწავლა. ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში ნადიმების შემდეგ ჭადრაკში პაექრობა იმართებოდა, რომელშიც მისი ასულები — ნინო და ეკატერინეც მონაწილეობდნენ. ეს ტრადიცია ეკატერინემ ზუგდიდის სასახლეშიც გააგრძელა.

ანდრია დადიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდ ნიჭსა და სიყვარულს ამჟღავნებდა ჭადრაკისადმი, თუმცა პროფესიული მოჭადრაკე არ ყოფილა. იგი თავის ძმის მსგავსად ბევრს კითხულობდა, ეწაფებოდა განათლებას, სწავლობდა ევროპულ ენებს. 1868 წლიდან

სწავლას აგრძელებს გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1873 წელს და კვლავ პარიზში ბრუნდება, სადაც ებმება საქადრაკო ცხოვრების ფერხულში; თამაშობს მატჩებს და ხშირად იგებს კიდევ. აქ იგი ზედება ცნობილ მოჭადრაკეებს და თანდათან იხვეჭს სახელს, როგორც კომბინაციური და მწვავე სტილის მოჭადრაკე. 1874 წელს ანდრია ბრუნდება რუსეთში. სახლდება ცარსკოე სელოში და სამსახურს იწყებს ლაიბ-გვარდიის პოლკში. შვებულებას ატარებს ევროპასა და საქართველოში, ზუგდიდში, მამისეულ სასახლეში. მონაწილეობას იღებს მატჩებში ონილისშიც, ხდება ცნობილ მოჭადრაკეებს და ამარცხებს მათ. 1879 წელს რომში მიემგზავრება და სამსახურს იწყებს რუსეთის საელჩოში. აქ იგი უახლოვდება ევროპის უძლიერეს მოჭადრაკე ს. დიუბუას, რომელთანაც ნათამაშვე პარტიებს ბუჭდავს ცნობილი ინგლისური ჟურნალი „ჩეს მანთლი“. 1881-1882 წლებში ანდრია მონაწილეობს პეტერბურგის მოყვარულთა 2 ტურნირში და დაუმარცხებლად 1 ადგილს იკავებს. აქ ნათამაშვეი ერთ-ერთი პარტია თავის საქადრაკო ჟურნალში დაბუჭდა მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა სტეინიცმა, როგორც კომბინაციური სტილის საუცხოო ნიმუში. აქვეა სტეინიცის აზრი ანდრიაზე: „დადიანის თამაშში ჩვენ კვლავ ვხვდეთ პირველი რანგის გაბედულ და მახვილ გენიას“. ჟურნალმა „ჩეს მანთლიმ“ 1892 წ. იენის-იელისის წომერი მთლიანად მიუძღვნა ანდრიას. აქ დასტამბულია მისი პორტრეტი, მოკლე ბიოგრაფია და რჩეული პარტიები. ნაწყვეტი ბიოგრაფიიდან: „თავადი ლაპარაკობს 6 თანამედროვე ენაზე და სამართლიანად ითვლება ევროპის ერთ-ერთ დიდად კულტურულ პიროვნებად“. 90-იან წლებში ანდრია დადიანი სახლდება კიევში, განაგრძობს სამხედრო სამსახურს. აღწევს გენერლობას და ისევ დიდ ყურადღებას უთმობს ჭადრაკს. ცნობილი ფრანგული ჟურნალი „სტრა-

ტეფე“ აქვეყნებს მის საუკეთესო პარტიებს. 1903 წელს ცნობილი თეორეტიკოსი და ჭადრაკის პროპაგანდისტი ე. შიფერსი ბეჭდავს ანდრიას 100 ნათამაშევი პარტიის დაბოლოებებს. ვაკევი წიგნი იმავე წელს იბეჭდება ფრანგულ ენაზეც. 1897 წ. ერთ-ერთი ინგლისური ჟურნალი წერდა: „სამეგრელოს თავად დადიანის საჭადრაკო პარტიები საუკეთესოა და საჭადრაკო ლიტერატურაში დარჩება როგორც შედევი“.

ანდრია ცნობილი ყოფილა როგორც მეცენატი და საჭადრაკო ტურნირების ბრწყინვალე ორგანიზატორიც. მაგ. 1903-1904 წლებში მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირების ხელმძღვანელი და პრეზიდენტია. 1906 წელს — მილანის საერთაშორისო ტურნირის საპატიო ხელმძღვანელი. იგი საგანგებო ვილიოებსაც აწესებდა ღამაში თამაშისათვის, ცნობილია ასეთი ფაქტიც: ამერიკელმა მილიონერმა როტშილდმა მონტე-კარლოს ტურნირის ფონდში გადაიტოვა 500 ფრანკი. ანდრია დადიანმა კი — 600.

ანდრია 10 წლისა ყოფილა, როცა მის ოჯახს პეტერბურგში სწევია ილია ჭავჭავაძე რომელიც შემდგომში ხშირად დადიოდა მათთან და ჭადრაკს ეთამაშებოდა ნიჭიერ მამაწილს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახთან ვასილ და ივანე მამაბლებსაც. ივანე მამაბელს თვალდახუჭული ეთამაშებოდა თურმე ანდრია. აღ. ცაგარელიც აღნიშნავს მის თვალდახუჭულ ერთდროულ სიანსს, რომელშიც ანდრიას ვეღვა პარტია მოუვია.¹⁹

ანდრია დადიანი მარტოხელა კაცი ყოფილა. გარდაიცვალა იგი 1910 წელს კრემო, საიდანაც საქართველოში ჩამოასვენეს და დაკრძალეს ს. გორდში, საგვარეულო ეკლესიაში. მისი ხელნაწერები, ავეჯი-პირადი ნივთები დღეს ზუგდიდის მუზეუმშია დაცული. აქვეა საინტერესო ექსპონატები: ანდრიას ნაქონი სპილოს ძვლის ჭადრაკი და დედის ნაწუქარი საათი, რომელიც ამერიკაში მოხვედრილა, საიდანაც იგი ლევან

დადიანს საქართველოში გაწოდებულა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელისთვის — ილიკო ხუბიშვილისთვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთადერთმა ვაჟმა, დაეითმა განათლება პეტერბურგში მიიღო გვარდიის „პოდპრაპორშნიკთა“ სკოლაში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1834 წელს ლაიბ-გვარდიის ულანთა პოლკში. 1839-1840 წლებში მსახურობს ფსკოვის კირასირთა რაზმში, 1841 წლიდან — ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1844 წელს კახეთის ცხენოსანთა მილიციას მეთაურობს. მონაწილეობს ა. ნეიპარდტის ექსპედიციაში შამილის წინააღმდეგ. 1847 წელს კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურის მ. ვორონცოვის ადიუტანტია. 1851 წლიდან ლაიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკში მსახურობს, ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) ხელმძღვანელობს კახეთის დაცვას შამილის რაზმების თავდასხმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფლიგელ-ადიუტანტის წოდებით აჯილდოებენ. 1855 წელს თბილისის ევერთა პოლკში მსახურობს. 1861 წელს გენერალ-მაიორი ხდება და იმპერატორის ამაღლაში ირიცხება. პარალელურად განაგრძობს სამხედრო სამსახურს კავკასიის არმიამშიც.

1846 წელს დაეით ჭავჭავაძე ქორწინდება გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილისა და ანასტასია ობოლენსკიას ასულ ანაზე, ე. ი. დაეითის შვილები დედის მხრივ სამეფო სახლის — ბაგრატიონების შთამომავლები არიან. ერთი ცნობის თანახმად, დაეითის შვილები „გრუზინისკის“ გვარს ატარებდნენ. თუ ეს სწორია, მაშასადამე, ეს გვარი მათ დედისგან აუღიათ. ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს 1804 წლისა და მინისტრთა კომიტეტის 1812 წლის დადგენილებით, ქართველ მეფეთა ვაჟიშვილებს შეუნარჩუნებიათ „ბატონიშვილის“ (ცარევიჩის) ტიტული. „მათი შვილები კი უნდა იწოდებოდნენ თავად გრუზინსკებად. იმერუ-

თის ბატონიშვილთა შვილები კი — თავად იმერეტინსკებად",²⁰ ნათქვამი იყო დადგენილებაში.

ანა გრუზინსკაია (ბაგრატიონი), რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა, ევროპული განათლების კვალობაზე აღზრდილი ქალი იყო. ჩინებულად იცოდა ფრანგული ენა და კარგად ცქცევადი. დავითზე გათხოვების შემდეგ ანა განაგებდა ჭავჭავაძეების სალონს, რომელიც ძველებურად თავშეყრის უპირველესი ადგილი იყო თბილისის არისტოკრატისა.

ანას და დავითს 11 შვილი შესძენიათ, რომელთაგან 2 პატარაობაშივე გარდაცვლილა: ერთი ელისაბედი და მეორე ლიდა, რომელიც სულ რამდენიმე თვისა 1854 წლის ზაფხულში ლეკების მიერ წინანდლის სასახლის დარბევის, ვადაწვის და მძევლების გატაცების დროს დაღუპულა. აქვე აღენიშნაეთ, რომ შამილის რაზმს წინანდალში ტყვედ აუყვანია დავითის მეუღლე ანა თავისი 5 შვილით (6 წლის სალომე, 5 წლის მარტა, 3 წლის თამარი, 1 წლის ალექსანდრე და რამდენიმე თვის ლიდა). 4 წლის ელენე სტუმრად ყოფილა მამიდა ეკატერინესთან სამეგრელოში), ანას და, ილია ორბელიანის (გრიგოლის ძმა) მეუღლე ბარბარე თავისი პატარა ვაჟით და დავითის შვილების აღმზრდელი ფრანგი ქალი დრანსე.²¹ შამილმა ტყვეების დაბრუნებისათვის მოითხოვა მისი დატყვევებული ვაჟის, ჯემალ-ეღ-დინის, დის-შვილისა და სხვა ტყვეების გათავისუფლება, აგრეთვე 1 მილიონი მანეთი ვერცხლით. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩარევის შედეგად მისი შვილი გაათავისუფლეს. შამილმა მიიღო აგრეთვე 40.000 მანეთი ვერცხლის ფული (ერთ-ერთი შუამავლის მცდელობის შედეგად იგი დასთანხმდა ამ დაკლებული თანხის მიღებას). ეს გაცელა მოხდა 1855 წლის 10 მარტს, ე. ი. დატყვევებიდან 8 თვის შემდეგ.

დავით ჭავჭავაძეს კახეთში ბლომად ჰქონია მამულები, რომლებიც მას შემკვიდრობით ერგო მამისა და პაპისაგან. გარსევან ჭავჭავაძისთვის მეფეთა მიერ

ნაბოძებ წყალობათა სიგელებში ჩამოთვლილია მისი სამკვიდრო მამულები: მამულები იათუბანი, წინანდალი, ახალციხე, მესტიკუზანი, ველისციხე, შილდა, შალვაური, ქვემო ხოდაშენი, ახთალა და სხვ.²² ერთი ცნობის თანახმად, დავითს მამულები ჰქონია სომხეთშიც, დილიჯანსში.

დავით ჭავჭავაძის ოჯახს, ისევე როგორც მის დებს — ნინოსა და ეკატერინეს, ძალზე უყვარდა სოფელი წინანდალი, ბუნებითა და ჰავით გამორჩეული, მამის, ალექსანდრეს გაშენებული უღამაზესი ბაღითა და სახლით. ამიტომ ზაფხულის თვეებს ჩვეულებრივ იქ ატარებდნენ ზოლმე ნათესაე-მეგობრებთან ერთად. დავითს, მამის მსგავსად, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონია იქაურ გლეხებთან.²³ მას შვილებისთვის პარიზიდან ჩამოუყვანია ფრანგული ენის მასწავლებელი, პოლინა ესკაზო, რომელიც შემდგომში მამულების „ეკონომკად“ დაუნიშნავს. პოლინა მალე ცოლად გაჰყოლია წინანდლის მკვიდრს, იოსებ საგინაშვილს.²⁴ ამის შემდეგ დავითის შვილების აღმზრდელია ფრანგი ქალი დრანსე, რომელიც მის ოჯახთან ერთად შამილის ტყვეობაში აღმოჩნდა.

დავით ჭავჭავაძეს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ჰყავდა. ჩვენ შევეცადეთ, დაგვეძებნა მასალები მათ შესახებ. ზოგიერთზე მუწწი ცნობები მოვიპოვეთ, ზოგზე — შედარებით უხვი.

დავითის უფროსი ქალიშვილის, სალომეს (1848-1919 წწ., პეტროგრადი, ინვალიდთა სახლი) მეუღლე იყო ბარონი მაქსიმილიანე ოსტენსაკენი. მათ 5 ქალიშვილი ჰყოლიათ: ნატალია, ანა-ოლგა, სოფიო და მარია; რომელიც ბავშვობაშივე გარდაცვლილა. ყველანი საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ და იქვე გარდაიცვალნენ. ნატალიას მეუღლე ყოფილა რუმინელი ნიკუ კაპშა. მათ 2 შვილი ჰყოლიათ — კონსტანტინე, რომელიც რუმინეთში ცხოვრობდა და მაქსიმილიანე (მაქსი), რომელიც ბიძას, ვლადიმერ ოსტენ-საკენს უშვილებია. მაქსიმილიანეს ცოლად ჰყოლია ნინა ბორისის ასული ლიქინა, ანას (ანეტას)

მეუღლე ყოფილა პეტრე ლევანის ძე მე-ლიქიშვილი, რომლისგანაც 2 ვაჟი შესძენია: ლევანი და მაქსიმილიანე. ლევანს პირველ ცოლად ჰყოლია პერცოვის ასული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ლეიხტენბერგსკაია, მეორე ცოლად — ამერიკელი (გვარი უცნობია). ლევანი გარდაცვლილა XX ს. 20-იან თუ 30-იან წლებში აქენდიციტის ოპერაციის დროს ვეშუ, რომელიც ევროპიდან მოდიოდა. მაქსიმილიანეს ცოლად ჰყოლია ინგლისელი ქალი. მაქსიმილიანე გარდაცვლილა ლონდონში II სამამულო ომის შემდეგ.

ოლგა ცხოვრობდა პარიზში. მისი მეუღლე ყოფილა გენერალი კონსტანტინე თევდორეს ძე ბრუმერი. მათ ერთი ვაჟი — თევდორე ჰყოლიათ, რომლის მეუღლე ფრანგი ყოფილა.

სოფიას მეუღლე იყო ანდრეი ალექსანდრეს ძე ტრეგუბოვი. ჰყოლიათ ერთი ვაჟი იური, რომელიც გერმანიაში ცხოვრობდა.

დავით ჭავჭავაძის მომდევნო ქალიშვილს მარია (1849-1921 წწ. ბათუმი) მეუღლედ ჰყოლია ცნობილი ქართველი გენერალი ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე (1825-1905 წწ.), წინანდლის მკვიდრი. ზაქარია 1842-59 წლებში მსახურობდა ნიჭი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა ბრძოლებში კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ და ყირიმის ომში (1853-1856 წწ.). კრუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-78) მეთაურობდა კავკასიის ფრონტზე მოქმედი კორპუსის კავალერიას. 1878-85 წლებში კავალერიის დივიზიის მეთაურია. 1885-93 წლებში — კავკასიის არმიის I კორპუსისა. მარიასა და ზაქარიას 6 შვილი ჰყავდათ: ალექსანდრე, ელისაბედი, მაქსიმილიანე, სოფიო, დავითი და ანა. ალექსანდრეს მეუღლე ყოფილა მარია პავლეს ასული როძიანკო, რომლის გარდაცვალების შემდეგ შურთავს მეორე ცოლი — ხაკოვა-სუზომლინა. ალექსანდრეს პირველ ცოლთან 11. „მთაბო“, № 3-4.

ჰყოლია 3 შვილი: პავლე, მერიეტა (ფიმა) და იური. პიანისტი, რომელიც ცხოვრობდა მობილო კატასტროფაში დაღუპულა. პავლე ცხოვრობდა ამერიკაში, მისი შვილი უნდა იყოს დავით პავლეს ძე ჭავჭავაძე, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ამერიკაში, ვაშინგტონში. ელისაბედის, (ლიზას) (გარდაიცვალა მოსკოვში 1812 წ.) მეუღლე ყოფილა ივანე კონსტანტინეს ძე ლასკარი. მათ ჰყოლიათ ერთი ქალიშვილი — მარინა. ივანე ლასკარის და — ელისაბედი ცოლად ჰყოლია ელისაბედ ჭავჭავაძის ძმას, დავითს (გარდაიცვალა თბილისში), რომელიც I მსოფლიო ომის მონაწილე და საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ყოფილა. მაქსიმილიანე (მეუღლე ევგენია პავლეს ასული შაბლიკინა) იურისტი ყოფილა; გლეხების მოსარჩლე და დამხმარე, გარდაცვლილა თბილისში 1933 წელს. ანას მეუღლე იყო ალექსანდრე პეტრეს ძე ოპოინინი, ზოლო სოფიასი — ბესარაბიელი რიშკინ-ფერიუჟინსკი.

დავით ჭავჭავაძის მესამე ქალიშვილს ელენესა (1850-1929 წწ.) და გენერალ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ასტაფიევის 3 შვილი ჰყოლიათ: ნინა (გარდაიცვალა 1943 წ.), ლიდა (გარდაიცვალა 1932 წ.) და დიმიტრი (გარდაიცვალა 1942 წ.) სამივე თბილისში ცხოვრობდა. ლიდას მეუღლე ყოფილა ალექსანდრე იაკოვლევი, რომლისგანაც 5 შვილი შესძენია: ელენა//დუსია (მეუღლე პუზანოვი, ცხოვრობდნენ კონსტანტინოპოლში), ნატალია (ტატა) (მეუღლე აშანინი), ნიკოლოზი (კაკო) (მამასთან ერთად წასულა საზღვარგარეთ), ალექსანდრე (ჩრდილოეთში გარდაცვლილა) და ეკატერინა (კატია), რომელიც თბილისში ცხოვრობდა და რამდენიმე წლის წინათ (1990 წ.) გარდაიცვალა. მას შვილები არ დარჩენია.

დავითის მეოთხე ქალიშვილს, თამარის (1852-1933 წწ. თბილისი) მეუღლე იყო ირაკლი ბაგრატიონი (გრუზინსკი, 1827-1882 წწ. დასაფლავებულია მტბეთაში, სვეტიცხოველში), ერეკლე II-ის ძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, რუ-

სეთის იმპერიის წინააღმდეგ დაუცხრო-
მელი მებრძოლის, ვაჟი. ირაკლი სწავ-
ლობდა რუსეთში, სამხედრო სასწავ-
ლებელში, რომლის დამთავრების შემ-
დეგ მცირე ხანს დაღესტანში იმყოფე-
ბოდა შემდეგ კი თბილისში ცხოვრობ-
და. თამარსა და ირაკლი ბაგრატიონს 4
შვილი ჰყავდათ: ელისაბედი (1871-
1942 წწ.), ეკატერინე, მართა და ალ-
ექსანდრე. ეს ორი უკანასკნელი ბავშ-
ვობაშივე გარდაიცვლილა.

მუულის გარდაცვალების შემდეგ თა-
მარი შვილებითურთ საზღვარგარეთ გა-
მგზავრებულია: მცირე ხანს გერმანიაში
ცხოვრობდნენ, შემდეგ საფრანგეთში გა-
დასულან. ელისაბედი და ეკატერინე
სწავლობდნენ პარიზში, საკრე-კაორის
პრივილეგირებულ დახურულ სასწავლე-
ბელში, შემდეგ უნივერსიტეტში. ლი-
ტერატურის ფაკულტეტზე. უცხოურაით
რტალიასა (ვენეცია, ფლორენცია) და
შვეიცარიაშიც. ერთი ზამთარი პეტერ-
ბურგში გაუტარებიათ, 1896 წელს კი
თბილისში დაბრუნებულან. აქ ელისა-
ბედი ცოლად გაჰყოლია მამუკა (მაკარი)
ივანეს ძე ორბელიანს, რომელიც „მდი-
დარი, მაგრამ ეტყობა, სრულიად უმ-
ნიშვნელო პიროვნება ყოფილა, ერთი
იმათგანი, თბილისის გოგირდოვანი აბა-
ნოები რომ ეკუთვნოდა“.²⁵ მათ 2 ვაჟი
ჰყოლიათ — თამაზი (1899-1936 წწ.),
ინგლისური ენის მასწავლებელი თბი-
ლისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-
ტში და ერეკლე (დაიბადა 1902 წ.), პი-
ანისტი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობ-
და და იქვე გარდაიცვალა.²⁶

ელისაბედს კარგად სცოდნია ქართუ-
ლი, რუსული, ასევე კარგად (მშობლი-
ურ ენასავით) ფრანგული და ინგლისუ-
რი. მას იმდენად ღრმად შეუსწავლია
ფრანგული, რომ სრულყოფილად აუთ-
ოხსებია ლექსის თხზვის ტექნიკა და
ტრიოლეტებსაც წერდა თურმე. 1910
წელს საფრანგეთში დაბეჭდილა მისი
ლექსების კრებული ფრანგულ ენაზე
„საზნადარის“ ფსევდონიმით. საინტერე-
სოა, რომ ელისაბედის ლექსი „თამარ
მეფე და მისი შვილი“ ფრანგულიდან

სიტყვა-სიტყვით უთარგმნია ქართულად
ნიშვილს, ხოლო გაულექსებულ ფრანგულ
შვილს და დაუბეჭდავს თავის „რწეულ-
ში“.²⁷

ერთ სავაზეთო სტატიაში, რომელიც
ელისაბედს ეძღვნება (ავტორია ნინო
ჩიხლაძე), იგი დახასიათებულია რო-
გორც პოეტი, მწერალი, მთარგმნელი,
ფურნალისტი და თეატრმცოდნე. ელი-
საბედს ფრანგულ ენაზე შეუდგენია ან-
თოლოგია, რომელიც შეიცავდა რომან-
ტიკოსი პოეტების, ალ. ჭავჭავაძის, ვრ.
ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შე-
მოქმედების ნიმუშების მისეულ თარგ-
მანებს. ამ ანთოლოგიით მან პატივი მი-
აგო თავისი დიდი პაპის, ალექსანდრე
ჭავჭავაძის ხსოვნასაც.

1918 წელს ელისაბედი მიუწვევიათ
თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტე-
ტში ფრანგული ენის მასწავლებლად. აქ
მან 1925 წელს ს. იორდანიშვილითან ერ-
თად დაწერა უცხო ენათა შესწავლის
სახელმძღვანელო. 1919-1920 წლებში
ელისაბედი რედაქტორობდა ფრანგულ-
ენოვან გაზეთებს „თავისუფალი საქარ-
თველო“ და „საქართველოს რესპუბლი-
კა“, აგრეთვე ინგლისურენოვან გაზეთს
„საქართველოს მოამბე“. აღიარება მოუ-
ტანია ელისაბედისთვის მ. ლერმონტო-
ვის „დემონის“ ფრანგულ თარგმანს, რო-
მელიც პარიზში გამოსულა და რომლის
წინასიტყვაობა დაუწერია საფრანგეთის
აკადემიის წევრს, ცნობილ პოეტს, ფრა-
ნსუა კოქეს. ვახტანგ ბერიძის აზრით:
ამ თარგმანის ანარეკლი უნდა იყოს აკა-
კი წერეთლის წარწერა თავის ფოტო-
სურათზე. რომელიც პოეტს ელისაბე-
დისთვის ურუქებია: „ფრანცისკოვლად გი-
ყვარს წერა, რუსულს თარგმნი, ქარ-
თულს ვერა. მაგრამ შენი ქართველობა,
გეფიცება, მაინც მჯერა“. მოგვიანებით
ელისაბედს უთარგმნია მიხ ჯავახიშვი-
ლის მოთხრობებიც, რომელთაგანაც
რამდენიმე პარიზის ერთ-ერთ გაზეთში
დაუბეჭდავს. მას „არსენა მარაბდელის“
თარგმნის განზრახვაც ჰქონია. მაგრამ
ვერ განუხორციელებია. ელისაბედს
ფრანგულად უთარგმნია ილიას, აკაკის,



ვაკა-ფშაველას ლექსები, რაც მიგვანიშნებს მის ფართო დიპლომატიურ კერძო წერილის თანახმად, რომლის ავტორია ელისაბედის დისშვილი, ოლგა რატიშვილი, მას ფრანგულად უთარგმნია ოპერა „ახსალომ და ეთერის“ ლიბრეტო შ. ასლანიშვილთან ერთად.²⁸

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელისაბედის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნის საქმეში ს. იორდანიშვილთან ერთად. რომელიც ეხმარებოდა პოემის ტექსტის გაგებაში, მას პოემა უთარგმნია ლექსად. თარგმანი უნ. და დაბეჭდილიყო შოთა რუსთაველის იუბილისთვის 1937 წელს. სამწუხაროდ, ამ დროისთვის მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა და იგი მხოლოდ მოგვიანებით დაბეჭდა, 1977 წელს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ელისაბედ ორბელიანმა ს. იორდანიშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანის რედაქტირებისა და შევსების საქმეში. შემდგომში სწორედ ეს რედაქტირებული და შევსებული ინგლისური თარგმანი დაედო საფუძვლად ლი-ციეს თარგმანს ჩინურ ენაზე, რომელსაც ერთვის ელისაბედისა და ს. იორდანიშვილის შენიშვნები და კომენტარები.²⁹

თამარ ბგრატიონის (ვრუნისკაია) მეორე ქალიშვილი ეკატერინე (1872-1917 წწ. დასაფლავებულია მოსკოვში, დონის მონასტერში). მისი მეუღლე იყო ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი. რუსეთის სასახლეთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე, იგი აღსანიშნავია იმით, რომ 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის დროს ერმიტაჟის განძი გადაარჩინა. ზამთრის სასახლეში, სადაც ბრილიანტების უნიკალური კოლექცია ინახებოდა, გაძარცვის მიზნით, 25 ოქტომბერს შეჭრილან საეკვო რეპუტაციის აღამიანები, რომელთაც წინ აღდგომა ი. რატიშვილი. ამ საქციელის გამო მას ვ. ლენინის მადლობა დაუმსახურებია.

ეკატერინე და ივანე რატიშვილებს 2 შვილი ჰყოლიათ: დიმიტრი (1894-1976 წწ.) და ოლგა (დაიბადა 1902 წ.). დიმიტრი მდინარე მოსკოვში დაშრწავლა (დასაფლავებულია დონის მონასტერში). ოლგას მეუღლე ყოფილა იური სერგის ძე ლეოვი (1897-1944 წწ.). მათი ქალიშვილი ეკატერინე (ეკა, დაიბადა 1934 წ.) ფიზიკოსია. მეუღლედ ჰყავს აგრეთვე ფიზიკოსი. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე როინიშვილი (დაიბადა 1932 წ.). ცხოვრობდნენ ჯერ მოსკოვში და შემდეგ—თბილისში, ამჟამად შვეიცარიაში მუშაობენ. მათი ქალიშვილები ირინა (დაიბ. 1961 წ.) და ელენა (დაიბადა 1969 წ.) ცხოვრობენ მოსკოვში.

დავით ჭავჭავაძის მეზუთე შვილია ალექსანდრე (ანდრო) (გარდაიცვალა 1953 წ.). მას განათლება გერმანიაში მიუღია დაუმთავრებია ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. მეუღლედ ჰყოლია თინათინ (თიკო) მაღალაშვილი. სამწუხაროდ, მათი მემკვიდრეების შესახებ არაფერი ვიცით.

დავითის მეექვსე შვილი ანასტასია 1927 წ. გარდაცვლილა თბილისში. მისი მეუღლე იყო ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილი. მათ 2 შვილი ჰყოლიათ: ანა (ანეტა) გარდაიცვალა თბილისში 1943 წ.) და დავითი. დავითს ცოლად ჰყოლია გრაფ ოსტენ-საკენის ასული.

დავითის მეშვიდე შვილი ილია (1860-1920 წწ.) კონსტანტინოპოლში გარდაცვლილა. მისი მეუღლე იყო ვერა ალექსანდრეს ასული ვანნაძე. მათ 3 შვილი ჰყოლიათ: ანა (ანეტა), ნინა და დავითი (გარდაიცვალა 1900 წ.). ანას პირველი ქმრისგან, ოსიკო მამაცაშვილისგან 2 შვილი შესძენია: ვერა და მარინა, მეორე ქმრისგან, ალექსანდრე ვორონცოვ-დაშკოვისგან, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის ვაჟი იყო, აგრეთვე ორი: ილარიონი და ალექსანდრე. ვველანი პარიზში ცხოვრობდნენ. ნინას მეუღლე ყოფილა საშა აფხაზი. როგორც ჩანს, ნინას შვილი არ დარჩენია, რადგან ვათხოვების

შემდეგ მალევე გარდაცვლილა. დავითის მეუღლე ყოფილა მარო ჭყონია.

დავითის მერვე შვილის, ნინას (1861-1936 წწ., თბილისი) მეუღლე ყოფილა დავით (დათა) გიორგის ძე ჯორჯაძე. მათ 3 შვილი ჰყოლიათ: ივლიტა (1897-1975 წწ.), მარჯანიშვილის სახ. თეატრისა და კინოს მსახიობი, რომლისთვისაც პაოლო იაშვილს მიუძღვნია ლექსი. მისი მეუღლე ნიკოლოზ (ბაქი) თუთბერიძე 1924 წ. დაუხვრეტიათ. მათი შვილი ოთარი 1 წლისა გარდაცვლილა. მერაბი 1899-1944 წწ. ბელგია) და მარინა (მაკა) (1902-1989 წწ. თბილისი), მარინას მეუღლე იყო არჩილ ვახილის ძე კოკონაშვილი (რეპრესირებულია 1937 წ.). მათი ვაჟი მერაბ კოკონაშვილი ჩვენი თანამედროვე (დაიბადა 1935 წ.) და ცნობილი კინორეჟისორია (სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა 1983 წ.). მისი მეუღლეა მანანა დიმიტრის ასული მექმარიაშვილი; ჰყავს 2 ქალიშვილი — მაია და ზათუნა; ორივე პიანისტი. მაია ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს და საშემსრულებლო მოღვაწეობას ეწევა. მერაბ კოკონაშვილი ერთადერთია, რომელიც საქართველოში, თბილისში ცხოვრობს და წარმატებით მოღვაწეობს ქართული კულტურის სფეროში.

საინტერესოა მერაბ ჯორჯაძის ცხოვრების გზა. იგი 1924 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილს ვაჟყოლია ემიგრაციაში, საფრანგეთში. პარიზში ცხოვრების პერიოდში დაუმთავრებია უმაღლესი სამხედრო აკადემია, მაგრამ საფრანგეთის მოქალაქეობა არ მიუღია, რის გამოც სამსახურში ვერ მოწყობილა. საცხოვრებლად გადასულა ბელგიაში. სადაც მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში თავის მეუღლე ოლგა შნერბატოვა-ჯორჯაძესთან ერთად. მერაბს მონაწილეობა მიუღია ესპანეთის ეროვნულ მოძრაობაშიც. მის მეუღლეს, ოლგას 1989 წელს საქართველოს ზელოვნების სახელმწიფო მუზეუმისთვის საჩუქრად გადაუცია ილია ზდანევიჩის ნაწარმოები „Письмо“ (შეიქმნა 1946 წ.), რომელიც ოლგას ეძღვნება. „Письмо“ (საინტერე-

სოა იმით, რომ შემკულია ჰერმეტიკური ელემენტებით.

დავით ჭავჭავაძის მეცხრე შვილი არჩილი (1869-1913 წწ. პეტერბურგი) რომლის მეუღლე ყოფილა ნატალია სერგის ასული ხელიფანტოვა. მათ ორი შვილი ჰყოლიათ: დავითი (ბავშვობაში გარდაცვლილა) და სერგეი (დაიბადა 1898 წ.), რომელიც XX ს. 20-იან წლებში უკავალოდ დაკარგულა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაბოლარა ქალიშვილის, სოფიოს მეუღლე იყო ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე კავკასიაში, ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (1821-1899 წწ.). ა. ნიკოლაი 1848 წლიდან იყო კავკასიის მეფისნაცვლის საღამქრო კანცელარიის დირექტორი. 1852 წლიდან — კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი. მისი ზელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოში სავლება, სასამართლო და საქალაქო რეფორმები. სოფიოსა და ბარონ ნიკოლაის ჰყავდათ ერთადერთი შვილი, მარია (მაკა) (გარდაიცვალა 1919 წ. დასავლეთურულია ქაშვეთის ეკლესიაში). მისი მეუღლე ყოფილა გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე. მათ ჰყოლიათ ერთი ვაჟი, დიმიტრი, რომელიც სოხუმსა და ვაგრაში ცხოვრობდა.

* * *

როგორც ენახეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ჰყოლია. ჩვენ შევეცადეთ მიეწყების მტკვრი მოგვეცილებინა მათი სახელებისთვის და მიკვლეული მასალების შესაბამისად შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა ცნობილი პოეტის შთამომავალთა ცხოვრების მოკლე ისტორია. გულდასაწყვეტია, რომ მათი უმრავლესობა საზღვარგარეთ ცხოვრობდა: ფაშთა სიავემ, უბედობამ თუ ევროპული ცხოვრებისადმი დაუოკებელმა ღტოლვამ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტა და შესაძლებლობა მოუსპო თავიანთი ნიჭი და ენერგია მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ მოეხმარათ.

შენიშნები:

1. Камер-фурьерский церемониальный журнал, 1786 г., Стб, ст. 16.
2. ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982 წ., ღია კიკნაქე, ვიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1992 წ.
3. რუსეთის რეზიდენტი პ. კოვალენსკი ცდილობდა, მოეჭრათაჲ ჭართველი გავლენიანი პირები, მათ შორის შაიაც, რომ იგი მასზე შემომწერალ ვიორგი XII-ს არ გაექვევებინა საქართველოდან, მაგრამ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.
4. ხელნაწ. ინსტ. A 701.
5. Caucase piteregue, პარიზი, 1891 წ.
6. ი. ბალახაშვილი, გრიბოვლოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბ., 1966, გვ. 104, 117.
7. Акты, собранные Кавказско-8. ЦГВИА, Ф. БЦА, 1807, д. 389.
9. იონა შეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 152.
10. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972, გვ. 97-98.
11. ნელი მიქაია, დადიანებისა და მიურატების ურთიერთობის ისტორიიდან, ზუგდიდი, 1995, გვ. 7-8.
12. ამ თანხის ნაწილით მას კიშინიოვში სკოლის დიდი შენობა აუშენებია, რომელიც დღესაც მის სახელს უკავშირდება. ცნობა მოგვანოდა დავით დადიანის ძმის, კონსტანტინეს შთამომავალმა (მეოთხე თაობა: კონსტანტინე-გრიგოლი-კონსტანტინე-ავული), ბატონმა აგუსტი დადიანმა.
13. ნიკოს შვილები „მინგრელსკის“ გვარს ატარებდნენ.
14. ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 83-84. ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 346, 409.

15. ცნობა მოგვანოდა აგული დადიანმა.
16. ნელი მიქაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
17. მიურატებისა და დუშეს დე როანის შესახებ ცნობები მოგვეყავს ნელი მიქაიას დასახელებული ბროშურიდან.
18. ცნობა მოგვანოდა საქ. ტელერადიოს დეპარტამენტის კორესპონდენტმა ზუგდიდში დარეჯან კვარაცხელიამ.
19. თენგიზ ვიორგაძე, თამაშობს ანდრია დადიანი, თბ. 1972.
20. მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალეები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1980, გვ. 171.
21. მოგვიანებით მან საინტერესო წიგნი დაწერა შამილთან ტყვეობის შესახებ, იხ. Дрансе, Пленницы Шамиля, пер. с франц. Дзюбинского. Тиф. 1858 г.
22. საქ. ცხსა, ფ. 1450, დ. 11., ს. 10.
23. ა. საგინაშვილის მოგონებები, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ს. 13216.
24. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა ი. ძეცოვამ საშუალება მოგვცა, გავცნობოდით დავით ჭავჭავაძის შთამომავლების გენეალოგიურ ტაბულას; რომლის შემდგენელია დავითის შვილიშვილის-შვილიშვილი ეკა ლეოვა-როინიშვილი.
25. ვახტანგ ბერიძე, მოგონებები, თბ., 1987, გვ. 111.
26. ერეკლეს პორტრეტი დაუხატავს მხატვარ ქეთევან მაღალაშვილს.
27. ვრიშაშვილი ი., რჩეული, თბ., 1958, გვ. 555.
28. წერილი მოგვანოდა დიმიტრი თუმანიშვილმა.
29. ხოლომონ იორდანიშვილი, თბ., 1974, გვ. 112.



ლია გაფელეიშვილი

ნეტარი მსოვრების ქიხის გზები

(პირობი მერჯულს „გრიგოლ ხანძთელის მსოვრების“
მიხედვით)

„აპათეის“ ანუ უვნებლობის ასკეტური დოქტრინა, რომელიც ქრისტიანობის აღმოსავლურმა წრემ ჩამოაყალიბა, პრაქტიკული სიბრძნისმოყვარეობის ანუ უღაბნოში „მოქალაქეობის“ საფუძველი ორიენტირი გახდა.

ნეტარი ცხოვრების მიღწევის გზად დიდი საეკლესიო მამები სახავენ:

ა) ზნეობრივ-პრაქტიკულ (ასკეტურ) გზას, რომელიც ადამიანს ეხმარება სწორი (წესიერი) ცხოვრების ორგანიზებაში;

ბ) მეორე გზა კი ფილოსოფიურია, რომელიც პირველშიზნის შეცნობასა და ძიებაში გამოიხატება.

„ნეტარი გრიგოლი“ მოქალაქის იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელმაც მოახერხა სწორი წესიერი ცხოვრების ორგანიზება; განწმენდილი და უმანკო გულით, ხალვით სიმდაბლითა და მორჩილებით, ლოცვაში გამოწრთობილი გონებით შეიმუქნა ღმერთი და იგემა ღვთაებრივი სიტკბოება. იგი ჩვილობიდან შესწირეს ღმერთს: „და მარხვათა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩრითგანვე ღვინო და ხორცი არა შეხვდა პირსა მისსა. ეინათგან ქრისტესა განეკუთვნა სული თვისი სამკვიდრებელად, და ხატისა მონაზონებისა ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო

იგი სიმღერისაგან ყრმათაისა და სთვისცა დაფუძებულ უწოდებან მას ხართოდ იყოფეინ თვისსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო ამისთვისცა დაფუძებულ უწოდებან მას სახელი“. მას დაძლეული აქვს სიამოვნებათა სიფვარული: „რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზვობარ და ჭამადთა გულისსათქმელთა მოყვარე, არამედ თავით თვისით დანიელ წინაისწარმეტყველისა სიტყვასა იტყვიან, ვითარმედ: „ბური გულის სათქმელი არა ეჭამო“.

წმინდა მამების აზრით, ადამიანის უბედურება ის კი არ არის, რომ იგი ღვთაებრივი ემანაციის უღაბლეს საფეხურზე დგას, არამედ ის, რომ ადამიანი თავის თავში ღვთაების სახეს (ანარეკლს) მალავს, პირველ რიგში, ამპარტყენების სენის გამო. მთავარი უბედურება ამ ვერსიის მიხედვით ისაა, რომ ვერ ხერხდება სულიერი თვითგამოხატვა, თვითგანხორციელება, ამიტომ მას სჭირდება ასკეზა მორჩილებისა.

ადამიანი შეიქმნა თავისუფლებაში და დაეცა თავისუფლებაში. ცოდვითდაცემა, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, მაქსიმე აღმსარებლის აზრით, პირველ ყოვლისა, ნებელობის აქტია. „ცოდვა ღვეს ნებელობაში, ეს არის მდგომარეობა, ან სა-

ხე, ან მიზანმიმართულება ნებისა“ (გ. ფლოროვსკი)... ცოდვა მცდარი არჩევანი ან მცდარი წარმართვაა ნებისა. ადამიანი ძლეულია, შეპყრობილია ვნებებისაგან. გონება ვედარ აკონტროლებს ქვენა გრძნობებს და სტიქიურად ემორჩილება მას. გონება სავსეა გრძნობადი სახეებით, ხატებით, „ცოდვითდაცემის შემდეგ ადამიანი კარგავს ძთლიანობას, სისრულეს, მისი ბუნება ორდება, გონება უხეშდება. ივსება მიწიერი, გრძნობადი სახეებით და თვით სხეულიც ტლანქდება. გრიგოლ ნოსელი წერს: „ან ღვთაებრივი არსი უნდა გამოვაცხადოთ ვნებიანად, ან ადამიანური — უვნებლად“. გრიგოლ ნოსელი მკვეთრ ზღვარს დებს ადამიანის ეპიორიულ მდგომარეობასა და იდეალურს შორის. „პირველი არის წმინდა და უვნებელი ხატი ღვთისა, რომლისთვისაც უცხოა ღმერთის ქმნილებისათვის შეუფერებელი თვისებები. იგი ღვთაების მსგავსების ანაბეჭდებს ატარებს, როცა შეორეს თავის ბუნებაში ბევრი რამ აქვს საერთო მდაბალ, პირუტყვ ცხოველებთან“. პირველქმნილი უმანკო, უვნებელი ადამიანი ხორცშესხმა ღვთაებრივი იდეისა. ადამიანის ბუნება საბოლოოდ განკურნა ქრისტემ (რადგან ცოდვილებიც კი აღდგებიან, მაგრამ განთავისუფლებას ყველამ უნდა მიადწიოს პირადი ძალი სხმევით, „მოქალაქობით“. ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. გიორგი მერჩულეს აზრით, გრიგოლ ხანძთელს იმთავითვე ჰქონდა ცოდვითდაცემამდელი ადამის ძალი. ე. ი. მან შეძლო განღმრთობა და ღმერთთან უშუალო კავშირის აღდგენა: „და ადამისდაცა პირველ მცნებისა შეურაცხებამდე ყოველივე დამორჩილებულ იყო. ხოლო ამას მცნებათა უბიწოდ დამარხვითა ყოველივე კეთილად განემარჯვებოდა“. მას არ უფრთხიან მხეცნი, გარემომცველი სამყარო ემორჩილება მას, ირემი მშველელად მოუხმობს გრიგოლ ხანძთელს.

ცხადსა და დაფარულ ვნებებს შორის შემწყობით სძლია ხანძთელს უმთხრანად ამათ ესევითარცა ვნებათა, დაფარულთა და ცხადთა მხდომისა ღონეთა ძლიერას ეწყვებოდნეს ღირსნი ესე მაძანი მოთმინენი მრავალ სახეთა ჭირთა და მწუხარებათა ქრისტესათვის“.

ვიმრობა „მოქალაქობა“, უბირველეს ყოვლისა, ვნებებთან ბრძოლაა, რადგან ისინი არღვევენ ადამიანის სულიერ წყობას. ვიორგი მერჩულე ახსენებს ცხადსა და დაფარულ ვნებებს. დაფარული ვნებები ეს ვნებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც „ნებელობის ვნებებს“ უწოდებენ. ეს უნებელი ვნებანი, მაქსიმე აღმსარებლის აზრით, არის „შეფარული, ვუაღირებელი ნდობა, დაუკმაყოფილებელ, შემაწუხებელ სიამოვნებათა სიყვარული“ (გ. ფლოროვსკის მიხედვით), ნეტარი ავეუსტინე სიამოვნებათა რიგს მიაკუთვნებს სიამოვნებას ცქრისას (ღამაზი, სწორი ფორმების ჭვრეტა, ფერები და მისგან მოგვილი აღტაცება, ხელოვნების ნიმუშებით ტკბობა, სიამოვნება სმენისა, ჰარმონიული ჰანგების აღქმისა და ა. შ.) ეს ყველაფერი ვნებათა სამყაროს მიეკუთვნება (ა. სერგაევი, ნეტარი ავეუსტინეს ესთეტიკა, მ. 1992 წ. რუს ან ნეტარი ავეუსტინე, აღსარება, ქართული საეკლესიო კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1985 წ.) მხოლოდ ბუნების სიღამაზით ტკბობა არ ითვლება ამოუბად, რადგან წმინდა მამების აზრით, ბუნება ღმერთის შემოქმედების ანაბეჭდებს ატარებს. ეს შესანიშნავად იცის გიორგი მერჩულემ და გრიგოლ ხანძთელის მიერ მშვენივრად აღწერილი ბუნების სურათების შემდეგ დასძენს: „ხოლო წყალი კეთილი და შეშა ნებისაებრ უნაკლულიად აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა, ურიცხვი მადნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთა, ბუნებით მზიარულება მიცემულ არს ღმრთისაგან,“ გიორგი მერჩულის აზრით, ადამიანმა ყველაფერი უნდა მოი-

მოქმედოს „რათა არა დაუტეონ გონებათ მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა“, რადგან ხილული ნივთები ვნებათა ამშლელი და აღმძვრელია. გამოიყოფა ენებათა (ცხადთა და დაფარულთა) სამი ჯგუფი: თავმოყვარეობა (სხეულებრივი), ძალმომრეობა (სიძულელი) და უმეტრება (სულიერი სიბრძავე). ენებანი ძირითადად ორი პოლუსის ირგვლივ ტრიალებენ. ესენია სიამოვნება და დიდების მოყვარეობა, და კიდევ ერთი, ძლიერი ზემოქმედების ფაქტორი—დემონები, რომლებიც თავს დასტრიალებენ ვველა ადამიანს, ცდილობენ შეიტყუონ, დააინტერესონ ისინი გრძობადი სამყაროთი, მიამინონ მათი გონება და სულიერი განჭვრეტის უნარი. დემონთა ზემოქმედება ძლიერია, მაგრამ ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია ადამიანის ნებელობაზე. გონება უნდა იყოს ადამიანის მბრძანებელი, მან უნდა მოახერხოს სულიერი ძალების კონცენტრაცია, „ხილულ ნივთებთან“ არ დარჩეს, არამედ დასაყრდენი ღმერთში ემბოს და აღმოფხვრას თავისი არსებიდან ვნებები, ცოდვითი მიდრეკილებები. მათთან მუდმივი, გონებისმიერი ბრძოლა აწარმოოს, რათა ცოდვის თავიდან დაბადების საშიშროება არ გაჩნდეს. დაე, ნუ დამწუხრდება სული სიამოვნებათა დაკლების გამო, უფრო ძნელია სიძულვილისა და რისხვის ძლევა („უგუნური რისხვაჲ მოკლის“, — ამბობს ცქირის შესახებ გიორგი მერჩულე). „მომგებელი სიმდაბლცა“ უგრძობელია გარე გამლიზიანებლების მიმართ. მხოლოდ მარხვა, სხეულის გვემა ვერ გახდის ადამიანს უვნებელს. ფუჭდმეტყველებისა და ამაობის ენებას უნდა სძლიოს „მოქალაქემ“, რადგან უქმი სიტყვისა და უსარგებლო პასუხისათვის ღმერთი მიაგებს ვველას სანაცვლოს. გიორგი მერჩულე მღვდელ მატოს შესახებ წერს:

„რამეთუ წელიწადთა ორმოცთა მერეს მღვდელობასა შინა მისსა უქმი სიტყვა და უსარგებლო პასუხი არავის ესმა

მისგან, რომელი კაცთა მღვდელმთავრების, ვითარცა უფალი იტყვიან სიტყვისა უქმისა, რომელსა კაცი იტყვიან, სიტყვა მისცენ მისთვის დღესა მას საშჯელისასა“.

ბერი სიწმინდითა და კრძალულებით უნდა იყოს აღსაგებ აუცილებელი „ჭეშმარიტება ენისა და უბიწოებით კრძალვა ყოველსავე საქმესა ზედა“, ქალწულობის ასკეტური დოქტრინა, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც შინაგანი სიწმინდის იდეალი, მთავარი ფაქტორია უვნებლობის მიღწევის რთულსა და ძნელ გზაზე, რადგან სიქალწულე არ ნიშნავს მხოლოდ სხეულებრივად ქალწულს. გიორგი მერჩულე მატოს შესახებ წერს: „და ამან დაიმარხა ჭეშმარიტი ქალწულობა არა ხოლო ზორციითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყვითა, სასმენელითა და თვალითა“.

აქ ავტორი ზუსტად მიჰყვება გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებას: „სიქალწულის ქება“-ს, არ ცვლის არცერთ სიტყვას. ხოლო ბასილ დიდი თავის „ასკეტიკონში“ განმარტავს, რას ნიშნავს ქალწული თვალთ, ყურით, სულით, სიტყვითა და სასმენელით. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და ბასილ დიდის ნააზრევი ამ საკითხის ირგვლივ ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა ცნობილია, რომ ასკეტიკონის შექმნაში გრიგოლ ღვთისმეტყველიც მონაწილეობდა.

უვნებლობას ასკეტური დოქტრინა არავითარ შედავათს არ აძლევს მოქალაქეს. „და სცემდა ენებასა ზორციასა და სულისა მტერნი მოაუძღურნა.“ მხოლოდ უვნებელს შეუძლია ღმერთთან ურთიერთობა.

ეპიფანეს სიმდაბლით გამოცდის შემდეგ გრიგოლ ხანძთელი ამბობს: „ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისა-ცა ბრალთაგან, არამედ რაი სწორება არს ნათლისა და ბნელისა, რამეთუ ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი მონია სიმდაბლითა სარწმუნოითა შემკობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ“.

უწებლობის მიღწევას დიდი ძალი-
სხმევა სჭირდება. თავად წმ. გრიგოლ
ხანძთელმა პატივმოყვარეობისა და დი-
დების ვნებას მაშინ სძლია, როცა მისი
ეპისკოპოსობა განიზრახეს; მან კი არ-
ჩევანი უდაბნოს სასარგებლოდ გააკეთა,
რადგან თავი თვისი იხილა „ხო-
რციელად დიდებასა შინა, ფრიად
წუხდა გული მისი და განიზრახა ფა-
რულად სივლტოლა თვისით ქვეყანით
ხალმრთოთა წოდებითა, რომელიცა უძ-
ლოდა მას მამათ-მთავრისა აბრაჰა-
მის სახედ, და ვითარცა ისრაელნი უდ-
აბნოდ“.

ფიცხელი წესი მონაზვნური ცხოვ-
რებისა, უცხოყოფა და მარტოობა,
უარის თქმა საკუთარ ნებაზე — ასე
იწყებს გრიგოლ ხანძთელი მოქალაქო-
ბას უდაბნოში საბას, თეოდორეს და
ქრისტეფორესთან ერთად. იგი გვემს
სხეულს, იცავს უმკაცრეს მარხვას, არ
ჭამს ხორცსა და არ სვამს ღვინოს,
სწავლობს და ანალიზებს უდაბნოში
მოღვაწე ასკეტთა პრაქტიკულ გამოც-
დილებას: „ყოველთა მათ ნეტართა მო-
იხილავნ წმიდა გრიგოლ და კეთი-
ლთა ქცევათა მათთა ისწაუებნ, რომ-
ელთაგანმე ლოცვასა და მარხვასა,
რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყვა-
რულსა, რომელთაგანმე სიმშვიდესა და
განურისხველობასა, რომელთაგანმე უპ-
ოვარებასა და ქვეყანასა ზედა წოლასა,
გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთა-
განმე უძღურებასა და ხელთსაქმარსა
დუმილით და მსგავთა ამითთა სათნოე-
ბათა“ (პირველად პაზომი დიდმა შეიტა-
ნა წეს-განგებაში, ზეჯდომით ძილი,
ასევე „ხელთსაქმე დუმილით“).

გრიგოლ ხანძთელი ითვალისწინებს
უდაბნოში მოღვაწე ასკეტთა სულიერ
გამოცდილებას, ზოგს ის პირადად იც-
ნობდა, ზოვისა კი „ესმოდა სახელი და
რომელნიმე ფარულად იყვნეს“.

მაგრამ სრულყოფილი ასკეტური მო-
ღვაწეობისათვის საკმარისი არ არის
ასკეტიზმის ნეგატიური მეთოდები.

„უწებლობის“ ასკეტური მეთოდების
ზიტიურ მხარესაც ითვალისწინებს.

უნდა მოხდეს „გონების შემუსვრა“,
ზრახვების განეიტრალება და უგრძ-
ნობლობის თვითაღზრდა. აქ „ღწევა“
უარყოფითი მეთოდიდან დადებითში
გადადის; „ღწევა“ ღვთის შიშით იწყე-
ბა და ღვთის შიშითვე მთავრდება, მაგ-
რამ სიყვარული განდევნის შიშს, უფრო
სწორად კვლამოსილ კრძალვად, გარდ-
აქმნის, ამ დროს ხდება გონების მომწი-
ფება, გზის გაკვლევა და მომზადება, შე-
მცენების უფრო მაღალ საფეხურზე გა-
დასვლა, სულიერი თვალი უკვე გახელი-
ლია და სულიც მზადაა განჭკურებისათ-
ვის. „თუ ნეგატიური ასკეტიზმი გზაა გა-
წმენდისა, დადებითი ასკეტური ღწევა
გზაა შინაგანი განვითარებისა და განათ-
ლებისა: პოზიტიური ასკეტიზმი ადამი-
ანს მოწყალების, სათნოების, შინაგანი
ძალების გააქტიურებაში ეხმარება. „აზ-
როვნება, ფიქრი, დადებითი ასკეტიზ-
მის გამოცდად გვეკლინება, მაგრამ
არა იმ ხარისხით, რომელიც უარყო-
ფითი ასკეტიზმისთვისაა დამახასიათე-
ბელი, რაც ასკეტს აიძულებს უზარმა-
ზარი ენერგია დახარჯოს ხორციელ
ენებებთან და გულისთქმებთან ბრძო-
ლაში, არამედ გამოიხატება მეთოდურ
ღწევაში, ვარჯიშში, რომელიც ავითა-
რებს ადამიანში გონებასა და სიყვარულს
ზებუნებრივი რეალობისადმი, ასწავლის
თვითწარმატებას, ახდენს ყურადღე-
ბის მობილიზებას ღმერთისაკენ“

(Dictionaire Spiritualite, ti cabvie
bea ucchensne et ses ails editours
a Paris. rue de renns 117, MCM
XXXVII, გვ. 972.

გრიგოლ ხანძთელის სიბრძნისმო-
ყვარეობა გასაოცარია: „ხოლო ახლისა
შეჯდომისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპი-
რით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძვე-
ლისადა შეჯდომისანი. არამედ დაუბეჭ-
დულნი წმიდათა მოძღვართა თქვამულ-
ნი აღურაცხელნი, წარმოითქმოდეს უწ-
იგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა

ბუნებისა ჩვენისა, რამეთუ ძალი ღმრთისა სადაცა დაადგრეს, ყოველსავე აღასრულებს უფროის ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა" (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 169).

იგი განმსწავლელია „ვერთხითა სწავლისადათა“, მისი ხიბრძნე, როგორც მდინარე რწყავს და ანოყიერებს კლარჯეთის უდაბნოს.

ფებრონიას წერილი გრიგოლ ხანძთელისადმი ნათლად გვიჩვენებს იმ მოდელს „მოქალაქობისას“, რომელიც ქრისტიანულმა სამყარომ დაამკვიდრა. „არამედ მათ ყოველთა სძლო სიმდაბლემან სიწმიდითა შემკობილმან გვაშსა შენსა დანერგულმან და ცეცხლბერმან სულმან შენმან მართალმან შეწენა მტერნი იგი მავნებელნი უხილავნი და ხილულნი. ხოლო ამის მადლისათვის ძალ არს შენდა ძალი ღმრთისა, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსება გაქვს სიწმიდე, რომელ არს სამძალი ძლევისა, შეზღუდვილი სამარადისოითა ლოცვითა და მარხვითა და ფრიადი მუხლო-მოდრეკა შემწირველი ცრემლთა წმიდათა უძილთაგან თვალთა შენთა და მღვიპარისაგან სულისა შენისა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 195).

აპოკატასტაზისის ასკეტური ქნალობის ორივე გზა სახეზეა, ნეგატიურიცა და პოზიტიურიც, სინანული, ცრემლი, მარხვა, ფრიადი მუხლოდრეკა, მძღვიპარება და სიფხიზლე, გამუდმებული ლოცვა და სულიერი თვალის გახელა, სულის გაღვიძება. არის თუ არა ეს ნეტარებას მიღწეული მოქალაქის პორტრეტი? თუ მას კიდევ რაიმე აკლია... გრიგოლ ხანძთელი უწინებელია და ბრძენი. უწინებლობასა და გნოსისს ადამიანი მიჰყავს ღვთაებრივი სიყვარულისაკენ. სიყვარული კი გაასრულებს „მოქალაქობას“, ღვაწლს. იგი დაბადებს ცოდნას (გნოსის), რომელიც გამოიხატება ღმრთის შემეცნებაში. არსებობს შემეცნების ზუთი თემა 1) ღმრთის შესახებ, 2) ხილულის,

3) უხილავის, 4) ღვთაებრივი სამყაროსა და 5) განკითხვის ღმრთის შესახებ.

გრიგოლ ხანძთელის სახეც ამ განსწესების მიხედვითაა შექმნილი. მან შეიმეცნა ხილული და უხილავი გონიერი სამყარო: „რამეთუ მადლითა მით ღმრთისმხილველითა, გონიერთა და უბიწოთა, გულისხმა-ყო შეუცვალელებელი იგი სუფევა, ზეცისა მთავრობა, და მათ თანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქვეყანისა მოკვდავთა კაცთა სუფევისა და მოპრიდა ვამიერთა და ნიუციერთა ბუნებათა. რათა უკამო იგი ნათელი უძლოდის უნიუთოსა მას სამკვიდრებელსა და უცვალეებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა“. ხილულისა და უხილავის შემეცნების შემდეგ გრიგოლ ხანძთელი შეიმეცნებს ღვთაებრივ სამსჯავროსა და განკითხვის დღეს: „რაჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყვირისა ოხრა შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ დაუსრულებელთა, მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქვეყანისანი ამისთვის, რამეთუ მიეცემოდინ ყოველნი ბრალეულნი გვემთა და საარებათა, ხოლო მართალნი მათთვის იგლოვდენ, რამეთუ არს უბიწოთაცა შეძრწუნება ზარი შენი, რომლისგან მე ვძრწვი, რამეთუ განუშაადებელ ვარ არა თუ უმეცრებისა ანრდილთა შეყენებული, არამედ უღებებისა მუდგრობათაგან ძლეული ვზმობ სულთქემით“. შიში ღვთისა, გულწრფელი მონანიება, დაუკმაყოფილებლობა და თვით მხილების სურვილი აფხიზლებს გრიგოლ ხანძთელის გონებას: „რაჟამს მოიწიოს დახსნა გვამთა და მხილება ცოდვათა და კვალად განახლება და შეერთება სულისა და ზორცთა, რომელთამე ცხორებად სუკუნოდ და რომელთამე სატანჯველად საუკუნოდ, მაშინ ვინაი-ყოს ჩემდა ხსნა ბრალთა პატივისაგან?“

ღვთის შემეცნების ბოლო ეტაპი ნეტარებაა. ამ დროს „მოქალაქე“ წმიდა მღვდომარეობაში იმყოფება, თანაზიარი ხდება ღვთაებრივი ერთობისა, იგი იწყებს სამების შემეცნებას და თვითგანახლებას. „ეს არის ქორწილი და დაწინდვა სიტყვასთან. (გ. ფლოროვსკი).

განჭვრეტა მართლმორწმუნე ადამიანს ქრისტესთან მიიყვანს და ქრისტე ჩასახლდება მასში. „მოქალაქის“ მიზანი და ამოცანა მაცხოვართან შეხვედრაა, ღვთაებრივი ნეტარებაა.

წმიდა სამების შემეცნებას ახწავლის გიორგი მერჩულე თავის მოწაფეს მაკარი ოპიზელს. გრიგოლ ხანძთელი თვლის, რომ მაკარი ოპიზელის სული მზადაა სამების განჭვრეტისათვის. „ისწავე ესაიხვან, რამეთუ სერაბინთაგან ისწავა ხწორი პატივი წმიდისა სამებისა, რომელნიცა დაუღუშებულად ხმობენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, უფალი საბაოთ“, ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველი სამების სამგვაშოვნებისათვის იტყვის: „რაჟამს იფენენ სამინი სანთელნი სახლსა შინა, ვერ ეგების განყოფა ნათლისა მათისა და ვერცაღა კვალად შერეენა მათი“. ეს განმარტება

შენთვის საკმარისიაო „კმარისა მშვენიერად შენდა ყოვლით კრძამსა“

გრიგოლ ხანძთელმა აპოკატასტაზისის ანუ მოქალაქობის რთული გზა გაიარა. მან ცოდვით დაცემამდე არსებული ადამის ნიჭი და ძალა აღიდგინა, თავისი სული ააღორძინა და მწყობრ სისტემაში ჩააყენა, იმიტომ რომ მისი ნებელობა მარადიული ფასეულობებისაკენ იყო მიმართული. ცხადი და დაფარული ვნებანი ჩაახშო, უენებელი გახდა, შეიმეცნა ხილული და უხილავი, გაიგო ღვთაებრივი სამსჯავროს, განკითხვის დღის არსი, შეიმეცნა სამება, მიადწია განდმრთობას, და ამ გზით ნეტარებას. მან ღირსეულად დაასრულა ასკეტური ქმნადობა და ღვთაებრივი ნეტარება იგემა. იპოვა ნეტარი ცხოვრების გზა და როგორც პლოტინი „ენეიდებში“ იტყვის: „დაჲ, დაცხრეს სულში არა მხოლოდ სხეულისაგან გამოწვეული მღელვარება, არამედ ისიც, რაც გარეთ მყოფისაგან მომდინარეობს, მაშინ დამშვიდდეს ქვეყანა, მაშინ დამშვიდდეს ზღვა და ხმელი, ჰაერი და თვით ეს მშვენიერი ზეცაც“.



მეტი ოპიქტურობა!

საქართველო-სომხეთის ურთიერთობათა საკითხების შესწავლას ჩვეს ქვეყანაში ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. დღემდე ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ ქართველი არმენისტები, კერძოდ, ისტორიკოს-არმენისტები ერთ სამეცნიერო დაწესებულებასა ან უჯრედში გაერთიანდნენ და ერთობლივი ძალიხმევეთ იშრომონ იმ მრავალი პრობლემის შესასწავლად, რომლებიც ჯერ კიდევ საკმარისად გამოკვლეული არ არის და მეცნიერთა დიდ გარჯას მოითხოვს. მკვლევართათვის ამჟამინდელ გართულებულ პირობებში ქართველ არმენისტთა ყოველდღიური კონტაქტები კიდევ უფრო მეტად ზღვება აუცილებელი, ვიდრე ეს იყო ძველად. ასეთ გარემოში შესაძლებელი გახდება ახალი კადრის მომზადებაც, რისი საჭიროებაც უკვე დღეს მწვავედ იგრძნობა. ხოლო ახლო მომავალში, ჩემი დრმა რწმენით, ამ მხრივ საესებით უნუგეგო მდგომარეობა ყველასათვის ნათელი გახდება.

სულ სხვაგვარი ვითარებაა სომხეთის რესპუბლიკაში. ამაში თვალნათლივ დავრწმუნდი 1997 წ. ოქტომბერში, როცა ორკვირიანი მივლინებით გახლდით ქ. ერევანში. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი იყო ის სომხური სამეცნიერო თუ პოპულარული ლიტერატურა რაც 1990 წლის შემდეგ დაიხტამბა. უფრო მეტიც, ახალქალაქში გამოდის სომხური გაზეთი „ჯავახქ“ (სომხები ჯავახეთს „ჯავახქს“ ეძახიან), რომელიც ჩემთვის ხელმოუწე-

დომელია. როგორც გაირკვა, სომხეთში ამ ხნის მანძილზე დაბეჭდილი არაერთი ისეთი წიგნი, რომლის გაცნობა ქართველი სპეციალისტებისათვის აუცილებელია. ასე მაგ., ეჯმიანის (ენშიაძის) საპატრიარქოს დახმარებით 1997 წ. ერევანში სომხურ ენაზე გამოუციათ ა. დავითიანის წიგნი — „სომხური და შერეულსომხური დასახლებები საქართველოში“. აშშ-ს და კანადის სომხთა არქივისკოპოსის მფარველობითა და კარლ და ემა სოლოიანების მეცენატობით, რ. მათეოსიანის წიგნი — „ბაგრატიონები“ და არაერთი სხვაც. სამწუხაროდ, ამ წიგნებში ქართველი სპეციალისტებისათვის და, საერთოდ, ქართველი ხალხისათვის ბევრი რამაა მიუღებელი (ბაგრატიონები გამოცხადებულია სომხებად, ჯავახეთი და ახალქალაქის რაიონი დიდი სომხეთის ნაწილად და ა. შ.). ეს ითქმის პ. მურადიანის წიგნზეც — „წმ. შუშანიკის წამება“ (1996 წ.), რომელშიც იგი იმეორებს დახავსებულ შეხედულებასაც მასტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ 1991 წ. ერევანში სომხურ ენაზე 30 000-იანი ტირაჟით დასტამბულ წიგნზე — „დრო“. დრო ფხედინიშია დრახტამატ კანაიანისა. იგი იყო მთავარსარდალი სომხური ჯარისა 1918 წ. დეკემბერში განადებულ სომხეთ-საქართველოს ომში (ჩვენდა სავალალოდ, ეს ომი და მისი გამოძწევე მიზეზები ქართულ



ისტორიოგრაფიაში თითქმის საუხეობით შეუსწავლელია). წიგნი შეიცავს 26 ნაბეჭდ თაბახს (416 გვერდს). მიხი შემდგენელი და რედაქტორია არტურ ანდრანიკიანი. ნარკვევის — „დრო“ (გვ. 3-174) ავტორია ჰამლეტ გეორგიანი. წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე მოგონებები და სხვა მასალები დროს ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. სამწუხაროდ, წიგნში მრავლად არის ისეთი ადგილები, რომლებიც შეურაცხყოფენ ქართველ ერს, მის ღირსებას. მოვიტანთ ამის დამადასტურებელ ციტატებს.

მაღე დროს „ელოდა ახალი გამოცდა, სადაც მას კიდევ ერთხელ უნდა ეჩვენებინა, რომ უძლეველი მთავარსარდალი იყო.

1918 წ. დეკემბერში იფეთქა სომხურ-ქართულმა კონფლიქტმა.

მძიმე დღეები ედგა ახალშექმნილ რესპუბლიკას (სომხეთს — ა. ა.). ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებული რთული ვითარება, მრავალათასიან ლტოლვილთა შიმშილი და გასაჭირი. მეორე მხრივ. მუსავათეული აზერბაიჯანის მზაკვრობა და ვარაზლის, ზანგეზურის, ნახჭევანის მიმართ მტაცებლური პრეტენზიების წაყენება და მოულოდნელად ტერიტორიებთან დაკავშირებული საქართველოსთან გაჩაღებული შეტაკებები“.

„ამიერკავკასიის ხალხთა, სომხებს, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული ტერიტორიული, სასახლევრო დავა ძირითადად დაკავშირებული იყო სომხეთის ისტორიული მხარეების, არცახის (ყარაბაღის — ა. ა.) ზანგეზურის, ახალქალაქის (ასე ეწოდება ამ წიგნში ახალქალაქს; აქ იგულისხმება ახალქალაქის მაზრა, ე. ი. მთელი ჯავახეთი — ა. ა.) და ბორჩალოს, ხოლო სომეხ-ქართველთა შეტაკებების კვირაბაღში აგრეთვე ლორე-ბამბაკის მიწა-წყლის კუთვნილების სადავოდ ვადაქვეყნასთან.

როგორც ცნობილია, რუსეთის მეფის მთავრობის მიერ არცახისა და ზანგეზურის მხარეები შვედნილ იქნენ უმეტესწილად მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებლებით დასახლებულ ელი-

ზავეტბოლის (განჯის — ა. ა.) ხოლო ახალქალაქისა და ბორჩალოს მხარეების თიფლისის ჯუბერნიის შემადგენლობაში“.

ბორჩალოს მაზრა მოიცავდა თითქმის მთელ ქვემო ქართლს. მაშასადამე, კ. გეორგიანსა და მის თანამოაზრეებს, კერძოდ, განსახილველი წიგნის გამოცემლებს, ჯავახეთთან ერთად, ქვემო ქართლიც სომხურ მიწა-წყლად მიაჩნიათ.

კ. გეორგიანი განაგრძობს: „საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება (საკითხისადმი — ა. ა.) საქმალად საინტერესო იყო. მისი და აზერბაიჯანის მთავრობის მიხედვით, ამიერკავკასიის მთელი მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტ სომხობას თავი უნდა მოეყარა მხოლოდ სეევანის ტბის აუზში და არარატის ველის ერთ ნაწილში, ე. ი. დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ 11 000 კმ² ტერიტორიით რომელიც შეადგენდა ამიერკავკასიის ზუთიოდუ პროცენტს. ამასთანავე, საქართველო, რომლის მოსახლეობა ცოტათი ნაკლებიც იყო სომეხთა რაოდენობაზე, პრეტენზიას აცხადებდა დაუფლებოდა ამიერკავკასიის მთელი ტერიტორიის 42 პროცენტს, ე. ი. დაახლოებით რვაჯერ მეტს, იმასთან შედარებით, რაც უნდა ჰქონოდათ სომხებს“ (დამოწმებულია დაწვავების ცენტრალური არქივი). როგორც ეტყობა, აქ ნაგულისხმებია ის გარემოება, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა თითქოს სომხური მოსახლეობის გასახლებას აპირებდა საქართველოდან. თუ ასე არაა, მაშინ საქართველოს მრავალრიცხოვან სომხურ მოსახლეობას რატომ უნდა მოეყარა თავი სეევანის ტბის აუზში და არარატის ველის ერთ ნაწილში? საქართველოს მენშევიკური მთავრობა კი ორთოდოქსული მარქსიზმის, ინტერნაციონალიზმის იდეალებს ერთგულობდა და არავის გასახლებას არ აპირებდა საქართველოდან იმათ გარდა, ვინც საქართველოს სახელმწიფოს სახიციოცხოლო ინტერესების საწინააღმდეგო, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. რაც შეეხება სომხური მოსახლეობის მრავალრიცხოვ-

ნობას ქართველებთან შედარებით ამიერკავკასიაში. ეს იყო შედეგი იმისა, რომ XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ნებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში საერთოდ დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ თურქეთიდან, აგრეთვე ირანიდან ლტოლვილი სომხები. ქართველ ერს მიწა, საარსებო სივრცე თვითონაც არ ვოფნიდა და, ცხადია, გამძლედებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან სომხები განუსაზღვრელი რაოდენობით შემოხიზნულიყვნენ საქართველოში. XI ს-ში დაცემული სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენაც ამიერკავკასიაში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების უკუღვებულოფის ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო.

3. გევორგიანსა და მის თანამოაზრეებს კი საქმე სულ სხვანაირად წარმოუდგენიათ. 3. გევორგიანის სიტყვით, „ამიერკავკასიის ტერიტორიის დანარჩენი 53 პროცენტის დაუფლებაზე პრეტენზიას აცხადებდა აზერბაიჯანი. აღნიშნულ ხანაში (ე. ი. 1918-1920 წლებში — ა. ა.) სომხეთის ისტორიული მხარეების ხარჯზე, ამიერკავკასიაში ორი ძლიერი, ქართული და აზერბაიჯანული სახელმწიფოს შექმნის საკითხში ჩვენი ორი მეზობელი ხალხის მთავრობებს შორის არსებობდა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სრული შეთანხმებულობა და შეხმატებულება“.

3. გევორგიანის თანახმად, საქართველოს მთავრობა ხარგებლობდა სომხეთის შეჭირებული მდგომარეობით, კერძოდ, თურქეთის აგრესიით სომხეთის მიმართ. ვითომ თურქეთი საქართველოს დაპყრობას არ ცდილობდა და არ დაიკავა ქართული მიწა-წყალი 1918 წელს?! მართალია, ჩვენ რომ ქართული მიწა გევონია, 3. გევორგიანი და მისი ამქარი სომხურად აცხადებს, მაგრამ თურქებმა 1918 წ. ოზურგეთიც დაიპყრეს და საინტერესოა ესეც სომხეთის ისტორიულ მხარედ მიაჩნიათ? თურმე ნუ იტყვიან, „საქართველოს მთავრობის თვითდაჯერებული მტაცებლური განწყობილება მნიშვნელოვანწილად დამუხტული იყო თურქეთის

დღი მოკავშირის, გერმანიის თიფლისში არსებული წარმომადგენლობის მიერ, რე მელიც ქართველთა მთავრობას აღუთქვამდა ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებასაც კი სომეხ-ქართველთა შესაძლო შეტაკებების ეაშს“. 3. გევორგიანი ამ შემთხვევაშიც დაშნაკურ არქივს იმოწმებს. ცხადია, სხვა არქივებში იგი მისთვის საინტერესო მასალას ვერც იპოვიდა. მელას ხომ მხოლოდ თავისი კუდის დამოწმება შეუძლია.

3. გევორგიანის აზრით, ქართველებმა ლორე-ტაშირის (ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკაში შემავალი ალავერდის სტეფანავანის და სხვა რაიონები) საქართველოს შემადგენლობაში მოქცევაზე პრეტენზია რომ განაცხადეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი დამპყრობლური პოლიტიკის შედეგია: „გერმანული იარაღის დახმარებით აღფრთოვანებულმა საქართველოს ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მიეტაცებინათ ლორე“. ავტორი იშველეებს ვ. ფაფაზიანის სიტყვებსაც: ლორე „სომხეთის ფილტვებია. ამ მშვენიერი და სამხედრო მნიშვნელობის მქონე მხარისა და რკინიგზის ზახის გარეშე შეუძლებელი იყო სუნთქვა“. ჩვენ ციტატების მოტანის გარეშეც შეიძლება ვთქვათ, რომ ლორე-ტაშირს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის და ამიტომ დაღვარეს საუკუნეთა მანძილზე ქართველებმა ზღვა სისხლი ამ მხარის დასაცავად დამპყრობელთაგან — ლორე-ტაშირი ხომ ქართლის სამხრეთი კედელი იყო.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების გამო თურქეთი, იძულებული გახდა დაეცალა მის მიერ დაპყრობილი ჯავახეთი, ახალქალაქის მაზრა. 3. გევორგიანის სიტყვით, „ქართულმა ჯარის ნაწილებმა 5 დეკემბერს დაიპყრეს აგრეთვე ეს მაზრა“. კარგი იქნებოდა, თუ შევეკითხებოდით გევორგიანსა და მის ამქარს: რატომ უნდა დასჭირვებოდით ქართველებს შოთა რუსთაველის მშობლიური მხარის სამცხე-ჯავახეთის, ქართველთა გამორჩეული სალოცავის, ვარ-

ძიის ხანაზების დაპყრობა? განა ოდესმე ქართველს სამცხე-ჯავახეთის ბედზე ზრუნვა დაეიწყებია? რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მთელი ქართველი ხალხის გადასახლებაზე გვემავდა საქართველოდან და ეს ავადსახსენებელი გვემა რომ განხორციელებულიყო XIX ან XX სს-ში, საქართველო ქართველთა სამშობლოდ აღარ უნდა ჩათვლილიყო? ჯავახეთშიც დღეს თუ მხოლოდ სამიოდე პროცენტი ქართველი ცხოვრობს, ეს რუსეთის ხელისუფალთა ნებით მოხდა.

გეორგიანის თანახმად, საქართველოს წინააღმდეგ განადებულ ომში „დროს სამი შენაერთისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილის მეთაურები იყვნენ: მარჯვენა ფრთაზე ბაშ-აპარანის ბრძოლის ერთ-ერთი გმირის კოროლკოვის სარდლობით მე-6 პოლკი მოქმედებდა, ცენტრში — ვიცე-პოლკოვნიკ ნესტოროვის მე-4 პოლკი“... საიდან განდნენ ეს და სხვა რუსი ოფიცრები საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ სომხეთის ჯარში? საქმე ისაა, რომ სომხეთი იმ ხანებში დენიკინის მოკავშირე იყო და მისივე წაქეზებით უპირისპირდებოდა საქართველოს.

გეორგიანი არაფერს ამბობს იმაზე, რომ სომხეთის ჯარი ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს. შესაძლოა, იგი ვანგებ გაურბის სიტყვა ომის ხსენებასაც, რათა დაარწმუნოს თავისი მკითხველი, რომ სტიქიურად მოჰყვა სახალხლო შეტაკებებს ომი, რომლის მიზეზიც თურმე მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა დამპყრობლური პოლიტიკა ყოფილა. ავტორის თანახმად, „13 დეკემბერს დრომ თავის არმიას პირველად უბრძანა შეტევაზე გადასულიყო.

ბრძოლის პირველი დღის შედეგები განსაკვიფრებელი იყო. ვიცე-პოლკოვნიკ ნესტოროვის მეთაურობით მოქმედმა პოლკმა წარმატებით დაიკავა ხანაინი, ხოლო პოლკოვნიკმა ტერ-ნიკოლოსიანმა ვორონცოვისა და პრივოლნეს დასახლებები. სომხურმა რაზმებმა მარ-

ტოოდენ პირველი დღის ბრძოლებში წარმატებით ათეულობით შეპყრობეს იგდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალა“. ეს მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები შედარებით უკეთესად ყოფილან თურმე შეიარაღებულ-ალკაზმულნი, ვიდრე სომხები. მაგრამ სინამდვილეში, სომხებმა ერთგვარ უპირატესობას თუ მიაღწიეს ომის დასაწყისში. ეს მხოლოდ ომის გამო მოხდა, რომ ისინი ომის გამოუცხადებლად დაესხნენ თავს საქართველოს, რომელიც ამ ომისათვის სათანადოდ არ იყო მომზადებული.

გეორგიანის მიხედვით, „ქართველთა ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა წულუკიძემ დროს არმიის ელვისებური საბრძოლო ტრიუმფის შესაჩერებლად ბრძოლის ველზე გადმოისროლა თიფლისიდან მოსული ახალი საბრძოლო ძალები.

მაგრამ 17 დეკემბერს სომხურმა პოლკებმა ლორელი მოხალისეების აქტიური დახმარებით მოუგერიებელი დარტყმით შემუსრეს ქართველთა ჯარების გაფორმებული წინააღმდეგობა და სადგურ ახლათში (აღბათ უნდა იყოს ახთალა. ახტალა — ა. ა.) დაეპატრონნენ მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებულ ორ ჯავშანმატარებელს და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალებს“.

„ქართული ბანაკის მთავარსარდალი, გენერალი წულუკიძე უკან მიჰყვა რა თავის განადგურებულ ჯარებს, გაიქცა სადახლოში და დროს, ვითარცა მხედართმთავარს, დაუტოვა თავისი სალონ-ვაგონი. ქართველთა ჯარები დამარცხდნენ ფრონტის სამივე მონაკვეთზე უკან დაიხიეს და თავი მოიფარეს სადგურ სადახლოს მიდამოებში. დრომ ბრწყინვალედ შეასრულა რესპუბლიკის მთავრობის დავალება, ქართველთა ჯარებისაგან გაწმინდა ლორე-ბამაკი... 17 დეკემბერს ერთ-ერთ სომხურ პოლკს წილად ზედა წარმატება, დაეკავებინა აგრეთვე ბოლნის-ხაინი (ბოლნისის რაიონის ამ სოფელში მდებარეობს სახელგანთქმული ბოლნისის სიონის ტაძარი, ცნობილი

უძველესი ქართული წარწერებით — ა. ა.).

სომხური არმიის ელვისებურმა წინსვლამ საგანგაშო მდგომარეობა შექმნა მთელ საქართველოში და მის დედაქალაქ თიფლისში. ქართველთა მთავრობამ საგანგებო საშუალებები გამოიყენა დროს დარტყმებისაგან განადგურებული ფრონტის გასამაგრებლად და სომხური არმიის წინსვლის შესაჩერებლად. სომხური ჯარის წარმატებებისათვის აქამდე გამართულ ბრძოლებში თურმე ზედიზედ ვერ შეუძლია იმ გარემოებას, რომ „ქართული არმიისაგან განსხვავებით რომელიც განუწყვეტლივ იღებდა შევსებას ზურგში მყოფი შენაერთებისაგან, სომხურ პოლკებს იმ ხანებში არც ერთხელ არ მიუღიათ შევსება“. ისე გამოდის, ერთი დამშუული და შიმშული სომეხი ჯარისკაცი ათ მაძღარ, კარგად ჩაცმულ ქართველს ამარცხებდა. ასე დიდი იყო სომეხთა შემართება, მათი უტოლვა. სრულ გამარჯვებამდე მიეყვანათ სომეხთა სამართლიანი ომი: „არ შეუშინდა რა ქართველთა სამხედრო ძალების აშკარა სიჭარბეს. მიუხედავად ყველაფრისა, დრომ გადაწყვიტა მის ზელთ არსებული რაზმებით თავს დასხმოდან და გაენადგურებინა გენერალ წულუკიძის არმია“. გეორგიანი ხშირად ისეთი საღებავებით ხატავს საბრძოლო ბატალიებს, თითქოს, სომეხებს დაელაშქროთ გადამთიელთა, სისხლისმსმელ დამპყრობელთა ქვეყანა და არა ის ქვეყანა სადაც მტრისგან დევნილი, შეიწროებული სომეხები მრავალი საუკუნის განმავლობაში პოულობდნენ თავშესაფარს: „აუცილებელი იყო ზელიდან არ გაგვეშვა ქართველთა ჯარების ალყაში მოქცევისა და განადგურების შესაძლებლობა“. აშკარაა, გეორგიანსა და მის თანამოაზრეებს დიდი სურვილი ჰქონდათ და აქვთ დღესაც, რომ საქართველო ქართველთა ნასახლარად იქცეს და ამ ნანგრევებზე თავიანთი სამკვიდრებელი ააშენონ. ამიტომაც იძულებული ვახდა ილია ჭავჭავაძე თავის „ქვათა ღაღადში“ ასე მიემართა სომეხთა გარკვეული წრეებისათვის: „ჩვენ, ბევრი

გვექონდა, თუ ცოტა შეგიფრთხილეთ — მოვიზიზნეთ, ვიძმეთ და ვიძმე-მტრად ჩვენს გვეკიდებით“.

გეორგიანის სიტყვით, „23 დეკემბერს დრომ გადააჯგუფა ძალები და გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა ქართული ჯარების წინააღმდეგ.“

ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარე გააფთვებული ბრძოლა ქართველთა არმიის დამარცხებით დამთავრდა.

გენერალმა წულუკიძემ კვლავ გაქცევით უშველა თავს და იქაური თურქული მოსახლეობის (იგულისხმება ქვემო ქართლის თათრები; აზერბაიჯანელები — ა. ა.) დახმარების წყალობით გადაურჩა გარდუკალ სიკვდილს. ვითომ არ შეიძლებოდა, წულუკიძე არ მოეკლათ და თუ მართლა აღარ იყო მისი საშველი, ტყვედ წაეყვანათ? იქნებ იგულისხმება, რომ წულუკიძეს სომეხთა ტყვეობაში ჩავარდნას სიკვდილი ერჩია? აქვე იხიცი უნდა ითქვას, რომ გეორგიანი, როგორც ჩანს, განგებ ლაპარაკობს ვრცლად გენერალ წულუკიძეზე და ძალიან მოკლედ მის შემცველ გენერალ მაზნიაშვილზე (მას მაზნიევად იხსენიებს), რომლის რაზმებიც არსებული მასალების მიხედვით, წარმატებით მიერეკებოდა საქართველოს საზღვრებში ვერაგულად შემოჭრილ სომეხთა ჯარს. გეორგიანის მიხედვით, ქართული ჯარისთვის დიდი შეება ვერც მაზნიაშვილს უგრძობობინებია. სხვანაირად ძნელია მაზნიაშვილის გამოჩენის შემდეგ ნათქვამი მისი სიტყვების გაგება: „გაოცებას, აღფრთოვანებას იწვევდნენ სომხური პოლკები და მათი მთავარსარდალი. ჯერაც ყოველგვარ შევსებას მოკლებული სულ რაღაც 5 000-იანი ნახევრად მშვიერი ჯარი ფაქტობრივად პირისპირ დაუდგა საქართველოს რესპუბლიკის მთელ სამხედრო ძალებს და, როგორც წესი, თითქმის ყველა ბრძოლა მისი ძლევამოსილების დასტური იყო...“

ფრონტის ყველა მონაკვეთზე სომეხი ზინფორები (მეომრები — ა. ა.) ერთ აღწერელი შეუპოვრობითა და შემართებით იბრძოდნენ. გენერალი მაზნიევი, სა-

რეგლობდა რა თავისი ჯარების რაოდენობრივი სიჭარბით, განუწყვეტელი შეტევებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას ფრონტის ხან ერთ, ხან მეორე მონაკვეთზე. მაგრამ სომეხი მეომრების გაბედული საპასუხო დარტყმები ფუშავდა ქართველთა მთავარსარდლის წამოწყებებს. 4

დრომ თავის მდიდარ საბრძოლო ბიოგრაფიაში უკვე მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ომში გამარჯვების ერთადერთ აუცილებელ პირობას ჯარის რაოდენობრივი სიჭარბე სულაც არ წარმოადგენდა, ხოლო ბრძოლების წამს მხოლოდ თავდაცვა, თუნდაც წარმატებული, არასოდეს შეესაბამებოდა მის მრწამსს; ომის დროს მისი სტიქია ელვისებური შეტევა და მოულოდნელი დარტყმა იყო.

დეკემბრის ბოლოს გაჩაღებულ ბრძოლებში წარმატებით უკუაგლო რა ქართველთა ჯარების თავდასხმები: ის კვლავ ფიქრობდა ახალი შეტევის წამოწყებაზე. 30 დეკემბერს მისი დაქინებული მოთხოვნით, ბოლოს და ბოლოს, ბრძოლის ველს მიაღწია დიდი ხნის ნანატრმა შეესებას, სულ 600-მა მეომარმა. გასააგებია შეესება არცთუ დიდი იყო, მაგრამ იმჟამინდელ ვითარებაში მდიდარი საბრძოლო გამოცდილების მქონე 600 ბრძოლისუწარაღი მეომრის მოშველიებას უეჭველად შეიძლებოდა დადებითი გავლენა მოეყოლოდა შემდგომი საბრძოლო მეთაურების წარმატებით განვითარებისათვის. აუცილებელი იყო კიდევ ერთი აღმაფრენა, ერთი გადამწყვეტი გამარჯვება და საქართველოს დედაქალაქისკენ მიმავალი მთავარი გზა გახსნელი იქნებოდა.

თავისი პოლკების საბრძოლო რიგების შევსებისა და გადაჯგუფების შემდეგ დრომ განიზრახა ალყაში მოექცია და გაენადგურებინა გენერალ მაზნიევის არმია. ჩვენი რაზმების ზნეობრივი შხარე, საბრძოლო შემართება და გამარჯვების ღინი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი იყო... 30 დეკემბერს სომხურ-ქართულ ჯარებს შორის დაიწყო უკანასკნელი ბრძოლა.

12. „მნათობი“, № 3-4.

დროს გვემის მიხედვით, ცენტრში პირდაპირი, ხოლო ფრთებში უკუაგლო დარტყმებით სომხური რაზმები სწრაფად უნდა გადაადგილებულიყვნენ, ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ სადახლოში მყოფი ქართველთა ჯარის დაჯგუფება, რის შემდეგაც უკვე გაიხსნებოდა თიფლისისკენ მიმავალი გზები.

მაგრამ, როგორც ცნობილია, სადახლოს ხანაზეში გამართული ეს ბრძოლა დაუმთავრებელი დარჩა. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლების შუამავლობით სომხეთისა და საქართველოს მთავრობები შეთანხმდნენ ომის შეწყვეტაზე და ივალდებულეს სასაზღვრო საკითხები დიპლომატიური საშუალებებით გადაეწყვიტათ.

გაუთვალისწინებთ რა დროს რკინიხეზურ ნებისყოფის სტრატეგის უზადო უნარს და მიზანსწრაფვას, აგრეთვე მისი ჯარის ბრწინვალე საბრძოლო მზადყოფნას, დისციპლინირებულობას და ლტოლვას ომის გამარჯვებამდე მისაყვანად, შესაძლებელია გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ იგი აუცილებლად გაანადგურებდა გენერალ მაზნიევის არმიას და აიღებდა საქართველოს დედაქალაქს, ინგლისელები და ფრანგები რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში. ისმის კითხვა: რა ბედ ეწეოდა ლორეს. უკეთუ დროს ლაშქარს არ გაეწმინდა ეს შხარე ქართველთა ჯარებისაგან? ჩვენმა ისტორიამ უკვე მოგვცა და ახლაც იძლევა ამ კითხვის ცალსახა პასუხს. სომხურ ჯარს რომ ვერ მოეხერხებინა ლორეს გაწმინდა ქართველთა შეიარაღებული ძალები-საგან, მაშინ მას გარდაუვალად ელოდა არცაზის (ყარაბაღის - ა. ა.) ბედი და მის მსგავსად დღემდე განხეთქილების ეშლად იქცეოდა სომხეთსა და საქართველოს შორის“ (იხ. კრებული: „დრო“, გვ. 111-131). გეორგიანი ისე ზშირად და დაბეჯითებით, ხაზგასმით იმეორებს, სომხებს თბილისი უნდა დაეპუროთო რომ ეტყობა, მას, დაშნაკების მსგავსად, თბილისი სომხურ ქალაქად, სომხეთის კუთვნილებად მიანდა. ცხადია, ამგვარ წარმოდგენებს ჭეშმარიტებასთან ხაერ-

თო არაფერი აქეთ და ზნეობრივი თვალსაზრისითაც მაზნეჲ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გეოგრაფიის ნარკვევს ვარდა, სომხეთ-საქართველოს ომზე საუბარია განსახილველ წიგნში დასტამბულ სხვა მახალბეშიც. ერთგან მოკლედ არის ჩამოთვლილი დროს დამსახურებები სამშობლოს წინაშე და ნათქვამია: „წარმართავდა ბრძოლებს ქართველების წინააღმდეგ“. აქამდე ჩვენ ისე ვიცოდით, რომ ამ ომში ზალხისთვის ბრალი არ უნდა დაგვედო მხოლოდ მთავრობები უნდა დაგვედანაშაულებინა, მაგრამ დრონი იცვლებიან. მეორეგან, მოკლე „ბიოგრაფიულ ნუსხაში“ აღნიშნულია: 1918 „წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის მტრული დამოკიდებულება სომხეთის მიმართ გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის ომი დაწყებულიყო. ერთარცა სარდალი დიდიჯან-ლორეს ჯარისა, დრო მეთაურობდა სომხურ ძალებს სომეხ-ქართველთა ომის ტაშს.

სომხურმა ლაშქარმა დროს მეთაურობით განდევნა ქართული ჯარები სომხურ ლორედან. 13 დეკემბრიდან მოყოლებული განუწყვეტლივ ბრძოლებში და მარცხებულმა ქართველთა ჯარებმა უკან დაიხიეს თიფლისიდან ახლოს მდებარე სადახლოს რკინიგზის სადგურისკენ, სადაც მიაღწიეს 31 დეკემბერს. გადამწყვეტი ბრძოლა. რომელიც აქ უნდა მომხდარიყო, არ შედგა, რადგან ინგლის-საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლების ჩარევით დაიდო დროებითი ზავი“. აქ სავსებით უგულვებელყოფილია გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ქართული ჯარის მიერ მოპოვებული წარმატებები. დამნაშავედაც მხოლოდ საქართველოს მთავრობაა გამოცხადებული. როგორც ზემოთ ითქვა და საერთოდაც არსებული მასალებიდან ჩანს, სომხეთის დამნაწურმა მთავრობამ ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა თბილისის დაპყრობაც განიზრახა, ხოლო საქართველოს მთავრობას ერეგნის დაპყრობაზე ნამდვილად არ უფიქრია.

მღელღელ (ტერტორა) საქაიანსაჲ გად-
უწყვეტია ისტორიისათვის მძიმე მანაბ-
თაიხი სახელი. მისი სიტყვით, „დროს
მრავალი საგმირო საქმეებიდან უნდა აღ-
ინიშნოს სომეხ-ქართველთა ომიც. 1918
წლის დეკემბერი იყო, როდესაც სომხურ-
მა ლაშქარმა, კვლავ უმამაცესი დროს
წინამძღოლობით სძლია ქართველთა სუ-
რსათით, იარაღით შეუდარებლად უკეთ
უზრუნველყოფილ, რაოდენობით სომხე-
ბზე ორჯერ მეტ ჯარს და მოუახლოვდა
თიფლისის კარებს. თიფლისი იხსნა მო-
კავშირეთა (ინგლის-საფრანგეთის —
ა. ა.) ჩარევამ“ (იხ. იქვე გვ. 279-280,
356, 407). საერთოდ, განსახილველ წიგ-
ნში თითქოს ქართველთა შემუსკრელი
დრო ლამის გაღმერთებულია.

სხვაც ბევრი რამ არის აღნიშნულ
კრებულში ქართველი მკითხველისათვის
აღმაშფოთებელი. ასე მაგ. ტაო-კლარ-
ჯეთი და არტაანი ისე ხელალებით ცხად-
დება სომხურ მიწა-წყლად, თითქოს ეს
მხარე ქართული კულტურის უმძლავრეს
კერას არ წარმოადგენდა; 1905 წელს
იხსენიებენ „დამტყვებული ქართველი
ნაციონალისტები“ (ნაგულენსხმევია ცნო-
ბილი ქართველი მოღვაწეები) და ა. შ.
და ა. შ. უფიქრობთ, აღარ არის საჭირო
გაუვარტელოთ ციტირების მოტანა ამ
წიგნიდან. აშკარაა, ამ კრებულის ავტო-
რებს ქართველი ზალხი სომხური მიწა-
წყლის დამპყრობლად მიანდათ. მაგრამ
ქართველებს, ამავე დროს, თურმე ბრძო-
ლის უნარი არ შესწევდათ. ცხადია,
გველის ზვრელშიც რომ გაძვრნენ, ვერ
შეძლებენ ჯავახეთის, ქვემო ქართლისა
და თბილისის სომხურობის დამტკიცე-
ბას, ლორე-ტაშირზე კი ქვემოთ ვისაუბ-
რებთ მოკლედ.

ძვ. წ. II საუკუნიდან მოყოლებული
საქართველოსა და სომხეთის ზღლისუ-
ფალნი არაერთხელ დაპირისპირებინან
ერთმანეთს სასახლერო მხარეებისათვის,
სომეხთა მეფეებს ქართული მიწებიც
მიუსაკუთრებიათ (ტაო. სპერი და სხვა).
მაგრამ ქართველთა მეფეები იბრძოდნენ
დაკარგული მხარეების დასაბრუნებლად
და მიზანსაც აღწევდნენ. ზოგჯერ მცო-

რე ხნით იგივე ქვემო ქართლი თუ მისი ერთი ნაწილი თუ მოქცეულა სომხეთის შემადგენლობაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მხარე სომხურ მიწა-წყალს წარმოადგენს. 1336 წ. ყირიმში გადაწერილი ერთი სომხური ხელნაწერის მინაწერში სომეხი მწიგნობარი, ტერტერ ერევანცი ორჯერ აღნიშნავს: „ჩამოუვდი საქართველოდან, ზორ-ვირაჰის და ეჯ-მიანის მეზობელ შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან“ (სომხურ ხელნაწერთა აღწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1978, გვ. 23). იმის გამო, რომ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი XII-XIV სს-ში საქართველოს შემადგენლობაში მოექცა (ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს ჯარმა განდევნა XII ს-ში დამპყრობელი თურქ-სელჩუკები სომხეთიდან), ტერტერ ერევანცის თავის მშობლიური ქალაქი ერევანი საქართველოს ნაწილად მიაჩნია. ცხადია, ამის საფუძველზე ჩვენ არა გვაქვს უფლება, ერევანი ქართულ ქალაქად გამოვაცხადოთ. შეიძლება მხოლოდ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში ერევანში ქართული გავლენა ძლიერი ყოფილა.

იმის კითხვა: რატომ უნდა ყოფილიყვნენ 1918 წელს ქართველი მეომრები სომხებზე ნაკლებ ბრძოლისუნარიანნი? XI ს-ში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა. ხოლო საქართველოს სახელმწიფომ XII ს-სა და XIII ს-ის პირველ მეოთხედში ძლიერების მწვერვალს მიაღწია სწორედ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების, დიდი შემართების წყალობით. ამის შემდეგაც XIX ს-ის დასაწყისამდე ქართული სახელმწიფოებრიობა არსებობდა და ქართველ კაცს ხმალი ხელიდან არ გაუვდია, მას ბრძოლის ველზე უთენდებოდა და უღამდებოდა, მთელი საქართველო ბრძოლის ველს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. XIX ს-შიც ქართველი ხალხი არაერთხელ აჯანყდა რუსეთის იმპერიის კოლონიური რეჟიმის, დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, იარაღი აიღო ხელთ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთე-

ლი და მათი თანამოსაგრეებრ, ყოფნა მღერებრიც აწრთობდენ ქანმგვქნა ხალხსა რათა მას ებრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. როცა საჭირო იქნებოდა ეს უნდა მომხდარიყო იარაღის ძალითაც. განა ქაქუცა ჩოლოვაშვილსა და მის თანამებრძოლებს აკლდათ საბრძოლო შემართება, გაბედულება, ვაჟკაცობა? ცხადია, 1918 წელსაც ქართველთა ჯარში უამრავი მამაცი მებრძოლი იყო.

1997 წ. ოქტომბრის ბოლოს ერევნიდან ავტობუსით გამოვეშხავე თბილისს. ერევნის ავტოსადგურშივე გამოემცნაურა და დამეშხავერა თბილისელი სომეხი კაცი, პროფესიით გამომჭრელი („ზაკროშნიკი“). იგი კარგი მოსაუბრე გამოდგა და დაახლოებით ათი საათის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ ესაუბრობდით. საუბარი მეგობრული ელფერისა იყო, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ვახსენეთ 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომიც. ჩემმა ახალმა ნაცნობმა თქვა — მაგ ომის დროს სომეხთა ჯარი კოჯორამდე მოვიდა, მაგრამ თბილისში აღარ შემოვიდაო. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, რადგან ჩემს ხელთ არსებული მასალები არაფერს ამის მსგავსს არ მეუბნებოდნენ. როგორც ჩანს, სომხურ მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული ამგვარი მცდარი წარმოდგენები დროს შესახებ დასტამბული წიგნისა თუ წიგნების და მსგავსი გამოცემების წყალობით (საქართველოში კი ასეთი თემები დღემდე უგულვებელყოფილია; არამცთუ 36 000-იანი ტირაჟით, ათასიანი ტირაჟითაც არ ქვეყნდება მსგავსი ხასიათის წიგნები, რომლებშიდაც არა მაინცდამაინც მიკერძოებით, არამედ ობიექტურად იქნებოდა ასახული სინამდვილე). სინამდვილეში 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომში ქართულმა ჯარმა დიდი უპირატესობა მოიპოვა და ინგლის-საფრანგეთის ჩარევამ თბილისი კი არ იხსნა დაცემისაგან, არამედ დროს ზინვორები, სომხეთის ჯარი დაიხსნა განადგურებისაგან. როგორც გეოგრაფიანიც აღნიშნავს, 1918 წ. საქართველო მართლაც დაუახლოვდა გერმანიას. ეს აუცილებელი იყო იმისათ-

ვის, რომ საქართველოს დაპყრობის გეგმაზე ხელი აეღო გერმანიის მოკავშირე თურქეთს. მაგრამ 1918 წ. ბოლოს როგორც ცნობილია, გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში თავი დამარცხებულად ცნო და მას საქართველოს მფარველობისთვისაც აღარ ცხელიდა. ინგლისის ხელისუფლება, რომელმაც მზერა მოაპყრო ამიარკავკასიას, გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ საქართველოს ცუდი თვალთუყურებდა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წლებში თურქეთისაგან აწიოკებულ სომეხ ხალხს (გაეიხსენოთ სომეხთა გენოციდი თურქეთში) მფარველობას აღუთქვამდა და სომხეთიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მოკავშირედ ცხადდებოდა. ამის შესახებ საუბარია „სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“. ამდენად, 1918 წ. დეკემბრის სომხეთ-საქართველოს ომშიც ინგლისი სომხეთის ინტერესების გათვალისწინებით ჩაერია და არა საქართველოს გადასარჩენად. სომხეთის ხელისუფლებსაც ჰქონდათ ამისი იმედი და სწორედ ამის გამო გაბედეს იმ ზანებში მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სომხეთი (ერევნის ქუჩებიდან უამრავი უბატონო მკვდრის გემების აღება პრობლემად იყო გადაქცეული) საქართველოს წინააღმდეგ ომში ჩაებათ.

ვინაიდან დაშნაკური სომხეთის ჯარი ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, პირველ დღეებში მართლაც გაუადვილდათ მოქმედება. ქართველი მესაზღვრეები თავდასხმას არ ელოდნენ და თავს არხეინად გრძობდნენ, ქეიფობდნენ კიდეც. დაშნაკების ჯარმა ისარგებლა ამით და ქართველი მესაზღვრეები ერთიანად ამოწვიტა. რაკი ზემოთ ომის შესახებ სომხური თქმულებები ვახსენეთ, საქართველოში გავრცელებული ერთი გადმოცემაც უნდა გაეიხსენოთ: ვერაგულად ამოქვლეტილი ქართველი მესაზღვრეებისათვის დროს ზინფორებს სასქესო ორგანოები მოუჭრაოთ და ამის შემდეგ ისეთი საშინელება ჩაუდენიათ, რომლის ქალღმერთსაც

დატანა შეუძლებელია. უმთავრესად ამით ამოიწურა დაშნაკური სომხეთის წარმატება 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომში. დანარჩენს რასაც მიაღწიეს (ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადება), ეს ინგლისის ხელისუფლების ნებით მოხდა. თურქეთში სომეხთა გენოციდის მოწყობაში ბრალი ედებოდა დიდი სახელმწიფოების, მათ შორის, ინგლისის პოლიტიკასაც და ახლა გამარჯვებულმა ინგლისმა გადაწყვიტა „ტრემლები შეემშრალეინა სომხეთისათვის“. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ომამოვლილი ინგლისი თავადაც არაერთი ზართულის წინაშე აღმოჩნდა და ინგლისის ხელისუფლებამ სომხეთისათვის დახმარების აღმოჩენა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ხარჯზე მოახერხა — ლორე-ტაშირი ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა.

სომხური პოზიციის უკეთ, შედარებით სრულად წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ 1919-20 წლებში სომხეთის (არარატის) რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეების, ა. ხატისოიას (ხატისიანის) და ს. ვრაციანის შეხედულებებიც 1918 წ. ომთან დაკავშირებით. ეს მასალები საქართველოში უცნობია და, შესაძლოა, საკითხის მომავალ მკვლევარსაც გამოადგეს.

ს. ვრაციანის წიგნი — „სომხეთის რესპუბლიკა“ ერევანში გამოცემლობა „მ. იასტანმა“ („სომხეთმა“) გამოსცა სომხურ ენაზე 1993 წელს 7000-იანი ტირაჟით. ს. ვრაციანი აღნიშნავს, რომ დაშნაკებს 1917 წლისთვის ჰქონდათ შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვითაც ჯაეახეთი, ლორე-ტაშირი და წალკის ნაწილი უნდა შეერთებოდა სომხეთს. ამაზე ქართველთა წარმომადგენლებიც გვეთანხმებოდნენო 1917 წელს. ეს ქართველები მარქსისტები იყვნენ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებს თუ მათ თანამოაზრეებს, თავიანთი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ათასწლეულების მანძილზე ქართველთა სისხლით გაკლენთილი ქართული მიწაც რომ გაეჩუქებინათ, ამაში მოულოდნელი არაფერ



რია. ვრაციაანის სიტყვით, „საქართველოს მთავრობამ ისარგებლა რა თურქთა წასვლით. სომხეთის მთავრობის სასტიკი პროტესტების მიუხედავად, დაიპყრო ახალქალაქის მაზრა“. 1918 წ. 5 დეკემბერს ქართველთა ჯარი შევიდაო ახალქალაქში, რომელიც საქართველოსთან შეერთებულად გამოაცხადესო. სომხური ჯარის ნაწილი გამოადევნესო ჯავახეთის (დუხობორების) სოფლებიდან. ომის თავიდან აცილების მიზნით, „სომხეთის მთავრობას შეეძლო თავისი ჯარის ბორჩალოს მაზრიდან გამოყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდა გარანტიას, რომ ეს, ისევე, როგორც ახალქალაქის მაზრა, დაცული იქნებოდა საქართველოს ახალი თავდასხმებისაგან“. სომხები ჯრ შეურიგდებოდნენო ქართველთა მიერ ახალქალაქის დაპყრობას თურქების წასვლის შემდეგ და ესეც გახდაო სომხეთ-საქართველოს ომის უშუილო საბაბი.

ვრაციაანის წიგნში მოტანილია სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ტიგრანიანის მიერ 1918 წ. ნოემბრის ბოლოს გაკეთებული განცხადებაც: „ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი, სადაც სომხური მოსახლეობა შეადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას, განუყოფელი ნაწილებია სომხეთისა“. მასასადამე შოთა რუსთაველის მშობლიურ მხარესთან ერთად სომხეთს უნდა შეერთებოდა სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის კუთხეც, ქვემო ქართლი, საბარათიანო. ვრაციაანის თანახმად. 1918 წ. 25 დეკემბერს „თბილისში ინგლისელმა მხედართმთავარმა რაიკროფტმა, ფრანგმა პოლკოვნიკმა შარდინმა და ჟორდანიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც „საომარი მოქმედებანი ქართველებსა და სომხებს შორის დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო“.

ამ შეთანხმების დადებას ესწრებოდა სომხეთის წარმომადგენელი ა. ჯამალიანიც, რომელმაც უარი თქვა ხელის მოწერაზე, პროტესტი განაცხადა კერძოდ, შეთანხმების იმ ნაწილის გამო, რომელიც ახალქალაქის მაზრას შეეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით მედიკოსების ტექსტს რაიკროფტმა და შარდინმა ურთეს- რომ „ბატონი ჯამალიანი არაა თანახმა პუნქტისა, საქართველოს მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავების თაობაზე“. აშკარაა, სომხეთის მთავრობას უნდოდა ინგლისის დახმარებით ომის გაგრძელება ჯავახეთის დაპყრობამდე და რაკი ამას ვერ მიაღწია, სომეხი ავტორები უქმყოფილებას გამოთქვამენ ინგლისის მიმართ.

ვრაციაანის თანახმად, 1919 წ. შემდგარ ერთ-ერთ სომხურ-ქართულ კონგრესზე სომხები დათანხმდნენ „პირობითად დაეთმოთ ახალქალაქის დიდი ნაწილი, თავიანთ ხელში დაეტოვებინათ ტბების რაიონი“. მაგრამ თურმე „სტალინური კონსტიტუციით ახალქალაქი (ნაგულისხმევა მთელი ჯავახეთი — ა. ა.) და სომხური ღორეს ერთი ნაწილიც საბოლოოდ გადაეცა საქართველოს“ (ს. ვრაციაანი, სომხეთის რესპუბლიკა, გვ. 24, 223, 226, 228, 234-35, 368, 556). აშკარაა, რომ ს. ვრაციაანმა შთამომავლობას უანდერძა ეზრუნათ ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ნაწილის სომხეთისათვის „დაბრუნებაზე“. სამწუხაროდ, ამ ყოველგვარ საფუძველმოკლებულ ანდერძს დღესაც ჰყავს ერთგული მიმდევრები, თუნდაც ვრაციაანის წიგნის გამოცემემელთა სახით. თუ ისინი არ იზიარებენ ვრაციაანის შეხედულებას საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხებზე, განა მისი წიგნისათვის კრიტიკული შენიშვნები არ უნდა ფერითო? მაგრამ ძველ და ახალ დაშნაკებს ერთნაირი მიზნები აქვთ. მათ ქართული მიწების ხარჯზე სწადიან სომხეთის საზღვრების გაფართოება. სომხეთ-საქართველოს 1918 წ. ომს ისინი ქართველთა შორის იმპერიალისტური მოძრაობის შედეგად მიიჩნევენ, ხოლო საკვებით გამართლებულად თვლიან იმას, რომ სომხეთის მთავრობამ და პარლამენტმა 1918 წ. დეკემბერში ერთხმად დაადგინა, სომხეთის ჯარს დაკავებინა ჯავახეთი (იხ. გ. ჩალხუშიანი, წითელი წიგნი, დონის როსტოვი, 1919, გვ. 165-169, რუსულ ენაზე). ჩალხუშიანი ქართ-

ველებს იმპერიალისტობაში დებს ბრალს იმის გამოც, რომ მათ არ მოიხურვეს ჯავახეთის სომხეთისათვის გადაცემა. ქართველებმა ჯავახეთი ათასწლეულთა განმავლობაში ათას კირვარამსა და ქარცეხლში გამოატარეს. ამიტომაც ამბობდნენ ჯავახები: „ჯავახეთი 80-ჯერ წახდენილა და 90-ჯერ აღშენებულა“. ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, აკადემიკოსი გიულდენშტედტი XVIII ს-ის მეორე ნახევარში წერდა, რომ ჯავახეთი ქართული მხარეა. მან შეინარჩუნა ქართული სახე თურქთა საშინელი ბატონობის მიუხედავად. მაგრამ რაც თურქეთის იმპერიას გადაურჩა, ის რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა ნებით დაინგრა და განადგურდა. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გასატყუებლად რუსეთის იმპერიის მესვეურებმა განიზრახეს საქართველოს ეთნიკურად აჭრელება და ჯავახეთში 1830 წლიდან მოყოლებული დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს სომხები. მაგრამ თუკი სომხეთმა მიაღწია იმას, რომ XX ს-ში კვლავ აღდგა XI ს-ში დაკეპული სომხური სახელმწიფოებრიობა სომხურ მიწაზე და სომხებისგან თითქმის მთლიანად დაკეპილ სომხეთში კვლავ დასახლდა სომხური მოსახლეობა, ქართველებს აღარა აქვთ უფლება მოითხოვონ XIX-XX სს-ში უკულმა ფაქტობრივად ჯავახეთის ბედის ჩარხის წალმა მობრუნება?!

ა. ხატისოვი (ხატისიანი) წერს, რომ იგი 1900 წელს აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს წევრად. ოთხი წლის შემდეგ საქალაქო გამგეობის წევრი გავხდით. 1907 წ. აურჩევიათ ქალაქისთავის (მერის) მოადგილედ. ზოლო 1910 წლიდან 1917 წლამდე თბილისის ქალაქისთავი ყოფილა. ამ თანამდებობაზე თითქმის ათი წელი ვიყავი. გულისხმობს იმას, რომ მისი მოადგილეობის დროს ქალაქისთავი ჩერქეზოვი (ჩერქეზიანი) ავადმყოფობდა და მას შეეცვლია (ა. ხატისიანი, ქალაქისთავის მოგონებები, ბეირუთი. 1991, გვ. 59-60, სომხურ ენაზე). ბუნებრივია, დაუსვათ კითხვა: რამდენად მახლობელი იყო თბი-

ლისის ქალაქისთავ ხატისოვიმ და მისი თველი ერის ინტერესებში? ამის შესახებ ხატისოვის მეორე წიგნიდან მოვიტან რაღვან ამ წერილისთვის ასე აჯობებს. ხატისოვის თანახმად, საქართველო სარგებლობდა სომხეთის შეჭრივებული მდგომარეობით, ქართველები „ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გადაეწვიტათ ტერიტორიული დავა დაეყვროთ ბორჩალოსა და ახალქალაქის მახრები. ამნიარად შეიქმნა ის ატმოსფერო, რომლისგანაც იშვა სომხურ-ქართული ომი.

ამ ომის უშუალო საბაბი ორი იყო: 1. სომხეთი ცდილობდა თავისუფალი გასასვლელი ჰქონოდა ბათუმისკენ; 2. შევერთებინა ლორისა და ახალქალაქის წმინდა სომხური მახრები, რომლებზედაც საქართველო ადებდა ხელს. საქართველო აუტანელ საკომუნიკაციო სირთულეებს გვიქმნიდა, რითაც ისწრაფოდა ზეწოლა მოეხდინა სომხეთზე. რათა ჩვენ დაგვეთმო მათთვის ტერიტორიული დავისას. ამ გარემოებებს ხაზი უნდა გავსვა, რადგან ზოგიერთები სომხურ-ქართული ომის განაღების განსხვავებულ მიზეზებს ეძებენ. მათი აზრით, ვადამწვევტი როლი შეასრულა სომხეთში მყოფმა რუსი ოფიცერების ანტიქართულმა პროვოკაციებმა და დროს ომის მომხრე დაჯგუფებამ. ქართველებს არ ჰქონდათ იმის გარანტია, რომ ხატისოვი და მისი ამქარი სომხეთთან ბათუმის შეერთებასაც არ მოითხოვდნენ. დაშნაკურ რუკებზე ასეც ხდებოდა. ეტყობა, შთამომავლობისადმი თავიანთ ანდერძში დაშნაკებმა ესეც ჩაწერეს. ხატისოვი რიხიანად აცხადებს: „სომხური ჯარის ნაწილები მიიწვედნენ წინ თბილისისაკენ“. ამ სიტყვიბიდან ისიც გამოსკვივის, რომ ხატისოვს არ ეთმობოდა თბილისური თბილი სავარძელი. ქართველები ცდილობდნენ თბილისის გაქართულებას, რაც მიუღებელი იყო სომხებისათვის. როგორც ჩანს, ხატისოვს თბილისი სომხეთის დედაქალაქად წარმოედგინა და არა მარტო თბილისური სავარძლის დაბრუნებას აპირებდა ტახტის გადმოტანაც ერეკნიდან თბილისში უნდოდა. რაც

შეხება ჯავახეთს, მის შესახებ ხატისოვი კატეგორიულად აცხადებს: „ჩვენ არ შეგვეძლო შევრიგებოდით ახალქალაქის დაკარგვას, თუმცა ქართველებმა, ჯერ კიდევ 1918 წ. დეკემბერში დაიწყრეს იგი და ბოლომდე ეკავათ“. სომხებმა გააპროტესტესო ახალქალაქის საკითხი ინგლისელებთან და ფრანგებთან, მაგრამ ვერაფერს გახდნენო (აღ. ხატისიანი, სომხეთის რესპუბლიკის წარმოქმნა და განვითარება, ბეირუთი, 1968, გვ. 118, 129, 169-225, სომხურ ენაზე).

ამჟამად, ხატისოვის საქმიანობა თბილისის ქალაქისთავის თანამდებობაზე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო, უფრო მეტიც, ძირკამომხრელი იქნებოდა. ასეთი კაცი თბილისის ქალაქისთავი რომ იყო, ეს რუსეთის კოლონიური რეჟიმის შედეგია. 1801 წლისათვის თბილისში სულ ცხოვრობდა დაახლოებით 12.000 ადამიანი. XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში თბილისის მოსახლეობა ძალზე გაიზარდა. რუსეთის იმპერიის მესვეურები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს სომეხთა, მეტადრე, სომეხი ვაჭრების ჩამოსახლებას თბილისში და საქართველოს სატახტოს ბედიც ძირითადად მათ მიანდეს. ქართველების მოძრავლება და გაძლიერება მათ დედაქალაქ თბილისში რუსეთის იმპერიისათვის მიუღებელი იყო, რადგან იგი ამით შეიძლებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების მძლავრ კერად გადაქცეულიყო. რითაც ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოსაგრეებს ზაცილებით დიდი სარბიელი შეეძქმნებოდათ. თუ ქართველთა დედაქალაქს ქართულ სახეს დაუკარგავდნენ, ამით ეროვნული ძალების მოქმედებას ფრთა შეეკვეციებოდა. ასე რომ, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა დიდი უსამართლობა ჩაიდინეს საქართველოს, კერძოდ, მისი დედაქალაქის მიმართ. მათ ამ საქმეში სომეხთა ზოგიერთი წრეებიც ჩაითრეს. ამდენად, ხატისოვი და მისი ამქარი რუსეთის იმპერიის აგენტებად უნდა მივიჩნიოთ.

მართალია, 1918 წ. დეკემბერში ქალაქის ხეთის დაშნაკურმა მთავრობამ, საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო ქვემო ქართლის, ჯავახებისა და თბილისის მიტაცების მიზნით (მაშინვე გვემაუდნენ ბათუმის დაპყრობასაც), მაგრამ ამ ომში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ლორე-ტაშირმა. ქვემო ქართლის სამხრეთ-მა ნაწილმა. როგორც უკვე ითქვა, სომხეთის მეფეებმა ქართული მიწები. მათ შორის ლორე-ტაშირიც ძე. წ. II ს-ში მიიხაკუთრეს. მაშინ მათ, გარკვეული პოლიტიკური მოსახრების გამო, რომის სახელმწიფოს მესვეურებმა დაუჭირეს მხარი, ვინაიდან ფიქრობდნენ, სომხეთი ტყციათ დასაყრდენად ქელევეკიდების (აგრეთვე, შესაძლოა, ირანის) წინააღმდეგ ომში. ქართველები ახერხებდნენ დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებას, მაგრამ პოლიტიკური ვითარების ცვალებადობისადა მიხედვით სომხეთის ხელისუფალნი ზოგჯერ კვლავ ეუფლებოდნენ სადაეოდ ქვეულ მიწა-წყალს. ლორე-ტაშირიც ხელიდან ხელში გადადიოდა საუკუნეთა მანძილზე. 1118 წ. დავით აღმაშენებლის ჯარმა გაწმინდა ლორე თურქ-სელჩუკ დამპყრობთაგან და საქართველოს დაუბრუნა. ვინაიდან ამ დროისათვის სომხეთში აღარ არსებობდა სომხური სახელმწიფოებრიობა, ცხადია, სომეხი ხელისუფალნიც ვერ განაცხადებდნენ პრეტენზიას ლორე-ტაშირის დაუფლებაზე, თუ არ ჩავთვლით თურქ-სელჩუკთაგან განდევნილი უძლური სომხური დინასტიის, კვირიკიანების წარმომადგენელთა უღიმვამო ცდებს. კვირიკიანები (სომეხ ბაგრატუნთა განშტოება) ისტორიამ გაწირა დასაღუჰად და დავით აღმაშენებლის მიერ განთავისუფლებულ ქართულ მიწაზე, ლორე-ტაშირში მათი ტახტის კვლავ დასადგმელად პოლიტიკური ვითარება ამჟამად არახელსაყრელი იყო. დავით აღმაშენებელმა საქართველოს ერთიანობა იმდენად მტკიცე საფუძველზე დააყრდნო, რომ ცალკეული სამეფო-სამთავროების არსებობისათვის ხელსაყრელი ნიღაგი ვეღარ იქმნებოდა.

XV ს-ის I ნახევარში ქართველებს, მეფე ალექსანდრე I-ის მეთაურობით, არაერთი ბრძოლა გადაუზღვიათ, რათა გაეწმინდათ ლორე-ტაშირი მოძალბეული მტრის ურდოებისაგან. სეკტიცხოველისადმი ბოძებული ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნის თანახმად, ციხესიმაგრე ლორე ყოფილა „მიტაცებული აგარიანთაგან“, ე. ი. მაჰმადიანთაგან. მის გამოსხნაში ჯარის დამომღვრით გულმხურვალე მონაწილეობა მიუღია ქართველთა კათოლიკოს თეოდორესაც: ვახსოვდეთო, რომ „ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი აღასტანელი გიორგი მოუკლავს (აღასტანი სოფელია ჯავახეთში — ა. ა.) და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან. და ტახტი მეფეთა განურყვნია და საპატიონი და ცამლის მალაღნი საყდარნი შეურაცხუქმნიან“... უკან დასახევი გზა აღარ დაგვრენინაო და ამიტომ „აწ ბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ოქსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთვის წამებულთა გუერდს მიითუალვით; და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშაეებითა და რათაცა ტყვილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისყოფელად მიითუალავს!“ აი, ასე. ქართველები საუკუნეთა მანძილზე ჯგეროსნულ ომებს იბდიდნენ ლორე-ტაშირის დასაცავად. მათ თავი არ დაუზოგავთ ამ ქართული მხარის მტრისაგან განთავისუფლებისათვის, იქ მშვიდობიანი ცხოვრების პირობების შექმნისათვის სააღმშენებლო საქმიანობის გაჩაღებისათვის.

1437 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში ნათქვამია: „ჩვენი ძმობის წევრები (ბერები — ა. ა.) გავიქვეციით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში... წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად. ამ მიზეზების გამო დაემკვიდრდით სანაინს ამ წმ. მონასტერში“. როგორც ვხედავთ, სომხეთიდან ლტოლვილი სომეხი ბერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლორე-ტაშირში მდებარე სანაინი საქართველოს ორგანული ნაწილია. ასევე, 1438 წ. სომხურ ანდერძ-მინაწერში ხუ-

ცესი ასტეწატური გეამცრუქსუ ნუფაქ წერილე ეს წიგნი უცხო ქვეყანის მფიცხა ქართველოში, ოვანეს მღვდელს. ახპატის მონასტერში... არქივისიკოსოს უფალ ზაქარიას წინამძღოლობისას, საქართველოში აღექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში. ლორეს ოლქში... ბეშქენის გამგებლობის ეამს“. აშკარაა, რომ სომეხ ხუცესს ლორე-ტაშირი და მასში მდებარე ახპატი საქართველოს ორგანულ ნაწილად, სომხეთისათვის უცხო მხარედ მიაჩნია. ცხადია, მით უფრო მტკიცე იყო ამგვარი რწმენა, თვალსაზრისი ქართველთა შორის. ოქს ხერხეულიძის ცნობით, ერეკლე II-მ „ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა“. ამგვარი მადნები გამოვლენილ იქნაო ახტალაში. ნაგულისხმევია ლორე-ტაშირში მდებარე ახტალა. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ქართველ მემატიანეებს ერეკლე II-ის მამულად არაქართული მხარე დაესახა ლებინოთ. ამდენად, საქართველოში ლორე-ტაშირს ძირეულ ქართულ მიწა-წყლად აღიქვამდნენ. თითქმის მთელ ქვემო ქართლში XVII საუკუნიდან თათრული მოსახლეობა მეტისმეტად მომრავლდა, მაგრამ ვანა ამის გამო ქართველებს ავიწყებოდათ, რომ ეს მხარე საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი იყო? მართალია, ლორე-ტაშირშიც ქართული მოსახლეობა თანდათან მცირდებოდა და იქ სახლდებოდნენ თათრები და სომხები. მაგრამ ამ მხარის მამულები ეკუთვნოდა ქართულ სამეფო კარს, ქართულ ეკლესიას და ქართველ მემატიანეებს, რომლებიც ლორე-ტაშირის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ მხრივ, ნიშანდობლივია პაპუნა ორბელიანის ცნობა: XVIII ს-ის შუა ხანებში ორბელიშვილებმა ტაშირის მოსახლეობა დაცვის მიზნით აკყარეს და დმანისში შემოიყვანეს. მაშინ „მოვიდნენ ქეთხუდები ლორისა დმანისს და შემოეხვეწნენ ამით: „ჩვენ მუდამ ორბელიშვილთ ოჯახის შემწეობით ვდგომოდვართო და ახლა ასე უპატრონოდ ვართო და მოგვიართო“. წავიდა „მაშინვე ვაფ-

ლან ჯარით და შევიდა ციხესა ღორი-სასა და დამშვიდნა ქვეყანა ღორისა. შეაყენა კაცნი თვისნი ციხესა და თითონ მოვიდა დმანისს“.

1769 წ. შედგენილ „საქართველოს მეზობელი ქვეყნების აღწერაში“ ნათქვამია, რომ ქრისტიანი ქართველები ვარსის მხარეშიც კი ცხოვრობდნენ და, მით უმეტეს, იმ დროსაც იქნებოდნენ ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილში. ლორე-ტაშირში, უძველეს ქართულ მიწა-წყალზე. მაგრამ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ვარემოება. საქართველოში, კერძოდ, მის ხაზღურისპირა მხარეებში, სადაც სომხები საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ, ხდებოდა ქართველების მოქცევა „სომხურ რჯულზე“. ვრიგორიანობაზე ანუ ქართველების სომხურად მონათვლა, რის შედეგადაც მათი ერთი ნაწილი სომხდებოდა კიდევ. XVII ს-ის 30-იან წლებში თბილისში მოწვეულ საგანგებო კრებაზე, რომელსაც მუფე და კათოლიკოს-პატრიარქიც ესწრებოდნენ, ცნობილმა მოღვაწემ, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახმა) განაცხადა: „ყოველდღე ჩვენს თვალთ ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან. უფრო მომეტებული მათგანი კი შამხადის სარწმუნოებას ღებულობს“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 127). თუ რა იყო საქართველოშივე ქართველთა გასომხების მიზეზი (რაც სომეხ მკვლევარებს ყოვლად დაუჯერებლად მიაჩნიათ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია), ეს ძალზე რთული საკითხია და აქ მასზე საუბარი შეუძლებელია. XIX ს-ის დასაწყისში, როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლებამ მოსპო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო მართლმადიდებელთა მიერ „მწეალებლურად“ მიჩნეული სომხური ეკლესიის ავტოკეფალია შენარჩუნებულ იქნა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. ამის გამო ქართველთა სომხურად მონათვლა საქართველოში XIX ს-შიც ხდებოდა. ამასთანავე, XIX ს-ში სომხური

ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა ზომიერად დაისახეს ეკლესიის მიწა-წყლის დიდი ნაწილი და გაესომხებინათ იგი. მათი ეს გეგმა პირველ რიგში, ითვალისწინებდა სომხეთის მომიჯნავე მხარეების, ლორე-ტაშირის, ჯავახეთის და სხვათა გასომხებას. სომეხი დამნაკების ერთ-ერთი ლიდერი ს. ვრაციანიც, შესაძლოა, წარმომავლობით ქართველი იყო. ვრაცი სომხურად ქართველს ეწოდება. ვრაციანი გრუზინიანადაც იხსენიება. ს. ვრაციანის წიგნში — „ცხოვრების გზებზე“ (გამოცემულია კაიროში 1955 წ. სომხურ ენაზე) მოთაქსებულია ერთი ფოტოსურათი (გვ. 123) რომელზედაც გამოსახულ პირთა ჩამოთვლისას წერია: „სიმ. გრუზინიან (ს. ვრაციან). გარი ხატისიანიც, ალბათ, ქართულ სახელ ხატისასგან წარმოიქმნა.“

1921 წ. ბოლშევიკური რუსეთის მთავრობამ მაშინ, როდესაც საინგილო გადასცა აზერბაიჯანს, ლორე-ტაშირი სომხეთს უბოძა. ამ შერივ ნიადაგი მოამზადა ინგლისის ხელისუფლებამ, რომელმაც ქართული სისხლით მორწყული ლორე-ტაშირი 1919 წ. დასაწყისში ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა. ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ თურქეთი დღეს თუ ხვალ გაწითლდებოდა და ამის მიხედვით ყველაფერი აკეთებდა. სომხური ტერიტორიებიც (ყარსი და სხვა) რუსებმა თურქეთის კუთვნილებად ცნო. ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლება თავს სომხეთის მფარველად აცხადებდა. თურქეთში სომეხთა გენოციდის მოწყობაში დიდი სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტად ბრა ლი მეფის რუსეთის ედებოდა და მისმა ღირსიულმა მემკვიდრემ, ბოლშევიკურმა რუსეთმა თავს იდო, მხოლოდ და მხოლოდ მას „შემშრალეობინა ცრემლები სომეხი ხალხისათვის“. მაგრამ რუსეთმა საამისოდ სხვა თითქმის ვერაფერი გაიმეტა ურჩ ქართველ ხალხს ჩამოართვა ლორე-ტაშირი და სომხეთს გადასცა იგი. ახე რომ, ს. ვრაციანი ტყუილად აბრალებს სტალინს, თითქოს, ის საქართველოს სომხურ მიწებს ჩუქნიდა. სწორედ სტალინის

თვალწინ და, ალბათ მისი მითითებითაც, მოხდა საინჟინოლოსა და ლორე-ტაშირის მოგლეჯა დედა-საქართველოსაგან. ამ გზით ხომ გაადვილდებოდა საქართველოს წალმა-უკულმა გადახვნა. სტალინის ქართულმა წარმოშობამ ის „სიკეთე“ მოუტანა საქართველოს, რომ ბელადის ქართველობით ვზაბნეულმა ბევრმა ქართველმა ირწმუნა: ქართულ დროშაზე თვალსაჩინო ადვილზე უნდა დაეწეროთო ინტერნაციონალიზმი (რომლის არსი და აზრი არც ესმოდათ). ქართულ მიწა-წყალს საფრთხე აღარ ემუქრება და ჩვენ თავი რატომ უნდა შევიწუხოთ ამაზე თეიქითო. დღეს მაინც უნდა მიხედნენ ეს ქართველები და მათი შემკვიდრენი, რომ შწარედ ცდებოდნენ.

მოკლედ უნდა ითქვას საქართველოში, მათ შორის, ლორე-ტაშირშიც სომხური მოსახლეობის სიმრავლეზე. მას შემდეგ, რაც XI ს-ში სომხეთში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა და სომხური მოსახლეობა არაერთ უცხო ქვეყანაში გაიფანტა, მათ მიაპურეს მეზობელ საქართველოსაც. საქართველოსთვის მიუღებელი იყო სომხეთში უცხოელი, მაჰმადიანი დამპყრობლების ვაბატონება. სომხეთიდან მათ გასაღდევნად აუცილებელი ხდებოდა სომხური მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. ამიტომაც საქართველოს მეფეები მფარველობდნენ სომხებს და საჭიროების ფაშ თავშესაფარსაც აძლევდნენ ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ლორე-ტაშირშიც. XII ს-ის პირველი ნახევრის სომეხი მემკვიდრის, მათეოს ურპაეცის თანახმად, დავით აღმაშენებელი „აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა მოდგმისა. მასთან შემოკრბა სომხური ჯარის ნარჩენი. მან ქართველთა ქვეყანაში ააშენა ქალაქი სომეხთათვის. დააფუძნა მრავალი ეკლესია: მონასტერი, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა (გორი — ა. ა.). დიდი ხიზარულით და შვებით ეპყრა სომეხთა მთელი ჯილაგი“. დავით აღმაშენებლის ჯარის მიერ სომეხთა იმჟამინდელი დედაქალაქის ანისის, განთავისუფლების გა-

მო იგივე მემკვიდრე წერს: „სომეხთა იყო სომეხთა მთელი სახლი“, ე. ი. მთელი სომხეთი. XV ს-ის სომეხი მოძღვრის, მათეოს ჯუღაეცის (იგი სიუნიქში ანუ სივნიეთში მოღვაწეობდა) სიტყვით, სიკეთე ოთხი სახისაა — შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა. „ქართველ ხალხს აქვს ეს (თვისებები) სრულყოფილად. ამის გამო გადარჩა მათი სამეფო“ (იხ. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 138). XV ს-ის დასაწყისში დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემული ქართველთა მეფის, კონსტანტინეს შესახებ სომეხი ბერი მათეოსი ამბობს, რომ სომხებს და სომხეთს „ჰყავდა ის თავის მეფის მავიერად“ (იქვე, გვ. 36). ამგვარი მასალა საკმაოდ არსებობს. აი ასეთ პირობებში მომრავლდა სომხური მოსახლეობა საქართველოში XIX საუკუნემდე. XIX ს-ში კი სომეხთა მეტისმეტად დიდი რაოდენობით ჩამოსახლება საქართველოში რუსეთის იმპერიის ნებით მოხდა. საქართველოს სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილის მოქმედება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, რათქმა უნდა, შავ უმადურებად უნდა ჩაითვალოს. ამგვარი რამ კი 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომში დადასტურებულია. ქართულ მასალებს რომ თავი დავანებოთ ამის თაობაზე წერს იმდროინდელი ცნობილი სომეხი ისტორიკოსი და მოღვაწე ლეო (ნამდვილი სახელი და გვარია არაქელ პაპახანიანი), რომელსაც საქართველოს მიმართ კეთილგანწყობას ვერავენ დასწამებს, თუმცა 30 წელიწადს ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისში. ლეოს სიტყვით, „ომი ცოტა ხანს გავრძელდა. დრომ, ააჯანყა რა საქართველოს ქვეშევრდომი სომეხობა, შულავერიდან კადეე უფრო ჩრდილოებისაკენ წაიწია წინ. მაგრამ შემდეგ აქედან უკან დაახევინეს სადახლომდე. შეუძლებელია აღწერა იმ გაყოფებისა, რამაც სომეხების წინააღმდეგ იფეთქა მთელს საქართველოში. ახლა უკვე ქართული ჯარი მსგავსად აზერბაიჯანელებისა, აცხადებ-

და თავის სიმღერებში სომხებს მტრად... (ლეო, წარსულიდან. თბ., 1925, გვ. 420-423, სომხურ ენაზე).

აი, თურმე როგორი საგმირო საქმეების ჩადენა ემარჯვებოდა დროს. განა რომელიმე ხალხი მოითმენდა საუკუნეთა მანძილზე თავის ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხის შეილებისაგან დალატს? ქართველებიც მოითხოვდნენ უმადურთა დასჯას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, სპ. კეღია წერდა:

„თბილისი გასაწმენდია. ათიათასჯერ გამოგვეცხადა. რომ აქ აუარებელი სამჭედლოებია. სადაც ჩვენ დამოუკიდებლობის მტრები სხედან და საქართველოს დასაქცევად ყუმბარებს ასხამდნენ და ხმალს ლესავდნენ. ეს სახელოსნოები უნდა დაიშალოს და ხელოსნები უნდა იქნან დაჭერილნი. რუსულ-სომხური გაზეთები, რომელნიც თავაშეებულად და უტიფრად ილაშქრებდნენ და ლაშქრობენ ჩვენს წინააღმდეგ, უნდა დაუყოვნებლივ იქმნან დაკეტილნი. შეუძლებელია თბილისის გაზეთები ბედავდნენ და გვედაკეზობდნენ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიას. ვაკხანალია ელვის სისწრაფით უნდა აილაგმოს. ვინ არ იცის, რომ საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის გამოლაშქრება იდეოლოგიურად და ტეხნიკურად თბილისში მოეწყო“... სპ. კეღია მიმართავდა საქართველოს მთავრობას: „დაუყოვნებლივ გასწმინდეთ ჩვენი ქვეყნის გული, ჩვენი თბილისი იმ ბოროტგანმზრახველ და სახელმწიფო დამნაშავე ელემენტებისაგან, რომელნიც აქ

ბუდობენ და რაც საქართველოში მდებარე კიდებლობა გამოცხადდა, მისი დასაწმენდა და ღამ საქართველოს დასამხობად ზრახვენ და მოქმედებენ.

გასწმინდეთ თბილისი, რომ აქ შეიძლებოდა უშიშარი მუშაობა და საქმიანობა. ეს არის პირველი საწინდარი ბრძოლის ველზე საქართველოს ჯარის გამარჯვებისა“ (გაზ. „საქართველო“, 19. XII. 1918 წ.).

ამ წერილში განკებ ვერიდებოდი 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომის თაობაზე ქართული მასალების მოტანას. მაგ., მახ. ნიაშვილის „მოგონებებიდან“ და სხვებსაც. საქმე ისაა რომ სანამ ქართველი ისტორიკოსები აღნიშნულ ომთან დაკავშირებულ საკითხებს სავანგებოდ არ შევისწავლით, მოწინააღმდეგე მხარემ, შესაძლოა, ქართული მასალების ტენდენციურობა გვიკაფინოს ისევე როგორც ჩვენ საფუძვლიანად მივიჩნევთ სომხურ წყაროებს ცალმხრივად, გაყალბებულად თუნდაც იმდროინდელი საერთო ვითარების, პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ქართველ სპეციალისტებს სჭირდებათ დახმარება, რათა მათ შეძლონ, გაეცნონ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ გამოქვეყნებულ არაქართულ ლიტერატურას. პრესას და საკადრისი პასუხი გასცენ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიის გამყალბებლებს. ამას მოითხოვს ჩვენი დღევანდელი დღეც.



დავით მუსხელიშვილი

ფართულად მოვაყვრათ „ქართლის ცხოვრებას“

სულ ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობამ გამოაქვეყნა თ. გვანცელაძის ნაშრომი — „აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატეანის ტექსტში“, თბ., 1997 წ., რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ამავე ავტორის მიერ შარშან დეკემბერში არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში წარმატებით დაცული სადოქტორო დისერტაციის — „აფხაზეთის ისტორიო-გრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ — ერთ-ერთ თავს. ეს არის, არსებითად, წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი, რომელსაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის წინ მიღებული და გაზიარებული ზოგიერთი საკითხის ახლებურად გააზრების პრეტენზია აქვს და ამდენად, ბუნებრივია, ჩემი, როგორც ისტორიკოსის დაინტერესება ენათმეცნიერის ამ ნაშრომით.

ავტორის მიხედვით, ჯუანშერის, მისი აზრით, VIII ს-ის მწერლის, თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ხმარებულ ტერმინს — „აფხაზეთი“ ორი მნიშვნელობა აქვს: 1. აღნიშნავს საკუთრივ აფხაზეთს, რომლის საზღვრები არ ემთხვევა ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებს; 2. აღნიშნავს მთელს დასავლეთ საქართველოს, ან მის უდიდეს ნაწილს. მისივე აზრით, „მატიანეში V-VIII საუკუნეთა

ამბების აღწერისას ტერმინ „აფხაზეთის“ მეორე, ფართო მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები ბადებს ეჭვს სათანადო ადგილების ავტორისეულობის შესახებ, რადგან VIII საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინი „აფხაზეთი“ ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა მთელი დასავლეთი საქართველოს აღსანიშნავად იმ მიზეზის გამო, რომ ტერმინმა ამკვარი შინაარსი შეიძინა მხოლოდ 797-802 წლებს შორის ლეონ მეორის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი „აფხაზეთის სამეფოს“ შექმნის შემდეგ“ (გვ. 5). ბუნებრივია, თუ ჩვენს ავტორს უჩნდება ეჭვი, ზემოხსენებულ შემთხვევებში ტექსტში გვიანდელი ინტერპოლაციები დაინახოს. ამ ეჭვის გამართლებისთვის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით „მატიანის ქართულ ტექსტზე დაკვირვების გარდა ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანს, რომელიც შესრულებულია XII საუკუნის მეორე ნახევარში და შექმნის დროის მიხედვით მთელი 300 წლით წინ უსწრებს XV საუკუნეში (1479-1495 წლებს შორის) გადაწერილ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ ხელნაწერს — ანა დედოფლისეულ ნუსხას“ (გვ. 5-6).

თ. გვანცელაძე, ჩანს, დარწმუნებულია, რომ რადგან „ქართლის ცხოვრების“



სომხური თარგმანი XII ს-ის მეორე ნახევარშია შესრულებული, ცხადია, იმ დროს უკვე არსებული ქართული დედნიდან, ამდენად სწორედ მასში უნდა იყოს შემორჩენილი ყველაზე უკეთ და შეურყვნელად ქართულ მატთანეთა უძველესი რედაქციის ტექსტი. მეორე მხრივ, „ანა დედოფლისეული ქართული ნუსხის ძველსომხური თარგმანის ტექსტთან შეჯერებამ ფრიად საფურადღებო სურათი წარმოაჩინა. აღმოჩნდა, რომ 8 შემთხვევაში, როცა ანა დედოფლისეული ნუსხის ტექსტში ტერმინი „ფხაზეთი“ აღნიშნავს მთელს დასავლეთ საქართველოს, ძველსომხური თარგმანის ტექსტში ეს სიტყვა ხაერთოდ არ დასტურდება“ (გვ. 6).

ჩვენი ავტორის ლოგიკა ასეთია: რადგან „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა უძველესია სხვა დანარჩენ ნუსხათა შორის (არსებობს სხვა მოსაზრებაც, მაგრამ ამას ამჟამად ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა), ამდენად, მატთანეთა ტექსტი იქ ყველაზე უკეთ უნდა იყოს შემორჩენილი, ხოლო რამდენადაც XII ს-ის მეორე ნახევარში შესრულებული სომხური თარგმანი ანა დედოფლისეულზე 300 წლით ძველი დედნიდანაა გადმოწერილი, ამდენად ტექსტის ის პასაჟები, რომლებიც არ დასტურდება სომხურში, მაგრამ გვაქვს ანა დედოფლისეულში, უნდა იყოს გვიანდელი ჩანართები, რომლებიც გაუკეთებია უცნობ ინტერპოლატორს XIII-XV საუკუნეებს შორის.

თავისი თეზისის დასამტკიცებლად იგი ერთმანეთს უდარებს სათანადო სომხურ და ქართულ კონტექსტებს და ასკვნის, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ტექსტი ჩვენამდე თაუდაპირველი სახით არ არის მოღწეული. მას ძალზე სერიოზული ცვლილებები განუცდია XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნის მეორე ნახევრამდე, ანუ ქართული ტექსტის სომხურად თარგმნის დროიდან ანა დედოფლისეული ნუსხის შექმნის დრომდე“ (გვ. 11).

ქვემოთ საგანგებოდ შევხებით ჩვენი ავტორის მიერ მოტანილ პარალელურ

ქართულ და სომხურ ტექსტებს. სომხურ სულ მსჯელობას, აქ კი უნდა აღვნიშნავ, რომ თვით ის ამოსავალი პოსტულატი, რაზედაცაა დამყარებული მისი კონსტრუქცია — სომხური თარგმანის პრიორიტეტული მნიშვნელობა „ქართლის ცხოვრების“ პირვანდელი ტექსტის აღდგენისათვის — მცდარია.

ის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების“ დედანი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სომხური თარგმანი, ამ უკანასკნელივით მოკლე უნდა ყოფილიყო, არ არის ახალი. ასე ფიქრობდა ჯერ კიდევ ფილოლოგი იუსტ. აბულაძე, მაგრამ ვველა დანარჩენ მკვლევარს, როგორც შეხება ამ საკითხს, მიაჩნია, რომ სომხური ტექსტი ქართული „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული თარგმანია. ცნობილი ფილოლოგი და წყაროთმცოდნე ილია აბულაძე, რომელმაც გამოისცა შემოხსენებული სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, „ქართლის ცხოვრების“ ქართული პარალელური ტექსტის თანდართვით და რომელსაც ამდენად ზედმიწევნით აქონდა გამოკვლეული და შედარებული მატთანის ქართულ-სომხური ტექსტები, არაერთგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსხვავებანი ტექსტებს შორის „იმით კი არ აიხსნება, რომ ჩვენამდის მოღწეული „ქართლის ცხოვრების“ ქართული ნუსხები შეჯგუფში განაურყვს, არამედ პირიქით, როგორც ქვემოთ ენახავთ. სომხურია გარკვეული თვალსაზრისით შემოკლებული. ერთი სიტყვით, სომხური ტექსტი რაიმე მისებრ მოკლე ქართული დედნის სიტყვა-სიტყვით თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ ის ქართული რედაქციის გამოკრებითი და შემოკლებული რედაქციაა“.

თ. გვანცელაძე სრულიად უგულვებელყოფს მეცნიერის ამ დასკვნას, მიღებული, ცხადია, ქართულ-სომხური ვარიანტების ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე და ფოველგარი საპირისპირო არგუმენტაციის გარეშე, მხოლოდ სომხური თარგმანის ქრონოლოგიური სიძველის საფუძველზე ანიჭებს მას უპირატესობას და, ფაქტობრივად, ერ-

თის მხრივ, მკვდრებით აღადგენს მეცნიერთაგან დიდი ხნის წინ ერთხმად უარყოფილ დებულებას, მეორე მხრივ კი, ეჭვის ქვეშ აყენებს საერთოდ „ქართლის ცხოვრების“, ამ უნიკალური ძეგლის, როგორც პირველწყაროს ღირებულებას.

მიუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ავტორის სიტყვით, ჯუანშერის მატიანეში რვა შემთხვევაში (თერთმეტედიან და არა თორმეტედიან, როგორც ნაშრომშია) ტერმინი „აფხაზეთი“ დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით იხმარება, რაც იმის მოწმობაა, რომ ეს თავდაპირველ ტექსტში ინტერპოლაციის შედეგია, რამდენადაც ჯუანშერს, VIII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწეს, გარკვეული, ზემოთ უკვე ხსენებული მიზეზების გამო, არ შეეძლო ამ ტერმინის ასეთი შინაარსით ხმარება. ეს მოსაზრება არ არის სწორი, რადგან, როგორც ეს „აბო ტფილელის მარტილობიდან“ ამჟღავნებს, VIII ს-ის 70-იან წლებში მთელი დასავლეთი საქართველო უკვე გაერთიანებულია აფხაზ მთავართა ხელქვეით და ამიტომ, ბუნებრივია, ტერმინ „აფხაზეთს“ ამ დროს უკვე ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და, მართლაც, ასეთი შინაარსით ხმარობს კიდევ მას ზემოხსენებული მარტილობის ავტორი, იოანე საბანისძე. კიდევ მეტი, აკად. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ მთელი დასავლეთი საქართველოს ერთ სამთავროდ გაერთიანება ლეონ I-ის დროს, VIII ს-ის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. და ამდენად ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ფართო მნიშვნელობით ხმარება ამ დროიდანვე იქნებოდა შესაძლებელი. ამგვარად, მოსაზრება, რომ VIII ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ჯუანშერი ვერ იხმარდა ტერმინს „აფხაზეთი“ ფართო, მთელი დასავლეთი საქართველოს შინაარსით და ამდენად ადგილები მატიანეში გვიან, კერძოდ, XIII-XV საუკუნეებში უნდა იყოს ინტერპოლირებული, საფუძველს მოკლებულია.

მაგრამ მთავარია ის, რომ ჯუანშერის ყველგან თავის მატიანეში აფხაზეთი ვიწრო მნიშვნელობით აქვს ნახმარი და არსად ეს ტერმინი მთელს დასავლეთ საქართველოს არ გულისხმობს! ეს კი ნიშნავს, რომ ჯუანშერმა, VIII ს-ის მოღვაწეა იგი, როგორც ზოგიერთ მეცნიერს ჰგონია, თუ XI ს-ის, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, სარგებლობდა ძველი, VIII საუკუნემდელი, საფიქრებელია, მის მიერ აღწერილ მოვლენათა თანადროული ავთენტური წყაროებით, რომელთაგან ნაღობა ამდენადვე ხავსებით შესაძლებელია.

განვიხილოთ სათანადო კონკრეტული ადგილები ჯუანშერის მატიანედან, რომლებიც მოაქვს თ. გვანცელაძეს თავისი თეზის დასამტკიცებლად (ციტატებს მოვიტან „ქართლის ცხოვრების“ აკად. ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მიხედვით, ტ. I, 1955).

I. ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისში „მასვე ეამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუეშითი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“. ამ წინადადების აზრი ასეთია: ბერძენები შემოიჭრნენ ეგრისში აფხაზეთიდან („აფხაზეთით“), რადგან მდ. ლალიძგის („ეგრისწყლის“) დასავლეთი („ქუეშითი“) ტერიტორია იმ დროს მათ ეკირათ, და დაიპყრეს ტერიტორია მდ. ლალიძგის აღმოსავლეთით დღევანდელ ნოქალაქეკამდე („ციხე-გოჯი“). აზრი ხავსებით ნათელი და ლოგიკურია.

განსხვავებით ყველა სხვა ნუსხისაგან, ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ადგილი ასეთი რედაქციითაა: „მასვე ეამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთად“ და სხვ. აღნიშნული ფორმა ტერმინისა („აფხაზეთად“), რომელიც თ. გვანცელაძეს ერთადერთ სწორ ვარიანტად მიაჩნია, რადიკალურად ცვლის წინადადების აზრს. ამ რედაქციით გამოდის, რომ ბერძენები „ეგრისწყლის ქუეშითიდან“ შემოსულან აფხაზეთში ანუ დასავლეთ საქართველოში, ანუ „აფ-

ხაზეთი“ აქ ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი.

ჯერ ერთი, ტექსტის ამგვარი აღდგენა არ არის მართებული წყაროთმცოდნეობითი ანალიზის კანონზომიერების თვალსაზრისით, რადგან თუკი აშკარა აზრობრივ დამახინჯებას არა აქვს აღვილი, მაშინ როგორც წესი, ერთადერთ, თუნდაც უძველეს ხელნაწერში დაცულ კითხვასხვაობასთან შედარებით, უპირატესობა დანარჩენი, თუნდაც გვიანდელი ხელნაწერების ერთნაირ საკითხავს უნდა მიეცეს.

შემდეგ, ანა დედოფლისეული ნუსხის კითხვასხვაობა მიუღებელია იმიტომაც, რომ ასეთ შემთხვევაში აზრი ეკარგება ჩართულ წინადადებას — „რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ფოველი“, — რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს გლოსას, რომლის აზრია, ახსნას მთავარი წინადადება: ბერძენები შემოიჭრნენ აფხაზეთიდან, რადგან ეს ტერიტორია („ეგრისწყალს ქუემოთ“) მათ ეჭირათ.

დასასრულ, ანა დედოფლისეული ნუსხის კითხვასხვაობის გაზიარებისას სრული უაზრობა გამოდის: რადგან ბერძენები „აფხაზეთად“ ანუ „აფხაზეთში“ (ე. ი. თ. გვანცელაძის აზრით, დასავლეთ საქართველოში), შემოჭრილან, ცხადია, ის ტერიტორია, საიდანაც იხინი შემოჭრილან არ შეიძლება იყოს „აფხაზეთი“. ე. ი. „ეგრისწყლის ქუემოთი კერძი ფოველი“ ანუ მდ. ღალიძგის დასავლეთი ტერიტორია არ არის „აფხაზეთი“. მაგრამ ეს ხომ ნონსენსია! სხვა არა იყოს რა, იმავე ანა დედოფლისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: „ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. ჯიქეთი კი სწორედ მდ. ბზიფის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა და ე. ი. ბზიფის აღმოსავლეთით და ღალიძგის დასავლეთით „აფხაზეთია“.

ამგვარად, წინააღმდეგ თ. გვანცელაძის კატეგორიული მტკიცებისა, სწორედ ანა დედოფლისეული ნუსხის კითხვასხვაობა — „მასვე ფამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთად“ — არ არის მარ-

თებული და ტექსტი უნდა ინასწორდეს სხვა ნუსხათა მიხედვით — „ერქვესუნი სა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთში“ რაც, ცხადია, ვაკეთა კიდეც აქამდ. ს. ყაუხჩიშვილმა.

ზემოთქმულის შემდეგ უნდა დაერწმუნებულავით, რომ წყაროს აღნიშნულ პასაჟში „აფხაზეთი“ სწორედ ვიწრო მნიშვნელობით არის ნახმარი და ამდენად არ გვაქვს არავითარი საფუძველი იგი ჯუანშერის ტექსტში ჩართულ გვიანდელ ინტერპოლაციად ჩაეთვალოთ.

თავისი ამ მცდარი მოსაზრების კიდევ ერთ დამადასტურებელ საბუთად თ. გვანცელაძეს „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის სათანადო აღვილი მოაქვს: „გამოვიდნენ ბერძენნიც და აიღეს ეგრისწყლის ქუემოთ ქუჯის ციხემდის“. აქ რომ „აფხაზეთი“ საერთოდ არ იხსენიება ჩვენს ავტორს იმის საფუძველს ამღვეს იფიქროს, რომ არც ქართულ პირველდღეანში არ ფოფილა ეს ტერმინი. ხინამდელიღუმი სომხური ტექსტი აქ აშკარად შემოკლებულია და თან ქართული ორიგინალის არასწორი გაგების შედეგათაა მიღებული. საქმე ის არის, რომ სომხური თარგმანის „ეგრისწყლის ქუემოთ ქუჯის ციხემდის“ ნონსენსია, რადგან „ეგრისწყლის ქუემოთი“, როგორც ვიცით, მდ. ღალიძგის დასავლეთს გულისხმობს, ხოლო „ქუჯის ციხე“ — ნოქალაქევი კი მდინარის საპირისპირო აღმოსავლეთ მხარესაა. უნდა ვიფიქროთ, სომეხმა მთარგმნელმა ზემომოტანილი ქართული ტექსტი კარგად ვერ გაიგო, შეამოკლა, რის შედეგადაც ციხე-გოჯი. ეგრისწყლის „ქუემოთ“ ანუ დასავლეთით მოქმედა.

ასე რომ, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად გაბედულია ჩვენი ავტორის განცხადება — „რეცეპტი“: „აუცილებლად მიგვაჩნია, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ზელახალი გამოცემის შემთხვევაში გამომცემლებმა აღადგინონ „აფხაზეთად“ ფორმა, დაურთონ შენიშვნა იმის შესახებ, რომ ფორმა არ არის ავტორისეული და არ შეესაბამება V საუკუნის

რეალობას" (გვ. 8). ცხადია, ამ უსაფუძვლო რეკომენდაციას, მიუხედავად მისი კატეგორიულობისა, ვერც ერთი მომავალი გამომცემელი ვერ მიიღებს!

2. ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილების შემდეგ, იმერკავკასიიდან ვახტანგ გორგასალი „წარმოედა გზასა აფხაზეთისასა... ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა (რომლებიც დაეპყრო ბიზანტიის კეისარს, ეს უკანასკნელი) ვერშემძლებულ იყო სხათა გამოგზავნად აფხაზეთს და (ვახტანგმა) წარიოტნა სამ წელ ციხენი აფხაზეთისანი ყოველნი ვიდრე ციხე-გოჯადმდე“.

თ. გვანცელაძის მიხედვით, „ამ ცნობაშიც ტერმინი „აფხაზეთი“ ოთხივე შემთხვევაში თუ არა, ბოლო ფრაზაში მაინც V საუკუნისთვის შეუფერებელი შინაარსით რომ არის ნახმარი, ამჟამად ციხე-გოჯის აფხაზეთის ციხედ გამოცხადებიდანაც“ (გვ. 8). ამას მისივე აზრით, ისიც ადასტურებს, რომ ამ ადგილის სომხურ თარგმანში „აფხაზეთი“ მხოლოდ ერთხელაა ნახსენები, ხოლო ციხე-გოჯზე ხაერთოდ არ არის საუბარი, რაც მოწმობს, რომ ასევე უნდა ყოფილიყო ქართულ პირველედანში (გვ. 9).

სინამდვილეში ჩვენი ავტორი არც აქ არის სწორი: ჯერ ერთი, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ციხე-გოჯის „ციხეთა აფხაზეთისათა“ მითვლა საესკებით გასაკებია, რადგან, რამდენადაც ტერიტორია „ვერისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“, როგორც ვიცით, „აფხაზეთიდან“ შემოჭრილი ლაშქრის მიერ იყო დაპყრობილი, ამდენადვე შუასაუკუნეების მემატრიანე, ბუნებრივად, მთელ ამ მიწა-წყალს „აფხაზეთად“ აღიქვამდა. სამისო მკვლევების მოტანა არ არის ძნელი: ასე, მკვლევართად, შორს რომ არ წავიდეთ, სწორედ ამ მიზეზის გამო ეწოდა VIII ს-დან მთელ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთი“ და სხვ. რაც შეეხება ციხე-გოჯს, იგი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ასევე საესკებით კანონზომიერადაა ნახსენები, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს მემატრიანის

თბრობისაგან: ვახტანგმა ხომ ბერძენებისაგან მიტაცებული მთელი ტერიტორია დაიბრუნა? ხოლო ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით შეადგენდა საკუთრივ აფხაზეთს („რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ვერისწყალს ქუეშოთი კერძი ყოველი“) და ვერისის მიწა-წყალს „ვერისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე“, რასაც გვიდასტურებს თვით სომხური თარგმანიც (იხ. ზემოთ). მაშ როგორღა შეიძლება ციხე-გოჯის ხსენება გვიანდელ ჩანართად წარმოვიდგინოთ? ასეთ შემთხვევაში ხომ დამახინჯებოდა მემატრიანის აზრი და გამოვიდოდა, რომ ვახტანგმა მხოლოდ საკუთრივ „ციხენი აფხაზეთისანი“ დაიბრუნა, როგორც ეს, სხვათაშორის, ამ ადგილის სომხურ თარგმანშია: ვახტანგი „ელბოდა აფხაზეთის მხარეებს და აიღო ყველა ციხე“! სწორედ ეს არის კიდევ ერთი მოწმობა იმისა, რომ სომეხი მთარგმნელი ქართულ დედანს ამოკლებს და ამდენადვე ამახინჯებს!

3. ვახტანგ გორგასალი და კეისარი ერთმანეთში საბოლოოდ მორიგდნენ. ეს უკანასკნელი მას ცოლად ატანს თავის ასულს. „გამოიკითხა კეისარმან საზღვარი (ტერიტორია) საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუის პირისა, რომელ არს აფხაზეთი... და დაუწერა ვერისწყალსა და კლისურასა (მდ. კლასურს) შუა ქუეყანა ზითუად (ვახტანგს) და სხუა აფხაზეთი უკუსცა ბერძენთა ვახტანგ“.

თ. გვანცელაძისთვის „ეს ცნობაც ამჟამად ნაყალბევია და ქართულ ტექსტში შეტანილია მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ, რადგან... სომხურ თარგმანში ხაერთოდ არ იხსენიება არც აფხაზეთი, არც ვერისწყალი და არც კლისურა“ (გვ. 9-10). ასე მართლედ და უაქვალციოდ უარყოფს ჩვენი ავტორი „ქართლის ცხოვრების“ ამ სრულიად კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტის მქონე და ამდენად ფრიალ მნიშვნელოვან ჩვენებას! აქვე დაეძენ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობათა რეალურობაზე (სხვათაშორის – ქრონოლოგიურზეც!) მე ამ ოცი წლის წინ მქონდა უკვე გამოქვეყ-



ნებული ჩემი მოსაზრებანი სათანადო არგუმენტაციით. მეორე მხრივ, აღვნიშნავ, რომ არც ამ ადგილას არის ნახმარი ტერმინი „აფხაზეთი“ დასავლეთი საქართველოს მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენს ავტორს ჰგონია, რომლის ლოგიკით გამოდის, რომ კეისარს ვახტანგისთვის დაუთმია „აფხაზეთის“ (ანუ თ. გვანცელაძის მიხედვით — მთელი დასავლეთი საქართველოს) ერთი, ეგრისწყალსა (ღალიძგას) და კლისურას (კელასურს) შორისი ტერიტორია, ხ.რ.ლო „სხუა აფხაზეთი“ (ანუ ჩვენა ავტორის ლოგიკით — დანარჩენი დასავლეთი საქართველო) ვახტანგს დაუბრუნებია კეისარისთვის! ესეც ნონსენსია, რადგან, ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი ფლობდა სწორედ მთელს დასავლეთ საქართველოს ეგრისწყალმდე და კეისარმა დაზავებისას მიუთვალა მას მზითვად დამატებით „ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა“, რომელიც მემატიანის წარმოდგენით, საკუთრივ „აფხაზეთის“ ტერიტორიის ნაწილი იყო, ხოლო „სხუა აფხაზეთი“ ე. ი. დანარჩენი აფხაზეთი ანუ ტერიტორია კლისურის დასავლეთით „უკუსცა ბერძენთა ვახტანგ“.

4. ზემოთქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ჯუანშერის კიდევ ერთ ცნობაში, რომელშიც ნახსენებია „სახლვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურასა შუა“, ტერმინი „აფხაზეთი“ სწორედ საკუთრივ აფხაზეთს გულისხმობს და არა დასავლეთ საქართველოს და ამდენად არც ეს ცნობაა გვიანდელი ჩანართი, თუმცა იგი არ მოიპოვება სომხურ თარგმანში.

5. მურვან წრუმ ააოხრა ქართლი. „მეფენი ქართლისანი“ მიპრ და არჩილ“ წარვიდეს ეგრისად და მუნით მიიცივალნეს (გადავიდნენ) აფხაზეთად“. მურვანი დაედევნა მათ ეგრისშიც, „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა, და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შეველო ზღუდე, საზ-13. „მითობი“, № 3—4.

ღვარი კლისურისა... და ვითარცა შეველო ყრუმან კლისურა, რომელსა მას ზღუდასა იყო სახლვარი საბერძენეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა... ეინა იგი მოსრული იპოვა (აღმოჩნდა) თავსა ზედა მის გორისასა“...

„ქართლის ცხოვრების“ ამ შესანიშნავი კონკრეტული რეალიებით დატვირთული ჩვენებისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება თ. გვანცელაძის განსაკუთრებულ გულისწერომას იმსახურებს. „ამ ვრცელი ცნობის საფუძველზე აფხაზი და ქართველი ისტორიკოსები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ VIII ს-ის 30 იან წლებში საქართველოსა (უკეთ, ეგრის-ლაზიკისა) და საბერძენეთის პოლიტიკური სახლვარი გადიოდა ცხუმის ახლოს, მდინარე კელასურზე... სპეციალისტებს, სამწუხაროდ, ამ ცნობის სანდოობისა და ავტორისეულობაში დღემდე ეჭვიც კი არ შეჰპარვიათ, რაც მთავარია, პროფ. ილ. აბულაძის შემდეგ, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ქართული ტექსტი დეტალურად ჯერაც არავის შეუჯერებია „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხური თარგმანის სათანადო მონაკვეთთან“... (გვ. 13). ძველსომხური თარგმანის ეს მონაკვეთი კი ასეთია: მას შემდეგ რაც მურვანი კავკასიაში შემოიჭრა, „ქართლის უფალნი გაიქცნენ ეგრისს და იქიდან აფხაზეთს. გამოუდგა მათ და აიღო ციხე ეგრისა. მივიდა ანაკოფოსის ციხეში, სადაც იყო ღვთისმშობლის ხელთქმნილი ხატი, რომელიც არავინ იცოდა, თუ საიდან იყო, რადგან ის გორის მთის თავზე იპოვეს“.

სომეხი მთარგმნელის ეს ტექსტი ჩვენს ავტორს, ისტორიკოსთაგან განსხვავებით, „დეტალურად შეუჯერებია“ ქართულ წყაროსთან, რამაც იგი დაარწმუნა, რომ „თარგმანი ძალზე განსხვავდება ქართული ტექსტისაგან. მასში საერთოდ არ იხსენიება არც კელასურის (კლისორის) ზღუდე, არც საბერძენეთ-

საქართველოს საზღვარი... არც ცხუმი, არც აფშელეთი“... (გვ. 14), რის შედეგადაც იგი ასკენის, რომ „ქართლის ცხოვრების“ ზემოხსენებული ჩვენება არ არის ავთენტური, არამედ „XII-XV საუკუნეთა შორის მოღვაწე ქართველმა ინტერპოლატორმა, რომელსაც რატომღაც განსაკუთრებით აინტერესებდა (?! დ. მ.) დასავლეთ საქართველოს ისტორია, ჩაურთო ცნობები... კელასურის ზღუდის, საბერძნეთ-საქართველოს საზღვრის, აფშელეთ-აფხაზეთის ქალაქ ცხუმის“ და სხვათა შესახებ (გვ. 15). მორჩა და გათავდა!

სინამდვილეში ჩვენს ავტორს ელემენტარული წყაროთმცოდნეობითი ანალიზი რომ ჩაეტარებინა და ან ისტორიკოსისათვის არსებითი სხვა რეალიები გაეთვალისწინებინა, ასეთ მცდარ აზრს არ დაადგებოდა და მისთვის ცხადი შეიქნებოდა ქართული ტექსტის ავთენტურობაც და სომხური თარგმანის მდარე ხარისხიც და სიმოკლეც.

მართლაც, ქართველი მემატიანე ვადმოვკცემს, რომ მურვანმა „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუყანისა ეგრისისანიცა“. სომეხი მთარგმნელი, რომელსაც, უკველია, ასეთივე ტექსტი ედო თვალწინ, ამოკლებს მას, რის შედეგადაც მიიღო გაუგებარი წინადადება — „აილო ციხე ეგრისა“. ასეთი რამ ქართულ პირველედანში შეუძლებელია წერებულყო, რადგან „ციხე ეგრისა“ ქართულმა წყაროებმა არ იციან! გარდა ამისა „ქართლის ცხოვრება“ მოვეითხრობს, რომ ანაკოფიის ღვთისმშობლის ხატი „იპოვა თავსა ზედა მის გორისასა“, ანუ ღვთისმშობლის ხატი იპოვებოდა ანაკოფიის მთის თავზე. სომხური თარგმანი ამ წინადადებასა — „ღვთისმშობლის ხატი იპოვეს გორის მთის თავზე“ — ცხადად გვიჩვენებს აგრეთვე, რომ მთარგმნელს სწორედ ის ტექსტი ჰქონია, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ დღემდე დაცული, მაგრამ ვერ გაუგია კარგად და ზოგადი სახელი („გორი“) საკუთარ სახელად, ტოპონიმად აღუქვია, (შესაძლებელია, დავით აღმაშენებლის მიერ

ახლად დაარსებული ქალაქი გორის ასოციაციითაც კი), რის შედეგადაც ტექსტი ამკარად დამახინჯებულია.

ამრიგად, ამ მაგალითებიდანაც ცხადია, რომ სომხური ტექსტი ქართულის შემოკლებას წარმოადგენს და რიგ შემთხვევაში ამის შედეგად გაუგებაროცა.

მაგრამ, ვგების, ამისდა მიუხედავად, ქართულ ტექსტში, მართლაც, გვიანაა ინტერპოლირებული ისეთი ლეტალები, როგორცაა ციხე-გოჯის სამზღუდიანობა, კლისურის ზღუდის არსებობა, კლისურის, როგორც საზღვრის დასახელება და სხვ.

ეს რომ დაეუშვათ, ჯერ ერთი, უნდა აიხსნას, რა რჯიდა XIII-XV საუკუნეების ინტერპოლატორს, მურვან ყრუს ლაშქრობის ასეთ ლეტალიზაციას რომ ახდენდა? განა ამისთვის საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მას „რატომღაც განსაკუთრებით აინტერესებდა დასავლეთ საქართველოს ისტორია“?! ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შემდგენელს ისევე, როგორც მასში შესულმატიანეთა ავტორებს, პირველ ყოვლისა, და არსებითად აღმოსავლეთი საქართველოს ანუ „ქართლის“ ისტორია აინტერესებთ. ამიტომ ეწოდება ამ კრებულს „ქართლის ცხოვრება“! ეს, პირველ რიგში, შეეხება ლეონტი მროველსა და ჯუანშერს, დასავლეთ საქართველოს — ეგრისს ან აფხაზეთს — ისინი ეხებიან იმდენად, რამდენადაც მათი თხრობის მიხედვით, ამას „ქართლის“ პოლიტიკური ისტორია მოითხოვს. ეს რომ გაეთვალისწინებინა ჩვენს ავტორს, შესაძლებელია, ბერი რამ მისთვის უფრო ნათელი ყოფილიყო. ზემოხსენებულ მაგალითშიც ჯუანშერის (თ. გვანცელაძის აზრით — გვიანდელი ინტერპოლატორის) დასავლეთი საქართველოთი რაიმე „განსაკუთრებულ დაინტერესებასთან“ კი არ გვაქვს საქმე, არამედ იქ გადახვეწილი „ქართლის მეფეების“ ბიოგრაფიული პერიპეტიებისა და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენების აღწერასთან.

მეორე მხრივ, ხწორედ ამ ლაშქრობის რეალიათა ასეთი დეტალიზაცია იმის მოწმობაა, რომ აქ მოვლენათა თანადროულ წყაროსთან უნდა ვეკონდეს საქმე. ვარდა ამისა სრული უეჭველობით დასტურდება ამ რეალიათა ისტორიულობა. ასე, მაგალითად, ერთი ახლად აღმოჩენილი ქართული წყაროს მიხედვით კელასურის კედელი VI ს-შია აგებული და, ცხადია, იგი VIII ს-შიც, ხავსებით შესაძლებელია, ფუნქციონირებდა; ციხე-გოჯის „სამზღუდიანობა“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი ფაქტია; ქალაქი ცხუმი, მართლაც, აფშილეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. რაც შეეხება კლისურის (მდ. კელასურის), როგორც სხვადასხვა „ქვეყანათა“ (ეგრისისა და აფხაზეთის, საქართველოსა და საბერძნეთის) სასახლეგრო მიჯნის დასახელებას, ესეც სრულიად რეალური ფაქტია, რისი დასტურიცაა, ვერ ერთი, მემატიანის მიერ ამ მდინარის ასეთად დასახელება ვახტანგ გორგასლის დროისთვის (იხ. ზემოთ). შემდეგ, რომ მაინცდამაინც VIII ს-ის დასაწყისში აქ გადიოდა საზღვარი აფხაზეთსა (საბერძნეთსა) და ეგრისს (საქართველოს) შორის, ამას მოწმობს IX ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე, რომელიც ჩვენამდე არმოდწეულ პირველწყაროზე დაყრდნობით ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების აღწერისას 717 წლისთვის აღნიშნავს, რომ იმიერკავკასიელ ალანთა „ჯარი დაიძრა აბაზგიის (აფხაზეთის) წინააღმდეგ და მოულოდნელად შეიჭრა კლისურებში“. ეჭვი არ არის, ალანთა რაზმი კოდორის ხეობით უნდა გადმოსულიყო იმიერკავკასიაში და ამ გზით შეჭრილიყო „კლისურებში“, რომელიც კონტექსტით აფხაზეთის საზღვარს წარმოადგენდა.

ამგვარად, ზემოთქმულის შემდეგ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თ. გვანცელაძის მოსაზრება, თითქოს „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ჯუანშერის თხზულების ის ადგილები, სადაც ნახსენებია „აფხაზეთი“ გვიანდელი

ლი ინტერპოლაციების შედეგად შექმნილი მისი არგუმენტაცია ამ მოსაზრებას დასახსნებულად სრულიად მოკლებულია საფუძველს. ამდენადვე მიუღებელია მეცნიერთაგან დიდი ხნის წინ საბუთიერად უარყოფილი თეზისი იმის შესახებ, თითქოს „ქართლის ცხოვრების“ XII ს-ის სომხური ტექსტი არის არა გამონაკრები და შემოკლებული თარგმანი პირველდგენიდან, არამედ სიტყვა-სიტყვითი თარგმანია ვითომდა იმ დროს არსებული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისა.

მე აღარ გამოვეკიდები სხვა გაუგებრობებს, რაც თ. გვანცელაძის ნაშრომში საკმაოადაა გაბნეული, მხოლოდ დავსვამ კითხვას: მართალია, ჩვენს ავტორს გულწრფელად სჯერა თავისი ინტერპრეტაციების და ამდენად თავისი პოზიციის სისწორისა, მაგრამ რა მიზანს ემსახურება მისი ეს მცდარი კონცეფცია? როდ დასჭირდა მას ჯუანშერის თხზულების ზემომოტანილი პასაჟების თავისებური გააზრება?

პასუხს ამ კითხვაზე მისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი იძლევა, საიდანაც ვივებთ, რომ ტერმინ „აფხაზეთის“ ჯუანშერის მატთანში „კანტიკუნტად ხმარება... შემთხვევითი ფაქტი არ არის. ამის მიზეზად სავარაუდოა ის, რომ საკუთრივ „აფხაზეთი“ არ მდებარეობდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო აფხაზეთი წინაპრები უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე მაინც (თუ XII საუკუნემდე არა) საერთოდ არ სახლობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალზე“.. (ავტორეფ. გვ. 17). იქვე მეორეგან ვკითხულობთ: „ეთნიკური აფხაზეთი არ შედიოდა ლიხთიმერეთში და არ მდებარეობდა შაეი (პონტოს) ზღვის ნაპირზე“ (ავტორეფ. გვ. 19). ჩვენი ავტორის მიხედვით, თვით XVII ს-შიც კი „აფხაზეთი“ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის აუზში მდებარეობდა (ავტორეფ. გვ. 20).

აი ეს დებულებები, რომელთა სისწორეში თ. გვანცელაძეს ეჭვიც არ ეპარება, გახლავთ საფუძველი იმისათვის,

რომ „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, ჯუანშერის მატეიანეში ის პასაჟები, სადაც „აფხაზეთია“ ნახსენები გვიანდელ ინტერპოლაციებად გამოცხადდეს. ზემოხსენებული დებულებები კი, რომლებიც, როგორც შეითხველი შეამჩნევდა, არც მთლად მწყობრია და ურთიერთსაწინააღმდეგოც კია, აბსოლუტურად მცდარია. რატომ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ჯუანშერთან იშვიათად, ამის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული. ხოლო დღევანდელ აფხაზეთა (აფხაზეთა) წინაპრები რომ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლდნენ გვიან საუკუნეებში, ეს სწორია და არაერთხელ აღნიშნულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ რომ „აფხაზეთი“, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში მისი შინაარსი იცვლებოდა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე მდებარეობდა იქ, სადაც ეზლაცაა, ეს სადაო არ არის. როგორც უნდა დაკრწმუნებულიყავით, ამას ადასტურებს სწორედ ჯუანშერის ტექსტი, რომლის ასე უსაფუძვლოდ ხელყოფა არ ეკების.

ჩვენი ავტორის მცდელობა ახლებურად გაიაზროს ჯუანშერის მატეიანის ტექსტი, ფაქტობრივად კი, უარპყოს მის წინამორბედ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა მიერ „ქართლის ცხოვრების“, როგორც უძვირფასესი პირველწყაროს შეფასება გამოკრებილი, შემოკლებული (და ბევრგან დამახინჯებული!) XII ს-ის სომხური თარგმანის ტექსტის საფუძველზე, არა მხოლოდ არსებითად, არამედ მეთოდოლოგიურადაც მცდარია. ამდენადვე მიზანს არის აცდენილი მისი ფრიად თამამი არავრთავისი და კატეგორიული ტონით გამოთქმული შეფასებები და რეკომენდაციები, მაგალითად, ასეთი ხასიათისა: „ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები... რატომღაც თავს არიდებენ, შემოწმონ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ცნობები „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანთან შეჯერების გზით. ვფიქრობთ, დროა, მოხდეს ჯუანშერის, როგორც პატიოსანი (?! დ. მ.) და სანდო ავტორის, რეაბილიტაცია და ვვე-

ლაფერს თავისი სახელი „ლაქრქვესი“ (გვ. 37).

რატომ „არიდებენ თავს“ ისტორიკოსები ქართულ-სომხური ტექსტების შედარების თ. გვანცელაძისეულ მეთოდს და რა საკვალალო შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ ასეთი „შეჯერების“ გზით, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, სადაც ასეთი შეჯერება საჭირო და მიზანშეწონილია, რა თქმა უნდა, ისტორიკოსები იყენებენ სომხური თარგმანის განსხვავებულ ჩვენებას თუ კითხვასხეობას...

დასასრულ უნდა აღვნიშნო: გასაოცარი ის არის, რომ გამოკრებილი და უზვიერო სომხური თარგმანის საფუძველზე მის მიერ გამოშვიგნული ჯუანშერის მატეიანის ტექსტის „აღდგენით“, თ. გვანცელაძეს ჰკონია, რომ მოახდინა „ჯუანშერის, როგორც პატიოსანი და სანდო ავტორის რეაბილიტაცია“! სინამდვილეში კი ჩვენი ავტორის მიერ ჩატარებული „ოპერაცია“, მისდა უნებურად, საწინააღმდეგო შედეგისაა და სრულიად უსაფუძვლოდ არა მხოლოდ ჯუანშერის, როგორც მას ჰკონია, არამედ მთელი „ქართლის ცხოვრების“, როგორც პირველწყაროს დისკრედიტაცას და გაღარბებებს ემსახურება.

„ქართლის ცხოვრება“, აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმისა არ იყოს, „ერთი უბირი ქრონიკა არ არის“, არამედ სრულიად უნიკალური გამოვლინებაა ჩვენს წინაპართა ისტორიული მენტალიტეტისა, რომელშიც არა მხოლოდ პოლიტიკური ისტორიაა („შეფეთა ისტორია“) მოთხრობილი, არამედ ქართველი ხალხის ეთნიკური, სოციალური და სახელმწიფოებრივი განვითარების მწყობრი და საეხებით რეალისტური კონცეფციაა ჩამოყალიბებული. ამ თვალსაზრისით იგი ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. ამდენადვე, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, მის ყოველ ჩვენებას პროფესიონალური და ფრთხილი მოპყრობა სჭირდება.

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, თუ ხარაზი ხარ, ნაღბანდობაზე არ უნდა გაისარჯო!

ორმომხდაათიანი წლების მეორე ნახევრის პოლიტიკური ვითარება და ქართული მწერლობა

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა, ყოველთვის, ღებინისა თუ გაჭირვების წამს, შეურიგებელი პოლიტიკური ვითარებისა თუ მშვიდობიანი აღმშენებლობით სერიოზულ, ქვეყნის დაწინაურებული თუ გართულებული საგარეო მდგომარეობის ვითარებაში მუდამ მზარში ედგა მშობლიურ ხალხს, ცხოვრობდა მისი ცხოვრებით, გამარჯვების რწმენას უნერგავდა მათ, აღაფრთოვანებდა მისი მიღწევისათვის ბრძოლაში. ასე იყო 1956-1960 წლებშიც, როცა მის წინაშე ერთხელ კიდევ დადგა შინა-ხელმწიფობრივი ძნელებლობის დრო, როცა პარტიისა და მთავრობის მცდარმა მოღვაწეობამ თავს დაატეხა ტრაგედია, ადამიანთა ზოცვა-ფლელტა, რეპრესიები...

* * *

ერთი შეხედვით, ვითომ წყნარ, ჩვეულებრივ საზეიმო ვითარებაში შეეგება ქართველი ხალხი ახალ, 1956 წელს. გასული პერიოდის სამეურნეო და კულტურული მუშაობის შედეგების შემდეგ იგი ასევე ვითომ წყნარ პირობებშივე, თუმცა პარტიის მკვირალა ლოზუნგე-

ბით, შეუდგა ახალი გეგმა-ვაღდებულებათა განხორციელებას. მაშინ ხომ უფრო კიდევ არ იყო მიწერებით მათი შესრულების მანკიერი პრაქტიკა, რამაც შემდგომ ხუთწლეულებში ფართოდ მოიკიდა ფეხი. ამასთან, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთები იუწყებოდნენ იმის შესახებ, რომ უდიდესი წარმატებით დამთავრდა პარტიის XX ყრილობა (თებერვალი). გაზეთებში უკვე განჩნდა გარეგნულად ეფექტური ახალი რუბრიკები ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადაზე ადრე შესრულებისა და ინფორმაციები მათი განხორციელების პირველი ნაბიჯების შესახებ. მაგრამ საქმე ფაქტობრივად ასე სრულებითაც არ იყო. ეს მკაფიოდ გამოჩნდა მარტის პირველი დღეებიდანვე, როდესაც 5 მარტს ი. ბ. სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გორში, აგრეთვე სხვა ქალაქებსა და რაიონებში დაუფოვნებელივ გადაიზარდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობად. იგი განაპირობა ყრილობის, ე. წ. დახურულ სხდომაზე პიროვნების კულტის თაობაზე ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსის გავრცელებამ.

მიტინგების მონაწილეთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. თბილისში,

მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით თუ პირველ-ორ დღეში მისი რაოდენობა 50 ათასამდე იყო, შემდეგ დღეებში ასი ათასამდე ავიდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრიობის ფართო ფენები, მათ შორის, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები. არქივებმა შემოვიინახეს მათი სიტყვები, ლექსები, მოწოდებები. ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მხრს უჭერდა მიტინგების მონაწილეებს, აკრიტიკებდა მთავრობის საქმიანობას, მიიჩნევდა ამ მოქმედებას ეროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავების ხელისშემწეობად.¹ სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს შესახებ. არქივებმა ამ სიტყვების ქრული ტექსტებიც შემოვიინახეს.

მიტინგების დაწყების პირველი დღეებიდანვე ხელისუფლება სათანადო ზომებს იღებს. მოსკოვიდან ჩამოდიან მაღალი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირები, რომლებიც ფაქტობრივად ხელში იღებენ ხელმძღვანელობას. ლენინკანიდან დამატებით გადმოისროლეს იქ განლაგებული სამხედრო დივიზიის ნაწილები, თბილისის გარნიზონის უფროსის, გერენალ გლადკოვის № 14 ბრძანებით ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტები აიყვანეს სამხედრო დაცვაში,² საავადმყოფოებიდან მსუბუქი ავადმყოფები სასწრაფოდ გაწერეს, მოხალდნელი საჭიროებისათვის კი პალატები ჯაშადადეს ასეთივე ზომებს იღებენ სხვა ქალაქებშიც. მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ჰაერში უკვე დენთის სუნი ტრიალებდა. სამხედროები სივალს ელოდნენ. იხიც მალე გამოჩნდა.

9 მარტს ღამით, როცა მიტინგის მონაწილეთა ერთი ჯგუფი კავშირგაბმულობის სახლთან მივიდა, რათა მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების ახალგაზრდობისათვის დეპეშები გაეგზავნათ მხარდაჭერის თხოვნით, ჯგუფს იქ განლაგე-

ბულმა ოცეულმა ცეცხლი შეუკრძალებულყო სივანალი.

ხელისუფლებამ სხვა საშუალება რომ ეკრ მოიფიქრა, ტანკებით გარშემორტყმულ მიტინგებს ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი დაუშინა, დაიწყო მათი ბარბაროსული დარბევა, ადამიანთა ზოცვა-გელტა. სანაპირო და რუსთაველის გამზირი სისხლით შეიღებდა. დაღუპულები და დაჭრილები საავადმყოფოებში გადაიყვანეს. დილით იქ 23 დაღუპული და 37 მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა. მსუბუქი ჭრილობის ათობით ადამიანი ექიმების მიერ ჭრილობების დამუშავების შემდეგ სახლებში გაუშვეს, თან გააფრთხილეს — ცოტა ხნით თბილისს ვაცლოდნენ. გარდა ამისა, ფიზიკური და მორალური ტრავმა ასობით ადამიანმა მიიღო. იმავე ღამეს სამასზე მეტი კაცი უშიშროების კომიტეტის საკნებში მოათავსეს.

მიტინგების ბარბაროსული დარბევის შემდეგაც გრძელდება დაპატიმრებები. დაპატიმრებულთა შორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში 58-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს მოწოდებისათვის ავტოცია-პროგანდის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, 31 კაცი მისცეს. აქედან ორიდან ათ წლამდე სასჯელი 9 კაცმა შორეულ კომპირში, პოლიტპატიმართა ბანაკებში გაატარა. დანარჩენებს ძიების პროცესში შეუცვალეს ბრალდება. ისინი საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივ დარღვევებში მონაწილეობისათვის დაადანაშაულებს და შესაბამისი სასჯელებიც აქ, ადგილზე მოახდევინეს.³

ამასთან, ხელისუფლებამ განახორციელა პარტიული და ადმინისტრაციული დასჯითი ღონისძიებები. ბევრი გარიცხეს პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, ბევრიც მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან, ბევრიც სუკის სააგენტურო აღრიცხვაზე აიყვანეს.

მიუხედავად რეპრესიებისა და სხვა დასჯითი ღონისძიებებისა, მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება კვლავ გრძელდებოდა. სტუდენტები ბოიკოტს უცხა-

დებდნენ პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას. პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებები, რომლებზედაც კითხულობდნენ მე-20 ყრილობის შედეგებს და პიროვნების კულტის თაობაზე ხრუშჩოვის ე. წ. მოხსენებას, ბევრგან ჩაიშალა, ბევრგან მას უბრალოდ თან ახლდა საყოველთაო ღუძილის ტაქტიკა. თბილისში, რუსთავეში, გორში, ბათუმში, ზუგდიდში, ქობულეთსა და სხვა ქალაქებში ფართოდ ვრცელდება ანტისაბჭოთა პროკლამაციები და მოწოდებები ხელნაწერების სახით. თბილისში გივი ბარამიძისა და იროდიონ ფაჩულიას მიერ (გივი ბარამიძე გახლდათ ხელოვნებათმცოდნე, კულტურის სამინისტროს თანამშრომელი, შემდეგ — გარდაცვალებამდე ჟურნალ „ხელოვნების“ განყოფილების გამგე; იროდიონ ფაჩულია — ხელოვნებათმცოდნე, ჯერ მუშაობდა ქართულ მოზარდ მწერებელთა თეატრში, შემდეგ — სიმხურ თეატრში; ირივე რეპრესირებული იყო, მიესჯათ ექვს-ექვსი წელი შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებით). ამ უკანასკნელის ბინაზე მოეწყო არალეგალური სტამბა, მისგან სრულიად დამოუკიდებლად ასევე არალეგალური სტამბა მოაწყვეს ძმებმა ფიცხელაურებმა (რომელთაგან ერთი იყო ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტი, მეორე — ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი) ყაზბეგში „ნათლისმცემლის“ გამოქვეყნებაში. აქ იბეჭდებოდა საკმაოდ სოლიდური პროკლამაციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. პროკლამაციები ფართოდ ვრცელდებოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში. ძმები ფიცხელაურები თბილისიდან რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის აღმასკომებს, აგრეთვე კულტურის განყოფილებებს ფოსტით უგზავნიდნენ თავიანთ დაბეჭდილ პროკლამაციებს. სტამბებისა და პროკლამაციების ორგანიზატორები ორი წლის შემდეგ „ჩაუარდნენ“. ისინი დააპატიმრეს და გაასამართლეს. თვით ციმბირში გადასახ-

ლებულ მსჯავრდადებულთა შორის მხოლოდ რე მუენარგიამ და მიხეილ ქვეციანი (სამსპერიოდში პეტრე მუენარგია იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, მიხეილ ყიფიანი — სამამულო ომის მონაწილე) შექმნეს არალეგალური ორგანიზაცია „საქართველოს ხსნის კომიტეტი“ თავისი წესდებითა და პროგრამით. ისინი ხელნაწერ პროკლამაციებს ავრცელებდნენ პატიმრებს შორის, აგზავნიდნენ საქართველოშიც. კომიტეტიც „ჩაუარდა“. ხელმძღვანელები მუენარგია და ყიფიანი მეორედ გაასამართლეს. პირველ 8-8 წლის სასჯელს მეორედ 2-2 წელი დაუმატეს. „ჩაუარდა“ ის ჯგუფიც, რომელიც ქვეყნის პირველი კაცის (ხრუშჩოვი) წინააღმდეგ ტერორს აშხადებდა, როცა ის საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდოდა 1961 წლის თებერვალში. ჯგუფის ყველა ოთხივე მონაწილე შეაკრად დასაჯეს.⁴

ამგვარად, ორმოცდაათიანი წლების მე-2 ნახევარი საქართველოში მწვავე პოლიტიკური მოვლენებით აღინიშნა, ანტისაბჭოთა მოქმედებებმა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემებმა კვლავ წინა პლანზე წამოიწიეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (ლუკის) ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარედგინა. ცნობაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ „ნაციონალისტური ელემენტები“. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ინტელიგენციასა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში. თავიანთ ანტისაბჭოთა მოქმედებას ისინი აელენდნენ სხვადასხვა ფორმით: უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა გამო, წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, ახლა მათ შეხედულებებს, — აღნიშნულია ცნობაში, — იზიარებენ ისინიც კი, ვინც აქამდე არ იყვნენ მსგავს მოქმედებაში შემჩნეულ-

ნი. რესპუბლიკაში ფართოდ ვრცელდებოდა შესაბამისი ანტისაბჭოთა ხმები, შეხედულებები, ანონიმური ფურცლები, წერილები. მხოლოდ მარტსა და აპრილში, არასრული მონაცემებით, რესპუბლიკაში 170 სხვადასხვა ანტისაბჭოთა ანონიმური ფურცელი და მოწოდება გავრცელდა.⁵ თვით სუკის იმ დროინდელი ხელმძღვანელის, ალექსი ინაურის შეფასებით, მარტის მოვლენების პერიოდში სწორედ ანტისაბჭოთა მოქმედება მძლავრდებოდა.⁶

შემდეგ, რუსული ენის ხმარებისა და, საერთოდ, რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებმა ყველგან, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, ორგანიზაციადანწყვეტილებებსა და შემოქმედებით კავშირებში, მოსახლეობაში, მათ შორის, საქართველოს მწერალთა კავშირში ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა.

დიდი აქტივობით ჩატარდა მწერალთა კავშირის პარტიული კრება. კრებაზე, რომელსაც პარტიის 76 წევრიდან 72 დაესწრო, პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და მწერალთა კავშირის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ყრილობის დელეგატმა ირაკლი აბაშიძემ. კამათში გამომსვლელთაგან ბევრი ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს შეეხო. ილაპარაკეს ქართული ენის იგნორირების შესახებ და მოითხოვეს ამ საკითხის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე პრინციპულად დაყენება. ასევე კონკრეტულად მიუთითეს სხვადასხვა ორგანოებში ქართული ენის დამახინჯების ფაქტებზე. ვრცლად ილაპარაკეს ახალგაზრდობის აღზრდისა და ამ საქმეში მწერლებისა და პრესის როლზე. კრების მონაწილეთა ერთ-ერთი ორატორის გამოსვლამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ზედმეტად მიაჩნია ამდენი ლაპარაკი ქართული ენის შესახებ. „სისულელეა“, ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულ ენაზე და არ ვივიწყებთ რუსი ხალხის ენის შესწავლის აუცილებლობას“, „პროვოკაციაა თქვენი გამოსვლა“, „არ გესმის, რას ნიშნავს ნაციონალიზმი“ და

სხვა მსგავსი შემახილებით გამოვსვლა. თითქმის კრების ყველა მონაწილემ მის გამოსვლას.

კიდევ უფრო ცხარე კამათი გაიმართა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე (1956 წ. 29-30 სექტემბერი). რომელიც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს მიემდგინა.

„ქართველ ხალხს, — აღნიშნა კონსტანტინა გამსახურდიამ, — 200-ზე მეტი მეფე გვეოლია, მაგრამ შრავალთათვის მელანსაც არ დაეზარჯავდი, დავით აღმაშენებელს კი მთელი შეგნებული ცხოვრების შესამედი მივუძღვენი“ და იქვე დააყენა საკითხი: „რად არ უნდა ამშვენებდეს თბილისს ამ გმირის ძეგლი, რომელმაც გამოსალმებას გადაარჩინა მთელი კავკასია და თბილისი?“ „რაც დამიწერია, დამიწერია და ამის გამო პასუხს ვაგებ ყოველ დროში და ვეუბნები წინაშე ჩვენ ვეუბნები გვეყავს ორი დიდი მსაჯული: ხალხი და დრო. უკანასკნელი სიტყვა მათ ეკუთვნით“.

„ახლა ქართული ენა, — აღნიშნა ბესო ფლენტმა, — სერიოზული საფრთხის წინაშეა... იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული ენა გადაიქცა ოჯახური ურთიერთობის გამომხატველ ენად. ამის ვერაერთარ შემთხვევაში ქართველი მწერლობა ვერ შეურიგდება. ჩვენ ყოველთვის გვითხოვია და ვთხოვთ პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს, დაიცვან ქართული ენის ღირსება და უფლება. საქართველოს სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, საქართველოს დაწესებულებებში უნდა ისმოდეს ქართული ენა“...

პლენუმზე გამოსულმა სხვა ორატორებმაც სამართლიანი მკაცრი შენიშვნები გააკეთეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულ არაერთ დებულებასთან დაკავშირებით. ითქვა იმის შესახებ, რომ საჭიროა გავარკვიოთ, რა არის ისტორიული, როგორაა და როგორ უნდა იყოს გაშუქებული ეს მოვლენა და ვვლა ისტორიულს არ უნდა მივაკუთვნოთ უარყოფითის იარაღი. ეს იქნებოდა საზიანო ჩვენი



ახალგაზრდობისათვის (მ. მრეველიშვილი). როცა ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ჩვენი მადლიერების გრძნობა რუსი ხალხისადმი განუსაზღვრელია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ჩვენ გვიყვარს, ჩვენც უნდა ვუყვარდეთ (დ. შენგელაია). უნდა არსებობდეს ერთი ნამდვილი ძმობა და სოლიდარობა (გ. ქიქოძე), რომ „გიორგი რუსში“ გიორგის პიროვნების აღწერა ისტორიულ ფაქტს ემყარება, რომ ტყუილია ის ამბავი, თითქოს რუსეთთან შეგობრობისათვის მოიყვანეს იური საქართველოში. მისი მოყვანა საქართველოში ფეოდალების ინტრიგების შედეგია (შ. დიდიანი), ჩვენ უნდა ვუთხრათ ახალგაზრდებს: იზრუნეთ ქართული ენის სიწმინდისათვის, ქართული კულტურის ავსებებისათვის, ქართული ერის გამრავლებისა და ბედნიერებისათვის. აი, რაშია პატრიოტობა (მ. ბარათაშვილი).⁷

ქართველ მწერალთა ეს სიტყვები მთელი ხალხის გულსინალების გამოძახილი იყო.

მოკლედ იმის შესახებაც, თუ როგორაა ასახული ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და ხელოვნებაში ორმოცდაათიანი წლების მორე ნახევრის ეს ტრაგიკული მოვლენები. მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ჩვენ მათ ძირითადად ისტორიულ სინამდვილესთან მიმართებაში განვიხილავთ.

იმის გამო, რომ გარკვეულ პერიოდში მასზე წერა და ლაპარაკი აკრძალული იყო, ბევრი მათგანი მწერლის არქივში ინახებოდა.

სიმონ ჩიქოვანის უსათაურო ლექსს „წუხელ ქურდულად მესროლეს ტყვია“, მთელი ოცდაათობეტი წელიწადი მისი პირადი არქივი ინახავდა. იგი მოკლე კომენტარით გამოაქვეყნა ნონა კუპრეიშვილმა 1990 წლის 1 თებერვალს „თბილისში“. ლექსი, როგორც მისი ერთი სტრიქონი „მტკვართან აპრილი არ მოვა წლევუს“, მიგვანიშნებს, დაწერილია იმ 1956 წლის მარტში, ტრაგედიის დღეებში, მისი გაყვლით, აუღელვებ-

ლად ვერ წაიკითხავ ლექსს, განსაკუთრებით შემდეგ სტრიქონებს:

**წუხელ ქურდულად მესროლეს ტყვია
ტყვია ამცდა და ჩემს ბავშვებს
მოხვდა...**

ოცი დაჭრეს და ოცივე მოკვდა...

**მე მესროლეს და ბავშვები მოკლეს,
დამჭრეს და პირი დამიხშვეს წუხელ,
მკერდში ვარაძი ვეღარ ჩავტიე,
გული მეწვის და ვერაყის ვუშხელ...**

**მტკვართან აპრილი არ მოვა წლევუს,
ნაპირებს კვებავს სისხლის ტბორები
და საქართველოს დაჩეხილ სხეულს
ჭრილობებს ვბან და ვეამბორები.**

არც თუ დიდ მოცულობის ეს ლექსი, რომელიც 24 სტრიქონს შეიცავს, სიმონ ჩიქოვანის ჩვეული ოსტატობით, მთელი სისრულით იტყვს ტრაგედიის საერთო სურათს, ავტორის წუხილს და ვარაძს; იმასაც, რომ საშუალება არ აქვს დარდი და ნაღველი ვინმეს გაუზიაროს, უთხრას ხალხს. ვერ ეტყვის იმიტომ, რომ ესეც აკრძალული იყო. მხოლოდ ბოლო წლებში, ლექსის დაწერის სამი ათწლეული წლისა და ავტორის გარდაცვალების 15 წლის შემდეგ ვახდა ამის შესაძლებლობა.

გურამ რჩეულიშვილის ნოველა, რომელიც აგრეთვე უსათაუროა, 1956 წელსაა დაწერილი, მაგრამ 1989 წლის 21 აპრილამდე მწერლის არქივში იყო.

კითხულობ ნოველას და თვალწინ იშლება ტრაგედიის დღეები. აი, ბავშვებით სავსე ავტობუსები, მანქანები, ტროლეიბუსები, სტუდენტთა კოლონები, ხალხის დიდი ნაკადი გვირგინებით, შემახილები, ლენინი-სტალინი, სიმღერები, მათ შორის „გაფრინდი შავო მერცხალო“, ლოზუნგები „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, საქართველოს, საქართველოს... ქართველო ხელი ხმალს იკარ“. ტრიბუნაზე ადიან დასისხლიანებული ადამიანები, კლავ შემახილები: ისვრიან, დაგვკრეს, მოარტყეს, გვხო-

ცავენ, გველტენ. ტანჯზე ბავშვი ცარ-
ქით სვასტიკას ახატავს. ბავშვი ძირს
ეცემა, ცარცი ხელიდან უკარდება, მო-
ხუცი იმავე ცარციით სვასტიკის გვერ-
დით დიდ ვარსკვლავს ახატავს, მაგრამ
იგი ახარხარდება, გოგო ძირს ეცემა,
ისმის რუსული ვალის ხმები. ხალაყ
პატეფონზე ჩასტუმკებს უკრავენ.

მთელი ეს მოქმედება, აღწერილი ნო-
ველაში, თბილისის 5-9 მარტის დღე-
ების უტყუარი სცენაა, იგი ისტორიულ
სინამდვილეს შეესაბამება, შეესაბამება
ჩვენს მიერ სუკის არქივში მიკვლეულ
იმ ანონიმურ სტენოგრაფას, რომელსაც
თვით სუკი აწარმოებდა მიტინგის დარ-
ბევაში ბოლო მთელი 6 საათის განმავ-
ლობაში.

საინტერესოდ და დამაჯერებლად წარ-
მოგიდგება გამოჩენილი ქართველი მწე-
რლის, მთარგმნელის, კრიტიკოსის, ლი-
ტერატურათმცოდნისა და საზოგადო მო-
ღვაწის, გერონტი ქიქოძის შეფასება პი-
როვნების კულტისა და 1954 წლის მარტ-
ში სტალინის გარდაცვალების წლისთავ-
ისადმი მიძღვნილი მიტინგების შესახებ.

„უბრალო ხალხმა, — წერს გერონტი ქი-
ქოძე თავის „თანამედროვის ჩანაწერებ-
ში“, — უსამართლოდ ცნო პიროვნების კუ-
ლტის მოულოდნელი გადაფასება. კერ-
ძოდ, ადამიანისა, რომელიც მანამდე ჩვე-
ლა ეპოქის გენიად იყო აღიარებული.

ამკარად ჩანდა, რომ დიდი ხნის მან-
ძილზე ჩახშობილმა პატრიოტულმა
გრძნობამ გამოსავალი იპოვა და სტი-
ქიონური ძლიერებით გადმოხეთქა. ქარ-
თველმა ახალგაზრდობამ, თითქოს დაი-
ვიწყა ის ზიანი, რომელიც საქართვე-
ლოს სტალინის დიქტატმა მიაყენა ოც-
დაათი წლის მანძილზე, აპატია მისი
სიმკაცრე და სატანური თავმოყვარეობა
და შეეცადა რომანტიკული შარავანდით
შემოსილი ბელადი მითოსში გადაეყვან-
ნა“ („მზათობი“, № 1, 1989, გვ. 62-63).

ჩვენს მიერ აქ მოტანილი ეს ამონა-
წერი სწორად, ობიექტურად გადმოგე-

ცემს იმ დროის შექმნილ პირობებს,
ხალხმა უსამართლოდ ცნო პიროვნების
კულტის მოულოდნელი, ყოველგვარი
მომზადების გარეშე გადაფასება. გადა-
ფასება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც
თვითონ ქმნიდნენ და უკანასკნელ დრო-
მდე ყოველმხრივ ამკვიდრდნენ მას.

საგულისხმოა ამ მოვლენებისა და გარ-
დაცვალების საქართველოს დამოუკი-
დებლობის სულითკვეთებით აღნიშვნა,
რაც სტალინის სახელის საფარით მიმ-
დინარეობდა. იგი უფრო მკაფიოდ და ამ-
კარად გამოიკვეთა შემდგომ წლებში,
განსაკუთრებით 1956 წლის მარტში
მთელ საქართველოში მთავრობის საწი-
ნააღმდეგო მიტინგებსა და დემონსტრა-
ციებში.

ხელოვნების მუშაკები, ისე როგორც
მთელი სიტყვაკაზმული მწერლობა, იმ
აუბედითი მარტისა და შემდგომ მწვავე
პოლიტიკურ პერიოდში ხალხის გვერ-
დით იდგნენ.

იმ აუბედით ტრაგიკულ მოვლენებზე
გადაღებული ფირები, მიუხედავად ვულ-
გოზინე ძიებისა, ვერც სუკის არქივებ-
ში მივაკვლიეთ. გვეჯრა, ეს ფირები არ-
სებობდა, მისი აღმოჩენისათვის შემდეგი
ძიება უნდა გაგრძელდეს.

ქართული ტელეფილმების სტუდიაში
ცნობრევისორ გივი ვეფხვაძის მიერ შე-
ქმნილი „9 მარტი, 1956“, რასაკვირვე-
ლია, მთელი სისრულით ვერ მოიცავს
თა ვერ გადმოგვცემს იმ ტრაგედიის სი-
მბაფრეს.

* * *

ტრაგედია და მისი შემდგომი პირვე-
ლი წლები, რომელიც ეროვნულ-განმა-
თავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტ-
აზე გადაიზარდა, ჩვენს სიტყვაკაზმუ-
ლი მწერლობისა და ხელოვნების მუშა-
კებისაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს,
თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს
ლიტერატურაში უკვე გამოჩნდა, ამ
თვალსაზრისით, რამდენიმე საყურად-
ღებო ნაწარმოები (პირველ რიგში, მხე-
დველობაში გვაქვს ოთარ ჩხეიძის რო-
მანი „გამოცხადება“).

შენიშვნები:

1. პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 276, აღწ. 26, საქ. 63, ფურც. 195.
2. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (შემდგომი სუკის) არქივი. საქ. 406-56. ფურც. 332.
3. ცნობები მიკვლეულია სუკის არქივში.
4. სუკის არქივი. საქ. 23616-61, 7

ტომად.

5. პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 31, საქ. 37, ფურც. 6.
6. ვაზ. „7 დღე“, 1990 წ. 14 აგვისტო.
7. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 8, აღწ. 1. საქ. 1798, ფურც. 13-19.

რედაქცია კავშირისა და მკვლევარების განყოფილება

საქართველოს მხარალოთა კავშირი 1917—1997

(მთავარ მოვლენათა ქრონიკა)

60-იანი წლები

60-იანი წლებისათვის მრავალწლიანი მწერლური შრომის რამდენიმე ნაყოფი დასრულდა:

„თავის სახელგანთქმულ ტეტრალოგიას ასრულებს ქართული პროზის პატრიარქი კონსტანტინე გამსახურდია“. მრავალათვის საჭირო არცაა განმარტება, რომ იგულისხმება „დავით აღმაშენებელი“;

„ალექსანდრე ქუთათელი წერს უკანასკნელ თავებს რომანისათვის „პირისპირ“, რომლის შექმნის პროცესს მკითხველთა რამდენიმე თაობა აღევენება თვალს“ და იმის მოწმეც ვახდა ცენზურამ რომ აღრინდელი თავებიდან ბევრი რამ ამოიღო;

„თავისი ცხოვრების მთავარ წიგნს ამთავრებს ლ. ავალიანი“ (გურამ ასათიანი) — ლაპარაკია რომან „ახალ პორიზონტზე“.

მართალია, ადრე მწერლები იძულებულნი იყვნენ კომუნისტური იდეოლოგიის მითითებათა შესაბამისად ეწერათ, მაგრამ ზოგი მათგანი, მათ შორის ზემოხსენებულნი, მაინც ახერხებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში ჰუმანური ინტერე-

სების დაცვისთვისაც მიექციათ მეტაფორადება და საზოგადოებრივი ზნეობის საკითხებისთვისაც.

მაგრამ, როგორც კრიტიკოსი გურამ ასათიანი ამბობდა: 60-იანი წლები „ქართულ მწერლობაში იყო ჰუმანური ინტერესების შემდგომი გაღრმავების წლები“, „საზოგადოებრივი ზნეობის ზოგიერთი აქტუალური საკითხის“ წინ წამოწვევს ხანა (ხაზგასმა ჩემია. — რ. კ.).

საერთოდ, 60-იანი წლების ქართულ მწერლობას ისე ზუსტად და ღრმად ვერავენ დაახასიათებს, როგორც ერთერთი დიდი სამოციანელი, გურამ ასათიანი და მისი მშვენიერი წერილი „დიდი მოლოდინი“ („ღს“, 1973, № 15-17). ბუნებრივია კვლავაც არაერთხელ დავიმოწმებ ამ და სხვა წერილებს:

ამ წლებში „პოეზია საქართველოში არ თმობს მოაოვებულ მდგომარეობას, მაგრამ პრობლემათა მთავარი სიმძიმე მაინც პროზას აწევა“;

პირველად საუბარი გვექნება ადრინდელი თაობის იმ მწერლებზე, რომლებმაც ადრე აუღეს ალლო პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს და როდესაც მათ დრომ და ვითარებამ საშუალება მისცა, თავიანთი შემოქმედება განსაკუთ-

რებით კი მხატვრული პროზა, უფრო მართალი გახადეს, ადამიანს, მის სულიერ სამყაროს, გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმეს.

„სამართლიანობისა და თავისუფლების (ადამიანის კანონიერი უფლების დაცვის) მოთხოვნა 60-იანი წლებისათვის ჩვენს თვალწინ წარმოდგა არა მხოლოდ როგორც ტრადიციული (კომუნისტური მწერლობისათვის საერთოდ დამახასიათებელი) თემა არამედ, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი საჭირობო საკითხი (გ. აბაშიძე — „ცხოვრება წინ არის“, კ. ლორთქიფანიძე — „სიკვდილი ცოტას მოიცდის“).“

ამ ფსიქოლოგიურად უადრესად მწვავე პრობლემას სხვადასხვა კუთხით შეეხნენ სერგო კლდიაშვილი („ფერფლი“, წ. II) და ლევან გოთუა („ნისლი ნახატარის ტყეში“).

იქმნება გიორგი შატბერაშვილის „მკედრის მზე“ — „60-იანი წლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხრობა, რომელიც, ამავე დროს, შემაჯამებელი ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია მთელს მის შემოქმედებაში“.

„მიკროსამყაროსადმი ინტერესის გამახვილების სრულფასოვანი სურათია კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „ცაბუნია“.

სხვა მწერლებიც ცდილობდნენ ესარგებლათ პოლიტიკურ ამინდის დათბობის ნიშნების გამოჩენით და ცხოვრების მართალი სურათები მოეცათ.

თავისი ნამდვილი მოწოდების მიუგნებლობის, მათთვის არასისხლბორცველ თემებზე მთელი ენერჯის ხარჯვის შემდეგ 60-იან წლებში „თავის თემას მიაგნო „ოდნე მხოლოდ მოთხრობებში“ გრიგოლ ჩიქოვანმა, თავისი პრობლემატიკით წარმოვიდგა ედიშერ ყიფიანი...“

ცხოვრების ავ-კარვის მიმართ გამახვილებული ყურადღებით მიდგომის შედეგი იყო „თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ახალი სულიერი ურთიერთობების ობიექტური ასახვა როგორც საკუთრივ მხატვრულ, ასევე მხატვრულ-დო-

კუმენტურ პროზაში. ქართველ მწერლებში კაცის (განსაკუთრებით მწრომელთა) ცხოვრებაში ყოველდღიურმა საზრუნავმა, „ჭირ-ვარამმა“ მრავალმხრივი გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, გიორგი ნატროშვილის, მიხეილ მრეველიშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ბორის ჩხეიძის, თინა დონკაშვილის, რევაზ ჯაფარიძის, ვივი გოგიანიშვილის, ელიზბარ მაისურაძის, ლადო მრეველიშვილის შემოქმედებაში“.

როცა მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაზე ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნიკა აგიაშვილის წიგნი 40-იანი წლების ჩვენი მწერლობის დაკარგულ თაობაზე — „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ელეუჯა მადრაძის ბიოგრაფიული რომანი „გრიგოლ ორბელიანი“ (რასაც შემდეგ ათწლეულში მიუმატა „გოდება“ დავით გურამიშვილზე) და სერგი ჭილაიას რომანი-ქრონიკა „ეკატერინე ჭავჭავაძე“.

ზემოხსენებული უფროსი თაობის მწერლების პარალელურად თანდათან იმპლავრა იმ ახალმა თაობამ, შემდეგ რომ სამოციანელები ეწოდა.

წინა ათწლეულში უკვე გვეკონდა ხუბარი იმაზე, რომ პუბლიცისტური დეკლარატიულობის დაძლევისა და ყურადღების ცენტრში ადამიანის, მისი ინტელექტისა და გრძნობათა მდიდარი სამყაროს დაყენების, ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნის, მისი ფსიქოლოგიური ქცევების დასაბუთების, საზოგადოებრივი ზნეობის საკითხების წინ წამოწევის პირველი ნიშნები უკვე 50-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა სერგო კლდიაშვილის „მყუდრო საგანესა“ და რევაზ ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“.

დემნა შენგელიას „განძიც“, არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაბირისაკენ მისწრაფიან“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“, მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეებიც“ კალენდარულად 50-იანი წლების დასასრულს დაიბეჭდა, მაგრამ თავისი სულით ისინი 60-იან წლებს ეკუთვნის.

„60-იანი წლების ქართველი პროზაიკოსების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შზის სინათლეზე გამოიტანეს ბევრი ისეთი რამ, რაც ადრე ჩვენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დელიკატური ყურადღების ჩრდილქვეშ იყო მოქცეული“ (მაშინ პირდაპირ ვერ იტყოდა, თორემ კრიტიკოსს უნდოდა ეთქვა: რაზეც წერას არ ანებებდნენ).

შემთხვევით არ იყო, რომ ამ ათწლეულში დაიწერა მამხილებელი რომანები, რომლებიც შეგებრილა საქართველოში მაშინ მომძლავრებულ ნეგატიურ მოვლენებს, მომხვეჭელობათა და სიზარბით ცდუნებულ ადამიანებს. ეს იყო: ლ. მრეღამაშვილის „ყაბახი“, ა. ხულაკაურის „ოქროს თევზი“, ი. ურჯუელაშვილის „ფერისცვალება“, გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“, ე. ყიფიანის „წითელი ღრუბლები“.

ამ მამხილებელ ნაწარმოებებზე ხელისუფლების გამომხატურების გასაგებად მოუხსინით ერთ-ერთ ავტორს: „1970 წელს ერთი ჩემი რომანის გამოქვეყნებისათვის (რომელიც, სხვათა შორის, 1968 წელს დაწერე) საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე გამანადგურეს, ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს, არაოფიციალურად ექცის თვის მანძილზე სახლიდან გამოსვლა ამიერძალეს, ხოლო უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ა. ინაურმა რომანის გამოქვეყნება საკავშირო მასშტაბის საგანგებო შემთხვევად მიიჩნია“ (კურამ ფანჯიკიძე, „ლს“, 1991. 29. XI).

ამავე დროს იყო მამხილებელი ნაწარმოებები, რომელთა დაბეჭდვა მაშინ არ მოხერხდა. მწერალ ქალს, თ. დონეაშვილს 1951 წელს საქართველოდან შუა აზიაში გადასახლებული ხალხის მწარე ხვედრზე დაფიქრებამ დააწერინა რომანი „ვონჯაურა“, მაგრამ პიროვნების კულტივაციის გამოწვევით დანაშაულობათა შესახებ სიმართლის თქმა ჯერ კიდევ ნ. ხრუშჩოვის დროს შეიზღუდა. ამის გამო ქართულად ამ რომანის მხოლოდ ერთი ნაწყვეტი დაიბეჭდა „ლიტერატურ-

რულ საქართველოში“. 1971 წელს „ლიტერატურაშია ვრუზიამ“ (ქ. 4-6) დაიწყო ამ რომანის რუსული თარგმანის ბეჭდვა, მაგრამ რედაქტორი (გ. ციციშვილი) შემდგომ ორგანოებში დატუქსეს და გამოქვეყნება შეაწყვეტინეს. „ვონჯაურა“ მხოლოდ 80-იანი წლების მეორე ნახევარში—გარდაქმნებისა და საჯაროობის ახალი ტალღის დროს დაიბეჭდა.

მით უმეტეს, ვინ დაბეჭდაცა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკის სასტიკ ცხოვრებაზე გადასახლებაგამოვლილი მწერლის გივი მალულარიას მიერ 1962 წელს დაწერილ რომანს „უკუქცევა“. ეს ნაწარმოები მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა (ჟურნ. „მნათობში“).

დავუბრუნდეთ ჩვენს ათწლეულს. ზემოთ ითქვა, რომ პოეზია საქართველოში, მართალია, არ თმობს მოპოვებულ მდგომარეობას, მაგრამ პრობლემათა მთავარი სიმძიმე მაინც პროზას აწევბაო.

„60-იან წლებში ქართული პროზა ვითარდება ცხოვრებასთან არსებითი დაახლოების, მისი წინააღმდეგობრივი შინაარსის („აე-კარვის“) მიმართ უფრო გამახვილებული გულისყურით, უფრო ხალი და ფხიზელი ანალიზის ვებით“;

„ეს იყო ჩვენი ეროვნული სინამდვილის — ყოველივე იმის, რასაც ხალხის ცხოვრება ჰქვია — ნამდვილი შინაარსისადმი ახალი დამოკიდებულების გამოხატულება“.

„გასაგებია, რომ ამ სინამდვილის გველაზე ღრმად მდებარე ფენების გამოკვლევა სწორედ პროზამ იტვირთა“. პროზა უფრო მეტ საშუალებას იძლეოდა ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩასაწვდომად და ამის გამო დაიწყო 60-იანი წლებისათვის უადრესად ნიშანდობლივი მოძრაობა — „დიდი გადასახლება პოეტებისა პროზაში“;

„1962 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა „ნატურის ხე“ — პროზაულა ესკიზების კრებული, რომელშიც მან თავისი ლირიკის „ფესვები“ გაამიშვლა. რამდენიმე წლით ადრე შედგა მეორე

ცნობილი ქართველი პოეტის — გრიგოლ აბაშიძის დებიუტი ახალ წინაშე.

„პოეზიიდან მოვიდა პროზაში აგრეთვე მთელი რიგი ახალგაზრდა ქართველი მწერლებისა“ (ა. სულაკაური, თ. ჭილაძე...). მოვიდნენ და, ისევე როგორც გლეონიძემ თან მოიტანეს ლირიკული ნაკადი: რითაც გაამრავალფეროვნეს მხატვრული პროზა. მოვიდნენ, რომ ცხოვრების ნამდვილი სურათების ახლებურად მოცემა დაეწყოთ მწერლობის ჭეშმარიტი დანიშნულების შესასრულებლად გარდაქმნილ წინა თაობის მწერლებთან ერთად, ვისგანაც შეეძლოთ ბევრი რამე შეესწავლათ.

„განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ცხოვრების განახლებაში სიმონ ჩიქოვანმა, როგორც პოეტმა, ლიტერატორმა და „მნათობის“ რედაქტორმა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ეს ჟურნალი იქცა ოსტატობის თავისებურ სკოლად მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომელთა ნაწილმა შემდეგ „ციხკარს“ მიამუშავა. მანვე აღორძინა ჩვენში ლიტერატურის აზროვნების ცოცხალი, შემოქმედებითი სტილი“.

„მნათობში“ დარჩენილებზე 50-იანი წლების მიმოხილვისას ვილაპარაკე, აქ კი საჭირო იქნება წარმოუადგინო განახლებული „ციხკარის“ ირგვლივ შექმნილი ახალგაზრდა სამოციანელთა ბირთვი: თამაზ ბიბილური, ზაურ ბოლქვაძე, გურამ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ დონანაშვილი, ნოდარ დუმბაძე, შერაბ ელიოზიშვილი, რევაზ თვარაძე, რევაზ ინანიშვილი, ეშბარ კვიციანიშვილი. მუხრან მაჭავარიანი, ანზორ სალუქვაძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ წულეისკორი, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახიძე.

არც ამ ბირთვთან, „ციხკართან“ მჭიდროდ დაკავშირებულ ახალგაზრდა სამოციანელ მხატვართა დავიწყება ივარგებს. ესენი იყვნენ: ალექსანდრე ბანძე-ლაძე, დიმიტრი ერისთავი, გულდა კა-

ლაძე, ჯემალ ლოლუა, თენგიზ მერაბიშვილი, ზურაბ ნიჭარაძე, ივლიჩიანი.

„60-იან წლებში ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანის სულიერი „მიკროსამყარო“, თავისი მრავალსახეობანი, მარადმოძრავი, ცვალებადი, ბოლომდე ამოუცნობი, ნებისმიერი კონიუნქტურისა თუ იმპერატივისადმი ბოლომდე დაუქვემდებარებელი გამოვლინებებით“.

ამ სულისკვეთებით შექმნილი ნაწარმოებებიდან (ძირითადად მოთხრობებიდან) და მათი სამოციანელი ავტორებიდან უნდა მოვიხსენიოთ:

ჭაბუა ამირეჯიბი — რომელმაც სამართლიანობისა და თავისუფლების საკითხებთან შეჭიდება მოთხრობებით დაიწყო („ბიძიჩემი შეჯღანა“, „მუციოს სცევოლა“);

ერლომ ახვლედიანი — რომელმაც „გროტესკული მანერა ძირითადად კინოდრამატურგიაში გამოავლინა“;

გურამ გეგეშიძე — ინტელიგენციის ბუნების კვლევისას „ძირითადად მკაცრი ანალიზის გზას გაყვა“. დაწერა მოთხრობები „ეშმაკის მოსახვევი“, „ღევნილი“; რომანი „ცოდვილი“;

„60-იანი წლების ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებასთან მჭიდროდა დაკავშირებული ე. წ. „ლირიკული პროზის“ პრობლემა“.

ნოდარ დუმბაძე — „დიდი ხანია ქართულ მწერლობაში ადარ გამოჩენილიყვენ ასეთი უბრალო ასეთი ადამიანური პერსონაჟები, როგორიცაა ნ. დუმბაძის პირველი რომანის გმირები“. სამართლიანობისა და თავისუფლების, თანამედროვეობის საჭირობით სპიტილებს ეხება მისი მეორე რომანი „მზიანი ღამე“ (აბიბოს ხახე). ამ ათწლეულში წერს რომანებს „მე ვხედავ მზეს“, „ნუ გეშინია, დედა!“;

მერაბ ელიოზიშვილი — „თითქმის ერთდროულად იწერება მერაბ ელიოზიშვილის „ბებური მეზურნეები“ და არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიხსწრაფიან“.

პირველის ნაწარმოები „სუფთა რეალიზმია“, მეორისა — მკაცრი სიმბოლიკა.

ორივე ეს მოთხრობა გამსჭვალულია 60-იანი წლებისთვის დამახასიათებელი სულისკვეთებით“;

რევაზ ინანიშვილი — რომლისთვისაც „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 60-იანი წლები“. აქ მხედველობაშია მისი „სალამო ხანის ჩანაწერები“;

ოტია იოსელიანი — „ადამიანური ადამიანის თემით მოვიდა ჩვენს მწერლობაში“, მძლავრი ლირიკულნაკადიანი პატარა ნოველით („ჩქარი მატარებლიდან“) შემოაბიჯა. ყურადღება მიაქცია აგრეთვე მოთხრობა „ლევანამ“. ომისდროინდელი მძიმე ცხოვრების ამსახველი „ვარსკვლავთ ცეცხლა“ დაწერილია იმათ გასაგონად ვინც ამბობდა: ქართველებს რომ არ ვინახავთო.

აქვე ვახსენდება, ამავე თემაზე დაწერილი შედარებით უფროსი თაობის მწერლის რევაზ ჯაფარიძის რომანი „ჯარისკაცის ქერივი“;

თეიმურაზ მაღლაფერიძე — ყურადღების ღირსი გახდა მისი მოთხრობა „უშაბა“;

გურამ რჩულიშვილი — რომელიც ამაყად შემოიჭრა ქართულ მწერლობაში და თავისი „აღაყერდობით“ სცადა ჩვენი გამოფიზიზლება;

ელადიმერ სიხარულიძე — ყურადღება მიაქცია მოთხრობებით „მაკგი“ და „მეათე მოწმე“;

არჩილ სულაკაური — რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა იმ დროისათვის მეტად მტკივნეული რეპრესიების თემა (მოთხრობა „აბელის დაბრუნება“). შემოიტანა ლირიკული ნაკადი (მოთხრობა „მტრედები“);

გურამ სხირტლაძე — რომელიც გამოარჩია მისმა მოთხრობამ — „ბებერი ცაცხვი“, („ცისკრის“ პრემია, 1967);

ჯემალ ქარჩხაძე — რომელმაც კარგად ჩაატარა „ოპერაცია „ღვიდა ტასო““;

„ნ. წულუისკარის სიცილი უფრო რბილია და სეკუნდარული, აქვე უნდა ითქვას, რომ „თუთარჩელას“ ავტორმა ჩვენი ყუ-

რადღება ირონიული მოთხრობებში („უტყუარ ლევიზორი“, „ბარკლავი ფეხსმარჯობის ხმრები“) ვარდა უკანასკნელ დროს. როგორც პუბლიცისტიკაც მიიპყრო, თავისი ხასიათით ის ტიპური სამოციანელია — მორიდებული. უხმაურო, მაგრამ შინაგანად უკომპრომისო ლიტერატორი“.

რაც შეეხება „თუთარჩელას“ მოთხრობა „თეთრ შთასთან“ ერთად მას 1970 წელს საქართველოს კომკავშირის პრემია არგუნეს;

„რ. ჭეიშვილმა მკითხველის ინტერესი პირველ რიგში თავისი „კვიპატი“ ირონიით დაიმსახურა“. „თავისი მოწოდებით ის ნოველისტი, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სატირული ესკიზის შესანიშნავი ოსტატი, ეს მისი ნიჭის თვისებაა და არა ნაკლი („ჩემი მეგობარი ნოდარიც“ არსებითად რამდენიმე თთქმის დამოუკიდებელი ნოველებისაგან შედგება)“. მისმა ნოველამ „ალ-რაზაკის სიკვდილი“ 1967 წელს ჟურნალ „ოგონიკის“ პრემია დაიმსახურა. სამართლიანობისა და თავისუფლების თემას ეძღვნება მისი მოთხრობა „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“;

„60-იანი წლების „ახალმა პროზამ სცადა თანამედროვე ინტელიგენციის ხახის შექმნა“.

თამაზ ჭილაძე — 60-იანი წლების ახალგაზრდა მწერლები „შეგნიდან“ იკვლევდნენ ინტელიგენციის ბუნებას: „თუ თ. ჭილაძემ ამ სამყაროს თავისებური პოეტიზაცია მოახდინა, გ. გვეჯმიძე ძირითადად მისი მკაცრი ანალიზის გზას გავყვა“.

პროზაში „გადასახლებული“ კიდევ ერთი პოეტი — თამაზ ჭილაძე წერს რომანს „აბა, მიიწურა ზამთარი“, მისი თანამედროვე ხელოვანის (რეკისორი) რომანტიკული ბუნებისა და ობიექტური რეალობის შეუსაბამობაზე და მოთხრობებს—„გახეივნება პონის ეტლით“, „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“ — ძირითადად ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, მის ფიქრებსა და მისწრაფებებზე;

დ. ჯავახიშვილი — იმედებს იძლეოდა მოთხრობა „კეთილი იმედის კონცხით“.

თვალსაზრისით ამ ათწლეულის პროზის კიდევ ზოგიერთ შეფასებას:

ბ. ჟღერტი — „უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ დაძლეულ იქნა მხატვრული პროზის ჩამორჩენილობა“ (გამგეობის პლენუმი, 1969, 1. VI).

ამაში დიდი იყო დამსახურება ახალგაზრდა პროზაიკოსებისა, რომელთა ნაწილზე ახე ითქვა სამოციანი წლების შეფასებისას:

„უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენს ლიტერატურას შეემატა კიდევ რამდენიმე, ჩემი ღრმა რწმენით, ანგარიშგასაწევი სახელი: გურამ დონანაშვილი, დავით ჯავახიშვილი, გურამ სხირტლაძე, გივი მაღულარია, ვლადიმერ სიხარულიძე...“ (გ. ასათიანი, 1973).

აქ ჩამოთვლილებზე ყველაზე ითქვა, გარდა ერთისა, 60-იან წლებში ყურადღებას იქცევს გ. დონანაშვილის „მზიარული ბორცვი“ და სხვა მოთხრობები, რომლებიც, მით უმეტეს მხოვედანიანობით შექმნილი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა“, მკითხველებმა და კრიტიკამ უშენიშნოდ მიიღეს. განსხვავებით მისი რომანისაგან „სამოსელი პირველი“.

60-იანი წლების კიდევ უფრო ახალი თაობის მწერლებზე კი ასეთი იყო 1969 წლის თებერვალში გამართული ახალგაზრდა მწერალთა თათბირის პროზის სემინარის ხელმძღვანელის, თავად ცოტა ხნის წინ პოეზიიდან პროზაში წარმატებით გადასული ა. სულაკაურის აზრი: „თათბირ-სემინარზე თავი იჩინა პროზისაკენ ლტოლვამ, მოვიდა განათლებული, სეროიზული ახალგაზრდობა, ყველაზე საინტერესო ნაკადი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ გამოგზავნა... ახალგაზრდა პროზაიკოსთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მაკა ჯოხაძე, ბადრი ჭოხონელიძე, მანანა ავალიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი“.

60-იანი წლებისათვის დამახასიათებელი იყო „ლიტერატურის სპეციფიკისადმი ყურადღების გამახვილება“.

და ყველაფერ ამას შეეჭიდნენ ახალგაზრდა სამოციანიელი მწერლები, ყველაფერი ეს უნდა დაეძლიათ და გადაეღობათ.

„იონი ძირითადად გაუტკეპნავი ვზებით მიიწვედნენ წინ და მათ მიერ მოპოვებული ყოველი მტკაველი ტრადიციებით მოკირწყლულ შარაზე დაფარულ ბევრად უფრო დიდ მანძილებს უდრიდა“.

„ახალგაზრდა სამოციანიელების შემოქმედებაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რაც მათ მიერ შეიქმნა, არამედ ისიც, რაზეც მათ უარი თქვეს“. ეს იყო სქემები, ეტალონები, ფეტიშები.

„და მაინც 60-იანი წლების ქართულმა მწერლობამ ბოლომდე ვერ მიიყვანა თავისი საქმე“, „...მან არსებითად ღიად დატოვა ლიტერატურის ნამდვილი გვირის საკითხი“.

ნაკლებ გულშეჯერებულნი იყვნენ ჩვენს პოეზიაზე: ხსენებული ახალგაზრდა მწერალთა თათბირის პოეზიის სემინარის ხელმძღვანელი კ. კალაძე — „მოჭარბებულად მოგვეძალა ყოველგვარი ლოცვების, ზატების, წმინდანებისა და ანთებული სანთლებისადმი ხოტბის შესხმა თუმცა ეს ყველაფერი ახალგაზრდა პოეტების ყოფაში არ არის — იგი ლიტერატურშიინის, ინერტულობის, ეპიკონიის და მიმბაძველობის მაჩვენებელია და სხვა არაფერი“.

კ. კალაძეს რამდენადმე უკან ექაჩებოდა წარსული, ჯერ კიდევ ეუცხოებოდა ზიმძიმის გადატანა ადამიანის სულიერი სამყაროს ასახვაზე, მანამდე აკრძალული თემების დამუშავებაზე.

ბ. ჟღერტი უფრო პოეზიის თანრობრივ გაღარიბებაზე წუხდა (ზემოხსენებულ 1969 წლის პლენუმზე) — ქართული პოეზიის დიდი ეპოური ტრადიციები „სამწუხაროდ თანდათან დავიწყებას ეძლევა, საიდანაც წარმოიშვა მცდარი თვალსაზრისი, თითქოს თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოხატვა მხოლოდ, ანუ უპირატესად ლირიკული პო-

ეზის საშუალებით იფოს შესაძლებელი... ასეთი უცნაური „თეორია“ და პრაქტიკა ზღუდავს და აღარ იბუებს ჩვენს პოეზიას“.

მაგრამ მართო ტრადიციების მივიწყებაში არ იყო საქმე, ეტყობა, ახალი დრო და ახალი სათქმელი ძველი, ტრადიციული პოემის რამდენადმე შეცვლას ითხოვდა.

საერთოდ კი ძნელი იყო პოემის წერა. ახალგაზრდა სამოციანელმა პოეტმა, როდესაც მიხვდა — მისი სათქმელი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ლექსში არ ჩაეტყოდა და საჭირო იქნებოდა პოემად დაწერა, — პოემის მისაღვლომებიც მოსინჯა და აღიარა: „მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა, არა ერთი და ორი ვახდა ამ საქმის წერა“.

ეს ვახლდით მუხრან მაჭავარიანი. და თუ ის მაინც შეეჭვიდა პოემას, მას, როგორც ლექსის ოსტატს, ლირიკულმა ელემენტებმა დასძლია და გამოუვიდა ლირიკული პოემა თბილისის დაარსებაზე — „ვახტანგი“, რომელიც, როგორც ლირიკული პოემების უმეტესობა, უფრო ერთი თემით ერთმანეთთან დაკავშირებული ლექსების შთაბეჭდილებას სტოვებს. აკი ამ პოემის დასკვნითი ნაწილი შემდეგ ცალკე ლექსად გახმაურდა. ესაა საგალობელი ქართული სისხლისა, რომელსაც თბილისის გადგედაქალაქებამდეც და შემდეგაც „გზადაგზა სვამდნენ, ამღერევდნენ, ღვრიდნენ, უღმრთოდ პრყვნიდნენ და მიუხედავად ამისა, მაინც — გამოიარა რუსთველის გული, გამოიარა ვახტანგის გული, გამოიარა თამარის გული, გამოიარა სულხანის გული, და დღეს — შოთაის ნაქონი სისხლით, და დღეს — ვახტანგის ნაქონი სისხლით, და დღეს — სულხანის ნაქონი სისხლით — თბილისის ფართო ქუჩებში დადის: ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, ვივი და... იარონ! იარონ! იარონ! ამინ“.

60-იან წლებში ქართულ პოეზიაში იწყება ლირიკული პოემის აღორძინება (სწორედ აღორძინება რადგანაც მანამ- 14 „მნათობი“, № 3—4.

დეც გვექონდა ასეთი ლექსი (სწორედ ტრადიციად, აი, თუნდაც, გრიგოლ ორბელიანი) ამ ათწლეულში შექმნილ პოემებში ლირიკული ნაკადის შეტანა მეტ-ნაკლებად არც გ. გიგეჭორის უშლიდა ხელს სათქმელის ჯეროვნად თქმაში („სინათლის წრეში“, „სეზამ გაიღე“, „მეიხუთმეტე პალატა“, „მზიანი დღე“ — „მე უკვე ვიცი, ეს მიწა მე ვარ, ჯერ დაუფშვნელი, ცოცხალი ბელტი, გაჩენის დღიდან ამ მიწადქუევას მე სიჯიუტით ვებრძვი და ველტვი“; არც ე. კვიციანიშვილს („მწვანე ფარდა“), არც მ. ლებანიძეს („ანისის აღება“), არც ტ. ჭანტურიას („ლტოლვა“). არც ლირიკული პოემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ნაყოფიერ შემქმნელობ. ჭილაძეს („სინათლის წელიწადი“, „შესავალი“, „რკინის ხაწოლი“, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „თიხის ფირფიტა...“) და არც ვ. ჯავახიძეს („ღია ქალაქი“).

ხოლო ორი ლირიკული პოემა საქართველოს კომკავშირის პრემიით აღინიშნა: ჯ. ჩარკვიანის „მუქღვერ, მზე მიდის“ (1967) და რ. ამაშუკელის „ძახილი“ (1968).

მაგრამ იყვნენ ტრადიციული პოემის ერთგულნიც. მათ შორის გამოირჩეოდა ოთარ ჭელიძე, რომელმაც ამ ათწლეულში შექმნა „უფარაჯო ჯარისკაცი“, „ჯავრი“ და ბალადა „ორი მარაბდელი“ (იხე ლირიკის რაღაც ელემენტებმა ტრადიციულ პოემებშიც გაიკვლია გზა).

ვაგრძელებ ბ. ქვინტიის ციტირებას: „ჩვენს ლიტერატურაში ბოლო ხანებში თითქმის სრულიად გაქრა მაღალი რანგის სატირული პოეზია“.

ჩვენს ცნობილ კრიტიკოსს სხვაზე მეტად მოეხსენებოდა სატირის გაქრობა მწერალზე იყო დამოკიდებული თუ ცენზურაზე!

„ჩვენს მხატვრულ პერიოდიკაში უზომოდ და განუკითხავად იბეჭდება და ცალკე წიგნებადაც ხშირად ქვეყნდება მღარე უაზრო, უფერული ლექსები“.

აქ კი მართალი იყო კრიტიკოსი.

მაგრამ ამ ერთფეროვნებისა და უზენაობის ზღვაში ისეთი ლექსებიც გამოეროდა, რომლებიც ყურადღებას იქცევდა ახლებური გააზრებით, თქმითა და ზატვით. დახვეწის ოსტატობით და გემოვნებით.

ასე მოხვდა გულს ამ წლებში დაწერილი ახალგაზრდა შოთა ნიშნიანის ლექსები, რომელთა მთავარი საგანია სიყვარული, ქართული სოფელი, ჩვენი ბუნება („ზარი“, „ჩვენი პატარა მდინარეები“, „მიტოვებული ბუდეები“), ქართველი ზალბი („ხევსური“, „მცხეთის ქალაქს მირონი დულს“), მისი წარსული, ციხე-სიმაგრეები (ასე ჰქვია მის ერთ ლექსს), ჯ. ჩარკიანის „ღამაში სიკვდილი“ და „ბეთანია“, ტ. ჭანტურიას „გმირები“, რომელშიც გაისმა ლოზუნგად ქცეული საპროგრამო სიტყვები: „საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსათვის ბიჭუბო, სწორდით!..“

რაც შეეხება დრამატურგიას, ასეთი იყო მისი სემინარის ხელმძღვანელის ა. გეჭაძის აზრი — „დრამატურგიის ფანრი თათბირ-სემინარზე ყველაზე ღარიბად წარმოედგა“.

მაგრამ ბ. ჭლენტი იმედს აძლევდა უკვე აღიარებული ახალგაზრდა მწერლების დაინტერესება დრამატურგიით: „უკანასკნელ ხანებში დრამატურგიის დარგში მუშაობა დაიწვეს ქართული მწერლობის ახალი თაობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა... არ შეიძლება ამდენი ნიჭიერი მწერლის ერთობლივმა მოსვლამ დრამატურგიაში დღეს თუ ზვალ სახიზარულო ნაყოფი არ გამოიღოს“.

ახლებთან ერთად უფროსი თაობის დრამატურგთა ამ ათწლეულში მრავალგზის დადგმული პიესებიდან კი შეიძლება აღინიშნოს: კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა ანუ მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“, ა. გეჭაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ — ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით ფირიმის ტრაგედიის შესახებ შექმნილი პიესა, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, პ. კაკაბაძის „კახაბერის

ხმალი“. ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“. გ. ნახუციანიშვილის „წინააღმდეგობა“, გ. ზუბაშვილის „ზღვის შვილები“.

პოეტმა თ. ჭილაძემ ბელეტრისტიკასთან ერთად თეატრის კარებიც შეაღო (და როგორც შემდგომ გამოირკვა, — საფუძვლიანად) — 1965 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა მისი პირველი პიესა „აკვარიუმი“ — შვილების აკვარიუმის თეზივით ყველაფრისაგან დაცულად, ყველაფრით უზრუნველყოფილად. მაგრამ გამოკეტილად, დამოუკიდებელ არსებობასა და ცხოვრების წინააღმდეგობებთან ბრძოლას შეუჩვევლად აღზრდის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი დრამატურგის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნ. დუმბაძეს პიესები, როგორც ასეთი, არ დაუწერია, მისმა რომანებმა, მოთხრობებმა იმთავითვე ბედნიერად გაიკვლია გზა თეატრისა და კინოსაკენ და მრავალი წელია ჩვენი თეატრების რეპერტუარში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. შეიქმნა „ნოდარ დუმბაძის თეატრი“.

ჩვენი მწერლობის მომავალ ცვლაზე საუბარს იმით ვამთავრებ, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების მეექვსე ფრილობაზე (1966) მწერლობის ახალ საიმედო შევსებად მიიჩნის: აკაკი ბაქრაძე, ზაურ ბოლქვაძე, გურამ გვეგშიძე, სოლომონ დემურხანაშვილი, დილარ იუარდავა, ემზარ კვიციანიშვილი, კარლო კობერიძე და ვიქტორია ჯავახიშვილი.

ამ ათწლეულის ლიტერატურულ მოვლენებში გასარკვევად ახალმა თაობამ მტკივნეული საკითხების გაანალიზება მოინდომა, ამაზე იყო საუბარი 1969 წლის 26-27 მარტს გამართულ დისკუსიაზე („ლს“, 1969, № 14, 15). ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო, საბედნიეროდ, მკრთალად გამოვლენილი თაობათა და პირისპირება:

ბ. ჭლენტი — „საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკის არსებობა საერთოდ უარყვეს (მაგ., ჯაფარიძემ „ცისკარში“). ზოგიერთმა, ვინც პიროვნების კულტს აკრიტიკებდა, ადრე შექმნილი ყველაფერი

ვალბად და უარყოფითად მიიჩნია: ჩვენში მხოლოდ ლიტერატურულ სარბი-ელზე 60-იან წლებში გამოხულმა თობამ დაიწყო სიმართლის წერა. „ინტელექტუალური“ რომანი, ფსიქოლოგიური მწერლობა ახლა გაჩნდა, სოციალისტური რეალიზმი მოძველდა, ლიტერატურულ ნაწარმოებში გმირი საჭირო არააო... არც ესთეტიკური კრიტიკის საფარველს ამოფარებია მოსაწონი და არც ეულგარული სოციოლოგიზმი, ორივე ცალმხრივობააო.

ო. პაჭკორია - არავინ უგულვებელყოფს ძველი თაობის დეაწლს, თუ უარყოფთ, მხოლოდ ზერელე, პანეგირიკულ პოეზიას.

მ. ნიშნიანიძემაც შეუტია ჯგუფობრიობას. ჯგუფების დაპირისპირების არსებობა არ ვაიზიარეს გ. ასათიანმა და ჯ. ჩარკვიანმა.

- ქართული მწერლობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ბეჭდვითი ორგანოების შექმნას: „წარმოვიდგინოთ: რომ სულ რაღაც თორმეტმოდე წლის წინ ქართულ მწერლობას მხოლოდ და მხოლოდ კენტი „მნათობი“ და ობოლი „ლიტერატურული გაზეთი“ ჰქონდა კალაპოტად... დღეიდან „მნათობს“ მწერალთა ლიტერატურულ გაზეთს და ბოლო წლებში ლიტერატურისა და ხელოვნებისაკენ მეტი ხალისით შემობრუნებულ „დროშას“, „ცისკრითა“ და „ლიტერატურნაია გრუზიითი“ სწორედ თორმეტი წლის წინ გამაგრებულ ამ ამქარს შეემატა კიდევ ორი ახალი ქართული კაზმული სიტყვის სამკედლო „ხომლი“ და „ცისარტყელა“ (გ. მარგველაშვილი, ხალამი „ცისარტყელას“, „ლს“, 1960. № 11).

- საქართველოს მწერალთა კავშირი ერთგულებას ინარჩუნებდა ჩვენი თეატრის მიმართ იმ ტრადიციული მზრუნველობისადმი, რასაც ქართული მწერლობა XIX საუკუნიდან იჩენდა, მიზი ბევრი წარმომადგენელი მეგობრობდა მსახიობებთან, თეატრთან სპექტაკლებზე დასწრებით, განხილვებში მონაწილეობით,

წერილების გამოქვეყნებით ეხმარებოდა თეატრის ჭირსა და ღბინს. მავრამ რთული ურთიერთობა არსებობდა მწერლებსა და კინორეჟისორებს შორის. როგორღაც 50-იან წლებში კინოსტუდიის ხელმძღვანელებმა გასინჯვაზე მიიწვიეს მწერლები, რათა მათ მსჯავრი გამოეტანათ „მაგდანას ლურჯასათვის“, რომელსაც რეჟისორები იწუნებდნენ. როგორც რ. ჯაფარიძე წერდა, „დიდი ხნის ბუტიაობის შემდეგ ეს იყო მწერალთა და კინემატოგრაფისტთა პირველი საქმიანი შეხვედრა“, რამაც გადაარჩინა ზემოხსენებული სურათი: „დემნა შენგველაიამ აკაკი ბელიაშვილმა და სხვებმა ცოტა ოფლი როდი დაღვარეს, რათა დაემტკიცებინათ, ორჯერ ორი ოთხიაო“.

ახალ ურთიერთობათა დამყარება სცადეს 1960 წლის 4-5 აპრილს მწერლებისა და კინემუშაკთა პირველ გაერთიანებულ პლენუმზე („ლგ“. 1960. № 15, 16). აკ. ბელიაშვილის მოხსენებაში აღინიშნა, რომ რეჟისორების ჩარევის, თანაუტორობისა და დრამისმკვთებლური საქმიანობის გამო მწერლები სცენარზე მუშაობას თავს არიდებენო: „კინოდრამატურგია თანდათანობით სრულიად გაითქვიფა და შთაინთქა სარეჟისორო შემოქმედებაში, ავტორებმა დაკარგეს თავიანთი სახე კინოდრამატურგიაში“.

1968 წელს კინემატოგრაფისტებთან ერთად კიდევ ერთი გაერთიანებული პლენუმი გაიმართა:

რ. ჯაფარიძე - „სურათის ყველა მანკიერების, ცხოვრებისეული სინამდვილისაგან დაშორების მიზეზთა მიზეზი ლიტერატურული სცენარის უვარგისობაში უნდა ვეძიოთ“.

ს. დოლიძე - „კინემატოგრაფიაში მოვიდნენ ახალგაზრდა მწერლები (რ. გაბრიაძე, მ. ელიოზიშვილი, ო. იოსელიანი, ს. ჟღენტვი, ა. ხალუქვაძე, ა. ხულაკური, რ. ჭვიშვილი), სამაგიეროდ ოსტატები ჩამოგვიცილდნენ (გ. აბაშიძე, კ. კალაძე, ს. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფა-

ნიძე, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, რ. ჯაფარიძე“.

გ. დვალისვილი — „უკანასკნელ წლებში შექმნილი 49 ფილმიდან 33-ს ან ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები უდევს ხაფუძელად. ან მათ მიერ დაწერილი სცენარები. ხოლო დანარჩენი 16-ის ავტორი ახალგაზრდა სცენარისტები არიან, რომელთაც აქვთ სატელევიზიო განათლება და რაც მთავარია, ნიჭი“.

ასეთი იყო ქართული მწერლობის, ასე ვთქვათ, საშინაო ვითარება. მართალია, აქაც ბევრი რამ დაშოკებული იყო საკავშირო კომპარტიის იდეოლოგიურ პოლიტიკაზე, მაგრამ საკავშირო პარტიასა და ხელისუფლებას ჰქონდა შენობულ-დაფარული სტრატეგიული პოლიტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა არამარტო ეროვნულ მწერლობას, არამედ მთელი ერისა და მისი ენის არსებობას.

ეს პოლიტიკა ხანდახან საკმაოდ გულახდილად ამოქმედებდა თავის ერთგულ ხალხს. სწორედ ასე მოხდა 60-იან წლებში სსრკ-ის ლიდერის ნ. ხრუშჩოვის წაქეზებით, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა „აგავეშჩინა“ — მაშინდელ ეტაპზე ეროვნული ლიტერატურებისა და ენების კვდომისა და „ორენოვანი მწერლობის“ მოძღვრება.

ხალხებისა და ენების შერწყმავზე სტალინმა ილაპარაკა ერთ-ერთ გამოკვლევაში (თუმცა ეს შორეულ მომავალს ეხება). ამ საუკუნის ათიან წლებში ნ. მარმაკ წამოაყენა ენების შერწყმის თეორია, მაგრამ მეცნიერებამ არ გაიზიარა.

დაღესტნელმა მწერალმა ა. აგაევმა გადაწყვიტა, გაეადვილებინა ერების ასიმილაციის პროცესი და გაზეთებში („ლიტერატურა ი ფიზნი“, 1961, № 136; „ნიზესტია“, 1961, № 287) მცირერიცხოვანი ხალხების სახელით თავდაჯერებულად განაცხადა: მათ უკვე საკუთარ მდინარეს ამჯობინეს ყველასათვის საერ-

თო ზღვები და ოკეანეები... ჩვენს ფრონტში სულ უფრო მეტია ფაქტობრივად, თი ხალხის მწერალი წერს სხვა ხალხის ენაზე... ცხოვრებაში მიმდინარე პროცესს, როცა ცალკეული ნაციონალური მწერლები ლიტერატურულ ენად ნებაყოფლობით ირჩევენ რუსულ ენას, ობიექტურად დადებითი მნიშვნელობა აქვს“.

ა. აგაევმა მოინდომა თავი გამოეჩინა და დახმარებოდა ნ. ხრუშჩოვის მის მოხსენებაში წამოყენებული ეროვნულ განსხვავებათა მოსპობის დაჩქარების განზრახვის აღრე და მალე რეალობად ქცევაში.

აგაევი მარტო არ იყო. მაგრამ საგულეისხმოა, რომ მას ემხრობოდნენ ნაგლებად ცნობილი მწერლები, რომელთაგან ზოგი მშობლიურ ენაზე წერის ნაცვლად უკვე რუსულზე იყო გადასული.

სამაგიეროდ აგაევშჩინას ბევრმა ცნობილმა მწერალმა გამოუცხადა ბრძოლა.

ბოლოს აგაევმა და მისმა მომხრე მანქურთებმა უკან დაიხიეს, ხოლო როცა მათი მთავარი შთამაგონებელი ნ. ხრუშჩოვი გადააყენეს, „აგაევშჩინის“ წამქეზებლებმაც დაამალეს ბრჭყალები.

ქართველი მწერლები კი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ თავიანთი ეროვნული პოზიციის ხაზგასასმელად. აი, 1966 წელს საქართველოს კომპარტიის ფრილობაზე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, უკვე 1960 წლიდან პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ თქვა: 50-იანი წლების შუა ხანებიდან „აღმოჩნდნენ ისეთი ვაიპატრიოტი მუშაკები, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს, საჭირო არ არის საბჭოთა კავშირში შუამავალი ყველა ერი თავის სამრეკლოდან რეკავდესო. ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულ ფორმას და მის პირველ ნიშანს — ენას. ამ სუბიექტივისტური ხასიათის შეცდომებმა ერთგვარი არეუ-ღარევა და

დებორგანიზაცია გამოიწვია. გაიმართა კამათი ეროვნული ენების ფონე-არყოფნის საკითხზე. რევიზიონისტები ცდილობდნენ დაახლოების პროცესის ხელ-ოწმურად, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მეთოდებით დაქარბას, ეროვნულ თავისებურებათა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობას. წაშლას, საერთო ინტერნაციონალურ კულტურაში გაერთიანებას“ („ლს“, 1966, № 11).

ამ საკითხზე ბ. ფლენტმაც მწვავედ ილაპარაკა შემდეგი წლის ბოლოს გამა-

რთულ დისკუსიაზე „ქართულნი მწერნი 1967 წელს“; აგავეშინანს „საქართველოს უაზრო თეორია უწოდა, ბევრი ძალა და ენერჯია წაგვართვა ამ უნაყოფო დისკუსიამ და ნამდვილ აუცილებელ საქმეებსაც მოგვწყვეტაო“ („ლს“, 1968 წ. № 22).

ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო როგორ უნდა დაწერილიყო საბჭოთა კავშირის მწერლობის ისტორია – როგორც მრავალეროვნული ლიტერატურების ერთობლიობა თუ ერთიანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორია.

□ ზაზარაძე იმედიანი □

ჯანსუღ ღვიძლია

მ ა ღ ლ ო ბ ა

ვის, აბა სხვას ვის შეშვენის უფრო მეტად, დაწეროს კარგი წიგნი ილია ჭავჭავაძეზე, თუ არ აჭარულ კაცს. მისგან ასეთი წიგნის დაწერა ან მოულოდნელი რატომ იქნება, ან საგანგებო აღნიშვნის საგნად რად უნდა მივიჩნიოთ. აჭარული კაცია, ანუ უპირველესი ქართველია, უშუალოდ კართული მხარეა, უშუალოდ კარბჭეა საქართველოსი, ქრისტეს რჯულის გავრცელების პირველი არეალია ჩვენს სამშობლოში, ქართული ტრადიციების, ჩვეულებებისა და ჩვეულების შემნახავი და მაცოცხლებელია. სიტყვილად მიმართა ამის მტკიცება, ამაზე ოდნავი მინიშნებაც კი. ვანა, სხვაგვარად კი შეიძლება იყოს?

მაგრამ რეალობასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, ვაი, რომ უნდა გავუწიოთ ანგარიში და გველაფერთან ერთად იმითაც უნდა გავიხაროთ, რომ „საქართველოს გოლგოთის“ ავტორი აჭარული კაცია.

რეალობა მკაცრია და იმიტომ, რეალობა საშიშია და იმიტომ! ჩვენს თვალწინ ათეული წლების განმავლობაში აჭარის კუთხეს სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით უჩივიანებენ ბნელი ძალები. გნებავთ გარეშე, გნებავთ შინაური, არ უსვენებენ, როგორ არ შეურაცხყო-

ფენ! ერთის მხრივ, იმპერია იქამდეც თაუხედდება, რომ აჭარას არაქართველ ქვეყნად წარმოვიდგენს, უფრო შორს მიდის. ინფორმაციებს ფანტავს, თითქოს აჭარული ენაც კი არსებობდეს. გაუგონარს იტყვის, გამოუგონებელს გამოიგონებს, ჭკუიდან გადაგიყვანს. თვითონ დაგებმარება (ამის უთქმელობაც არ იქნება), დაგებმარა და დაგახსენებინა მეორე იმპერიის კლანჭებისაგან. მაშინ თავამოდებით ამტკიცებდა, აჭარა საქართველოს კუთვნილი მიწა-წყალია და საქართველოს უნდა დაუბრუნდესო. ზავის პირობებშიც კი ეს სიტყვები ჩაწერა. მაშინ არ უბხენებია არც აჭარული ენა, არც მისი რელიგია. რაც სიმართლე იყო, ისა სიტყვა. გამოვლიჯა ხელიდან და გაგვახარა, დიახაც გაგვახარა. რა თქმა უნდა, თავისი იმპერიის გაფართოებაზე ფიქრობდა და უტყუარი საბუთები მოიშველია. მაშინ კრიალებდა აზრი აჭარის ძირძველ ქართულობაზე, ენას ვინ ახსენებდა აჭარულს, სიზმრადაც არავის მოაგონებოდა.

ახლა ვიწროვდება იმპერიის არეალი, კარგავს ქვეყნებს და გაცოფებულია. ახლა ასე ჭირდება. უჭირს, ცხადია, აჭარაში თავისი პოლიტიკის გატარება — აქ უნდადესი ქართველები ცხოვრობენ მთლიანად და ძნელია აბსურდი ამტკიცო, შეილი დედის წინააღმდეგ აამხედრო. ათასი მიზეზის გამო შედარებით იო-

შოთა ზოიძე. „საქართველოს გოლგოთა“, გამოცემლობა „აჭარა“.

ლი იყო აფხაზეთსა და შიდა ქართლში წყლის ამღვრევა. ჩვენი სახელმწიფოებრივი სისუსტის წყალობით, სხვა ჯურის ხალხით აივსო ეს მხარეები. იმათ დაეყრდნო, გადაგვარებულ ქართველებს დაეყრდნო და დაატრიალა უბედურება.

ჯვარი სწერია აჭარას, მაგრამ ბრმა უნდა იყო კაცი ან ძალით იბრმავებდე თვალს, რომ საფრთხე ვერ დაინახო. მღვრიე მორევი აჭარის ირგვლივაც ტრიალებს.

ასეთია მენაპირე ქვეყნის ბედი. აჭარა ახლაც მენაპირე ქვეყანა, თორემ სრული საქართველოს საზღვრებში ქვეყნის ამ კარიბჭის არეალი სამხრეთ-დასავლეთით უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდა. დიდი მენაპირე მხარე გახლდათ, ახლა რამდენიმე რაიონით ვანსაზღვრული სიერციხის მფლობელია, ბირთვილია დარჩენილი ვრცელი აჭარისაგან.

და მაინც მენაპირე მხარის ბედისწერა სდევს, პირველ დარტყმებს ის იღებდა ისტორიულად, ახლაც მას ხვდება პირველი დარტყმა. „ნაპირთა ჭირვანი“ ეწოდებოდა ძველ საქართველოში მენაპირე ქვეყნებზე სახელმწიფოებრივ ზრუნვას. იგი ძლიერი ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახლდათ.

დღესაც საგანგებო ზრუნვის საგანია. მენაპირეა და იმიტომ.

იმპერიას მეხუთე კოლონა ჰყავს საქართველოში. ჩვენ ზშირად ისე წარმოგვიდგენია, ვინც ქართველია, ყველა უკლებლივ პატრიოტი და საკუთარი სამშობლოს გულშემატკიავარი უნდა იყოს. სამწუხაროდ, არ არის ასე. არიან ქართველები, სამშობლოს ცნება საერთოდ რომ არ ახსიოთ, საკუთარი კეთილდღეობისათვის ეშმაკს შეეკვირიან და რასაც ეშმაკი უკარნახებს, იმას გააკეთებენ. ასეთი ხალხისგან შედგება მეხუთე კოლონა. ქართველის ხელით უჩხიკინებს სწორედ აჭარას იმპერიას. ქართველი რომ ეტყვის მეორე ქართველს, შენ თათარი ხარო, ამით აღწევს ვერაგი მტერი თავის საწაფელს.

ასეთი შინაარსის შეურაცხველი აკლია აჭარელ კაცს, მთლმანად აჭარას. მე გამოვიჩინა, ეს საშინელი სიტყვები, თქვენც გაგივინათ, მეც აღმეფოთებულვარ, პასუხიც მიმიცია, თქვენც განრისხებულხართ... მაინც ისმის შიგადაშიგ.

მე მხოლოდ მივანიშნე შექმნილ რეალობაზე, ამ რეალობის ყოველმხრივი, არსობრივი ანალიზი ამჯერად არ არის ჩემი წერილის საგანი.

რაკი რეალობა ანგარიშგასაწვევია, შოთა ზოიძის თავისთავად საინტერესო წიგნი მრავალმხრივ საყურადღებო და ძვირფასია.

მინდა მკითხველის გულისყური მივაპყრო იმ გარემოებას, რომ წიგნი „საქართველოს გოლგოთა“ გულმა დაწერა, სიყვარულით, მაღლიერებით, პატიოსნებით საჯვრე გულმა. თრთოლა, რომელიც პირველი სტრიქონებიდან დასასრულამდე გასდევს წიგნს, იპყრობს წამკითხველსაც.

ბათუმში, თეატრის წინ, მოედანზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლი დგას, ილიას თავს გვირგვინი ადგას და ანგელოზების სული დასტრიალებს. ეს ძეგლიც აჭარელი კაცის გულმა დაუდგა „აჩრდილის“ ავტორს.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფიქრობდა ილია აჭარაზე. დამოკიდებულება აჭარის ისტორიული ბედისადმი გულისხმობდა საქართველოს გადარჩენას. მისი გონების არეალში ყოველთვის მოქცეული იყო სრული საქართველო და მან იცოდა, რარივ უჭირდა მენაპირე აჭარას, იცოდა არა ზოგადად, იცოდა დეტალობრივად, ყველა წახნაგი წაკითხული და განცდილი ჰქონდა ამ შეჭირვებისა. აჭარა მისი გამუდმებული ფიქრის საგანი გახლდათ. კიდევ ჩადიოდა, კიდევ იღწვოდა, მაგრამ ფიზიკურ მოძრაობებს სად შეეძლოთ გათანაბრებოდნენ ფიქრის მოძრაობას, რომლითაც ფლობდა ილია აჭარის ღხინსაც და სატკივარსაც. იგი იყო პიროვნება — საღბუნე სრულიად საქართველოსი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, შეჭირვებული მხარეებისა ანუ აჭარის. მან იცოდა, რა დღეში ჩაავდო ეს მხარე

ბედისწერამ, რა დაუზიანა არსში, რა დააკარგვინა და როდესაც დახსნილი დაინახა, დაითვალა ჭრილობები, რაც აჭარის ხულსა და ხორცს ჰქონდა. ყველა შეისწავლა, ყველას არსი განსახლვრა და მოეფერა. იმ მოფერებით მოეფერა, იშვიათად რომ ძალუმს ვინმეს. მკერდთან მიიხუტა, დააწყინარა მისი ამაგ-ძაგებული მხრები, დააიწყა გადატანილი უბედურებანი, განსაცდელთა შრე, უმკურნალა — ხულსა და გულს უმკურნალა. მთელ სხეულს უმკურნალა.

აჭარამ იგრძნო ეს — ნაცემმა, ნაწამებმა, იგრძნო დედის მკერდის სითბო, მისი კალთის ნუკეში.

ასეთი იყო ილია აჭარისთვის, აჭარული კაცისთვის! მთელი საქართველოსთვის ასევე იყო ილია, მაგრამ იცოდა, ვის მეტი მკურნალობა და მზრუნველობა ჭირდებოდა და იქით გასცემდა მეტ ენერჯიასაც.

ამ სითბოს დაუდგეს ილიას ძველი ბათუმში. ილიას რომელ მხარეშიც დაუდგამ ძველს, ყველგან ზედგამოჭრილი იქნება, მაგრამ სხვა მადლი აქვს ბათუმში მისი ძველის დადგმას. აჭარული კაცი მუხლს იყრის მისი სახელის წინაშე.

აჭარაში ილია ჭავჭავაძის ზღვა სიყვარული დგას. ხალხი მუდამ გრძნობს ვინ ვინ არის, ვინ ზრუნავს მასზე გულწრფელად და გამოსცემს მადლიერების სხივებს.

ზღვა სიყვარულით აღბეჭდილი წიგნი დაიწერა დღეს აჭარაში.

შოთა ზოიძის წიგნი „საქართველოს გოლგოთა“ გახლავთ მანვერებული ჩვენი, დღევანდელი ქართველობის, იმ ფსიქოლოგიური ერთიანობისა, რომელსაც სწორედ რომ ქმნიდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები დასაბამიდან დღემდე. მტერი ყოველთვის ცდილობდა ამ ხარისხის ფსიქოლოგიური ერთიანობის დაშლას, დღესაც ცდილობენ არნახული მონდომებით.

მაგრამ დროდადრო ჩნდება ისეთი წიგნები, ფაქტები და მოვლენები, რომლებიც თავის თავში ატარებენ დიდი ნუკემის მომკერულ საიდუმლოს, მტრის

ხელისგან არც გამიფერა, რომ არ უნერხედება და არც წაშლა.

ასეთი ლიტერატურული ფაქტია „საქართველოს გოლგოთა“.

წიგნის არქიტექტონიკა არა ტრადიციულია, ერთი შეხედვით უჩვეულოც.

წიგნიდან მომდინარეობს ერთი უმთავრესი აზრი:

ქართველი ერი პასუხისმგებელია ილია ჭავჭავაძის წინაშე.

პასუხისმგებელია არა იმიტომ, რომ ვერ დაიფარა ბნელი ძალებისაგან თავისი უდიდესი შვილი, არა იმიტომ, რომ ქართველმა ესროლა ილიას. თავისი ქვეყნის შვილს, შესაძლოა, ესროლოს ფრანგმაც, ინგლისელმაც, გერმანელმაც... შესაძლოა, ვერ დაიფაროს ფრანგმა, ინგლისელმა და გერმანელმა ერმა თავისი უდიდესი შვილი. მომხდარა ასევე. ამაში გაუგონარი არაფერია. მთავარი სხვაა — ცხოვრობს და იღწვის თუ არა ერი იმ წესითა და მიზნით, ილია ჭავჭავაძის მშობელს რომ მოეთხოვება. მიდის თუ არა იმ გზით, ილია ჭავჭავაძის ნაოცნებარ საქართველოს რომ ააშენებინებს.

რა თქმა უნდა, საშინელებაა, რომ ვერ დაიფარა, საშინელებაა რომ ქართველმა ესროლა, მაგრამ, რაკი ამკვარი ტრაგედიები სხვა ერებსაც დასტყდომია თავს, ჩვენ ჩვენს მახასიათებლად არ უნდა მივიღოთ ამკვარი უბედურებანი. მერე რასა ვიქმთ, მერე, როდესაც თავისი მოწამებრივი სიკვდილით ილია ჭავჭავაძე მთელ გზაზე მიკვიითობს და სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრებას დაგვაკადღებულებს? აი, ფრანგმა უდიდესი შვილების შეწირვის ფასად სრულფასოვანი საფრანგეთი რომ ააშენა, გერმანელმა — გერმანია, შვედმა — შვეცია, დანიელმა — დანია, ამასვე თუ ვაღწევთ ჩვენ? პასუხი უარყოფითია!

ტივილი ჩვენი ამ პარამეტრებზე გადის!

ამიტომ შოთა ზოიძე ჩვეულებრივ ბიოგრაფიულ რომანს არ ვეთავზობს, სადაც ცხოვრების დასაწყისიდან დასასრულამდე ერთი ძაფი იქნება გაბმული და

მკითხველი თანმიმდევრობით გაეცნობა მასზე ასხმულ ფაქტებსა და მოვლენებს.

არც ტრადიციულ მონოგრაფიას გვაწვდის.

საერთოდ თანმიმდევრობას არ იცავს.

წიგნის მთავარი საფიქრალი საქართველოს ბედისწერას უტრიალებს.

ამიტომ, როგორც კი მოკლედ მოხაზავს ორ თავში „ოქროს აკვანი“ და „ცხოვრება“ უმთავრეს ბიოგრაფიულ დეტალებს, უმალ მიუბრუნდება მისთვის უფრო მნიშვნელოვან არსობრივ ფაქტორებს. მას უკვე ილიას გონების თვალი აინტერესებს, პორტრეტი აინტერესებს, ბედისწერა აინტერესებს, ახალი წელთაღრიცხვა აინტერესებს და ასე შემდგომ. რაც არსს გახსნის, იმ მოვლენებს და სულიერ ძვრებს უტრიალებს. ამაზე მეტყველებს თავები „ღემიურგი“, „სულის ღონე“, „მოვალეობა“, „ტერორის ანატომია“, „მუხის ფოთოლი“ და სხვა. ეს პოეტის (შოთა ზოიძე პოეტია) მოხმობილი მეტაფორები არ გახლავთ. არსის გამშიფრავი საგნებია, ილიას შემოქმედებიდან და ღვაწლიდან საგანგებოდ ამოზიდული.

გავიხსენოთ რამდენიმე:

„ასპარეზზე გამოსვლისთანავე კალამი მომართა ეროვნული ხასიათის სიმტკიცის გასამართლებლად. მარტო პუბლიცისტური ნაწერებიც კმაროდა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ხალხს ღუარსაბ თათქარიძე შეაბუედრა, რითაც დროულად და სამართლიანად ჩააბედა სარკეში. შემდეგ კი ოთარაანთ ქვრივი გამოიყვანა ასპარეზზე, როგორც უტეხი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მაგალითი“.

„ილია ჭავჭავაძემ, როდესაც საქართველოს უთხრა „მარად და ყველგან“ შენთან ვარო, წარსულიც და მომავალიც იგულისხმა და, რაც მთავარია, ისტორიული საქართველოც. სამოცდაათიანი წლებიდან ინტელიგენციას მოახედა და

ქართული აზროვნება ასოციაციური დუსით შემოაბრუნა სამხრეთ საქართველოსაკენ. ილიამ იცის, სად იწყება და სად თავდება მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწა-წყალი. ილიამ იცის, სად იყო და სად არის ისტორიული აჭარა, შავშეთ-ერუშეთი, ჭანეთა და ლაზეთი. ილიამ იცის, რას წარმოადგენდა ისტორიული მესხეთი. ეს ერთადერთი გამოინაკლისია, როცა იგი მარტო არ არის. გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები მის გვერდით არიან, მათგან აქვთ მიპყრობილი გულისფერი აჭარიდან შერიფ ხიმშიაშვილს, გულო კაიკაიშვილს, მოგვიანებით ამ გუნდს შეუერთდება ასპარეზზე ახლად გამოხული მემულ აბაშიძე, ილია ჭავჭავაძემდე აჭარა და, საერთოდ, ისტორიული საქართველო თითქმის მივიწყებული იყო“.

ასეთი ამონაწერებით, თუკი ბლომად მოუიხმობთ მათ, ამ წერილის გავრცობა უსასრულოდ შეიძლება, ჩემი მიზანი უფრო ისაა, მკითხველი დავარწმუნო, რომ ამ რიტმანქარებულ დროშიც კი გემართებს რაღაც საქმენი გვერდზე გადაედოთ და ამგვარ წიგნებს მიუბრუნდეთ.

წიგნში ჭირისუფლის ფიქრი ტრიალებს, ილია ბედისწერით აფორიაქებული, საქართველოს ბედისწერით შეჭირვებული. რაც მთავარია, ავტორი ჩვენთან ერთად ფიქრობს პრობლემებზე, რომელიც ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრამ წამოჭრა მთელი ერის წინაშე და შეგვახსენებს, რომ მოსაწესრიგებელია ჩვენი ამქვეყნად არსებობის უმთავრესი კანონი.

დამოკიდებულება, რომელიც ამ წიგნისადმი გვიჩნდება, შეიძლება ერთადერთი სიტყვით გამოიხატოს.

ეს სიტყვა გახლავთ — მადლობა.



„რეჟისორი რობერტ სტურუა“

მიუხედავად რობერტ სტურუას შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზისა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს წინაშე წიგნი, რომელიც გადმოგვცემს თავის თემას, როგორც წინასწარ მოცემულსა და დაფიქსირებულს. შემოქმედებითი გააზრების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მხოლოდ კი არ ასახავს თავის საგანს, არამედ თავის მხრივ ავსებს და ამდიდრებს მას. ამ აზრით, ნოდარ გურაბანიძის ნაშრომი, „რეჟისორი რობერტ სტურუა“ უპირველესად, შემოქმედებაა და შემდეგ გამოკვლევა. წიგნის ასეთი შეფასება, ვფიქრობთ, არანაირად არ ამცირებს თავად მასალის ღირებულებას. პირიქით, რობერტ სტურუას შემოქმედება ის ცოცხალი სტიქიაა, რომელიც თავისი ინტერპრეტაციის უსასრულო პერსპექტივას იძლევა და ამ უსასრულობაში შემოქმედებითი აღქმის ათასფერ ვარიაციას ქმნის. წიგნის ავტორი ზედავს ამ პერსპექტივას და გეთავაზობს საკუთარ შემოქმედებას რეჟისორის შემოქმედების შესახებ; შემოქმედებას, სადაც მასალის ანალიზის გვერდით მოცემულია მისი ახლებური სინთეზიც. რადგან თუკი რობერტ სტურუას სპექტაკლს შევხედავთ, როგორც ცოცხალ ფენომენს, მაშინ სულაც არაა სავალდებულო, რომ მასში გამზადებული სახით მოცემული იყოს ყველაფერი ის, რასაც თეატრ-

მცოდნე მისი აღქმის პროცესში ჩამოაყალიბებს და განსაზღვრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში სპექტაკლის უბრალო „წაკითხვასთან გვექნებოდა საქმე და არა მისი შესაბამისი შემოქმედებითი ექვივალენტის შექმნასთან. ნოდარ გურაბანიძის სტილი შორს არის ასეთი „უპიროვნო“ წაკითხვისაგან. იგი მიჰყვება საკუთარ განწყობილებას, რომელიც აღიძვრის რობერტ სტურუას სპექტაკლიდან, როგორც ცოცხალ ფენომენთან შეხვედრის დროს. რა თქმა უნდა, ამ განწყობილების საფუძველს რეჟისორი ქმნის, მაგრამ ქმნის სრულიად სხვა, კრიტიკული ანალიზისაგან განსხვავებული გზებითა და ხერხებით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორიცა და მისი მკვლევარიც ერთსა და იმავესთან მიდიან საკუთარი შემოქმედებითი გზებით. სცენაზე დადგმული პიესა ამ ერთიანი შემოქმედების მხოლოდ ნაწილია, რომელიც მისი აღქმის მხრიდან უნდა იყოს შევსებული და გამთლიანებული. რობერტ სტურუა ყოველთვის ქმნის ცარიელ სივრცეს, რომელიც მაყურებელმა საკუთარი ძალისხმევით უნდა შეავსოს და წიგნის ავტორიც შესანიშნავად იყენებს ამ სივრცეს.

ამრიგად, ჩვენს წინაშე გადაშლილია რეჟისორის შემოქმედებითი ცხოვრების ფურცლები, შეცნობილი ისტორიულ სიტუაციათა მიხედვით. გავიხსენოთ თუნ-

დაც „ვეარყვარე“ — წიგნის ავტორი ცოცხლად გვიხატავს იმ უძძიმეს ვითარებას, იმ იდეოლოგიურ დამაბულობას, უკურნებელი სენივით რომ სდევდა ჩვენს ცხოვრებას თან და რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა ახლადდადგმული სპექტაკლი. ავტორის ასეთი გამოსვლა არ გახლავთ შურისძიება ან ბრალდება რომელიმე პიროვნების მიმართ, ეს არის გლობალური ზედვა იმ ზეპიროვნული ბოროტებისა, ერთნაირად რომ თრგუნავდა მსხვერპლსაც და ჯალათსაც.

ვეარყვარე — ანტიქრისტეს თემაც, რომელსაც რეჟისორმა ზოგადსაკაცობრიო მასშტაბი მიანიჭა, წიგნის ავტორის მიერ სცენიდან ცხოვრებაშია გადმოტანილი და ნამდვილ დროსა და სივრცეშია გაშლილი. ამით ავტორი ვეაგრძნობინებს თეატრისა და რეალობის ერთიანობას, სწორედ ამ აზრით გვეხმის, რომ მაყურებელმა, როგორც მკვლევარმა შეიძლება თავის მხრივ განავითაროს და შეავსოს ნანახი, რამდენადაც თვით სანახაობა შეიცავს თავის თავში აღქმის დაუსრულებელ პერსპექტივას.

შემოქმედებითი აღქმა ურთულესი პროცესია. სიძნელე აქ იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედებისათვის აუცილებელ თავისუფლებას ვერ მოვიპოვებთ მასხალის გადაკეთების ხარჯზე. წიგნის ავტორი მკაცრად მიჰყვება რეჟისორის შემოქმედებით გზას, როგორც ხელშეუხებელ მოცემულობას და ამ სიზუსტის ფარგლებში ახერხებს ცგი საკუთარი შეხედულების შექმნას.

სიზუსტისა და თავისუფლების ამ ურთულესი სინთეზით თეატრმცოდნე რეჟისორს ეხმიანება, მართლაც, რობერტ სტურუას შემოქმედებაში იმპროვიზაციის, დრამატურგიული გადათამაშების სრული შთაბეჭდილება იქმნება, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგია ხშირად მათემატიკური სიზუსტით არის დატული. როგორც ნოდარ გურაბანიძე აღნიშნავს, რეჟისორის სამეტყველო პლასტიკა არ ცვლის, არამედ ზედ ეფინება პიესის ხელუხლებელ ტექსტს. ჩვენი ფიქრით, ასეთივე ზედდება ზდე-

ბა სპექტაკლის აღქმის მხრდანაც ატრკოდნე თავის სათქმელს, ბურად განცდილსა და გამოკვეთილს ზედ წააფენს თეატრალურ ქმნილებას, რის გამოც ნაწარმოებს ემატება ცხოვრებასთან ურთიერთქმედების ახალი შრე. ჩადებულია თუ არა ეს შრე თვითონ სპექტაკლში? ეს შევითხვა იმავე რიგს განეკუთვნება, როგორც ის, გულისხმობს თუ არა, ვთქვათ, შექსპირის პიესა ვეელაფერს, რაც მის სტურუასეულ განხორციელებაში ძევის.

შემოქმედება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ნოდარ გურაბანიძე რეჟისორისაგან განხვავებული ენით, არათეატრალურ სივრცეში ქმნის სცენაზე ნანახის ექვივალენტს და ამით შესაბამისობას ამყარებს თეატრსა და ცხოვრებას შორის. სწორედ ამიტომ მიმართავს იგი ისტორიულ ანალიზს. თუკი რეჟისორის ასპარეზი სცენაა, თეატრმცოდნის მოქმედების არე ცხოვრებაა. წიგნის ავტორი ისე გადაათამაშებს და აწესრიგებს რეალობას, რომ გვიჩვენებს მის სრულ ერთიანობას თეატრთან.

მეორეს მხრივ, ავტორი იმასაც ვეაგრძნობინებს, რომ ნამდვილ ვითარებათა ანალიზი ვერ იქნება სრული, რომ ცხოვრების გარე მოცულობა ვერ ამოწურავს ხელოვნების ქმნილებას, რომ სტურუას სპექტაკლი არსებობს როგორც ერთადერთი, განუმეორებელი მოვლენა სამყაროში; მოვლენა, რომელიც წუთიერებას ეკუთვნის, მაგრამ თვით წუთიერებაა შეჩერებული და მარადისობად ქცეული.

ასეთი იმპრესიონისტული ზედვა შიგადაშიგ ცვლის ნაწარმოების რეალისტურ განჭვრეტას და გამოკვეთს თამაშის ფენომენს, როგორც თეატრალური სამყაროს თავისთავადობისა და უნიკალურობის საფუძველს. ამ განწყობილებით გადმოგვემს ნოდარ გურაბანიძე სტურუა-ბრეხტის „კაკკასიურ ცარცის წრეს“.

„უნაური სპექტაკლია“ — წერს იგი — „რეჟისორი ყოველმხრივ ცდილობს „მიჩქმლოს“ იმ დიდი შინაარსის არსებობა (რისი გახსნაც თეატრის მო-

წოდება), მთელ თავის ოსტატობას ხმარობს ამ ეპიზოდების სუვერენული თეატრალური არსის ზაზგასმისათვის, ვეითრევეს სწორედ ეპიზოდის მომხიბვლელ, ორიგინალურ სამყაროში და როცა ფინალს უუახლოვდებით, უცებ ვხედავთ, რომ ყველაფერში ზუსტად ყოფილა მოფიქრებული... ყველაფერი ასხმულია ერთ ძირითად ზახზე, რასაც კ. სტანისლავსკი „გამჭოლი მოქმედებას“ უწოდებდა და ჩვენს წინ... იკვეთება მთავარი იდეა... სპექტაკლი კი არ გვაწვდის ამ იდეას, ჩვენ თვითონ აღმოვაჩინოთ მას“ (გვ. 271).

აქ, უფიქრობთ, ზედმეტია სტანისლავსკის „გამჭოლი მოქმედების“ ხსენება. ჩვენი აზრით, გამჭოლი მოქმედება სრულ გაცნობიერებულობას მოითხოვს როგორც მსახიობის, ასევე რეჟისორის მხრიდან. სტანისლავსკი ვეასწავლიდა: მსახიობმა ისე უნდა გამოზომოს და წარმართოს თავისი სიბრაზე, რომ აფექტმა თავის მწვერვალს დრამის კულმინაციურ წერტილში მიაღწიოს, ასეთი გააზრებული თვითმართვა არ შეადგენს ბრეხტის და მით უფრო სტურუას თამაშის წესს. იმას როდი ვამბობთ, რომ „გაუცხოების თეატრი“ პირწმინდად ინტუიტიური და სპონტანური, არამედ რომ იგი ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას; რომ იგი „მნიშვნელობს“ მაყურებლის წინ, როგორც ქვეშეცნული და თავისთავადი. რეჟისორი ცნობიერად კი არ აწვდის თავის იდეას აღმქმელს, არამედ იგი ისე იქცევა, თითქოს მაყურებელთან ერთად ჩათრეული იყოს სცენის ცოცხალ ორომტრიალში და დარბაზს აღმოაჩინებებს იმას, რაც მას წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ამრიგად, იდეის ნათელყოფა აქ ხდება „გამჭოლი მოქმედების“ საპირისპირო, თამაშის ინტუიტიურ-სპონტანური გზებით.

რაც უფრო ღრმად ვეცნობით წიგნს, თანდათანობით აშკარა ხდება, რომ ავ-

ტორს უკავია ორი განსხვავებული კონცეფცია რობერტ სტურუას თეატრალურ მართ. ერთის მხრივ სპექტაკლი მისთვის არის სახეთა თამაშის პოლიფონია, რომელიც საკუთრივ „ლიაა“, დაუსრულებელია და დარბაზის მხრიდან მოვლის თავის აზრობრივ დასრულებას; მეორეს მხრივ კი ეს არის ჯერარნახული, მთლიანი ფენომენი, რომელიც არ დაიყვანება მის შემადგენელ აზრობრივ და ემოციურ კომპონენტებზე.

ამიტომაც ვიტყვით, რომ მხატვრული სისავსისა და შეშეცნებითი სიღრმის მიუხედავად, სპექტაკლის ანალიზი პრინციპულად არასაკმარისია მისი მთლიანი, განუყოფელი არსის წარმოსაჩენად. აქ თავს უფლებას ვაძლევთ, არ დავეთანხმოთ წიგნის ავტორს იმაში, რომ სტურუას სპექტაკლის მთლიანობას მისი იდეურ-კონცეფტუალური გააზრება ქმნის. ეს გააზრება ხომ ცნობიერ დონეზე ხდება, მაშინ, როცა, ჩვენი აზრით, თამაშის ორგანული მთლიანობა ინტუიტიურ საფეხურზე ხორციელდება. თუმცა, თავად ავტორსაც ვამოკვეთილი აქვს სტურუას სპექტაკლის ინტუიტიური მთლიანობა მონტაჟის ბელოვნებაში (გვ. 488-516). იგი შენიშნავს, რომ რაც უფრო თავისთავადი და ლოგიკურად შეუკავშირებელი არიან სპექტაკლის ნაწილები, მით უკეთესად პოულობენ ისინი ერთმანეთს და ქმნიან ორგანულ მთლიანობას. მართალია, ეს მთლიანობა შეიძლება შეესატყვისოს ნაწარმოების იდეას, მაგრამ მისი წარმოშობა, როგორც სპექტაკლის ნაწილთა თვითმობრარობის შედეგი, ინტუიტიური და ვერ იქნება ნაწარმოების იდეური გააზრების ტოლფასი.

რა არის ეს მთლიანობა, რომელიც არ დაიყვანება ნაწარმოების შემადგენელ ნაწილებზე? ავტორის კვლევა აღ-

მოაჩენს, რომ „კავკასიურ ცარცის წრეში“ ეს გახლავთ თამაშით შექმნილი არსი, რომელიც შემთხვევითია პიესის ე. წ. „ცნობიერი“ ელემენტების მიმართ. ეს არის არსებითი, ანუ „არა-შემთხვევითი“ შემთხვევითობა, რომელიც თეატრალური ქმნილების თავისუფლებაზე, თავისთავადობაზე და თვითმომპრობაზე მეტყველებს. იგია დადგმის „უცნაურობის“ გახალისებ. ხსოვრედ ამიტომ, წარმოჩენის ნაცვლად, პირიქით, იჩქმალდება პიესის იდეური შინაარსი, რეჟისორის ასეთი სვლა ხარკია თამაშის მთლიანი, თავისუფალი, თვითმომპრავი სტიქიის მიმართ, რომელიც არ დაიფანება იდეასთან შეკავშირებულ ანალიტიკურ ელემენტებზე, ამიტომ თვით ეს ელემენტები და იდეაც წარმოკვიდეგება არა როგორც ლოგიკური განვითარების შედეგი, არამედ როგორც უეცარი, შემოქმედებითი აღმოჩენა. ნოდარ გურაბანიძე რეჟისორის შემოქმედებას წარმოკვიდეგებს, როგორც თამაშის ამ არსის გახსნისა და თანდათანობით გაცნობიერების პროცესს. სპექტაკლში „რიჩარდ III“-ში იგი აღარ გვეხვადება უეცარი სტიქიის სახით. ახალ დონეზე ის იდეურ საზრისსაც შეიძენს და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით ეღერს. მაგრამ ეს მნიშვნელობაც „დაჭერილია“ თამაშის სიმსუბუქით და არა „ილუზიური“ თეატრის ლოგიკური თანმიმდევრობით. ხსოვრედ ამიტომ, შენიშნავს ავტორი, „რიჩარდ III“ აღქმულია ბრუეტის „გაუცხოების“ პოზიციიდან, რომელიც „გვაიმულებს სინამდვილე აღვიქვათ ისე, თითქოს იგი საერთოდ არ გვენახოს“ (გვ. 296).

ამრიგად, „რიჩარდ III“-ში თამაშის ფენომენი ცნობიერდება როგორც საზრისის, მნიშვნელობის შექმნის პროცესი. ეს პროცესი შემოქმედებით თავი-

სუფლებას მოითხოვს, რომელიც წარმოადგენს „გაუცხოება“, ანუ სინამდვილის გარდუვალობისა და სიმძიმის დაძლევა და მის მიმართ გარკვეული დისტანციის დაცვა. ასეთი განდგომის შედეგად შეჩვეული და ნაცნობი ხდება უჩვეულო და უცხო, „თითქოს იგი საერთოდ არ გვენახოს“ (გვ. 296). ეს გახლავთ წმინდად ფენომენოლოგიური მომენტი ბრუეტის „გაუცხოებაში“. სინამდვილისაგან განდგომის მომენტი მისი არის შეცნობის მიზნით. ხსოვრედ ამიტომ, მკვლევარის აზრით, სპექტაკლში მოხმობილია ირონია. „ირონია საშუალებას გვაძლევს ზემოდან დაეხედოთ როგორც საკუთარ თავს, ასევე ცხოვრებას“ (გვ. 296).

ირონიული ზედხელვა წარმოადგენს „განჭვრეტას დისტანციიდან“, როდესაც ნახიზი გველინება თამაშის ფენომენის და არა სინამდვილის სურათის სახით;

ირონია, ამავე დროს, ქმნის იმ ორატორუნებას, რომელშიც ცოცხლად არის დაჭერილი ნაწარმოებში მხატვრული იდეის გამოკვეთის პროცესი. „რიჩარდ III“-ში ეს პროცესი დაკონკრეტებულია სოციალურ-პოლიტიკურ კლანში. თამაშის ირონიულ-კომედიური ფორმა მიგვანიშნებს, რომ ბოროტება, თითქოს გარდუვალი და უსაშველო, თავისი არსით შემთხვევითია და არა კანონზომიერი. თამაშ-თამაშით შენდება ქვეყანა-ციხე და ასევე მსუბუქად, ხელაღებით იმერწება დიქტატორის სახეც.

ჩვენ სახეებით ვეთანხმებით წიგნის ავტორს, რომ სპექტაკლმა „რიჩარდ III“ „ერთბაშად სახელი მოუხვეჭა რეჟისორს და ჩააყენა იგი მსოფლიო რეჟისორთა წინა მწკრივში“ (გვ. 283).

არათუ სპექტაკლის ფორმა, მსახიობის სტილიც კი აქ მთავარ იდეას ვადმოგვცემს. მკვლევარის თვალის უფაქი-

ზესად შეიგრძნობს ფერისცვალებას რამაზ ჩხიკვაძის როლში.

„პირველი რიჩარდი“, — წერს იგი, — „რომელიც სიმახინჯეს თამაშობს... სპექტაკლის პირველსავე მოქმედებაში მთავრდება... აქტიორული ხერხები და სტილისტიკა მომდევნო ორ მოქმედებაში ცვლილებას განიცდიან. თუ პირველ მოქმედებაში აშკარაა, ხაზგასმულია „თამაშის“ ელემენტი, „ლიაა“ ხერხები, მეტია „თეატრი“, მეორე და მესამე მოქმედებაში ისინი უკანა პლანზე გადადიან და მათ ადგილს იკვრს უკვე „როლში შესული“ რიჩარდი. ახლა იგი მთლიანად „იქაა“, სიღრმეში, ღრმად დანთქმული თავის არსებაში“ (გვ. 303).

როგორც ეხედავთ, აქ ავტორი წარმოგვიდგენს თამაშის ფენომენს, როგორც თვითრიონის, თვითკომენტარის, თვითრეფლექსის პროცესს. მას თან ახლავს შემოქმედებითი იდეის თვითგარკვევისა და ჩამოყალიბების აქტი. რიჩარდის ტახტზე ასვლით მთავრდება ეს აქტი და ქრება თამაშის ორაზროვნება. ბოროტების საუფლო მნიშვნელობრივად სრულქმნილი და დადგენილი ხდება.

წიგნში თანდათან იკვეთება აზრი, რომ თამაშში, როგორც იდეის კრისტალიზაცია, საბოლოო მიზნად სამყაროს შექმნას ისახავს. ეს, ერთი მხრივ, თამაშით შემდგარი, „პირობითი“ სამყაროა, მეორეს მხრივ კი, იგი თვით შემოქმედის ინდივიდუალური, შინაგანი ყოფიერებაა.

თეატრმცოდნის აზრით, ასეთი ურთულესი სინთეზის ნიმუშს სტურუა-შექმნის „მეფე ლირი“ შეადგენს. დადგმაში განხორციელებულია გადასვლა თამაშის პირობითობიდან ადამიანის შინაგანი სამყაროს რეალისტურ განჭვრეტამდე. სწორედ ამიტომ ხდება მასში ორი ურთიერთგამომრიცხავი (ილუზი-

ური და ანტიილუზიური) თეატრალური ესთეტიკის შერწყმა. „ერთის მხრივ, — შენიშნავს ავტორი, — „იგი ისევე ის „ძველი სტურუა“ — ტრაგიკომედიური, ტრაგიფარსული თეატრის შემქმნელი, სადაც ისევე ისე საცნაურია თეატრალური პირობითობა... ხოლო მეორეს მხრივ; ჩვენს წინაა „ახალი სტურუა“... რომელიც რეალისტის თვალთ ღრმად იმზირება ადამიანის შინაგან სამყაროში, მის სულში ეძებს ქცევის ფსიქოლოგიურ ლოგიკასა და მოტივებს, გვიჩვენებს პიროვნულ ტრაგედიას, მისი სულის რღვევასა და აღორძინებას... სამყაროს მასშტაბი ადამიანურ მასშტაბამდეა დაყვანილი, ხოლო ადამიანის სულის მოძრაობა კოსმიურ მასშტაბამდეა გაზრდილი...“ (გვ. 386).

ამრიგად, „მეფე ლირი“ აგვირგვინებს თამაშის ფენომენოლოგიას რობერტ სტურუას თეატრში. იგი იწყება სინამდვილის სტერეოტიპის მხხურევით, თამაშის თავისთავადი ფენომენის დადგენით, გრძელდება იდეაციის (იდეის კრისტალიზაციის) აქტით და სრულდება სამყაროს შექმნით, რომელიც ადამიანის შინაგან არსებობასთან არაა დაკავშირებული. სწორედ ამას ითვლისწინებს მკვლევარი, როდესაც შენიშნავს: „მეფე ლირი“ არა მხოლოდ ყველაზე პესიმისტური სპექტაკლია, არამედ ყველაზე აღსარებითი, პიროვნული, საკუთარი ტივილებით ხავს; აქ იგი არა მხოლოდ თავის შემოქმედებას აჯამებს, არამედ თავის ცხოვრებასაც (გვ. 388).

ნოდარ გურაბანიძის წიგნი არაერთ საინტერესო პრობლემას წამოჭრის თავისი თემის გარშემო. წარმოდგენელია ერთი პატარა წერილით მოიცვა მასალა, ავტორის მრავალწლიან ურთიერთობას რომ აჯამებს რუსთაველის თე-

ატრთან. წიგნში ერთმანეთს ერწყმის მოაზროვნე და მხატვარი, რადგან ხატოვანება აქ აზრის მოძრაობის შედეგია და არა თვითმიზანი. ნაშრომი განსაკუთრებულად ღირებულია, რადგან პირველად შეიქმნა ფუნდამენტური, შეჯამებითი გამოკვლევა რობერტ სტურუ-

ას თეატრის, ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ავტორისეული იდეები დასაბუთებულად და დამაჯერებლად გვესახება. ჩვენი შენიშვნებიც უფრო საკუთარი პოზიციის გამოხატულებაა, ვიდრე ეჭვი მათი შემეცნებითი ღირებულების მიმართ.





●
თბილისი რუსთაველის ქ. № 28

●
ბელოვონები: შთ. რედაქტორის — 99-51-81,
პ/მკ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 5. 03. 98 წ. ზელმოწერი-
ლი დისაბეჭდად 7. 04. 98 წ., ინაწეობის ზომა,
7¹/₄X12, ქალაღის ფორმატი 70X108. ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 14.2. სააღრ.-სავამომცემლო
თაბაბი 14.01. ტირაჟი 500. შეკვეთა 283.
ფერნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
კოსტავას ქ. № 14.

406/4



საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

შპსი ორი მარტი

0623460
76126